

K 208991  
3

ცეცხა



# გეორგი ბერძნი



ოთარ ჩხეიძე

# გამოცხადება

## მხრივი კატალოგი

რომანი

საქართველო-2000  
გენერაციული

8cr-31

84Γp7-44  
8971


84Γp7-44  
8971

საჯაროთობისა და დემოკრატიის ვითარებამ ხელი შეუწიო თათა ჩეკ-იძეს გამოიყენა პირუთოვნებით და მართალი წიგნი 1956 წელს თბილისში, სანაპიროზე, ახალგაზრდობის გამოსკეულების გამო. რომანი გამოიცავება ასახავს 50-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობის შერომანა და საჭიროობას, რაც ერთოვნულ-პოლიტიკურ განწყობილებებსა და მითხოვებს, მათ ურთიერთობას ქართველ ინტელეგიტისათვან.

କୌଣସିରୁକୁ ଲୋକଙ୍କା ଯେତେବେଳେ

K 208.991  
3

470217200-121  
B \_\_\_\_\_ ბრძ. 89  
8 604(08)-89



არ დაგვასცხარე ვირე ვიყო.  
ანტონ პირველი

I

„...აპა ესერა ვდგა კარსა ზედა და ვპრეც. უკეთუ ვინ  
ისმინოს ხმისა ჩემისაი და განმიღლოს კარი..“.

და არავინ გაუღო,

ალბათ არავინ ისმინა და არც გაუღო არავინა.

მეშვიდე დღეა, უკეთუ საღამოა მეშვიდე, — მეშვიდედ  
გამობრუნდა. ეგ არაფერიო. მანამდისაც შვიდი თვე გავი-  
და. ნუვინ იტყვის ეგეც არაფერიო, ნუვინ იტყვის, სხვამან  
სხვისა არცთუ რა იცის, არცთუ სცოდნია, თავისას თუ შე-  
იტყობს, ეგეც დიდი რამე ყოფილა, თუ შეიტყობს რაღა თქმა  
უნდა, რაც უნდა იყოს, ამას ასე ემართებოდა, შვიდამდის  
მისდევდა თმენაი თუ ძალაი, შვიდამდისა პყოფნიდა და  
უწყდებოდა შვიდზედა. არ გაეგებოდა თუ რადაო, ბევრი სხვა  
რამეც არ გაეგებოდა, ოღონდ ამჯერად ამდენს მაინც მიმხ-  
ვდარიყო, თუ წავიდოდა, წავიდოდა საბოლოოდა.

ერთხელ უკვე წავიდა, წავიდა ვითომ საბოლოოდა, მაგ-  
რამ მაშინ არცთუ არაფერს მიმხვდარიყო, არც არაფერსა  
გულისხმობდა, აღგა და წავიდა. ის კარამდის მიჟყვა, იმ  
კარამდისა, აღარავინ რო აღარ გაუღო, მიჟყვა ცრემლიანი  
თვალებითა, იქ ერთბაშად ამოიმშრალა თვალები, ამოიწ-  
მინდა, მოიკრალა, ვითომდა რაო, არაფერიც არ მომხდა-  
რაო, ურდული აუგდო და, ვიდრე გაუშვებდა, მშრალადვე  
მოახსენა: „გულმა თდესმე თუ გამოგწიოს, მობუნდი, მო-  
გიტევებ...“ იმან მოახსენა და ამანაც იგრძნო, მაშინდა იგრ-  
ძნო, ადრე თუ გვიან კიდევ გამოსწევდა გული, შეიგრძნო  
ყრუდა, ითქმის, ლამის გაუგებრადაო, ანთუ ვით იყო, მაინც  
შეიგრძნო, მაინც შეხდა, მაინც გამოსწია გულმა, მაგრამ  
არავინ გაუღო კარი, მიმტევებელი არ გამოუჩნდა, არცთუ



სხვა ვინმე გამოუჩნდა, — არც გამოუჩნდებოდა, — მაგრა სისტემა  
იყრძნო, ისევე ყრუდა, ისევე ძლიერდივს გასაეგძადა, — თუ  
წავიდოდა, წავიდოდა საბოლოოდა. კიდევაც უნდა წასულიყო,  
ანთუ აღარცოთ მიპრუნებულიყო შვიდი თვის მერე, შვიდ-  
ჯერ ზედიზედ გამოპრუნების მერე მაინც უნდა დაპხსნოდა,  
დაიხაც რო საბოლოოდა, საბოლოოდა. მაგრამ არაო, ფეხს  
არ იცვლიდა, იდგა, იდგა და ფეხს არ იცვლიდა, — იმ კარ-  
თან აღარა, მოშორებითა, — იდგა ხიდზედა, იდგა, იდგა და  
ფეხს არ იცვლიდა.

ჰოდა ხიდზედათ...

არცოთ მდინარე გადიოდა იმა ხიდქვეშა, აღარ გადიოდა,  
გრა გადიოდა, მანქანები მისრიალებდა თუ მირახრახებდა,  
სულერთაო, დინება გახლდა, ის იდგა და დიოდა, დიოდა  
იმისთა ფერხთა ქვეშა. წყალიცა დიოდა არცოთ ისე დიდი-  
ხნის წინათა, გადაჭრით რო ითქვას, ამ საუკუნის ორმოციან  
წლებამდისაცა დიოდა წყალი, დიოდა მდორედა, უკეთუ ვინ  
უწყის არცა დიოდა, ისიც თუ იდგა, ტბასავით თუ ითქმიოდა,  
მტკვარს იქავე გამოპყოფილი, იქავეც მისდგომილი, მხთ-  
ლოდ ესაა, კუნძული მოეგდო, პატარა კუნძული, თდესლაც  
კუნძული ორბელიანებისა მერე ბევრგვარი სახელი შერ-  
ქმეოდა, ბევრნაირადაც დატრიალებულიყო წუთისოფელი,  
სახელებიც ისე გამოეცვალათ, იმა ტრიალის სისწრაფითა  
თუ შესაბამისადა. შერქმეოდა თუ გადარქმეოდა, კუნძული  
კუნძულად შემართულიყო, მხრები შეედგა ხიდებისათვისა,  
იქით კუკის ხიდისათვისა, აქეთ ყაბაზისა თუ ორბელიანთა  
უბნის ხიდისათვისა, მხრები შეედგა და გადაება თბილის-  
ქალაქი, გაღმით გამოლმა გადაეჭაჭვა, გადაეკვანძა; გადა-  
ეკვანძა ძველი თბილისი, თუმცა არა, არც ისე ძველი, მე-  
ტეხის ხიდს რო გადაეკვანძა, — ის სხვა ძველია, ძველთა  
ძველია, ეს სხვა ძველია, ახალი ძველიო, ასეც თუ ითქმის  
რაღა თქმა უნდა, შედარებით ახლად წარმოქმნილი და გარ-  
დაქმნილი ვინ უწყის რამდენჯერა. იქ ქუჩაც გახლდა ხი-  
დიდან ხიდამდისა, ერთადერთი ქუჩაი იმა კუნძულისა, ხმა-  
ურიანი, სავსე ხალხითა, წინა საუკუნის ელფერიც იქ შერჩა  
ბოლომდისა. სხვაგან თითქოს გამოიცვალა, სხვა იერი და-  
ედო, ამტკიცდარიყო სხვაგვარი ხმაური, სხვაგვარი სამოსი



შემთხველიყო, ოღონდ იქ კიდევ შეხვდებოდი ძველი საუ-  
კუნის ინტილიგენტებსა, ცოტა თუ წელში გატეხილთა შეზღუდვის  
არაფერი, აქ მთავარი მხოლოდ ისაა, რო შეხვდებოდი, ჯერ  
კიდევ პარიზში შეკერილი კოსტუმებითა, ბერლინსა თუ  
ლონდონში ნაყიდი ქუდებითა, უენევური ყავარჯვნებითა, ან-  
თუ ეგებთუ სხვაგანაც ეშოვნათ ყავარჯვნები, ეგეც არაფერით  
რაღა თქმა უნდა, შეგხვდებოდნენ და სანიშნო ესაა, იმა ქუ-  
შაზე, იმა კუნძულის ერთადერთ ქუჩაზედა. ბუკინისტებიც  
იქ შემორჩენილიყვნენ, ანტიგარებიცა, ძველებური პატარა  
მაღაზიებითა, კარგად შეფერთხილი და შენჯლრეული მაღა-  
ზიებითა, ოღონდ მაინც თავიანთითა, ჯერკიდევ, ჯერკიდევ  
თავიანთითა, აკანკალებული ხელებითდა რო აკროვებდნენ  
გროშ-კაპიკებსა უჩვეულოდ გაბერილი ბეგარებითვისა, აგ-  
როვებდნენ, ოღონდ აღარ იცოდნენ, შეათავებდნენ როგორ-  
მე თუ არა, ანთუ კიდევ აბოგინებდნენ. იქავე შერჩა უკანას-  
კნელი სალონიცა, წესიც შემორჩა მიღების დღეებისა, ხუთ-  
შაბათობითა, შაბათობითა, კვირათბითა, წესი შემორჩა, მიმ-  
სვლელი აღარა; პო აღარ გახლდა მიმსვლელ-მომსვლელი სა-  
ზიემოდა თუ გონების აღმავსები საუბრებისათვისა, პოეზი-  
ითა თუ ტრფობით გათანგული მიმსვლელი აღარ იყო, არა,  
აღარა, აღარცთუ გახლდა მიმგებებელი, პოეზითა და ტრფო-  
ბით გათანგული მიმგებებელი რაღა თქმა უნდა, იჯდალა  
დედაბერი, უქბილო დედაბერი, ლოფებჩაცვენილი დედაბერი,  
ვინ უწყის როდინდელი თუ პარიზისა თუ პეტერბურგის რო-  
მედ ატელიეში შეკერილი საზეიმო სამოსითა, უკვე გაცვე-  
თილი, დალაქავებული სამოსითა, იჯდა და ელოდა თუ ვინ-  
მეს შეუცდებოდა ფეხი, თუ ვინმე მოიხდიდა ბერლინსა თუ  
ლონდონში შეძენილ ქუდსა, ანთუ ყავარჯვენს მიაყუდებდა,  
ფთქვათ უენევაში შეძენილ ყავარჯვენსა, ქუდს მაინც არსად  
ჩამოჰკიდებდა, არც არსად დასდებდა, ხელში ეჭირა, აწვა-  
ლებდა და ისმენდა მოთქმასა დედაბერისა, მასპინძელთა  
თუ სტუმართა, დაღუპულთა თუ გადახვეწილთათვის მოთქ-  
მასა, ვალალსა, ისმენდა და ითმენდა, იტანდა, ელოდა წუთსა  
გამომშვიდობებისასა, ელოდა და ითმენდა, ელოდა და ქუდს  
აწვალებდა თუ ეფერებოდა, თვალს შევალებდა ყავარჯვენსა-  
ცა, აქ არ დამრჩესო, თუ მიაყუდებდა რაღა თქმა უნდა. უკა-

ნასკნელი თქრომჭედლებიც იქვე შემორჩნენ, საუკეთესო  
მკერავებიცა, Salve-ც იქ ეწერა ჟველა სადარბაზომ, შემორჩ-  
ნდსა, მეძველმანებსაც იქ გადატებითდით, ბევრსა, უა-  
რავსა, საყასპოებიც იქვე გადატებითდით, ნაირნაირი თევ-  
ზეულიცა, იქვე გაისმოდა, „ცოცხალი.. ცოცხალიიიი!“.. მხო-  
ლოდ იქალა გაისმოდა, წყნეთის მაწონიც იქა საღდებოდა მო-  
მეტებულადა, უკანასკნელი თაბაზიც იქვე დალეწეს უკანას-  
კნელმა კინტოებმა, იქვე შემოსმახეს ძველი სილალისა, იქვე  
იციკვეს უკანასკნელადა, ცეკვით ჩაიარეს, ცეკვით ჩაათავეს  
ის ღვიძლი ქუჩაი, მამინაცვლად რო გადაპქცეოდათ. კრი-  
ვითაც იქ იკრიკვეს უკანასკნელადა, ცხვირპირი დაუშეშეს  
ერთიმეორესა, მერე მიეხუტნენ, ერთიმეორესა რაღა თქმა  
უნდა, მიეხუტნენ და იტირეს, იტირეს, იქვითინეს უკანას-  
კნელადა. ისიცდა ითქმის ჯიბგირთა ბუნაგებიც იქვე რო  
ბოვინობდა, საკახბოებიცა, — ეს მაინც ჭველაზე გამძლე  
გამოდგა, ბუკინისტებიც რო აიხვეტნენ, ანტიკვარებიცა, უპ-  
თუ ახვეტეს, პარიზში შეკერილი კლასტუმებიც რო დაიძენმა,  
ბერლინსა თუ ლონდონში შენაძენი ქუდებიცა, სალონიც  
რო აღარაგის აგონდებოდა, სასაცილოდაც რო გამხდარიყო  
თავაზიანობა თუ ზრდილობა სალონური, ხორციც რო გაწ-  
ყდა, თევზეულიცა, მაწონიცა წყნეთური, უკანასკნელმა ეტლ-  
მაც რო ჩაიარა, არღანიც რო დადუმდა საბოლოოდა, ჯიბ-  
გირებიც რო დაიფრინეს იქიდანა, ეს მაინც გადარჩა კიდევ  
გარგახანსა, კიდევ გაუძლო, არცთუ ადვილად დაპყარა ია-  
რაღი, იქა ცხადია, იმ ქუჩაზედა. ბოლოს მმარიც ვეღარ გა-  
უძლო, მაშ აბა რაო, — ტოტი გადაკეტეს, ის მდორე ტოტი  
თუ ტბაით, გადაკეტეს, დააშრეს, გააკრეს გუდინი და ფაფუ  
გუნძულით, ფაფუ.. ქუჩაც მოშალეს, დაუშვეს, დაანგრიეს ის  
ერთადერთი ქუჩაი იმა ერთადერთი გუნძულისა, უკეთუ  
ნაკუნძულარისა, დაანგრიეს და, როცა ანგრევდნენ, ნერევა  
პო ნერევაა თავისი გუგუნითა თუ გრიალ-ზრიალითა, ოლ-  
ონდ ეს იმდენი არაფერით, ისე წითდა ის უკანასკნელი სა-  
კახპოიო, გეგონებოდათ, წითდა და ზანზარებდა უკანასკნელი  
ნაკუნძულარით. შერე იქ გამართეს სანაპიროი, გამართეს  
პარკი, ძეგლი აღმართეს ფარაუდანი, და მიწყდა სტაური აზა-  
მიანთა. ტრამვაის ხმაური არ მიწყვეტილა, არცთუ რახრახი



თუ ხრივინი, თუნდაც სრიალი მანქანებისა არ მიწყვეტილა,  
შრიალებდა ვერხვებიცა, ვითარცა სხვაგანა, აშოლტილი და  
შრიალებდა, ნაძვებიც იდგა ისე მხრებდაყრილი, ვითარცა  
სხვაგანა, ბუჩქებიც ისევე ბუჩქებივითა, ყვავილებიც ყვა-  
ვილებივითა, ძეგლიც ძეგლივითა რაღა თქმა უნდა.

ამან რა იცოდა... თუმცა რადაო, ვერხვების შრიალი პო  
მაინც იცოდა?.. იცოდა და ანგრე!... სოფლიდან მოვარდნი-  
ლიყო ტლუ ბიჭი ქალაქშია, მოვარდნილიყო თუ მიტმასნე-  
ბოდა დიდ ქალაქსა, ეს პო სულერთია, — თან მოჟყოლოდა  
ვერხვების შრიალიცა, ბუჩქებიც იქ დახვდა, სხვა ამგვარე-  
ბიცა, ძეგლიც იქ დახვდა, სხვა არაფერი მოეხსენებოდა, კუნ-  
ძულისა არა იცოდა, არც გაეგონა, წყალი თ; დიოდა იმა ხიდ-  
ქვეშა, ანთუ მერე რაო, — წყალი თუ დიოდა, მანქანები დი-  
ოდა იმის შემდგომა, მდინარება მდინარებააო, პოდა დი-  
ოდა, რაცა დიოდა, ისა დიოდა და იდგა იგი ფეხმოუცვლელა-  
და, იდგა და იდგა, რალაც არ უშვებდა, გულიო თუ იტყვი,  
არა მგონია, რალაც არ უშვებდა, უფრო იდუმალი, უფრო უც-  
ნაური, გულზე იდუმალი, გულზე უცნაური. რაც უნდა იყოს  
უცნაურებოდა შრიალი ვერხვთა, ოღონდ არ ესმოდა, აღარ  
ესმოდა ენაი ვერხვთა, უცნაურებოდა ძეგლიცა იგი, — სად  
არ ენახა, როგორ არ ენახა, ანთუ ძეგლადვე, ანთუ სურათა-  
და, — უცნაურებოდა, ოღონდ იმდენი არ გაეგებოდა, რო ეს  
არ გახლდა მიღწევა თუ საოცრება ხელოვნებისა, ანთუ სა-  
ოცრება რა მოსატანია, თუ არც რა ეცხო ხელოვნებისა, არც  
ალიგვალი მიპკარებოდა, ბევრი რამ სხვაც არ გაეგებოდა, თუმ-  
ცა და რაო, მერე და რაო, ბევრ სხვასაც თუ არ გაეგებოდა,  
მერე და რაო, ვინც თუ აღმართა, ვინცთუ ბრძანა, უკეთუ ვინც-  
თუ აღმართულიყო, იმას მაინც მოეხსენებოდა, დარწმუნება  
უნდოდა ადამიანსა, დარწმუნებისათვის იძულება გამოდგე-  
ბოდა, იძულებაში ხელოვნებაც გამოდგებოდა, ყველაფერი  
გამოდგებოდა, ყველაფერი, ოღონდ ყოფილიყო ჩინინი,  
ჩინინი, გაუნელებელი, ჩაძახილი გაუნელებელი, ხელოვნებაც  
ჩინინად იქცა და უჩიჩინებდნენ და უჩიჩინებდნენ ქანცგაწ-  
ყვეტამდისა, ჩასძახოდნენ და უხატავდნენ, ჩასძახოდნენ და  
ძეგლებად უგებდნენ, უგებდნენ კერპადა, სხვა კერპებს ანგ-



რევდნენ და ამას უგებდნენ, უშრობდნენ თვალსა, ეჭირებული  
ნენ აზრსა, რწმენად უგებდნენ, ხელოვნება მერყედა შევაძა,  
შთაგონება მერედა მოვაო, — თუ მოვიდოდა რაღა თქმა უნ-  
და, ანთუ მანამდის არ დალეწავდნენ ამა კერპსაცა, ამა ძეგ-  
ლსაცა, სურათთა მსგავსთაც თუ არ დაფხრეწდნენ, თუ მო-  
ვიდოდა, მოვიდოდა რაღა თქმა უნდა; ამან არ იცოდა, არც  
ისა თუ არც ესა, — თუ დამდგარიყო ჟამი ნგრევისა, არც  
იცოდა და არც ეკითხებოდა, ბევრი რამ სხვაც არ ეკითხებო-  
და, იდგა და იცდიდა, იცდიდა ხიდზედა, იმა ხიდზედა, ქვეშ  
რო მიედინებოდა მანქანები, ზედაც მანქანები, ტრამვაიცა,  
ჰო, ჰო ტრამვაიცაო, — იქდა შემორჩენილიყო ტრამვაის ხა-  
ზი, უკანასკნელი ხაზი.

დაპბედებოდა თუ რა იყო, ქმნილიყო ადგილად აღსას-  
რულისა.

ის მაინც იდგა, იდგა და იდგა ფეხმოუცვლელადა ...

სხვა არავინ იდგა.

არც მიღიოდა არავინა.

ფეხით არავინ მიღიოდა, მისღევდნენ ავტობუსებსა თუ  
მსუბუქ მანქანებსა, ალბათ მისღევდნენ, თორემ ეს ვერც არ-  
ჩევდა, აებლანდებოდა ლანდებადა თუ ჩაუქროლებდა ლან-  
დებადა, თვ ლსაც არ მიატანდა, ვერც მიატანდა, თუმცა უკუ-  
ნი არ ითქმოდა, სინათლეც არ ითქმოდა, — არა, დღისა არა,  
ცხადშე ცხადია, კარგახანია შედამებულიყო, მაინც არ გაეჩა-  
ლებინათ ელნათურები, თუმცა აენთოთ, ოლინდ ჩაეწიათ,  
ჩაეწიათ, ჩაპქრეს თუ არაო, ჩაპქრეს თუ არაო, ბჟუტავდნენ  
ეგრე გაჭირვებითა. არცა ციოდა, არცა ცხელოდა, ვერცთუ  
სითბოს იგრძნიბდა ვინმერი. არც ქარი პქროდა, არც ექრო-  
ლა დიდისანია, აღარცოთუ მზე აწუხებდა ქალაქსა, აღარცოთუ  
ვინმე ნატრობდა მზესა, აღარცოთუ თოვლით შეწუხებულიყ-  
ვნენ, აღარცა ყინვითა, აღარცა ჭონჭყოთი, არცა გაუთავებე-  
ლი წვიმებითა, გალეულიყო ეგრე შემოდგომაი, ზამთარიც  
ეგრევე გალეულიყო, ეგრედვე დამდგარიყო გაშაფულიცა,  
დამდგარიყო და არც დამდგარიყო, ჰაერს არ ეგრძნო ჯერ  
არაფერი, გაშემებულიყო როდის აქეთია, არას დაეკრა, არც  
თავისთავად შეძოძგინებულიყო, დარღვეულიყო წესი დრო-  
ებისა, თითქოსათ რაღა თქმა უნდა, აღრეულიყო, ათქვეფი-



ლიყო, თუ გასწორებულიყო, ეგება მართლაც გასწორებულიყო და ლიყო, ეგება ლარში გამოეყვანათ; თვეობით თუ გამომარტვა მოიხდება, კალენდრით თუ დაიდასტურებდნენ, გასულათ თუ დამდგარათ, ოღონდ ეს სხვანით, სხვანი და სხვანით თუ მოიცლიდნენ საამისოდა, ხოლო თუ მხოლოდ ამისას ვიტყვით, თუ გავიხსენებთ შვიდი თვის წინანდელსა, ზაფხული იდგა, ჯერ ისევ ზაფხული, ოღონდ არათუ ცხელი, ძველი, თბილისური, არცა თუ ცივი, ვინ უწყის სადაური, არცა თუ თბილი, როგორდაც უცნაური, მაგრამ და მაინც რაც უნდა იყოს, ეს მიტანტალებდა თხელი ხალათითა, მიტანტალებდა ყელმოღლეტილი, ქუდმოშვლეპილიცა რაღა თქმა უნდა, ეს პო ისედაც იგულისხმება; ახლა თუ იდგა, იდგა ისევე ქუდმოშვლეპილი, უკეთუ ვინ უწყის ადარც ახსოვდა, რა იყო ქუდი, ანთუ ვინ იცის არც გაევონა ქართველი კაცის ქადილით ნათქვამი, ქუდი მშურავს ქვეყანაშეო, — რაც უნდა იყოს, ამას მაინც ადარ ეხურა ქუდი, პალტის მაგვარი რაღაცა ემოსა, შესაძლოა მინამგვანი საგაზაფხულო პალტოსი, ნახმარი, გახრესილი, ამასთან ეყების ნაჩქარიცა, ბოლოები ისე წასთრევდა, ზამთარიც ისე გამოეტარებინა, შემოდგომაცა, ისევე მისდგომობდა გაზაფხულის პირსა. და იდგა, იდგა ფეხმოუცვლელადა შვიდი თვის მერე, ამ გასწორებული თუ გაერთპაშებული შვიდი თვისა, წელიწადის დრონიც რო ველარ შეიმჩნეოდა თბილისშია, სწორედაც თბილისში, განათუ სხვაგანა, სხვა მატერიკსა თუ მერედიანზედა, თბილისშიმეთქი, — თითქოს აეხვეტათ, თითქოს აეღოთ და გადაეტანათ მართლაც სადღაცა, სხვა მატერიკსა და სხვა მერედიანზედა, ისე უცრადა, ისე სწრაფადა, ვერავის გაეგო ტექნიკისა თუ მეცნიერების ამ გასაოცარი პროგრესის დროსა, გერც ამას გაეგო რაღა თქმა უნდა, ისედაც ბევრი რამ პოვერ გაეგო, — და იდგა ხიდზედა, იდგა და იდგა, თითქოს სარი გადაუყლაპაკვსო.

იდგა და იდგა.

იდგა უწყინრადა, ურხევად იდგა, უშეფოთველადა.

მაინც რაღაცას მოასწავებდა დგომაი იგი, ლოდინი იგი, ჯიუტი, მიღება ლოდინი თუ ნდომაი, უთუოდ რაღაცას მოასწავებდა:



ანთუ წინააღმდეგობისათვის განაწყობდა,

ანთუ დაეთრგუნინებოდა თუნდაც ოდნავ დატრეჭახა, დაეთრგუნინებოდა ისევე წყნარადა, უშუოთველადა ისევე, როგორადაც იდგა, როგორც ელოდა...

თუმცა არც ელოდა, არა, არ ელოდა, მხოლოდ იდგა, მხოლოდ უნდოდა, და სწორედაც რო ის იყო, ნდომაი იგი, ის იყო, რაც იყო, ნდომაი, უინი, წყურვილი მძაფრი, ნიშანთა გარეგანთა გარეშე, უცხოთათვის დაუნახავი, მოუხილავი გარეშეთათვისა, თვით ამისთვისაც მოუხელოებელი, გამაბრუები თუ გამთანგველი, ატეზილი და მინელებული, ავარდნილი და... აქ დავარდნილი თავისთავად მოიწევს, მაგრამ ჯერ კიდევ იდგა ფეხშედა ზღაპრადაც უთქვამთ, ქარიშხალიც ამოვარდნილა გამძაფრებული თუ გამთანგველი ნდომისა-განაო, გამოუწევევიათ ბუნების ძალი ქურუმთა ძველთა, წარმართთა ქურუმთათ რაღა თქმა უნდა, ზღაპრად უთქვამთ და ზღაპრადაც ჩაუთვლიათ, ალბათ იმიტომა, ნდომა თუ და-ლეულა, ალბათ ველარას ირწმუნებენ ნდომადალეულნი. თუმცა და რაო, ბუნება პო მაინც ბუნება ყოფილა, ზღაპარი თუ ყოფილა, იქნება კიდევაცა, იქნება ისიცა, ის იდუმალი ბორიალი სულისა, იდუმალი სწრაფვა, კავშირი იდუმალი, უხილავი, შეუცნობელი; თუნდაც სხვა გახლდეს, იგივე წარმართული, ბედისწერა გახლდეს — ბედისწერას დაება და ალ-არ უშვებდა, იდგა და იდგა, სხვა დიოდა ხიდშედა, ხიდშვე-შაცა, წყალი თუ არა, პო დიოდა, რაცა დიოდა, — ეს იდგა, იდგა.

როდის იყო თუ როდის აღარა, სხვაც შეჩერდა შორიაპ-ლოსა.

თითქოს მიწიდან ამოვიდაო, იქვე ამოვიდა და იქვე და-ზიდა რაღამაცაო, — ჩანთა ეჭირა, ჩანთამ თუ დაშიდა, დას-დო, მოინაცვლა სელი, აიმართა და, როგორდაც აღმოხდა, შეკრთომამ რო იცის, ანთუ მოულოდნელობას რო სწვევია:

— ლენტო? — გაისმა თუ არცთუ გაისმა, ეს სულერთია, ამან მაინც დაუდასტურა, ამდენიხანია ხიდშე რო ეყუდა:

— პო... აბა გინ ვიქნები? — დაუდასტურა უფრო ჩურჩულითა, ვინმეს შეთქმული ეგონებოდა, იმგვარი ჩურჩულითა, არც შეტოკებულა, ფეხიც არ წაუდგამს რაღა თქმა უნდა, აქა-

მდის ელოდა, კიდევ შეეძლო დალთდებოდა თუნდ ისევ შე-  
კითხვასა, თუნდ სხვაგვარ სიტყვასა, ნიდიც გაუძლებდა, მაგრა ასე  
საცა, ბევრს კიდევ სხვასაცა, ბევრ სხვა რამესაც!

— მე რო მეჩქარება?! — ისევ იმისი ხმა გაისმა, ისევ შემერთალი, ცოტა შემერთალი, ცოტა დაბნეული, აგრეთვე ცოტა გაკვირვებულიცა, ცოტა უარის მაგვარიცა. ის მაინც არ მითქვამს: ქალი გახლდა, ახალგაზდა ქალი, მეჩქარებაო, თქვა და ფეხი არ წაუდგამს.

— პოთოო... — გააგრძელა ვაუმა, გაურკვევლადა, უაზ-  
როდა, თითქოს თავის ფიქრს ეპასუხებაო, თუ რამესა ფიქ-  
რობდა აქამდისა.

— ერთი კვირაა იქ აღარ გამივლია... — ქალი ჩურჩულებ-  
და იმა „პოთს“ მიდევნებითა.

— ვიცი. — დაუდასტურა ვაუმა.

— იცი?! — ქალმა გაიკვირვა, წელან თუ ცოტათიო, ახლა გაიკვირვა მომეტებულადა.

— პოთოო... — ისევ წააგრძელა ვაუმა.

— რატომ?! — ხმასაც აუწია, შეშფოთებაც გაისმა ქალის ნათქვამშია.

— ვიცი, რო?!. — მოუგო ვაუმა, თითქოს უცოდინარობითა მართლულობს თავსაო.

— შენ პო?! — შეახსენა ქალმა.

— პო!.. — დაუდასტურა ვაუმა, თანაც შეახსენა ამანაცა: — თღონდაოთ თუ ოდესმეო...

თღნავ ამოიხსრა ქალმა, სულ თღნავა:

— მაშინ სხვა იყო...

— ...ოდესმეო... — გაიმეორა ვაუმა ჯიუტადა.

ქალი მოუახლოვდა, თორემ ისე ვერ გააგონებდა, ისე ჩა-  
იდუდუნა, ისე ჩუმადა, ისე მღელვარედა, ისე დაუთმობლა-  
და:

— ნუ! წადი! რაც იყო, იყო... წადი!..

— ნწი.. — ასე იუარა ვაუმა, ნაცნობი სუნთქვა, ნაცნობი სითბო, ნაცნობი სილიბო მიახლოებოდა.

— აღარაფერი მეორდება, — ცოტა სინანულით მოადევნა ქალმა, — არც გარებულა განმეორებული, არა, აღარაფერი მეორდება,

- მეორდებაო. — არ დაჭაბულდა ვაჟი.
- ისე აღარაო.
- როგორც იქნება...
- აღარ იქნება!.. — მოჭრა ქალმა და მოსწყდა მაშინვე სწრაფი ნაბიჯითა.

— იქნება... — დაადევნა ვაჟმა სიტყვაცა, ნაბიჯიცა, ჩანთასაც მისწვდა მოგეშველებით, იმან არ დაანება; ესეც არ მოეშვა და მიპქონდათ ერთადა, მხარდამხარ მიდიოდნენ, მშრალი ხიდი ეგრე იარეს, მხარდამხარა და მდუმარედა, გუნძულს გაუყვნენ, უკეთუ ითქვა, ნაკუნძულარსაო.

მერე შეჩერდა ქალი, თქმა დააპირა თუ ისე შეჩერდა, — არცთუ რა უთქვამს, ნაბიჯიც წასდგა, ისევ შეჩერდა, შეუშვა ხელი ჩანთასა და ისე წავიდა, მიატოვა ჩანთაცა, ლენტოცა, წავიდა, წავიდა მოჩქარებითა, შედრკა ანაზღადა, შედრკა, შეჩერდა, დაელოდა ვაჟსა, დაყოვნებული ნაბიჯით რო მისდევდა, დაყოვნებულითა და დაჯერებულითა, მაინც თუ ვერსაით წამივაო, დაელოდა და მიახალა ისე, თითქოს გული ამოიგულიჯაო:

— მე... უკვე... სხვა... — მიახალა და მიადევნა სუნთქვა მოხშირებული, სუნთქვა დაღლილი, დაქანცული, ანთუ ვინ იცის სათქმელი მიადევნა, მიაყოლა დანარჩენიცა, სიტყვები მიადევნა, მღელვარე სიტყვები, ყველაფერი თუ ამოიტანა, რაცთუ აქამდის გულს უდარავდა, ანთუ გადაუსხსნა გული და მიყუჩდა.

ვაჟმა ვერ გაიგო, ახლოს მივიდა, სულ ახლოსა, ზედ აეფარა: გამტკნარებული სუნთქვა ესმოდა, გამტკნარებული, ლაშის არის, რო უნდა შეწყდესო, ჩაკმედილი, უკეთუ უკვე ჩა-თავებული. სხვა ვინმე ალბათ შეშინდებოდა, ემანდ ხელში არ შემომაკვდესო, ანთუ ეგების აღარც არისო, — ეს არა, ლენტოსას ვამბობ რაღა თქმა უნდა, იმიტომაცა, რო ასეთი გახლდა, შიში ადვილად არ მოეკიდებოდა, არცა თუ ფიქრი მოეკიდებოდა ადვილადა, იმიტომაცა, რო ღუოდა, ბრიალებდა თვალნი ქალისა, ლაშის ნაპერწკლებიც ამოცვივოდა. ჩაბეჭუტულ ნათურებსაც ამდენი შეეძლო, ანთუ ამოეტანა გულის ქურასა. ჰო და ჰო, ჩაბეჭუტულსაო, ხოლო მანამე ვერავინ ჩაბეჭუტავდა იქაურ ნათურებსა, იქაობას სიბნე-



ლეს ვერავინ მიაკარებდა, ვერა, ვერავინა, ასეთი გაბეჭულებული აღარსად გახლდა, არც დაიჯერებდნენ, ზღაპრად რო ეფექტური არცთუ მთქმელი გამოჩნდებოდა, დაფრქვევოდა მძლავრი შუქურები ძეგლსა ფარაჯიანსა, შექში ლივლივებდა ძეგლი, ლივლივებდა და ელვარებდა, თითქოს აღარც იდგა, აღიოდა და აღიოდა, ფხრეწდა სიბნელესა ზევზევითა და აპქონდა შექი ზეცადა, ზეცად აპქონდა და რაღა თქმა უნდა არცთუ დედამიწას მთაკლებდა შუქსა. თუნდაც გამორთოდა დენი მთელ ქალაქესა, იქ მაინც ენთო, იქ შექი იდგა, აღიოდა და აღიოდა ძეგლი ნათელმოსილი... აღარ აღიოდა, აღანბელიყო ბნელში უფრო სიშავედა, უფრო ბნელადა, კუნაპეტადა. გამქრალიყო პრაკექტორები თუ სულაც აეყარათ, მიმქრალიყო სანაპიროს ლამპიონებიცა, — ზევით არაო, არცთუ ქვევითა, არცთუ გაღმაო, იქ მიმქრალიყო, იმა მიღამოში, ნაკუნძულარზედა. ეგება შექი მაინც ატანდა საიდანდაცა, ეგება ბჟუტიალსაც მოეცა ძალაი, გულის ძგერასაც მიემატებინა თავისი, ქალის თვალები რო გაღვივებულიყო, ეგება უფრო იმედისა გახლდა, ვუთხარი და ჩამომეცლებაო, მაგრამ არაო, შენც არ მომიკვდე: ხელი მოპხვია ვაჟმა, ხელი მოპხვია და მიიკრა გულზედა.

— რაო, რა სხვაო? — ესეც იკითხა, იკითხა ისე, ნამდვილად რო არ ეკითხებოდა.

— ვინ სხვაო, — შეუსწორა ქალმა, — თუ გინდა იცოდე, ასე მაინც იკითხე!.. — შეუსწორა და შეუწყრა, ოღონდ არ გამფრთხალა, შერჩა ეგრე უნებლიერდა, ვაჟს შერჩა გულზედა.

- ერთია... ანთუ არც არაფერია... ოდესმეო...
- რას აიხირე?
- მახსოვს და რა ვქნა?
- დაიგიწყე!
- არ მავიწყდება.
- უნდა დაივიწყო!
- თუ დამავიწყდება,
- უნდა...
- როგორაო.
- როგორც სხვები...

— ეგება მეხსიერება დაპტარებეს იმათა?!

— რაც უნდათ, ახსოვთ, რაც არა — არა!..

— მე ეგრეთი ვარ, ყველაფერი მახსოვს. — და ძირს დაუშვა ვაუმა ჩანთაი, მეორე ხელიც მოიშველია, ვერც მოიშველია ეგრე ადვილადაცა, გაუდგა ქალი, გაეცალა, იყო ეგრე წამიერადა, თვალებმაც იელვა წამიერადა, იელვა და წაპერა, შებრუნდა ქალი, შებრუნდა და წავიდა, ქუსლების ბაკუნი გაიბა კუნძულზედა, გაიბა სწრაფადა ჩაპურულსა თუ ჩასპერობელ ნათურათა შორისა.

ვაუ როდი გასდევნებია, იქვე დაელოდა, ჩანთა აიღო და დაელოდა, დაელოდა, ისმენდა თუ ვითარ მიაპობდა ბაკიბუგი ხიდსა, თუ ვითარ შედრება ბაკიბუკი იგი, უკუმოიქცა უფრო სწრაფი, გაწიწმატებული, უკუმოიქცა და იქავე დაერჭო, სადითუ ილტვოდა, ლენტოსთან დაერჭო და ჩანთას წაეტანა რაღა თქმა უნდა, დამიბრუნეო, წაეტანა და ვერც-თუ წაეტანა, ზურგთუკან გაიგდო ჩანთაი ვაუმა, ვერ წაეტანა, მაინც არ იშლიდა, მაინც მიიწევდა, მიიწევდა და ეწვნოდა ზედა, ეწვნოდა და ბრუნავდა ვაუი, ბაკუნიცა ბრუნავდა, ბრუნავდა ვაუ შემოწნული ქალიანადა, ბრუნავდა და იცინოდა, იცინოდა გულიანადა; მერე დაეხსნა ჩანთასა, სიცილისაც დაეხსნა ვაუი, ჩანთა დააგდო და ქალი აიტაცა, აიტაცა და შემოიწნა მომეტებულადა, შემოიწნა და შემოიქნა, შემოიტევდია, გათანგა იგი სასურველი, დაკარგული იგი შვიდი თვისაი და შვიდი დღისაი.

და ჰყავდა ეგრე, ვიდრე გალხვებოდა ქალი, მოეშვებოდა ვიდრე, ჩათბებოდა, გაიტვრინებოდა, მერე დაუშვა, დაუშვა მიწაშედა თუ ასფალტზედა, — პო ასფალტზედა რაღა თქმა უნდა, ქალი დაუშვა და ჩანთა აიტაცა, ცალი ხელი ქალსაც ჩაავლო, წავიდა და გაიყოლია, წავიდა, გაქანდა გრძელი ნაბიჯითა.

## II

„...განგაზრახებ შენ, რაითა იყიდო ჩემგან თქროი გა-მოხურებული ცეცხლითა, რაითა განპმდიდრდე, და სა-მოსელი სპეტაცი რაითა შეიმოსო და არა გამოცხადნეს სირ-

ცხვილი სიშიშვლისა შენისაი, და საოლავი, რაითა ფრთხოება  
თუალნი შენი და პხედვიღე.."



დიახაც გრძელი ნაბიჯითაო... ნაბიჯიც მისდევდა მაღალ-  
კანჭა ბიჭსა, სურვილი ჰთ ერეკებოდა და ერეკებოდა, —  
ქალიც მისდევდა, მომცრო ქალი, სირბილით მისდევდა. ჰთ-  
და გადაიარეს ხიდი, ასე ამგვარად გადაიარეს, მშრალი ჰთ  
წელან გადაიარეს, უკვე მტკვრის ხიდიც გადაირბინეს, ეგ-  
რევე გადასჭრეს პატარა მოედანი, არცრას მორიდებიან არც-  
თუ რა იყო მოსარიდალი, მარჯვნივ დაუხვიეს ვიწრო ქუ-  
ჩითა, მერე ჩიხითა, კვლავ მარჯვნივა, ისევ ჩიხითა უკვე  
მარცხნივა და შეჩერდნენ ვეება სადარბაზო კართანა, მარ-  
თლაც ვეება და ბრწყინვალე კართანა, შენობა არცთუ ისე-  
თი სჩანდა, კარი პტარავდა სიდიადითა. იქ არცა ბნელოდა,  
ნათურების შუქი ეფინა კარსა. და იქ შეჩერდნენ, იმა შექ-  
ქემა, წამით შეჩერდნენ, ქალმა გასაღები მოარგო კარსა,  
შეაღო, შევიდნენ, გაუჩინარდნენ. გაუჩინარდნენ მხოლოდ  
აქედანა, ქუჩიდანა რაღა თქმა უნდა, თორემ იქ რაო, — არც-  
თუ რა გახლდა გამაუჩინარებელი თუ ჩასაკარგავი: დიდებულ  
სადარბაზოს დიდებული კიბეც თუ ასდევდა, ოღონდ ვინ უწ-  
ყის აღარ ასდევდა როდის აქეთია, მეშვიდე საფეხურზე გა-  
დამკედლილიყო, გამოჩრილიყო აგურებიცა ულაშათოდა თუ  
ოკრობოკროდა, იქით ქვები გამოჩრილიყო, ალაგ თუ ბაცი,  
ალაგ თუ მომწვანო, კუკიის მოებისა, იქით ფიცრებით გა-  
დაეღობათ უსწორმასწოროდაცა, უსწორმასწორო ფიცრები-  
თაცა, ვის როგორც მოესწრო თუ ვის როგორც ენება, ხო-  
ლო კართანვე პატარა თალღებიდან თვალდათხრილი ამური  
ვარდებოდა, ვარდებოდა თუ ვერცა ვარდებოდა როდის აქე-  
თია; იქ არც შეუცდიათ, არც თვალი მოუვლიათ საგულდა-  
გულოდა, გავიდნენ ვიწრო დერეფანში, ვინ იცის რამდენჯერ  
თუ რამდენისაგან გადაკეთებულსა თუ გადაჯდანებულ დე-  
რეფანშია, ჩაიჭედნენ, გაძვრნენ, კიდევ კარს მიადგნენ, კი-  
დევ შეაღეს და ცოტა ხალვათად ამოისუნთქეს, — მოზრდილ  
ოთახში ამოპყვეს თავი, ძველი შენობის ძველებურ ოთახში.  
მოულოდნელი არ გახლდა რა თქმა უნდა, ვაუიც გარგად  
იცნობდა იმ თახსა, ქალი ჲთ იცნობდა და იცნობდა, თუმ-  
ცა ქალი უფრო მისდევდა, ვიდრე მიუძღვდა, ამიტომ ახლა

2. ი. ჩხეიძე

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
კომუნისტიკუს



ის უფრო სათქმელია, ვაჟი რო იცნობდა, რო არ გადამტკიცა  
არაფერსა, ხელის ფათური რო არა სჭირდებოდა არაუკანის  
ქი უძებნია, არა, არაფერი უძებნია, მხოლოდთდა ჩანთა მიაგ-  
დო სადაც თუ მოხვდა და ქალი დააწვინა სად თუ წვეული-  
ყო, საიდანაც ადგა შვიდი თვისა და შვიდი დღის წინათა,  
ადგა და წავიდა, წავიდა და მობრუნდა, მობრუნდა და იქ-  
ვე დააწვინა, დააწვინა და თან მიპყვა ცხადია...

მერე მხართებოშე ეგდო ვაჟი.

ეგდო მინაბული, მიყუჩებული.

ქალი ზურგთუკან ამოსწოლთდა, დანდობოდა მხარშე-  
და, დანდობოდა თუ შემოპხვეთდა, რამეთუ შუბლზე რო  
უწეწავდა თმასა ცალი ხელითა, მეორეთი კეფაზე უწეწავდა  
თუ უხვევდა, უკეთუ წიწენიდა, გამოსწევდა, გამოსწევდა,  
თითქოს უნდა დააძროს სათითაოდათ. არცთუ ვაჟი ეურჩე-  
ბოდა, ასეთებს არც ეურჩებოდა ხოლმე, იწვა ყუმი, ყუჩი,  
უდარდელი, ისე, იმგვარადა, ერთი მისამდერი რომაა ურ-  
მულისა: „ქამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი პეტნია,  
ლაფში ჩაფლული ურემი, შინ მიტანილი პეტნიათ“, სწორე-  
დაც ისე, სწორედაც იმგვარადა, თითქოს ამისთვის გამოეთ-  
ქვა ხალხსა, უკეთუ შეენახა, ხოლო გამოთქმით, ვინ უწყის  
ვინ იყო პირველი მთქმელი, ანთუ პირველად როდის ითქ-  
ვათ, ვინ იცის, ვინ უწყის?! წარმართობაზე გვიანდელი მა-  
ინც არ იქნება, წარმართობისაა პოეზიათ; თუმცა პლ იწვა  
უდარდელადათ, — სამაგიეროდ ვერ მოესვენა ქალსა, ამი-  
ტომაც თუ აწიწენიდა თმასა.

აწიწენიდა და აწიწენიდა.

— მოისვენე?

მერე ესეც იკითხა ქალმა, იკითხა ისე, ან ამას დასცინო-  
და, ან თავის თავისა, ანთუ თრივესა, თმაც დაიხვია სალოქ  
თითშედა, ასწია, ასწია, დამის კანი ააფხრიწოსო. არაფერი  
მიუგო ვაჟმა, გადახვეული თმა წაართვა, თითებით დაიყა-  
რა ნატკენი ადგილი. მაშინ სხვაგან გადაინაცვლა თითებმა  
ქალისა, თხელმა თითებმა, მოუსვენარმა, გადაინაცვლა და  
რბოდა, წრიალებდა, ხანთუ მოეშვებოდა, დაენდობოდა, ჩაქ-  
ვდებოდა, ჩანავლდებოდა, მაშინ თვალიც გაშემდებოდა, —  
მაგიდიდან შექი მცირედად მაინც გადაპფენოდა საწოლის

წინა: პალტოც იქ ეგდო, ის საგაზაფხულო, გახრესილი პალტოც, ვინ უწყის როდიმდელი, ვინ უწყის სადით შემორჩენილი, მაშინ ერთბაშად რო წამოიცვა ბევრმა, ბევრიც რო დაეძებდა, ემეტებოდა თრმაგი თუ სამშაგი ფასიცა, მალე ერთბაშად რო გადააგდო ყველამა, ამასდა რო შემორჩენილი, ჰო იქვე ეგდო თუ წამოფენილიყო, სკამს მოსდებოდა ცალი გალთაო, ეგრე წაშლილიყო იატაქზედა. პიჯაკი არ ეგდო, არც წამოპკიდებდა საგულდაგულოდა, არც ეცმოდა რაღა თქმა უნდა, თორემ იმასაც ეგრევე მოისროდა. ხალათიც იგივე შემორჩენილი, შვიდი თვის წინათ რო წაიტანა შარგალშია, — შვიდი დღე გამომრჩა, არაფერიაო, — მთავარი ისაა, ხალათი რო იგივე გახლდა, ისევე მუქლურჯი, წაშლილი კალთებითა, ზევითდაზევით გახუნებული, გაცისურებული ბეჭებზედა, საყელოგახრესილი, გადაკემსილი წმინდადა, ამასთან სუფთა, ახლადწამოხსნილი თოკიდანა, უთონადგამი სულ ახლახანა. ხალათის ქვეშაც რაღაცა მოუჩანდა, ღაზლისა, შინნაქსოვი, დედისა თუ დისა, ეგება დიდედისა, ესეც სულერთია რადა თქმა იყო, რაც იყო თუ ვისგანაც იყო, თბილი ის უჩანდა, იმითი თუ გაიტანდა ზამთარსა, რა ვუყოთ თუ მშრალ ზამთარსაო, ზამთარი მაინც ზამთარიაო.

ქალი მაინც პერანგს მიაცივდა:

- ისევ დაი გირეცხავს?
  - დაი...
  - ვეღარ ამოიღებს.
  - საიდან თუ რასაო...
  - ხალათსაო... სარეცხიდან ვეღარ ამოიღებს.
  - ამოიღებს.
  - ხელზე შეადნება.
  - მაქვს ერთიცა.
  - ახალი?
  - არც ისე.
  - ახალივითა?
  - ჰო...
  - შეეგებები გაზაფხულსა..
- თქვა ქალმა როგორდაც უცნაურადა, მწვავედა თუ მწა-

რედა, დამცინავადაცა, ერთისიტყვით უცნაურადა, ოღონდ  
არაფრად ჩაუგდია ვაჟსა, თვალი მიღულა, გააჩილა მიუკენ  
მიღულა, — არც არად ჩაუგდია, არც არა მიუგდა. რაც უნ-  
და ეთქვა, ქალი ზედ ეხვდა, ვაშივით ეხვია, რაც უნდა ეთქვა.  
ქალი მაინც როდი მოეშვა:

— თვალს დაუყენებ გაზაფხულსაა..

არც მოეშვა და იმატა დაცინვამაცა, ალაგ ქლურტულით  
გაგრძელდა ნათქვამი, ვითომც ჟავე გაზაფხულსა, ვითომც  
მერცხალიც მოფრენილაო.

ვაჟმა მაინც არ შეიმჩნია..

— არც მე დამიდგება თვალი....

— თუ აღარა გსურს....

— არცა...

— თუ აღარა სურთ, არც არსებობენთ,

— ვისი ნათქვამია?

— ცხოვრების ნათქვამია.

— მასწავლებელი კარგი გყოლია-

— შენიცაა.

— მე ვერ დავუდე გული სკოლასა.

— ეს სხვა კულლაა..

— სულერთია რახან სკოლაა.

— სხვა რამე დავარქვათ.

— სულერთიამეთქი, ნუმცა ყოფილა.

— არის და....

— იყოს.

— და შენც იქა ხარ.

— ვიყო.

აქ ქალმა ისევ მოსწია თმაი, ნიგაპიც მოსწია, გადაიჩარა  
თვითონაცა, შემომხედოსო. არ აპხედა, არ უნდოდა და არ  
აპხედა.

— არაფერი, არაფერი, — ნაღვლიანად გააგრძელა ქალ-  
მა, — არაფერი არ იცვლება შენშია.

— რა უნდა შეიცვალოს?!

— დრო მიღის.

— იაროს...

იტვრინა ქალმა, უფრო შემოეტმასნა ვაჟსა და იტვრინა.



და იყო ასე გასუსული, გამტკნარებული, იყო და იყო უცებ დააცხრა, მომეტებულად აუწეშა ქოჩორი ვაჟსა, მეორე ნელნელა ჩაცურდა საწოლიდანა, ნელნელა წამოდგა, ნელნელა გაიარა, თითქოს რაღაცას ეპარებაო, გაიარა თუ გა-  
გოგდა, — უფრო გავოგდა თუ როგორც იყო: უჯრა გამოსწია საწერი მაგიდისაი, ამოურია ნელნელობითა, იფათურა თუ ეძება რაღაცაო, ეძება დიდხანსათ თუ არცოუ ეძებაო, ეჭი-  
რა ხელში, ატრიალებდა თუ არც ატრიალებდა, აკვირდებო-  
და თუ არც აკვირდებოდა თუ არც დაუხედავს, — უფრო ფიქ-  
რობდა: ვერც მოშვებოდა და ვერც გადაეწყვიტა, იდგა ეგრე-  
ფებშველა ფეხითა, თითის წვერებზე აწეულიყო, ამაღლე-  
ბულიყო, ტანი თხელი, თხელი წელი უცახცახებდა, ანთუ  
შესცივნოდა, ანთუ არაო, აცახცახებდა ფიქრი თავისი. მე-  
რე წაგოგდა თითის წვერებითა, საწოლთან ჩაცუცქდა, სას-  
ოუმალთანა.

— sol..

ნაიმღერა თითქოსათ და ბეჭედი გაუწიოდა, ბეჭედი იაგუნ-დის თვალითა, მოზრდილი თვალითა იაგუნდისა, გარეშემო მარგალიტებით მოჟიქმატებული.

— ६५३—

გულურივად იქითხა ვაჟმა, ვითომ და რაო, არც დაუნახავ-  
სო, ვითომ და რაო, ვერც მიმხვდარაო.

— କେବଳାମି...

თითქოს რო უხსნისო, პირველად უხსნისო, თანაც რო  
ხელიც გამოუწია ვაჟსა, ფრთხილად დაუდო ხელის გულზე-  
და, მერე თითები წამოუკეცა, გრძელი, გრძელი თითები  
წამოუმტკრია, რო ვერც წამოუკეცა და რო ვერც წამოუმტ-  
კრია რაღა თქმა უნდა, — შეეცადა, თუმცა რო ვერ დაუგვა-  
რა ვერაფერი ცხადია, გაჭიმულიყო სილაი ვაჟისაი, გაჭ-  
შეეცილიყო უდრეულადა.

— 3571.

တေတ္ထုက္ခလာ လဲ ၆၀၆၇၁ မြတ္တုဂါဏ် ဒုက္ခမိုး၊

— କାହିଁଏହିଦି..

ივივე უთხრა ქალმა, ნიშნის მოგება არად წაუგდო.

— ଦେଖିବାକୁ...

გაიმეორა გუგმია უაზროდა.



— ბეჭედი! — ქალმაც დაუდასტურა, თითქოს ახლა, შეაფენა  
ნებინაო, — წაიღე, დაშიბრუნე, როცა შეგვეძლოს, ჟამიბრუნე  
ნე თუნდაც ათმაგადა.. არა მჭირდება. შენა გჭირდება, გა-  
მთიყენე.

— ნწ!..

ამგვარად გამოსთქვა ვაუმა თუ ესეც გამოთქმაა ცხადზე  
ცხადია, შეუვალობა მაინც იგრძნობოდა და ჩაჯდა ქალი,  
იქვე ჩაჯდა იატაგზედა, თვალებზე აიფარა ხელი.

— გჭირდებამეთქი...

გაიმეორა მხრების თახთახითა, თვალთავან ხელი არ ჩა-  
მოუღია. ვაჟი წამოვედა, ჩამოყარა ფეხები ძირსა. ქალმა  
უმაღ ხელები შეაწყო მუხლებზედა, აიწია, აიწია, ჩახსნილ  
საყელოში ჩაურგო ტუჩები და ისე ჩასდუდუნა, გამიგონეო,  
შენი ცხოვრება ცხოვრება არ არის, ცოდო ხარ, ცოდოთ, შენც  
უნდა იცხოვრო, ცხოვრება უნდა დაიწყო როგორმეო.

ვაუმა ჩაბლუჯა მხრები თითქოს პატარა ქალისა, თითქოს  
თხელი ქალისა, ხელში რო მაინც მკვრივად მოდიოდა, ჩაბ-  
ლუჯა და გასჭიმა მკლავები, გრძელი მკლავები გასჭიმა და  
გაიტანა ქალი, დაიშორა და ეგრე შესცინა ნიშნისმოგებითა:

— თითქოს არაფერი მეორდებათ?

— მაშ რაღად დაბრუნდი?

გაპკვირდა ქალი, უნდოდა მხრებიც შეერხია შესატყვი-  
სად, ვერ შეარხია ჩაბლუჯული მხრები.

— ოდესმეო...

დუნედ მიუგო ვაუმა, მინვდა პასუხად ვერ ივარგებდა.

— სწორედაც ოდესმეო!

მოუჭრა ქალმა, გადაიყარა ხელები ვაუმისა, უკვე მოშვე-  
ბული, მოდუნებული, გადაიყარა და ადგა, აიმართა, სხვა  
არაფერი მიგულისხმიათ, ესეც დასძინა, ფეხის ცერით შე-  
აკროვა მიყრილ-მოყრილი ფეხსაცმელები, ჩაიცვა, ჩამოვედა  
შორიახლოსა, სხვა არაფერით, გაიმეორა.

პო სწორედაც სხვა არაფერით: წაედო ბეჭედი, გაეყიდა  
ცხადია, საქორწილოდ გამოწყობილიყო, შეერთო ეს ქალი,  
დასახლებულიყო ამ ოთახშია, — აი ამასა გულისხმობდა,  
სხვას არაფერსა, ცხოვრების დაწყებად ეს მიაჩნდა, ამას ურ-  
ჩევდა, ურჩევდა და ამოსდგომოდა მხარშიაცა. თავგანწირვა

გამოდიოდა, სხვისა რა გითხრა, აქ მაინც ასე გამოყოფილი და ცუდიც არ ეთქმოდა, განახლდებოდა რაღაცა თუ შეუძრისა დაცაო, რაღაც ახალი დაიწყებოდა, ამას ვერ მიმსვდარიყო ვაჟი, ეს აგულისებდა ქალსა; ვაჟი არ ამბობდა თუ რად ვერ მიმსვდარიყო, ან რადა უარობდა, ესეც აგულისებდა, ეს უფრო აგულისებდა ქალსა, თუ იტყოდა გაუქარწყლებდა, აუნსიდა და გაუქარწყლებდა, ამიტომაც არას ამბობდა ვაჟი, ესეც აგულისებდა ქალსა, თვითონ საძნელოდ არაფერი ესახებოდა, არა, არაფერი ბეწვისთდენადაცა, სულმთლად ადვილად აღსრულდებოდა: წაეღო ბეჭედი, ფულად ექცია, შეერთო ეს ქალი, დასახლებულიყო ამ ოთახშია; ვთქვათ გაყიდვა ეპნელებოდა, — ეგეც არაფერი, ამასაც თვითონ შოუელიდა ქალი, ოღონდაც ეთქვა, ეთქვა მხოლოდდა, კრინტი დაეძრა, მაგრამ არაო, არას ამბობდა, ამასაც არაო, მით უფრო იმას რა ათქმევინებდა, სულ ცოტა თრი სიძნელე რო ეღობებოდა ამ ქორწინებასა, ჯერ ერთი ესაო, ქალს ქმარშვილი უნდა მიეტოვებინა, შვილი თუ არაო, ქმარი ჰო უნდა მიეტოვებინა, ოჯახი დაენგრია, მეორეც ესაო, ვაჟს დამბანი უნდა დაეყარა უპატრონოდა, სოფლიდან წამოყოლილი დამმანი, ანაბარანი ამისი. ქალს ეგება გაპხარებოდა, თუ გამოშორდებოდა ქმარშვილსა, შვილს თუ არაო, ქმარს ჰო მაინცაო, ვაჟისათვის ეგება დიდი შედაგათიც გახლდა, ზურგს თუ შეაქცივდა დაძმათა, მაგრამ განა შეიძლებოდა? როგორდა უნდა აეხსნა ქალსა ანთუ როგორდა გაეადვილებინა? არ შეიძლებოდა, არ შეიძლებოდა, ამიტომაც არას ამბობდა, ქალსაც ვერ ეთქვა ვეღარაფერი, მოფიქრებული პასუხი ვერ ეთქვა: ერთად ვიზრუნებოთ, უკეთესადაც ვიზრუნებოთ და სხვა და სხვაო, ამაო იქნებოდა აღთქმანი ესე, ამაო იქნებოდა, ჩაიწერებოდა იმავე დღესა, სადამომდისაც ვერ მიატანდა, ან ერთ დამესაც ვერ გაათევდა, ვერა, ვერაო, იცოდა ვაჟმა და არას ამბობდა, აგულისებდა ქალსა, ეს აგულისებდა.

ვთქვათ ასეც არა ყოფილიყო,

შეგეთუ გაუთხოვარი ყოფილიყო ქალი, თახახიანი, უმტვირთ ქალიშვილი ყოფილიყო, თავისი ანაბარა ყოფილიყო ვაჟიცა, მაინც პირში წყალს დაიგუბებდა, რამეთუ ქორწი-

ნება, თუნდაც უბრალოდ ხელის მოწერა, ვერ წარმოედგინა, ჯერ ვერ დაეტანა გონებამდისა თუ სურვილამშებაზე ვე სიყვარულიც გადაეტანა, ჩაყურყუმელავებულიყო ქალებშიაცა, ფულსაცა შოულობრა ბლობადა, თავის ანაბარაც გახლდა, თვითონვე მოსავგდა, თვითონვე შეველობა სხვათა და სხვათა, განეცადა გაცრუებაცა იმედისა, ხელისმოცარვაცა, რადას არ შეხვედრობა, რას არ მოსწეოდა, ეს მაინც გალში ვერ ამოეჭრა, — ცოლი შევირთოთ, უნდა შევირთოთ, ვერც გულში ამოეჭრა, ვერც გონებაში, ვერც ამოართვა აბურღულ ფიქრსა; სხვისა თუ გაევონა, მოულოდნელობა ეგონა, სასჯელი თუ სასწაული ეგონა, ხოლო აქ უბრალოდ გამოდიოდა: წაედო ბეჭედი, გამოწყობილიყო სასიძოდა, უკეთუ სანეფოდა, დასახლებულიყო ამ ოთახშია, — ძალიან უბრალოდ გამოდიოდა. ვინ უწყის მერეც არ გაძნელებულიყო, ანთუ ისე შეეფგა უდელი, ვერც ვერა გაევო, ვინ იცის, ვინ უწყის, — დავ, ყოფილიყო როგორც იქნებოდა, ახლა არაო, არ მოხერხდებოდა, შვიდი თვის წინათ რაც არ მოხერხდა, შვიდი თვის მერეც არ მოხერხდებოდა, არც რა შეცვლილიყო, არც მოხერხდებოდა; თუმცა რადაო, ბევრიც შეცვლილიყო, ძალიან ბევრი, აზრი თუ მტკიცება ამობრუნებულიყო, ძირფესვიანად ამოტრიალებულიყო, აზრი სხვათაო, ლენტოსი არა, იგივე იყო, იგივე გახლდა. და სდუმდა ვაური ამიტომაცა, ეს თუ აღარ იცოდა ქალმა, ამიტომაც თუ გაგულისებულიყო; და სდუმდა ვაური, მაინც რაღაცა უნდა ეთქვა, უსათუოდა, გარდაუვლადა, ვაუს თუ თავისი სურვილი პქონდა, ქალს თუ თავისი, ერთმანეთისთვის შორეული, შეუგუებელი, უნდა შეებლანდათ სიტყვით მაინცა, ისე ერთად რაღა უნდოდათ, უკეთუ რაღად მისტანებოდა ვაური?

ჰო უნდა ეთქვაო.

უნდა ეთქვაო და თქვა იმანაცა:

— სხვა აბა რაო?

თქვა, თუ უფრო სიტყვები ამიტომანა, დუშილის გასატეხადა, მაინც გამოედო ქალი, მაინც იგივეს ჩაეკითხა:

— მაში რაღად დაბრუნდი?

ახლა ის მთლად უმწეო გახდა, აღარც თვითონ გააჩნდა ბასუხი, აღარც ამისგან ელოდა აღარაფერსა.

— იცი, ელი....

ვაჟმა წამოიწყო თუ ვერც წამოიწყო, ქალი მიეშვეჭრა, შეიგრძელოს აწყვეტინა:

— არაფერი ვიცი, არაფერი, არაფერი ვიცი... — ჩაიჩურ-შელა ხმის კანკალითა.

— შვიდი თვე გავიდა.

თითქოს მიახვედრა ვაჟმა, ალბათ მიახვედრა:

— ვერავის გადააწყდი?

თითქოს შეიძრალაო ქალმა, თითქოს დასცინაო უფრთ  
თავის თავსა, ტუჩები წამობურცა, შემბრალთისადაცა, დაცინ-  
ვისადა. ის ტუჩები მოსწონდა ვაჟსა, იმ ტუჩებს აპყვა, როცა  
აპყვა, კიდევაც მოპევრიდა სითბოსა ის ტუჩები, თუმცა ისე  
აღარაო, რა ვუყოთ მერე, მაინც მოპევრიდა, მაინც მოალ-  
ბობდა, სინაწელამდის მაინც მიატანდა.

— ვერავისა...

მიუგო ვაჟმა.

ქალს აღარ უთქვამს, თითქოს აღარცა სუნთქვავდაო, თით-  
ქოს გაქვავდაო, ვაჟი მიხვდა, უნდა წასულიყო, ან ვითომ რა-  
ლა მიხვედრა უნდოდა? უჯობდა წელანვე წასულიყო, ამდ-  
გარიყო და წასულიყო, არ შეპყოლოდა სიტყვა-პასუხში,  
უჯობდა სულაც არ დაბრუნებულიყო, მაგრამ ის სხვა გახლ-  
და, იმას ვერ გაუძლო, ახლა სხვა იყო, უნდა წასულიყო, ახ-  
ლავე, ამწუთში, წასულიყო სამუდამოდა, ანთუ ვინ უწყის  
რამდენი ხნითა, თუნდაც ისევე შვიდი თვითაო, მანამდის  
ვინ იცის რა მომხდარიყო, — გარეთ არათ, გარეთ ისედაც  
ბევრი რამ ხდებოდა, ამას არაფერი შეეხებოდა, არ ეკარე-  
ბოდა ოდნავადაცა, ოდონდ და რაო, ეგება მომხდარიყო ისე-  
თი რამეცა, ესეც შეერყია, ერთბაშად თუ არა თანდათანო-  
ბით მაინცა, შეერყია და შემოებრუნებინა, შემოებრუნებინა  
და გამოერთმია ბეჭედი, გამოერთმია და გაეყიდა, გაეყიდა  
და გამოწყობილიყო საქორწილოდა, არცთუ დაბრკოლება-  
ნი გახსენებოდა, ანთუ გამქრალიყო დაბრკოლებანი, — ეგება  
მომხდარიყო ასეთი რამეცა; მოხდებოდა თუ არ მოხდებოდა,  
ახლა მაინც უნდა წასულიყო. და ადგა ვაჟი. შეირჩა ქალი  
გაქვავებული, შეირჩა და ისევ გაქვავდა, ოდონდ თვალები  
ისე დაურჩა, თითქოს კიდევ პასუხსა სთხოვდა, თითქოს საბო-

ლოოდ ეთხოვებოდა, თითქოს არც უნდოდა გაეშვა, ანუ კარგ  
ყოლოდა თანა. ვედარცო დაიძრა ვაჟი, ფეხი თუ გატბზანდა  
დაიხედა უნებლიერდა, ვერც რა შეამჩნია, უხილავად თუ გაბ-  
ლანდოდა.

— მაშ რას აპირებ?

ქალმა თქვათ თუ ვიღაცამა თქვა იმის მაგივრადა —

— არ ვიცი...

მიუგო ვაჟმა.

— არა?

— ნწ, არა..

— რაღაცა პო უნდა განგეზრახოს, რაღაცა უნდა გსურდეს?

— რა ვი..

— მოგწონს ასე?

— ნწ, არა!

— მაშ რა უწდა ჰქენა?

იმავე კითხვას უბრუნდება სხვადასხვანაირადა, ალბათ  
ვიღაცათ, რამეთუ ქალი არ არხევდა ბაგეთა, არცო თვალებს  
ახამხამებდა, მისმერებოდა გაოგნებული.

— აბა რა ვი, რთი.. — ჯერ ასეთწაირად ამოილულლუდა  
ვაჟმა, მერე მიაყარა უჩვეულოდა, — არც ასე მომწონს, არც  
ის ვიცი თუ უმჯობესი როგორი იქნება, თუ რამეს ვეწევი,  
არ გამეგება ამისიც არაფერი, არც სხვა არაფერი გამეგება  
და ტყუილადაც ჩამციებიხარ; რო არ უნდა მოვსულიყავი,  
ამდენს მივმხვდარგარ, რო აღარ შემეძლო, გამოგიტყდი, რო  
უნდა წავიდე, ესეც ვიცი, მოვპრუნდები თუ არა კიდევა, ამი-  
სას მაინც ვეღარას გეტყვი. ეგება მოვპრუნდე, ხვალვე მოვ-  
პრუნდე, არ გავიკვირდეს, ცუდია თუ კარგი, არ გამეგება  
და ნურც ამისსწი ცუდი არისო, ვეღარ მოვერევი მაინც ჩემს  
თავსა, რაღაცამ დამიტანა, რაღაცამ დამჯაბნა, იმის ხელთა  
გარ, სადთუ მიმაგდებს, ნება მისია, აღარაფერია ჩემი კი-  
თხული.

— მეცოდები..

თითქოს შორით გაისმა ესეცა.

— არა, რადათ, ალბათ ვიღაცაც უნდა იყოს ამნაირადა,  
ხოლო ვიღაცაც თუ უნდა იყოს, მე ვიყო, თუნდა მე ვიყო  
მხოლოდლა, სხვა პო უარესადაც იქნება და მეც რო ვიყო



უარესადა, ეგეო არაფერი, მე ვიქნები თუ სხვა იქნება და მარტინ ბელენაა?..

— ბოლავ?!

ეს ქალმა იკითხა ნამდვილადა, სახეს გადაჰკრა შიშის ცერმაცა.

— არა!.. სიტყვა თუ ამებურდა.. რად გვინდა... მოდი..

— არა!

ისევ გაქვავდა ქალი.

— მოდი და წავალ...

თითქოს დაიგმინაო ვაჟმა, იქავე იყო და ბლანდი არ უშვებდა, რაღაც არ უშვებდა, ვერ წაეწია ოდნავადაცა, არც ის იძვროდა ოდნავადაცა, ოდონდ ტიროდა, არცოთ ტიროდა, თითქოს წყალითუ გადაასხეს ქვასაო, დიოდა ცრემლი, ანთუ წვეთები, ეგრე დიოდა. იდგა ვაჟი და ყურს მიუგდებდა თუ როგორა ტიროდა ქალი, ანთუ განა ქალი ტიროდა, — არაო, არა, ვიღაც სხვა ტიროდა, ეს თითქოს ქვააო და ქვასა რეცხავენო, მეტი არაფერი. პოო და პო თითქოს ქვააო და სიტყვაც იმისი არ იქნებოდა ბოლოს რო გაისმა:

— წადი თუ მიდიხარ!

— წავალ....

მიუგო ვაჟმა და შეეხსნა ბლანდიცა.

ქალიც შეირხა, განიბანა ცრემლითა და შეირხა.

განიბანა და მორჩა, მოთავდა ყველაფერი, უცხონი გახდენენ, იქავე იყვნენ, მაინც დაშორდნენ ერთმანეთსა, გაცივდა გული, ქალისას ვამბობ, გაცივდა, გაიყინა, აღარ აძვერდებოდა ამისათვისა, კიდევ თუ ეტყოდა, თუ მიმართავდა, მიმართავდა, ვითარცა შორეულსა.

— მამაჩემიც აღარ გინახავს?

მშრალად იკითხა ქალმა.

— აღარა...

მშრალადვე მიუგო ვაჟმა.

— გამოხვალ?

ისევე იკითხა ქალმა.

— გამოვალ...

ისევე მიუგო ვაჟმა.

მერე ქალი სარკეს მიექცა, მიექცა და რო გამობრუნდა,



გამოცვლილიყო რაღა თქმა უნდა, გამოცოცხლებულიყო ჭია-  
ნახლებულიყო, თითქოს ცქრიალა გოგონააო, გამშატებული  
სალალობოდა, ასაფრენად გამშატებულიო, თღონდ ეს იერი  
თხლად გადავლებოდა, შეტად თხლადა, სიფრიფანადა, სევდა  
თუ წუხილი ტალღა-ტალღად გადადიოდა, გადავლებოდა  
თვალებზე, შუბლზე, ხელებზედაც, უცახცახებდა თხელი ხე-  
ლები, აღრეულიყო განცდაი ორი, განგებ მოგვრილი უზ-  
რუნველობა და მოურეველი სანაღვლებელი. ამას კიდევ  
სხვაც ემატებოდა: შუაოთახი უნდა გაევლოთ და წინაში გა-  
სულიივნენ, თუმცა აქედან შემოვიდნენ, წინა დაერქმიათ  
იქითასათვისა, თღონდ თუ რათ, — რა დაერქმიათ თუ როგორ  
დაერქმიათ, გინ გახლდნენ თუ რა დამართნოდათ, თანდათან  
ისედაც წათელი იქნება, წინასწარ ისაა მხოლოდ ასახსნელი,  
შუაოთახის ნაპევარი გარგახანია რო დაეკარგათ, მეზობ-  
ლებს ეძალავთ და წაერთმიათ, ეს კარგახანია, ბოლოს მთლი-  
ანადაც მოენდომებინათ, ჩამოენგრიათ თავიანთივე კედე-  
ლი, ბარემდა გარებს ამოვაშენებთ აქეთაცაო და იქითაცაო,  
გზას შევუკრავთო, პსე გამოდის, ანთუ ვინ უწყის რა განეშ-  
რახათ, თღონდ ჯერ მაინც ვერ მიეტანათ ბოლომდისა, ეს  
ადგგომოდა, ეს ქალი ცხადია, მიემართა სადაც თუ ჯერ არს,  
ხალხი ჩაერია, ჯერ კიდევ გაეტანა თავისი, ანთუ ვითომ რა  
გაეტანა, — ძარღვები აშლოდა, ეავადმყოფა, მაინც როდი  
აეტანათ კედელი. და შიშობდა გართან მიმდგარი, კიდევ  
არაფერი დამემართოსო, ანთუ უარესი არ ჩაედინოთო, ში-  
შობდა, ცახცახებდა, ვერადავერ გამოელო კარი, ვერ გამო-  
ელო და იდგა უმწეოდა: არცთუ ეს გაეგო ვაჟსა, იმდენსდა  
მიხვდა, იქ რაღაცაა საშინელით, და მიიჰრა კართანა, ჩაბ-  
ღუჯა სახელური, ჩაბღუჯა და გამოსწია, გამოსწია და გა-  
მოგლიჯა რისხვიანადა, გაითუ ვინმე დაპხვედროდა იქა,  
ვაი იმის დედის დმერთსაო.

მოღავებულიყო კედლის ნანგრევი, სხვა არაფერიო, სხვა  
არავინაო...

„...და თავი და თმანი მისნი სპეტაკ, ვითარცა მატყლი სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და თვალი მისნი, ვითარცა ალი ცეცხლისაი. ...და ხმაი მისი, ვითარცა ხმაი წყალთა მრავალთაი.“

იქვე ესეცაა ნათქვამი: და ფერხნი მისნი მსგავს იყვნეს რვალსა გუნდრუქსა, ვითარცა ცეცხლსა შინა გამოხურვებულნიო, მაგრამ გამოვტოვე, რადგან ეს აღარ შეეფერებოდა იმ კაცსა, იქით ვინც დახვდათ, წინაოთახშია, — სწორედ ფეხები არ უვარეოდა, დასიებოდა, გაფურებოდა, ფეხების ტკილს დაება შინა. თუ მიჩობიალდებოდა საწოლიდან მაგიდამდისა, ორიოდ ნაბიჯესაც თუ გადაადგამდა, უნდა აეტანა წამებაი საშინელი, ალბათ შესაძარი გოლგოთისაი.

და მაშინ უკვე გადაეტანა წამებაი იყი, მაგიდას უჯდა, ვეება მაგიდასა, ვეება რუკაც ეფინა ზედა, — კედლებსაც ეფინა რუკები უამრავი, მოხატულობაც ეს გახლდა კედლებისა, — წიგნებიც მოეფინა, აეკოკოლავებინა აქეთ-იქითაცა.

წიგნები მხოლოდ ისტორიანი გახლდა, რაცთუ საქართველოს შეეხებოდა თუნდაც რამოდენიმე სტრიქონითა, მოკიდებული პერიდოტედანა.

პო კედლებსაც ეკიდა რუკებიო.

ოღონდ ის ნამდვილი რუკები გახლდა, ნამდვილი ანუ დასტამბული.

მაგიდაში სხვაგვარი რუკები გაეშალა, საკუთარი რუკები, მოხაზული საკუთარი ხელითა: ერთი წინარეისტორიული საქართველოსი, ერთი ანტიკური საქართველოსი, ერთიცა თამარის საქართველოსი. წიგნებიც პო ზედ ეყარა, ეხროვა თუ დაშლილიყოთ ფურცელ-ფურცელა, ურნალებიც ეგრევე, გაზეთებიცა, ამონაწერებიცა, მოფენილიყოთ თუ ქექავდა ყოველივე ამასა, ჩხრეკდა, ამოწმებდა, განსჯიდა თუ გაიაზრებდა საგულდაგულოდა და მერე გადაპქონდა რუკებშედა, ფერებად გადაპქონდა. ფერადი ფანქრებიც მრავლად მობნებულიყო, წამახულები, წვერმოტეხილები, ნათალიც ეგროვა, ნათალი ფანქრებისა, მაგიდის კუნჭულში, იატაკზედაც წაფრქვეულიყო, — ვაჟი რო წავიდა შვიდი თვის წინათა, ასე

დაახსომდა, ასევე დაწვდა, თითქოს არაფერი მომხსდარიყოს  
ამის გარშემოო, თითქოს კედელი არც ჩაეგრია და მომდევნობის მომდევნობის მომდევნობის წართმევა მოენდომებინოთ მეზობლებსათ, თითქოს მანამდისაც არ წაეგლიჯათ აქეთა თუ იქითაო, თითქოს არც გაეგო, ანთუ არაფრად ენაღვლებოდათ, ანთუ რა იყო ოთა-  
ხიო, ან დერეფნები თუ აივანი ვითომ რა იყოთ, წიგნებში როცა გაფაციცებულიყო, დაკარგულ მიწებს როცა დაეძებ-  
და გამალებითა, დაეძებდა და პპოებდა მატიანებსა თუ ქრონიკებში, თიხის ფირფიტებსა თუ მეცნიერთა ვარაუდებ-  
ში, პპოებდა და უმატებდა რუკებსა, გოჯი-გოჯ უმატებდა წინარეისტორიულსა, ანტიკურსა თუ თამარის რუკებსა, უმა-  
ტებდა და თრთოდა, უმატებდა და ხარობდა, ჰყულთეინებდა თუ გაბრუვდებოდა, გაითანგებოდა, მიეცემოდა თვლემასა ნეტარისა. ეგება თრობასათ, ეგებათ, ვინ უწყის უფრო თრო-  
ბა თუ მიესადაგებოდეს ამგვარ განცდასა, — ანთუ რაც უნდა მიესადაგებოდეს, ერთი რამ ცხადია, გადაიკარგებოდა ამა სოფლიდანა, წავიდოდა, წავიდოდა, წაიფლობოდა, წაურ-  
ყუმელდებოდა, გადაიკარგებოდა ერთისიტყვითა. აღარ უნ-  
დოდა მაშინ აღარაფერი, აღარცა საშმელიო, აღარცა სას-  
მელიო, აღარაფერიო, აღარაფერიო, დაე შემოსეოდნენ თთ-  
ხივ კუთხითა, შემოსეოდნენ და პო წაელოთ, პო გადაემ-  
კედლათ დერეფნები, აბაზანაც პო წაერთმიათ, სამზარეულოც წაერთმიათ, საწოლიცა, გადაეტიხრათ საპირფარეშოცა, კი-  
დევაც წარეტაცათ ის შუათახიცა, წარეტაცა ვისაც ენება,  
რომელ გადამთიელსაც მოესურვებინა, წაედო, წარეტაცა,  
ოღონდ შერჩენოდა თრობაი იგი, თრობაი დიდებითა, წარ-  
სულის დიდებითა.

ეს უცებ გაუწნდა, უცებ დაეტაკა თრობაი თუ განცდაი ამგვარი.

დაეტაკა და დაიმორჩილა.

ესეც დანებდა სიხარულითა, მუხლმა რო უმუხთლა, შინ გამოიკეტა, მაშინდა დანებდა.

მანამდე სხვა იყო, წარსულიც სხვა გახლდა ამისათვისა, მომავალიცა, სულ სხვა რამ გახლდა, ანუ არ იყო არცა ერ-  
თი, არცთუ მეორე, იყო თდენ დღე-დღევანდელი, იყო  
თვეი და სელფასის გაწვდენაი თვემდისა, ამიტომაც

და ესწავლა ისტორიაი სხვისი: ცრუ დიმიტრი თუ მღვდელი გაპონი, დაესწავლა, გაეზუთხა და აზუთხებდა მოწაფეებსა და სოლო როცათუ ეს არა კმაროდა, უკეთუ ამითი რო ვეღარ გასწვდებოდა თვიდან თვემდისა, ათეიზმის ლექციებსაც კითხულობდა დაწესებულებებშია და მღეროდა სიონის გუნდმიცა, მღეროდა ფარდასმოფარებული კვირაობითა, შობაახალწელიწადსაცა, აღდგომასაცა მღეროდა თავგამოდებითა, მეტი ფული გამოდიოდა, თავგამოდებაც იმის გახდდა, თორემ ისე, რა მოგახსენო, ათეისტიც ისეთივე ბრძანდებოდა, როგორიც თეისტი, ანუ ოჯახი გაჰყავდა თვიდან თვემდისა, ერთითაცა და მეორითაცა, გაჰყავდა ჯახირითა, დავიდარაბითა. რას გამოადგებოდა თრთბაი მაშანა, თრთბაი დიდებითა, წარსული დიდებითა?! თდენ სიფხიზლით თუ გაიტანდა თავსა და ფხიზლობდა ესეცა, ფხიზლობდა და ფხიზლობდა ცრუ დიმიტრითა, გაპონითა, სვიატოსლავითა, სხვათა მსგავსითა თუ მინამგვანითა, მაშინ თამარი ჯერკიდევ მეუედ ითვლებოდა საქართველოსი, ჯერ არ დაერქმიათ „ერთა მეგობრობის წარსული ფურცელი“, არც გამოადგებოდა რაღა თქმა უნდა, აღარც ახსოვდა, კიდევაც დავძენ, რაღა თქმა უნდამეთქი. პო ეს მაშინათ, ხოლო თუ მერე თუ რამ სხვა მოხდა, თუ რამ შეიცვალა, შეიცვალა თუ არ შეიცვალა, ამას არ შეჩნა ბევრი არაფერი, თვინიერ ერთი ასულისა, იმა ასულისა, ჭაბუქს რო შემოჰყვა გამონგრეული თთახიდანა, — სხვა არცვინ შემორჩა, ჯანიც აღარ შემორჩა, აღარც გამოადგა ცრუ დიმიტრიო თუ გაპონიო, აღარც ათეიზმის ლექციებიო, აღარცა გუნდი სიონის ტაძრისა, გარეთ ფეხი ვეღარ გაადგა და რუკებს მოეჭიდა, რუკებსა მველსა, თამარისაო და ბევრად მველსა. წყალწალებული ხავსს მოეჭიდაო, ასე გამოდის, რაც უნდა იყოს ნეტარებდა, ნეტარებდა გარდასულითა, გარდასული სიდადითა, ნეტარებდა და სიმარტოვეს აღარ განიცდიდა, უფუჩდებოდა ტკივილიცა, სიკვდილის შიშიც უფუჩდებოდა, ან შიში რაღა მოსატანია, — ასეთ წუთებში მეუფე ვახლდა, იყო განმგებელი საყოველთაო, მღვიმეებიდან გამოჰყავდა მრავალი ტომი, შეადუდებდა, ერად გარდაპქნიდა, ძლევამოსილ ერადა, ცეცხლის დანთებას ასწავლიდა, რკინის დამუშავებას ასწავლიდა, სა-



ხელს გაუთქვამდა პურითა და ღვინითა, სიკეთეს უმომღვდელობა  
და, სიკეთესა ყოველთა ამა ქვეყანასა ზედა, უმომღვრებლა  
პირველი ქართველი, პირველი აღმომჩენი სიკეთისა, პირ-  
ველი მოციქული, უშერველი, უზოგველი, თავგადადებული,  
გადაღეული ყველაზედა. მერე ის ყველამ თუ გაიმეტა, რა  
ვუყოთ მერეო, კალთდ თუ დაიდეს და ლეწეს და ლეწეს,  
რა ვუყოთ მერეო, მაინც სიკეთე უდიდესი ღირსება ყოფი-  
ლა, უაღრესი ჯილდო ყოფილა შემოქმედისა, ეს ჯილდო  
ყველას არ მინიჭებია, ყველას არ შესძლებია აღვსება სი-  
კეთითა. ზოგს მტაცებლობა მინიჭებია, უკეთუ მეტად იოლი  
ყოფილა, თვითონ მისტანებია მტაცებლობასა, ბევრიც მის-  
ტანებია და ბევრის გაძლებაც უნდა გვქონოდათ. გამდლეს  
გაუძლია, სიკეთეს გაუძლია, მტაცებელი გარდაგებულათ, —  
ასეთ წუთებში მეუფე გახლდა, განმგებელი გახლდა საყო-  
ველთაოი, განიცდიდა და ამბობდა კიდეცა, ამბობდა ისე  
მარტოდმარტო, გამოკეტილი, ამბობდა და ტებებოდა თვი-  
თონვე თავისი ნაამბითა.

ყოველთვის მარტო არც იქნებოდა რაღა თქმა უნდა.

ვინმეც ეწვეოდა თუ შეუსწრებდა.

ის ისე განაგრძობდა, ვითომც მანამდეც არ მოჰკლებია  
მსმენელიო.

თუ შეუსწრებდა, ისევ თავისი ასულით — ელისო შეუს-  
წრებდა, მიპხედავდა, მიეპატრონებოდა, ხან ვინმეც შეჲკვე-  
ბოდა, თუნდაც ეს ჭაბუკი — ლენტიო, — და ამისათვის სულ-  
ერთი გახლდა თუ ვინ იყო ჭაბუკი იგი, რად მოპყოლოდა,  
რა უნდოდა, დარჩებოდა თუ მალე წავიდოდა, მოუსმენდა  
გულმოდებინედა თუ მიაჩერდებოდა გულგარეშე, ცარიელი  
თვალებითა, სულერთი გახლდა, არად წააგდებდა, თავისას  
განაგრძობდა წამოგზნებული, წამონთებული, ვითარცა ქუ-  
რუმი წარმართთა შორისა. და ეკების მართლაც წარმართდა  
თქმულიყო ჭაბუკი იგი, უშეალობითა, მიამიტობითა, დამ-  
ჯერებლობითა, ამტანობითა, თუ გაჯიქდებოდა, გაჯიქები-  
თა, ყოველშემთხვევაში ქრისტიანობისა ვერა გაეგო, სხვა  
ცივილიზაციისაც ვერა გაეგო, ვთქვათ ინტერნაციონალიზ-  
მისა თუ სხვათა მინამგვანთა, ვერა გაეგო, ან არ მიიკარებ-  
და, ყველაფერი თავისთვის იყო, ეს თავისთვისა, ანთუ მომ-



ხიბლაობა დაპკარგოდა ყოველივესა, ვითარცა ლოზუნებებს და ალექსანდრე მარიამის სახე, წამოფხრეწილთა ქარისაგანა. შემდებრები ამიტომაც გაოცებულიყო პირველყოფილი გაოცებითა, მცირედს წარეტაცა, მითუფრო წარეტაცა დიადსა, ნამდვილ დიადსა, არათუ შერქმეულსა რაღა თქმა უნდა, — შერქმეულს ვერას იგუებდა უშეალობაი, ვერ იგუებდა, ბუნებრიობა ვერ იგუებდა უბუნებოსა, თავისთავადაც ვერ იგუებდა, გარეშე აზრისა, გარეშე ცოდნისა, წაგონებისა თუ ამგარების გარეშე; ერთისიტყვითა, გაოცდებოდა მცირედითაცაო, მითუფრო გაოცდა აღმოჩენითა სამშობლოისა. სკოლაში ამას ვერ აღმოაჩენდა, ცუდად რო სწავლობდა თუ არცა სწავლობდა, განათუ იმიტომა, — არაო, კარგადაც ესწავლა, ვერ აღმოაჩენდა, მაშინ უფრო ვერ აღმოაჩენდა, აღარ აზეპირებდნენ „სამშობლოს ხევსურისა“, აღარ აუხსნიდნენ „მგზავრის წერილებსა“, „ელგუჯას“ უკუღმა განუმარტავდნენ, ყველაფერს უკუღმა განუმარტავდნენ, ვერ აღმოაჩენდა, ვერას გაიგებდა, წაღმისა ვერ გაეგო, ვერას წასწვდებოდა უკუღმა ნათქვამისასა. და აკი არც თუ რა გაუგია, ისე იტრიალა, იბორიალა, ისე აწყდებოდა ღობე-ყორესა, ისე მოიტანა აქნობამდისა, — მიქელ ბარდაველამდის ისე მოატანა, მოატანა და ერთხანს აქაც ვერ აართვა აზრი თუ რას ამბობდა ეს ფერმქრთალი მოხუცი, თუ რა აღაგზნებდა ისე უეცრადა, სახეს რა აუნთებდა თუ გაუჩირაღდნებდა, რა წაუქრობდა აერეთვე უეცრადა, გადატეტყავდა, გადააფითრებდა? ვერ აართვა აზრი და ვერც გაექცა; ითქმის ელისო იპყრობდაო, მაგრამ არაო, — აქ პო მერე შემოდიოდა, დაპყრობის შემდეგა, დაპყრობისათ თუ რაღაც ამგვარისა, შემოდიოდა წასვლას რო იყო, მიდიოდა და ვერც მიდიოდა. მაინც პო წავიდა!.. შვიდი თვე გასულიყო მას შემდეგა, სიტყვაც მონატრებოდა, — იმ ნატრულობისა პო უკვე ითქვა, — მიქელის სიტყვაც მონატრებოდა, სიტყვაი იგი თბილი, მომხიბლავი, მომჯადობი, გადამკარგავი დღესდღეობიდანა, სწორებაც ესაო, ეს მონატრებოდა, გადაკარგულიყო დღესდღეობიდანა, ეგება იმიტომა, კარგი დღე არ ადგა, ანთუ თავი ვერ გაეტანა, ვერ მორეოდა მრავალ საძნელოსა, უკეთუ სირთულესა, უცნაურობასა მრავალსა, უფროდაუფრო რო

რთულდებოდა, უცნაურდებოდა უფროდაუფრო, ვერ მორწევა  
ოდა, ეწვენებოდა, ვერც მოერეოდა, ეწვენებოდა თუადაკერძებოდა  
ბულიყო, ვერც მოერეოდა, და გადაკარგვა ერჩივნა ამი-  
ტომაცა, ფიქრში გადაკარგვა ერჩივნა-

ფიქრი მხოლოდ აქ უხერხდებოდა.

სხვაგან ვერადავერ დაიდო ფიქრი.

პირდაღებული მიაჩერდებოდა მიქელსა, ანთუ ჯერ ისე,  
ჩვეულებრივ მიაჩერდებოდა, მერედამერედა დააღებდა პირ-  
სა.

მიაჩერდებოდა და მიადევნებდა ფიქრსა.

ოღონდ ესაა, ბუნდოვანი გახლდა ფიქრი იგი, ფიქრი  
ლენტოსი, აბურდეული, დაულაგებელი, აზრი აზრამდის ვერ  
დაეტანა, საცოდნელი საცოდნელამდისა, არმაზ-სამთავრო-  
სა, თრიალეთისა თუ ვანის მონაპოვარი არეოდა ერთმანეთ-  
შია, ჰომეროსისა და ქსენოფონტესეულიც არეოდა ერთმა-  
ნეთშია, ოღონდ დიდად არ დაგიდევდა არცა მთქმელიო,  
არც გამგონეო, მთქმელი ბრუვედებოდა თავისთვისა, გამგონე  
თავისთვისა, მაინც ძაფი გაიძმებოდა, ძაფი განცდისა, გაღ-  
ვივდებოდა, გაფუვდებოდა, ავიდოდა, აღიმართებოდა სვეტი-  
ცხოვლადა, რწმენადა, აღიმართებოდა და საცოდნელიც სხვა  
რა ყოფილიყო, — აღმართულიყო გაუნელებელ რწმენადა.  
სწორედაც ასეაო, მიქელი ბრძანებდა, საცოდნელი ყოფილა  
საფუძველი რწმენისა, საცოდნელს ამიტომაც გამოგიცვლი-  
ანო, საფუძველი რო გამოგაცალონო, ბრძანებდა მიქელი,  
უკეთუ მთქმელი ასე იტყოდა, გამგონე მაინც ვერ გაუგებდა,  
ვერას ჩასწვდებთდა, არც მიეტანებოდა საგულისგულოდა, —  
რწმენას ჰო ჰპოებდა, ჰო აღივსებოდა, გადიკარგებოდა გა-  
დასაკარგავში, მეტიც აღარა უნდოდა რაო; ხოლო ამასო-  
ბაში, მტკერსასრუტს თუ ახრიალებდა ელისოი, — ეხრიალე-  
ბინა, თეთრეულს თუ სცვლიდა, — გამოეცვალა, თუ აკუნჭე-  
ლავებდა მიქელის მავიდასა, პატარა სუფრის გასაშლელა-  
და, — შეუკუნჭებდინა, ხელს არ შეუშლიდა არცა მთქმელ-  
საო, არცა გამგონესაო, იმ ერთ გამგონესაო, რადგან ელი-  
სო არ მოუსმენდა, ვინმე თუ ახლდა, არ მოუსმენდა, თუ  
არავინ ახლდა, — სხვა რა გზა ჰქონდა, ჩამოუჯდებოდა იქ-  
ვე, მახლობლადა, მოსმენის თავი მაინც არა ჰქონდა, შიში

შეიძყრობდა, დაიტანდა შიში, — მარტოდმარტოდაც პლ  
ასევე მთუბნობსო, ვინ უწყის რა ელის, რა უშველებას, უშველებელი მომართვა  
იტანდა ამისი შიში. აქეთ ეს ატენილი ლაპარაკი, იქით ის  
გამტკნარება თუ გაოგნება, ეს გადაჩეხვა ნაპირიდან ნაპი-  
რამდისა, ეკეთუ უნაპირობიდან უნაპირობამდისა, გარეს  
არას უქადდა. მკურნალებიც ვერას ამბობდნენ საიმედოსა  
თუ გარკვეულსა, მხოლოდ ესაა, უნიშნავდნენ უახლეს წამ-  
ლებსა და იმედოვნებდნენ. იმედოვნებაც უახლესად ითქმო-  
და ცხადია, უძველესი გახლდა, უახლესიც გამოდიოდა, უძ-  
ველესი და უებრო, უებრო და ამათ ძველადაცა და ახლა-  
ცა, — იცოდა ელისომა, ვერ დამშვიდდებოდა იმედოვნები-  
თა, და პვლავაც მოჰყავდა, ვისაც თუ ურჩევდნენ, — მრა-  
გალტიტულიანი, მრავალჯილდოიანი პროფესორები, ნამ-  
დვილი წევრები თუ წევრკორესპონდენტები, — მოქავდა და  
უსხდნენ, უსხდნენ და ამისი არ იყოს, ლენტოსი არ იყოს,  
შეჰქონიერებდნენ ისინიცა პირდაღებულნი, რებსა ლაპარა-  
კობს ეს კარგამოკეტილი კაცით, — თუ ლაპარაკობდა რაღა  
თქმა უნდა, ხოლო ვათანგულს თუ შეუსწრებდნენ, თავს  
არაცრაცებდნენ და იმედოვნებდნენ, რა ხნისაათ, ამასაც იკი-  
თხავდნენ და იმედოვნებდნენ, ვითომ უფრო იმედოვნებდ-  
ნენ. თავშექავება შეეძლო ელისოსა, მიაჩეხებდა გასამრჯვე-  
ლოსა და მიაცილებდა კარამდისა. მერე სხვა ვინმეს წა-  
მოუძღვებოდა, მერე ისევ მიაცილებდა, ოთახში რჩებოდა  
სიტყვები უამრავი, იმედოვნებისა, ეფინებოდა, როგორცა  
მტკერი, და სწმენდდა ელისოცა, როგორცა მტკერსა.

მიქელს სახსრების მკურნალები ეგონენ, დაინახავდა და  
დაიკარწიახებდა ფეხებსა.

მუხლებსაც უსინჯავდნენ რაღა თქმა უნდა.

თვალებშიც ჩაპყურებდნენ, ჩასციებოდნენ, თვალებს  
უსინჯავდნენ მომეტებულადა.

ეკითხებოდნენ და ეკითხებოდნენ, ისეთ რამეს ეკითხე-  
ბოდნენ, ფეხებს რო არ შეეხებოდა, უფრო ჭიშას რო შე-  
ეხებოდა.

მიქელი მაინც ტლოკებს მიუშერდა, დაბერილ, დაბურ-  
ცელ, დაფუებულ ფეხებსა, შესჩიოდა, ვეღარ ვერევით-

ხან არას შესჩიოდა, არც გაეგებოდა თუ რას ეკითხებოდ-




ნენ, თავისას ამბობდა თუ ამოიძახოდა სადღაც წაჭარბულები თუ თავდავიწყებული.

თავიანთსას ამბობდნენ მკურნალებიცა, ერთს მაინც რა-  
ლაცა წამოსცდა, თითქოს გარკვეული, შედარებითა რადა  
თქმა უნდა, უკიდურესობანი რომა გვეონიათ, ასე წამოსც-  
და, ეგება მხოლოდ სხვადასხვანაირი გამოხატულებაა ერთი-  
დაიგივე თავდავიწყებისათ, და თუ გამოვიხსნით ამისაგა-  
ნათ — თავდავიწყებისგან თუ გამოვიხსნით, ეგება მყისვე  
გაჯანსალდესო. ელისოც ჩაეჭიდა ამა ნათქვამსა, უაზროსათ  
თუ აზრიანსათ, ამას ნუ იკითხავ, საკითხავი მხოლოდ ისაა,  
თუ რად უნდა ამოეგდო კაცი თავდავიწყების საბუდარიდანა,  
რად უნდა წაერთმია წუთი ბედნიერებისა, რა ვუყოთ თუ  
მოწვენებითი ბედნიერებისათ, რა ვუყოთ მერეო, მართალი  
ბედნიერება სად გაგონილათ.

სად გაგონილათ...

ელისოც ჩაეჭიდათ....

ვერც ისე დიდხანს ვეღარ ჩაეჭიდა, რო გაიტანჯა მიქელი,  
რო გამწარდა მიქელი ტკივილებისაგანა, შინაური ექიმი რო  
ურჩიეს ელისოსა, აპყვა შინაურსა, ძველ წამლობას აპყვა,  
აპყვა და უშველა, უშველა ძველმა, ნაცადმა, შინაურმა, ცო-  
ტა უშველა მიქელსა და ეგება რო მათლაც ეშველა, ეშველა  
მეტი, ცოტაზე მეტი, ეგება რო სულაც გამოვეანსალდებინა,  
მაგრამ ვინათ, ვინ დაგაცდიდა სიკეთესათ, იკითხავენ შეძ-  
რწუნებულნი. და რო იკითხავენ, ის გაგახსენდება, ბევრი  
სხვაცა და ისიცა, ისიცა, რო დაგმობილიყო წამლობაი ში-  
ნაურული ანუ ძველი, ნაცადი, გამოცდილი დიდიხსნობითა  
და უებროი, დაგმობილიყო და იდევნებოდა, ისჯებოდა, მკაც-  
რად ისჯებოდა; ექიმბაშები რო დარქმეოდათ გამოცდილ  
ექიმებსა, ფარმაცევტებიც რო თვითონვე ბრძანდებოდნენ,  
თვითონვე რო აგროვებდნენ ჟვავილთა თუ ბალაზეულთა,  
თვითონვეც რო მოპყავდათ, რო შეზელვოდნენ მკურნალო-  
ბის ხელოვნებასა, ექიმბაშები რო დარქმეოდათ, რო იჭერ-  
დნენ თუ არ ეშვებოდნენ თავანთ ხელობასა, იჭერდნენ  
და პგარგავდნენ ციმბირსა და ციმბირს იქითა; გაგახსენდე-  
ბა, ანთუ ამოიკითხავდი საღმე მაინცა, ეგება რო არც დაი-  
ჯერო, ბევრ ისეთ რამესაც ამოიკითხავდი, მაგრამ დაიჯერე,



გიჯობს, დაიჯერო, ვინ იცის, ვინ უწყის რო გამეორდეს,  
და რო გამოიცნო, რო მიუხვდე წინასწარა, — გიჯობს კუთხით  
ჯობს. ერთისიტყვითა: ვინ დააცდიდათ და არც დააცადეს  
რაღა თქმა უნდა: დააპატიმრეს ექიმი იგი ანთუ ექიმბაში  
დააპატიმრეს. ერთხელ დააპატიმრეს. მეორედ დააპატიმრეს.  
შესამედ დააპატიმრეს, და მერე გადაპეარგეს, მესამედ გადა-  
პეარგეს. ერთხელ ეშველა. მეორედ ეშველა. მესამედ ვეღარა.  
პირველად რო ეშველა, მიქელიც ერთა მშველელთა შორი-  
სა, მერეცა, ოღონდა ის იყო, რაც იყო, ის პირველი რაღა  
თქმა უნდა, მერე მხოლოდ რო გამეორება გახლდა; რო  
წარსდგნენ ის მშველელნი სასამართლოს წინაშე და: ქვა  
ააგდეს და თავი შეუშვირეს: არც ვიცნობთ მავ კაცსა, თვა-  
ლიც არ მოგვიკრავს, გაგონებითაც არ გაგვიგონია მაგისი  
სახელით; არც მაგისი მალამთ ვიცითო ცხადია და რაღა  
თქმა უნდა, არც არაფერი მიგვიცაო, აგრეთვე ცხადია და  
რაღა თქმა უნდათ. სასამართლომ იცოდა, რო ტყუოდნენ.  
მიქელიცა ტყუოდა: ძლივს ფეხზე იდგა და ტყუოდა მაინცა,  
სკამი მიუდგეს და ტყუოდა მაინცა, უნდა გადაერჩინა და  
ტყუოდა, — გადაარჩინა კიდევაცა, ანთუ გადაარჩინეს, ანთუ  
ქრთამმა გადაარჩინა რაღა თქმა უნდა იმ ერთხელაცა, მე-  
ორედაცა, მესამედ ვეღარა, — რო აღარაფერი აღარ გააჩნდა,  
ვეღარც ვეღარავინ გადაარჩინა, — ტყუილმაც ვეღარ გადა-  
არჩინა, თუმცა რო ტყუოდნენ უღმერთოდა, მე შენ გეტყვი,  
რო ხატისა ეშინოდათ და ხატზე დააფიცებდნენ, — მე შენ  
გეტყვი. მიქელისაგან მაინც გასაკვირი გახლდა. და კიდევაც  
ეშინოდა მიქელისაი იმ საცოდავ მქურნალსა, მართლა მქურ-  
ნალსა, მართლა ექიმსა, რა ვუყოთ თუ ფარატინა ქაღალდი  
არა ჰქონდა, ექიმიაო, რო დაედასტურებინა, — ეშინოდა,  
ყველაფერს დაფეხვავსო. დაფეხვავდა კიდევაცა: ტყუილი  
სძულდა მიქელსა. ოღონდ რო იხმეს, ოღონდ რო წამოდგა,  
ანთუ რო მიეშველნენ და როგორც იქნა რო წამოაყენეს,  
ამასობაში რაღაც დაემართა, რაღამაც გაუელვა თავშია, გა-  
უელვა თუ ამოუბრუნდა ტვინი, ამოუბრუნდა თუ რაც იყო  
თუ როგორც რა იყო, ის წარმოუდგა ერთბაშადა, ისა, ისა  
თუ რა ცრუ ისტორიას ასწავლიდა სკოლაშია, თავიდან ბო-  
ლომდის ცრუსა და ყალბსა, — ასწავლიდა თუ ასწავლები-

ნებდნენ პო სულერთია?.. — თუ როგორ აბრიყვებნდა ბაჟშე-  
ვებსა და როგორა ბრიყვებოდა თვითონაცა ფასტდომასწორა-  
ბითა, ის წარმოუდგა, გაუელვა და წარმოუდგა, წარმოუდგა  
და ამოუბრუნდა ტვინი, ანთუ ჯერ ტვინი ამოუბრუნდა და  
მერე წარმოუდგა, ანთუ როგორც იყო თუ როგორც იქნა, ეს  
ტყუილიც გაუადვილდა: არც ვიცნობ, არც მინახავს, არც გა-  
მიგონიათ. დაპყრობას შეერთებად კუსხნიდი, ძარცვას —  
მეგობრულ ურთიერთობადათ, ეს ვითომ რა იყო იმასთან  
შედარებითათ, თვითონვე უკვირდა მიქელსა, თვითონაც ეკი-  
თხებოდა ელისოსა, ის რო ამბობდა, თვალები რო გაფარ-  
თოებოდა, ისედაც დიდი თვალები, გაფართოებოდა და ისე  
ამბობდა: როგორ მეშინოდა შენი და მაინც, მაინც როგორ  
იცრუეთ. ასე ვიცრუეთ. და აქებდა მოსამართლესაცა: ისე  
მიცექეროდა, რო ეჭვი არ შეეპარებოდა, ყველაფერი რო  
სკერთდა ჩემით, ისე მიცექეროდა და ისე უხაროდა, ასეთი  
მართალი ადამიანი რო ვიდექი მის წინაშეო. ასეც უნდათ,  
დიახ, დიახ, ასედაც უნდათ, ისე ვერ დაიხსნი ადამიანსა,  
ისეთი მკაცრია კანონი, ისეთი ულმობელია და გაუტანე-  
ლით, ისეთი ჯოჯონხეთურიათ. მადლობა ღმერთსათ, რო  
ქრთამი რო ჯოჯონხეთს ანათებსო. სხვას ვეღარაფერს ვეღარ  
გაუნათებია ჯოჯონხეთით, კიდევ კარგი რო ამას მაინც  
შემოუღწევიათ. „ღმერთო ჩემო!.. ვეღარა გცნობ მამაჩე-  
მო!.. — შესძახა ელისომა, — ხუმრობ?..“ „რა მახუმრებს?!.“  
ამთიძახა მიქელმა ისე იმგვარადა, რო არცა ხუმრობ-  
და, რო არც ეხერხებოდა ხუმრობაი.

ის ექიმი მაინც გადაუკარგეს, ვეღარც რო სხვები ვერა-  
სა შველოდნენ.

რაც არის არისო, ხელი წაიქნია მიქელმა, ვიდრე გავუძ-  
ლებ, პო გავუძლებო, რო ვეღარათ და ის იქნებათ.

ელისოსაც აღარ აცდიდნენ, ამაზე რო ეფიქრა, რამდენ-  
ჯერაც რო მიპრუნდებოდა მამასთანა, იმდენი კარი დაპხვ-  
დებოდა შემტვრეული, იმდენი კედელი შენგრეული, იმდე-  
ნი ტიხარი თუ ამონაშენი და ვეღარ გაეგო, საით თუ გავი-  
და, საიდანდა დაბრუნებულიყო. ნათქვამია და მწარე ნათ-  
ქვამია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შეესიენო, ეგრე შე-  
ესივნენ, შეესივნენ, და ეუფლებოდნენ თანდათანობითა, არც



ცოდო-ბრალით, არც სირცხვილით, ხეირობდნენ ადამიანზესუა  
აფაღმყოფობითა, დამშვიდებული ნამუსითა ხეირობდნენ? — შეი ისე  
ქელი რაღათ — გითომდა აქ არაფერიათ, ჟურსაც არ იძერტ-  
ფავდა, თვალის გახელაც არ უნდოდა, თუ გაახელდა, დახამ-  
სამება აღარ უნდოდა, საღერღელი თუ აეშლებოდა, პყვე-  
ბოდა და პყვებოდა, ფთქვათ ლაშქრობასა ათიათასიანელთა,  
პხატავდა და პხატავდა, ვთქვათ, უძველეს ქართულ აყვავე-  
ბულ ქალაქებსა, — უყვებოდა და უხატავდა თვით იმა შე-  
მოსულთაცა, სულერთი იყო ვის უყვებოდა. ისინი ქირქი-  
ლებდნენ, ქირქილებდნენ და იტაცებდნენ, ერთმანეთსაც  
ედავებოდნენ, არა, შენ მეტი მიიტაცე, არა, შენაო, მოუვ-  
ლიდნენ იმ სადაოსაცა, მოუვლიდნენ და ქირქილებდნენ,  
არად აგდებდნენ აღმფოთებასა ელისოსი, — საღითუ მიმარ-  
თავდა, იმათი საჩივარიც იქ დახვდებოდა, გათხოვილა და  
წასულათ, აქ რაღა უნდა, რა ესაქმებათ. შეპასუხება გაძნე-  
ლებულიყო, მითუფრთ რომ მიქელი თავისას არ იშლიდა,  
ქაქანებდა თუ ფიქრებში ჩაიკარგებოდა, ეძიებდა და ეძი-  
ებდა თუ რომელი იყო ქართული ლაშქარი ტროის მოალ-  
ყეთა შორისა, ტროის გმირთაგან რომლის ძარღვებში ქოთ-  
ქოთებდა ქართული სისხლი, ქართველები თუ რად იკლავ-  
დნენ თავსა ბერძნთა გულისთვისა, სპარსელთა გულისათვის  
რაღად იხოცებოდნენ, ქსერქსეს ლაშქარში რომელნიღა იყვ-  
ნენ ქართველნი, — ეძიებდა და ეძიებდა, ჰირსაც წაედო სამ-  
ზარეულო თუ აივანიო, საპირფარეშოც ჰირსაც წაედო, ოღ-  
ონდ მაგიდა შეენარჩუნებინათ, წიგნები, რუკები შეენარჩუ-  
ნებინათ, ის კედლები შეენარჩუნებინათ, რუკები რო ეკი-  
და, მაგრამ ვთქვათ აღარაო, ისიც რო აღარ შეენარჩუნები-  
ნათ?! ამდენის თავი აღარა პქონდა, რახან ჯერ მაგიდა არ  
დაეძრათ, არცა წიგნები, არცა რუკები, წინ გახელვა აღარც  
შეეძლო, ეძიებდა და ეძიებდა უუუძველესსა, უუუუძველეს-  
სა და საამაყოსა...

ეძიებდა და ეძიებდა, ქაქანებდა და ქაქანებდა.

არწმუნებდა და აზრი არა პქონდა დარწმუნებასა, რო  
არავის არაფერი ეკითხებოდა.

შვილი რა არის, შემოსწყრებოდა შვილიცა, რად არ აღ-  
შფოთდები, რას უთმობ და რას ეძიებო.

კიდევ ამასაც გაუბედავდა შვილი, — გისაცთუ აღმოსახული თება ადარ შეუძლიან, ანთუ ისე გაბრიყვებულა, ვეჭარ შემოსხვედარა თუ როდის აღშეოთდესო, აღარც არსებობს ამა ქვა- ფნადაო.

არცთუ შეეძაგებოდა მიქელი, არც დააშოშმინებდა,

შვილი თვითონვე უნდა მორეოდა თავსა.

იმ კვირას პო კაზიც მიაგდო, გეძარ მიაკითხა.

სხვა არც არავინ მიაკითხავდა.

და ვითომ ესეც არაფერიაო, შიმშილობაც შეეძლო მი- ქელსა, — წიგნებში მჯდარიყო, რუკებში მჯდარიყო, შიმ- შილობასაც გადაიტანდა, ველარც ძლომისას გაიგებდა ხოლ- მე, თუ მიართმევდნენ სამაძლოთსა რადა თქმა უნდა.

და ისევ ელისოს მიერთმია ცხადია, ვემრიელი კერძები შეერჩია, სიბრალულისადაცა, შეგვიანების გამოსყიდვისა- დაცა, ისეთი კერძები, მიქელი რო ეტანებოდა ოდესდაცა, პო ოდესდაცაო, თორემ კარგახანია აღარას დაგიდევდა, ერ- თნაირადა ნთქავდა ყველაფერსა. სტუმარს არ აცდიდა, არცა სთავაზობდა, წინანდლური მაინც გაახსენდა, ელისოსავე მიერთმია საახალწლოდა, ახლალ გაახსენდა, გაახსენდა და სვამდა სიამითა, ლეჟავდა სიამითა; სიამე იგი მადლობისად გამოხატულიყო, მადლობისად შეილისა, ვისი ხელისშემყუ- რეც გამხდარიყო, ვის ხელსაცა ლოცავდა, ახრამუნებდა და ლოცავდა, ლეჟავდა და ლოცავდა, კრუტუნებდა და ლოცავ- და, მოიკითხავდა შვილიშვილსა რაღა თქმა უნდა, სიძესა- ცა, მძახლებსაცა, მოიკითხავდა და იფშვნეტდა ხელებსა, ახალ კერძს რო გადასწვდომოდა. გადასწვდებოდა და ეგება იქვე დაპსვედროდა მეორე ხელიცა, — მეორეც პო უჯდა მა- გიდასა, ორივე რო ცალკეულს მოსჯდომოდა, ანთუ ორი- ვე რო ერთნაირად გადაპტაფროდა, ერთნაირადა ნთქავდა ორივე, გეონებოდა, შევიბრებულანო. ცეკერადა პლირდა.. და შესცეკეროდა ელისოცა, უცნაური თუ გაურკვეველი გან- ცდით შესცეკეროდა, — ვითარცა შორეულსა, ვითარცა ეკ- რანსა, რო აღარც ახსოვდა თუ რა კადრს გადაევლო ამის წინა. ალბათ აღარც იმათ ახსოვდათ, იმა მაღიან პურიმშამლებსა, ნთქავდნენ და შთანთქმულიყვნენ, აღარ ახსოვდათ რაღა თქმა უნდა. როცა იქნებოდა სულს მოითქვამდნენ, — და

ჯერ ლენტომ მოითქვა სული, ცოტა არ იყოს მუქარითა ლენტომ ტრაბახით გამოსთქვა:

— ავფიცრავ!.. — მადლიერების გრძნობაც მიატანა ცუკრაზ მისი თდნავა.

— ავფიცრავ?! — გაიკვირვა ელისომა, არც მოელოდა, აღარც არაფერი უნდოდა ამისი.

— ავფიცრავ!.. — ისევე გაიმეორა ლენტომა.

— ფიცარი?.. — თითქოს დაპრკოლებას ეძებდა ელისო.

— მოვიტან...

— საიდანა?

— ეგ მე ვიცო.

— არა!..—თითქოს შეაქრიალა ქალსა, შეაქრიალა და ისე ეურჩა, — არა! იყოს... ხელოსანს მოვმებნი.

— ავფიცრავმეთქი, — უფრო მკვეთრად გამოსთქვა ლენტომა, და ესეც მოადევნა ასევე მკვეთრადა, — და დედიმისის შვილი იქნება ვინც კიდევ მიაკარებს თითსა!..

მიქელი მაინც არ წაერეოდა, ჯერ ისედაც არას იკითხავდა კედელ-კუთხისასა, მითუფრო შემთვრალი, არც დაახანებდა, გადაეჭრებოდა ცდუნებულ მეფეებსა, ედავებოდა, მყაცრად განსჯიდა, აქედან ასწავლიდა თუ რა გზა აერჩიათ, რა სჯობდა თუ როგორა სჯობდა, ასწავლიდა და გადასძახოდა ზოგჯერ ისე მშექარედაცა, ფანჯრები ზრიალებდა, მაგრამ არაო, მაინც ვეღარას გააგონებდა აქედან იქა, დაყრუებულიყვნენ საუკუნენი, ცდუნებული ცდუნებულიყვნენ, მარცხიანი დამარცხებულიყვნენ... ვერ შერიგებოდა, ბობოქრობდა მიქელი, ლენტოს აქეზებდა, აიყოლიებდა, ანთუ ვერც ევრე ადვილად აიყოლიებდა.

#### IV

„ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ, არცა ტფილი. ჯერიყო, რაითამცა ანუ გრილი იყავ, ანუ ტფილი.“

ერთად გამოვიდნენ.

ერთი გზა არა ჰქონდათ.

ლენტო ნაძალადევისაკენ უნდა წასულიყო, ელისო — თრბელიანთა უბნისაკენა.

მაინც ერთად იარეს, იარეს უბრადა, ჩიხი თუ ქუჩა, მო-  
 ედანი, ორივე ხიდი გადაიარეს, მრუმეში ალანტუჭა: მეგლა-  
 საც გასცდნენ რაღა თქმა უნდა, კრინტი არ დაუმრავთ,  
 ქალს უნდოდა, მალე გასცლოდა.  
 ვაჟი ფეხს ითრევდა.  
 — თუ არ დაიშლი, — ისევ ქალმა თქვა, — აფიცვრისაც  
 გეუბნები... სულერთია, იმედი მაინც ნუ გექნება.  
 — არ მექნება.  
 — ბარემ დაიშალე!  
 — არ დავიშლი!..  
 — იმედი მაინც ნუ გექნებამეთქი.  
 — არ მექნებამეთქი.  
 — მაშ რაღა გინდა?!  
 — არაფერი!.. ვთქვი და...  
 — მამაჩემს ურც გაუგონია, არც უნდა, მეც უარს მოგახ-  
 სენებ.  
 — მე ვთქვი და...  
 — ისეთი რა თქვი?!  
 — რაცა!.. სიტყვას ვერ გავტეხავ.  
 — ვერც მე...  
 — გავიგე.  
 — არა, ჯერ არ გაგიგია... ქმარი მეყოლება.  
 — ქმარი გყავს.  
 — ის... ის არა...  
 — აბა?! ჩემი მაგიერი?...  
 — ნამდვილი ქმარი...  
 — აპა!.. ბეჭედი იმას დასჭირდება...  
 — იმას ერთი ხელი სამოსი მაინცა აქვს.  
 — ცოტაც მოგეცადა.  
 — ვითომ რადაო?  
 — უფრო შეძლებულიც შევხვდებოდა.  
 — ნუ სულელობ!..  
 — ბევრი მისულელნია.  
 — პოდა გეყოფა!  
 — ჩემს ნებისად რო იყოს..  
 — იყოს, გეყოფა. რაც იყო, იყო, დაივიწყებ, კარგი იქ-

ნება, არა და, რას იშამ, ცუდად მაინც ნუ მომიგონებ.



თომიც ჩემს სასაფლაოსთანა დგახარ.

- არა, სასაფლაოსთან არა ვდგავარ.
- გითომამეთქი.
- არა, და...
- ნუ!.. მშვიდობით!
- მოიცა....

ოღონდ არაო, ადგილიდან მოწყდა ელისოი, ფეხის ხმაშ გააპო ქუჩაი დაყურსული, გაიბა, გაიბაწრა, მერე ტრამვაის ხრივინი წაეკეცა და ჩაიყლაპა ჩქამიცა, ქალიცა, ვინ უწყის სამუდამოდაც ჩაიყლაპათ. და რაღაცა ჩასწყდა ლენტოსა, რაღაცა დაეწვა, ისე დაეწვა, ხელი წაატანა, ოღონდ ვერ მიაგნო, ისე ბრუნავდა, ისე მონაცელებდა გულგვამშია, — ვერა, ვერ მიაგნო, ვერ დაიყუჩა. ასეთ დროს ცრემლიც ჩამოიფრქვევაო, გულექვაც რთ იყოს, გული მაინც მოეწურებაო, ცრემლი შვებაა და ამიტომაც მოეწურებაო, — მაგრამ არაო, ლენტო შვებას არ ეძიებდა და იდგა ეგრედვე გულდამწვარი და გულჩაწყვეტილი, იდგა ყაბაზშედა, — ვინ უწყის თუ რაოდენი გულდაწყვეტილის ნაადგილარზე იდგა, ისიცა. თუმცა პო იქ აღარ გახლდა მოედანი, ყაბაზი აღარ ერქვა დიდიხანია, ბალილა გახლდა, ანთუ პარკი, სახელიც შესცვლთდა ბევრჯერა თუ ბევრნაირადა, ოღონდ რაც იყო თუ როგორც იყოო, გულდამწვრობა თუ ჩათუთქულობა ისევ ყაბასს უფრთ შეეფერებოდა, რომანტიკოსების ყაბასსა სარაინდოც ისა ყოფილა, საკაეშნოცა, ადგილი იგი სიკისკასისა, სიმარდისა, ვაჟკაცობისა, ადგილი იგი საზეიმო და საჯირითო, საასპარეზო, სასეირნოცა, გუნდთა და გუნდთა ყმაწვილ-ქალთა და ყმაწვილ-კაცთა, სასეირნო და სააშიკო რაღა თქმა უნდა, გაჩაღებული მთვარის შუქითა, გალაღებული კოჯრის ნიავითა, გალაღებული, აცელებული, — კაბის ბოლოსაც ჩამოუქროლებდა კოჯრის ნიავი, აშლიდა ბოლოსა, მიმოურევდა, გამოაჩენდა ბუდეშურ ფეფთა და გრძნობათაც აშლიდა. შედარება ბარათაშვილისაა. და იმის მერე, პოეზიას თუ გამოედევნები, დღევანდელ ლექსებსაც თუ გადაშლი, ბარძაყიც გაშიშვლდა, ოღონდ იმ გრძნობათ ვეღარ აშლისო. ის შედარება მაინც ბარათაშვილისა გახ-

ლავს, ყაბახიც იმისია, უპეთუ ყაფლანისაა, ორბელიანისა,  
ურომლისოდაც მოიწყენდა ყაბახი, მოიწყენდნენ კალა  
ქალთა, მოიწყენდნენ და აფოფინდებოდნენ გამოჩნდებოდა  
თუ არა ყაფლანი, აფოფინდებოდნენ და გარსმოხვეოდნენ,  
გარსმოხვეოდნენ და ენუკვთდნენ, ემღერა რამე, და: „ყაფ-  
ლანიც, სულდგმული აშიკობით, დაიღიღინებს გულის საკ-  
ლავად და თან და თან ყელს მოიღერებს. ვის არ სმენია ლექ-  
სი ესე, რომ მყის სევდები არა აშლოდეს...“ ასე ყოფილა  
დამე ყაბახზედა, ყაფლანის ყაბახზედა, მერე სხვისაო, მე-  
რე სხვისაო, სხვისა და სხვისაო, ყველა წასულა, ყველა გა-  
დამქრალა, ახლა ეს შემდგარა გულდაწყვეტილი.

ოღონდ რაო, —

არცა თუ მთვარეო,

არცა თუ ნიავი კოჯირისაო,

არცა ღიღინიო გულსაკლავი თუ სახალისოო, —

„სევდები“ მაინც იგივე ყოფილა.

ეს ყველაფერი მიქელ ბარდაველისაგან გაეგონა ლენტი-  
სა, — ყაბახიცაო, ნიკოლოზ ბარათაშვილიცაო, ყაფლანი-  
ცაო, ორბელიანებისა, და სხვანიცა თრბელიანი, ერის-  
თავნი, დოდაშვილიცა თუ ფილადელფიოს ქიქნაძეცა, გა-  
ეგონა და ბუნდად გაეგო, ასევე ბუნდად წამოუჩეულდებო-  
და თუ რამ გაეგო, მოედებოდა, აიტანდა, — იმათებრ  
ვერა რაღა თქმა უნდა, ამასაც სევდად მოედებოდა, — იმა-  
თებრ ვერა რაღა თქმა უნდა. სხვა ყოფილა რთული ხა-  
სიათი, მარტივი ხასიათი სხვა ყოფილა, ოღონდ თუ სევდა  
შემოსევია, დაუჩაგრია ერთნაირადა. ეს სევდისაო. ოღონდ  
თუ მაინც ვინმეს უნდა მიმგვანებოდა ბეღისწერა ლენტო-  
სი, ეგება უფრო ჯორჯიაშვილისას მიმგვანებოდა, მითუფ-  
რო, — იქ იდგა, იქით ავიდა, აპყვა ქუჩას ჯორჯიაშვილისა,  
იდგა, იდგა და მერე აპყვა. ისიც ასევე ყმაწვილ-გაცი ყო-  
ფილა, ისიც ასევე შემოჰკედლებია ქალაქსა, დიდი იმედით  
შემოჰკედლებია, თავს რო დაირჩენდა, იმხელა იმედითა. და  
ერთ დღეს დამსხვრევია იმედი იგი: ავი მმართველი დაუ-  
გორებიათ იმა თავდაღმართზედა, გრიაზნოვის ჯილაგისა  
ყოფილა, აუწევიათ და დაუგორებიათ, ყუმბარა შეუგდიათ  
ეტლის ქვიშა, ეგრე აუწევიათ, ეგრე დაუგორებიათ, დაუგო-

რებიათ და გამსხლტარან, მიმაღულან; მდევარსაც გამოუდია რაღა თქმა უნდა, ამას წასწყდომია, ამა ალაპალაკი პირდია ბიჭისა, წასწყდომია და აუკიდნია საღრმობეჭყაფის მიერა ასე დაფშხვნილა იმედი იგი ქალაქს გადმოვარდნილი სოფლები ბიჭისა, იმედი დაფშხვნილა, გვარი მაინც შემორჩენილა ქუჩის სახელადა, აღმართის სახელადა, უკეთუ დაღმართისა, — გააჩნია თუ საით დადგები, საით ახვალ თუ საით ჩამოხვალ, — ეს აღმართს აპყვა, ლენტოზე ვამბობ რაღა თქმა უნდა, აპყვა და ავიღოდა გამზირშედა რუსთაველისა, მერე იქ რამეში ჩაჯდებოდა, ტროლეიბუსი იქნებოდა თუ ავტობუსი იქნებოდა, სულერთია მიატანდა რკინიგზის სადგურამდისა, იქ ხიდს გადასჭრიდა, ნაძალადევის მთას ავიღოდოდა ხვეული თუ დაგრეხილი ქუჩებითა, რა ვუყოთ მერეთ, თუნდაც თვალზუშულაც მიაგნებდა უღიმღამო თუ უბადრუკ ბინასა, ისე უბადრუკსა თუ ისე პატარასა, ოთხი ტახტით რო ამოჭედილიყო, სამს ალბათ უკვე რო ჩასძინებოდა საშტატშედა, — ერთსა დაიკოსა, ორსაცა ძმასა, — მეოთხეზედაც ეს შიეგდებოდა ჩუქადა, უთქმელადა, ემანდ რომელიმეტ არ გაიღვიძოს, ანთუ სამივემ არ გაიღვიძოს, ემანდ არაური შემომჩივლონო.

ჯერ აღმართს აპყვა.

ის აღმართიც მიყრუებულიყო.

თუმცა არც ისე მიყრუებულიყო, ჩანდახან მანქანა ჩაიქროლებდა.

ამას არაფერი გაეგებოდა, ეს მიყრუებულიყო თუ გამოყრუებულიყო.

ადამიანები თუ გამოაპრუნებდნენ სიყრუიდანა თუ ჩაკარგულობიდანა, მაგრამ არაო, ადამიანი არსაით მოსჩანდა, არცა ამჩატებული თავდაღმართზედა, არცა დამძიმებული აღმართზედა, არცა ხორხორობდნენ კინო „თბილისთანა“, — იქავე, გამზირის მისაბჯენთანა, — ბოლო სეანსიც თუ გამოსულიყო.

სახინკლე „თბილისს“ მაინც შერჩენოდნენ, იქავე, გამზირის მისაბჯენთანა.

სახინკლე თბილისსაო,

შერჩენოდნენ და ამოტივტივდებოდა ქოჩორი თუ მე-

ლოტი თავი, გადატკეცილი თუ ჩამოწერილი თმაი, ანთვ  
ჯერ თავი ამოტივტავდებოდა, ამოჰყვებოდა ტარტივი ცხად  
დია, ამოსხეპილი ანთუ ზორშოხა ტანი, ანთუ ჩაგვერაი, ან  
ჩასლუტული, დაგვალული თუ გაჯგიმული, მუცელგაღმო-  
ვარდნილი, ჩამრგვალებული თუ გამოყვანილი წელშია,  
მრავალგვარი, მრავალნაირი; ეს ქვევიდანა, ქვევიდან თუ  
მოტივტავდნენ, ახლა ზევიდან აღარ იკითხავ? ზევიდან  
პო იძირებოდნენ, ჩადიოდნენ, ჩაყურყუმელობდნენ, ჯერ  
ტატყი ფეხი ჩაიძირებოდნა, ტატყი თუ მოყვანილი, სულ-  
ერთიაო, ჯერ ფეხები ჩაიძირებოდნა, მერე მუცელი, ოდნავ  
წამოზრდილი თუ გადმოვარდნილი, როგორიც გახლდა, თა-  
ვიც ჩაპუვებოდნა, როგორიც გახლდა აგრეთვე თავიცა, აქე-  
დან ჩაპუვებოდნა თუ ამოჰყვებოდნა იქიდანაცა, იქით დინება  
სხვაგვარი გახლდა, ეს იქითაო — გაფესაო, რესტორანსაო  
თუ სასტუმროშიო, იქით პირდაპირ შეალაჯებდნენ, გამოა-  
ლაჯებდნენ გამომლაჯებელნიცა ეგრეთვე პირდაპირა, აქეთ  
სხვა იყო, — იძირებოდნენ, იძირებოდნენ თვალდათვალა;  
ალბათ იქითაც იძირებოდნენ, ალბათ სხვაგანაც იძირებოდ-  
ნენ, თლონდ არა სჩანდა ასე თვალდათვალა, ასე ნათლადა,  
კანთიელადა. ერთხელ ამასაც უქროდა ქარი, ლენტოსას  
ვამბობ რაღა თქმა უნდა, ერთხელ ესეც ჩაიძირულიყო, არცა  
ნანობდა, არც სიამაყით მოიგონებდა, რაც უნდა ყოფილი-  
ყო, ახლა მაინც ვერ ჩაიძირებოდნა, აღარცა სურდა, აღარც...  
ათი შაური ედო ჯიბეში ერთისიტყვითა, ეს მაშინაო, გაზე-  
თი რო აპაზი ღირდა, ბევრიცა სდებოდა, ოხრადა პყრობდა, —  
აღარ უნდოდა, აღარა სურდა, არცთუ ესაო, არცთუ სხვა რა-  
მეო, მინამგვანიო თუ არცთუ მინამგვანიო, აღარა სურდა  
აღარაფერი.

იქ მაინც აღარ ესაქმებოდა.

ათავდებოდა ის აღმართიცა.

გამზირშე გავიდოდა, ანთუ დაერგობოდა სამხატვრო გა-  
ლერეასთანა

იქ დაელოდებოდა, ანთუ კიდევაც მიუსწრებდა ტროლე-  
იბუსსაო თუ აგტობუსსაო, სულერთი იყო და არც იყო სულ-  
ერთიო.

ათი შაური ედო ჯიბეშიო, არა?

ეყოფოდა ავტობუსისათვისაცა, ოღონდ ტროლეიბუსი ერწივნა მაინცა, ორი აბაზი ღირდა ბილეთი ტროლეიბუსში ათკაპიკიანი უნდა მოენარჩუნებინა, უნდა დაერეკა.

უნდა დაერეკა დილასაქეთია, ბოდიში უნდა მოხსადა, ვეღარ მოვალლ, უნდა დაერეკა დილასაქეთია, ვერ დაერეკა და ვეღარც დარეკავდა, — დაგვიანებულიყო; ჯანდაბას თუ დაგვიანებულიყო, ხვალ დარეკავდა, ხვალაც ამ თვისააო, იტყვიან ხოლმე დაუნანებლადა, ოღონდ ამან აღარ იცოდა, ხვალაც იმ თვისა იქნებოდა თუ არა, — თებერვალი მიწურვილიყო, მიწურვილიყო თუ გათავებულიყო? სათვალავი აღარა ჰქონდა, მაინც ხვალაო, მაინც უნდა მოენარჩუნებინა ათკაპიკიანი. ერთი დარეკვა ათ კაპიკადა ფასობდა, ასანთის ფასიც ეგვეგვი გახლდა, ასანთი და ერთი დარეკვა გათანაბრებულიყო. როდისაო თუ როგორაო? — ვიღა გაარკვევდა, ანთუ ვიღას ეკითხებოდა? ერთ ძველ თბილისელს ამნაირად წაუწერია საფლავის ქვაზედა: კაპიკად ასი კვერცხი მიყიდია და ცოლშვილი ისე შემინახდაო, ვინც ამის შემდეგ გაიტანოს თავი, ვაჟკაცობაც იმან დაიტრაბახოსო, — თარიღი არ დაუჭიდევია არცა ქორონიკონითა, არცა ანბანის სათვალავითა, ვიღა გაარკვევდა, ვიღა გაიცხელებდა თავსა?

ეს მაინც არ გაიცხელებდა.

აპა, აათავებდა გამზირსა.

აათავა და კიდეც გაღმოადგა გუნდი ყმაწვილ-კაცთა, შემოეფეთნენ, თითქოს მოსდევდნენ და წინ უყელესო. ერთმა იმათვანმა იცნო, არც აცივა და არც აცხელა, ხელი წავლო, წაეჭიდა და წარიტაცა. გუნდმა აიხვია, გუნდმა აიკრა, დაგორდა და დაგორა, წაყურყუმელდა და წააყურყუმელა, წაიძირა და წაიტანა თანა, სახინკლე „თბილისში“ წაიტანა, შემოერტყა და შემოაკრა აყალყულ მაგიდასა, ისე აყალყულსა, ისე ზომიერადა, შემოდგამ თუ არა ლუდის კათხასა, არცთუ ხელის მიშველება გინდა, არცთუ დაყუდება გინდა, გაიშეერ ტუჩებსა და მოწრუპავ ისევე; პოდა წაიტანა იმა გუნდმაო, ოღონდ არცთუ გაპკვირვებია, არცთუ უარი წამოსცდენია, არც მონდომებია, არცთუ ფიქრად ამობლანდვია, ვინ არიან თუ ვისთან მოვხვდით. იმ ერთს პო იცნობდა, ვინც ხელი წაიტანა? ანთუ იცნობდაო, რა სათქმელია, თუ

იყო, ის იყო, მხოლოდ იმა ერთს მისთვისებოდა ფრინელა ქა-  
ლაქშია, იმ ერთს ასდევდა და აპყვა მაშინაცა, როგორადაც უ-  
ფერი ეკითხებოდა, არაფერი ენაღვდებოდა თუ არ გაეგებო-  
და არაფერი, აპყვა და ჩაჲყვა, დააყენეს და იდგა უძრავადა,  
ფეხმოუცვლელადა. სხვები წვალობდნენ, მიძვრებოდნენ გა-  
მოჲედილ მაგიდათა შორისა, იქაურ სმა-ჲამას დარქმეოდა  
თვითმომსახურება და მიძვრებოდნენ, მიიჲედებოდნენ,  
იწელებოდნენ, იწვდენდნენ ხელთა, თვითმსახურობდნენ ერ-  
თისიტყვითა. ეს არაო, ფეხს არ ადგამდა, თითქოს მიაკრეს  
იმა აყუყულ მაგიდასაო, მიაკრეს და იდგა ისიცა, მაღალი,  
აწოწილი, გადასცეროდა აყუყულ მაგიდასა. მიპქონდათ  
სხვებსა ქაბაბი თუ სინკალი, ორთქლავარდნილი სინკალი,  
არაყი თუ გათხები ლუდისა, აქაფებული ლუდისა, კონიაკიც  
მიპქონდა, ამაყად მიპქონდა ერთსა იმათვანსა, მაღლა აეწია  
დროშასავითა, მიპქონდა და მიაფრიალებდა. იყო წრიალი,  
გადაძაბილი: ე ბიჭო, ჭიქაო, ე ბიჭო წიწაკაო, ლუდიო, ხინ-  
კალიო, გადაძახილი ამათიცა, სხვათაცა, ნემსი არსად ჩა-  
ვარდებოდაო, და იყო წრიალი, ბრუნვა, ტრიალი ერთობ-  
ლივი და განუწყვიტელი, ეს მაინც ერჭო ჩაკირულივითა,  
ერჭო და ზედ გადასდიოდა მორევი სახინკლე „თბილისი-  
სა“, აქაფებული გათხები გადასდიოდა ზედა; არცთუ იძვ-  
როდა, არცთუ თითი დაუკარებია რაიმესათვისა, არც კრინ-  
ტი დაუძრავს, არც იქ უნდოდა, ვერცთუ წასვლა მოეფიქ-  
რებინა, სხვა რა უნდოდა, — არც ის იცოდა, რა ექნა, რა  
ეფონა, — არაფერი გაეგებოდა, ნდომა დაპკარგოდა, წასვლო-  
და სურვილი.

თითქოს იმათაც აღარ ახსოვდათ,


აღარ ახსოვდათ თუ ვინ წამოიღეს, ვინ წამოიტანეს.

მოდიოდნენ სიტყვის ქარბუქითა და ქარბუქიც წაიტანეს  
ისედაც სიტყვებით გატენილ სარდაფშია.

წაინც თავიანთი ქარბუქი შემოირტყეს, მაინც მიიწევდ-  
ნენ ერთმანეთზედა, მიიწევდნენ და ეხლებოდნენ აყუყულ  
მაგიდასა, მხრებითა თუ მკერდით აწყდებოდნენ, იქნევდნენ  
მუშტებსა თუ გაფარმხულ თითქებსა, ვისაც თუ როვორა

სჩვეოდა განურებული კამათის დროსა. ვიღაცას ხინკალიც  
შესციებოდა ხელშია, მიიწევდა იმა გაციებული ხინკალიდან  
ვიღაცას ჭიქა შემოფშვნოდა ხელშია, მიიწევდა გაზისტლიც  
ანებული ხელითა, ქალალდის ხელსაწმენდაც მოიშველიებ-  
და, მოიმწყვდევდა მუშტშია, სრესდა და სრესდა, მოისვრი-  
და მერე სისხლიანსა, კალათში ისროდა, სადაცა ცვივოდა  
ჭიპები ხინკლისა; ვიღაცას არცთუ მოესვა ლუდი, ისე და-  
აქანებდა გათხასა, ისეც დაეცალა მოეწუწა იქაობაი, ესეც  
ვითომ არაფერით, სახელდახელოდა სწმენდნენ ნაწუწსა თუ  
იფერთხავდნენ მხრებიდანა და ბრუნავდნენ ქარბუქში სიტ-  
ყვისა, გაღწევაც უნდოდათ და ვერც შელეოდნენ, არავინა  
თმობდა, რა ჩააგდებდა ისე ქარბუქსა, ანთუ ვის დაეთმო?!

დაბნეულიყვნენ, ამთისროდნენ დაბნეულ სიტყვებსა, გაჯიქე-  
ბულიყვნენ დაბნეულობითა, თანხმობა ალარ გამოვიდოდა,  
არ ჩადგებოდა ქარიშხალი იგი, ქარბუქი იგი, არ ჩადგებო-  
და, ქუჩიდან თუ შემოჭრილიყო სახინკლეშია, მერე ისევ გა-  
იჭრებოდა ქუჩაშივე, გავარდებოდა, მოითარეშებდა ცარიელ  
ქუჩებსა, ანთუ ვინმენი შეეფეთებოდნენ, ისეთივენი იქნე-  
ბოდნენ, ისევე დაბნეული თუ აღელვებული და აპყვებოდ-  
ნენ ისინიცა დაუფიქრებლადა, — მშრალად რო ჩაევლო თც-  
დაერთ დეკემბერსა, ცივად რო ჩაევლო, ამაზე აპყვებოდნენ  
დაუფიქრებლადა, ამაზე დაობდნენ, ამყოლიც ამაზე აპყ-  
ვებოდნენ რაღა თქმა უნდა. ცივადაც ჩაივლიდა ცივი დეკემ-  
ბერი, მაშ რაო, — ოღონდ, პო თღონდ, რაც თავი ახსოებათ,  
სხვაგვარად ახსოებათ, სხვანაირად ახსოებათ, დღესასწა-  
ული იგი. დაედგინათ და გამქრალიყო, რაც თავი ახსოებათ,  
დადგენილების მორჩილებაც ახსოებათ, მაგრამ ამას ვერა,  
ვეღარ დამორჩილებოდნენ ეგრე ადვილადა, სხვა რამ გა-  
მოდიოდა, სხვაგვარად უნდა გადაბრუნებოდათ ტვინი და  
ვერც გადაბრუნებოდათ ეგრე ადვილადა: ბრძენი გახლავთო,  
შთავავონებდნენ, რაც თავი ახსოებათ, და უცებ დაუდგინეს,  
უვიცი იყოთ, ადამიანის სიკეთისად მოვლენილაო, ჩასმა-  
ხოდნენ, რაც თავი ახსოებათ, და უცებ დაუდგინეს მკვლე-  
ლი იყოთ, ღმერთი არ არისო, უჩინინებდნენ, ოღონდ ეს  
მაინც ღმერთი გახლავთო, და უცებ დაუდგინეს, სატანა

იყოთ, — დაუდგინეს და უნდა გადატრიალებულიყო ტვი-  
ნი, მაშინვე, მყისვე, დაუდგინეს თუ არა, მაგრამ ვერთა ტვი-  
გადატრიალებულიყო ეგრე ადვილადა და ამაზე დავობდნენ,   
შმაზე შესჯავახებოდნენ ერთმანეთსა ანუ ამისი ქარბუქი  
იდგა, ანთუ ასე ადუდებულიყო ტვინი ანუ ადუდებულიყო  
ამათი მაგიდის ირგვლივაცა, იქითაცა, იქითაცა, იქითაცა,  
ასევე ადუდებულიყო და ბრუნავდა, ტრიალებდა, ქოთქო-  
თებდა სახინკლე „თბილისი“; ან არცა დავობდნენ, იგივეს  
ამბობდნენ და ყელში სწვდებოდნენ ერთმანეთსა, ეს როგო-  
რაო, რანაირადათ, მართლაც ვერ გაეგოთ, ხეირიანად არ  
ჩაეხედათ ისტორიაში და ვერც გაეგოთ, არ ჩაეხედათ თუ არ  
ჩაეხედინებინათ, ანთუ აეხსნათ სხვანაირადა: ის სხვა იყოთ,  
წვენ სხვანი ვართო, — პოდა დავობდნენ, იგივეს ამბობდნენ  
და მაინცა დავობდნენ, ლამის თვალებში ატაკებდნენ გაფარ-  
ნხულ თითებსა. თუმცა არაო, განსხვავებულიც გამოსდიოთ-  
დათ: ცოცხლობდათ და დღესასწაულობდნენ შობის დღესაო,  
მიიცვალა და იდლესასწაულებენ დღესა მიცვალებისა, ეგრე-  
ცა ყოფილა, ვინცთუ წასულა, ერთი დღედა შერჩენიათ.  
ქრისტეს თუ ორი აქვსო? სად ქრისტეო და სად... ამაზეც შეპ-  
ხლოდნენ, შესჯავახებოდნენ ერთიმეორესა. და პო ჩაევლო,  
ცივად ჩაევლო ოცდაერთ დეკემბერსა, ცივადა, მშრალადა,  
აპა დგებოდა მარტის დღეებიცა, მიწურვილიყო თებერვალი,  
აპა დგებოდა მარტის იდები, და რადიოც გაქვავებულიყო,  
ტელევიზორიცა, გამშრალიყო გაზეთებიცა, ოლონდ განა  
თუ სუმთლად გამშრალიყო, — რა სათქმელია, გაიძახოდა  
რადიოცა, ტელევიზორიცა, დაფრიალებდა გაზეთებიცა, გან-  
ურჩეველი გაზეთები, უთვალავი და ერთნაირი, დაფრიალებ-  
და დაუბრკოლებდლადა რალა თქმა უნდა, დაფრიალებდა და  
გრიალებდა, მხოლოდ საამისოდ გაქვავებულიყო, გამშრა-  
ლიყო საამისოდა, იყო და არა იყო რაო, ვითარცა ყველასა,  
ასევე მოსწეოდა ამასაცა, უკვდავი რო ეგონათ, ასევე მოს-  
წეოდა, მაგრამ მაინც თუ მოიგონებდნენ, მოიგონებდნენ  
მხოლოდ აუგადა, სხვა რამ სიკეთისა არ დასცდებოდა ახალ  
მოთავესა, ანთუ მემკვიდრესა, არც სიკეთისა და სცდებოდა  
და არც მოისაკლისებდა ტაშის დამკვრელთა, არა, არაო, რა  
სათქმელია. და უკრავდნენ და უკრავდნენ ტაშსა, ჟერი

იქცეოდა, მაღალი ჰერი, ამაღლებული საგანგებოდა, მაშინ კათა ნაცაო და ახლაცათ: ღმერთი არისთ, და იქცეოდა ჰერი ტაშითა, იმავე ტაშითა, იგივე ჰერი ამაღლებული, ატანილი საგანგებოდა, თითქოს იქცეოდათ თუ ლამის იქცეოდათ რაღა თქმა უნდა. იქ ისე ერთობლივი ტაში მქუჩარებდა, აქ შებმულიყვნენ სახინკლე „თბილისშია“, შეჯავახებულიყვნენ ახალგაზრდანი, ვისაც ავრეთვე ტაში მართებდა, სხვა არაფერი, სხვა არაფერი, უფაცრავადო, სხვა არაფერი.. ტაში ტაშიაო, ტვინი მაინც ვერ გადაბრუნებულიყო ეგრე ადვილადა, — დღესასწაულს მაინც ელოდნენ, სამგლოვიარო დღესასწაულსა, ზეიმსა დიდსა, არნახულსა, ელოდნენ ეგრე ერთპირიანადა და, საკვირველია, კამათი მაინც არა სცხრებოდა, ბრაზი მაინც არა სცხრებოდა, ლამის ვიღაცას ყელში სწვდომდნენ, ლამის ვიღაცას თავში წაეშინა, თავისი ხელები იავის თავშია. ასეთი ჯანყი სცოდნია სახინკლესა, გაბრუება თუ დაბნეულება სცოდნია ასეთი ლუდსა და არაუსა, ლუდსა და კონიაკსა, აბურბურებულ ხინკალსა სცოდნია, ლვინოს სხვაგვარი განსჯა მოჰყოლია, სხვაგვარი კამათი, შეპაექრება სულ სხვანაირი, — ნელნელა წაითლება მწვადი შამფურზედა, ანთუ აითლება ბეჭი ასევე ნელინელა, და სადღევრძელთშიც ნელა ამოვა ავკარვი ამა წუთისოფლისა, მარადიული წუთისოფლისა, წუთიერების ტკივილისა მარადისობაში.

ლვინოსა სცოდნია ამნაირადა.

აქ ასე არ გახლდა.

აქ ყველაფერი საშარო იყო და ბოლოს ესეც საშაროდ იყითხეს, ეს ვიღააო, კრინტს რო არა სძრავს, არც არასა სჭამს, არც არასა სვამსო, — იყითხა ერთმა იმათთაგანმა, ლამის ლენტოზე მომაღლომა, ლამის მომეტებულად შეფიცხებულმა, ლამის ყველაზე დაუთმობელმა.

— ეს ლენტოა.. — მიუგო მახლობელმა ლენტოსი.

— როგორი რა ლენტოა?

— როგორი და ასეთი! — ცერი შემართა მახლობელმა ლენტოსი.

— რას გატვრენილა, სიტყვის გამტანია?..

- არაფერი შეგეშალს.
- მაინც ვინაა?
- ჩვენთანა მუშაობს.
- რექისორია?
- არა..
- მსახიობი?
- არა...
- მხატვარია?
- ნწ...
- კომიპოზიტორი?
- არა, ჰა!
- ბუღალტერი?
- კარგი, ერთი და!
- ოპერატორი მაინც არ არის?!
- მორჩი, რა.. ლენტოა.. მორჩა და გათავდა.

გაგულისდა მახლობელი ლენტოათ, გაიმეორა და კათხა დაათხლიმა აყუყულ მაგიდასა. არ გატეხილა, არც ჩხუბი აპყოლია, თუმცა არცთუ გასაკვირი გახლდა, მხოლოდ ესაა, კონიაკის ბოთლს შესტაცა ხელი მახლობელმა ლენტოსი, შესტაცა და გააგამოიქანა. წვეთიც აღარ იდგა. გამომშრალიყო არყის ბოთლებიცა, ქაფის კვალიც არ შერჩენოდა ლუდის კათხებსა, ხახვის ნაკეპიც აღარ ევდო ქაბაბის ლანგარზედა, ანთუ ქაბაბი სად ეწყო მანამდისინ, ხინკალი სადა, — ვიღა გაარჩევდა, დახლისაკენაც აღარავინ იცქირებოდა, ამოეცალათ ჯიბეები, ამოეფხიკათ, უნდა აყრილიყვნენ, უნდა აპყოლოდნენ კიბესა, ატივტივებულიყვნენ, ჯერ ქოჩრები უნდა აეტანათ ზევითა, ჯერ ქოჩრები ამოჩნდებოდა მიწის პირზედა, ანთუ ასფალტის პირზედა ცხადია, დაქოჩრიანებულიყვნენ, ჯერ სიქაჩდე არ მოსწეოდათ, ჯერ დიპიც არ მოკეიდებოდათ, ჩასლუტულიყვნენ, ერთ ყალიბში ამოყვანილებივითა, მხოლოდ სიმაღლით თუ განსხვავებულიყვნენ და სწორედაც მომაღლონი ატივტივდებოდნენ პირველყოფისა, — და ატივტივდნენ კიდევაცა ავიდნენ ერთადა ლენტოი და ისა, ვინ არისო, რო ახირებულიყო, ერთად ავიდნენ და ერთდროულადვე შეაქციეს ზურ-



გი ერთიმეორესა, ცივად შეაქციეს, გამომშვიდობებაც

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკი

მოფიქრებიათ.

ზევით სიმშვიდე სუფევდა

მიწის პირამდისაც როდი აღწევდა ქთქოთთი სახინკლი-  
სა.

ჯერ არ აღწევდა.

## V

„რამეთუ დაიმარხე შენ სიტყუაი მოთმინებისა ჩემისაი,  
და მეცა დაგიცვა შენ უამისა მისგან განსაცდელისა, რომელ-  
სა ეცულების მოსლვად ყოველსა ზედა სოფელსა გამოც-  
დად მკვიდრთა მათ ქუეყანისათა.“

გადადებული ათკაპიკიანი ვერ გამოიყენა, — ლენტოსას  
გეუბნები, მიკვები ლენტოსა, — ვერ დარეკა, სადაც უნდა  
დაერეკა რაღა თქმა უნდა, ველარც მივიდა, საქმეც იმდენი  
არაფერი გამოსჩენია, საბაბად მოედო, ხოლო მიზეზი ჰქონ-  
და საფუძვლიანი, მტკიცე და შეუვალი, მიზეზიც ის გახლ-  
და, — მასწავლებელთან სიარული რო აღარ უნდოდა, აღარ  
უნდოდა გაკვეთილები, ანლა ამას აღარ იყითხავ, რის მას-  
წავლებელიო, რა გაკვეთილებიო?.. იყითხავ და მეც მო-  
გახსენებ: ის მასწავლებელიო და ის გაკვეთილებიო, საშუ-  
ალო სკოლა რო არ დაუმთავრებია თავის დროზედა, ჰო  
უნდა დაემთავრებინა ბოლოსდაბოლოსა?.. შეეძლო არც და-  
ემთავრებინა, რა ვუყოთ მერეო, საშუალო სკოლა სავალ-  
დებულოდ თუ დაუდვიათ, რა ვუყოთ მერეო, გამოჩნდებიან  
ისეთი ადამიანებიცა, ვალდებულებას რო გადაუდგებიანო,  
სიკეთესაც გადაუდგებიან, საკუთარ თავსაც გადაუდგებიანო.  
ამრიგად აეწყო ლენტოს საქმეცა, თავიდან აეწყო ასე, ამრი-  
გადა, გვერდი იბრუნა მერე უეცრადა თუ თანდათანობითა,  
გვერდი იბრუნა და უნდა დამორჩილებოდა, — უნდა მიეღწია  
რაიმესათვისა, რაღაც უნდა გადაელაპა, უნდოდა თუ არა,  
აღარ იყო ამისი კითხული, უნდა გადაელაპა, უნდა მიეღწია.  
და აღიმართა გადასალაპველი, თამაშთამაშითაც თუ გადა-  
ივლიდა თავის დროზედა, აღიმართა დაბრკოლებადა. და სწო-  
რედ იმ სანად კინოსტუდიას შიაგდო ბედმა, მიუახლოვა

თავის თცნებასა, კინთოპერატორობას მიუახლოვა, მიუახლოვა დლოვა და ვერ მიუახლოვა, ნაგდევიც არა პქონდა არავითარი განათლებისა, არცა საშუალოსი რაღა თქმა უნდა, სწავლა რო განეგრძო, დაუსწრებლადათ თუ რაღაც ამგვარად რო მაინც განეგრძო. უამისოდ არც იქნებოდა, არვინ ჩამოაკრეფინებდა თცნების ყვავილებსა თუ ყვავილებსაც მიემგვანებოდა თცნებაი რაღა თქმა უნდა; ამგვარად გასწირა ბედმა ლენტი, წყაროსთან მიიყვანა და არ ასმევდა წყალსა თუ წყურვილსაც მიემგვანებოდა თცნებაი რაღა თქმა უნდა. რაც უნდა ყოფილიყო, სწყუროდა და ვერ მოეკლა წყურვილი, მოხიბლელიყო და ვერ შესწვდენოდა მშვენიერსა. აქ გაიჭედა, აქ დადრკა, მოეშვა. სხვები მართავდნენ კინთაპარატებსა, ბრძანებდნენ, შეეძლოთ წყრომაცა, სიამოვნებაცა, თვევამოდებაცა იმ გარემოში, ხოლო გარშემო გახლდნენ სახელვანთქმული მსახიობები, ვინ უწყის ვიღას რომ არ განასახიერებდნენ, თვით მეფე-დედოფალთა, თვით უძლიერესთა წარსულისა თუ უახლესი ჟამისა ეს მხოლოდ აპარატებს დაათრევდა, შეიტანდა, გაიტანდა, შეაწყობდა, გადმოალაგებდა, ყუთებად შეიტანდა, ყუთებად გაიტანდა, შიგ ჩაჭკრეტასაც როდი ანდობდნენ, გაგორ-გამოგორებასაც როდი ანდობდნენ იმდენადა და ისიც განა დიდი ფილმების გადაღების დროსა, — არა, რა სათქმელია, კინოქრონიკის ახალბედა რეჟისორებისა თუ თპერატორებისათვის მიემაგრებინათ.

და ის მახლობელი,

პო ის მახლობელი, სახინკლე „თბილისში“ რო წაიტაცა, სწორედ ასეთი რეჟისორი გახლდა.

სწავლის აზრშედაც იმან შეაგდო, უმაღლესში სწავლისა.

საშუალო სკოლის ექსტერნის წესით დამთავრებაც იმან გამოუგონა.

იმანვე გამოუმებნა მასწავლებელიცა,

ანთუ პროფესორ ბერთელმა მიუჩინა მასწავლებელი.

მაინც უიმისოდ არაფერი იქნებოდა.

მახლობელიცაა და მახლობელიცაო, აი თუ როგორი მახლობელი გახლდა.

იმან წამოიწყო, ბევრს შესწივლა და შეწევნა სთხოვა,

  
ბევრმაც მოუთათუნა ხელი მხარშედა, ყოჩალ, ეგრეთ, მცირებული  
უნდა აღამიანისათვის ზრუნვაიო, მხოლოდ პროფესორ ბე-  
რთელმა აუბა მხარი, არც აცივა და არც აცხელა, მასწავ-  
ლებელი მიუჩინა, გაიგო თუ არა, ფიზიკა-მათემატიკური  
საგნების მოსამზადებლად მიუჩინა თავისი ასული... აი თუ  
სად გაწამებულიყო, აი თუ სად უნდა დაერეკა.

თუმცა ჰო:

იმხანად საიუბილეო ზეიმი მზადდებოდა პროფესორ ბე-  
რთელისა; ყველამ თავისი საქმე იცოდა, ლენტისაც ებარა  
საქმეი თავისი, — ყუთებს დაათრევდა აუდიტორიიდან აუდი-  
ტორიაში, კაბინეტიდან კაბინეტში, თბილისიდან სოფელში,  
ეზო-ეზო, მდინარის ნაპირასა თუ ტყის გასწვრივა; ეზო-ეზო  
ბავშვობის მეგობრები უნდა გადაედოთ პროფესორ ბერთე-  
ლისა, გატეხილი, დაჩიავებული ბერიკაცები უნდა გადაედოთ,  
ტყე-ტყე ნადირობა უნდა გადაედოთ პროფესორ ბერთელი-  
სა, ნადირობის ტრფიალი ვარო, დაეტრაპახნა უურნალის-  
ტებთანა და უნდა გადაედოთ ტრფიალი ნადირობისა, არც-  
სად ნადირი რო აღარ იყო, არცსად ფრინველი რო აღარ  
იყო, ტყეც ტყე რო აღარ იყო რაღა თქმა უნდა, მაგრამ და რაო,  
რა გაუჭირდებოდა კინოაპარატსა, ლენტო რო მხოლოდ და-  
ათრევდა და დაათრევდა, შეაწყობდა და გადმოიღებდა, —  
კინოაპარატს არაფერი გაუჭირდებოდა და ესეც იქ გადაწყდა,  
მაშინ გადაწყდა, გამოგონილ ტყის პირას რო ისვენებდა სა-  
ნადიროდ გამოწყობილი პროფესორი, ვითომ ნადირობით  
დაღლილი რო ისვენებდა. მართალი რო ითქვას, რეჟისორ-  
მა შეაჩენა ამგვარი სურათები, წარმტაცი ფილმი უნდა შევ-  
ქმნაო, პროფესორს მხოლოდ უბრალოდ ეთქვა, ნადირო-  
ბის ტრფიალი ვარო, ანთუ ძალით წამოეცდენინებინათ, რო  
აღარ მოშვებოდნენ უურნალისტები, — ბოლოს ამ კითხვაზეც  
გვიპასუხე, რა არის თქვენი ჰობით, — ნადირობის ტრფიალი  
ვარო წამოეცდენინებინათ და იქიდან დაიწყო წამებაცა ლენ-  
ტისი, სწორედ იქ გადაწყდა შესვენებისა თუ გამოგონილი  
, ნადირობის წინა. ამგვარივე საქმე რო კიდევ გამოსმინთ-  
დათ, კაი გვარიანი საბაბი იქნებოდა, კარგახანს გაარიდებდა  
თავსა, მაგრამ როგორლაც შემოლეულიყო იუბილეები თუ  
ამის რეჟისორს აღარ უკვეთავდნენ, არც სადმე გზავნიდნენ,

შრომის პროცესი რო გადაედოთ, გამოცდილების გაზიარების მიზნითაო, როგორც იტყვიან ლა წერენ ჰელიუს, — ვთქვათ ჩაისა თუ ციტრუსების პლანტაციებში, ხილნარებსა თუ ზერებშია, ამა, მისდევომოდნენ გაზაფხულსა, ვითომ რატომ არა გზავნიდნენ პა?! ამასაც შეეწუხებინა ლენტით, უნებლივ შესტრილიყო გეგმებსა თუ განზრახვებში კინოქანიის დირექციისა.

სხვა რიღათი გაემართლებინა თავი, გაკვეთილები რო გაეცდინა?

ვერც დაერეკა ბოდიშის მოსახლელადა.

ანთუ ბოდიში როგორ მოეხადა თუ არ გაგზავნიდნენ სადმე სასწრაფოდა?

ანთუ რაღაცთუ არ გამოუტყვრებოდა...

იფიქრა, იფიქრა და — ავფიცრავო, — რო გაახსენდა, ცას ეწია სიხარულითა, საბაბიც გახლდა გაკვეთილებშე მიუსვლელობისა, დანაპირებსაც აღასრულებდა.

გონიერებად არ ითქმოდა ცხადია, მაგრამ რა ვუყოთ, სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ამასღა შეაფარა თავი, — დავპირდით.

ადვილად დაპირდა და ადვილადაც წარმოედგინა: მაშ როგორათ, — მრავლად ეყარა ნარჩენები თუ გადანაჭრები კინოსტულიის ეზოსა თუ სახელთსნოებში, მიმობნეულიყოთ ახალი მასალაცა, გამოუყენებლადაც გაფუჭებულა ახალი მასალაცა, შველგან გამოირჩეოდა ორიოდ ნაჭერი წამონვრეული ტიხრის ასაფიცრადა, ამიტომაც დაპირდა ისე ადვილადა, ოღონდ მერე რო არც ეზარებოდა, წერდა განცხადებებსა, იდგა რიგებში რეზოლუციებისათვისა, უცდიდა მრავალასლიანი ფურცლების შევსებასა, აწერდა ხელსა, სხვებთანაც დაპექონდა ხელმოსაწერადა, უფროსებთანა თუ უმცროსებთანა, ვეღარც გაეგო, ვინ თუ ვისი უფროსი ბრძანდებოდა, ვინ განმკარგულებელი, ვინ შემსრულებელი. შემსრულებლად შაინც თვითონ მოდიოდა, ოღონდ ეს მერეო, ბევრი ფურცელი რო შეივსო, ბევრგანაც რო შეიტანეს დავთრებებსა, გამოარჩიეთ, ნება რო დართეს; არც გამორჩევა დაზარებია რაღაც თქმა უნდა, თუმცა ძლივასღა გამოარჩია, ძლივსღა წა-

აწყდა გამოსადევსაჲ არც ის უნაღვლია, ახალი გაწამიაწია  
რო ელოდა თურმე, —გატანა უნდოდა, გატანას — მანქანია  
მანქანას — ნებართვაი, უნდოდა და ნდომოდა —რა, ისიც შე-  
უდგა იმავე გზასა, ანთუ ცოტა განსხვავებულსა კაბინეტე-  
ბისა თუ ხელისმომწერლების მიხედვითა, შეუდგა და შე-  
ათავა ისიცა, სხვაც გამოსჩენოდა, არად წააგდებდა.

იქ ნებართვა აღარ დასჭირებდა: მიაყარა ფიცარი, ლურ-  
სშიანი, წაქუჩი, ხერხი და ასტეხა ბრახუნი, ჰახუნი, თვითონ-  
ვე ასტეხა, ხელოსანი აღარ უნდოდა. ბრახუნმა ვიღაცა წა-  
მოაგდო იქითა მხრიდანა, წამოაგდო და გამოაგდო. ამან არ  
იცოდა, იქ თუ ვინ იყო, ვის ენდუროდა ელისო, არ იცო-  
და და იხილა უცირადა ბოხოხა კაცი, კისერგანიერი, წოპ-  
წოპა თავიანი, გაავებული, გაბოროტებული, ვითომდა იმას  
არ ასვენებენ, ვითომც ესაა, კიდევ მისჭრიანო. ამან ყურიც  
არ შეიძერტყა, —ლენტოსი ითქმის, — უმატა ბრახუნსა, ჰა-  
ხუნს უმატა, აცალა, რამე მწარე მითხრასო, უთხრა იმანაცა,  
მწარისაც უთხრა და მწარებე მწარისაცა, დედაც შეგინა.  
აქ შენ დედა აუგად მიხსენეო, —წაქუჩი მოისროლა ლენტო-  
მა, არ შემომაკვდესო, წაქუჩი მოისროლა და ნაშალს გადა-  
ევლო, ნაშალს გადაევლო და აღარც აცივა, აღარც აცხელა,  
ცხვირპირი ჩაულენა მუშტებითა, წიხლიც უთავაზა და დააშ-  
ლერთა ძირსა, იქავე ფარდაზე შეიწმინდა ხელი და გადაი-  
ნაცვლა თავის ადგილასა. მაშინვე კიდევ სხვაც გამოიჟრა,  
არცთუ ისე ბოხოხაი, არცთუ ისე განიერებისერაი, არცთუ  
ისე წოპწოპა თავიანი, ოლონდ ჯერ ბევრად უმცროსი გახ-  
ლდა და, რო ივლიდა, იმ კვალზე ივლიდა, ალი-კვალი ის  
იქნებოდა; რაც უნდა ყოფილიყო, ისევ გადაევლო ნაშალსა  
ლენტოი, ოლონდ იმდენი ვეღარ მოასწრო, ქალებიც გამოც-  
ვივდნენ წიოკობითა, უმცროსიც გაიტაცეს, უფროსიცა, და  
ლამის ლენტოსაც წამოაფხორნეს თვალები. იმათვის აღარ  
გაუყადრებდა თავი ლენტოსა, აღარც ყური უგდია თუ რა-  
სა ყაყანებდნენ, თუ რასა ქაქანებდნენ იქითა, თუ ვინა ყა-  
ყანებდნენ, თუ ვინა ქაქანებდნენ, აბრახუნებდა და ახშობდა,  
აჟახუნებდა და ახშობდა, განა თუ განგება, განა თუ გულ-  
მოსული, არაო, რადაო, ეგრე გამოდიოდა თავისთავადა,  
ადვილად როდი ნებდებოდა ფიცარი. ბოლოს დანებდა, გა-

დაიმკედლა, გადაიტინრა, გადაიფიცრა. საღებავიც მოუხდებოდა რა საკვირველია, საღებავსაც მევე მოვიტანო, ასე წირუ უდგა მიქელ ბარდაველსა, — საქმეს იჩენდა, ახალ საქმესა, მოუცლელობდა ყმაწვილ-კაცი.

იმას თუ რაო, — მიქელისა ითქმის, გითომც გაუკონია, ვითომც არაო, გითომც დაუნახავს, ვითომც არაო, თუმცა შეპყურებდა, თვალი ოდნავადაც არ გაუხრია, მაინც გაქარწყლებულიყო, ვითარცა შორეული გარსკვლავი, შორით შორეული, უუშორესი, თუნდაც უახდეს ტელესკოპებშია. ითქვას ამნაირი შედარებაცა, ვითომც ტელესკოპს დამგვანებოდეს, ერის დიდების ვარსკვლავებს რო ეძებდა, ვინ უწყის როდის წამქრალ ვარსკვლავებსა, ვინ უწყის როდის ასხლეტილსა თუ გადაკარგულსა, ანთუ ვინ უწყის როდის-როდის რო გამოკაშებულდა, ვინ იცის, ვინ უწყის, როდის-როდისა? პოდა რაო, იმას თუ რაო, — იჯდა და იჯდა ეგრე ურსეველი, კაცი — ტელესკოპი, თითქოს წაშლილი თვალებითა, ანთუ წასული, გადაკარგული ფიქრითა, აზრითა, გადაკარგული თუ გაკიდული აზრისა თუ უაზრობის ბეჭვის ხიდზედა, სიცოცხლისა და უსიცოცხლობისა თუ ბარემ სიკვდილის ბეჭვის ხიდზედა. უცხოსა ვინშეს ცოცხალიც არც ეგონებოდა, ეგება მართლაც გათავებულიყო ეგრე მჯდომარი, ეგება მუმიადაც გამოცემანათ, თვალებიც წაედგათ ხანთუ წაშლილი, ხან მოციალე, გაბრწყინებულიცა მომეტებულადა, როგორც ენებათ, როგორ შუქსაც მიანათებდნენ ზურგთუკიდანა, — უცხო ვინშესთვისა რაღა თქმა უნდა, ლენტოს პო არ გაუკვირდებოდა, — არც არაფერი გაუკვირდებოდა, აპკვიატებოდა თავისი დარღიცა: მართლაც საღებავზე გადამდგარიყო, დაერწეკა თუ ბარემ გამოცხადებულიყო გაკვეთილზედა? — ყოყმანობდა და იდგა ამიტომა, იდგა ეგრე გაქარწყლებული მიქელის თვალშია, გაქარწყლებულად იმეორებდა, საღებავს მოვიტანო, რა ფერი მოვიტანო.

— მწვანე.. — ამოიძახა მიქელმა უეცრადა, ლენტოს რო ეგონა, აღარაფერი გამობრუნებს თუ მართლა არ გათავებულაო, — მწვანე... სიცოცხლე... მიწა ბალახითა ხარობს, ხე ფოთლითა, ადამიანიცა, ადამიანსაც თავისი ფოთოლი

ასხია, ფოთოლი უხილავი, თუ დაინახავ, მწვანე იქნება, ისე  
ვერ იხარებს, ვერ იცოცხლებს, ვერ იღივდავებს; ერთ-  
ერთა, თავისი ფოთოლი ასხია ერსაცა, რაც უფრო ზაღაბა,  
უფრო ხასხასა ფოთოლი ასხია, რაც უფრო... არა... რაც უნ-  
და იყოს, თამარის მრჩევლად რო დავბადებულიყა, მწვანე  
დროშას ავაფრიალებინებდი.

— შინდისფერით...

— მწვანესამეტქი.

— იყოს.. — თავისთვის დაიდასტურა ლენტომა, — ოდ-  
ონდ მწვანეც ჰო ბევრნაირია...

— ბევრნაირი.. ყველაფერი ამიტომაც განსხვავებულა,  
ბევრნაირია, ბევრნაირი! ადამიანიც ბევრნაირია და ბევრნა-  
ირი ფოთოლიც ასხია, როგორიც ასხია, ისეთიც გამოდის,  
ოჯახიცა, ერიცა... ყურძენს არ მოისხამს ლენცოფას ფო-  
თოლი.

ეს მაინც კარგად უწყოდა ლენტომა, ყურძენს არ მოის-  
ხამდა ლენცოფას ფოთოლი, მაინც ფეხს ითრევდა, მაინც  
ჯერ ვერ გადაეწყვიტა: ჯერ შეეღება თუ ჯერ დაერეკა?

— შევღებავ.. — ასე დაიდასტურა.

— თუ დაგხვდა!.. — გამობრუნებულიყო თუ ისევ შორიდან  
გამოიძახოდა მიქელი.

— ხელს ვერ ახლებენ.

— რახან გულში ამოიჭრეს...

— გულსაც დავუნაყავ.

— ჲა, ჲა, ჲა... დაგსჯიან.

— დამსაჯონ, ცხვირპირი ჰო დაუუნაყე...

— განათუ მართლა? — თითქოს გამობრუნდა, თითქოს  
გამოცოცხლდაო მიქელი, — ჲა, ჲა, ჲა... მაინც რომელსა?..

— რომლებია?

— მანდ მამაშვილია, ერთი აქტივიათ, ასე უწოდებენ,  
მეორე პერსპექტული ახალგაზრდაათ... მე რა ვიცი... გა-  
ზეთებში შემხვედრია. ყველაფერი მოსწონთ, ყველაფერი  
ახარებთ, ყველაფერს უკრავენ ტაშსა, თავიანთსას ჰო ტრაბა-  
ხობენ და ტრაბახობენ, სხვის ნატრაბახევსაც უკრავენ ტაშ-  
სა: ერთმანეთს უკრავენ, უკრავენ ტაშსა, თვალთმაქცობენ  
და უკრავენ ტაშსა. აქტივი ესაა და პერსპექტიულსაც ასევე

ზრდიან, როგორც ეტყობა ვაშეთებით შემიტყვია, სანდახან/ რო ჩამიპარებია თვალი, თორემ ისე რა ვიცი, მეტე კუნძული აბა!.. მე ეგ აქტივი არც შემინიშნავს, ფეხზე რო ვიღები და მაინც რო ვერც ვიღები, ანთუ რო მეგონა, მეცა ვდგევარ ფეხზედამეთქი, არც შემინიშნავს. მერედა შევნიშნე, მეუღლე რო გარდამეცვალა, ვაჟიშვილი სადღაც რო დამიღუპეს, ელი-სო რო გათხოვდა, მარტოდ რო დავრჩი და მუხლმაც რო მიმტყუნა, მერედა შევნიშნე, ანთუ თვითონვე გამომეცხადა და მომახსენა, აქტივი გახლავართო, მოვახსენე, გაშეთები-დანაც რო გამეგო. გზა უნდა გამიხსნა სადარბაზოსაკენაო, ასეო და ასეო, წამლებს მე გიშოვნიო, წყალტუბოს საგზურ-საც მე გიშოვნი და ახტალისაცაო, მეო, მეო, მე ვიცი და ჩემმა კაცობამაო, ასეო და ასეო, გზა უნდა გამიხსნაო. ახლა რა გზაო არ იკითხავ?. შინ შესასვლელი ეზოდან დაპყოლია. რო მოგრიალდება შავი მანქანითა: ჭიშკარი მონგრეულა, ვიწ-როცა, ჭიშკარი, ჩიხიც ვიწროა, ვერ მოგრიალდება ისეთი ეშხითა, რო ეკადრება ამის ღირსებასა, ვერა ცხადია, და აი აქეთ მონებებია, სადარბაზოსაკენა: რო მოგრიალდება, მართლა რო მოგრიალდეს, რო მოგრიალდეს ზარბეიმითა, მონებებია და რახან მონებებია, ჰო უნდა აღისრულოს კი-დევაცა, — ცხადია, ცხადია, მაშ რისი აქტივია და მაშ რისი პერსპექტიული ეზრდება?.. ისედაც ჰო აღისრულებდა, — რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა.. ახლა მით უფრო გა-ადვილებოდა: გდია აგერა დავრდომილი ბერიკაცი, მარტო-ხელა ბერიკაცი, იმსელა ბინაში, თურმე რო არც ეკუთვნის აქტივის კანონითა, თურმე რო არცა, გაადვილებოდა რაღა თქმა უნდა; დიდსულოვნებდა ოღონდ მაინცა: წამალიც წემ-ზე იყოს, საგზურიცაო წყალტუბოსიო, სხვა დანარჩენიც მე ვიცოდეთ. ელისომ შეიცხადა. მე არც არაფერი მიპასუხნია. ელისომ შეიცხადა და გადაეკიდა ელისოსა. აქტივიც გადა-ეკიდა და პერსპექტიულიცა რაღა თქმა უნდა: მაშინ ის, — პერსპექტიული, ინსტიტუტის კომკავშირს განაგებდა და სტი-პენდია მოუხსნეს ელისოსა, სხვა რაღა გითხრა... ელისომ შეიცხადა და ლამისაა რო თანაც გადაპყვეს. დაანებოს თა-ვი, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ, მართლა ჰო არ უნდა წა-დაპყვეს თანა?!, არა სწადის, მაინც არ ანებებს ელისომ და

არ ეშვება ისიცა, არ ეშვება: ხან საით გამოანგრევს და სა  
საითა. ბოლოს მაინც გაიტანს თავისისასა. მე აქეთ პო გა-  
ვარ და თუნდაც რო ვიყვე, მაგას გავუძლებ?.. ხან აქ გა-  
მოანგრევს და ხან იქა, ხან იქა და ხან იქა, უნდა გაიჭრას,  
ზღვისკენ უნდა გაიჭრეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, სადარ-  
ბაზოსთან უნდა მოგრიალდეს, სადარბაზოდან უნდა მიიღოს  
სტუმარნი მოსკოვისანი და თუ ჩამოიხსნა რეინის ფარდაცა,  
იხსნება, იხსნება, იხსნება თითქოსა, სტუმარნიცა უცხოეთი-  
სანი, უნდა მიიღოს, უნდა შეეგებოს ფიანდაზებითა. იქით  
ვიწრთა, მოჭუჭულია, იქიდან ისე ვერ შეეგებება, რო ვეკად-  
რება მაგის ღირსებასა, ტიტულატურასა თუ ჩინოსნობასა,  
ვერც შეეგებება და ვერც მოგრიალდება, ვერა, ვერა, ვერც  
მოგრიალდება. ბინა იცოცხლე.. თავისი პო ელხრა, შეიმატა  
ერთიცა სხვაცა, ასევე მარტოხელა დედაბერისაი, არვინ  
რო არ ჩაწერინა თავისთანა, შვილიშვილებიც არა, შვი-  
ლიშვილებიცა, კანონი ყოფილა ამდაგვარიცა, აქტივის კანო-  
ნი; ანთუ კანონი რაღად უნდოდა, რა დღე დააწია, ენა ვერ  
მოსთვლის, — ღმერთო რა შეცილეო, მოსთქვამდა საწყალი  
დედაბერი. იმან ჩემი თქვას. აქტივი პო აქტივია და პერს-  
პერტიულიც რო წამოსწრებია, ეს ჩავე სხვა ფარი და ხმა-  
ლია. მაგრამ ერთია: ბევრი სხვაც რო დაშიბნებია ამ ჩემს  
ბინასა, ბევრი სხვაცა, აბა!. მოიწევენ და მოიწევენ, მოი-  
წევენ და აწებიან ირგვლივა, ყველა კედელსა, ზემო სარ-  
თულებიდანაც მოიწევენ, ქვემოდანაცა, ვინ სადთუ აკაკუ-  
ნებს, ვინ სადთუ მოინიშნებს შემოსაძრომსა, ვეღარ გაიგებ  
და არც მინდა გავიგო, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ, მე აქეთ  
აღარა ვარ და შემოიღნობენ ე გოგოსა მოიწევენ და მოი-  
წევენ. პო ჰქედავ შენცა. მოიწევენ და მოიწევენ ყველა  
ჯურისანი. ვერც დაითვლი თუ რამდენი ჯურისა ჩამოთეს-  
ლებულა თუნდაც რო აგერ ამ ჩვენს შენობაშია, ჩამოთეს-  
ლებულა და უნდა გაფართოვდეს კიდევაცა, ფეხი მოიდგა  
და უნდა გაფართოვდეს, ბარტყობენ ისეცა, ბოცვერებიაო,  
გევონება. ყველას არგო ამ ჩვენმა მზემა, ჩვენ რო ლამის  
აღარას გვარგია. მოიწევენ და მოიწევენ, ხან მომიკითხავენ  
კიდევაცა: როგორა ხარო, — მომიკითხავენ ისე იმგვარადა:  
რატომ დროზე არ ჩაძალდებით, რო იგულისხმება აშკარა-

და და თავისთავადა, ისე ვითომ რო თანამიგრინობენ კი-  
დევაცა, ვითომათ რაღა თქმა უნდა, გაბრუნდებიან და შეგი-  
ნებენ ათას ენაზედა, ათას ენაზედა: განა თუ ტყუილადა ტრა-  
ბახობს ეს ჩვენი წინამძღოლი, ბაბილონის გოდოლი გე-  
გონება ირგვლივა, თუნდაც რო ამ ჩემს ირგვლივა, გეგო-  
ნება და მართალიც გახლავს. აბა... ესენი მაინც... ეს აქტივი  
და ეს პერსპექტიული... არც რო ნაკლებნი გახლავან და ვერ  
რო სჯობნიან, აბა ვერც რო სჯობნიან!...

— აქტივს ჰო ვუთაქე!

— ჰა?

— პერსპექტიულსაცა... სელიდან გამომგლიჯეს.

— ჰა, ჰა, ჰა... — აქ იყო, აქ გახლდა, გამობრუნებული-  
ყო, ჰერთ ჭახჭახებდა სიცილისაგანა. — რო არ გაპატიებენ!..  
უკვე აიკლებდნენ ქვეყანასა, თავსდაგვესხნენო, მოგვეშვე-  
ლეთო.

— აიკლონ.

— მოეშველებიან.

— მოეშველონ.

— შენ წადი.

— დავუცდი...

კიდევაც გაიხარა ლენტომა, ამოისუნთქა, ეს არის და  
მეშველებაო, — მოსულიყვნენ და წაეყვანათ, აღარც დარეკა  
დასჭირდებოდა, აღარცთვე გამოცხადებაი გაკვეთილებზედა,  
ერჩივნა, ათასწილ ერჩივნა, სასჯელიც დიდი არ იქნებოდა,  
ვითომ თუ ისეთი რა ეკუთვნოდა ერთი ნიკაპის ამონაყვის-  
თვისა, — ოღონდ ესაა, შეიძლალებოდა თავისი მასწავლებ-  
ლის თვალშია, ვერც ეს მიძედავდა, აღარც თუ ის მიიღებ-  
და შებლალულსა ცხადია და ესეც ერჩივნა, ათასწილ ერჩივ-  
ნა. ესეცა სსნაიო, ეძიებდე და ჰპოებდეო, თუ სსნა ეთქმოდა  
ამასაცა!.. მიქელი მაინც მრჩევლად აღარ გამოადგებოდა,  
მრჩევლობა ენება მეფე თამარისა, ლენტოსათვის თავს არ  
დაიმდაბლებდა ისედაცა, მერე და უკვე გადაკარგულიყო,  
ჩაფლულიყო დიდ სიმწვანეშია, ჩაფლულიყო და ბუტბუტებ-  
და სხვა ბედისწერას დაპყოლია ჩვენს სიმწვანესათ, აფუტა-  
ნიფართ ბედისწერას დიდი ქვეყნების წინამძღოლობისა, და  
უსათურა ნატეხი ვართ დიდი ქვეყნისა, დიდი, დიდი სა-

ხელმწიფოსით; ნატეხი ვართ თუ ნამსხვრევი ვართო, სიმწ-  
ვანე ისეთი გამოგვეოლია, ბევრჯერაც რო ვყოფილებულ-  
მბრძანებელნი სხვათა და სხვათა, ბევრჯერაცა ვძლეულ-  
ვართო; ანთუ ვყოფილვართ მოკავშირენი, დამორჩილებულ-  
ნი მოკავშირენი, ანთუ ყმადნაფიცნი, ბატონთა შირის ჩვენ-  
თაგანი მაინცა გვყოლია პირველთაგანი, ანთუ პირველი ვინცა  
ყოფილა, დაშვერე ყოფილა ჩვენთაგანისაო. აღზევებულა  
პყრობილი მპყრობელთა შორისა ბიზანტიის კარზეცა, სპარ-  
სთა, არაბთა, მონეთლთა კარზეცა, ეგვიპტესაცა, თურქთა  
კარზეცა, აღზევებულა უმრისხანესებში, მრისხანებითვე წა-  
უჭარბებია, გამჭრიახობითაც წაუჭარბებია, ერთგულებითა-  
ცა, გასაოცარი ერთგულებითა, თავისივე ქვეყნის აკლებით  
რო დაუბეჭდია, თავისი ხალხის გალეწვით რო დაუდასტუ-  
რებია, რადგან თუ რამეთუ გამსა პყრობილებისა მორჩილი  
მაინც არა ყოფილა ქვეყანა ჩვენი, არც თუ სხვა ყოფილა,  
მომეტებული რისხვა მაინც ჩვენ დაგვტეხია, აღზევებული  
ჩვენთაგანისგანა, მომეტებული ერთგულებაც ესა ყოფილა,  
მომეტებული წარმატებაც ამას მოჰყოლია. ოლონდ ბედიც  
ჰო არ გაახარებს ბოლომდე არავისა, არცა ისა თუ ისინი  
გაუხარებია ბოლომდისა, ერთიც არა, შენ არაფერი გეტიკი-  
ნოს რაი, ერთი მათგანიც არ გაუხარებია, დამხობილა ან  
დაუმხიათ, მოუგლეტრინიათ იქვე თანმდგომნიცა მისნი და  
ეს ქვეყანაც ისევ აუკლიათ, ქვეყანა ესე, მბრძანებელი რო  
ეშვა მორჩილებაშიცა, აუკლიათ და როგორ აუკლიათ! ვაგ-  
ლას და ვაი!.. ძველბერძნთაგან ასე ყოფილა, რომაელთა-  
გახაცა, შერეცა, შერეცა, დღესდღეობითა თუ აქამომდისაც  
არ გამოსტოვთ, ხოლო იქით თუ რაი ყოფილა, დაბევითებით  
ჰო არა ვიცით, და თუ მაინც გვეცოდინება, აღბათ იგივე  
გვეცოდინებაო, იქამდისაო, იმა დიად სახელმწიფომდისა,  
სიმწვანე ჩვენი, განსხვავებული, საიდანაც წამოგვყოლიაო;  
ბედისწერაც ეს არის ჩვენი, თუ გაგვიძლია, ამითი გაგვიძ-  
ლია, ანდერძს თუ აგვიგებს, ესევე აგვიგებსო, ეს უცნაური,  
უცნაური უცნაურზედა, ჩვენი ნაშობი ჩვენვე რო გვლეწავს  
და თუ დაემხო, აუცილებლად რო დაემხობა, ჩვენვე მწარედ  
რო გვაზღვევინებენო. შაპები ტახტზე აგვიყვანია, სულთა-  
ნები აგვიყვანია, იმპერატორები აგვიყვანია, კიდევაც დაგ-

ვიმსია შაპებიცა თუ იმპერატორებიცა, აქედან შორსა, შორსა, დაგვიმსია და ჩვენც დავმოხობილვარები: მშეცვა აქაცა, ამ ჩვენს მიწაზეცა, პასუხი აქაც მოუთოვიათ, ამა მიწაზე, ასეთად მწვანე, ასე ხასხასა, გასაკვირველად ხასხასა მიწაზე, აქ დაუღვრიათ მწეფარე სისხლი, მწვანეზე სრდენიათ, უწევებიათო. — მოსთქვამდა მიქელი, არცთ ტიხრი აგონდებოდა, არცთ ამტიხვრელი, თუმცა იქ იდგა, ფეხი მიებჯინა, მოვიდნენ და წამიყვანონო, ასე ერჩივნა, აღარ უნდოდა გაკვეთილები, თუმცალა ესეც გაკვეთილი გახლდა, ოღონდ ამეებს აღარავინ ეკითხებოდა გამოცდებზედა, არც გაეგებოდა გამომცდელებს ამნაირადა, არც ევალებოდათ, გაპონი იცოდნენ, გაპონი უნდა გამოეკითხათ. მიქელს შპვე დავიწყებოდა ბევრად უფრო სახელოვანნიცა სხვისნი, თავისი ქვეყნის ტრაგედიებში გახლართულიყო, აღტაცებულიყო სიდიადის გამოშუქებითა, წათუთქულიყო სიავითა თუ სიმდაბლითა, ტრაგედია პირ ყველაფერს მოიცავდა, ისტორიაც მოიცავდა სიდიადესა და სიმდაბლესა, ორივეს მოიცავდა, აღვსილიყო თრივეთი, ყელამდის აღვსილიყო ერი, აღვსილიყო და გათანგულიყო, დალეულიყო, დაწრეტილიყო, ვაგლას და ვაიო; და ვინ უწყის თუ რამდენი ერი დაწრეტილიყო თუ გამქრალიყო, კიდევაც გამქრალიყო, რამდენის სიმწვანე გაცრეცილიყო, გაყვითლებულიყო, რამდენის ფოთოლი წამოცვენილიყო, რამდენისა კიდევ წამოცვივოდა, რამდენს დაიტანდა ცივი ზამთარი, ყიამათი ზამთარი, რამდენილა გაიზაფხულებდა....

თითქოს მიქელი პასუხს ელოდა, ვიღაცის პასუხსა. თითქოს არც ელოდა.

რაც უნდა იყოს, ლენტო მაინც არ ასდევნებია, თავისას ელოდა, თავის წილს ვეღოდრსა, ელოდა და გაუწყალდა გული, ალბათ აღარ მიჩივიანო, ბოლოს ესლა წაიდუდუნა, წაიდუდუნა თავისთვისა, ოღონდ პასუხი მიქელმა მიუგო:

— ხვალაც ამ თვისაა.. — ასე მიუგო, დაახანა და სიცილი მორთო, სიცილი იმისა, ნაკიანი წელი რთ დასდგომიდათ, თორემ ამ თვისა აღარ იქნებოდა.

ლენტო ვერ მიუხვდა, შემდგარიყო ტრაბასის გუნებაზე: — ვერას გაბედავენ...

— მარტი რო წინ გედოსო... — ჟკვე შორიდან ცხრეზოგადა  
იქვე ითქვა და მოისმა შორიდანა, მორჩა აღარ გვიშლებული  
დებოდა.

მარტი წინ იდო.

მიკურწულიყო ზამთარი მშრალადა, მშრალადვე დგებო-  
და მარტი, ოღონდ არავინ იცოდა თუ რას მოიმოქმედებდა  
მარტი, არა, არავინ იცოდა, ამიტომაც იმეორებდნენ ძველის-  
ძველ ნათქვამსა, იმეორებდნენ და ანდაზად ექციათ: მარტი  
რო წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებო და ნურც აძაგებო, —  
წინ იდო მარტი.

## VI

„...და სხვაი ანგელოზი მოეიდა და დადგა საკურთხეველ-  
სა ზედა, რომელსა აქუნდა სასაკუმეველე ოქროისაი და  
მიეცა მას საკუმეველი ფრიადი, რაითა მისცეს იგი ლოცვასა  
წმიდათასა...“

მარტი თუ წინ იდო, მანძილიცა მოკლდებოდა საექს-  
ტერნო გამოცდებამდისა, წარმატების იმედიცა მოკლდებო-  
და, იხრუკებოდა, იღეოდა თუ ჯერაც არ გამქრალიყო პირ-  
წმინდადა, ხალისი მაინც დალეულიყო, თან გადაპყვებოდა  
იმედიცა. რაღაცა დაემართა თუ როგორლაც გაიხლართა, ვე-  
ღარ აპყოლოდა მასწავლებელსა, ეს ვერ აპყოლოდა, ვერ  
იქმარებდა გარჯაი იმისი, თუმცა მაინც მისდევდა საგანსა,  
მისდევდა და უჩინინებდა, ოღონდ ჟკვე მოღლილივითა თუ  
გულგატებილივით უჩინინებდა. მერე პო სულაც დაეკარგა  
ერთხანსა და ევება სულაც დამეკარგოსო, მასწავლებელიც  
გაიფიქრებდა, ნეტავი მართლაც დამეკარგოსო, არად ჩაავ-  
თებდა იძღვი გარჯასა, რა ვუყოთ მერეო, რამდენი შრომა  
ჩაყრილა წყალშია!.. მოწაფეც პო იგივეს ისურვებდა თუ  
მთინებებდა, იგივე სურვილით შეპხედავდნენ ერთმანეთსა,  
ოღონდ ესაა, ჯერ მაინც ვერ გამოტეხილიყვნენ, რაღაცა  
პბოჭავდათ თუ ვიღაცა პბოჭავდათ, შეპხედავდნენ, თითქოს  
ტუჩებიც უნდა გაძხსნანო, მაინც ჩაიკვნეტავდნენ ტუჩსა,  
ტუჩს ჩაიკვნეტავდნენ და თვალსაც დაპხრიდნენ. ლენტო  
აქეთკენ ჩაპყლაპავდა ნერწყვსა, ის იქითა, ჩაპყლაპავდა და

ვერც ჩაპყლაპავდა, ნეტავი როდის დამეხსნებით; ჰერევანშიცაა  
ტავით... იფო ასე გაცდენებამდისა, გაცდენები არის უკურნებელი  
გამოიგონა, მაინც ვერ წაუვიდა, ანთუ მიუბრუნდა მაინცათ,  
პო მიუბრუნდა: მე შენ გატყვი, რამე შეცვლილიყო, — არათ,  
არაფერი, — დაფაც ისევ ისე ეკიდა, ხელსაწყოც ისევ ის  
ხელსაწყო ეხატა, თითქოს მას მერე არც წაუშლიათო, ხელ-  
საწყო იგი, რითაც დაადგინეს დაელექტროებულ სხეულთა  
ურთიერთმოქმედების კანონი, მხოლოდ ფორმულა გადა-  
ეშალათ, ფორმულა იგი, რაზედაც მაშინ მოიტეხა კისერი,  
რასაც თუ მოპყვა მერე გაცდენანი. რაღა ფორმულა გადა-  
ეშალათ? ბარემ ხელსაწყოც გადაეშალათ!

და იჯდა შუშმანდში.

დაფაც იქ ეკიდა.

პალმებიც იდგა იქვე, დაფასთანა, ერთი აქეთა, მეორე  
იქითა, მუხის კასრებით იდგა ცხადია, ცოტა ფერმერთალი,  
ცოტა უღონო, ცოტა უიმედო ლენტოსავითა, მაინც იდგა,  
მაინც ეცინებოდა, პალმებსა ცხადია, ორივე პალმასა, სა-  
მინელი მხეცები რთ ამოცვივთდნენ დაფაზედა, საშინელნი  
ლენტოსათვისა, ამოცვივთდნენ უამრავნი თუ შემზარვნი  
კანონთა თუ ფორმულათა სახითა, ამოცვივდებოდნენ და  
შეპკრავდნენ კამარასა იმა პალმებზედაცა, ვეფხთა მაგვარა-  
და, ლომთა მაგვარადა; ესენი აქეთ შეპკრავდნენ კამარასა,  
იმას იქით აიტანდა კანკალი, — და პალმებსაც ეცინებოდათ,  
ფერმერთალ პალმებსა, გაცრეცილ პალმებსა.

ისევ ისე თუ ეცინებოდათ, — თითქთსაო, ითქმის, ოღონდ  
და რაო, რაც უნდა ითქვას, ლენტოს ასე ეჩვენებოდა.


იგვიანებდა მასწავლებელი, ანუ ასული იგი პროფესორ  
ბერთელისა.

წინკარი დედამისმა გაულო, ჯერ იმან გაიგვირა, აშვილდა  
წარბები, სად იყავი თუ რაღამ მოგიყვანაო, — როგორდაც  
ასე აშვილდა წარბები, თქმით მხოლოდ ეს უთხრა, მოით-  
მინეთ და გეახლებათო.

საით წასულიყო თუ სად მოეთმინა, — ამდენი იცოდა;  
იცოდა ის პალმები, ის დაფა, ის ხელსაწყოც გაიხსენა, ზედ  
ეხატა და გაიხსენა, გაახსენდა დავალებაცა, ოღონდ ესაა  
და მხოლოდაც ესაა, სხვა ვეღარაფერი გაიხსენა, ვეღარცა

კანონით, ვეღარცხა ფორმულაო, ანთუ რათ, რაც ერთია, სამეცნიერო  
მეორეო, ერთი შეწვი და მეორე ზედ შეაცხეო, განკურისა  
თუდა ინუგეშებდა თავსა, კარგი ანდაზაო, მოიწონებდა და  
გულს გადააყოლებდა მცირე ხნობითა. მასწავლებელი იგ-  
ვიანებდა, თუმცა არც ითქმის, იგვიანებდათ, აყოვნებდა გან-  
გებისადა, ეგება ცოტა რამ გაიხსენოსო, შეემზადოსო, გა-  
ნეწყოსო. ლენტოც ასე ვარაუდობდა, შეემზადებოდა, განეწ-  
ყობოდა, გახსენებისა რა მოგახსენო, აյ საქმე უზურში ვერ  
მოდიოდა, თუმცა ვითომდა რატომაც არათ: ხელსაწყო ეხა-  
ტა, ბურთულები გამოყვანილიყო მკაფიოდა A და B-ბურ-  
თულები, სხვა ნიშნებიც იჯდა თავთავის ადგილასა, — რად  
არ უნდა მოსულიყო უბურში?.. არ მოდიოდა და..

ის მაინც შემოვიდა, სუსტი ქალიშვილი, ფერმკრთალი  
თავისი პალმებივითა, გამხდარი, ჩასლუტული, ელვართვა-  
ლებიანი, — ეს იყო და ესა, ძალაც ეს გახლდა, ვონიერება-  
ცა, სილამაზებდაც ეს ითქმოდა თუ რამე ითქმოდა, თუ სა-  
ამისოდაც ენას ვინმე დაასველებდა, შემოვიდა და მიესალ-  
მა თავის დაკვრითა, სხვა არაფერიო, არც არაფერიო, თუნ-  
დაც ბაგეც არ გაუხსნია, სულ თღნავადაც არ გაუხსნია.  
ეს აიზიდა, აიმართა ნელნელიადა, აიტოქა, სალამის სიტყვაც  
ამოიძახა რიხიანადა, მართალი კაცივითა. იმან ხელი ჩაიქ-  
ნია მოსხეპითა, მარცხენა ჩაიქნია, მარჯვენა მიმართა ნა-  
ხაშსა. ესეც უმალვე დაემორჩილა, დაემორჩილა მარცხენა  
ხელსა, ჩაჯდა უმალვე, მარჯვენას ვერა, ვერა და ვერ და-  
ემორჩილა, ვერ დასძრა კრინტი და პალმებმა ხითხითი მორ-  
თეს, ეს გაიღრიჯა, თითქოს პალმებს მიუკო ნიშნიო. ის  
მიაჩერდა აუმღვრევლადა, თითქოს თუ ვერას მიმხვდართ,  
გაპხსნა ბაგეცა, თითქოს თუ კიდევაც უჩურჩულებსო, თით-  
ქოს აქეზებსო, ნახაზს უნვენებს და აქეზებსო, აბა შენ იცი,  
აბა თუ რთვორ გამოიჩნ თავსაო. ეს აიწურა, მეტი არაფერი,  
აიწურა და გაისუსა. პალმებმა სიცილი მორთეს, ერთადაც  
როდი, — ჯერ ერთი იცინოდა, მერე მეორეი, ენაცვლებოდ-  
ნენ ერთიმეორესა. იმან ცარცი აიღო, მასწავლებელმა რადა  
თქმა უნდა, ანთუ ცარცი აიღო მეუფემ ჯუნგლებისა, ამოც-  
ვივდებოდნენ მხეცებიცა, ის შეიძყრობდა, დაიმორჩილებ-  
და, ათამაშებდა თავის ნებაშედა იმ თეთრი ნატეხითა, ცარ-



ცის ნატეხითა, მხოლოდ ამას ვერ ათამაშებდა, ვერ მოუდებდა  
ვინიერა ვერანაირადა ეს ყოვლად უდგრეში, ჯუნგლებში კა-  
ბინადრებზე ბევრად უდგრეში; იმან ცარცი აიღო, გამოსახა  
პირველი ნიშანი. ამან დაიქნია თავი, ეგრეაო, გამახსენდაო,  
ვითომ რო გაახსენდაო, საგულდაგულოდ დაიქნია თავი, ისე  
რო პალმებს აარიდა თვალი. იმას იმედი მიეცა, შემდეგიო,  
მოსთხოვა. მხრები აიწურა ამანა. აიწურა მაშინ იმან ტო-  
ლობის ნიშანი დასვა, დასვა და მიაჩერდა, მიაჩერდა და  
დაელოდა. ისევ აიწურა მხრები ამანა. აიწურა. აიწურა.  
მაშინ გაცხარდა ცარცი, ნაპერწკლები გაპყარა დაფაზედა,  
გაპყარა, გაპყარა, გამოსახა ფორმულაი ელვის უსწრაფესადა  
და ძირს დავარდა. და ჩაპქრა ნაპერწკლები და აღარცა ელავ-  
და თვალები და აღარც პალმებს ეცინებოდათ. იმან თითები  
შეიწმინდა, ცარციანი თითები. ამან ჯიბეში დაიწყო ფათუ-  
რი, ფანქარი უნდა პქონოდა, რვეული უნდა პქონოდა, იცო-  
და, არა პქონდა, ღლონდ უნდა პქონოდა და ეძებდა ამიტომა.  
დამდგარიყო წუთი უმძიმესი, არ ემსებუქებოდა აქამდისაცა,  
ოღონდ ეს მაინც სულ სხვა რამ გახლდა, თუ გადალახავდა,  
თითქოს აღარა უჭირდა რაო, მხოლოდ თითქოსაო, მოჩვენე-  
ბითიაო; დამდგარიყო წუთი უმძიმესი და სუფევდა ღუმილი,  
ისეთი ღუმილი, ფათური ისმოდა, ჯიბეში ფათური, ცარცი-  
ანი თითების წმენდაც ისმოდა; დამდგარიყო წუთი უმძიმესი  
და ბევრი რამ უნდა მოპყოლოდა იმა წუთსა, ბევრი რამაო,  
ოღონდ ყველას რო ჩამოვეხსნათ, დათხოვნა მაინც უნდა  
შოპყოლოდა, ყველაფერი აქეთ მიდიოდა, ბოლობოლო ეს  
უნდა ყოფილიყო და ეთქვა ბარემდა, ეთქვა, წადიო, იმანაც  
პირ უთხრა, — ელისომა, წადიო, უთხრა და ქვეყანა არ დაქ-  
ტეულა, უთხრას ამანაცა, უთხრას, წადიო, ალბათ ქვეყანა  
არც ამით დაიქცევა. ეს გაექცა, ლენტო ცხადია, გაექცა და  
ისევ მობრუნდა, არ დაუთხოვნია და იმიტომ მობრუნდა,  
დაითხოვოს და აღარ მობრუნდება. ის სხვაა, იქ რო მიბ-  
რუნდა, აქ აღარ მობრუნდება, უთხრას წადიო. კიდევაც აპი-  
რებს, აპირებს თქმასა, დამდგარა წუთი უმძიმესი თუ თავდება  
წუთი იგი, აი აპა, გააპობს ბაგესა, ანთუ რა ბაგესა, რაღაც  
შრილსა სიფრიფანასა, რაცაა თუ როგორიცაა, გააპობს და  
ეტყვის, აი აპაა, აი აპაა:

— ძალა, რომლითაც ორი წერტილოვანი მუხტი ურთი-  
ერთმოქმედებს, პირდაპირპროპორციულია მუხტების უფლის  
დიდისა, უკუპროპორციულია მათს შორის მანძილის კვალ-  
რატისა და მიმართულია ამ მუხტების შემაერთებელი წრფის  
გასწროვ. — პოდა აპაა, ეს წარმოსთქვა დაბალ ხმაზედა,  
ოღონდ მკაფიოდა, შთამბეჭდავადა, პედაგოგის ხელოვნე-  
ბითა.

და მოთავდა იგი წუთი, წუთი გაუსაძლისი, გაუძლო და  
აათავა უღელტეხილი, რახან აათავა, ჩამოათავებდა კიდევა-  
ცა, არც ეს იქნებოდა აღვილი, რა უუყოთ მერე, ჩამოათავებ-  
და მაინც როგორმე, ჯერ აათავა და ამოისუნთქა:

— პო... — ასე გამოთქვა შვებითაცა და, ვითომდა რაო,  
გამახსენდათ, ამის ნიშნადაცა.

— გაიმეორეთ!..

გაიმეორა. გაიმეორა თუთიყუშივითა, ისე ვერა, ვერც გა-  
იმეორებდა ამგვარად დალაგებულ წინადადებასა.

— დაწერეთ!..

დაწერა. დაწერითაც დაწერა. საკვირველია, აქამდისაც  
მიპყვა.

მანამდე წაშალა იმანა, ამას თვალიც არ დაუსამსამებია,  
ისე დაწერა, ისე უშეცდომოდა, გაიმეორა უშეცდომოდა, ეგეც  
აღმართიო, გადასახედი უღელტეხილისათ, მერე თუ რა იქ-  
ნებოდა, არც არაფერიო, აქ მაინც არ უჭირდა, დაწერდა და  
გაიმეორებდა, დაწერდა და გაიმეორებდა, აღარაფერი შე-  
ეშლებოდა კეტიც რო გადაელეწათ თავზედა, არც არასოდეს  
დაივიწყებდა თუ სხვას აღარაფერს აუსნიდნენ, დიას, დი-  
ახო, თუ აღარაფერს მიუმატებდნენო, — ეს იყო ჭირი, ვაგ-  
ლახი ეს გახლდა, ამას რო არ დაჯერებდნენო, ან რა თქმა  
უნდა, ანთუ რაღა განმარტებანიო. და მოსდევდა კანონი გა-  
ნონსა, ფორმულა ფორმულასა, მოსდევდა და მოსდევდა,  
მოსდევდა და მოსდევდა უდასაბამოდა და აურაცხელადა,  
იტვიფრებოდა ერთი ამის ტვინზედა, მეორე შლიდა, ერთი  
მეორესა შლიდა, ბდლვნიდა, გლევდა, ფლეთდა, ანაკუწებ-  
და თუ დღვებავდა, სრესდა თუ ჰყულეტდა, დამართებდა ათას-  
გვარ ჭირსა და დარღუბალასა. არც ასე გახლდა თავდაპირ-  
ველადა, მერე და მერე დარია ხელი, ხელი დარია და ამო-



იდო ქვეშა- რაღაც იღონა თავდასაღწევადა, უგება გასტრის  
ეგება ეშველთს: ჯერ აგერ აი აათავა ულელტეხილზე, ტურის მეტა  
სენა და გაიგო, ჩაებეჭდა, ჩაედუღაბა ტვინშია, და აი აპაა,  
ჯდება ისევ თავის ადგილასა, ახალი გაკვეთილი იწყება, აპა,  
ისევ დაფასთანა დგას სუსტი ასული, ჩასლუტული ასული,  
ტერეფა გოგო, ლასტივით გოგო, მასწავლებელი და მე-  
ტი არაფერი, არაფერი, გატაცებული თავისი ახსნითა, დგას  
და მეტყველებს, წერს და ხსნის, ხსნის და შლის, შლის და  
წერს, ფორმულებით აღავსებს დაფასა, წაშლის კვლავაცა,  
კვლავაც აღავსებს, იმეორებს და უმატებს, ძველსა თუ ახალს  
შეუფარდებს ერთიმეორესა, დაანაწევრებს და შეაერთებს,  
განმარტავს და კიდევ განმარტავს, კიდევდაკიდევ მონდო-  
მებითა, კიდევდაკიდევ დაბეჯითებითა; და აი აპაა, მაინც  
არაფერი გაეგება ამასა, რაღაც იღონა, — იღონა მაშა, მაინც  
არ გაეგება, აღარ გაეგება აღარაფერი, დაფისა არ გაეგება,  
ახსნისა არ გაეგება, სხვა რამ გაეგება, სხვა რამეს შეუბო-  
ჭავს, დაუურვებია, დაუღვედია სხვასა, დაფა გაძეცევია ამი-  
ტომაცა, ფორმულები აღრევია ამიტომაცა, სიტყვები აპურ-  
დვია თუ გაპტანტვია ამიტომაცა, — ეს გოგო უნდა, გოგოდ  
უნდა, ეს ტერეფა, ეს ჩასლუტული, ლასტივით გოგო, ეს  
უნდა, ესა, მეტი არაფერი. ასე არ იყო თავდაპირველადა,  
გოგო არ იყო ამისთვის გოგოდა, არ იყო და არც იქნებოდა,  
ასე ფუჩეჩა რა გოგო იქნებოდა!..იყო მხოლოდია მასწავ-  
ლებელი და კიდევაც გაეგებოდა, და კიდევაც დაისწავლიდა,  
ადვილადაც გაიმეორებდა, შესტრაბახებდა ელისოსაცა, სა-  
უცხოო რამ მასწავლებელი გამომადგაო, განა თუ მასწავლის,  
ტვინში მიბეჭდავსო, — პო, პო შესტრაბახებდა ელისოსა-  
ცაო, ჯერ რო ბეჭედი არ გამოეჩინა ელისოსა, ჯერ რო არ  
დამტრიხალიყო ლენტო, კიდევ რო ათრობდა, აღავსებდა  
სიყვარულითა, როგორდაც უცნაური, ათროლებული სიყ-  
ვარულითა. მაშინ რა უჭირდა, — გოგო გოგოდ ახლდა, მას-  
წავლებელი მასწავლებლადა, — არ უჭირდა, არაფერი უჭირ-  
და. მერელა აირია, მონასტერიო, იტყოდნენ ხოლმე, რაც  
აირია, აირია, — ეს აირია თუ აიფუტქა, სხვა არავინა თუ  
სხვა არაფერი, ის ისევ ფუჩეჩა ასულად დარჩა, ისევა მშრალ,  
ისევე ტერეფა ასულადა, ისევე ზომიერ და გულმოდგინე

მასწავლებლადა, ოღონდე ესაა, ხანდახან მაინც გადაპირდაცია  
გაკვირვებითა, რა დაეტართა, რამ დააბნია, რამ გამოს-  
ლაო, დაეხსნა მერე გაკვირვებასაცა თუ ძიებასა, რამ გამოს-  
ცვალაო, დაეხსნა და გაუმჯაცრდა ზარმაც მოწაფესა, ანთუ  
რატომლაც გაზარმაცებულსა. პალმებმაც მაშინ მორთეს სი-  
ცილი, ფორმულებიც მაშინ დაემგვანენ ჯერ ლეპვებსა,  
მზვარებზე სალალობოდ გამოსულ ლეპვებსა, მერე იზარდნენ,  
მხეცებად იქცნენ, ბდლვინავდნენ, ღმუოდნენ, ყალყზე დგე-  
ბიდნენ, კამარას შეჰქრავდნენ, — ასე აირია მონასტერი,  
ანთუ მონასტერი არაო, ეს აირია, ნდომა მოერია და აირია,  
მიხვდა, როგორც იქნა, შვიდ თვემდის ვერა, მერელა მიხვ-  
და, უკეთ იგულისხმა, ამისგან იქნებაო, ისიც ახსოვდა, თუ  
მოპრუნდები, მოგიტევებო, და მოუპრუნდა, და იდგა მშრალ  
ხიდზედა, იდგა და იდგა, მერე პო ის იყო, — რაც იყო, ით-  
ქვა; ორშაურიანსაც პო აწვალებდა ჯიბეშია, — აქ უნდა და-  
ერეკა, ვეღარ მოვალო, მერე პო ის იყო, — რაც იყო, ითქვა,  
ეს იყო, ეს იღონა, მასწავლებელი რო შერჩენოდა მასწავ-  
ლებლადა, და თურმე ვერ იღონა, ვერაფერი იღონა; ისევ  
ისევე ებურებოდა თვალები, ინუსხებოდა, იძაბებოდა, ითან-  
გებოდა თუ ბრუვდებოდა იღუმალებითა, ბრუვდებოდა და  
იან მიმხვდარიყო, მიმხვდარიყო და ერიდებოდა ისიც არ  
მიხვდესო, ერიდებოდა და იბნეოდა მომეტებულადა. დრო-  
დადრო თითქოს გამოფხიზლდებოდა, იმედოვნებდა, თავს  
მოვერევით, თითებს იმტკრევდა, ატკაცუნებდა თითებსა,  
მხოლოდ თითებს ჩასციებოდა, აღარ შეჰქურებდა ი მოლიჯ-  
ლივე პალმებსა, აღარც მასწავლებელსა, — მასწავლებელს  
სულ აღარა, იმტკრევდა და იმტკრევდა თითებსა. მასწავლე-  
ბელიც იმ თითებს მიაჩერდა, ცარცი დააგდო და მიაჩერდა,  
ჯერ თითქოს შეამცივნა, ერთი შეძაგძაგდა, მერელა დააგ-  
დო ცარცი:

— ამით დავამთავროთ! — მოსჭრა მკვეთრადა.

— პოთ... — ამოისუნთქა ლენტომა, მართლაც შვებით  
ამოისუნთქა.

— ამით დავამთავროთ, — გაიმეორა პტოფესორის ასულ-  
მა, — და...ვა...მთავ...როთ — ჩამარცვდა მკაფიოდა, — რა ვუ-  
ყოთ, დავამთავროთ...

— ჰა? — თითქოს შეეტვდა ლენტოიო, აიწია და ჩაჯდა,  
თითქოს აღარც ადგებაო.

— დავამთავროთ!.. — იგივე გამოსთქვა და შვებითაც  
ამთისუნიქა პროფესორის ასულმა.

— ესეიგი?.. — იკითხა ლენტომა, იკითხა და თვითონვე  
მიუგო. — აღარ მოვიდე?..

— არალა!.. — ულმობელი იყო პასუხის პასუხი, ანთუ ქი-  
თხვიანი პასუხის პასუხი.

— აღარა.. — გაიმეორა ლენტომაცა და გაიღრიჯა უაზ-  
როდა თუ სულელურადა.

— ვწუხვარ... — თანაუგრძნო მასწავლებელმა.

— არა... რათა... — კვლავაც უაზროდ გამოსთქვა ლენ-  
ტომა.

— ჯერ არავისთვის მისწავლებია, ასპირანტობა მასწავ-  
ლებლობა არაა რა თქმა უნდა, პირველი შემთხვევა მომქ-  
ცა, დავმარცხდი.

— პირველი მარცხი გამარჯვების საწინდარიაო. — ანუ-  
გეშა ლენტომა.

— სადაური ანდაზა?

— ნარდში იციან.

— ნარდს არა ვთამაშობ.

— პო... — ისევ გაიღრიჯა ლენტო.

— პოდა დავმარცხდი.

— ჩემი ბრალია.

— მაინც მე დავმარცხდი.

— უპეთესი მოწაფე რო შეგხვედროდათ?..

— უპეთესსაცა პგავდით დასაწყისში.

— პოთ... — გაიბადრა ლენტო.

— დიახ!..

— ეგედა მრჩება ნუგეშად მის იმედისა დიდისაო, — ოდ-  
ნავადაც ამოიხსრა ეგრე გაბადრულმა.

— რაღაც თუ მოხდა, ეგება აფალაცა ხართ, ექიმს ეჩვი-  
ნეთ, ეგება გადაიღალეთ, დაისვენეთ, მალლონე აღდგება,  
უნუგეშო არაფერია.

— ისევ მიმიღებთ მერე?

— არა, მე აღარა... მე დავმარცხდი.

— ეგება?

— ხელახლა გვეცადა?

— პო, პო, დიახ...

— მე დავმარტიცხდი. ოღონდ მაინც ნუ შეფიქრიანდებით, მამაჩემი მოწადინებულია, სხვას გამოვიძებნით, უფრო გამოცდილსა, მოწაფეების მეტი რა გააჩნია!


— რა ვიცი...

— მე გარწმუნებთ. მე გემშვიდობებით.

— მშვიდობით. — ამოილულლუდა ლენტომაცა, აკოქრებოდა ფერმქრთალი ლაწვებიცა, თოხა კბილებიც გადმოეყარა, ვითომდა საამურ რამეს ისმენსო; სკამსაც წამოედო, გადაელობა სკამი.

— ოღონდ შეიცადეთ ერთი წუთითა, — ისევ ასულმა ბრძანა, — შინ არის მამაჩემი, იმასაც მოვახსენებ. — და გაპქრა ასული, სუსტი, მილუული, გაცრეცილი ასული, გაპქრა ამისთა თვალთაგანა, ამის ცხოვრებიდან გაპქრა, უეცრად მოვარდა, ააფორიაქა და გაპქრა უეცრადვე, — ააფორიაქა!.. სასეიროც ეგ არის, რო ააფორიაქა, ვისაცთუ ვერავინ აეფორიაქებინა აქამდისა და ვერცთუ ამიერიდან ააფორიაქებდა ვინმესა, სასეიროც ეგ არის და გამოსაცნობიცა; რაც არის, არის, მთავარი ჰქეუა მაინც დაეკარგა და რა ეშველებოდა, აღარ იცოდა, ანთუ პროფესორი რაღას უშველიდა, ვეღარ გაეგო, მასწავლებელს თუ შეუცვლიდა, მერე და რაო ვითომდა ლენტისა, ლენტო პო არ გამოიცვლებოდა, — არ გამოიცვლებოდა და ვითომდა იმდენს რას შეეწეოდნენ გამოცვლილი მასწავლებლები? არც გამოიცვლებოდა და სხვა რამ საბაბიც გამოუჩნდებოდა, რასან გულისყური აღარა პყოფნიდა, რახან გონება ეფანტებოდა, რა ვუყოთ თუ სწყუროდა ატესტატი სიმწიფისა, სწყუროდა ცოტა არ იყოს გადამწიფებულ ახალგაზრდასა, სიმწიფის ატესტატი სწყუროდა ისე, ლამის სული ებუგებოდა, რა ვუყოთ მერე იოლადაც თუ არ მოიპოებოდა უდროუდროსა; არც იოლად მოიპოებოდა, არც იქნებოდა უიმისოდა, — არ იქნებოდა, გზა ვერ გაეკაფა უიმისოდა, ვერც გაიკაფავდა, ერთ საფეხურსაც ვერ აინაცვლებდა, ვერა, ვერ აინაცვლებდა, ისევ უნდა ეთრია აპარატები თუ ვეება შექურები უიმისოდა, ისევ უნდა აეს-



რულებინა ბრძანება ყოველთა, თითით მინიშნება  ყოველთა, განაფიქრი თუ ზრახვანი ყოველთა, თვითონ პრეც: წყდება ეფიქრა უიმისოდა, მცირე ხელფასსა თუ შემოსავალს უნდა დასჯერებოდა, ვერაფრით ვერ უნდა გაეხარებინა დამტანი უიმისოდა, ვერც გაეხარებინა, ვერც გაეძღვო, ვერც შეემოსსა, უიმისოდა, უიმისოდა, უიმისოდა, — რაოდენ შემძლე ეგონა თავი, არც რა შესძლებია უიმისოდა. და გამშრალა ფმაწვილ-კაცი, გამშრალა სინანულითა, დაკარგულის ამოგება მოუნდომებია გამშრალ ყმაწვილსა, მეტიცა ყოფილა წყურვილი, ოლონდ ეს მაინც მეტისმეტი ყოფილა. და იდგა, ელოდა, დაპყურებდა იგივე სკამსა, რომელსოუ წამოედო, დაპყურებდა გამშრალი და მწყურვალი, უმწეოდ დაპყურებდა, უაზროდ დაპყურებდა.

უაზროდათ, არა, — პო უაზროდა და ვერც მერე მოიკრიბა დიდი რამ აზრი, პროფესორთან რომ იხმეს; ამან პო ვერ მოიკრიბა და ვერა, ისიც ძალასიტანდა, დაღლილიყო თუ გაძეჩრებულიყო, ძლივს გამოსთქვამდა გამოსათქმელსა, მალიმალ შებლზე ხელს გადაისვამდა, ოფლის ცვარს იწმენდდა თუ ბინდს იშორებდა გონებიდანა, არც რა შერჩენოდა ძველი მხურვალებისა, საიუბილეო დღეებისა რაღა თქმა უნდა, ანთუ იმისა, იმა წუთებისა, სამონადირო საჭერველს რო ისხამდა და უწინასწარმეტყველებდა ლენტოსა, დიდი რამ ხელოვანი დაღვები, თუ გნებავს, დიდი მეცნიერიც გამოხვალ, ოლონდ უნდა მოინდომოთ. იფ! კარგი რამ იყო, არა? მხურვალება არ შერჩენოდა ერთისიტყვითა, „მონდომება“ მაინც შერჩენოდა: მასწავლებელი რას გიშველისო, ვინც უნდა იყოს, როგორიც უნდა იყოს, რას შეგეწევა, შენკე თუ არ მოინდომეო, — შერჩენოდა და იმეორებდა დუნედა, უნდილადა, რამდენი ხელს გადაისვამდა შებლზე-და, იმდენი დუნედა, იმდენი უნდილადა. მაინც კეთილიო, დასძენდა ამასაცა, იყოს შენი ნებისადათ, ვთხოვ ვინმესაონ ჩემს შეგირდთაგანაო, ოლონდ მანამდე დაისვენეთ, ცუდი არ იქნება, ექიმსაც თუ ეჩვენებიო, იმოგზაურეთ, იმოგზაურეთ. იფ! კარგი რამ იყო, არა? მაგრამ ვაი, რომ არ ემოგზაურებოდა ლენტოსა. და აღარ უნდოდა, თვალი გაესწორებინა პროფესორისთვისა. და არც დაეძებდა პროფესორი ბერ-



თელი იმის თვალებსა, სჯერთდა ძალა თავისი სიტყვების, აღარ ინდომებდა ზემოქმედებას თვალისა თუ ხელის პირების ნებითა დამთავრებულადაც თუ მიიჩნევდა საუბარსა, მოკითხვას აბარებდა კოტესთანა, კოტე ბლოელთანა, თავის კეთილისმყოფელ რეჟისორთანა, მოკითხვასაც აბარებდა და ოდნავადაც წამოიწია, ხელი მაინც არ გაუწოდებია, ისევ შებლს ისრესდა თუ ეფერებოდა თავისსავე შებლსა. რაც უნდა იყოს, სხვას გამოგიძებნით, მაინც პო დაპირდა, შენვე უნდა მოინდომოთ, ასეც დაარიგა, და სხვა რა ედონა პროფესორ ბერთელსა, პროფესორი გახლდა, ღმერთი პო არა, — და თუნდაც ყოფილიყო ღმერთიცა, იგივეს ურნევდა, ერთი არაკისა არ იყოს, კაცი რთ იხრჩობოდა და ღმერთს ეველრებოდა, მიშველეთ, ხელი გაანძრიე და გიშველით, წამოსახოდა ღმერთი. ამასაც თუ შეპკვროდა ხელი, ახირებულად მოსდებოდა ნდომა ამის გოგოსი და იხრჩობოდა, იხრჩობოდა, ანთუ მიუბრუნდებოდა ისევ ელისოსა, ანთუ ვეღარ მიუბრუნდებოდა და იხრჩობოდა, იხრჩობოდა, — უძახე, ხელი გაანძრიეთ, რჩევა ადვილია, ადვილია დარიგებანი და ღმერთსაც მეტი არ შესძლებია, სხვა ისეთი რა უნდა ყოფილიყო თუნდაც პროფესორი ბერთელი, რაც იყო, თუ როგორადაც იყო, წამოიქოჩირა უეცრად ლენტო, მოერთა წყურვილი საშინელებისა, მიწისძვრა მოუნდა, მოუნდა ხანძარი, დამბუგველი, წარლვნა მოუნდა მეორედ მოსვლისა, ანთუ რაც უნდა ყოფილიყო, ოღონდ ისეთი, გმინვას მოეცვა იქაობათ, განწირულთა გმინვასა, საყოველთათ განწირულთა, — ავი წყურვილი მოერთა და ისე გაითანგა, თითქოს ამოქარდა სული უკანასკნელი, სუნთქვა უკანასკნელი. წამისა გახლდა განცდაი იგი, ანთუ განცდაც არ დაერქმეოდა, წამონთება თუ იყო წამიერი, ავი, უაზრო, გაუგებარი, რაც იყო, იყო, ჩაწყდა უმაღვედა, ვერც თვითონ აპყვა და არცრა აპყოლია, არცრა იგძნობოდა საბედისწერო, არცრა ირღვეოდა ქალაქმია, სუფევდა წესრიგი საოცარი, იდეალური, რთ ინატრებდნენ, რთ ქადაგებდნენ, სწორედ ისეთი, ისეთი საოცარი. მინარნარებდნენ ტროლებუსნი, ავტობუსნი, მიცურავდნენ მსუბუქი მანქანანი, ლაღადა, რხევითა, ნიავსაც გამოსცემდნენ სულ მცირესა, მცირედად ირხეოდნენ ჭადარ-

ნიცა. უქმად ეყუდნენ მილიციელნი, საოცარი სიშვიდე და გადა  
ნა ხალხსა, თითქოს არასოდეს ამღვრეულაო, არც მოწყობიდა ამდღვრევაო, — ეს ხალხით, ადამიანნით, შენობანი მითუმე-  
ტესადა, შენობანი ზვიადნი, მთანი ზვიადნი, შემოგარენი ქა-  
ლაქისანი იდგნენ ურყევადა, ურყევ ბურჯებადა. პოდა ასეო,  
არცრა აჰყოლოდა, არცრა აჰყვებოდაო, ამაოდაც აფეთქე-  
ბულიყო თუნდაც წამიერადა. ვინ უწყის კიდევ რამდენი ასე-  
ვე, აფეთქებულიყო, რამდენი აეტანა შურსა თუ მრისხანე-  
ბასა, წამი რა არის, გაუნელებლადაც აეტანა, — აეტანა და  
აეტანა, არცრა ყოფილა შერი თუ რისხვა იმედდამსხვრე-  
ულთა, მრისხანება არაფერი ყოფილა იმათი, ოღონდ ძლი-  
ერთა შერი ყოფილა საშინელი, ოღონდაო და ოღონდაცაო,  
შერი ძლიერთა, მტაცებელთა, ბევრჯერაც რო დაუქცევია  
თბილის-ქალაქი, დიდებული ქალაქი, დიდებული და მშვე-  
ნიერი, — დაიქადოს ყველამ თავისი, ინეტაროს ყველამ თავი-  
სითაო, ლენტოსი ეს არის, ამითი ანთებულა თუ ანთებულა,  
თუ აენთება, ისევ ამისგანა, ამისგანვე გათანგულა, აქ უნდა  
ადგილი, მოსაკიდებელი, ამის ქრქოლას აუტანია, სამკვიდ-  
რო აქ უნდა და, რო ვერა პპოვებს, სულის კაწკაწიც ამას  
მოპყოლია, დაბნეულებაც ამისგანაა, რო ვერა პპოებს, რო  
ვერა პპოებს... თორემ რაო, ვითომ რაო ი ფუჩჩა გოგოი...

## VII

„...და ერთმან მათგანმან მრქვა მე: ნუ სტირ...“

იქავე იცოდა, ვერ აღასრულებდა პროფესორის რჩევა-  
დარიგებასა, ოღონდ მიიტანდა დანაბარებს მაინცა, უპეთუ  
მოკითხვას გადასცემდა კოტე ბლოელსა, აღვილი იყო, გა-  
დასცემდა რაღა თქმა უნდა, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოუხერ-  
ხდა, ესეც გაუჭირდა, ასე უბრალო რამეც გაუჭირდა, დარ-  
ღვეულიყო, დაშლილიყო, დაფუტკნულიყო და თუ ერთი  
დაიფუტკნა ადამიანი, ვეღარასოდეს აეწყობაო, მაინც მოკი-  
თხვაც ვერ გადაეცაო და მერე როგორაო, ცისმარია დღე  
ერთად რო იყვნენო, — მიდი და პკითხე, ანთუ ვითომ რა  
საკითხავია, იყვნენო და იყვნენ, შედგადიოდნენ ერთადა და  
ერთდროულადა, ანთუ ისხდნენ, ისხდნენ ერთადა, ისხდნენ

და ელოდნენ. ერთადაც მიადგებოდნენ, ვთქვათ თუ ერთ შე  
ხოპასა, ერთადაც შევიდოდნენ და ერთადაც დაბორიმდებოდნენ  
ნენ, რეეისორი თავისასა ბრძანებდა, რეეისორი, პნეუმატიკური  
ტე ბლოელიო, ოპერატორი — თავისასა, ოპერატორი, ოდ-  
ონდ ლენტო არა რაღა თქმა უნდა, ტექსტის ავტორი — კი-  
ლევ თავისასა, ყველა ბრძანებდა და ეს ერთი ასრულებდა,  
ლენტო ასრულებდა ყველა ბრძანებასა, ანთუ დაათრევდა  
აპარატებსა აღმა თუ დაღმა, დაათრევდა ვეება შექურებსაცა  
აღმა-დაღმაცა, ვესტიბულებსა თუ დერეფნებშიაცა, დარბა-  
ზებსა და ლაბორატორიებშიცა, დაათრევდა გაბეზრებული.  
ბრძანებდნენ ისინიცა გაბეზრებული თუ გულგაწყალებულ-  
ნი, საქმე რო ვერ აეწყობოდა, გაემზადებოდნენ და უარიც  
ითქმოდა, ანთუ მკაცრი, ანთუ მსგავსი თხოვნისა, ცოტა  
გვაცალეთო, რაღაცა გვაკლიათ, ვიღაცა გვაკლიათ, აცდიდ-  
ნენ ესენიცა, გაემზადებოდნენ და აცდიდნენ, აცდიდნენ და  
მაინც რაღაცას მოისაკლისებდნენ, — ეს ისინი, ამათ ვერ  
დაეწყოთ, თორემ მოისაკლისებდნენ ესენიცა, ანთუ ვინმე-  
საო, ანთუ რამესაო, ყოველშემთხვევაში ჯერ იმათ აკლდა,  
ესენი ბუზლუნებდნენ, ანთუ ეპასუხებოდნენ, ეპასუხებოდ-  
ნენ გაგულისებული თავაზიანობითა, ანთუ გარბოდნენ საღ-  
მე თუ საითმე, — ვთქვათ იმ ხანებში, ქუჩის გადაღმა, ვე-  
ება დარბაზში, გარბოდა რეეისორი, ოპერატორი მიპყვე-  
ბოდა, მერედა ლენტოი, რაც შეეხება ტექსტის ავტორსა თუ  
სცენარისტსა, ანთუ წინ მოექცეოდა, ანთუ წამორჩებოდა,  
ანთუ სულაც გადაიკარგებოდა, ეს სამნი მაინც წამოსხდე-  
ბოდნენ იმა დარბაზშია, სვამდნენ „ტარტუნასა“, ციცქნიდ-  
ნენ ხაჭაპურსა და ბუზლუნებდნენ, ორნი ბუზლუნებდნენ,  
რეეისორი და ოპერატორი, ლენტო არათ რაღა თქმა უნდა,  
ბუზლუნის ნება რო მისცემოდა, უნდა პყოლოდა ერთი ხელ-  
ქვეითი მაინცა, — არცა ჰყავდა და არც ეყოლებოდა, ისე  
ბრუნავდა იმისი სარგო წუთისოფელი; ანთუ ვითომ რა  
ებუზლუნა? აიტანეთ, — აიტანდა, გაიტანეთ, — გაიტანდა,  
წამოიღეთ, — წამოიღებდა, მეტი არცა ეკითხებოდა, არცა  
კითხულოდდა, ისე, თავისთავად თუ გამოარჩევდა თუ რა  
მომხდარიყო, თუ რას ელოდნენ; გამოარჩევდა, ახალი საკ-  
ვლეო დაწესებულება რო მოეწყოთ, რიღაცის ფილიალი თუ

სულაც ინსტიტუტი, რაღაც ახალს რო ეყრებოდა საფუძველი, რაღაც ახალსა თუ დიდმნიშვნელოვანსა, მოსკოვის მეცნიერებებისა და რო გახდდა კიდევ ერთი ლაპორატორია, მოსათავებელი თუ რაღაც პატარა დეტალი აკლდა, სულ პატარა, პატარა, მეტი არაფერი, იმასაც მოარგებდნენ და მსგავსი რაიმე არ იქნებოდა თურმე არსადა, არსად ამა ქვეყანაზედა, რო უნდა გაეხსნათ და გახსნას რო უნდა დასწრებოდა წარმომადგენელი მოსკოვისა და რო უფროსია ამა მომავალი სათცრებისა უკვე სოხუმს გაფრენილიყო მოსკოველი წარმომადგენლის შესასკოდრადა თუ შესაგებებლადა, — ამდენ რამეს გამოარჩევდა, იმა უფროსთა, თავის უფროსთა ბუზლუნიდანა, გამოარჩევდა და იყო თავისთვისა, არც აპყვებოდა იმათ ბუზლუნსა; იყო და ისხდნენ, წრუპავდნენ „ტარხუნასა“, ციცქიდნენ გამხმარ ხაჭაპურსა, მეტი არაფერი იქ არ გააჩნდათ, არც არავინ მოსჩანდა, იყო დარბაზი, ვეება დარბაზი, ატაცებული სვეტებითა, ლითონ-პლასტმასის უამრავი მავიდითა, უამრავივე ხრიგინა ჰყამითა, იმავე ლითონ-პლასტმასისათ რაღა თქმა უნდა, საღდაც დახლიც მიკარგულიყო ხილის წვენების ჩამშრალი თასებითა, ოჩიაურისა და გურულის ჭედურობანიც მიკარგულიყო ვეება სვეტებზედა, ვეება ფანჯრების შუქშია, შპერუ შპერლიც დარბაზშია, შუშის დარბაზშია. ერთ რამედა ღირდა სახინკლისათვისა, ღირდა და რაო, მაგრამ რაო, რაო და არაო, ცდებოდა დარბაზი „ტარხუნისა“ და ხაჭაპურისთვისა, ისიც გამხმარი ხაჭაპურისთვისა, ციცქინა ყველი რო დაპოსკოდდა პურსა, ვითომდა რაო, ხაჭაპურიაო; ჰოდა წრუპავდნენ ისინიცა, ციცქინიდნენ ისინიცა და თუ მოინდომებდა მოკითხვასაც ადვილად გადასცემდა, მოკითხვასა პროფესორისა, გადასცემდა რაღა თქმა უნდა, ოღონდ ამას ისიც მოპყვებოდა, — დამითხოვაო პროფესორის ასულმაო, მოპყვებოდა უცილობლადა, ეს არ უნდოდა, ეს აღარ უნდოდა, ამიტომაც აეკრა პირი.

პირიც აეკრა და ცხვირიც ჩამოეშვა, ცხვირიც ჩამოეშვა და თავიც ჩაექინდრა. კოტე ლოდინით რო გაბეზრებულიყო, ლენტოზედა იყრიდა ჯავრსა; ე შენ რაღაო, ემანდ შენ რაღას მოჭმუხულხართ, ასწიე თავი, წარბი გაპსენიო. თავს ასწევდა ისიცა, წარბს ვერ გახსნიდა, ოდენ უხეიროდ გაიღ-



რიჯებოდა, ერთს გაიღრიჯებოდა და მყისვე დაუკარგებირებული  
და თავი, ლამის ცხვირი დაენაფა მაგიდაზედა. პო ჟეკტესტესია  
ეგრეთ, შენს ცხვირზე ამოიყარე ჯავრიო, — იღიმოდა თუ  
გაღიმებასა ცდილობდა კოტეცა, — კაცმა შეიძლება თავიც  
მოიკლას, თღონდ ცხვირს არ დაინაფავს, ეს ისე მწარეა,  
ისე საშინელი განაჩენია, თვითმკვლელობაზე საშინელიათ.  
ცხვირის დანაყვა რო მიესაჯათ სოკრატესთვისა, არა მკთ-  
ნია, შეესრულებინათ, თვითმკვლელობა რო მიუსაჯეს, ვი-  
თომც აქ არაფერიათ, დასცინა მსაჯულთა და აღისრულა  
განაჩენი მათი. მაშ აღსასრული უფრო ადვილი ყოფილათ  
ან ადვილი თუ იყო მხთლოდ მაშინა, როცა არ იცოდნენ,  
სად იყვნენ და სად მიდიოდნენ. ხოლო თუ ვიცით, სადა  
ვართ და საით მივდივართ თუ დაკარგულა სიხარული სიკ-  
ვლილისა თუ გამწარებულა სიკვდილი, ცხვირის დანაყვა მა-  
ინც უფრო მწარე გამოდის, ამისთვის ვედარ წაუჭარბებია.  
პოდა ასწიე თავი, ასწიე და გამაგრდი, გასალკლდევდი, უქო-  
ნელი გაცი ქვაზე მაგარიათ, სხვა რა დარჩენია, სხვა რიღა-  
თ და გაუძლებს წუთისოფლის ჭაბანწყვეტასათ, ხელი თუ  
შეეშლია, ეგ ვითომ რა არის, — ყოველთვის შეგეშლება  
ხელი, ყველასაც ეშლება ხელი, ყველასა, ყველასა, გამო-  
ნაკლისი არავინ გეგონოს, მაგრამ მაინც არავინ იმლის  
უღურსა, ყველა თავისასა ცდილობს, ნემსის ყუნწში გაძ-  
რომასა ცდილობს ყველაი, ყველა მიიწევს, მიიწევს ვაივაგ-  
ლახითა, რაც უნდა იყოს მაინც მიიწევს, მაინც შემოვცი-  
ნებს, არ გეგონოს გელი უცინისო, სიცილიც ვაივაგლახი-  
საა, ტირილია, მშრალი, უცრემლო, მაინც სიცილი შეკეთ-  
სია, ვაივაგლახისაც რო იყოს. შენ ემანდ ცხვირი ნუ ჩამო-  
გიშვიათ. შენც შენსას ეცადე, რაც არის ეს არის, რაც არის  
მცდელობაა, აზრიც ეს არის, შინაარსიცა, მიზანიცა უმიზ-  
ნობაცა თუ უაზრობაცა, რაც უნდა იყოს გაადვილება ესაა  
ცხოვრებისა, ეცადე და გაიადვილე, ეცადე და მიატანე იქამ-  
დისა, ეპა, იქამდისა, სადამდისაც მიგწვდენია თვალიო, მი-  
ატანე შენს ნდომამდისა, ეცადე და მიატანე, ეცადე და ეცა-  
დე, ეცადე და ეცადე, პო ეცადე, სხვა რათ თუ მიატან პო  
არა გვონია, მართლაც მიეწევი რაიმესა, მართლაც რაიმე  
დაგხვდება იქაო. შენ ეცადე, ეცადე, ემანდ ცხვირი ნუ ჩა-

მოგიშვია, მტერნი არ შევიძრალებენ ტირილითა და უწინეთს  
თაო. მე პო მე გვონივარ, დიდი რამეც ნუ გვონიბენ; მშენები  
ლოდ ეგაა, ცხვირჩამოშვებული არ გინახივარ, მეტი არაფე-  
რი, მეტი არაფერი, მომეტებულად ნუ წარმომიდგენო, წუ-  
თით შეიძლება მეც რამე დამემართოს, სიმძიმემ დამზიდოს  
თუ წამაფორზილოს, მაგრამ წუთისა იქნება ესა, ოდენ წუ-  
თისა, წუთით ყველაფერი შეიძლება, წუთის მერე არა, აღა-  
რა, წუთის მერე კატასტროფააო. ისევ იქა ვარო, მე პო მე  
გვონივარ, შენ პო ჩემი გშურს, მაგრამ იცი, რა ცეცხლი  
მიკიდია, ეთიმ გურჯისა არ იყოს, წყალში ვდგავარ, ცეცხლი  
მიკიდიათ. მოიცა, მოიცა, შენ რაო, ის არ გეჭაშნიკება, ჩემი  
გშურსმეტე, რომ გეუბნები? ევ არაფერიო, ნდომა და შუ-  
რი ვის გაუყვია, თუ გაუყვია, ზრდილობის გულისთვისა,  
ნდომაც შურია თავაზიანი. შენ ის იცოდე, სადაც უნდა იყ-  
ვე, ვერ გაექცევი გასაჭირსა, სადაც უნდა მოხვდე, გასაჭირს  
უნდა დააღწიო თავი, დააღწიო და ისევ დააღწიო, ისევა და  
ისევა, რაცა გაგაჩნია, იგივე გექნება, რაც მოგიპოვებია, იგი-  
ვეს მოიპოვებ, რაც ესაა, ის ისაა, რაც ისაა, ის ესაა, ესაა  
და ესაო, შენ ემანდ ცხვირი ნუ წამოგიშვიაო. — ასე წყრე-  
ბოდა თუ ასე ბუზლუნებდა კოტეი უსაქმურობითა და მო-  
ლოდინით გაძეზრებული, წრუპავდა „ტარხუნასა“, ციცქინიდა  
გამხმარ ხაჭაპურსა და ლენტოზე იყრიდა გულისბუხარსა,  
ხოლო შუაბოძიდან გადასცექეროდა ნაჭედობა შიშველი ქა-  
ლისა, გადასცექეროდა სიშიშვლე იგი, მიჩქმალული აქნობა-  
მდისა ფერწერაშიცა, ქანდაკებაშიცა, მუსიკაშიცა, ყველგან  
მიჩქმალული თუ აკრძალული, ჭედურობამ რო შემოაპარა...

თუმცა ერიპაა, საიდან სადაო, საით გადაპქნეს, საით  
გვეწევა?.. უმჯობესია ლენტოს მივხედოთ, კოტესაცა რაღა  
თქმა უნდა, ოპერატორისაცა, ისიც პო იქვე დასკუპებულიყო,  
ოღონდ მდუმარებდა, არცრას ამბობდა, არცვის უსმენდა,  
გამოუსადევად მიაჩნდა ნათქვამი კოტესი, ქადაგება კოტესი,  
უსტვენდა თავისთვისა, ოდნავ უსტვენდა თუ ფსუტუნებდა,  
იხსენებდა ვინ უწყის სადაურ სიმღერასა, რადიოთი გაგო-  
ნილ სიმღერასა. სამაგიეროდ ლენტოს ეს არ ესმოდა, ეს  
სტვენა თუ ფსუტუნი, ეს საიდლანდაც გაგონილი, მოვარდ-  
ნილი საიდლანდაცა, ქარის მოტანილი, ეს გაეგებოდა, უაზ-



რობა რო იყო დაფარვა რაიმესი, მითუმეტეს მომზრდებისა, განხეთქილებისა, ყოველივესი, ყოველივესი. პოდა შოკითხვაც გადასცა, დათხოვნის ამბავიცა, მე ვტყუოდიო, ასეც დასძინა, სიკეთე ვერ შევიშვნიერ. და მოიმართა, აეშალა სალერლელი ლაპარაკისა, თვითკიცხვის ხასიათზე დამდგარიყო, სინანულს მისცემოდა, აშლილიყო სინანულითა, — რა ვუყოთ თუ წრუპავდნენ „ტარხუნასა“, რა ვუყოთ თუ ციცქნიდნენ გამხმარ ხაჭაპურსა, მაინც გამოდიოდა ლაპარაკი, კოტეს დიდაქტიკა თუ შთამაგონებელი ქადაგებაც გამოდიოდა, სინანულიცა ლენტოსი გამოდიოდათ და გამოვიდიდა, ლაპარაკი გამოვიდოდა, ოღონდ საქმეს თუ ეშველებოდა, აი, რა იყო საკითხავი და თავსატეხი. ამა საფიქრალს თუ მიეცა კოტეი, დადუმება რო ამჯობინა ბოლოსდაბოლოსა, მოლოდინის უამურობაც რო გაუქარწყლდა, ყურადღებასაც აღარ აქცევდა თუ რას წამოვარდებოდა ოპერატორი, იქით, იმა მომავალი საოცრებისა თუ უკვე საოცრების სადარბაზოსთან რო შექუჩდებოდა ხალხი. მაგრამ ეს იყო ხალხი, ქუჩაში მოარული. უამრავი ხალხი, მოულოდნელად რო გაიჰქედებოდა თუ გაიხვდანჯებოდა, ხან აქა, ხან იქა, იმა სადარბაზოსთანაცა რაღა თქმა უნდა, გაიხვდანჯებოდა ყველგანადა იქაცა ცხადია, მხოლოდ ეს გახლდა, სხვა არაფერი, ზეიმი ჯერ არ დაწყებულიყო, არც დაიწყებოდა უამათოდა, თუ დაიწყებოდა, ეგეც არაფერი, მივიღოდნენ და გაიმეორებდნენ კინოაპარატის წინა, მაშ რაო, როვორაო, როცა ასე მძვინვარებს წყურვილი უკვდავებისათ. პოდა არცა ღირდა შიში სამისოდა, რა ვუყოთ თუ წამოვარდებოდა ოპერატორი, კოტეს თითქოს აღარც ახსოვდა, ლენტოს სულაც აღარა, მოსთქვამდა თუ მონანიებდა თავისასა, ამ სურვილშა თუ ნდომამ სულმთლარანად ამომთუთქაო, აღარც აღარაფერი მინდაო, რაცა ვარ, ესა ვარ, ასე გავათრევ წუთისოფელსაო. ამასაც თავისი პასუხი უნდოდა, პასუხი კოტესი, მაგრამ რო აღარ დასცალდა კოტესა? სად იყო სად არა, შემოეუდა ბეგლარ კრაწამვილი და გათავდა გულითადი საუბარიცა, გათავდა უადგილო ადგილასა, როცა დაღებულიყო სულის უფსკრულები და გადაჩეხვას აღარა უკლდა რაი, ყველაფერი ზედმეტია ამ დროსათ. ყველა ზედმეტია, ვინც უნდა იყო-



სო, თუ ვერ აიცილებ, ხელს დაგრევს სიძულვილი, მშენებელი ვარე სიძულვილით. ასეათ და იქ რაღად იქნებოდა მშენებელი ირადა, — სიძულვილივე წამოვარდა მყისვე, წამოვარდა და აღიმართა მძლეთამძლე სვეტადა, მითუმეტეს რო ბევლარი ის გახლდა, ის მაღალი ყმაწვილ-კაცი, ლამის მაღალი ლენტოზედა, სახინკლე „თბილისმი“ რო ახირებულიყო, ვინ ლენტოათ, რა ლენტოათ. აქ სახინკლე აღარ იყო და „ტარხუნა“ შეუკვეთეს იმისთვისაცა, ხაჭაპურიცა, რა ვეუოთ თუ გამხმარი ხაჭაპური, ან შეუკვეთესო, სიტყვის მასალაა მხოლოდრა, თვითმომსახურეობა რო გასულა მოწონებაშია, ოღონდ აქ მთავარი ისაა, კოტემა სთხოვა ლენტოსა, ვუმასპინძლოთ ანუ შენ მიართყიო და იმანაც მოართვა, მოართვა, ოღონდ ვაი იმ მორთმევასა, — სიძულვილს რაღა მომეტება უნდოდა ნეტავი?!

აღარ უნდოდა, მაგრამ ვაი, რომ ემატებოდა და ემატებოდა, უბრალო რამითაც ემატებოდა: ასე მითხრესო, ბევლარი ამბობდა, კაფეში არისო, კაფე მითხრეს, სახინკლე-ებში დაგეძებდიო, ლამის სახინკლე „თბილისამდის“ ვუწიოს, წრუპნიდა „ტარხუნასა“ და ამბობდა ისე, ვითომდა რაო, არც არაფერიათ, ვითომც წამწამი წამოვარდნიათ. სხვა ვინმე სიცილით იტყოდა უთუოდა, ვინმე ეჭვითა, რა მომსვლიათ, — თუ არც გეცინება, არც გეფიქრება, რა ჯურის რამ გამოსულხართ, — ეს უკვე ლენტოს რისხვისა გახლდა, გრეხდა ტუჩებსა, სიტყვები ესე მოსდგომოდა ენის წვერზედა. ეს კიდევ არაფერი, საქმე მაქვს შენთანათ, რაღა თქმა უნდა კოტეს უუბნებოდა ბევლარი, ოღონდ ისე უუბნებოდა, ესენი უნდა გაგვეცალონო. ოპერატორი არც ამას უსმენდა, არც გამცლელი იყო, ვიდრე მოზეიმენი არ მოჯარდებოდნენ მოპირდაპირე სადარბაზოსთანა, ლენტო გაეცლებოდა სხვა შემთხვევაშია, უზრდელობას მიუტევებდა დიდსულოვნადა, ვინც უნდა ყოფილიყო მიუტევებდა, მიუტევებდა ამასაცა, პო ამასაცა, ოღონდ მაშინ არა, აღარავის აღარაფერს მიუტევებდა, წამოქონილი დაუთმობელი სული, წამოკორკორებულიყო, ასე რო წასთუთქოდა ბოლოხანებშია. სახეზეც დაეტყო, გაგრეხილ ტუჩებშე, მოქუშელ წარბებშეც დაეტყო აღბათა, ბევლარმა დასთმო, წაიჩინა კოტესკვენა და წა-



მოიწყო ჩერჩული საიდუმლო ხმითა, ხმითა ფრთხილი მოსარიდალითა. თუმცა აღარც ითქმთდა სასაიდუმლო ხმითა, ხმა გავარდნილიყო, გავარდნილიყო თრანირადა, ორი ხმა შეპბმთდა ერთიმეორესა, ერთს პო იქაც იმეორებდნენ, სახინკლე „თბილისშია“, მარტში გადმოიტანენ დეკემბრის ზეიმსაო, ოცდაერთი დეკემბრისაო, მეორეც უცებ მოვარდნილიყო, რის ზეიმსაო, რა ზეიმსაო, ბრძანება გამოვა, დაანგრევენ ფარაჯიანის ძეგლებსაო, დაანგრევენ ისევე მხურვალედა, რა მხურვალებითაც აუგიათოასევე ყოფილა, ასევე უვლია ისტორიას ადაბაბიდანა, ასევე მოპყოლია გმიბა გმობასა, უარყოფა უარყოფასა, უარყოფა თვით დიდებისაცა, ყალბი დიდებისაცა, ჭეშმარიტი დიდებისაცა, ამაზე აშლილან, ამაზე შესევიან ერთიმეორესა ან ერთი შესევიან, უჟღეტიათ მეორენიო, უჟღეტიათ ულმბელადა. მაგალითი უამრავი ყოფილა, წარსულისად თქმული, ოდენ წარსულისა როდი ყოფილა, კაცთა ქინი თუ კაცთა ვნება, მარადისის სათამაშო ყოფილა ანუ ყოფილა თუ არა ყოფილა, კვლავაც აღმრულიყო ვნებაი იგი უარყოფისაი და აეშალა წვრილი ვნებანი. იმავე ვნებას აპყოლოდა ბეგლარიცა რაღა თქმა უნდა, ოღონდ ამჯერად განა დავობდა, ზეიმი იქნება თუ ნერევა იქნებაო, — არა, მხოლოდ ამასა სიხოვდა კოტესა, ეგება გადაიღო თუ რა ამბავია მშრალ კუნძულზედა, ფარაჯიანის ძეგლთანა, რა თავყრილობაა ხალხისა, რა მოლოდინი, ეგება გადაიღო, გავუგზავნოთ, სადაც ჯერ არს, ეგება ყურადიღონ, ეგება გადასწყვიტონ ისე, ხალხს როგორცა სურს, თორემ ყველაფერი ხალხის ნებაა და თვით გადასწყვეტს ხალხი თავის ნებისადათ. ასე დაასკვნიდა ბეგლარი, ასე ესწავლებინათ, სჯეროდა ასე, იმეორებდა დარწმუნებითა. ანდაშადა თქმულა, ხალხი ქვევრია, რასაც ხასძახებ, ამოგძახებს იმავესაო, ოღონდ ეს ანდაშა აღარ შეპქონდათ კრებულებში ანდაშებისა, სამაგიეროდ ყველგანა სწერდნენ, ყველგან ამბოდნენ, იმეორებდნენ მოწიწებითა, როგორც ხალხსა სურს, ისე არის ყველაფერიო, —პოდა ვაუწყოთ ასე თვალსაჩინოდა, კინოფირი რო არის, ვაუწყოთ თუ როგორა სურს ხალხსათ.

გადავიღოთო, ბევრსაც აღარ დაფიქრებულა კოტეი, მოს-

ქოვს ვიდავი იმ დღეებში, დაკრძალუა გადავიდე, ამასაც და-  
დავიდებთ. ოპერატორსაც იქვე მიმართა, გადაიღეო, ბრძანებული  
ბათ გვეშველება დღეს მაინცა, მერე იქ წადიო.

ბრძანება იქნებაო, იკითხა ოპერატორმა, ლამის ფსუ-  
ტუნიც არ შეუწყვეტია, ისე იკითხა.

რა ბრძანებაო.

— რა ბრძანებაცაა, რითაც დავდივართ, რასაც ვასრუ-  
ლებთ.

— რანაირად იქნება?!

— მაშ მე არა ვარ იქ წამსვლელი.

— არა?!

— არა, ცხადია!..

— არა?!

— პო, არა!..

— რა გვარი ხარ, ბიჭი?!

— ჯერ ერთი მე ბიჭი არა ვარ...

— რა გვარისა ხარმეთქი, რა გვარისა?!

— გვარი რა შეაშია?!

— გვარია შეაში, ყველაფერი გვარია...

ითქვა ისე, შეიძმებიან ალბათაო, იფიქრებდა ადამიანი,  
მავრამ არაო, ალარ აპყოლია ოპერატორი, შებრუნდა სკამ-  
ზედა, ზურგი შეაქცია კვლავაც ფსუტუნითა, იმავე თუ მსგავ-  
სივე, საიდანლაც გაგონილი სიმღერის ფსუტუნითა, სამა-  
გიეროდ ბეგლარი აპყვა ანუ ბეგლარმა აიყოლია, დაკრძალუა  
თუ გადაგილია, რატომ არ უჩვენებ, რატომ არ გამოიტან  
ეკრანებზე, აი, ამით აიყოლია. კაი გვარიანი სადავო გახ-  
ლდა, მაშ რაო, ბეგლარს ვერ გაეცო თუ რატომ არ გამოე-  
ტანათ, კოტეს ვერ აეხსნა, რო არაფერი ეკითხებოდა, ამის  
ნებისად არაფერი იყო, არაფერი, სულ უბრალო ფირიც  
ალარ იყო ამის ნებისადა, გადაიღებდა, ჩაბარებდა, მორჩა  
და გათავდა, კინოდოკუმენტალისტი რა არის, თვით ხელო-  
ვანი, დიდი ხელოვანიც ალარ იყო თავის ნებისადა და წესი  
ესე თვით იმან დასდო, იმასაც უწია, თვით იმაზედაც იძია  
შური. და დავობდნენ, ცხარობდნენ, აშვებულიყო კამათის  
ჟინი, დიდიხსანია ჩათუთესული, ჩანავლებული, აშვებულიყო  
თუ აეწყვიტა, აზრი აზრს შეპბმოდა თუ აზრი უაზრობასა,



გაგება გაგებასა თუ გაგება გაუგებრობასა, ვონიერება<sup>გრიფული</sup> ერებასა და ვონიერება უგნურებასა სულერია, უკამატოდება  
აღარავის ეთანხმებოდნენ, აღარაფერს ეთანხმებოდნენ უკა-  
მათოდა. ახალგაზრდობამ დაიქადა, ეს წვენა ვართო, დაიქა-  
და და იქადოდა, იქადოდა და პკიცხავდა მთლად უფროსებ-  
საცა რაღა თქმა უნდა, სულ ოდნავ უფროსებსაცა, უფროსებ-  
სა თრიოდე წლითა, — ასედაც განსხვავებულიყვნენ კოტე  
და ბეგლარი, განსხვავებულიყვნენ ორიოდე წლითა. ორი-  
ოდე წლითვე გამოიდო თავი ბეგლარსა, შეუპოვრობდა, და-  
უთმობლობდა, შიშს ახსენებდა წარამარადა, აბიაბრუებდა  
დაზაფრულთა შიშისაგანა. ცოტა აღვილადაც თუ ითქმოდა,  
ცოტათუ მოშვებულიყო შიში, მოშვებულიყო თუ არცთუ  
მართლა მოშვებულიყო, ვინ გაიგებდა? — ვერცთუ ვერავინა  
ჯერ ეგრე ადვილადა. რაც უნდა ყოფილიყო მშიმარას წო-  
დება ყოველთვის გააცხარებდა კოტესა, ასეთი ვაჟაცი გახ-  
ლდა, დიდად თავმომწონე გახლდა კოტეი, პო გააცხარებ-  
დათ და ცხარობდა, ცხარობდა მხოლოდდა, რო აღუსრულე-  
ბელი თუ გადაულახავი რამ გახლდა მოთხოვნა ბეგლარისა, —  
გამოიტანე, უჩვენე, უჩვენე თუ ბიჭი ხარ, რაღას უცდი,  
შეპხე, რა დღეები დამდგარაო, — აღუსრულებელი, შეუძ-  
ლებელი.. უჩვენეო, ანაღვლე!.. ახსნა უნდოდა, დამტკი-  
ცება უნდოდა და არც არა ღვინო იყო სადმე, არცა სხვა  
რამ სასმელი, „ტარხუნაც“ ჟავე გამოლეოდათ. ცარიელ ჭი-  
ქებს მაინც აწვალებდნენ, ხელს უჰერდნენ, შეიტაცებდნენ,  
დასცემდნენ მაგიდასა, ალბათ ხელში შემოეფშვნებოდათ,  
ვიღას ახსოვდა ნაღველი ლენტოსი, დარდი ლენტოსი, ვი-  
ღას ახსოვდა ან ლენტო ვითომ ისეთი რა იყო, სხვა ვინ გა-  
დარჩენილა, ვიღას სადარდებელზე არ გადაუვლიათ, როცა  
დაბნეულან, აშლილან დაბნეული, აშლილან და შებმულან  
დაბნეულნიო, დაბნეულნი!

აქ მაინც მიპხედეს ლენტოსა, მაინც მიპხედეს, დაბნე-  
ულიყვნენ თუ ვერ დაეთმოთ ერთმანეთისთვისა, სწორედაც  
რო ერთმანეთისთვისა, თორემ ისე, ვერაფერი გასავალი ექ-  
ნებოდა, იმათ სიტყვასა იმა სატარხუნეს იქითა, იქაც არ  
იქნებოდა დიდი რამ გასავალი, მოწყენით ეყუდა დახლის



ქ-ლიცა, დაუღავა ქალი, სხვა თუ არაფერი, ენაც არატემის ბოლო ამათი, თუმცა პო მიპხედეს ლენტოსათ:

— აპარატს წაიღები!.. — სიცხარეში მოსჭრა კოტემა, მაშინ მიპხედეს.

— პასუხისმგებლობა მე მაკისრია... — შეახსენა თუ კვლავაც ფუსტუნში ამოისროლა თპერატორმა.

— ჩემს აპარატისა... — თითქოს იმისთვის არც მიუგია, ლენტოს განუმარტა, განუმარტა და მიაჩერდა მდუმარედა, მიაჩერდა და იყო ასე, ყურს აღარ უგდებდა კვლავაც გახელებულ ბეგლარსა, აღარც ეპასუხებოდა რაღა თქმა უნდა, ან ის უაზრო კამათი მობეზრდა ან გამოაფხიზლა დაღვრებულმა სახემ ლენტოსი ან გაახსენდა, რაღაც გაახსენდა და უბის წიგნაკზე იტაცა ხელი, ფურცლა, ფურცლა, ჩხრიკა, ეძება, მიაგნო მერე, ფრჩხილით გაუხაშა მისამართი ლენტოსა, დაიმახსოვრე ან ამოიწერე, მეხსიერება თუ გდალატობს, ამიერიდან ამასთან იცლი, ენებსაც მივჰედოთ, ფიზიკა გეყოფა, ეგებ არც გეყოფა, მაინც ვეღარ გავჭიმავთ ფიზიკასა, დრო აღარ იცდისთ.

აღარც იცდიდა დროი ან როდის იცდიდა?

მარტი დამდგარიყო.

### VIII

„...მოიხსენიებდე, უკეთე სადით დაეცი, და შეინანე...“

მარტი დამდგარიყო, მარტი აღარ ეჭაშნიკებოდა ლენტოსა, აღარცა აპრილი, აღარცა მაისი, ივნისს ელოდა და გაზაფხული აღარ ეჭაშნიკებოდა ლენტოსა, ივნისში უნდა წიარმდგარიყო გამოცდებზედა, უნდა გამოეცხო ატესტატი საშუალო სკოლისა, ამიტომ არ ეჭაშნიკებოდა. აღარც აგვისტო მოსდიოდა თვალში, მაშინ უნდა მოწყობილიყო სადღაც საღამოს ფაკულტეტზეთ თუ სადღაც დაუსწრებელ განყოფილებაზეთ, ამიტომაც აღარ მოსდიოდა თვალში, ორი სასწაული უნდა მოეხდინა ერთბაშადა, ეხუმრები, — თრი სასწაული, გაწამებულიყო ბიჭი!... მხოლოდ იმ ერთ წუთს აიხადა საწამებელი იყი, იმა ერთ წუთსა, აღარც რაი მსურს, რაცა ვარ ეგა ვარ, ეგვევ ვიქნებით, რო განაცხადა, იმა ერთ

წეთსა, მერე პო მისამართი მიაჩენა კოტემა და წარხლაშეუძლებელი თიცა იგი ანუ თუ შერჩა, იგიღა შერჩა, ის ერთი წუთი შეაცმია ვანებისა. გამოება თუ აეთრევინა იმა მისამართსა, გორიჯვრის ბატყანივით აეთრევინათ. მერედა კარიც რო მყისვე გაუღეს? ჯერ თითიც არ დაეკარებინა ზარის ღილაკისთვისა, კარიც გაიღო, ზარიც დაირეკა ერთდროულადა, დაირეკა ისე, გაჩერებაც აღარ უნდოდა, ჩაირთო, გაიჭედა ღილაკი, რეკავდა გაბმითა, ზრიალებდა პატარა დერეფანი, ვიწრო დერეფანი, დერეფანი ერთოთასიანი ბინისა, პო ერთოთასიანი ბინისაო, დასურათხატებაც ესაა, პოეტური სახიერებაცა, უკეთესად არც გამოითქმის. თუმცა პო ზრიალებდა დერეფანიო, ლენტო ფრჩხილებით ჩაპურენოდა ღილაკსა, კარებში იღიმებოდა გულდია მასპინძელი, მოხდენილი ვაჟეაცი იღიმებოდა, ეტყობოდა, არცთუ გააკვირვებდა ახირება თავისი ზარისა. დაცხრა ზარიცა, კიდევაც შევიდნენ, კიდევაც ამოიჭედნენ იმა დერეფანშია, საწქაროდ შეუგდო მარჯვენა კარი მასპინძელმა, წინაც ოდნავ შეღებულიფო კარი, ბავშვის ჭიშკინი, თეფშის ჩხაკუნი, ქალის ფერაობა გამოისმოდა იმა კარიდანა, სამზარეულოს კარიდანა რადა თქმა უნდა ამას თთახისევნ მიუთითებდნენ, იმა ერთადერთ თთახისევნა, მრავალისმომცველ თთახისევნა, მისაღები დარბაზიც რო გახლდა, საწოლიცა, ბავშვის თთახიცა, სასტუმროცა, სასადილოცა (თუმცა ეს პო სამზარეულოს შეეთავსებინა), ბულუარიცა, კაბინეტიცა თთახი უცეპ იცვლიდა სახესა, ზღაპრულად იცვლიდა, როგორცა სჭირდებოდათ, ჩაუთქვამდნენ სარკესა ან თევზის ფხასა, საწოლი კაბინეტიდ გადაიქცეოდა. იმ წუთს კაბინეტი უნდოდათ, გადაიქცა კაბინეტადა, თუმცა ლენტომ ვერცოუ შენიშნა თუ რას ჩაუთქვამასპინძელმა, სარკესაო, თუ თევზის ფხასაო ან რა უნდოდა, — კაბინეტი უნდოდა და შევიდა კაბინეტში: პატარა არაბული მაგიდა ჩაჭედილიფო კუთხეშია, ორი სკამი მისდგომოდა ერთი მხრიდანვე, ერთადერთი თავისუფალი მხრიდანა რაღა თქმა უნდა, ერთი ამისთვისა, ერთიც მასწავლებლისთვისა, არცრა დასჭირდებოდათ შეტი. ოდონდაც იცი, თავისუფალიო თუ გაიგონე, მთლად თავისუფლებასაც წუ წარმოიდგენ, სკამები საწილსაც მიპშვენოდა, ფალიბში უნდა გამოსულიყავო.

ეს ისე ითქმის, თორემ აქ ამდენი როდი ესაქმებოდა ლენ-  
ტოსა, გრამატიკა უნდა შეესწავლა, გრამატიკა საში ცნობისა  
რაც უნდა მდგარიყო, როგორც უნდა მდგარიყო, მეხსიერე-  
ბა უნდოდა გრამატიკასა, სხვა არაფერი, მეხსიერება, ჰქუა,  
გონება, სხვა არაფერი, თუ გაუჭრიდა ასედაცა, ამოჭედილ-  
საცა თუ არაო და ბრწყინვალე საუნივერსიტეტო დარბაზები-  
დანაც ამოდიან ისევე მშრალადა, როგორც ბატები მდინა-  
რიდანაო. შედარება ძველია, არც ისე ძველი, რაც არის,  
არის, მთავარი ისაა, არც დაფიქრებულა, ისე გამოიჭედა  
ლენტოი, მაშ რაო, ორნი ერთად ვერ დაეტეოდნენ ზღრუბ-  
ლზედა, სხვაგან ფეხი არ მოიკიდებოდა ან მარცვალიც არ  
სავარდებოდათ. პო ესა ქმარა... პო ლენტოც უკვე გამოიჭედა,  
მასწავლებელი მაშინვე არ მიპყვა, რაღაცა სთქვა, გავიდა,  
შებრუნდა, ისევ გავიდა, ისევ შებრუნდა საუბრითა, ლაპარა-  
კითა, კითხვებითა, პასუხებითა, თავისივე პასუხებითა, რა-  
მეთუ არას მიუგებდა ლენტოი, მობრუნებაც აღარ შეეძლო  
ლენტოსა, გამოჭედილიყო, მისცეცებოდა კედელსა, სურათს  
მისცეცებოდა კედელზედა: სამი სვანი ესატა სურათზედა,  
სამი სვანი, სამი დიდი სვანი პატარა ტილოზედა, სამი პატა-  
რა კოშკიცა, სამი პატარა სვანური კოშკი, კოშკები გაცრე-  
ცილი, სვანები მუქი, მუქი ერთპირიანადა, წამოყრილი მუხ-  
ლებითა, მუხლებზე ხელის მტევნებითა, ვეება მუხლებითა,  
ვეება ხელებითა, ვეება მხრებითა და, ღმერთო ჩემო, ვეებაზე  
ვეება კისრითა თვითეული, წვრილი, წვრილზე წვრილი თა-  
ვითა თვითეული, წამოფხატული სვანური ქუდებითა, ვეება  
ჭრილებითა, თვალთა ჭრილებითა წამოფხატული ქუდების  
ქვეშა. ეს უბრალოდ მოდერნად ითქმოდა, მაგრამ ვიღაცას  
მოენათლა აბსტრაქციონიზმადა, პო აბსტრაქციონიზმად მო-  
ენათლა და დაეწყო დევნა ასეთთა სურათთა, ასეთთა მხატ-  
ვართა. ბევრათა დაჯგუფება თუ არ მოსწონებოდა აბსტრაქ-  
ციონიზმი, ფაქიზი სმენა თუ შეძრწუნებოდა, ქმნილიყო  
უკვე პირველთაგანადა და ეთქვა სიტყვა პირველთაგანი, —  
აბსტრაქციონიზმი ამოვარდესო. ამოვარდესო და აღძრულიყ-  
ვნენ ამომგდებნიცა, თვითონ წინ უძღვოდა, მთელი მსოფ-  
ლით ამოედო ფეხქვეშა, სადაც მოხვდებოდა აგინებდა აბსტ-  
რაქციონიზმსა, აგინებდა და აფერთხებდა, რაც მოსმულ-

ებოდა აბსტრაქციონიზმი დაერქმია ყველაფრისთვისა, ყველაფერს აფურთხებდა, ყველას აგინუბდა ძველი სტანდარტებითა თუ ღვარძლიანობითა. თღონდ რაც უნდა ყოფილიყო, მართლაც მთლად ქვეყნიერება რო ამოედო ფეხქვემა, აქ მაინც ვერ მოხვდებოდა ვერასოდესა, ამა ვიწროსა, დაბალსა ყოველის მომცველსა თუ უნივერსალურ ბინაში მაინც ვერ მოხვდებოდა, თუმცა იმისივე გამოგონება გახდდა დაბალჭერიანი და ვიწრო ბინები და ეს ლოზუნგიც იმისი გახდდა, ვაშენოთ სწრაფად, იაფად და ლამაზადაო, — იფ, თანაც რო ლამაზადაო.. თუმცა და თღონდ მალე გამრავლებულიყო ისე, იმნაირადა, ისე უეცრად გამრავლებულიყო, ვეღარ გასწვდებოდა, ვეღარ შემოივლიდა საიაითაოდა, თუმცა ტრაბახობდა, სიარულისა თუ მოგზაურობის ტრიფიალი ვარო, ტრაბახობდა და ასრულებდა კიდევაცა, ბოლოც მოეღო სიარულშია, მაგრამ ეს მერე, ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა სადავიდარაბო თუ თავშისაცემი. თუმცა პო, შედგადიოდა მასწავლებელიო, ლაპარაკობდაო თუ იკითხავდა, თვითონვე მოადევნებდა პასუხსაცაო.

პო შედგადიოდაო, რაღაცასა ცდილობდა, შედეგიც მოპყვა იმა მცდელობასა, ვაშლი შემოიტანა პატარა კალათითა, პატარა, პატარა, სასაცილო პატარა კალათითა, ჩამოდგა პატარავე მაგიდაზედა, რა ვუყოთ თუ საწერ მაგიდაზედა, მერე რაო, — ჩამოვედა თვითონაცა, ოღონდ მაგიდაზე არა, არცა სკამზე, საწოლზე ჩამოვედა, ხელსახოცი გადაპფინა სკამზედა, ისეც მოიმარჯვა, ნათალი დაეჭარა ზედა. მოიმარჯვა, მოთავსდა, არაფერს წამოსდებია, არაფერი ახრიგინებულა, საოცრებად ითქმოდა იმა სივიწროვეშია, საცირკო ნომრად გამოდგებოდა. ლენტოს მაინც ვერ გააოცებდა, — კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო, რუსთაველს დაესწრო, თორემ ლენტოც ადვილად გამოიგონებდა. გაკვირვებით მაინც გაკვირვებულიყო, მასწავლებელი ეუცნაურებოდა, ასე შინაურული, ასე გულითადი მასწავლებელი. წარბს არ გაპსსნიდა პროფესორის ასული, წამწამსაც არ დაასამსამებდა, დრო არ დავკარგო, მოწაფე არ გამიცელდეტდესო. ეს არ დაგიდევდა პედაგოგიკის საზუთხავებსა, თლიდა ვაშლისა და ლაპარაკობდა ენძელას თასზე, მარტი დამდგარიყო,

ენძელას თასზე ლაპარაკობდა, აპრილი დადგებოდა, ალაპარაკობდა ჩემპიონატი, ლაპარაკსაც აღარ იკარებოდა, ცვლიდნენ სტადიონზედა, იქ გაიშუთხავდა მორფოლოგიისა თუ სინტაქსის წესებსა. არა, ასეც არ იქნებოდა, ალბათ არაო, თუმცა ვინ უწყისო, ყოველშემთხვევაში სად ისაოდა სად ესაო, ის საკანდიდატოდ ემზადებოდათ... ოპო, მერე რა იცი, ეგებ ეს უკვე კანდიდატიცაა, მეტიცაა კანდიდატზედაო. აი, კონიაკსაც ახსენებს, თღონდ არ ივარგებს გაკვეთილის წინაო, მერეო, გაკვეთილის მერეო, იღიმება სანი, თმიანადა. კარგი ვინმე სჩანს, კარგი, ამასთან შეიძლება რაღაცა ისწავლოს ადამიანმაო. ყველაფერი მასწავლებელია, ა.წ თუ ვერ ისწავლა, ვერაფერი თუ ვერ გამოიტანა ორბის სკოლიდანა, მასწავლებლებს მოეკითხებათ, იმათი ცოდთა, იმათი ბრალი. მცირე დანაშაულსაც არ აპატიებდნენ, ყველა უწიოდა, ყველა უკიოდა, სწყევლიდნენ ქალები, აგინებდნენ თუ მუშტებით მიიჩევდნენ მამაკაცები, ვიდრე თვითონაც არ გამოია, სხვის დანაშაულსაც ამას მიაწერდნენ, მგელზე მგელი ევონათ, მისეოდნენ გამომწყვდეული მგელივითა, ფარეხში ან საღმე გამომწყვდეული მგელივითა. ერთხელ ეთერიც შეაშინა და მერე მორჩა, მოთავდა ყველაფერი, სწავლა-განათლებაცა, ლანძღვა-გინებაცა, სკოლაში წოწიალიცა, ორიანებიცა, გაკვეთილებიდან გამოძევებაცა, ყველაფერი მორჩა, ყველაფერი, — ან მეო და ან ეგაო, ასე განაცხადა მერი მასწავლებელმა, დედამა ეთერისა, მერი სავანელმა, განაცხადა გარდაუგალი სიმტკიცითა და ასე მორჩა ყველაფერი, მორჩა, მოთავდა... მოთავდა და ყველაფერი მასწავლებლების ბრალიათ, ორბისელი მასწავლებლებისა, ყველაფერი მასწავლებელიათ. მაგრამ იქაც რო დამთავრეს ზოგზოგებმა, გზაც რო გაიკაფეს?! თუნდაც ეთერი, ო, ეთერი ი იგი, ბრწყინავდა ორბისის სკოლაშია, უნივერსიტეტშიც მაშინვე მოეწყო, ცოლ-ქმრობის ორი ფაკულტეტიც ჩავიდაუმთავრებია, სამესამოდაც ამზადებენო. ეთერი!.. ნეტავი შეახვედრა!.. თუმცა ო, არა, ახლა არა, ფული რო უჰყაოდა ჯიბეში, ნეტავი შეპხვედროდა, — ეს ნატვრაც მთასწრო, ჯერაც რო არ დაწყებულიყო გაკვეთილი, მხოლოდ კალათი ამოეთავებინა მასწავლებელსა, თავისი წილი შეეჭამა რაღა



თქმა უნდა, ლენტოპი დაეჭრა, მიემარჯვებინა პატარივეულ  
თეფშითა, კალათაში ნათალი ჩაეყარა, ნათალი ვაშლიშვილის  
ცხადია, ნეკით ათამაშებდა კალათასა, გასატანად ათამაშებ-  
და, შეეყოვნებინა რომელიღაც გურულ ანეკდოტსა, მთათა-  
ვებდა და გაიტანდა თუ ახალს არ წამოიწეუბდა რაღა თქმა  
უნდა. გამრავლებულიყო ეს გურული ანეკდოტებიცა, მრა-  
ვალფეროვანიც გამხდარიყო, რაჭველებისა თუ მეგრელების  
ლაცინვასაც როდიღა კადრულობდა, — რაღა სათქმელია, რა-  
ღა მოსატანია, — დიდ ამბეჭიში ჩარცელიყო, გასულიყო დიდ  
ასპარეზზედა, მისტანებოდა დიდთა და დიდთა, განდიდე-  
ბულთა, აღმატებულთა. ანეკდოტები თუ მისტანებოდა, ქი-  
ლიკობდა ესება, თან ზურგთუკან იცქირებოდა. კარგი რამ  
იყო, ვინ გაექცეოდა ასეთ მასწავლებელსა, ვინა, აბა, თქვი, —  
ვანა ლენტო გაექცეოდა? სვანებს წამოეყარათ ვეება ხელე-  
ბი, თითქოს უნდა აიყვანონ ლენტოიო.

და უცებ კარებს რაღაცა მთაწყდა, რაღაცა თუ ვიღაცა  
მთაწყდა, ზრიალი დაიწყო იმა თხელმა, ფირფიცარისა თუ  
მუყაოს გარმა, ზრიალი დაიწყო თუ კანკალი აუგარდა, მი-  
აწყდა, მთაწყდა, ამოიკვნესა და განუტევა სული. ბიჭი მოს-  
წყდომოდა კარებსა, ცხენიან-ეტლიანად მოსწყდომოდა, ცხე-  
ნიან-ეტლიანადვე შემოვარდა შიგნითა ან რა შემოვარდა,  
გარდერობს მიასკდა პირდაპირა, ლამის შიგაც შეიჯირი-  
თა, — შეიჯირითებდა კიდევაცა, ისე მოსძახოდა ფაფარ-  
აყრილ მერანსა, ჰო შეიჯირითებდაო, აქედან მამას რო არ  
გადაეჭრა გზაი, იქიდან დედა რო არ სწვდომოდა საყელო-  
შია: ერთად იყონაღეს, ერთადაც აქრიფეს ცხენიან-ეტლიან-  
მხედრიანადა, აკრიფეს და გაიტაცეს დერეფანშია. მერე იქ  
ატყდა ბდლვინვა თუ ჭიბინი, კედლებსა ფხოჭნიდა ფრთა-  
გაშლილი მერანი, ჭერი ჩამოექცა თავგანწირულ მხე-  
დარსა. მერე კარი გაიღო, გარეთ გასავლელი კარი, გარეთ  
გავარდა ჭიბინიცა, თავგანწირული კივილიცა მხედარისა,  
მერე კიბეებიდან მოისმოდა გუგუნი თუ ზრიალი, მერე მიწ-  
ყნარდა იქაობაც, მიწყნარდა, მიფუჩდა იქაობაცა და აქა-  
ობაცა, მიფუჩდა ყველაფერი ანუ პატარა ბინა მიფუჩდა, მდუ-  
მარებამ დაისადგურა, დაისადგურა ალბათ სულ ცოტა, სულ  
მცირე ხნითა, მაგრამ თითქოსდა საუკუნედ მოეზვენა ლენ-

ტოსა, ტანმაც როგორდაც ცუდად უაბრა, წამოიწია, წამო-  
აგდო ამ მდუმარებამა, იმ ხმაურთან მოუნდა, იმ შიძენის  
ხმაურთანა, აქ რო მიმწყდარიყო, ოღონდ სადღაც რო მი-  
ჰიხვინებდა; წამოიწია და აქ ატყდა ხმაური, ჯერ ვერცოთ  
ითლად წამოიწია, მერე სკამი გაჯიქდა, შექანდა მაგიდაცა,  
ეტყობოდა ვერც ადგებოდა, მაგიდას თუ არ ააყირავებდა,  
სკამსაც თუ არ მიაყოლებდა თანა. თუ მართლა ხმაური მონ-  
დომებოდა, ესეც ხმაურიო, მაგრამ არაო, ხმაურმაც შეაკ-  
რთო აქა, დუმილმაც პო შეაკრთო და შეაკრთო თუ არ ითქ-  
მის, შეაშინაო, — ვაუკაცად მოპქონდა თავი, არ გამოტყდე-  
ბოდა ან ვითომ რა იყო შესაშინარი, თუნდაც ჯუნგლები  
დარქმეოდა იმა ვეება შენობასა, პატარპატარა ბინების ჯუნ-  
გლები?.. პოდა რა იყო შესაშინარიო, როცა გაიპო მდუმა-  
რებაცა, გამოცხადდა ახალგაზრდა ქალი, დედაი იგი, ცოტა-  
ხნის წინათ რო მოსდევდა აღტყინებულ მხედარსა, ხილა-  
ბანდი ჩამოსხებოდა, ასწერდა თმაცა, წინსაფარიც მოპქცე-  
ოდა გვერდზედა, — ეს მაშინა როცა მოსდევდა აღტყინებულ  
მხედარსა, ხოლო აწ სხვა განლდა, უხილაბანდოდა, უწინსაფ-  
რიდაცა რაღა თქმა უნდა, თმაგადავარცხნილი, სახედაწმე-  
დილი, დაწყნარებული, ზომიერი, საჭადმოსილი, უზედმე-  
ტო და მოხდენილი სამოსელითა, უზედმეტო და მოხდენილი  
სიტყვა-პასუხითა, გამოცხადდა და მყისვე ჩამოვდა აპრეშუ-  
მის, ყვავილწულებიან პატარა სავარძელზედა, გარშემო  
ბზა რო შემოსდევდა გრეხილადა და ქალების ოთახებს რო  
ამშვენებდა ოციან წლებამდისა. მაშინ ღილილთსფერი ორ-  
ხსავაც ეფინა სავარძლის წინა, აქაც ეფინა, თუმცა მომცროი,  
მონარჩენი თუ მონახევი. სასანთლეც იდგა იქვე როგორდა-  
ცა, სასანთლე შვიდთავიანი, მოოქრთვილი თუ ოქროს  
წყალში ამოვლებული, თაფლის სანთლებითა, მეტნაკლებად  
წამწვარი სანთლებითა. კვლავაც ზღაპრულ სარკეს ემოქ-  
მედნა თუ თევზის ფხასა, აგრეთვე ზღაპრულსა, ოქროს თევ-  
ზისა, სულერთია, გარდაქმნილიყო ოთახი იგი ან არც გარ-  
დაქმნილიყო, სარკე მიეწოდებინა კუდიანსა და დაენახვე-  
ბინა ბუდუარი ლამაზი ქალისა, — ეეე, ეგ არის შენი ოსტა-  
ტი, პი, პი, პი, ესემც დაგირჩება თავი, შენ მაგისგან რამე  
გამოიტანო. უნებლიერაც მიღრიყა კისერი ლენტომა, მარ-



თლა პო არავინ დამქირქილებსო. არა, არავინა!.. ლაპარაკულები  
კობდა მართლაც მასწავლებელი, — ის თურმე ართობდა მო-  
ვიდრე მთიცლიდა მასწავლებელი, ვიდრე გაისტუმრებდა მთ-  
უსვენარ მხედარსა, აღტყინებულ მხედარსა, მამასთან ერთა-  
და რაღა თქმა უნდა, — ლაპარაკობდა ძალდაუტანებელი სა-  
სიამოვნო ხმითა, მკაფიოდა, სულმოოთქმითა, კანთიელადა,  
ყოველი ბეგერის ხატოვნების წამოჩენითა, იშვიათად რო  
სწვევიათ თვით ენების მასწავლებლებსაცა. სცოდნოდა კო-  
ტესა თუ ვინ გამოერჩია ოსტატთაგანა, მხოლოდ შეკირდის  
არჩევანი აღარ გააჩნდა, ლესტო შერჩენოდა, არადანი შერ-  
ჩენოდა, ეგ იყო და ეგა. რაც იყო, იყო, იჯდა არადანი, იჯდა  
თუ გამოჟედილიყო ცოტა ალენილი, ცოტა დაზაფრული,  
ასე ნაწილნაწილადა, იჯდა და ისმენდა პირველ სიტყვებს  
ახალი ოსტატისა:

— უნდა გამოგიტყდეთ, — ამბობდა მასწავლებელი, —  
მიძნელდება თქვენთან მეცადინეობის დაწყება, ყველა და-  
საწყისი ძნელია, მითუფრო ჩემთვის ეს დასაწყისი. წვე-  
ულებრივ, მოწაფეები შინ არა მყოლია, არც პირობები მაქვა-  
საამისოდა, არცა სალისი, არცა დრო, ინსტიტუტში ძალიას  
დაგვტვირთეს, მაგრამ ეს არაფერი, არაფერი, კოტე ბავშ-  
ვაბის მევობარია ჩემი მეუღლისა, ახლაც არ ეთმობათ ერთ-  
მანეთი, ძირს არ დავუშვებოთ იმის თხოვნასა, გვახოვა, შე-  
ვასრულებოთ ხალისითა და სიამოვნებითა, მთავარი სხვა არ-  
ის, სხვა რამ მიძნელდება: ასწავლე უცებ, სწრაფად, სახელ-  
დახელოდათ, იმდენი ასწავლე, საექსტერნო გამოცდები და-  
იჭიროსთ, ასე დამიბარა და სიძნელეც ეს არის. ასეთი სწავ-  
ლა არ გამიგონია, ბევრი რამ გამიგონია ასეთი, მაგრამ  
სწავლა არ გამიგონია, ყოველშემთხვევაში მე არა მჯერა  
თუ რამე ისწავლება ამნაირადა. მე ერთი ვიცი, ენა უნდა  
ვასწავლო, ეს „სახელდახელო ჩასაბარებელი“ გამოცანაა  
წემთვისა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

კერაფერი მიუგო ლენტომა, რაღა თქმა უნდა ვერაური  
მიუგო.

— ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ეს გამოცანა მე ვერ ავხსენი,  
ჩემს მეუღლესაც გაუჟირდა, — განაგრძო ისევ მასწავლე-  
ბელმა, — კოტესაც ბუნდოვნად წარმოუდგენია, მაგრამ იმი-

სი მოვალეობა მაინც აღვიდია, თხოვნაა მოვალეობა რეზენტი  
სი, ჩემი მოვალეობა რთული, შესრულებაა მოვალეობა რეზენტი  
მი. მეგონა, თქვენ მაინც განმიმარტავდით, მაგრამ ასე სჩანს,  
თქვენც კოტესავით წარმოგიდგენიათ, — ოდნავ გაიღიმა,  
მასწავლებლის ღიმილითა რაღა თქმა უნდა, — თუმცა ეგება  
როგორმე ამისხნათ, ან ეგება კოტემ დაგაბარათ რაიმე?

კვლავაც ვერ მიუგო ლენტომა, მხოლოდღა თავი გაიქნია,  
არაფერი დაუბარებიათ, ნიმნად ამისა.

— ასე გადავწყვიტე და ჩემი მეუღლეც ამ აზრისაა, —  
ცხადია ისევ მასწავლებელმა განაგრძო თავისი, — დავიწყოთ  
ჩვეულებრივადა, როგორც მისწავლია, როგორც მის-  
წავლებია, როგორც მიმამნია უმჯობესადა, თავიდან დავიწყოთ,  
მივყვეთ თანდათანობითა, რასაც მოვასწრებთ, ის იქ-  
ნება, მერე თქვენ იცით, გამოიყენეთ როგორც გენებოთ თუ  
გამოგადგებათ. სხვა რა ვიღონი?.. დამეთანხმებით?..

ვერ უპასუხა, ვერც დაიქნია თავი, ვერც გაიქნია საუარ-  
ოდა, კისერი პოარ გასშეშებოდა? ამას მასწავლებელი არა  
ჰქითხავდა რაღა თქმა უნდა, სხვასა ჰქითხავდა, სხვა რამის  
გაება მონდომებოდა, კმაროდა საუბარი წინასწარი, გაპ-  
ვეთილი უნდა დაწყებულიყოთ და იმასა ჰქითხავდა თუ უცხო  
ენათაგან რომელი ესწავლა სკოლაშია. ამისი პასუხიც რო  
გაჭირდებოდა? არათუ იმიტომა, ვითომც ენა ჩავარდნოდეს  
ლენტოსაო, არათუ იმიტომა, ვითომც მართლაც გასშეშებო-  
დეს კისერით, არა ცხადია, მხოლოდ იმიტომა, თვითონ  
პოარ უსწავლია და არა, არც ის დახსომებია თუ რომელს  
იასწავლიდნენ თრბისის სკოლაშია, — არ დამახსოვრებია  
თუ მაშინვე არ გაეგებოდა სულერთია. მასწავლებლისთვისაც  
სულერთი გახლდა, ნათელი გახლდა, დიდადაც აღარ ჩასძი-  
ებია, ინგლისური იყოსო, ინგლისურით დაიწყო.. ჩინურიმც  
ყოფილიყოთ, ეს ჟავა ვეღარ მოიკრეფდა გულისფურსა, მორ-  
ნა, მოთავდა სურვილი სწავლისა, ქალის სურვილმა დაპ-  
რია სელი, იმა სურვილმა, იმა გზნებამა თუ დაბნეულობა-  
მა, რამაც დაიფრინა პროფესორის ასულისაგანა. აქედანაც  
იგივე ეწერა, ამ წუთში თუ არა, გაკვეთილი მოთავდებოდა თუ  
არა, გაკვეთილი იგი, იგი იქ მაინც კარგახანს იარა, კარ-  
გახანსაც გაუძლო ამა ცდუნებასა, აქ ვერა, ვეღარ გაუძლებ-



და, იქ ელისო ეგულებოდა, კიდევა პქონდა იმედი ეფიზიურული  
სი, აქ დაპკარგვოდა, — ვეღარ გაუძლებდა უელისიტატის მიერ  
დროს განუდგა, რა დროს უდალატი? ალბათ დალატი სწო-  
რებაც ეს არის, სხვა ყველაფერი მოგონილიათ. ან ეგება  
ელისოც არ არის ბრალეული, გაუჭირდა და უსუსტა ნების-  
ყოფამა, გაუჭირდა და აენთო სურვილი, გახელდა წყურვი-  
ლი, ყველაფრის სურვილი, წყურვილი ყველაფრისა, თავ-  
მოყვარეობაც დაიმალა, ნებისყოფაცა, მადლიერების გრძნო-  
ბაც მოესპო, წყალმა წაიდო პატიოსნებაცა, — ვინ იცის, ვინ  
უწყის, გასაკვირველი რა უნდა იყოს, როცა ბევრი ვსურს  
და არაფერი გაგანნიათ, — პოდა ელისოც არ იქნება ბრალე-  
ულიო. რაც უნდა იყოს, ზოგ რამეს მაინც მოერეოდა ელი-  
სოს იმედითა, ამ ავარდნას მოერეოდა, მოერეოდა ამა სიმ-  
ზაკვრესა, ყურს დაუგდებდა გულმოდგინედა, დაისწავლიდა  
ამ ჩინურსა თუ ინგლისურსა, ჯანდაბას, რაც იყო, დაისწავ-  
ლიდა, რაღაცას მაინც დაისწავლიდა, რაღაცას მაინც გაუმე-  
ორებდა, საექსტერნო კომისიასათ. კოტეც პო ამას ჩასჩი-  
ნინებდა, „რაღაცა“ გაიგე, „რაღაცის“ თქმა შეგეძლოს, სხვა  
მე ვიციო, მაგრამ ვაი, რო სწორედ ეს „რაღაცა“ გამოკეტი-  
ლიყო ცხრაკლიტულშია. გამოკეტილიყო და გამოკეტილი-  
ყო, ჯანდაბას ყველა „რაღაც-რაღაცები“, ინგლისურიც პო  
ჯანდაბას გაისტუმრა, ჩინურიცა, სხვაც მიჰყოლია, საექს-  
ტერნო კომისიაცა, საღამოს ფაქულტეტიცა, დაუსწრებელი  
განყოფილებაცა, თვით გაშანშალებული დიპლომიცათ, სა-  
ნალვლებელი სხვა რამ გამხდარა, სხვა რამით დაჩაგრულა,  
სხვა რამით შეიტუნებულა: კარი გაუღო წესიერმა ოჯახმა,  
ოჯახმა პატიოსანმა, უაუგომა, მინდობილმა, მისანდობარმა,  
სასიკეთოდ გაუდო კარი, გაეფინა ფიანდაზადა, ამან ფეხიც  
არ გაიწმინდა კარის დირესოანა, ტლაპოც არ დაპყარა, თან  
შეიყოლა ქუჩის ტლაპოცა, კუთხის ანგელოზსაც არ გაუს-  
ტორა თვალი, ეშმაკი ჩაიხუტა, თვალნი აუმდვრია თუ აუბა  
მაცდურმა, აი რა გამხდარა სანალვლებელი, რას წაუღია  
გაგებაცა, მეხსიერებაცა, თვით თუთიფუშის უნარიცა, — ემუ-  
დარება, გაიმეორეო, ვერ იმეორებს. მაინც არა ჯავრობს  
მასწავლებელი, იღიმის შემწყალედა, იღიმის და ამართ-  
ებს, პირველად შეიძლება ასეც მოხდესო, მერე და მერე



გაიმართებით, პო იღიმის და უციალებს ჯვრისწერის შტაკედი, თვალებიც უციალებს ნიშნად შეწყნარებისა, პირები ველი გაევეთილის დამთავრების ნიშნადაცა.

## IX

„...შეკეთუ არა მღვიმარე იყო, მოვიდე შენ ზედა, ვითარცა მპარავი, და ვერ სცნა, რომელსა ჟამსა მოვიდე შენ ზედა...“

ესო პო ესათ და კიდევ სხვა მისამართი დაახვედრა კოტემა, იქ ბიოლოგიას გაგამეორებინებენო, დიახაც ასე — გაგამეორებინებენო, ანალვლეო, არცა დაზოგვაო, არცა სიბრალულით მართლაც გამეორება დაერქმეოდა თუ რაც იყო, აღარას დაგიდევდა, სატანჯველად თუ გადაქცეულიყო ლენტოსათვისა, არც აღარას დაგიდევდა, აღარც ეცალა აჩქარებულიყო, აფოფინებულიყო, — რამდენიხანია მიეწვია გ...ს თეატრსა, რამდენიხანია მიათრევდა ერთ პიესასა, მიათრევდა უგემურადა, რის ჩანჩალითა, ვაინაჩრობითა, რეპეტიციებიდანვე უნდა მოხსნილიყო, არც მოხსნილიყო, ამიტომ მიათრევდა ვაივაგლახითა და აი უცებ შეხურებულიყვნენ სადღაც ვიღაცანი, შეეხურებინათ თეატრიცა, შეეკეთებინათ ცეცხლი, ჩქარა პრემიერათ, შეეკეთებინათ და აფოფინებულიყო კოტეცა, აფოფინებულიყო და აღარ ეცალა ლენტოსთვისა, კიდევ ახალი მისამართი პო მიასწავლა, აპარატიც პო მისცა, — სალაპარაკოდა თუ გულის გასახსნელად აღარ ეცალა. ჯერ მაინც რაო, ყველაფერი გარკვეულიყო, გარკვეულიყო კოტესთვისა, ევონა, ლენტომაც ვაარკვიათ. ისემც რა უთხარი.. ის რაც იყო, იყო, ახლა ეს აპარატიც აეჩეჩა, აიღებდა, დაიღებდა, ვადაიგდებდა ზურგზედა, დაბორიალებდა უაზროდა, რა ექნა, რა ეღონა, ვეღარ გაეგნო; უაზროდ პო დაბორიალებდა, უაზროდაც შეცყურებდა იმა ძეგლის გარშემო მოხროვილ ხალხსა, ხალხიც თუ უაზროდ მოხროვილიყო, ხალხიც თუ უაზროდ დაბორიალებდა, ან იდგა ვებედა, ტბორად იდგა, იდგა დუბელადა, როგორც ის წყალი, გარს რო მოპხვევოდა იმა კუნძულსა, ოდესლაც მოპხვეოდა, ახლა ნაკუნძულარსა და პარქსა. ამდენი ხალხი აღარც შეკრილიყო როდის აქეთია. რამდენიმე მოხუცი თუ დაწლატუ-

პებდა ხოლმე ან დიდედები დააგორებდნენ გორგოც ჩასტანებულ გა-  
და მშრალ საწოვარსა თუ რძიან საწოვარსა სწრიდნენ გა-  
ჭირვეულებულ წვილებსა, რომელთა დედები ვინ იცის სად  
ირთმევდნენ სულსა, სადღაც სამსახურში თუ რაღაც მინამგვან-  
ში, ან იმიტომ, რო აუცილებლობას ვერსაით წასვლოდნენ,  
ან იმიტომ, რო ყველაფერი ერჩივნათ ბავშვის გაზრდასა,  
ასეც დატრიალებულიყო წუთისოფელი, ყველაფერი ერჩივ-  
ნთ, ყველაფერი, ბავშვებთან ტრიალსა. პოდა ბერიკაცებით,  
პოდა დიდედებით, უთავშესაფარო თუ მაღული წყვილები-  
ცა, ჭადრები, ნაძვები, ვეება ბუჩქები ლაშქარს დაპფარავ-  
და, წყვილები რა იყო. ძეგლიც შთაინთქმიდა ატაცებულ ხე-  
თა შორისა, ვეება მოედანი რო არ დაეგდოთ ძეგლის წინა,  
უდაბურ კუნძულს დაემგვანებოდა, გზები რო არ შემორტყ-  
მოდა გარსა, გზები ტრამვაისა, მანქანებისა, გარდაქმნილი-  
ყო გული ქალაქისა, ხალხმრავლანი, საქმიანი, ხმაურიანი,  
გადანერგილიყო გული ქალაქისა, შორს გაჭრილიყო, გაჭი-  
მულიყო დიდი ქალაქი, გაჭიმულიყო, გაწელილიყო, გულიც  
წაეღოთ, გადანერგათ. და იდგა ძეგლი მარტოდმარტოდა,  
თვალმოუკიდებლად იდგა და იდგა, მაღლა ახედვა არ უხერ-  
ხდებოდათ დიდედებსა, არაფერი გაეგებოდათ გორგოლ-  
ჟებში წაფუთვინილ ბავშვებსა, ხოლო ბერიკაცებს გაზეთები  
ეჭირათ ხელში, — გაზეთებში სულ ის ესატა, ყოველდღე  
და ყოველ გაზეთში, ესატა და ეწერა, ვიდრე რო ცოცხლობ-  
და, გარდაიცვალა და დაივიწყეს გაზეთებმაცა, პირველყოფ-  
ლისა იმათ დაივიწყეს, დაივიწყეს, დაივიწყეს. და შეპირდათ  
ბერიკაცებსა, შეწვეულიყვნენ და ვეღარ გადაწვეულიყვნენ  
უკვირდათ. უკვირდათ. ძეგლებსაც შესწვეოდნენ. ვინ უწყის  
თუ ძეგლებიც აღარ იქნებაო, ანთუ იქნება, როგორ იქნებაო,  
თუ ეს არ იქნება, ვინ იქნებაო და თუ ის იქნება, ეს რატომ  
არაო, ვისაც რო უკვე შესწვეოდნენ, ძალის ძალადა, ძალის  
ძალადა, ძალის ძალადა, მაგრამ რაც იყო, პო შესწვეოდნენ, —  
შემომატებოდათ კითხვები შემომატებოდნენ ბერიკაცები  
ბერიკაცებსა, შემომატებოდნენ სხვანიცა და სხვანიცა, არე-  
ულიყო ყველა ასაკი, არეულიყო, აღრეულიყო, კითხვებიც  
ეგრევე აღრეულიყო, კითხვებს კითხვები შესჭიდებოდა, პა-  
სუხი პასუხად ვერა ვარგოდა, აღარაფერი წაითვლებოდა



პ.სუჟადა, აბურდელიყო ისე კითხვანი. ასე გათქმულაფული  
აშრი, გონიერება გათქვეფილიყო და იღვა დუნდგებულებები  
გარშემო, დუნდგო ერთიერი, ერთი სახისა ანუ ერთბამად  
გაუსახურებული. არცა ცხელოდა, არცა ციოდა, არცსად წვი-  
მათ, არცსად ქარით, კარგი ამინდით დამდგარიყო მარტი,  
არაფერი შეაწესებდა, ვერაფერი დაშლიდა ამა დუნდგოსა,  
უმოძრაოს, უთავბოლოსა, ვერც ვერავინ დაშლიდა, არც  
არავინ უყრიდა თავსა, მაინც მოდიოდნენ, მოედინებოდნენ,  
სანაპირო იჭედებოდა, ხიდები ვეღარ იტევდა ხალხსა, ალბათ  
გადაიკეტებოდა გზები, თუმცა ჯერ არაო, მაინც მიხრიგინებ-  
და ტრამვაიცა, მიგრიალებდა ავტომანქანებიცა, მართალია  
საყვირითა თუ ზარის წკრიალითა, მაინც გავიდოდა, გააღ-  
წევდა თვითეული მათგანი, ჯერ ყველა ეტეოდა, ხალხიც ეტე-  
ოდა, მანქანებიცა. ჯერ არავინ არაფერს განავებდა, ჯერ ყველა  
მხოლოდ დაბნეულიყო, უწესრიგობა მერე მოჰყვებოდა, წეს-  
რიგის აღდგენას რო მოინდომებდნენ, მოქმედებაც მაშინ  
იქნებოდა, კინოც მაშინ გამოვიდოდა, შინაარსი მოქმედე-  
ბას მოჰყვებოდა, დუნდგომ არ იცოდა შინაარსი. უაზროდაც  
ამიტომ იდგა ლუნტოი, თუ დაბორიალებდა, დაბორიალებდა  
ისევე უაზროდა, დაბორიალებდა, ოღონდ ირგვლივა, ნაპირ-  
ნაპირა, შიგ ვერ შეეღწია, თითქოს ვერც ვერავის შეეღწია  
შიგნით-შიგნითა, მოდიოდნენ თუ მიდიოდნენ, მხოლოდ ნა-  
პირებს თუ შეეტყობოდა, ტბა იდგა ის უძრავი, შეკრული,  
ერთქმნილი, შენივთული. დუდუნიც ისმოდა, არცთუ მაღა-  
ლი, არცთუ დაპალი, ერთობლივი და გაურკვეველი, რამეთუ  
ჯელა თავისას იტეოდა, გამგონე არ იყო, მთქმელი უამრა-  
ვი, ერთი არ იყო თავისმომყრელი, თავი მოეყარათ, თავ-  
მომყრელი არავინ იყო, ძეგლი თუ გახლდა თავმომყრელი,  
თქმა აღარ შეეძლო ძეგლსა, არცრა ამოსახოდა, გამომეტყვე-  
ლებაც არაფრისა ედო, არცა ტკივილისა, არცა სიხარულისა,  
არაფერისა, არარაისა. გარკვეულად ვერც წარმოედგინათ ეს  
ადამიანი, მოქანდაკენი გაჯიბრებულიყვნენ მხოლოდ იმით  
თუ ვინ უფრო დიდად გამოსჭრიდა, ვინ უფრო ვეებად აღ-  
მართავდა, უსაშველოდ დიდადა, უსაშველოდ ვეებადა. და  
იდგა დიდი, იდგა ვეება, უტკივილო, უსისარულო, უსახური,  
გამოუთქმელი. რაღაცის გადაღება მაინც შეიძლებოდა, ამ



დუნდგოს გადაღება მაინც შეიძლებოდა, ამ მოზღვავებული  
თუ მოტბავებული ხალხისა, ბოლოსდაბოლოს ამდენიც მოვიდა  
მაინც მოიკრიბა ლენტომა, ოღონდ არცთუ აჩქარებულა, მო-  
ესწრებოდა, წამისა გახლდა, თუნდა წუთისა, მოესწრებოდა  
ადგილადა და კვლავაც თუ იდგა ან დაბორიალობდა, უაზრთდ  
როდიდა, უპვე ამ აზრით დაბორიალობდა. ალბათ თანდათან  
თვითეული თუ ყველა ასე მოიკრებდა აზრსა, ზოგი მეტსა,  
ზოგი ნაკლებსაცა, ყოველშემთხვევაში ვიღაცა შემოჰკრებ-  
და, რაღაცა შემოჰკრებდა, ერთად ბლომად გამოვიდოდა,  
ერთადაც დასძრავდა, აიყოლებდა, ძალად იქცეოდა დაძრუ-  
ლი მორევი, დაიქსებდა, რაღაცას დაიტანდა თუ ვერ და-  
იტანდა, ქუხილი მაინც გავარდებოდა, გავარდებოდაო, მაშ  
როგორაო, ხმა პო ჯერ ვერავის შეუბორებავსო. ეს ბევრისაო,  
დიდ ხმაზეც ითქმოდა, ხოლო ერთის ხმაც ძლიერად დაე-  
ჯახა ლენტოსა, ხმაი აღმოსმყდარი მეტად მკვანედა, აღმომ-  
სკდარი ნაგუბარიდანა:

— გადაიღე, რაღას უდგახარ?!

ხმაც ეცნაურა, მიხედვაც არ უნდოდა, მაინც მიხედა ცე-  
რადა, გვერდულადა, — ბეგლარი გახლდა რაღა თქმა უნდა,  
წამოგზნებული, ატანილი, ძლივს დაოკებული, აქენჩრილი  
ჯაგარა თმითა, ჭრელი, შავ-თეთრიანი ყელსახვევითა, ცალი  
ფონი რო ზურგზე გადაეგდო, ცალი გულზედა და აწვალებ-  
და გულსდაფენილსა, წიწკნიდა, გლეჯდა, თითქოს წეწავდა  
ძარღვებს გულისაო.

— თპო, ეს მაკლდა, მბრძანებელი მაკლდა!.. — ჩაიცინა  
ლენტომა, ცივად წაიცინა, სიბრაზე დაპფარა, ვერც დაპფა-  
რა ცივი სიცილითა.

- უპვე გიბრძანეს!..
- და აქაცა ვარ...
- მერე რას უცდი?!
- მე ვიცი...
- ისეთი რა იცი?!
- ისეთი არაფერი...
- გადაღება პო იცი?!
- პმ!..
- პოლა გადაიღე!..

- რა გადავიდო?
- ხალხი..
- გაქვავებული?

მაინც წინ გადმოიგდო აპარატი ლენტომა, მაინც შემართა, როცა იქნებოდა პო უნდა დაეწყო, პოდა დაიწყო. მერე ის ფირები რო გაამტეავნეს, ამთიკვეთა სახე მრავალნაირი, მოძრაობაც მრავალგვარი, თურმე არც ისე გაქვავებულიყო ხალხი, მხოლოდ მოლოდინით შეპყრობილიყო, მოეცვა მოლოდინისა, მოლოდინს აეტანა. სურვილსა ერთსა ერთნაირადაც როდი აწყო, ზოგი ნალვლიანად დალოდებოდა, ზოგი უნალვლიდა, ზოგი ეშიანადა, ზოგი უეშიოდა, ზოგი ატაცებულადა, ზოგი გულგრილადა, ზოგი იმედიანადა, ზოგი უიმედოდა, ზოგი დაღლილადა, ზოგი დაუღლელადა, ზოგი მხნედა, ზოგი გაბეზრებულადა, მრავალნაირადა, მრავალგვარადა, მეტნაკლებობაც გამოერჩისა, მეტნაკლებობა მხნეობისა თუ სხვა განცდისა, მოძრაობაც გამოერჩისა, მოძრაობა ერთ ადგილასა, ბრუნვა, ტრიალი, ნელი, მძიმე, თღონდ მაინც წადილი ძეგლთან მიახლოებისა, რაც შეიძლება მიახლოებისა, მერე ტრიალი ამა ძეგლთანა, თავგამოდება იქ სამეტ ახლოს ფეხისმოსამაგრებლადა, ამათ ჯახირი, კვლავ გამოტაცება, ისევ წადილი დაუმცხრალი მიახლოვებისა, აცდენა სწორი დინებიდანა, სულაც გასხლეტა თუ კვლავაც მოხვედრა იმა დენაშია, ძეგლს რო შემოუვლიდა გარსა. ისიც გამოერჩისა თბიექტივისა, ყვავილები თუ როგორ გადაპქონდათ, — ვისაც მოეტანა, როდის მიაღწევდა ვინ იცის ისა, გადააწოდებდა, გადადითდა თავზევითა, მიცურავდა, მისრიალებდა, დაიშლებოდა, შეიკონებოდა, კვლავ გაიფანტებოდა უხერხულად გამოწვდილ ხელებშია, გაიყოოფიდა ან გაიწეწებოდა, სანახევროდაც ეგება მიაღწევდა ძეგლამდისა თუ არა ამოიდებდა ფეხქვეშა, რა ვუკით მერე, თავზევითაც მიაციმციმებდნენ, ფეხსაც დაადგამდნენ, ჩასრესდნენ უმოწყალოდა, რაიღა ფეხქვეშ მოექცეოდა. ვიდაცას მაინც არ დაენებებინა თავისი თაიგული, თვითონ შესდგომოდა გაუკაფავ გზასა, შესდგომოდა და ვერც შესდგომოდა, ხან იქით, მტკვრის მთაჯირისაკენ მისრესილიყო ხელებაწვდილი, თაიგულაწვდილი, ხან იქითა,



მშრალხიდის ქვეშ ასავსავებდა ხელებსაცა, თაიგულსაცა, მიზრადა  
წვდილ ხელებსაც იგერიებდა, მიიწევდა თავგადაქლული,  
აწეწილი თმითა, სახითა, მთლად აწეწილი. ვიღაცას სურა-  
თო გაეძლოლებინა, ერთი უკვე მიეტანათ იქამდისა, — მი-  
სივე სურათი რაღა თქმა უნდა, — ძეგლის ლაჯებში გა-  
მოქვედათ, მისივე ლაჯებში რაღა თქმა უნდა, სურათი ივი  
გენერალისიშუსობის დროისა; ვიღაცას სხვა გაეძლოლებინა,  
ცხრაასხუთისა თუ მესამე დასის ვითომდა უმცირესობის ხა-  
ნისა, ცრუ ისტორიის ცრუ ხანისა, ანთუ ეშმაკი თუ გაარ-  
ძვის, ანთუ ვისაც ენებოს, იმან გაარკვითს, ყოველშემთხ-  
ვევაში სურათი იმნაირი ყელსახვევითა, ბეგლარს რო გა-  
დაეცდო მხარზედა, ანთუ საიდანაც რო გადმოეღო ბეგლარსა;  
ჰო გაეძლოლებინაო, ოღონდ აქანავებდა ერთ ადგილასა, ნა-  
ბიჯი რო ვეღარ წაედგა წინა, რო არც არავის ანებებდა,  
თორემ ეტანებოდა იმდენი ხელი, ზედ რო სრიალით გადა-  
ივლიდა, ოღონდ რო ვეღარ გამოიჭედებოდა ლაჯებშია, მი-  
ეყუდებოდა მარჯვენასა თუ მარცხენა ტლოკზედა, რომე-  
ლი მხრითაც მიატანდა, იმა ტლოკზედა; იქით ალბათ სხვას  
მიადგამდნენ, პირველი ხუთწლედისა თუ კონსტიტუციის  
უამინდელსა, მერე კიდევ სხვასა და კვლავაც სხვასა, მხრებ-  
ზეც ჩამოჰკიდებდნენ, გულზედაცა, ადგილს აღარ დაუტო-  
ვებდნენ, შემოსავდნენ თავისსავე სურათებითა. ძნელი სათ-  
ქმელია თუ რა უნდოდათ თუ რას გამოპატავდნენ, ძნელი  
სათქმელია, ძნელი ასახსნელი, როგორც კიდევ ბევრი  
სხვა რამე იმა დღეებისა, ოღონდ ეს მაინც, ეს სურათები,  
მოზღვავება ამ სურათებისა, უგება წვეულებისაგანაც იყო,  
თავდაპირელად იძულებისა, შერე წვეულებად გარდაქმნი-  
ლისა, სათქმომბრო თუ სამაისო ზეიმები, სხვა რამ ზეიმები,  
დიდი თუ მცირე, რო არ შეიძლებოდა გარეშე ამა სურათე-  
ბისა, ოღონდ ესაა, წვევადა ქმნილიყო თუ რადაცა ქმნი-  
ლიყო, მაშინ ყველა იმასა ნატრობდა, უგება გადავრჩე, ეგე-  
ბა მე არ მომაჩეჩონო, — ახლა აღარავის მიაჩეჩებდა, არავინ  
უბრძანებდა, არავინ აშინებდა, მაინც მოპქონდათ, მოარბე-  
ნინებდნენ, ძეგლამდის თუ ვეღარ უწევდნენ, ეგეც არაფე-  
რით, ააწოდებდნენ ხეებზე ახუნძლულ ბიჭებსა, ბაწარსაც  
მიაწვდიდნენ, მოხერხებულად ჩამოკიდეთო. ცდილობდნენ,

ოდონდ კარგადაც ვერ უხერხდებოდათ, თუ ვერ დაუჭირდებოდა  
ნენ, ბაწარს მაინც შემოარტყამდნენ, ისე მიაბამდნენ // ჩქარა  
და ება ხეებზე გაბაწრული, ება მრავლადა, სხვადასხვა დრო-  
ისა, სხვადასხვა ხნისა რაღა თქმა უნდა, ოდონდ იგივე, გა-  
ბაწრულიც იგივენაირადა. ვინმე ხატის მონაც გამოეჭირა  
თბიექტივსა, თმაწვერგანეჩილი, კისერზე ჯაჭვითა, თანაც  
ფეხშველა, გარეჯის უდაბნოდან უნდა იყოსო, მაშინ ამ-  
ბობდნენ, თუმცა ვინ უწყის თუ საიდან გადმოვარდნილიყო,  
თუმცა რაო, გადმოვარდნილიყო თუ შემოვარდნილიყო სულ-  
ერთია, როგორდაც სასაცილთ დამატებად გამოდიოდა მთე-  
ლი ამ ამბისა, რამეთუ აღარავინ აღარაფერი იცოდა ხატის  
მონისა თუ დავით გარეჯის უდაბნოსი, არცა იყალთისი თუ  
გელათისა, სხვა რამე იცოდა, იცოდა თუ სად რა პატარა ქაზ-  
სანა შენდებოდა, სად რამდენი ჩაი მოეკრიფათ, ასეთ-ასეთე-  
ბი წვრილად იცოდა, ცოდნაც ეს არისო, პროგრესიცაო, სხვა  
ყველაფერი დანაშაულიათ და გთქათ, სასწაული რამ მომ-  
ხდარიყო, სული ჩაედგა იმა სურათებსა, გაბაწრულ სურა-  
თებსა, იმავესა ბრანენებდა მაინცა და უსათუოდა, იმავესა  
გარდაუვლადა, - გაუტეხელადა, ბრძანებდა, - ჩამოეხსრნთ  
მონა ხატისა, მყისვე, იქავე, საჯაროდა, ასე თვალდათვალა.  
სხვაც ბევრი რამ გამოერჩია თბიექტივსა, თვითონვე, თა-  
ვისთავადვე გამოერჩია, ლენტო ჩართავდა, დაატარებდა,  
სხვა არაფერი, ვერც ვერაფერს მოინიშნავდა წინასწარა, ვერც  
ერთ ადგილას დაერჭობოდა, ვერც გაჩერდებოდა, არც გა-  
აჩერებდნენ, დინება წაიღებდა, ათრევდა, აპროწიალებდა,  
ან გაინაპირებდა თუ გასტყორცნიდა, მერე ისევ რო ჩაეთ-  
რია, რო ისევ წაელო, ძეგლისკენა, წაელო და წამოელო,  
ნაფოტივითა, მორევში ჩაგდებული ნაფოტივითა. ეგრემც  
ყოფილიყო, როგორც უნდა ყოფილიყო, აპარატი თავისას  
იქმოდა, ამოპქონდა და ამოპქონდა სახეები, მოძრაობანი,  
განცდა ამოპქონდა ცალკეული თუ ერთობლივი, ისიც შეეტ-  
ყო, მოლოდინი ვით იშლებოდა, მოუთმენლობა ვით იზრ-  
დებოდა, ოდონდ ესაა, თვითონ ლენტოსვე როდი გამოუმქ-  
ლავნებია ის ფირები, არც გაუგია თუ როგორი რა გამოსუ-  
ლიყო. ერთხელაც რო გაინაპირეს თუ გასტყორცნეს უცირადა,

ვიღაცა შეეხო იდაყვეშედა, ბოდიშით შეეხო, ბოდიშითვე ჭით-  
ხა, საიდანა ხარო.

— კინოსტუდიიდანა,... — ცოტა არ იყოს შემცრარივით  
მიუგო ლენტომა, რო მოასწრო და თვალი რო შეავლო  
თავიდან ბოლომდისა, წითელი კანტები შეამჩნია შარვალზე-  
და. ისე, ჩვეულებრივ ემთხა უდინობა, სამოქალაქოს რო  
ატყვანი, ისე, იმგვარადა.

- დავალებითა...
- პო... აბა რაო!
- ვისი?
- რეჟისორისა...
- რომელისა?
- პმ, პმ, პმ!... კოტე...
- ბლოკელისა?
- პო...

— კეთილი და პატიოსანი, მომეცი!

პოდა ასეო, ლენტოს როდილა გამოუმედავნებია ის ფი-  
რებით, არც სინანული მოპკიდებია თუ რად ჩამომართვესო,  
არცთუ მიმხვდარა, ჩამოართვეს თუ მოსთხოვეს წესისამებ-  
რა, იმ წუთს არ მიმხვდარა, მერედა მიხვდა, ბეგლარი რო  
მოაგდო ტალღამა საიდანდაცა, ბეგლარმა რო იკითხა, ვინ  
იყო თუ რა უნდოდათ.

— ფირები... — უბრალოდ მიუგო ლენტომა, უბრალოდა,  
ალალგულადა.

- ფირები?!
- ფირები..
- მერე?!
- წაიღო....
- რაო?!!!!!!...
- წაიღო...
- ვინ გითხრა, მიეციო?!
- ვინ მითხრა, არ მისცეო?!
- რას ამბობ?!
- ვინ მითხრა?!
- აჯამი ხარ, ვიღაცა ხარ!..

პოდა მაშინდა მიხვდა თუ რამეს მიხვდათ, ოღონდ მაში-

ნაც ბრაზი მოეკიდა, სიპრაზემ შთანთქა თუ რამეს მიხვდათ.  
ბრაზი მთკეიდა ბეგლარის ნათევამზა რაღა თქმა უწევდებოდა  
მი ხარო, ემწარა და პასუხიც მწარე უნდა მიეგო, მაგრამ  
გერ იქნი, ვერ მოიგონა ისე უცება, ტალღამაც წაიღო ერ-  
თი აქეთა, მოთრე იქითა, წაიღო, გაიტაცა, დააბრუნა თუ და-  
ატრიალა, ვერც ხმას მიაწვდენდა, გადასცდა თვალიცა, მერე  
როდისძა შეახვედრებდა ისედაც დაბრული ტალღები, ბინ-  
დიცა წვებოდა. ბინდიცა წვებოდა და ჭრელდებოდა ყველა-  
ფერი, ხეები, ტბორები ადამიანთა, გაბაწრული სურათები,  
ძეგლი გეება, ჭრელდებოდა და ჭრელდებოდა, იძირებოდა  
სიჭრელეშია, ინთებოდა შუქები ქალაქისა, ინთებოდა თუ  
ჩაფდებოდა რეკლამები ნაირნაირი, შორით-შორს ინთებო-  
და, ჩაფდებოდა შორით-შორსა და იქამომდე ციმციმიდა აფ-  
წევდა, შუქი გედარა, ნათელი გედარა. იქაგეც თუ ციმცი-  
მებდა მომცრო ნათურები, ციმციმებდა ოდენ თავისთვისა ან  
ისიც მხოლოდდა სიჭრელეს თუ მატებდა იქაობასა- კარგა-  
ხანია ჩაექროთ დიდი ნათურები, შუქურები ჩაექროთ, ძეგლს  
რო აბრიალებდა შებინდებიდან განთიადამდე, დამეს რო  
აქრობდა იმა მიდამოში, მარადიული შუქით რო აღავსებდა  
ძეგლსა. იქითაც, ნარიყალაზე, მარადიული დიდების რეკ-  
ლამებიც ჩაექროთ ან სულაც აყყარათ, ყოველშემთხვევაში  
აღარაფერი გამოსცემდა მარადიულობისა თუ უკვდავების  
სხივებსა. თუმცა ეს რაო, ვერც ეს მიიტანდა იქამდის ნა-  
თელსა, იმას თავისი შუქი უნდოდა, არ იყო შუქი, იყო სიჭ-  
რელე, მღვრიე, ლიბრი, უფროდაუფრო რო ლიბრდებოდა,  
უფროდაუფრო რო იმღვრეოდა და როგორლაც აერთიაშებ-  
და თუ აერთიანებდა ყველასა, ყველაფერსა ადამიანებსა თუ  
ხეებსა, გაბაწრულ სურათებსა თუ ძეგლსა შთანთქმულსა თან-  
დათანობითა, აჭრელებულსა თუ მღვრიეში შთანთქმულსა,  
შენობებსაცა, გაღმა სანაპიროსი, აივნებზე შეხუნძლული  
ადამიანებითა, მდინარესაცა თავისივე ხიდიანადა, შეხუნძ-  
ლული ხიდიანადა, ყველაფერსა, ყოველივესა, შლიდა სიჭ-  
რელე, მღვრიე სიჭრელე, შლიდა, აქარწყლებდა ცალკეულ  
სახეთა, აქარწყლებდა და აერთიაშებდა. ტბორიც უკვე მთლად  
ტბორსა პგავდა, ობიექტივიც გედარაფერს გამოარჩევდა,  
ტორტმანი მაინც არა წყდებოდა, ამნდა ჩოჩქოლიცა, ავი თუ

გამომწვევი სიტყვებიც გაისმა, მფრთხალი თღონდაცა, თუმცა გაწიწმატებული, მფრთხალი მაინცა, მორიდებულებული თონდაც რო მორიდებული, რო აკრძალულიყო ასეთი თავშეყრა, აკრძალულიყო და აქამდისაც დაისჯებოდა თუ ძეგლი იგი უკვე ძეგლი არ იქნებოდა თუ სიცოცხლე დასცალდებოდა აქამდისა, მაგრამ ამდენი ამათ აღარ გაეგებოდათ, გაეგებით არაო, ოღონდ შიში მაინც თავისას იქმოდა, ტანში გამჯდარი, ჩანერგილი, გაღვივებული შიში. ის ისევ თავისას იქმოდა, ეს თავისასა, ეს აღტკინებული ანუ ძლივს გატვრენილი ჟინი იგივე ყვირილისა თუ ღრიალისა, საღიდებელი ღრიალისა. პოდა ტორტმანი არცა წყდებოდა, ტორტმანი იმა დიდებისა, შიშით შექმნილი დიდებისა თუ სიყვარულისა. საფრთხილო გახლდა ტორტმანი იგი, საშიშიც გახლდა იმა სიჭრელეში, იმა სილიბრეში, ღამე უფრო საშიში გახლდა, და საღლაც თუ ვიღაცამ ეს მაინც გადასწყვიტა, ჩაერთოთ დიღი შუქურები, იგივე შუქით მოეფინათ მშრალი კუნძული, ძეგლი იგი, იმდენი ხალხი შემოყრილი ძეგლის ირგვლივა. არც დაიტოვებოდა იმდენი ხალხი სიბნელეშია, თვით სინათლეშიც რო უშირს სინათლე, სიბნელეში რაღანაირად დაიტოვებოდა?! და იელვა შუქმა, ერთბაშად იელვა, ერთბაშად აენთო, და თვალიც მოსჭრა ერთბაშადა, მოსჭრა თვალი მიციებული გათქვეფილ ძეგლსა, ერთბაშადაო, ერთბაშადაც გადაიარა და ძეგლიც აღიმართა ერთბაშადა, ძეგლი ჩაძირული, გათქვეფილი, გაქარწყლებული, აღიმართა თუ ამოცურდა, ეგებთუ ჩაძირვიდა, ეგებთუ ზეიწევდა, ადიოდა, მაღლდებოდა, მაღლდებოდა ზეცადა. რა იყო ვინ უწყის, ვის როგორ მოეწვენა, ვინ რა განიცადა იმ ერთ წუთშია, ვინ უწყის, ვინ იცის, ვინ გამოედევნოს, ოღონდ ესაა, ყიუინი მოსკდა, ღრიალი მოსკდა საზღაურადა იმა განცდისა, იმა ლოდინისა, ღრიალი მოსკდა, ღრიალად მოსკდა ლოდინი იგი დაგუბებული, აღტაცებულთა ღრიალადა, გამარჯვებულთა ღრიალადა, ერთბაშადაც მოსკდა რაღა თქმა უნდა....

და ბრიალებდა....

და მაღლდებოდა....

„...და არავინ დაჭმას, გარნა გამღებელმან მან, და არავინ განაღოს დახშული იგი...“

მაღლღებოდა და მაღლღებოდა, მისცურავდა და მისცურავდა, — კისერი ეტკინა ლენტოსა, ღრიალსაც თუ აპყვა, ეს აღარ ახსოვდა, ოღონდ და მაინც ეფხაჭნებოდა გულის ფიცარი, ხიწვიც ამოსდევდა ამოსუნთქვისასა, ეგრე დაიხია ჟყან-ჟყანა, ეგრე ეყუდა ხიდზედაცა, მერე ეგრედვე გადაიბინა ხიდი, ეგრედვე და მოზღვავებული სურვილითაცა, მოვარდნილი ნდომითა, არათუ მორეულისა თუ უცნაურისა, არა, კვლავაცა ნდომითა ელისოსი, — ეგრედვე მიაწყდა კარსა, ეგრედვე ასტეხა ზარი ელისოსი, ოღონდ ესაა, ეგრევიც არ ეწერა ახდომაი იმა სურვილსა თუ ნდომასა, ანთუ რა ამსდარა ეგრე ადვილადა, უეცრადა თუ ეგრე ჯიქურა; თუმცირად არაო, იყო დრო, უცბადვეც გაუდებდნენ ი კარსა, იყო და არა იყო რაო, — რა კარგად იწყება ქართული ზღაპარი, ვითარცა ყველაფერი ქართული, რა ხშირადაც წამომეშველება ხოლმე მოთავებულიყო ეს ზღაპარიცა, მოთავებისა უნდა თქმულიყო: ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქაო. ოღონდ და რაო, თავისას მაინც არ იშლიდა ლენტოი, ანთუ არ იშლიდა, ანთუ ასე გამოდიოდა, — გზა ვერ გაეგნო, დაბნეულიყო, დაბორიალებდა, ივლიდა თუ იფარფატებდა, მიუბრუნდებოდა იმავე კარსა, ანთუ ბედისწერა არ ამორებდა, კუდიანების დახლართული ბედისწერაი. რაც გამოდიოდა, გამოდიოდა, ბოლოსდაბოლოს კიდევ მაინც გაუღეს კარი, გაუღეს და — ელისომ გაუღო, გაუღო და — კარშივე გაიხიდა, გაიხიდა და — არ უნდოდა, შიგნით შეეშვა, არც ის უნდოდა, იქა მდგარიყო, არ უნდოდა და—შესთხოვდა გაცლასა, მაღე გაცლასა სულ გაცლასა, შესთხოვდა და ემუდარებოდა, ეხვეწებოდა, დნებოდა ცრემლადა, ცრემლადა დნებოდა და იწმენდდა თვალთა, არაფერი გამოპყოლოდა, თითებით იწმენდდა; მერე და რაო, ვითომც იმდენი არაფერით, იღვრებოდა და დაღვრილიყო, გაჯიქებულიყო ლენტოი, მიქელს უნდა მოვახსენოთ, მწვანე ფერი ვერ მიშოვნია, ეგება სხვა ფერი აირჩიოსთ. მაშინ იქიდან შემოდიო, ეზოდანაო, მიქე-



ლი პო იქიოკენ არის, იქიდან უფრთ მარჯვედააო ასე გარ დაწვეულით. რაც იყო, იყოთ, იყო და მორჩილ, უნდა გადაეხვიოთ. ვერა, ვეღარ გადავეხვევით. ნუ დამდუბავო, ეზოდანაო. აქედანაო, აქედანაო, ასე აიტეხა, გასტეხა ასე-დაცა, ანთუ ვერც გასტეხა, მხოლოდ იქ შეეჭრა, იქა, იმ ათნა-ირად დახლართულ სადარბაზოში, დახლართულშია და და-ტიხორულშია, სხვა მოხატულობანი თუ მონაძერწი რო წა-რეხოცათ, მხოლოდ ამური რო გადარჩენილიყო, თავჩაჩეჩ-ქვილი გადარჩენილიყო და თანაც, პო გახსოვს, — პა და პა, ლამის არის გადმოვარდესო; პოდა იქ შეეჭრა, იქ შეიჭრა და იქავე დადრკა, მაშინვე არა, რადა თქმა უნდა, მერელა დად-რკა, ოღონდ მთავარი მაინც ეს არის, დადრკა, დავარდა, ვერას ეწია და მაინც დავარდა. ელისო გაეკრა პატარა თაღ-სა, ვიწრო თაღსა, — იქვე მოსჩანდა იმისი ქარი, — გაეკრა ქალი, სუსტი ქალი, ცრემლიანი, ათრთოლებული, გაეკრა ისე, თითქოს ჯვარიაო, ჯვარი ცოცხალი, სახიერი, ჯვარი მღელვარი, ჯვარი უსასო, ჯვარი ძლიერი, მიკარებას რო ვერავინ შეპბედავდა, ვერავინაო და ვერც ლენტომ შეპბედა, ხელი ვერ შეახო, თუმცა განიწოდა, თუმცა მიეტანა, ოღონდ ვერ იქნა, ვერ შეეხო, რაღაცამ დათრუუნა, რაღაც ძალა-მა, უხილავმა და შეუცნობელმა, აიტანა და დასცა, დააგდო, დააზღერთა, ისე დააზღერთა, ჩაცურდა, ჩაჰყვა დაკბეჩილ საფეხურებს მოზაიკისა, ჩაჰყვა და ჩარჩა ვარე დაშლილი თუ დალეწილი, დაყრილი დაკბეჩილ საფეხურებზედა. ეს ასე დარჩა და მოსწყდა ისიცა, ეგრევე ჩავარდა, ეგრევე ჩაიფუ-ქა, თითქოს ამოერთვა სულიცა, სხეულიცა, თითქოს ადარ იყო, აღარა, კაბალა ევდო თითქოს თაღის ქვემა, ვიდრემდე ხმას ამოიღებდაო, პო ვეღრემდე, ოღონდ და მერეცა, ხმა რო ამოიღო, თითქოს ისევ კაბა გამოსცემსო, თითქოს იქ სიტ-ყვები დაუმწყვდევათ, პირი მოხევია და იპნევაო:

— რაღად დაბრუნდი?!

— თითქოს ასეო, ასე იპნევაო.

— წავალ რა... — პასუხადაც ისე გაისმოდა, თითქოს იქით აპარატებია, კინოაპარატები, ისინია რო ხრიალებენ თუ ბუზ-ლუნებენ თუ იბუტებიან თუ როგორც ამბობენ, ისინიაო, სხვა არაფერია, არავინაა და არაფერით.

— რაღად დაბრუნდი?!

გაფუჭდა ყველაფერი, წახდა, სი-



ლამაზედ რაც წარმომესახა, შეიძლავა, რასაც სიყვარული  
დაგარეშევდი, დაიმსხვრა, გატაცება თუ თაგდავიწყენა რაც  
მეგონა, ყველაფერი გაფუტდა, ყველაფერი დაიმსხვრა. მაშინ  
ჩერჩივნა, ამ შეიძითდე თვის წინათა, ერთმანეთს რო დაკ-  
შორდით, გული რო წამწყდა, გარგახანს რო ვერ მოვედი  
გონსა, მაშინ მერჩივნა, სიყვარული მეგონა დაკარგული და  
მხოლოდ დაკარგული სიყვარული მანაღვდებდა, სინაწული  
მტანვავდა, რო ვერ გავუფრთხილდი სიყვარულსა, მაინც ის  
მერჩივნა, რწმენა შემრჩენოდა სიყვარულისა, მჯეროდა მიყ-  
ვარდა, მჯეროდა, ვუყვარდი და ვსულდგმულებდი მოგონე-  
ბითა. მოგონება რაღად შემიძლავე, რად არ შემიძრალე, რა-  
ღად დაბრუნდიშ!

— წავალ რა...

— რაღად დაბრუნდი, შენც პო ასეთი განცდით არ მოი-  
ტუებდი თავსა? შენ მხოლოდ გახელება მოგარბენინებდა  
ჩემსკენა... ის რაც არის, არის... სხვა რამ გახელებაცა, გა-  
ხელება მარცხისა გამო, ცხოვრებისაგან ნაწვნევი სიმწარის  
გამო, მოგარბენინებდა დამცირებულსა, მხნეობა რო აღვედ-  
გინა ჩემი მოჩევითა, დამცირებითა ჩემითა, სიამაყე რო  
აღვედგინა. მეტედა მივხვდი, მივხვდი და მაინც ვიბრუებდი  
თავსა, ვიბრუებდი თუ ვიტყუებდი, რო ვიცოდი სიმარტოვე  
შენი და ვერ გამეტირე სიმარტოვისათვისა, ეს სიბრალული  
გამოდიოდა, მე სიყვარულამდის ამეზიდა სიბრალული. მა-  
ინც კარგი მეგონა, რად გამიშიშვლე, რად შემოფხრიწე თხე-  
ლი საბურველი, ისედაც თხელი, ისედაც მქრქალი, რაღად  
დაბრუნდი?

— წავალ და...

— რაღად დაბრუნდი? ეგება არც იცი, ეგება ჩემმა ბედ-  
რა მოგაგდო, ჩემს დასასჯელად გამოგაბრუნა... ეგება იმი-  
ტომაც უნდა დავსჯილიყავი, უანგარო რო არა ყოფილა სიყ-  
ვარული ჩემი? უნდა დავსჯილიყავი. მე შენით მინდოდა  
განთავისუფლება ჩემი ქმრისაგანა, ლამაზი განთავისუფლე-  
ბა მინდოდა, სიყვარულის მსხვერპლად მინდოდა თავი ჩე-  
მი, გული ჩემი, სული ჩემი, ამიტომაც თუ ვიტყუებდი თავ-  
სა, ამიტომაც ვიბრუებდი თავსა, მაგრამ არ იქნა, არ იქნა  
სიყვარული ანგარებითა, არ იქნა, არ შედგა თანხმობა იგი

და სასჯელადაც ეს მეყოფა, შენი გულცივობა მეყოფა სას-  
ჯელადა, რაღად დაბრუნდი?

— წავალ და...

— რაღად დაბრუნდი? ახლა ზედმეტი სარ, სულმითლად  
ზედმეტი. ზედმეტი ყველაფერი მომაპეზრებელი ყოფილა,  
საძულველი ყოფილა ზედმეტი ყველაფერი, რატომ აღმავსე  
სიძულვილითა, რატომ დაბრუნდი, რაღად დაბრუნდი?!

— და აღიმართა ქალი, ქალი თუ კაბაო, კაბა ავიდა, ავიდა,  
გასწორდა, ოღონდ თითქოს ჩამოიმტვრევაო, ისევ ისე ჩაიმ-  
ტვრევაო.

— წავალ პო... — აიწია აპარატიცა, ავიდა, რა ვუყოთ თუ  
იქამდე კერა, ქალი მაღლა იდგა, ეს საკმაოდ ჩახრივინებუ-  
ლიყო.

— რა გეშველება, — ქალი დასძახოდა, დასძახოდა სიბ-  
რალულითა, — სიყვარული შენ არ იცი, მაცდური შენ არა  
ხარ, ფული შენ არა გაქვს, რა გეშველება?!

— წავალ პო....

ამოიხრიალა ვითომ ისევ აპარატმაო, წასვლითაც ვი-  
თომც აპარატი წასულიყო, ოღონდ წასულიყო, უნდა წასუ-  
ლიყო, კარი მოეკეტა სამუდამოდა, მოეკეტა დაჩეხილი სა-  
დარბაზო, ნაშთი წარსულისა, მოეკეტა და უნდა წასუ-  
ლიყო, უნდა წასულიყო და წავიდა კიდეცა, აქედან წავიდა  
და იქით მოუარა, ეზოდან მოუარა, ის კარიც იცოდა, იქიდან  
მოუარა, მოუარა და ეწვია მიქელსა, მამასა ელისოსი რაღა  
თქმა უნდა. ახირებით როდი მოსვლია, უნებურად დაპყვა  
ისევ ელისოსა, კარი რო მიაყოლა შურგოთუკანა, ესეც დაატა-  
ნა, ეგ შენი საღებავის ამბავი მაინც აცოდინე მამაჩემსათ,  
პო დაატანა, დაატანა თავისებური, თითქოს თუ როგორდაც  
აქრილი ღიმილითა; უნებურად დაპყვა ნებასა და იმ აქრილ  
ღიმილსაც მიუხვდა, მერედა მიუხვდა, რაღა თქმა უნდა, მე-  
რედა მიუხვდა, კარი რო შეაღო ეზოს მხრიდანა: უმაღვე  
ბეგლარი ეცა თვალშია, მაგიდას უვდა მიქელისასა, უჯდა  
და მისჩერებოდა, უსმენდა თუ ედავებოდა, რაც იყო, იყო, ბეგ-  
ლარი იყო, ბეგლარი გახლდა, იგივე ბეგლარი, დაძაბული, წა-  
მოგზნებული, მიტანებული, თითებგაფარჩხული, თითქოს ვი-  
ღაცას ყელში სწოდებაო, — ლენტოს არაო რაღა თქმა უნდა, არ

გეგონოს თუ გაიფიქრე, მხოლოდ ერთი თვალი შეავსუნ, თითქოს იცნოთ, თითქოს არცათ, თითქოს გაიყიდოთ; სიტყვა თუ უნდა აერთია მიქელისთვისა, უნდოდა ეთქვა და დრო გერ მოეხელთა. იმას თუ უნდოდა, ამანა თქვა, შევიდა თუ არა თქვა, არ დააცადა არცა ერთსა თუ არცა მეორესა, — მწვანე ფერით, ასეო, ისეო, თქვა ყველაფერი საამისოდა და ისიც დაურთო, მერე კიდევ გადავიდეთ, იქაობა რო გამირადდნდა, ამაღამ ვნახავ რა გამოვიდათ. თავიდა დაუქნია ბევრმა, თითქოს ნიშნადა მიტევებისა, მოუცდელობის ნიშნადაცა თითქოსა, ჩართულიყოთ თუ ჩაეთრია მიქელსა. ამისთვის ელისოს მოპქონდა ჩაი, — დენტოსთვისა, — იმათაც ედგათ ჩაის ჭიქები, გაციებული ჩაის ჭიქები, აქაფქაფებული მიპქონდა ამისთვისა. ცალი კუნჭულიც მოსცალა მაგიდისა, მცირედ აპერა კალთა რუკისა, სკამიც მიუდგა, ჩაიცა ცხადია, თეფში ყველითა, პურითა, ძეხვის ნათალითა, ლიმონის ნაჭერითა, ამან მიუდგა და იმას გაახსენდა, — დემტოსა, — მთელი დღე ნაყრი არ ჩასვლოდა პირშია, არც ჩაეჭერხა, არც ნაყრი ჩასვლოდა, გაახსენდა თუ ტამზა უსუსტა, სულერთია, მოწყვეტით დაეშვა სკამზედა, ხელიც ჭიქას ეცა, იმა ცხელ ჭიქასა... აქ ითქმის, დაეწვაო, ანთუ გაუძლოთ, თღონდ სულერთია დაეწვაო თუ გაუძლოთ, პი სუერთია, რადგან მთავარი სულ სხვა რამეა, მთავარი ისაა, მაშინდა მიხვდა, ელისო რო დაპქარეოდა სამუდამოდა, სამუდამოდა, სამუდამოდა, შვიდი თვე ვითომ რა ყოფილიყო, რა ყოფილიყო შვიდი კვირაცა, წელიწადიც ისევ შვიდით, საუკუნეცა, თუნდაც შვიდი საუკუნეო, სათვალავი რა ყოფილიყო, დაპქარეოდა სამუდამოდა, მიხვდა და მაშინდა დარია ხელი სიმარტოვემა, სრული სიმწვავით დარია ხელი სიმარტოვემა და დაკარგულიშამა, ხელი დარია და გაექცა ყველაფერი, გაუუცხოვდა ყველაფერი, ყველაფერი, ჩამოთვლა რად უნდა, თვითონ თუ ჩაიკარგა, იქვე იყო და ჩაიკარგა. ცნობით ეცნობოდა თვითეული თუ ყველაფერი, კიდევაც გამკვეთრდა, უფროც გამკვეთრდა საგნებიცა, ადამიანებიცა, თღონდ დაშორდა ყველა, ყველაფერი დაშორდა, იჯდა და არც იჯდა, ეხებოდა და არც ეხებოდა, საგნები არ



იმჩნევდა, ადამიანებიც არ იმჩნევდნენ ამის იქ ყოფნას საჭიროა  
 ფანტულიყოთ თუ გაქარწყლებულიყოთ თუ დაფარფატერდე ჟერლა  
 ცლისოდენადა. აქამდის თურმე რა უჭირდა, რა სამდურავი  
 ეთქმოდა თურმე, ესა ყოფილა, რაცა ყოფილა, ეს გადაკარ-  
 გვა თუ გაქრობა სახიერისა სახიერებითა, სულიერისა სული-  
 ერებითა, ყოფნა და არყოფნა, არც სხვანი შენთვისა, არცა  
 შენ სხვათათვისა, არც შენვე შენთვისა, ესა ყოფილა, რაცა  
 ყოფილა; ანთუ ესა ყოფილა, ეს სუსტი ქალი, გაუსაძლისაც  
 გააძლებინებდა, აუტანელსაც აატანინებდა, ეს მიმზიდველი,  
 ეს მომხიბლავი, თურმე როგორი, რა მომხიბლავი! რა გა-  
 ტაცებაც სცოდნია თურმე! სხვასა რგებოდა გატაცებაი იგი,  
 მიერიდან სხვასა რგებოდა, — შეპყურებდა გატყორცნილ  
 ხელებსა, დაძაბულსა და მორკალულ თითებსა, პადაპა, აპა  
 ვინ წაუვარდეს, ვინ წაახრჩოსო, ოღონდ წაახრჩოსო, სულ-  
 ერთია თუ ვინ იქნებაო, ოღონდ წაახრჩოსო, ოღონდ წაახრ-  
 ჩოსო, — ელისოც იყოსო, იყოს და იყოსო, ოღონდ წაახრ-  
 ჩოსო, ოღონდ წაახრჩოსო, ესეც თითქოს და მისტანებიაო,  
 თუნდაც წაახრჩოსო, ამან წაახრჩოსო, თუნდაც ფრჩხილებით  
 გამოსჭრას ყელით, — რა გატაცება სცოდნია თურმე! და  
 რაღაც ემართება ლენტოსა, ადგება, დაჯდება, ადგება, დაჯ-  
 დება, თქმა უნდა, მოქმედება უნდა, ვერც ვერას ამბობს, ვერც  
 ვერასა იქმს, ადგება, დაჯდება, ადგება, დაჯდება, ნდომით  
 სხვა უნდა, უნდა განაცხადოს, რო მიაქვს ბეჭედი, თანახმაა  
 ქორწინებისა, ოღონდ მანამდე აიღებს და გასტყორცნის ამა-  
 სა, კარი რად უნდა ფანჯრიდან გასტყორცნის ამ ხელვაფარ-  
 ჩნელსა თუ თავიამოდებულ ვაჭბატონსა, ნდომით ეს უნდა  
 და ადგება, დაჯდება, ადგება, დაჯდება, სხვა ვერაფერი მო-  
 უგვარებია, რაღაცა უკრავს თუ ვიღარცა წასძახის, გვიანდააო,  
 გვიანდააო. ელისო ისევ ჩაის მიართმევს, ისევ აქაფებულ  
 ჩაისა, იმათაც ჩაის გამოუცვლის, ცივს გაიტანს, ცხელს შე-  
 მოიტანს.

## XI

„და მესმა სხუაი ხმაი ზეცით, რომელი იტყოდა: გამოვე-  
 დით მისგან, ერო ჩემთ, რაითა არა, ეზიარნეთ ცოდვათა  
 მისთა და წყლულებათა მისთაგან არა მიიღოთ.

„რამეთუ მისწუდეს ცოდვანი მისნი ცათამდე, სენა დემორტი შესულობები მისნი.

„მიაგეთ მას, გითარცა — იგი მინ მოგავო, და შეკეცეთ თრგვეცი იგი, გითარცა მან ქნა, და საქმეთა მისთაებრ ბარძიშსა შინა მისსა, რომელი გიჩოდია, უწიდეთ მის თრგვეცი.

„გითარ იგი ადიღა თავი თვისი და განცოფნა, ესეზომად შეცდა მას ტანჯება და ტკივილი...“

ცხელი შემთხვევაში, ოდონდ გაციება ეწერა, — ლენტოსას არა, მეორეც გამოსცალა დენტომა, ქაფქაფი გამოსცალა, — მიქელისასა და ბეგლარისასა... მესმის მიზეზი ამ მოძრაობისათვალი, თვალებსა ფუტავდა, თავს არაცრაცებდა და ბუბუნებდა მიქელი, ერთ ვერ გასძლებს უგმიროდაო, გმირი სწყურიან და აფორიაქებს ეს წყურვილიო, ამას აპყოლია, ამ მძღეთამძღესა და მოურეველსა, რო არ აპყვეს, რო არც შეუძლიან, რო არ იქნება უამისოდა, ვერ იარსებებს უამისოდა. და არც იქნება არც არაფერი თუ არ იქნება ერი მრავალიო. გამიგონეთ, ჯერ გამიგონეთ, არ გეუბნები, ახლავე დამიკერთ, არაო, ჯერ ოდონდ მომყევი გულისყრითა, მეტი არაფერი, ჯერ მეტი არაფერი მინდაო. ერს რო უგმიროდ არ შეუძლიან, დიდებული რამ არის, დიდებული წყაროა მოძრაობისა, მოქმედებისა დაუმცხრალობისა, სწრაფვისა თუ ყოველივესი, ყოველივესი, სიცოცხლე რასაც დარქმევია ამ ჩვენი ჭეულითა, ჩვენი წარმოდგენითა თუ წარმოსახვითა, მაგრამ... მოიცა, წყნარადამეთქი, ჯერ ყური მიგდე, მაგრამამეთქი, მაგრამ რა მომხდარა, ჰა? მოტყუებულა ერი, აი თუ რა მომხდარა, დიდი რამ მომხდარა, საპედისწერო რამ მომხდარა: ეგონა პყავდა გმირი თავისი, მძღეთამძღე გმირი, სწორუპოვარი, შეუდარებელი, ეგონა თურმე, თურმე პეტნებია, მოტყუებულა თურმე, საპედისწერო რამ მომხდარამეთქი, ამიტომაც მითქვამს; მითქვამს და ვიტყვი, ეს კიდევ არაფერი, სხვა რამეც დაგვმართნია ამაზეც უარესი, რამეთუ თქმულა, ერთი უბედურება კაცს არ მოპელავსთ, უბედურებაზე უბედურება დაგვმატებია: ერს აღარ ძალუბს დაივეროს, რო მოტყუებულა, აი კიდევ რა დაგვმატებია, აი თუ რაგვარად გამოჩარხულა ტრაგედია ჩვენი, ტრაგედია ჩვენი ერისა. მოიცამეთქი, არა, არ გეტყვი, ვერ გამიგებმეთქი, ასე ად-

ილადაც ეგება ვერ დამეთანხმომეთქი, ამნაირად ჰეტეფუა-  
სითდა მოიცამეთქი, ადვილადაც წუ გამაწყვეტინებმეტქი დაბლ-  
ლილა ერი, დაღლილამეთქი, და აღარ ძალუეს თავისითავს  
შაინც რო გამოუტყდეს, გულში მაინც რო აღთაროს, ისიც  
არ ძალუეს, ისე დაღლილა, დაღლილა, ოღონდ გმირი მაინ-  
ცა სწყერიან, უნდა გმირი, უნიანად უნდა, უნდა ახირებუ-  
ლადა და იგივეს მოითხოვს, იგივესა, ვისითაც გაცურებულა,  
მოტყუებულა ვისითაცა, იგივესამეთქი, გესმის, ვისითაც  
გაცურებულა, ვისითაც მოტყუებულა ამდენისამეთქი.  
მძიმე ყოფაა, მძიმე ყოფნაა, დაპნეულობაა საოცარი, თუმცა  
ეს სიტყვაც უპრალო გამოდის, ვერ გადასწევდება ჩვენსა  
ყოფასა თუ ჩვენსა ყოფნასა, ვერ გადმოსცემს აწინდელ ფამ-  
სა. ტრაგედიაც ჟკვე გითხარი, ოღონდ ესეც მრავალგვარია,  
თვით ტრაგედია მრავალგვარია, ჩვენ დაგვმართნია განუს-  
ჯელობა, განუცდელობა ტრაგედიისა, — დაპნეულობაც ეგებ  
ეს არის? მოიცა, ამას ჩემთვის ვიკითხავ: დაპნეულობაც ვა-  
ეცებ ეს არის — განუცდელობა ტრაგედიისა? მაშინ ეგება ასე-  
ცა სჯობდეს, თუ განიცადა, გზა აღარ ექნება სასოწარკვეთის  
იქითა, — განუცდელობა ეგება სჯობდეს? თუმცა რას ვამ-  
ბობ!.. ბოროტი პთ არ შეიცვლება რომელი თვალითაც არ  
უნდა დააკვირდე, — მარჯვენათი დააკვირდები თუ მარცხენა-  
თი მარჯვენას მოჰქოტავ თუ მარცხენასა, არ შეიცვლება, რა  
სათქმელია, ბოროტი ბოროტია, ავი ავია, რომელი სჯობსო,  
რა გამოსარჩევია, რა საკითხავი. ვერ ამას დაუფიქრდიო,  
ჩასწედი ამასა, მერე მითხარი თუ რაც გენებოს, ისიც გახ-  
სოვდეს, ყველა სახელი სახელი რო არ ყოფილა, ყველა სა-  
ხელი არც გმირი ყოფილა, ისიც გახსოვდეს-მეთქი, ცედის  
სახელიც გამძლე ყოფილა, ოღონდ გასარჩევი მაინც არა  
ყოფილა, მხოლოდ კარგი სახელი გამხდარა გასარჩევადა,  
მართლა კარგი და ყალბი კარგი ანუ სწორი და ბრუნდი ანუ  
თვალი პატიოსანი და თაღლითი ან სხვანაირი, ნაირნაირი,  
განა ასე დაპირისპირებული, არა, ვთქვათ კარგი, უკეთესი,  
ცოტა კარგი, პაწაწყინტელად კარგი, სულ კარგი და კარგი,  
როგორც გენებოს, მაინც, მაინც გამხდარა გასარჩევადა,  
კიდევაც გარჩეულა, გადარჩეულა, თავანკარილა გადარჩენი-  
ლა, სხვა დანარჩენი გადახვეტილა, გადაყრილა ბნელ თრ-



მოებში ისტორიისა. ოდონდ იოლადაც არ გადაიტეს მას გადაყრილა უმტკივნეულოდა, ესეც დაიხსომე, ხოლო ამჯერად აბა გაიხსენე აღზევებული მამლუქი თუ იანიჩარი, რომელიც გინდა გაიხსენე, აბა გაიხსენე, გაიხსენე, აბა ჰა, მი-ეშველენით, გაიხსენეთ ერთი სახელი, თუნდაც ერთი, თუნდაც ბრუნდადა, დამახინჯებულადა, გაიხსენეთ, აბა წარმოსთქვით, თუნდაც ოდნავ მიმსგავსებულადა, მაინც წაგითვლით, აჲა, ჰა ჰა, ჰა!.. ვერ გაიხსენებ, თუმცა ყოფილა ბევრი დიდი სახელისა, ქვეყნიერებას რთ აზანზარებდა ისეთი სახელისა, წვენი ყოფილა იმა აღზევებულ მამლუქთა შორისა, აღზევებულ თუ აღმატებულ იანიჩართა შორისაცა, ყოფილა და ფაფუ, აღარა ყოფილა, ამგვარიცა ყოფილა ბედი სახელისა, ჟამით აღმატებული, უჟამო სახელისა, ან ეგება ითქვას, გადახვეწილი სახელისათ, ჰო - გადახვეწილი სახელისათ, გადახვეწილისა, რადგან ერთია ოდენ ჟეშმარიტი, — გმირის ნიადაგი ერი ყოფილა, უერთდ გმირი არა ყოფილა, უერთდ სახელი არა ყოფილა, არც არაფერი ყოფილა უერთდა, არაფერი, არაფერი. მაცალე, მაცალე!.. დაპნეულობაცა სცოდნია ერსა, სიბნელეშიც ბევრჯერ წავარდნილა, ბრუნდი მართლად მოსჩვენებია, ავი კეთილადა, ბოლოს სინათლეზე მაინც გამოსულა, მართალი ბრუნდისაგან გამოუჩევია, კეტილი ავისაგანა, მაგრამ ადვილადაც რთდი გამოსულა სინათლეზედა, არა, არ გამოსულა ადვილადა, ვერც ამ დაბნეულობიდან გამოაღწევს ადვილადა, ვერ გამოაღწევს უსისხლოდა, აი რა მაშინებს, აი თუ რა მალაპარაკებს. ჰოდა მაცალე, რახან მომისნია ჰირი, მაცალე ბოლომდისა. გმირის სახელი ჰო ბევრს გაუგდია, იქა ვარ ისევა, სანიადაგო სახელი მაინც სხვა ყოფილა, მომეტებული, მარადიული სახელი სხვა ყოფილა, აბა, დააკვირდი... გიორგი ბრწყინვალე არ მოგველებია, დემეტრე თავდადებული არ მოგველებია, ქეთევან წამებული არ მოგველებია, დააკვირდიმეთქი, წამებულით, ბრწყინვალეო, თავდადებულით, მეტი რადა უნდა გმირულ სახელსა, აღარც იქნება აღმატება მეტი, მაგრამ მაინც წამეტა დავით აღმაშენებელმა და ერეკლე მეორემა, ერეკლეზე მეტი ცოდვა ვის ადევს კისერზედა? მაინც წამეტა, დააკვირდიმეთქი, დააკვირდი. და იცი, რითი წამე-



ტა? თუმცა ჰო დავითისა უნდა ითქვას პირველყოვლის გადას და აღმაშენებლობა რო დაიმკვიდრა, განათუ თდენ ეკლესიები რა მოსატანია, თუნდაც საოცარი, თუნდაც დიდებული ეკლესიები, სული გამოიხსნა, ქართული სული, გამოიხსნა და გადაარჩინა, გადაარჩინა და ადაშენა. აი სული ალაშენა, აი თუ რითი დაიმკვიდრა სახელი იგი სახელი გმირისა, ჰეშმარიტი გმირისა, გააწადგურა ხრწილების ბუდე, ეგრედწოდებული საამირო თბილისისა, ავტონომია არაბული, სადით შეიძლალა ზეობა ქრისტიანული, ენა ქართული, სული ქართული სადით ჩამოინგრაომი რა ყოფილა, თუნდაც მარცხიანი, თუნდაც საშინელი, თუნდაც ომები არაბებთანა, ომის ჭრილობები მოუშუშებია ერსა, სულის ჭრილობები ვერა და ვეღარა. და აპკვეთა ხრწილება საშინელი, გადაპბუგა ბუდე ხრწილებისათ. ესა დავითისამეთქი, სულმნათი დავითისა, მაინც სინანულისად რო უგალობნია. ერეკლეს სინანულისა რა მოგახსენოო, ერეკლეშე დიდი ცოდვა ვის დასდებია კისერზედა, ოდონდ დაპკისრებია დავითისებურიცა, ამითი გამოხსნილა, ამითივე წარმატებულა. აბა!.. რაც მონგოლობას წავუხდენივართ, რაც სპარსობასა, თურქობასაც რაც წავუხდენივართ, ომებშიმეთქი, ერთადაც რო მოპკრიბო, არ შედგება იმდენი, რაც წაგვახდინა ახალციხურმა ავტონომიამა, ამა სამზაკვრომა, ამა ბუდემა ხრწილებისა, აღარა არაბული ხრწილებისა რაღა თქმა უნდა, უკვე თურქული ხრწილებისა, ოდონდაც რაო, რა შეცვლილიყო, ხრწილება იგივ ხრწილებად ითქმოდა და ერეკლე ებრძოდა იმა ხრწილებასა. დაუკვირდიმეთქი, დაუკვირდი, მთასწრებ, მთმიგო, ჯერ დაუკვირდი, ერეკლე ებრძოდა ხრწილების ბუდესა და სახელიც ამითი დაიგდო, ცოდვაც ამაში ამოიმალა, მხოლოდ ამითი, მხოლოდ ამაში, ის არას არგებდა, თავს ვერ გაიტანდა სპარსეთიდანა თუ ინდოეთიდან ჩამოტანილი სახელითა, ვერც თავს გაიტანდა, ვერც დაპტარავდა ცოდვასა დიდსათ; თუმცა ვერ გეტყვი, დაუწერდა თუ არა იმასაცა გალობანი სინანულისანიო. გმირობა მაინც ასე მოუმკია, ქარგად დაუკვირდიმეთქი, როგორ მოუმკია, როგორ გადაურჩინია სახელი, ამას დაუკვირდი და ის მომიგე, ის რაღას მთიმკის, ახალციხური ვისაც გაუკვირდი.

თებია, ერთი პო ერთია და უბედურებაა, რამდენიმე ვისაც  
გაუკეთებია, რამდენიმე ახალციხური? მომიგე რა მარტო მაცდიდი  
მაცდიდი სიტყვასა... ეგება ვერ გამიგე, ეგება მოფიქრება  
გინდა, დამიცდია, თუმცა მაინც განვაგრძობ ჩემსასა, მთ-  
ულოდნელადაც ნუ ჩამომეჭრები, პასუხი ამოვა თავისთავა-  
და. ამა, ისტორიანი პო გამოგვივლია, აგერ აქა ვართ, გავ-  
ურებთ მთაწმინდასა, მთაწმინდიდანაც გადმოვყურებენ.  
გადმოვყურებენ ძვლების ქრიალითა, ცოდონი არიან, დაბ-  
ნეულობა თუ გაგვიგრძელდა, ცოდონი არიან. რასა სჩადი-  
ხარო, შეშფოთდებიან ხოლმე, უგნურობისას თუ ვინმეს მი-  
უსწრებენ, წინაპართა ძვლები გადაბრუნდებათ, შეშფოთ-  
დებიან ამნაირადა და ვინ უწყის თუ როგორ გადაბრუნებუ-  
ლა ძვლები მთაწმინდელთა, პაი დედასა, ვინ უწყის როგო-  
რა!.. აპა ტაშირი, — დაატყაპუნა ხელი რუკასა, თანაც აიწია,  
აიწია ვაივაგლახითა, მუხლების ხრჭიალითა, თუ ხჭიალ-  
ჭრიალითა მთელი ტანისა, აიწია და ხელის ზურგი დაგდო  
მოწყვეტითა, — აპა, პერეთი, აპა ეკრისი, აპა ქართლი გადახ-  
ლებილი, მაშ რა იქნებოდა, გადაბრუნდებოდა ძვლები, იმი-  
ტომაც გადაბრუნდებოდა, ამისი განცდაც რთ დაკარგულა,  
ტვინი დანთხეულა, სული დაწერილა, აღრეულა თუ დაბნეულა-  
მეთქი. გამოერკვევა ღვთის მადლითა გამოერკვევა და მერე  
თუ რას მიუზღავს ამის მომქმედსა, ის იქნება სწორი, ის  
იქნება მართალი. ახლა ბლავილი სხვა ტკივილისაა, ეს რო  
არც ახსოვთ: აპა ტაშირი, აპა პერეთი, აპა ეკრისი, აპა ქარ-  
თლი მიმოხლებილი!.. სხვა ტკივილისაა, სხვა გაუგებრო-  
ბისა, განუსჯელობისა, თუ განუცდელობისა, ანთუ დაბნე-  
ულობისამეთქი, დაბნეულობისა. სასახელოდ მომქმედი სხვაც  
ბევრი გვყოლია, თუნდაც თამარი, ლექსად ამბობენ და მარ-  
თალიც არის: თამარ დედოფალი ვიყა, სახელი დიდი გავიგ-  
დეო, ზღვაში სამნები ჩავყარე, ხმელეთი ფეხქვეშ გავიგეო,  
ამდენი საქმის მომქმედმა ცხრა ადლი ტილო წავიღეო, მარ-  
თალიც ყოფილა, კარგადაცა თქმულა, შორს გაუფენია წვენი  
ქვეყნის კალთები, თვითონვე გაუკეთებია ახალციხური წვენ-  
თა მტერთათვისა, სიმდიდრეც მოუხვეჭია, დიდებაცა, მაგრამ  
რაო, ქმნილა სიმბოლოდ წვენი ქვეყნის აყვავებისა, სიძლი-  
ერისა, სილამაზისა, სიკეთისა ყოველივესი, ყოველივესი,

გმირის სახელი მაინც როდი შეუძენია, რამეთუ გმირობა  
გადარჩენა ყოფილა ერისა, ხოლო იმ ხანად არა გვჭირდა+სიკე  
რა გადასარჩენიო, მაშინ გინ იტყოდა, აბა ტაშირი, აბა პე-  
რეთი, აბა ეგრისი, აბა ქართლიო, — შეძრწუნებულიყვნენ  
მაპმადიანები, შეძრწუნებულიყო ერთმორწმუნე ბიზანტიაცა  
ან თუ თავს როგორმე გადაირჩენდა, გადაირჩენდა მხოლოდ-  
და ჩვენითა, დამაცამეთქი, როცა გკითხე, მაშინ არ მომიგე,  
ახლა დამაცა, გავალ ბოლომდისა, მერე შენ იცი, თუ ძალა  
შემწევს დაგაჯერებ თუ არა და დრო მაინც მიშველის, დრო  
განსწმენდს ყოველ ამღვრეულობასა, თვითონ აიმღვრევა,  
გარდასულს მაინც ჩამოაწმინდავებს, — აქ ისევ ჩამოჯდება  
ძლივძლივობისასა რადა თქმა უნდა, წაცურდება მაგიდაშედა,  
რუგასაც დაითხევს, მიეშველებიან, რუკას მიეშველებიან,  
ის თვითონვე წაიტანს ტანსა. — ასე განსხვავებულა სახე-  
ლიმეთქი, თვით კარგი სახელიც განსხვავებულა. უძრალთ  
სისხლსაც შეუბლალავს განთქმული სახელი, გაცემა თუ ღა-  
ლატიც ვეღარაფრით გამოსწორებულა. ნაპოლეონმა ერთხელ  
გასცა კორსიკელები, არ აპატიეს კორსიკელებმა, ალექსან-  
დრემ ერთხელ დაარბია მაკედონელები, არა, არ მიუტევეს  
მაკედონელებმა, ახლა მოდი და წარმოიდგინე, ვისაც გაუ-  
ცია თავისიანები, გაუცია, გაუფლეთია, ურბევია, უწიოოკებია  
ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ნახევარი საუკუნისა, ალ-  
ბათ რო ურბევია, დღენიადაგა, გამუდმებულადა, უმოწყალოდ  
რო ურბევია, გადაურჩება ერის რისხვასა? ახლა არა რადა  
თქმა უნდა, მერედა, მერე ეს დაბნეულობა რო გამონელება,  
მერედამეთქი, მანამდის იბლავლებს გაოგნებული, იბლავლებს  
დიდი სატკივარითა, ჯერ გაუგებარი სატკივარითა. ასე იბ-  
ლავლებს და ეგონება გმირის არავის წავართმევინებო ანდა  
ვინმეს შევაჩეჩებო. გმირი თუ რა ყოფილა ესაა და მითქვამს,  
კიდევაც ვიტყვი, აპა მივდევ თანდათანობითა, ოლონდ დი-  
დი რამ უცნაურობა გამოდის ეს შეჩეჩებაცა, ოღონდაც რო  
უცნაურობა გამოდის, ოღონდაცა. შეჩეჩებით ვერავის შეა-  
ჩეჩებ, ვერცა ბლავილითა, ვერცა ძალადობითა, ძალა სად-  
ლაა, მაგრამ სიტყვად მაინც მოიტანება, ვერავის შეაჩეჩებ-  
მეთქი, გმირი რო მხოლოდ თავისია, მხოლოდ საკუთარია,  
სხვისი გმირი სხვისი ყოფილა, სხვისი გმირი სხვისთვის



გმირი აღარა ყოფილა. აბა მაშ რაო, ვინ უწყის ვარდის ცეკვით  
არ უგლეჯიათ ნარი რომაელებსა, ვინ უწყის ვისთა თუ სა-  
ლაურთა მოუტანიათ გამარჯვებანი, მაგრამ მხოლოდღა რო-  
მაელ საზღვებს მიპერებდიან ტრიუმფითა, დაფნის გვირგვი-  
ნით შეუმერათ მხოლოდ თავიანთნი. ბარბაროსი რქმევია  
ყველა დანარჩენსა, ჩვეულებრივსაცა, უძლიერესსაცა, ნაქი-  
რავები რქმევია, გაუსტუმრებდიათ ქირითა, დიდად გამოჩე-  
ნილი დიდი ქირითაც გაუსტუმრებდიათ თუ ზურგში არ ჩაუ-  
ციათ მახვილი, ასე ყოფილა, ასე პო ასე, მე რად მიბდვერი,  
ნუ, ნუ მიბდვერი, ჩემი ბრალი როდი ყოფილა, ყველაფერი  
უწემოდა ყოფილა, გმირი რო თდენ საკუთარია, მხოლოდ  
და თდენ საკუთარია, ამიტომაც ასე ყოფილა. ბარკლაი-დე-  
ტოლსაც პო დიდი სახელი გაუგდია თავის დროშედა, ევრო-  
პა ამოუდია ფეხქვეშა, თლონდ გმირის სახელი მაინც კუ-  
ტუზოვს მოუხვეჭია, დააკვირდი-მეთქი, დააკვირდი, იქ ისი-  
ცაა, გმირობა მხოლოდ განსაცდელის დროს რო გამოიკვე-  
რება და ესეცა, აი ესეცა, თავისი რო თავისი ყოფილა, სხვი-  
სა სხვისით, ნაქირავებს რო ქირა ეკუთვნის თუ ზურგში  
მ-ხვილს გადაურჩა რაღა თქმა უნდა. ბოროდინოს გმირი  
რო ბოროდინოს გმირია, ისიც ამთავდეს საფლავიდანა,  
ძვლები გადაპყარეს, კუბო, ტყვიისა, დაჭრეს, დაფლითეს,  
გაიტაცეს, ეგება რო გადააღწეს და მუცელშიც ჩაისხეს, —  
თ-ნაც გადაპყოლიან, უმაღლერება ისეთი ცოდვაა, გონებასაც  
რო დაუბნელებს ადამიანსა. დაუბნელებს, იმათი რო არ  
იყო, დაუბნელებს. და სიბრნელეც ესაა, ესაა, ესაა, სხვა რაღა  
სიბრნელე თქმულა?.. თქმულა თუ არათ, ნუ გეგონება თით-  
ქოს ესაოდა ძველი ამბავიათ, თითქოსდა ამა და ამ დროს  
ესა და ეს რო მოხდა, მას მერე შეიცვალა ყველაფერით,  
ნუ გეგონება, ადვილადაც არაფერი იცვლება ამა ქვეყნადა,  
ყოველშემთხვევაში, ჩვენ რა ისტორიაც ვიცით კაცობრიო-  
ბისა, არცრა შეცვლილა, არც პირი უჩანს შეცვლილებისა:  
ადამიანები სჭამენ ერთმანეთსა, ერები სჭამენ ერთმანეთსა,  
სჭამდნენ და სჭამენ, სჭამენ და შესჭამენ, პოდა ნუ გეგო-  
ნებამეთქი, ყმაწვილკაცი, სჩანხარ, ყმაწვილკაცურად ნუ გე-  
გონებამეთქი; ხელისუფლება არ გაგიმხელს ამნაირადა, არ  
გაგიმხელს, რად გაგიმხელს?.. ბედნიერი ხარ, ბედნიერზე



ბედნიერით, შოაგაგლენებენ ამნაირადა, ძველია ესეცა, ქუდაუკუკა  
ზე ძველია, შთაგონებაც იარაღია ადამიანთა დამორჩიტებულებისა  
სა, შთაგონება შიშისა, ბედნიერება არსად დაგეპარგოსო,  
ნუმც დაგდარგვია, და გეგონოს, სრულიად სხვა დროს რო  
მოესწარი, არნახულსა, გაუგონარსა, სამართლიანზე სამარ-  
თლიანსა, და გეგონოს, ოდონდ ისიც არ დაივიწყო, ასევე  
ეგონათ ყოველთვისა, ასეფე სწამდათ, თუ არწმუნებდნენ,  
მხოლოდ ესაა, სამარის გარამდის აღარავის მიპოლია რწმე-  
ნაი ამგვარი, არავისა, არავისა, არ დაივიწყომეთქი. ყველა-  
ფერსაც რო წამოვეხსნათ, აგერ არ გიღევს ცინცხალი მაგა-  
ლითი, — აგერ აპაა, რადა არ მოუპოვა, რადა არ მოუხვეჭა,  
მაგრამ იმხელა სახელს თუ შეუნარჩუნებენ, ბარკლაი-დე-  
ტოლისთდენა სახელსა, ძალიან მეეჭვება. მოიცა, გაზუთხუ-  
ლებს გამიმეორებ, ვიცი, არ მინდა, მე პო გაზუთხულს არ  
გეუბნები, ეჭვისას ვამპობ, დაეჭვდი შენცა, ცოტა დაეჭვდი,  
როგორ იქნება სხვანაირადა, აზრი დაშრება, დაიშრიტება,  
ეჭვის გარეშე დაიშრიტება. წაწყდება ეს ბლავილი, თავადაც  
წაწყდება თუ არ წაწყვიტეს, წაწყდება, გადაივლის, წავა ესე-  
ცა, ისევე წავა განიადაგებული გზითა. აბა მაშ რაო, ერთი  
კაცის ახირებად ნუ გეგონება, ნუ, ნუ გეგონება, დედამიწას  
პოარ უბრუნია ერთი კაცის ნებისადა, სამყაროს პოარ უბრუ-  
ნია ერთი კაცის ნებისადა, კაცობრიობაც სამყარო გახლავს,  
ვერა, ვერ იბრუნებს ერთი კაცის ნებისადა, ნუ გეგონებამეთ-  
ქი, თითქოსდა რაო. რახან ნიბუხსა ბერტყავდა ამის თავ-  
ზედაო, რახან ვერაფერი შეპბედა ცოცხალსაო, მკვდარზედა  
იძია შერით, ნუ გევონება-მეთქი, ნურც გადააგდებ ამა ნათ-  
ქვამსა, ნუ გადააგდებ იოლადა, — გახუმრებულა განცდაი იგი  
ტრაგიკული რო გვიწოდებია, გამასხრებულა, ერთის სიმ-  
წარე მეორისთვის გამასხრებულა, დააკვირდიმეთქი, დააკ-  
ვარდი მოსწრებულს თუ ინებებ, აი, აპაა, მასხარაც იცის  
ტრაგედიამათ, ოღონდ რაო, ეს მხოლოდ სიტყვებია, ხოლო  
როდი ამისა მაინც სხვა ყოფილა, მკაცრი ყოფილა, მკაცრი  
მკაცრშედა, რაც გინდა უწოდე, გარდმოხსნა ყოფილა გარ-  
დუფალისა. ეს იმან გააკრა, გარდუვალობა გააკრა ჯვარშედა,  
ამან გარდმოხსნა, გარდუვალობა გარდმოხსნათმეთქი, აი რა  
ყოფილა, ის არა, არა, აქაოდა ნიბუხს აპერტყავდა თავზე-

დათ, არა!.. მრავალდმიერთობას ვეღარ უგვარნია, ვეღარ შე-  
მომდგარა სიმტკიცის საფუძვლადა, განიორწყდებულა და მო-  
ლი რომი იმიტომ უფრო, რო აღრევია სათვალავი უაშჩაგ  
დმერთა, განიორწყდებულა, დაშლილა, დაქვეითებულა,  
მერედა მოუთქვამს სული, რო გადაუყრია ის უამრავი, ცო-  
ტად თუ ბევრად მოუთქვამს სული, ერთი ღმერთი რო დაუ-  
სახავს, ერთადერთი რო დაუსახავს, ერთი, ერთადერთი რო უწა-  
შებია, ჲა?! მთიცა, უწამებიამეტქი, არა?! დიახაც, დიახა-  
ცა, უწამებია და უწამებია! დააკვირდიმეტქი, დააკვირდი თუ  
რა სცოდნია იძულებასა, აუცილებლობას თუ რა სცოდნია,  
თორემ ის რაო, თავზე პერტყავდა ჩიბუხსაო, რაო, — არა-  
ფერი თუ აღარც მეჩიბურე ყოფილა, ჩიბუხიც მიუგდიათ სად-  
ლაცა, არაფერიმეტქი, აღარც მოიგონებდა განცდილსა თუ  
გადატანილსა, არ მოიგონებდა სირცხვილგამოვლილი, მით-  
უმეტეს რაო, თმა შეეტრუსებოდა თუ რაო, ესეც ვითომ ზუმ-  
რობად ითქმის, ოღონდ ის არა, სახუმარო აღარ იქნება, ჯერ  
რა გასულა ამ ათვლიდანა, — ბევრი არაფერი, და თოხი  
ღმერთი შკვე შშოვნიათ. ასე თუ იარეს, ასე თუ იმატეს,  
დაუგროვდებათ ასეულობითა ამ საუკუნის ბოლომდისაცა,  
ჯერ მხოლოდ რო ამ საუკუნისა, ასე თუ იარეს, ასე თუ იმა-  
ტეს, ვერც წარმოიდგენ თუ რა მოქსდება. რო იმატებენ, არც  
გაგიყვირდეს, ყველამ რო იცის რო მოკვდავთა, მაინც უკვდა-  
ობას რო ეჭიდება, არც გაგიყვირდეს, — ჲო აფოფინდა კი-  
დევ ერთიცა აღმოსავლეთითა, მე ვარ და მეცა ვარო, —  
აფოფინდა და აფოფინდება კიდევ სხვაცა, ისევ იქითაცა და  
დასავლეთითაცა, აფოფინდა და აფოფინდებიან, ყველა გაი-  
წევს ამა ახალ თლიმპოსაკენა, ხოლო თლიმპო თუ მხოლოდ  
ერთია, ფეხს ვეღარ მოიკიდებს ამდენი ღმერთი, ვერა, ვე-  
ღარა, ვერ მოხერხდება. რომი რო ვახსენე, იმპერიის მშის  
წასვლისასა, იქაც ეგრე გახლდა, ვეღარ დაეტია იმდენი  
ღმერთი და იუპიტერისაც ლილა გაუხუნდა. ანთუ რომი რაო,  
ანთუ სხვაც რაო, სიძულვილი რო ულმობელია და თუ აიშ-  
ვა, ვერ დააკავებს ვეღარაფერი. სიძულვილი ულმობელია.  
და თუ უთუოდ უნდა აღაშევოს, თავისი ურჩევნიან, ერთი და  
ერთადერთი; და აფუზევებიათ ერთი, ერთადერთი, ერთი და  
საკუთარი, სხვები გაუსტუმრებიათ, თავანთ გშაშედა, სადით

რო მოსულან, იმავე გზაზედა, ეს აგერ ჩვენთვისვე უბოძებიათ... დამაცადემეთქი, დამაცადე!.. ამან იცოდა ეს ჟეკულადა ფერი, იცოდა, იცოდა, ტყუილადა პეონიათ, რო არ ტცოდას, ქვისქვეშ არაფერი გამოეპარებოდა, არა, არა, არაფერი გამოეპარებოდა, ფანატიკოსიც ტყუილადა პეონიათ, ტყუილადა, ტყუილადა, სულ ტყუილადა, იცოდა, რო დაანგრევდნენ, რო აგებდა თავის ძეგლებსა, დიადსა და შვიად მონუმენტებს რო აგებდა თავისასა რაღა თქმა უნდა, იცოდა და მაინც აგებდა, აგებდა და აგებდა, სადაც მისწვდებოდა, აგებდა ყველგანა, ყველგანაც დაანგრევდნენ რაღა თქმა უნდა, იცოდა, იცოდა და უფრო აგებდა, უფრო აგებდა და მაინც აგებდა, რადგან რო ნერევა მოუტანდა უფრო მეტ სახელსა და, რაც მეტს დაანგრევდნენ, უფრო მეტს მოუტანდა, შეაზრიალებდა დედამიწასა, შეაზრიალებდა, იცოდა, იცოდა, ყველაფერი იცოდა; იცოდა და ასედაც იქნება, აუსდება, როგორც რო იცოდა, დააქუცმაცებენ ძეგლთა ამისათა, სადმე ჩაჰყრიან საძირკვლებადა, თუ ლითონია, გადაადნობენ, ჩამოასხამენ ციხის გისოსებადა შენ თავი გაიქნიე, გაიქნიე, ნუ მერწმუნები, ნება შენია, დღეს ასე გაიქნიე, მეუარე ასე გულმოსულადა, ხვალ შენვე იხილავ, იხილავ ემაგ ბედნიერი თვალითა, თუ როგორ დააყირავებენ ცადასულ ძეგლებსა, ანთუ ვერც იხილავ, ვერა ცხადია, დასანახად რო არაფერსა სჩადიან, მხოლოდ ამბობენ, ამბობენ, ამბობენ და სხვას ამბობენ და სხვასა სჩადიან, დააყირავებენ და დააზღერთებენ, დაანგრევენ, დააქუცმაცებენ, ნერევა ყველას რო ეადვილება, გაიმეტებენ ისე ადვილადა, ზოგჯერ ნერევა რო უფრო ძნელია, ევება ვერც რო გაითვალისწინებენ, — არაფერია გასაკვირველი, ახლა ესაა, რო დაანგრევენ, ერთი მეორეზე უდიადესსა, ერთიმეორეზედ მეტად ღვთაებრივსა, ძნელად აგებულს ადვილად დაანგრევენ, ადვილადაც მოაყოლებენ ბევრსა თუ ცოტასა, ქვეშ მოაყოლებენ, რამდენიც მოჰყვება, დაუნდობლადა, შეუბრალებლადა ან სიბრალული რა მოსატანია, მოაყოლებენ შერისძიებითათ. შენ კარგი უერით გაიგონეთ, ის სიტყვები კაცთმოყვარეობისა, მონავონი ყოფილათ, ის სიტყვები ადამიანის სიყვარულისა, მონავონი ყოფილათ, სიძულვილი ამოპარებოდა გაკრიალებულ სიყ-

ვარულსათ, ამოქმარებოდა და უცემადაც ამოვარდებათ, ამო-  
ვარდება და გამძინვარდება, გავარვარდება, ვითარება  
ფილა თუ ვითარცა გაღმოგვცემია ამბავი რენისა, ღმერითა  
რენისა, უძველეს ღმერთია რაღა თქმა უნდა. რაგორც გად-  
მოგცემენ ასე ყოფილა, ერთი დაუფლებია, ერთი ერთად-  
ერთი, ერთი ატყორცნილა თუ აუტყორცნიათ ერთი იტი მო-  
ძალადეთა, თავიანთი აუტყორცნიათ მიმოუნგრევიათ პირა-  
მიდებიცა ან წაურთმევიათ სახელი სხვათა, აღარავინ უწყის  
თუ ვისი რქმევია, ვისად გარდაქმნილა, ვისი დაუნგრევიათ  
თუ აუგიათ ვისი, ვის უფრო დიადის სახელი გაუგდია, ვის  
მოუტაცნია სახელი ვისი, არავინ უწყის, არავინამეთქი. მხო-  
ლოდ ძლიერთა ძალადობა უწყის სოფელმან. მერედა რაო,  
წარმავალი ყოფილა ძლიერებაცა, წარმავლობას ნგრევა მოჰ-  
ყოლია და მხოლოდ ძლიერთა ძალადობა, მხოლოდლა ნგრე-  
ვა უწყის სოფელმანო. შენ ის მართლა ბრძენიც პო ვგო-  
ნია, — გეგონოს, გეგონოს, მაგრამ სიბრძნესაც პო გააჩნია?..  
შენც ნუ მედავები, ანთუ მედავე რამდენიც გენებოს, მე არ  
გედავები, მე ვამბობ და შენ მოისმინე, შენთვის განსაჯე  
და დროს დაელტდე, დროსა, დროსა, დროს დაელოდე, როცა  
დამიჯერებ, ჩემთვის სულერთია; ახლა ამას ვამბობ, სიბრ-  
ძნესაც პო გააჩნიამეთქი, ანთუ რაც არის, ზოგჯერ ისიცაა,  
საკუთარ დიდებას რო შეეწირება, ისაა, ისაა და მეტი არა-  
ფერი, შენა გვონია, რო ქვეყანას აშენებსო, ის თურმე ში-  
შობს, ვაი თუ რა მელის თუ რა მიმუხოლებს, რას ვუწამლო  
თუ რას მოვერიოო, ის თურმე შიშობს, თურმე, თურმე... იმ-  
დენი ძეგლი ეგებ არც აეგო, ისეთი შიში რო არა პქონოდა,  
პა?.. დასანგრევი აღარც იქნებოდა, წვენც ალბათ ასე არ  
დავიბნეოდით, ანთუ არც ასე გავილეწებოდით. დაბნევა არა-  
ფერი, არა, არაფერი, რო გავილეწეთ, მე იმას მოვთქვამ.  
რამდენი რამ გითხრა ასე ერთბაშადა, — რო გავილეწეთ, მე  
იმას მოვთქვამ, ყველაფერია ალბათ ნათქვამი. შიშისგან  
იყო, იმა შიშისგანა, რო გაიმეტებდნენ, როცა იქნებოდა, რო  
არ იყო იმათი და რო უნდა ყოფილიყო იმათი და რო უნ-  
დოდა და უნდოდა და უნდოდა, რო იმათი ყოფილიყო. უნდო-  
და და იყო სულითა, გულითა, საქმითა, არსებითა, სისხლი-  
თა, ხორცითა, რადგან რო ნდომით იძლევა ყოველი, მძაფ-



რი ნდომითა, მწვავე ნდომითა, აუბორგავი ნდომითა, კანწერების გადაცემის მიზანითა, ულმობელი განწირებითაცა, რახან რო გასწირავ, აღარც ეკუთვნი, რახან რო მოსპოტ, აღარც იმათი ხარ. ჲა?.. რა, არა, არ გეკითხები. გის უფრო ეამებოდა, ქართლი რო დამორჩიდებულიყო, შაპ-აპაზსა თუ... მაერიალებს, რაიმე მომაფარე, ელისო, რაიმე, მაერიალებს... თუ ალავერდიხან უნდილაძესა?.. რაღა დროს ეს არის?.. ან რა უდროესია?.. ანთუ რაც არის, ამთავდა ეს მმგინვარე წლებიცა, მოთავდა შიში, მოთავდა სიკვდილითა, მაგრამ სიკვდილთან რო არ მოთავდა ყველაფერი, არა, არ მოთავდა, გაგიმიმვინვარდა თვით სიკვდილიცა, ღმერთო დიდებულო, — და ძრწოდეთ წარმართნოთ, რამეთუ იტყოდა წინასწარმეტყველი, ასევე გეტყვი, მაგრამ გაი რო არ მერწმუნები ერთი ნათქვამითა, რადგან რო აქამდე გითხრეს მრავალი, მართალი სიცრუედ მოგაჩვენეს, სიცრუე აღგიმართეს სიმართლედა ანუ თვით აღგიმართა სახება თვისი, აღგიმართა სვეტიცხოვლადა, მზედ მოგივყვანა, მზედამეთქი, ყოველივეს მასულდგმულებლადა, მზის დამხობას ვერ დაიჯერებ მხოლოდ სიტყვებითა. მაგრამ თვალები პო გასხია, პოდა კარგადაც გაახილე თვალი, გაახილე და აპა, შეირყა იგი, შეძოძგინდა, შექანდა სვეტი იგი, სვეტიცხოველი, შექანდა ძეგლი, ძეგლი იგი უსასოო, შექანდა და კიდევაც დაემხობა, პირქვე დაემხობა და ალდგება რწმენაი ჰეშმარიტი, დაბნეულობა გამონელდება, გამოერკვევა ერი დაბნეული და ჰეშმარიტი რწმენაც ესა ყოფილა თუ გამოერკვევა ერი დაბნეულით. ოღონდ გამიგეო, ჯერ გამიგე თუ რას გეუბნებიო, მეტი არაფერი მინდაო, პოდა გმირი ისა ყოფილა-მეთქი, ვისაც აუხსნია ერი, ვისაც დაუბამს, ის არა, არამეთქი, გმირი ამირანი ყოფილა, მჟედელი — პირქუში არა ყოფილა გმირი, გამიგემეთქი, გამიგონე და გამიგემეთქი, ამდენი მითქვამს, გეტყვი კიდევაცა, თუმცა ამათა აწ ყველაფერით, დამდგარა უმი გამოცხადებისაი, სისხლიანი გამოცხადებისაი, რაღა თქმა უნდაო, სისხლიანი გამოცხადებისაო, დამდგარა უმი ბედისწერისა, გარდუვალისა დამდგარა უმი, მხოლოდ მერედა თუ გამოწნდების გმირი იგი, ვინც ერს განკურნავს ახალციხური სატკივარი-

საგანა, გმირიც ის იქნება, მხოლოდ ისა, სხვა ყველა რიცხვი  
დურის მოციქულიათ. ოჭონდ გაგდას, რო კერ უცოდეველთა  
რბევა მოგვეყის; მომდანდებია რბევა უცოდველთა, გაგ-  
ლას და ვაიო. — ეს იყო წა შიცუჩდა უცირადა, წაგიდა, წა-  
იკარგა, შთაინთქა, თითქოს გაქვავდათ ანთუ ფიტულად იქ-  
ცა, სული ამოქქარდა, გადაიკარგა, ანთუ ანგელოზებმა გაი-  
ტაცესო, დააცურებენ უსაშეღვრო სივრცეში, ლაღობენ და  
ალაღებენო, ანთუ ეშმაგებმა გაწერეს, გაპენტეს, ქვეშ ამო-  
იგეს და დაგლურს უვლანო, სადღაც ქვესკნელშით, ჯოვა-  
ნეტშით რაღა თქმა უნდა, რაც იყო, იყო, აქ აღარ იყო, აღა-  
რაფერი გაეგებოდა. ბეგლარმა რა იცოდა, ბეგლარმა დრო  
იხელთა, მიუშვა ხელები, ძლივს რო აკავებდა, მიუშვა და  
გაეშვდნენ ხელებიცა, ავარდნენ დავარდნენ, ერთმანეთს  
ეკვეთნენ, გადასჭრეს ერთმანეთი, მერე შეიხლართნენ, შე-  
იკვრნენ ერთ შუშტადა, აქანდნენ, დაქანდნენ ურთსავითა,  
გაიყვნენ ისევა, ერთი გაიშალა ეგრე, ვითომ ასპარეზიაო,  
მეორე აცეკვდა ანუ აცეკვდნენ თითნი ხელის გულშედა,  
უცებ აიკეცნენ სჟანი, სალოკი დარჩა შუაგულშედა, დარჩა,  
ჭატრიალდა ბურღივითა, თითქოს გახვრეტა მოუნდომაო,  
ოღონდ დაეხსნა, მალე დაეხსნა, ავარდა, აპევა გამლილ სი-  
ლასა, მეორე პო იქით გაიშლებოდა რაღა თქმა უნდა, მიაწ-  
ყდებოდა ერთიმეორესაცა, ტლაშუნს გამოსცემდა ანთუ კინ-  
ტადა, ანთუ ზედიზედა, ეს სულერთია, განმეორდებოდა ამნა-  
ირადვე, მერე ბღუჯადაც გაგარდებოდა თითები, ისრების  
ბღუჯადა, ისართა ზუილსაც აიყოლებდა, ოღონდ მალევე  
აიკრიფებოდა ანთუ მოგვიანებითა, ანთუ დასამუშტავადა,  
ანთუ დასაპრტყელებლადა, სატევარივით დასაპრტყელებლა-  
და, სატევრებივით საქნევადა. უარესადაც გარდაქმნილიყო,  
ვეღარას დააკლებდა იმა ქვადქმნილსა თუ სულამორთმე-  
ულსა, ვერთუ რას აუსნიდა, ვერთუ რას დააჯერებდა, სა-  
შაგიეროდ ელისოს იპყობდა, ასდევდა თვალნი ელისოსი,  
აღტაცებულნი, გაბრწყინებულნი, ძალის შეგრძნებით აღტ-  
აცებულნი, გაბრწყინებულნი ძლიერების ხილვითა; ასდევდა  
თვალნით? — თვალნი რა თქმულა თუ აპყოლოდა ერთიანა-  
და, მთელის არსებით აღტყინებულიყო... ასეთი ელისო ახ-  
სოვდა ლენტოსა, ასეთი ელისო უნდოდა ლენტოსა, მაგრამ



ამისთვის აღარ იყო, არა, აღარ იყო ამისთვისა, იმისთვის  
იყო, იმა შემდილი თუ გაცოფებული ხელებისთვისა—ზორა  
გზნებისთვისა, იმა დაუთმობლობისთვისა, მოღუნებისათვის  
არ იყო, არა,

აღართუ ვინმეს აგონდებოდა, ლენტიც თუ იქ გახლა,  
არცთუ ვინმეს გაუგია თუ როდის გავიდა...

## XII

„...და ვინილე სხვაი მხეცი, აღმომავალი ქუეყანით, და  
აქენდეს რქანი, მსგავსნი კრავისა, და ზრახვიდა, ვითარცა  
ვემაპი...“

როცა იყო, გავიდა, რაც იყო, განიცადა, დაკარგვა განი-  
ცადა რაღაცა დიდისა, რაღაც აუნაზღაურებელისა, მიუსაუ-  
რობა განიცადა, ოღონდ ნუ მომკითხავ თუ ვით განიცადა,  
პო ნუ მომკითხავმეთქი, რადგან ადვილია გამოხატვა ბედ-  
ნიერის უბედურებისა, ხოლო უბედურის უბედურობა არც  
დაიხატვის ევრე ადვილადა, არა, არ დაიხატვის, დაუბო-  
გავადაც ნუ მომექცევი, ნუ აიხირებ, გაგიძნელდეს და გაგიძ-  
ნელდესო, ნუ აიხირებ, სიძნელესაც პორ მოვრიდებივარ, —  
სიძნელე რა ყოფილა, რა მოსატანია, ერთფეროვნებას მოვ-  
რიდებივარ, რადგან ახალი მარცხი, რადგან რო უბედურება  
ახალი არცორას შესცვლის, არცრას მოაკლებს, არც მი-  
უმატებს ცხოვრებასა თუ განცდას მარცხიანისასა, პო მარ-  
ცხიანისასაშეთქი, იგივე უბედოსი თუ უბედურისაშეთქი,  
თუმცა ერიპაა, ეს რაღა ითქვა, უბედურისაო? როდისაქეთია  
აღარა თქმულა, — „უბედურსაო?“ და მწირსა უცებ გულს  
ელდა ეცა ამ სიტყვის თქმ.ზედო, ესეთი სიტყვა პო ჩივილია  
და ვით მთადგა იგი ენაზედო, — კვინებ, მას შემდეგ აღარ-  
ცა თქმულა, ამ ჩვენს დროში პო არა და არა, ვის მთადგე-  
ბოდა იგი ენაზედა?!. ბედნიერების მეტი არაფერი ითქმო-  
და და ნუ შეგაშინებს თუ ესეც გაისმა, ნუ შეგაშინებს: ვე-  
ღარ განუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის  
ქროლვასო, — ვეღარ განუძლებს, წარმოსდგება ისევ ისევე  
უბედურება უბედურებადა და ისიც ითქმის სიხარულს თუ  
რაც მოგვანიშებსო. ითქმის. ითქმისო. და ახლა მაინც საქმე

იქამდის მაინც არ მისულა, უფსკრულში რო გადაწერილოდნ  
ლენტი, არც რო ფიქრად მოუვიდოდა ასეთი რამკ, კერც  
რო მიპხვდებოდა, სხვა რო მის თვალწინ გადაწერილიყო,  
მარცხი თუ გასაჭირი, სიმუხთლე თუ სივერაგვე, სიცრუე,  
სიცრუე გაუთავებელი, ეგონა ისე ჩვეულებრივი, ისე, ისე  
ჩვეულებრივი, უიმისოთდ თუ როგორა ცხოვრობდნენ, ვერც  
მიპხვდებოდა და ვერც ვერას გაიგებდა; ასე რო უფსკრულში  
არ გადაწერილა, რაც იყო გადიტანა, გაუძლო რაც იყო, ას-  
დევდა ისევ შინაგან ხმასა, რო უნდა გასულიყო, რო უნდა  
გაეტანა, თუ დაეცემოდა, რო უნდა ამდგარიყო, უსათუოდა,  
უსათუოდა, უსათუოდ რო უნდა ამდგარიყო, ამას ასდევდა;  
ამ რაღაც ძალასა, გამოუცნოსა, იღუმალსა, გაუტეხელსა;  
ასდევდა და მისდევდა, მისდევდა და მიიყვანდა იმა ახალ  
მასწავლებელთანაცა, იმა ახალი მისამართითა. მიიყვანდა.

იქ ისეთი ფორიაქი დახვდა, გაბოცდა, ველარ გაიგო თუ  
სად მოხვედრილიყო, მიგნებაც გაუჭირდა, იარა თითქოს რა-  
ღაც უცნაური ჯურლმულებითა, ძველი შენობის ჩახვეული  
დერეფნებითა, ალაგ ბნელი, ალაგ უეცრად ჩამონათებული  
დერეფნებითა, იარა და გულში რო გაივლო, ველარც გავად-  
წევ აქედანაო, სწორედ მაშინვე გადაეყარა იმა ფორიაქსა,  
ანთუ ერთად აქაქანებულ თციოდე ახალგაზრდას გადაეყარა  
ერთბაშადა და მოულოდნელადა. სადღაც ჩაგარგულიყვნენ  
იმა ლაბირინთშია, გადამკედლილ დერეფანსავე თუ საკუჭ-  
ნაოსმაგვარ გრძელსა და ბნელ თთაბში მოეყარათ თავი.  
ბნელი იმად ითქმის, შუქს თუ ჩაქრობდნენ, ერთი სარკმელი  
ვერას უშველიდა, თორემ იმეამად შუქი აენოთ, ბდლვია-  
ლებდა დღის ნათურები, ლაპლაპებდნენ ახალგაზრდებიცა,  
ლაპლაპებდნენ ნათურებქვეშა, ლაპლაპებდნენ და ქაქანებ-  
დნენ, ერთადა, ერთიშედა, თითქოს არავის არავისი გაუგე-  
ბათ, ქაქანებდნენ და ბრუნავდნენ, ტრიალებდნენ, ჩასდევდ-  
ნენ წაგრძელებულ მაგიდასა, ჩასდევდნენ და ასდევდნენ ან  
მიიკუნებოდნენ, ან გამოიწევებოდნენ, ან დაწყვილდებოდ-  
ნენ, ან დაბორიალებდნენ თითოთითოდა, ვაუებიც დაბორი-  
ალობდნენ, ქალიშვილებიცა, ვაუებიცა ქაქანებდნენ, ქალიშ-  
ვილებიცა, თღონდ ესაა, მომეტებულიყვნენ ვაუები, ხმა მა-  
ინც ქალიშვილებისა სჭრბოდდა. ასე ერთბაშად ტოლება-



დაც ითქმოდნენ, განსხვავებაც შეემნეოდათ, უფრო უფრო უფრო  
ლენტოსხნისანი გამოვიდოდნენ, უმცროსები პადანი, მადანი, მადანი  
წელიწადს თუ ამთავრებდნენ, უმცროსები პადანი, მადანი, მადანი  
წამად ტოლსწორებადაც ითქმოდნენ, ტოლსწორებითაც  
წალერებოდნენ ერთიმეორესა, არცარას აცდიდნენ ერთიმე-  
ორესა, არც არავის უკვირდა, არც არავინ შეწუხებულიყო.  
ტანითა თუ სახით გამოირჩეოდნენ რაღა თქმა უნდა, თუმცა  
ლენტოს ვერც გამოერჩია, — ერთ ადგილას პო არა ჩერდე-  
ბოდა არცერთი, ეს ახალმოსულიც პო არ შეუმჩნევია არა-  
ვისა, — არა, არ შეუმჩნევია, იქ არც არავინ ამჩნევდა არავი-  
სა, ყველა თვითონვე ენრებოდა, ესეც უნდა ჩანრილიყო თუ  
რამე უნდობა, ეკითხა თუ სად მოხვედრილიყო, ეკითხა თუ  
საით გაეკვლია გზაი, იმას იქითაც თუ იდე გზაი. ეკითხაო,  
ოდონდ ვისთვის ეკითხა თუ არც არავის ეცალა ამისთვისაო.  
თუმცა პო: მაგიდასთან ვიღაც მიმჯდარიყო, ერთი მაინც  
მიმჯდარიყო, ერთი მაინც არას ამბობდა, არც თავს არაც-  
რაცებდა, არც მხრებს დააქანავებდა, არცა ხელებსა, მიმჯ-  
დარიყო, გატვრენილიყო, გრძელი მქლავები ჯვარედინად  
გადაეწყო რვეულებსა თუ ქაღალდების კონებზედა, ჩამოგრ-  
ძელებულივე სახე დაეხარა გადაჯვარედინებულ მქლავებზე-  
და, თმა გადაეხვეტნა, ძუასავით შეეკრა კეფაზედა და სახის  
ძვლები უფრო მკაფიოდ ამოსცვენოდა, ისედაც ამოზრდილი  
ძვლები. ხორცი თუ აკლდა რაღა თქმა უნდა, ანთუ ხორცი  
არცთუ ეხმარათ, როცა ძერწავდნენ იმა სახესა, კანი გადა-  
ეკრათ პირდაპირ ძვალზედა, არაფერი ამოევსოთ ხორცითა,  
არაფერი შეელამაზებინა, თვალი მაინც არ მოერიდებოდა,  
თუმცა არ ითქმოდა შნორანადა, არა, ცხადია, მხრებიც გას-  
წიოდა განზედა, ისევე ძვლებამოჩრილი მხრები, კანჭები-  
ცა მსხვილი მხოლოდ ძვლებისგან დასხვილებოდა, წამოვარ-  
დნოდა მუხლის კვირისტავებიცა, კაბაც ზევიდან გადაეჭრა,  
მუხლებზევიდანა, — შნორანად არ ითქმოდა და რა ვქნა?!.  
პო ეს მერე, კანჭები თუ კვირისტავები მერელა შენიშნა, ქა-  
ლიშვილი რო ადგა, ლენტოსაკენ გამოემართა, შენიშნა თუ  
არცთუ შენიშნა, მხოლოდ ერთი აავლო თვალი, თვითონაც  
წაიწია, ვეტყვი, მეტყვის და გავეცლები აქაობასაო. პოდა  
ჰკითხა, პოდა მიუგო, ოდონდ გაცლით ვერ გაეცალა, იქ მი-



სულიყო და რას გაეცლებოდა - ქალიშვილმა სიტკონების  
სთხოვა. არ ვეწევიო, მთახსენა ლენტომა. ნაზიკო შევიახო,  
მაინც დასძინა ქალიშვილმა. ბაგე აღარ გაუხსნია ლენტოს. ა-  
ღარც ნაზიკოს დაუყოვნებია, ისევ მიექცა თავის კონებსა,  
სიგარეტიც გამოარჩია, ასანთიცა, ლენტოსაც გაუწოდა სი-  
გარეტი, არ ვეწევიო, შეაპსენა ლენტომა.

- არც გამაცილებთ?.. - თითქოს გაიკვირვა, თითქოსა  
სთხოვაო ნაზიკომა.

- შორს მიძრძანდებით?
- ჰა? არა, აქვე, დერეფანში...
- სულერთია სად ვიდგომები.
- სკამები გავიტანოთ.
- არა, რატომაო... სულერთია...

ნაზიკომ მაინც გაიტანა სკამები, ჯერ გვერდიგვერდ და-  
აწყო, მერე პირისპირა, ჩამოჯდა და მოიმარჯვა სიგარეტიცა  
ანუ ტუჩებში გაიჩირა ცხადია, თლონდ ასანთი ლენტოს გა-  
უწოდა, წაიწია, გაემზადა მოსაკიდებლადა. თლონდ ჰო, -  
იქ ჰო შესვლა არ გაუგიათ ლენტოსი, არც ეს გასვლა გაუ-  
გიათ, არცა ხრივინი სკამებისა, ესენიც ჰო შორს არ წასუ-  
ლან, ჰოდა იგივე ხმაური ეხვიათ გარსა, იგივე ქოთქოთი,  
იგივე ჭირვეული შეძახილები, ჭირვეული და აღმტაცი: „ეს  
იყო გენიოსი...“ „გენიოსი გენიოსებისა...“ „უდიდესი ფილო-  
სოფოსი...“ „სტრატეგოსი სტირუპოვარი...“ „ნაპოლეონი  
ფელტფებელადაც არ გამოადგებოდა...“ „გარდაპქმნა...“ „შე-  
პქმნა ახალი ფორმაცია...“ „იყო პუმანისტი უდიდესი...“  
„ადამიანს კაპიტალი უწიოდა...“ - ასეთი აღმტაცი, უფრო  
აღმტაციცა, მოდავე იქ არავინ გახლდა, მაინც ჭირვეული  
გამოდიოდა, ერთმანეთისათვის რო უნდა წაეჭარბებინათ,  
იმიტომაც თუ გამოდიოდა ჭირვეული ან იმიტომაცა, მოდა-  
ვე რო იქ არავინ გახლდა, ხელშიც რო არ წაუვარდებოდათ  
არავინა, ვერც რო ხმას მიაწვდენდნენ ვერანაირადა, იმი-  
ტომაც თუ იჭაჭებოდნენ, ეგება როგორმე გავაგონოთო, ან-  
თუ ვინ უწყის კითამ რ. დ. ა. რად იჭაჭებოდნენ, - ეგება  
უდირო იმატომაცა. სხვაკ. ასევე რო იჭაჭებოდნენ: რაღაც  
დამ. რონოდათ, სლუმდნენ, სდუმდნენ, სდუმდნენ და ტაშს  
უ. რავდნეხ, რო ისევ დაოუზებულიყვნენ და რო ისევ დაეკ-



რათ ტაში, და აი უცეს: აჭაჭებოდნენ, უცება, უცება, უპოვერება  
მიამ რთ იცის, აუ უცეს, ფსიქიურმა ეპიდემიამა, ჟეკი ჟეკი  
რის ერდემიაც რთ კი უცდრებოდა სისწრაფითა, ისე უცე-  
ბა. უცნაური რამ ყოფილოფო. რაცა ყოფილიყო, ნაზიკოს ალ-  
ბათ ჯერ არ შესკედროდა, ან უკვე გაევლო ერთი საფეხუ-  
რი, — იჯდა, გადაედო ჭიხი ფეხზედა, აქანავებდა მუხლის  
გვირასტავსა, წამლასურლულსა თუ წამოვარდნილ კვირისტავ-  
სა, წაემარჯვებინა სიგარეტი მოსაკიდებლადა.

- რად არ მომიკიდებოთ?
- როდის მითხარით?!
- ყველაფერს თქმა უნდა?!
- განა არ უნდა?!
- მიხვედრა რიღასია...
- მიხვედრაცაა და მიხვედრაცა.
- მიხვედრაც ისაა, რაც სწორია.
- ყოველთვისა?.. მაშინ ვთქვათ პო,.. პირველყოფილი...

მეცნიერული....

- აღარა ხუმრობთ!..
- აღარა....
- რაც არის, მომიკიდეთ.
- მაგრამ უხერხულად ვუკიდებ, ეგება აგტირუსოთ.
- რისი თქმა გინდათ?
- აკი ახლა ყველა ხვდებაო!..
- მაინც რას ამბობთ?
- რაც მოგახსენეთ, უხერხულად ვუკიდებმეთქი.

ის მაინც წამოიწია თავპირიანსიგარეტიანადა, ამან მი-  
აჩერა ასანთი. წყენა არ შესტყობია ქალიშვილსა, აანთო, გა-  
აპოლა, თვალი ააყოლა ბოლსა, ააყოლა და ააყოლებდა, კა-  
რიდან ისევ ზათქი ზათქს დაერთვოდა, „ადამიანს კაპიტალი  
უწიოდაო..“ დაერთვოდა ზვიადობითა, განუსჯელადაცა რა-  
ღა თქმა უნდაო, თორემ თუ განსჯიდნენ, რა გამოვიდოდა  
ანთუ უკვე რა გამოსულიყო, დახურდავებულიყო ადამიანი,  
დახარჯულიყო ერი, გაფლანგულიყო, ანთუ რაიმე გადარჩე-  
ნილიყო, ასე გადამდნარი, ასე შენარევი სულითხორციანა-  
და, — პო თუ განსჯიდნენ, ეს გამოსულიყო, თუ განსჯიდ-  
ნენო, ოღონდ განმსჯელი აღარსად იყო, არათუ იმა ყმაწ-



ვილთა შორისა, აღარსად იყო, აღარც თუ სადა, პლატინ ჟირ  
აკოქონა დანთებულიყო, დიდისანია დანთებულიყო, წამწვა-  
რიყო, აზრი, წაფერფლილიყო, წაფერფლილიყო განსჯის  
უნარიცა. ოღონდ რაც უნდა იყოს, აქ ამისთვის როდი მოსუ-  
ლიყო ლენტით, სულ სხვა რამისათვის მოსულიყო და სწო-  
რედაც გივლიათ დაარწმუნა ამა ბოლში გამოხვეულმა ასულ-  
მა, დაარწმუნა და იცდიდა ესეცა ბოლის ნაძენძებშია, შე-  
მოუვლიდა ამასაცა ან წაპერავდა, წაევლისებოდა, ზედ თვა-  
ლებზე წაევლისებოდა, ნესტოებში პო წაბუდებულიყო და  
წაბუდებულიყო. რაღაც მდარე თამბაქოსაგან თუ იქნებოდა,  
იმიტომაც თუ სთხოვდა, მომაწევინეო, უკეთესი თუ მონატ-  
რებოდა, მერედა რაო, გულიანად ექაჩებოდა ამასაცა, ებე-  
რებოდა ძვლები მკერდისა, ადიოდა ბოლი საპერველიდა-  
ნა, ადიოდა და ადიოდა.

სადღაც ჩქამი გაისმა და თითქოს ბოლიც გაიყინაო, გა-  
ისმა და წაწყდა, ისევ ამოიზარდა, მერე დაიხლართა, იარა  
ეგრე დახლართულადა, იარა და იარა, ვიდრე პვლავაც წა-  
იყარგებოდა თუ ზათქი დაპფარავდა ახალგაზრდებისა, ბო-  
ლოს მაინც გამოიკვეთა, ჩქამიც გამოიკვეთა, მამაკაციცა, ასე  
შუახნის მამაკაციცა. შუათანად ითქმოდა სიმაღლითაცა, ხორ-  
ციანობითაც შუათანადა, სიგამხდრე-სიმსუქნის შუათანა-  
და რაღა თქმა უნდა. ჭკუისა რა გითხრა, ცოდნისა რაღა,  
ანთუ მარიფათისა რაღა მოგახსენო ასე უეცრადა, სად შუ-  
ათანობასვე დაადასტურებდა, სადთუ მოჟარბებულობასა, გა-  
მოირკვევა თანდათანობითა, ოღონდ სამოსი მაინც სამოსი  
გახლდა, ერთი შეხედვითაც შეეტყობოდა, — ასცილებოდა  
შუათანობასა, მეტისმეტადაც ასცილებოდა, ხასხასებდა, სხი-  
ვოდა, ბრწყინავდა, ანთუ ქრისტობდა, ბუსუსი გადასდევდა  
სიახლისა თავითბოლომდისა, ბუსუსი სიახლისა, უბიწობი-  
სა, უმწიკვლობისა, გეგონებოდა, ეს არის საწყობშივე გა-  
დაუცვამს ყველაფერი ერთადაო, ერთბაშადაო, უცხოური  
საქონლის საწყობშით რაღა თქმა უნდა. პორთფელიც პო  
ახლათ-ახალი ექნებოდა, — იქიდანვეო, დასძენდი ამასაცა,  
ოღონდაც რო არც ის პორთფელი ითქმოდა შუათანობაშია, მოძრა-  
ობდა ისე, — პორთფელი აღარა, ის შუახნის, შუათანა სი-



მაღლისა თუ შეათანა სისქის კაცი, მოძრაობდა თუ მოქმედა  
დებდა ისე, იმგვარადა, შეათანობაში რო აღარ ჩამოერთხმე  
ოდა, არა, რა სათქმელია, მოძრაობდა ფიცხლადა, სწრაფადა,  
ცხოველმყოფლადა, გასაოცრადა და მომხილავადა, დიახაც  
რო მომხილავადა, სახიდან გადაუმქრალი ღიმილითა, დამ-  
ტებარი, დათაფლული ღიმილითა, სიტყვაც დათაფლული  
ამოსდიოდა, გულიბილი, მხურვალე, უარიც მხურვალე, თან-  
ხმობაცა ცხადია, ყველაფერი, ყველაფერი დათაფლული და  
თბილი, კეთილი, მისანდობელი. მისალმებითაც ამგვარივე  
იქნებოდა ცხადია, მოწიწერივიცა, მკვირცხლიცა და მოწი-  
წებრივიცა ერთდაიმავე დროსა, პირველივე შეკითხვითაცა, —  
დამაგვიანდა?! იმედია მომიტევებთ თუ დამაგვიანდათ, —  
თუმცა აქ ვითომ შიშიც აურეკლავდა მისანდობელსა თუ  
დატკბილულ სახესა, ოღონდ ნაზიკო დაამშვიდებდა მყისვე, —  
რასა ბრძანებოთ, ზუსტი ხართ, ზუსტი, წვეულებისამებრო.  
აქ გამოცნურებაც მოედევნებოდა, კოტესგან იქნებით, სა-  
სიამოვნოა, მოხარული ვარ, მოხარულიო, ოღონდ ერთ წუთს  
მომითმინეთო, მომიტევეთო, მომიტევეთო, იქ ახალგაზრ-  
დები მიწყნარდებოდნენ ამასობაში, ჯერ პო იმათვის უსდა  
მიეხედნა, — უნდა მიეხედნა და მიპხედავდა, ხელს ჩამოარ-  
თმევდა ყველას სათითაოდა, სათითაოდაც მოიკითხავდა  
მშობლებიანადა ანთუ რომელიმეს მშობელთან დიდი რიგი  
იდგა მთხოვნელებისა, დაუბარებდა, ხვალ შევივლით, და-  
უბარებდა სხვათაშორისა, ვითარცა წყალობასა, იმნაირადაც  
დაუბარებდა, სხვას კიდევ სხვა რამეს დაუბარებდა, ოცნი  
თუ ელოდნენ, ოციდან ორს მაინც დაუბარებდა, ანთუ სამ-  
სა, როგორც ენება, თვითონ იცოდა, ოღონდ უთუოდ სხვა-  
თაშორისა, უთუოდ, უთუოდ სხვათაშორისა, უთუოდ, უთუ-  
ოდ ჩამტებარი ღიმილითა, ჩამტებარი, ჩამდნარი, ჩაბუ-  
ბუქებული ღიმილითა. მერედა დაიწყებოდა გაკვეთილი, გა-  
კვეთილიც დაიწყებოდა ცხადია, ფიცხლადა, მკვირცხლადა,  
პაიპარობითა: წამოიკრიფებოდა ქაღალდის კონები, მაგიდა-  
ზე რო ეწყო, ნაზიკოს რო ეწყო, ისეთივე კონები წამოიყ-  
რებოდა პორთფელიდანა, პატარა, პაწაწეინტელა, მინიატუ-  
რული რვეულებიც გადმოჰყვებოდა, გამოიცლებოდა პორ-  
თფელი ცხადია, ოღონდ მაშინვე აღივსებოდა იმა კონებითა,



ჟავე წამოკრეფილი ქონებითა, დაიკეტებოდა, ჩაიმარტინებულება  
მარცხენა მუშამია, მარჯვენა ზევით აიმართებოდა, არა თქვენ  
იცით თუ რთვორ მასახელებთო, გამარჯვებითო, გამარჯვე-  
ბითო, გამარჯვებითო, დაატანდნენ დანარჩენნიცა და გავარ-  
დებოდა ის შუაბნის, შუათანა სიმაღლისა, შუათანა სისქისა,  
ოღონდ უაღრესი სიმკვირცხლის კაცი, სიკეთისას პო ნუდა-  
რას იტყვი... დანარჩენი ნაშიკოს ებარა... ოღონდ მოიცა,  
იმჯერად ლენტო ელოდებოდა, ვერ გავარდებოდა ჩვეულებ-  
რივადა, წამით მაინც უნდა შეყოვნებულიყო, არც შეყოვნე-  
ბულა წამზე მეტხანსა, — უხერხულად გამომივიდაო, დროშე  
ვერ გავარკვიე, თქვენ თურმე სიმწიფის ატესტატი გინდათ,  
ესენი უმაღლესისათვის ემზადებიანო, აბა რა გეშველებათო,  
ბოდიში მომხადეთ კოტესთანაო, მომიტევეთო, მომიტევეთო,  
ესეც დააგდო და ისედა გავარდა, თან გაიყოლა პეწენიკი, სი-  
კენკეწე თუ სიხასხასე, რაც მოიყოლა, თან გაიყოლა.

პო ის გავარდა თუ გაიყოლა, ხოლო ეს სახტად დარჩა, ეს  
სიმწიფის ატესტატს მონდომებული ყმაწვილკაცი, სახტადაც  
დარჩა, მარტოდაც დარჩა, ნაშიკოსაც რო აღარ ეცალა ამის-  
თვისა, აღარც ადარავინა ქაქანებდა, წამწყდარიყო კამათი თუ  
ხმაური იყი, წაყუჩებულიყვნენ, წამსხდარიყვნენ, შემორიგე-  
ბოდნენ იმა გრძელ მაგიდასა, აკინძული ფურცლებიც შემო-  
ეწყოთ, პაწაწეინტელა, მინიატურული რვეულებიცა, მოემარ-  
ჯვებინათ საწერკალამიცა, გაფაციცებულიყვნენ, გამაღებუ-  
ლიყვნენ, იწერდნენ, იწერდნენ გამაღებითა, ფურცლებიდან  
იწერდნენ პაწაწეინტელა რვეულებშია, პაწაწეინტელა ასოებით  
იწერდნენ. ოღონდ ყველანიც როდიო, — არა, რამდენიმე გო-  
გონა იწერდა, ორიოდე ყმაწვილიცა, სხვებს ყური დაეცევი-  
ტათ, აცა თუ როდის ჩაიღევა ის მკვირცხლი ნაბიჯები იმა  
ჩახვეულ დერჯვნებშიო; ჩაილია და კიდევაც აიშალნენ, ყვე-  
ლანი არა, ფურდაცეცეტილნი აიშალნენ რაღა თქმა უნდა,  
ფურცლები დაახვიეს, პაწაწეინტელა რვეულებიც ჩაიტენეს  
ჯიბეებშია, ყელი გამოუწიეს ნაშიკოსა, ზოგი კიდევაც შე-  
მოეხვია, ოღონდ გაგვიშვიოთ, ოღონდ იმან არაფერი გაიგოსო,  
ამას უსათუოდ გადავიწერთო, გოგოებს გადავაწერინებთო,  
ჩაწიგწიგებულს მოგირბენინებთ შემდეგისთვისაო, ოღონდაო,  
ოღონდ გაგვიშვიოთ. ისიც იწერდა, თითქოს ყურსაც არ უგდებ-



დაო, არც უუარებოდა, არცა თანხმდებოდა, არცთუ უცდისტენ  
თანხმობასა, ყელს გამოუწევდნენ და მირბოდნენ, შემოწვე-  
ოდნენ და მირბოდნენ, თითებით კოცნას მიუგდებდნენ და  
მირბოდნენ, კართან მაინც შეყოვნდებოდნენ ერთი წამითა,  
გისერს მაინც წაიგრძელებდნენ გასვლამდისა, ემანდ, აქვე  
არ გველოდებოდესთ, წაიგრძელებდნენ და მირბოდნენ, მიპ-  
ქროდნენ, მიკუნტრუშობდნენ. მცირედნიღა დარჩნენ, მცირედ-  
ნიღა იწერდნენ გამალებითა თუ გაფაციცებითაო, მდუმარე-  
დაცა რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ფურცელი თუ შეიმრიალებ-  
და, მხოლოდ ღრმა ამოსუნთქვა თუ გაისმოდა დროდადრო და,  
ესეც ალბათ საჭირო თუ იყო, სულ მდუმარებაც არ ივარგებ-  
და. ოღონდ რაც უნდა ყოფილიყო, მაინც სახტად დარჩენილი-  
ყო ლენტოი, ჯერ იმ ნათქვამისაგანა, მერე ამნაირი გაკვეთი-  
ლისაგანა, ასეთს არაფერს შესწრებოდა, არც გაეგონა, არც  
იქა, ორბისშია, არც აქა, თბილისშია, სხვაგან არცთუ ევლო,  
არც გამოეკითხა, არც ექნებოდა გამოსაკითხი, — რა გეშველე-  
ბაო, ასედაც დაუგდო იმა შუათანა კაცმა, ხანითა, სისქითა, სი-  
მაღლითა, თორემ ისე ვინ უწყის რამსიმაღლე კაცმა, დაუგ-  
დო ასე შემბრალოდა, ნაღვლიანადა, გულისკანკალითა, დამ-  
ტყბარი გულის კანკალითა, მტყბარი ღიმილითა და ცხადია  
აღარაფერი ეკითხებოდა იქა, აღარაფერი ესაქმებოდა იქა,  
მაინც სახტად დარჩენილიყო, მაინც ვერსაით გადაედგა ნაბი-  
ჯი. ისინი იწერდნენ სუნთქვაგაემენდილნი, ლამის ჩამქრალ-  
ნი უსუნთქველობითა ხან ღრმა ამოსუნთქვით თუ მოიბრუნებ-  
დნენ სულსა, ეს არა, სულს არ მოიბრუნებდა, თითქოს სუნ-  
თქვაც აღარ უნდოდა. ისინი იწერდნენ, იწერდნენ და მოათა-  
ვებდნენ, სათითაოდ მოათავებდნენ, სათითაოდაც გაიკრიფე-  
ბოდნენ, ფურცლებს ნაზიკოს აუკოკოლავებდნენ და გაიკ-  
რიფებოდნენ, გაიყოლებდნენ პაწაწკინტელა რვეულებსა, გა-  
იყოლებდნენ თუ რას უშამდნენ, ვერც შეამჩნევდა თვალი  
უცხოსი. ნაზიკოს ცოტა შეაგვიანდებოდა, რადგან რო მეორე  
რვეულებსაც ავსებდა იმა პაწაწკინტელა, იმა მინიატურულ რვე-  
ულსა, ავსებდა გაწაფული ხელითა, უსწრაფესი ხელითა, —  
არც იმდენად შეაგვიანდებოდა, მაინც გასწორდებოდა, ბოლო  
გოგონაც რო გამოემშვიდობებოდა, გასწორდებოდა და ისვე  
გადააჯვარედინებდა მკლავებსა აკოკოლავებულ ფურცლებზე-



და, პირველ შემთხველისას როგორადაც იხილა ლესტნიკი, რომ გადაჯდარედინებდა, ისევე დაპხრიდა ჩამოგრძელებულ სახესა, გარინდდებოდა იმანაირადვე, თითქოს ისევეც იქნებოდა მეორედ მოსვლამდისა, იმა შუათანა კაცის მეორედ მოსვლამდისა, ხნიერებით შუათანასი, სიმაღლითაცა, სისქითაცა, თორემ ისე ვინ უწყის თუ რამსიმაღლისა!.. პო თითქოს ისევეც იქნებოდათ, თქმით ითქმის ასე, ამანაირადაცა, თორემ ისევე ველარ გასძლებდა რაღა თქმა უნდა, მოიცალა და იტყოდა კადავაცა:

- ვიცოდი, დაიცდიდით.
- მე არ მეგონა...
- მე მინდოდა და ასე იქნებოდა.
- ამდენი შეგიძლიანთ?..
- ასე გამოდის.
- საშიში ყოფილხართ!..
- რადა?..
- ვინ იცის თუ რას მოინდომებთ.
- ცუდსა?
- ჰო...
- არა... თქვენთვისაც გადავწერო, — და თითებიდან გამოაცურა ის პაწაწკინტელა, ის მინიატურული რვეული, გამოაჩინა, გამოაცურა უცნაური მოხერხებითა, გამოაჩინა და გააქრო, კვლავაც გამოაჩინა და გაუწოდა. ამანაც განიწოდა ხელი უნებლიერდა, განა თუ იცოდა თუ რად უნდოდა, არა, აწვდიდნენ და მიეტანა, მიეტანა, მაგრამ ვერ მისწვდა, გაპქრა რვეული, ჩაიყლაპა, ჩაიყლაპა და აპყვა სიცილი ნაზიკისი, გულიანი სიცილი აპყვა, უცებ აპყვა და უცებაც მიპქრა. კიდევაც წამოიჭრა ქალიმვილი, თითქოს რაღაცა გაახსენდათ, აბგაში ჩაიწყო ცველაფერი, შინნაქსოვ აბგაშია, მოჩითულში პაწაწკინტელა ჯვრებითა და გაზის ქავებითა, მწვანე ქავებითა, შავი ჯვრებითა, გამიძეხიო, ანიშნა ვაჟსა, შექი ჩააქრო, კარი გადაპკეტა, ხელი ჩაპკიდა და გაიყოლა იმა ხვეულებში დერეფნებისა, ჩაბნელებული დერეფნებისა, ალაგ-ალაგ შექიც რო დაპკრავდა.

„...და აღმოასხა გუელმან მან პირისაგან თვისისა წყალი, ვითარცა მდინარე, შემდგომად დედაგაცისა მის, რაითამცა წ: რიღო დედაკაცი იგი მდინარემან მან...“

ჰო გაიყოლა და გავიდნენ, მშიანო, ჩაიცინა ნაზიკომა, გავიდნენ თუ არა პაერზედა, პაერმა თუ შეახსენა შიმშილი, მარტის პაერმა, გაზაფხულმა თბილისისამა. თუმცა ეს უფრო პიეტური გადმონაშთია, დიდი ქალაქი ასე უეცრად ვერ იგრძნობდა გაზაფხულსა რაღა თქმა უნდა, მაგრამ მოშივნობდა ქალიშვილსა და ასე მეტად ლამაზად გამოდის: გაზაფხულით და სხვა და სხვა... ოღონდ თუ რაო, ასე გამოდის თუ ისე გამოდისთ, შარვლის უკანა ჯიბე მოისინჯა ლენტომა, — მარტი ჰო დამდგარიყო, ხელფასის ნახევარი ჰო აეღო, დაიკოსათვის ჰო დაეტოვებინა ფული, თუმანი მაინც მოენარჩუნებინა შავი დღისთვისა, მოენარჩუნებინა თუ ჩაეკუნჭა, იქავე ეკუნჭა, უკანა ჯიბეში, შეეძლო სადმე შეეპატიულებინა ქალიშვილი, იაფუფასიან კაფეში ცხადია, სხვაგან თუმანი რას გასწვდებოდა, ჯერ ახლა რა არის, მაშინ აბა რა იქნებოდა, ავტობუსში ჩაჯდომა თუ ათი შაური ლირდა, გაზეთი კიდევ თცი კაპიკი?.. თუმცა ეს უკვე ითქმოდა ალბათა, მერედა რაო, შეხსენებაც ურიგო არ იქნება, თუმანი რო მაინც თუმანია, მაინც იყსორება, იძლინძება, თავს მოამაყებს, ოღონდ მეტისმეტად მორცხვად წარმოსთქვა ლენტომა, აგერ შევიდეთო, წარმოსთქვა მორცხვადა, მისდგომოდნენ მდარე კაფესა, ყოვლად მდარესა. უკადრისობა არ შესტყობია ნაზიკოსა, შევარდა, შეიჯირითა, მოხერხებულად გაძვრა სივიწროვეში კეფათა და ზურგებს შორისა, ადგილიც იპოვნა ლენტოს მისვლამდისა, იმისთვისაც დაეპატრონა სკამსა. დასხდნენ ცხადია. ოფიციანტი ერთი ტრიალებდა, ყველა იმას მოსძახოდა, ყველა სთხოვდა, ყველა აჩქარებდა, ყველა სადღაც მიეშურებოდა, ვინ უწყის როდის მოაწევდა ამათი ჯერი, მშიანო, მოუთმენლობდა ნაზიკოცა, მშიანო, იმეორებდა ზედიზედობითა, ეგრე გამოდიოდა, მართლაცა შიოდა, ეგრეც გამოდიოდა, ცოტა არ იყოს იპრანჭებოდა კიდევაცა. რაც გამოდიოდა თუ რაც არა, უნდა აეჩქარებინა ლენტოსაცა, იმას უფრო უნდა აეჩქარებინა, მარ-



ტო იმას უჯდა ქალიშვილი, მაგრამ არათ, ელოდა ვიჟორმ დამწერლი  
შვიდებულადა, აჩქარებაც ჯიბესა სცოდნიათ, სიუზვეცალ, ზის-  
თამამეცათ რაღა თქმა უნდათ. ჯიბესა სცოდნიათ და ჯიბე-  
მაც გასჭრა, ისევ ლენტოს ჯიბემა ცხადია, ოღონდ ჯიბემა ად-  
რინდელმა და იცი მერე რანაირადა: დახლი მიატოვა თვით  
დახლიდარმა, გამოვლო ისე, თვალი არ მოუშორებია ლენ-  
ტოსათვისა, ხელით მოიცილა ვინთუ დალოცვა სთხოვა, ვინ-  
თუ სხვა რაღაცა მოინდომა, ხელით მოიშორა, ზურგთუკან  
გაქნევითა, ლენტოს წინ დაერჭო და ჩააცივდა თვალებითა, —  
შენ პო ხიმშიასთან დადიოთდით, — შესძახა უეცრადა, შესძახა  
აღტაცებითა და, რო დაიდასტურა, ტაში შემოპერა, ვაჲ, რა  
ბიჭი იყავი, ვაჲ, რა ქარი გიქროდაო, დაიდასტურა და ციბრუ-  
ტივით შემოტრიალდა, შემოტრიალდა და მიაყარა, მიაყარა  
და მიაყარა, რაც რამ გაამნდა იაფფასიან ქაფესა, რა საჭმე-  
ლიო, რა სასმელიო, რაც რამ გაამნდა. ნაზიკო დააცხრა იმა-  
ვე წუთსა, არც არასა სწუნობდა, არც არას არჩევდა, ჭამდა  
და სვამდა, სვამდა რაც მოხვდებოდა, ლიმონათი იყო თუ  
მდარე არაყო, ფატკბილული, შეფერადებული რაღაც გამო-  
უცნობი ხილის წევნითა. არც გაუგია თუ რას ედავებოდა ლენ-  
ტოი, თუ რას ედავებოდა დახლიდარსა ცხადია, თუ რასა უა-  
რობდა დახლიდარი, ცხადია დახლიდარი, მაშ ვინა, თუ რად  
იმეორებდა სინანულითა, ვაჲ, რა ბიჭი იყო იყო, ვაჲ, რა ქარი უქ-  
როდაო, ან სხვები რაღას ეკითხებოდნენ დახლიდარსა, ან  
დახლიდარი რას მიუგებდა, ან იმათკენ რაღად იცქირებოდა-  
ნენ ლაშის ყველანი ანთუ თოვიციანტი თავს რად ეკლებოდა  
ისე მოწიწებითა, თითქოს არც გაუგია, ჭამდა და სვამდა, ჭა-  
მე, ჭამეო, დროდადრო ლენტოსაც დაანქარებდა, დალიე, და-  
ლიეო, დაამალებდა დროდადროდაცაცა, ოღონდ აღარ ეკითხე-  
ბოდა, ჭამდა თუ სვამდა თანამესუფრეცა, არც ეკითხებოდა,  
სხვასაც არაფერს ეუბნებოდა, ვიდრე არ იჯერა გული, ვიდ-  
რე კარგად არ მოისუფა გული, მერე ის მდარე სასმელი მიიდ-  
გა ისედაც უკვე ალეწილმა და სინანულითა თუ გულდაწყვი-  
ტით ჩაიჩურჩულა:

- ლამაზი გოგოებიც გეყოლებოდა...
- რა გოგოები?..
- გოგოები!.. ქარი რო გიქროდა!..



ტუჩები მოპრუწა, წაისისინა ნაშიკომა, ეს არაფერზე, არაფერზე  
სინა რამდენიც უნდოდა, დაიფარებოდა საერთო სტატუსის  
მაგრამ არა, არ იქმარა ოდენ სისინი, ლაშები გაშალა, ვება  
ლაშები, თოხები გადმოჰყარა, ვეება თოხები და გადაიკისკისა  
მჭახედა, მკვეთრადა, მოურიდლადა. მაშინვე დაპფარა მცირე  
დარბაზი იმა კისკისმა, დიდი არ გახლდა, დიდსაც დაპფარავ-  
და. მიყუჩდა დარბაზი, ყველა შემოტრიალდა, ანთუ თავები  
შემთბრუნდა, გაკვირვებული მიაჩერდა იმათ მაგიდასა. შე-  
წუხდა ლენტოი, მიწა გასკდომოდა, ერჩივნა, მაგრამ მიწა არ  
აპირებდა გასკდომასა, ეს რაო, რაოდენი უარესიც აეტანა, აი-  
ტანდა ამასაცა, პი შეწუხდამეთქი, ვერცოუ ვერაფერი უდო-  
ნა, თავიდა ჩაპკიდა, არ უნდოდა, არაფერი უნდოდა, არც ეს  
ყურადღება გაკვირვებულთა, არც ეს პატივისცემა, არც ის  
მოვონებანი, არც ეს გოგო უნდოდა, ეს სულ არ უნდოდა,  
სულ არა, მაგრამ რაო, ერთად ასჩენოდა ყველაფერი თუ უნებ-  
ლიედ გამოხვეულიყო რაღაც ბადეში, თავს რო ვეღარ დააღ-  
წევდა ვერას დიდებითა. შეწუხებულიყო დახლიდარიცა, აფ-  
სუს ბიჭოთ, თავს იქნევდა სინანულითა. დახლიდარს თავისი  
„აზრები პქონდა“ რაღა თქმა უნდა, იმის თვალში თუ დაცე-  
მულიყო, ეს შეკვე აღარ შეაწუხებდა ლენტოსა, გამოეთხოვა  
იმა ქარებსა, კარგახანია გამოეთხოვა, ოღონდ არც ეს უნდო-  
და, ამ ახალ ქარებში მოხვედრილიყო.

- სირცხვილია.. — კბილებში გამოსცრა ლენტომა.
- პი... უცებ მომეკიდა, გადაივლის, ნუ გეშინიან.
- ნუღარ დალევ.
- მოურთმევია, ეწყინება, პა... — აღმოსკდა ისევ კისკისი-  
ვითა, ოღონდ მხოლოდ ერთი აღმოსკდა, ტუჩებზე მიირტყა  
ხელი, მწვავედ მიირტყა, აღმოსკდა და მოსწყვიტა მყისვე, —  
ნუ გეშინიან, ნუ გეშინიან, გადაივლისმეთქი.

წავიდეთო, მაინცა სთხოვა ლენტომა.

არაო, გაჯიქდა ნაშიკო.

- ნუ გეშინიანმეთქი, დამშვიდებულად განაგრძო ნაში-  
კომა, — ნურც ამისი გეშინიან, — თითები მოუცაცუნა სასმელ-  
სა, — ნურც იმისი, თითქოს აგეკიდები, ნუ გეშინიანმეთქი. მე  
იმ ვაჟბატონზე მომდის გული, იმისი მურისძიება მინდა,  
მეტი არაფერი, არაფერი.

- ვინ ვაუბატონზე?
- ვინც დაგითხოვა.
- დამითხოვა?!

— მაშ შეგიცოდა?! რა ვქნა, რა გეშველებაო, რო ათრთოლდა, ვითომ შეგიცოდა?! ძალიან ახალგაზრდა ხარ, ყმაწვილი ხარ, სიმწიფის ატესტატიც არ მიგიღია, მაგრამ თუ უკვე გიქრთდა ქარი... ჰა, ჰა, ჰა... — ისევ აღმოსკდა, ისევ უცებ მომუწა ტუჩები, სილაც გაიწნა, — ეს რა ავიჩემე?! მაინც როდის მთასწარი?

- მოეშვი.. — გაწყრა ლენტოი.

— ჰო... მართალი ხარ. ოლონდ მაინც ნუთუ ვერ მიხვდი, თვალი შეგავლო თუ არა, მაშინვე გაიგო თუ რა ავლადიდების პატრონიც იქნებოდი და მოგიშორა თავიდანა, ნუთუ ვერ მიხვდი?

- ვთქვათ მივხვდი?..
- ჰოდა მე მინდა ვიძით შური.
- ჩემი გულისთვისა?..
- ჩემი გულისთვისა...
- მე ვითომ რიგორ გამოგადგები?..

— აი თუ როგორა, — ისევ იმა პაწაწკინტელა, მინიატურულმა რევულმა შეითამაშა ნაზიკოს თითებშია, — გამომართვი. ნუ შიშობ, გამომარვი, აჲა, ჲა!.. ადრინდელებსაც გადაგიწერ, გადაგიწერ დანარჩენსაცა, სხვა შენ იცი, ჭველა გაკვეთილს გადაგიწერ.

— მერე რად მინდა, ან ვითომ რა შურისძიება გამოვა ამითა?

— ვითომ რაით, — გაკვირვება ამოესახა ნაზიკოსა, სასმელი მოსვა, ოდნავ მოსვა, კიდევ ოდნავა, მერე გადაპკრა, თუ რამ ჩარჩენოდა ჭიქაშია, — აკი კაი ქარი გიქრთდაო?! — ეჭვიანად იყითხა ნაზიკომა, აღარ გადაკისკისებულა, აღარც სილა გაუწავს ტუჩებშედა, — რაღად მომჩერებიხარ ევრე გულუბრყვილოდა?! ნუთუ ესეც ეშმაკობის გულუბრყვილობაა?! გულუბრყვილობით ეშმაკუნობა იმისიც მომბეზრდა.

— მეც ბევრი რამ მომბეზრდა, მართალს თუ ინებებ, შენც უკვე მომბეზრდი, ასე მეონია, მთელი საუკუნეა ზურგზე მკიდიხარ...



— ნუ, ნუ გეშინიანმეთქი, გითხარი. ოღონდ ეს მარწვე ჭილა  
პასუხე, ისეთი რა ქარი გიქროდა, ამ ეშმაკობასაც თუ ვირ  
მიმხვდარსარ ან თუ არ იცი, თუ არ იციმეთქი, — ისევ ჩამოარ-  
თვა მიჩეჩებული მინიატურული რვეული, შეათამაშა, შეათა-  
მაშა, ამოისუნთქა და გააქრო უეცრადა, ვითომდა რაო, გადავ-  
ყლაპეო.

— ცირკში მინახავს.

— ცხოვრებაც ცირკიაო.

— თეატრიაო.

— სულერთია, ცირკი და თეატრი პო აღარ განირჩევა ან-  
ლა.. — რვეული ისევ შეათამაშა, ისევ მიაჩეჩა, — მაინც რა ქა-  
რი გიქროდამეთქი.

— ისეთი არაფერი. ერთ აკრძალულ საქმეში მოვწვდი  
ჩემს უნებურადა, მოვწვდი. გამოვეცალე.

— ფული ბევრი გქონდა?!?

— უფროსსა პქონდა ბევრი.

— ჩემც პო გქონდა, იმდენი არა, მაგრამ პო გქონდა?!  
ფულმა გოგოებიც იცის, ლამაზი გოგოები, პო გყავდა ლამაზი  
გოგოები?.. ეგრე ნუ მიყურებ, სისულელით როდი მომდის,  
არა, ისე, მიხარიან, როცა ლამაზი გოგოები დასდევენ ლამაზ  
ბიჭებსა, მბულს, მახინჯი გოგოები თუ აეკიდებიან ლამაზ  
ბიჭებსა, ძალიანა მბულს, ძალიანა... ჩემი ნუ გეშინიანმეთ-  
ქი. ოღონდ დალიე, დალიე, რა, ფხიზელი ისე კარგად ვერ  
გამიგებ, ცოტა დალიე, გეხვეწები, ცოტა დალიე!..

— აპა!.. — დალია, დაიფშალა მეტისმეტადა.

— მაშინ ალბათ კიდევაცა სვამდი?

— პო...

— ოღონდ ამას არა.

— პო...

— „გრემსა“, „ენისელსა“, „ვარციხესა“, „ძალიან ძველსა“...?

— პო...

— რა კარგია, მიყვარს კარგი ცხოვრება, მიყვარს და რა  
ვქნა!..

— ის არ იყო კარგი ცხოვრებაი...

— მე კარგი ცხოვრება მიყვარს. — თვალები მიღულა ნა-  
ზიკომა, გაისუსა, გაიტვრინა, გაინაბა, — ცხოვრება რთ ასე-

თი იყოს, თვალდახუჭული რო ცხოვრობდეს სალჩი, პრეზენტის გა იქნება!.. მაგრამ უნდა გაასილო თვალი, უნდა გაახილო, ახ!.. – გაახილა და უამურადაც მიმოატარა თვალი: ისევ გამოჭედილი პატარა დარბაზი, დახლთანაც მიხროვილნი, მაგიდა ვისაც არ შეხვედრდა, ისევ ყაყანი თუ ხმაური ერთობლივი, ბოლი პაპიროსისა, სუნი სასმელ-საჭმელისა, არცთუ მაინც-დამაინც ხეირიანი სასმელ-საჭმელისა, მითუმეტეს თუ დანაყრებულხარ, – ახ!.. სადღეგრძელოებიც კარგი გეცოდინებოდა...

– ვერ ცხოვრება არ დამიმთავრებია.

– სიმწიფის მოწმობაც არ მიგილია, ეს პო ვიცი, ოღონდ ძალიან მიყვარს კარგი სადღეგრძელოები, თვალხუჭულა ცხოვრებასა პგავს კარგი სადღეგრძელოები, იქაც ყველაფერი ლამაზია, ყველაფერი წარმოსახულია და ლამაზი, მიყვარს. რამე თქვი!

– არ იქნება. კარგი ღვინო უნდა კარგ სადღეგრძელოსა.

– პო კარგი უნდა... მაგრამ მაინც ვიტჟვი, სიმწიფის... სიმწიფეს... სიმწიფის მოწმობას გაუმარჯოს. ცუდია? კარგია! ბევრი რამის აშენება შეიძლება ამ სადღეგრძელოზედა, მიდი, ააშენე, მიდი რა!.. კარგი ღვინო საიდან მოგართვა, კარგი სხვისაა, მიდი, მიდი, პა!.. სიმწიფის მოწმობას გაუმარჯოს-მეთქი. მე მაქვს, მე დიპლომი მინდა, მოწმობასა და დიპლომს გაუმარჯოს, ატესტატისა და დიპლომს გაუმარჯოს!.. რას მომზერებიან?! ჩემზე მეტს თვითონა ყაყანებენ, ეს ვითომ არა-ფერიაო, წინ დაიხედეთმეთქი, არა?.. კეთილი!.. ატესტატისა და დიპლომს გაუმარჯოს, მოწმობას გაუმარჯოს, ბეჭდიან ქაღალდს გაუმარჯოს, ქვას რო გაპხეთქს, ისეთ ბეჭდიანსა.

– გაპხეთქს?

– ვისი როგორა... ჩემი გაპხეთქს.

– დიპლომი რო დაგვგანებია?

– დამაგვიანდებოდა გულუბრყვილოსა და უმფარველოს, გაზუთხვაც რო არ შემიძლიან. გულუბრყვილო აღარ უნდა ვიყვე, აღარც მფარველი მესაჭიროება, აღარც ზუთხვის უნარი. პო განვენე?.. რა უყავი, მოიტა, აპა, უცქირე, უცქირე, უცქირემეთქი, რა იქნა? ფაფუ!.. აბა სად არის?! ფაფუ!.... ისე



გადავიწერ, ვერავინ მომდებს შარსა. აქამდის სხვა იყო, მაგრამ დის ბევრჯერ შევცდი, გულუბრყვილობისა და შეცვალების მსხვერპლი ვარ აქამდისა. შენც ალბათ ასევე, ასე მოონია, ნათქვამიც არის, სული სულს ეძებსო... არა, არა, ნუ მოიჭ-მუხნები, რაც უნდა მოისმინო, შიში ნუ გექნება, ნუ, ნუ, ნუ გექნებამეთქი. გითხარი და გაგიმეორებ, ნუ გეშინიანმეთქი, ოღონდ რაც უნდა იყოს, ეს მაინც უფრო მართალი მოონია, შენც მსხვერპლი ხარ გულუბრყვილობისა, ასე მოონია და რა ვქნა!.. დაე შენს სულს არ მოეძებნოს სული ჩემი, ნუ მოეძებ-ნოს, ჯანდაბას სული, კეთილი სულიცა, ბოროტი სულიცა, ჯანდაბასმეთქი, ოღონდ მსხვერპლი რო ხარ გულუბრყვილო-ბისა, ამას ვერ უარპყოფ და გინდაც უარპყო, მე ვერ დამა-ჯერებ, ვერა, ვერ დამაჯერებ ვერაფრის დიდებითა და ტყუ-პის ცალები თუ არა ვართ, დამმანი თუ არა ვართ, რაღაცანი მაინც უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისა, — ჰა, ჰა, ჰა... არ გინდა, არა? ნუ გინდა!.. მე მაინც მსხვერპლი ვარ გულუბრყვილო-ბისა, გულუბრყვილობამ ჩამომარჩინა, ჩამომტოვა, შემიპყრო და აღარ მეშვება, არც მომეშვება თუ არ მოვიშორე ძალის-ძალადა, თუ არ მოვიგლიჯე ძალისძალადა, არ მომეშვება, არ ჩამომტებსნება. გავჩუმდე? კეთილი!.. მართლაც მომეკიდა, თავბრუ მეხვევა!.. არაფერია, გამივლის, ვიტყვი და გამივლის, ნუ დამიშლი, აგერ რა ამბავია, ყველა ყაყანებს, ყველა გულს იქარვებს, ნუ დამიშლი, მეც მოვიქარვო გული, ნურც დამიშ-ლი, ნურც შემომყურებ ეგრე გაწამებულივითა, ამდენი ხანია არ შემხვედრიხსარ, საუკუნები გასულა, არაფერი გვცოდნია ერთმანეთისა, ეს ერთხელ შემხვდი და ამიტანე როგორმე, ჩემზე უარესსაც აიტანდი ან აიტან უარესსაცა. გამივლის, გა-მივლის!.. გულუბრყვილობისას ვამბობდი არა, — გულუბრყ-ვილობაც მივადგებოდი უმაღლესის ფართოდ გადებულ კა-რებსა რაღა თქმა უნდა, არ გაგიგონია განა: ფართოდ გადე-ბულა უმაღლესის სასწავლებლის კარები ბედნიერი ახალ-გაზრდობისთვისათ? გაუთავებულად გაგეგონება, გაუთავებული მდინარებაც გენახვება, მდინარება უმაღლესისკენა, მდინარე-ბა ბედნიერთა, აღტყინებულთა, იმედოვანთა. მეც ჰო ბედნი-ერი ახალგაზრდა მეგონა თავი, მეც ჰო ბედნიერად შევივ-ლიდი ფართოდ გადებულ კარებსა, — შევივლიდი და შევი-



რე, შევიარე და გამოვვარდი ბურთივითა. არ მოგწონს ჯუნიშვილი ბურთივითა: ბუც!.. – და გარეთა ხარ, ბუც!.. – და შევისარ, ასეცაა და ისეცაო, გააჩნია თუ ვინ დაარტყაო, გააჩნია თუ როგორ დაარტყაო, მე გარეთ აღმოვმნდი, ისე მომხვდა და ისეც აღმოვმნდი. მერე იქაც აღმოვმნდი, იქა, დღეს სადაც მიხილე, სადაც გამიცანი, ჰა, ჰა, ჰა... თითქოს გამიარა.. გამივლის, გამივლის.. პო უნდა მოვმშადებულიყავი ისევ და ისევ ფართოდ გაღებული კარებისთვისა? უნდა მოვმშადებულიყავი და იქაც აღმოვმნდიმეთქი, აღმოვმნდი იმა ვაჟა-ტონთანა, დღეს რო გაიცანი, ჰო მოგეწონა? რატომაც არა, ვითომ რათ, რას დაუწუნებ, — ვერც ვერაფერსა, გაიცნობ თუ არა მოიხიბლები, მაშინვე, იმწეთსავე მოიხიბლები, ოღონდ ძალიანაც არ უნდა გაიცნო, ასე ჩემსავით აღარ უნდა გაიცნო... ოღონდ ეს ახლა, მაშინ მე მხოლოდ ოცნება გახლდი, მაშინ მე მხოლოდ უმაღლესი მეღანდებოდა და მითხრეს თუ არა, აი კაცი, ვის ხელთაცაა ფართოდ გაღებული კარები უმაღლესისაო, თვალიც აღარ დამიხამხამებია, მყისვე ჩავბარდი ჩემის თცნებებითა თუ მოღანდებებითა, სულითხორციანად მყისვე ჩავბარდი. და მერე რათ, — იმას მხოლოდ ფული უნდოდა, მხოლოდდა ფული, მეტი არაფერი, რომელი სულიო, რომელი თცნებებით, რა სათქმელია, რა მოსატანი, მხოლოდ ფული უნდოდა, დიდძალი ფული, მეტი არაფერიმეთქი, მერედა მივხვდი, მეორედაც რო ჩავბარდი, მესამედაც რო ჩავბარდი, ფველგან რო ჩავბარდი, ლამის ყველა ფაქელტეტზედა, ყველა განყოფილებაზედა, — ესაო, დღისაო, ესაო, საღამოსიო, ესაო, დაუსწრებელიო, ესაო, ფილიალიო, არაფერს ვარჩევდი, არაფერს დაგოდევდი, ფველგან მივიწევდი, მივესწრაფოდი ფველა ფართოდ გაღებულ კარებსა და ბუც!.. — გარეთ გახლდი, და ბუც!.. — გარეთ გახლდი. კარები ისევ ფართოდ გაღებულიყო, კარები ისევ მიზიდავდა, ისევ მაბრუებდა, ცეცხლს მიკიდებდა. ჰო მერედა მივხვდი, მერედამეთქი, კვილა რო ეწყობოდა იმის მოწაფეთაგანა, ყველა რო ეწყობოდა ჩემს გარდაია, იმათზე უკეთ მე ვიწერდი, ვისატავდი, ნახე, დააკვირდი, როგორი ხელი მაქვს, იმათზე უკეთ მე ვმაღავდი თუ ვჩქმალავდი, მაინც მე წამასწრებდნენ, მაინც გამომაბურთავებდნენ წერებიდანვე, ზეპირიდანაცა, ზეპირს თუ მივაღ



წევდი, გამომაბურთავებდნენ, პო ბუც!... და გარეთ აქთგულუსაკენ  
დი თავსა. მერედა მივხვდიმეთქი, გულუბრყვილობას შეტეხუავა  
და შევეჭიდე. ახლა მე გაწაფული აბიტურიენტი გახლავარ,  
თუ გამოითვლიან თუ ვის რამდენი გამოცდა გაუვლია, ჩემ-  
ბითნობა არ ამცდება. ჰა, ჰა, ჰა... ნუ გერიდება, ყველას თა-  
ვისი დარდი აქვს, ყველა თავისას მოსთქამს, ძალაც რო და-  
ვატანო, ყური მიგდეთმეთქი, არავინ მომიგდებს ყურსა, ნუ  
გერიდებამეთქი. ახლა ისიც ვიცი თუ რამდენი ასეთი სკოლა  
გააჩნია წვენს პატივცემულ რეპეტიტორსა, აქაცა, თბილისში,  
თბილისს გარეთაცა, რაიონებში, ჩამოივლის ასე ამნაირადა,  
ჩამოივლის და ჩამოარიგებს თემებსა; ერთგან წამოპკრეფს,  
მეორეგან ჩამოარიგებს, ჩამოპკრეფს, ჩამოათავებს და შემო-  
უვლის ხელმეორედა, კიდევ ჩამოათავებს და კიდევ შემოუვ-  
ლის, სულ ესაა, ჯაფაც ესაა, გარჯაც ესაა, სულ ესაამეთქი,  
აბიტურიენტები იწერენ, იწერენ უიქმატა რვეულებშია, მერე  
აზლუდებში ჩაიშედავენ, საცურაოებში გამოიჩრიან, გამოიძ-  
რობენ და გადიწერენ, მომზადებაც ესაა და ჩაბარებაცა, ესაა,  
ესაა და ესა, სხვაც არის ცხადია, ის სხვა არ გამაჩნდა და  
ვზივარ და ვზივარ იმის სკოლაშია, ვზივარ და ვზივარ... არ  
გიკვირს? არა?! თუ გიკვირს? გიკვირს?! რა უფრო გიკვირს,  
გაუთავებლად რო ვზივარ და ვზივარ თუ გაუთავებლად რო  
ვიწერ და იქ ვედარ ვიწერ, სადაც საჭიროა, ჰა, რა უფრო  
გიკვირსმეთქი, არ მიპასუხებ? შენი ნებაა, მე ახლა შერისძი-  
ება მინდა და შენთვისაც უნდა ვიძიო შური, ამიტომაც როდი  
გეშვები, თორემ გაგეცლებოდი აქამდისინა, შენთვისაც უნდა  
ვიძიო შურიმეთქი, ხოლო გაუთავებლად იმიტომ ვიწერ, გა-  
მოცდების მოთავებისთანავე ნადგურდება ის უიქმატა რვეუ-  
ლები, აი ეს რვეულები, ანგარიში სწორდება და რვეულები  
ნადგურდება, ახალი თაობა მოდის, ახალი სკოლები იმარ-  
თება ახალი შემოვლანი, ხელახლა იწყებენ სტაჟიანი აბიტუ-  
რიენტებიცა, ყველაფერი თავიდან იწყება. პატივისცემასაც  
შეიძენენ სტაჟიანი აბიტურიენტები, ჰო ნახე როგორ მომე-  
ბოდიშა, ჰო ნახე რთგორ მერიდებიან ახალბედები?.. შეიძ-  
ლება გაამაყდე ადამიანი, რატომაც არაო!.. მაგრამ მთავარი  
მავიწყდება, შერისძიება მავიწყდება, ახლა მე უკვე რამდე-  
ნიმე ასლს ვადგენ, რამდენიც დამჭირდება, ვადგენ იმდენსა,



გუცვლი სხვებსა, სხვას სხვა სკოლები აქვს, სხვას სხვა მდგრადი განათლების მიმართ არ არის, მაგრამ გუცვლი სხვებსა და სხვებსა, გუცვლით ერთმანეთსა, ერთგან ვემზადებით და ათნაირი გამორჩენა გვაქვს, მეც ასეთი გამორჩენა გამომიძებნია, მეცა და ჩემნაირთაცა, ვისაც ფულის გადახდა არ შეუძლიან, ვისაც მაინც ვერ ელევა პატივცემული რეპეტიტორი. ახლა მე ყველა საგანს ვამზადებ, სადაც მინდა შევალ, ვეღარ მომასწრებენ, ვერას მიპოვნიან. ის პო გაჩვენე? თუ გინდა კიდევაც გამნერიკე, პო მოდი, შემომისვი ხელი, მოდი, მოდი, ნუ გემინიან, ვის უცქერი, ვისა აქვს შენი დარდიმეთქი, შემომისვი ხელ, შემომისვიმეთქი, ისე, კითომდა შემნიშნე, კითომდა უნდა მამხილო, მიპოვნო დამალული რვეული და გამომაძევო, კითომდა შენა ხარ გამომცდელი, ჲა, ჲა, ჲა... არ გინდა გამომცდელი იყო? არ გინდა და ნუ გინდა, ვერავინ ვერაფერს აღმომიჩნეს, გრიალით გავივლი ყველა წერასა, ზეპირსაც გავივლი გრიალითა, არავის არაფერს გავაძედვინებ, ახლა უკვე ვიცი, ყველა თაგვია და კატად თუ მთაჩვენე თავი, გაიტან შენსასა, რასაც გინდა გაიტან, ავჩხავლდები და გავიტან ჩემსასა, ავჩხავლდები ჸა მორჩა, კატა ვეგონები ყველასა, თაგვია და კატა ვეგონები, კატა ვეგონები და სამედიცინო ინსტიტუტში ამოვყოფ თავსა, ჲა, ჲა, ჲა... სამედიცინო ინსტიტუტი, სამედიცინო, სამედიცინო... ლირდა ამდენ ლოდინადა, ლირდამეთქი. გინეკოლოგობა ამირჩევია, — გინეკოლოგ!.. ქირურგ!.. წინ დავილავებ იმ შენს ლამაზ გოგონებსა, წინ დავილავებ და გამოვაფლეთ, ლირდა ლოდინადა, ლირდამეთქი. ოღონდ ეს მერე, ახლა შენთვისაც გადავიწერმეთქი, სხვა საგნებისასაც გიმოვნი, ატესტატისთვისაც გამოგადგება, უმაღლესში შესავლელადაცა, იმას ეგონოს, კითომც გაგისტურრა, აქაოდა არაფერი გააჩნიაო, ეგონოს, ა! — და ენა წამოაგდო, ლამის ძირისძირამდის გადმოიგდო ენაი, — ეგონოსმეთქი. ჩემი შურისძიებაც ეს იქნება, შენი სიკეთეც აქედან გამოვა, სამაგიეროს არაფერსა გთხოვ, არ აგეკიდები-მეთქი, უკვე გითხარი, არც დაგამუნათებ, არა, არც დაგამუნათებ, თუ გინდა თვალსაც მოგარიდებ, პო მოგარიდებ თვალსა, კითომცა მცნობისარ, კითომც არაო, თუ გინდამეთქი, თუ გინდა შენც სამედიცინო დირჩიე, აირჩიე რა, შენთვისაც ავჩხავლდები, აირჩიე, მეტი



არაფერი გინდა, მერე ისე იყოს, როგორც გითხარი, ვიჟუმის  
მცნობინარ, ვითომც არაო. აპა, დავამთავრე, კიდევაც გა-  
მიარა, მეტს აღაზ დავლევ.. ან ვითომ რად არაო? შენ ისევ  
უარსა სარ? შენი ნებაა...

— წავიდეთ!.. — თითქოს შეევედრაო თუ მართლაც შეევედ-  
რა ლენტო.

— მოიცა!.. — არ დასთმო ნაშიკომა, თვალები მოჭუტა და  
ნაიღილინა, „ჩამოასხი, ერთი კიდევ დავლით...“ — ჩაიღილინა  
და ჭიქა წაუშვირა, ლენტომ არ დაუსხა, მერედა რაო, თვი-  
თონვე დაისხა, მოაყოლა სადღეგმელოცა, — ჩვენს შეთქმუ-  
ლებას გაუმარჯვოს, პა?! კარგი არ არის?! კარგია! შენ ამ სად-  
ღეგრძელოს ვერც იტყოდი, „ენისესლითაც“ ვერ იტყოდი, მო-  
თავე მე ვარ შეთქმულებისა და მე უნდა მეთქვა, გაუმარჯვოს-  
მეთქი, გაუმარჯვოს ჩვენს შეთქმულებას ლამაზლოყება მას-  
წავლებლის წინააღმდეგა, პა! პა, პა... — ჩაიცინა და გა-  
დაპკრა სიცილშია, ლამის სული შეუგუბდაო, სიცილი მაინც  
კვლავ მოადევნა, ცრემლიც მოადევნა და იმა ცრემლში, იმა  
სიცილში, ისიც აღმოთქვა, ახლა მაკოცე და წავიდეთო, თუ არ  
მაკოცებ, აგერ მოვიხმობ რომელიმე ახმახსა თუ რომელიმე  
ჯუჯასა, წემთვის სულერთია, მოვიხმობ და შენს თვალწინ  
იმას წავუშვერ ტუჩებსაო. დავალება უხერხული გამოდიოდა,  
მუქარა უარესი, რა ექნა, არ იცოდა, იხლაკნებოდა თუ იმ-  
ტვრეთდა ლენტო, მაგიდასაც უჯაჯურებოდა, გასაქცევსაც  
ეძებდა, საშველი არ იყო, სასეიროდ გაიხდიდა თავსა, კიდევ  
უფრო სასეიროდა. ისევ ის არჩია, მივაღ და პა, წავუგლასუ-  
ნებ ლოყას ლოყაშეთ, წამოვაგდებ და გავითრევ გარეთაო,  
მაინც ყველა თავისთვის გართულა, ჩვენ აღარავინ შემოგვც-  
ქერიაო, ასე არჩია, მაგრამ არ იქნა, არ გამოვიდა, ასე აღვი-  
ლადა, ამან თუ მართლა წაუგლასუნა ლოყა ლოყაშედა, იმან  
ყურებში ჩავლო ხელი, თმაც მოიყოლა, ჩაბლუჯა თმიანყუ-  
რებიანადა და ჩალოშნა მთვრალის ჟინიანობითა. სეირიც ეს  
იყო!.. ლენტოს არ ახსოვს თუ არ უნდა მოიგონოს თუ რო-  
გორ დააღწია თავი, სახე ეწვოდა, ენთო, ეწვოდა, ერთხანს  
ვერცოუ ვერაფერსა პხედავდა, ამღვრეული თვალების გარდა.  
იწვოდა და მიტოპავდა მღვრიეში.

„...და გიპტოების სახელი ჩემი და არა უარ-ჰყავ სარწმუნოებაი ჩემი დღეთა მათ ანტიპაის მოწამისა ჩემისა სარწმუნოისათა, რომელი — იგი მოიკლა თქვენს შორის, სად—იგი ეშმაკი მკვიდრ არს.“

მიტოპავდა და ვერც მიტოპავდა, მომატებულიყო ტბორი ხალხისა, ამღვრეულიყო, კიდევ უფრო ამღვრეულიყო ტბორი ხალხისა ორბელიანების კუნძულზედა; ძეგლის პირისპირ იდგა ტბორი, ალელვებული და გაურღვევებული. და ძეგლიც იდგა, ცივი, უთქმელი, უგრძნობელი და გაუგებარი, ეგაა ყვითლად შეღებილიყო, საყვითლე თუ იტყოდა რამესა, სახე თუ სხეული არაფერს იტყოთდა, როგორ გამოეჭრათ ასეთნაირადა, ალბათ ახსნაც გაძნელდებოდა. იმ წუთს პთ მაინც არავინა ფიქრობდა მოქანდაკის ხელოვნებაზე, სხვა რამესა პფიქრობდა თუ მართლა რამესა ფიქრობდა ხალხი ან არცა ფიქრობდა, პლელავდა ისე, აპყოლოდა ერთიმეტრესა. კვარცხლბეჭზე ვიღაცანიც აბობდებულიყვნენ, ვიწროდ შემოეჭრათ კვარცხლბეჭი, ფეხის მთვიდება გასჭირვებოდათ, ხელიხელს ჩაევლოთ, თანაც ჩაბდუჯოდნენ ფარავის კალთებსა, მონუმენტის ფარავისაი რაღა თქმა უნდა, სხვაგან რთ უკეთ გაემართათ იგივე მონუმენტები, სხვა ქალაქებში, რთ აეკოთ მთავარ მოედნებზედა, ტრიბუნებიც რთ შემოერტყათ, რთ ჩალაგდებოდნენ ხელისუფალნი იმა ტრიბუნებზედა, ფართედა, ხალვათადა, ზეიმობის დროსა ცხადია, — პთ მავიწყდებოდა, თანამდებობის რიგისადა რაღა თქმა უნდა, — ჩალაგდებოდნენ და უქნევდნენ ხელებსა, ფუნჩულასა, მდინარე ხალხსა. აქ არასოდესა დიოდა ხალხი, მთავარი მოედანი ეს პთ არ იყო თბილისისაი, — არა, ცხადია, აგებითაც პირველად ეს ძეგლი აეკოთ, ტრიბუნა ჯერ არ მოპეონებოდათ, მერედა მთაგონდათ, მერედა გამართეს, სხვაგან გამართეს, ყველგან გამართეს, აქ აღარაო, — იდგა იგი პირველთაგანი, იდგა ისევე ვიწრო კვარცხლბეჭითა და აბობდებულიყვნენ ვიღაც უჩინონი, ჩინოსანნი არა, აბობდებულიყვნენ და ორატორობდნენ ანუ ჯერ ერთი თრატორობდა, სხვები უცდიდნენ ანთუ უკვი მოეთავებინათ სათქმელი.

იმათ მოეთავებინათ თუ არ მოეთავებინათ, ამათ არ ეს-



მოდათ არაფერი, — შუაგულზე და მენაპირეებზე ითქმის კულტურა სიტყვები არ ესმოდათ, თორემ ხმა მოდითდა ხრისტიანთ, მოსჩანდა გაფაციცებით აქნეული ხელებიცა, რაღაც ისეთიცა, თითქოს ფეხს ეწეოდა და კერც ეწეოდა ზევზევითა, პროტეზი თუ ჰქონდა; იქ ალბათ ესმოდა, იქვე, ძეგლთანვე პირსახე აბრუნებულ ხალხსა. ტაშსაც იქვე უკრავდნენ, იქვე შესძახოდნენ ვაშასა. ამიტომ უფრო მიიწევდნენ უკანანი, კვინათ, რაღაცა გვეკარგებაო, მიიწევდნენ, გაგულისებულინი, ბრუნავდნენ, იკვროდნენ რგოლებადა, ჯაჭვებად იკვროდნენ, ჯაჭვები ჯაჭვებს ეხლართებოდა, თვითონვე იქცეოდა ჯაჭვებადა ხალხი, თვითონვე იბმოდა, იხლართებოდა თავისთავადა. წინ შეკრულიყვნენ, მტკიცედ შეკრულიყვნენ მოწინავენი, ნაკირულიყვნენ თუ კლდეთა ქმნილიყვნენ, თუმცა ირლვეოდნენ ისინიცა, ნელა ირლვეოდნენ, უფრო ნელა ანთუ უფრო შეუმნინევლადა, მაშინვე რო ნაერთვოდნენ შემომატებულინი, ტაშს მიუსწრებდნენ, ტაშში ნაერთვოდნენ, ვაშას მიუსწრებდნენ, ნაერთვოდნენ მყისვე ვაშაშია, არაცა კითხულობდნენ, რათათ თუ რისთვისათ, უკანა კითხულობდნენ, წინ აღარათ, და აწვებოდნენ უკანანი, და იხლართებოდა, იჯაჭვებოდა ხალხი. იცვლებოდა ორატორიცა, მოგუდული ხმა მოდითდა, თითქოს გული ყელს მოეცოო. იმას წიგნი ეჭირა ხელში, ძეგლს მიუშვერდა იმა წიგნსა, იყალყებოდა, ეგება მივწვდე, ეგება ახლოს მიუვტანოო, იყალყებოდა და ლამის არის ზღართანი მოედო, ორი თუ სამი ხელი იჭერდა, მეორეთი რო ფარაჯას ეკიდნენ. არაფერი ესმოდა ძეგლსა, არაფერი აღბეჭდვოდა სახეზე, არაფერი, ო, არაფერი, ქვა ჰო ქვად ითქმის, ქვად ითქმოდა ისიცა, კერპად ითქმოდა, უძველეს კერპადა, მოქანდაკები თდეს არც იყვნენ, ლიტათ ქვას რო აღმართავდნენ ხოლმე. და არ ესმოდა არც რო ამასა, არც დაშორებით ესმოდათ არაფერი.

ორატორობა გადავარდნილიყო, აღარც თქმა იცოდნენ, აღარც გამოთქმა. ორატორობაც გადავარდნილიყო და არც მოედანი ჰქონდათ ამხელაი ძველ ორატორებსა, ხალხიც არა, ამდენი არა, ერთბაშად ამდენს თავს ვერ მოუყრიდნენ, თორემ იქმოდნენ თუ რასაც ინდომებდნენ, მეფეს დაამხობდნენ, დაიფრენდნენ მეფის საბჭოსა, რესპუბლიკას დაამყარებდნენ,

ეპა ვინ უწყის როდის აქეთია. ძველი რომისას არ მოგახსე-  
ნებ, არც ათენისა, ძველისა, არც სხვა რამ ძველია უფლისი  
თბილისისას მოგახსენებ რადა თქმა უნდა, უძველესი მცხე-  
თისასა, არცთუ ისე ძველი თბილისისაც, პო არცთუ ისე ძვე-  
ლისამეთქი, სოლომონ მსაჯულის დროინდელისა: ერთბაშად  
ამდენს თავს ვერ მოუყრიდა, თორემ ვერა, ვერ მოერეოდა  
დავით ბატონიშვილი სოლომონ მსაჯულსა, ვერა ვერ მოე-  
რეოდა; სალაყბოზე შეპყრიდა ასიოდე კაცსა სოლომონი, ან-  
თუ აქვე ყაბახზე შეპყრიდა, ასიოდესა თუ ორასიოდესა,  
ვთქვათ, ათასიოდე იყოს — არა, ბევრია, თავს ვერ მოუყრი-  
და ათასიოდესა, — რამდენსაც მოუყრიდა, ხმასაც გააწვდენდა,  
დავითმა უარპყო მეფობაო, დავითმა დაპლუპა საქართველო.  
ხმასაც გააწვდენდა, დაარწმუნებდა კიდევაცა. ასე სჩვეოდათ  
ძველ ორატორებსა, მჭევრმეტყველებსა სჩვეოდათ ასე, დაარ-  
წმუნებდნენ, აიყოლიებდნენ დაარწმუნებულთა. თუმცა ვერ  
შესძლო სოლომონ მსაჯულმა, აყოლიება ვერ თუ მოასწრო,  
დავითმა აჯობა დილეგში უბუცა თავი, მერე თვითონვე გა-  
აპარებინა დილეგიდანა, გადააყვანინა ლიხთიქითა და გააშ-  
ვებინა თავის ანაბარადა, მეფე გინდა და ემანდე მეფე, სო-  
ლომონ მეფე იმერეთისათ. აქ ახლა დაარწმუნება არავის უნ-  
დოდა, სიტყვა გაეგონათ, თუნდ ერთი სიტყვა, მკაფიოდა, კან-  
თიელადა, აპყვებოდნენ ტაშითა, აპყვებოდნენ ვაშათი, მეტიც  
არაფერი უნდოდათ, აპყვებოდნენ და მოიხებდნენ გულსა,  
მეტიც არაფერი უნდოდათ, ან ვერაფერი წარმოედგინათ მე-  
ტი, — ვადიდოთ ისევე, აქამდის როგორც ვადიდებდითო, მე-  
ტი არც იცოდნენ და ვეღარც ვეღარაფერს ვეღარ გაიგებდნენ,  
გაბრუებულიყვნენ, გაბრუებულიყვნენ და ახლა ოღონდ კი-  
დევ გაეგონათ სახელი მისი, მხოლოდ სახელი გაეგონათ, მე-  
ტი არც უნდოდათ, არა, არა, მეტი არც უნდოდათ. და ვინც  
გააწვდენდა იმა სახელსა ისე შორამდისაცა, მკაფიოდა, კან-  
თიელადა, მართლაც განითქმოდა ორატორადა, გმირად გა-  
ნითქმოდა, თუნდ ერთი დღისა, თუნდა ათისა, პო ათისათ, გა-  
მოცხადებაშიც ათი დათქმულა: რაითა გამოიცადნეთ ათ დღეო,  
ანუ უკეთუ მთლიანად თუ ისურვებ, მეორე თავის მეათე ხანა  
ასე იკითხება: „ნუ გეშინის საქმეთაგან, რომელთა ეგულების  
მოწევნად შენ ზედა, რამეთუ აპა ესერა ეგულების ეშმაკსა



თქუენთაგან შთავდებად საპყრობილესა, რამთა გამჭრელებულის ნეთ ათ დღე. იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკუდილამდე, და მოგ-ცე შენ გურგენი იგი ცხორებისაი".

მაგრამ არ ისმოდა და რაო, — წიგნს ისევ აფრიალებდა ორატორი იგი, ჭლიკებზე იწევდა, ცხვირში უსურსურებდა ძეგლსა, ისევე ეჭირათ ორატორი იგი, არ გადაიმზღვდესო, ეჭირა რამდენიმე ხელსა, რომელთაგან ერთი ბეგლარისად იცნო ვიდაცამა, ანუ ბეგლარი იცნო იმათ შორისა, ვიწრო გვარცხლბეჭე აბობლილთა შორისა, იცნო და შესძახა, ბეგ-ლარო, შესძახა. ვერც აქედან გაავონებდა რაღა თქმა უნდა, მხოლოდ აღტაცება ამოვარდნილიყო თავისთავადა, უნებლიე-და, აღტაცებაც ამოვარდნილიყო და კიდევაც მიიწევდა, მია-ბინდა თუ უნდოდა რო გაეპო ხალხი, უნდოდა და ვერ უხერ-ხდებოდა, ვერ გაეღწია, სხვასაც ჰო ეს უნდოდა, — ყველას ეს უნდოდა და ყველა ბრუნავდა, ტრიალებდა იხლართებოდა და როგორლაც უცნაურად მოინაცვლებდა ადგილსა, დრეიფობდა, ემთრჩილებოდა აუსსნელ დინებასა, არცთუ სასურველსა, უფ-რო ხშირად რო მიზანსა შორდებოდა, უკუ დაიწევდა, განა-ბინდებოდა ან შიგ გულში ამოიჭედებოდა და იქვე ბრუნავდა იქვე დრეიფობდა პატარა წრეში, ვეღარ გავიდოდა ვეღარსა-ითა. მაშინ იქ გახლდა ის ამოძახილი, შიგ გულში იყო იმა დუნდგოსი, ლენტოსთან ახლოსა, ცოტა უქანა, მაინც ახლო-სა, იმავე წრეში, გაუღწეველში. ლენტო ნაღვლობდა აქ სად მოვხვდიო, ძეგლის უკანიდან უნდა მომევლოთ, რაღას უშ-ველიდა, — დრეიფს უნდა მინებებოდა, როგორმე თუ განაპირ-დებოდა, როგორმე იქვე გაბოგინებულიყო, აღარ მინებებოდა უცნაურ დინებასა, ძლიერ დინებასა, ჯერ გაუგებარსა, ჯერ აუსსნელსა, თუმცა ახსნილსა დიდი ხანია, ოღონდფა რაო, იმა წიგნებში ისერიგად ჰო არავის ჩაახედებდნენ. აქ მაინც ხმა ეცნო ლენტოსა, მიხედვით ვერაო, ვერ მიიხედა, კინთა-პარატი რო გაედო მხარშედა, ფოტოაპარატიც ჩამოკიდა, თღონდ ეს არაო, აქ ხელს არ უშლიდა, ის იყო, რაც იყო, კი-ნოაპარატი, რო არც მიახედა და ვერც რო შებრუნდა, ხმაც რო დაშორდა თუ სულაც დაიკარგა, ანთუ ვინ უწყის აგერ აქ-გეა, ეს ბრმა დრეიფი შეაჯახებს, შეამსხვრევს ერთმანეთსაო. შეჯახება იგვიანებდა, დაშორება უნდა ევარაუდნა, ხმა ისე-



თი იყო, აღტაცება ისე, იმნაირი, თავს დააღწევდა ამ პრეცენტუალის ტრიალსა, ჟკვე ვინ იცის კვარცხლბეჭთან იყო, ეტოტიზებოდა, შესძახოდა ქინიანადა, ამიყვანეთო, აღბათ და მართლაც: ბეგ-ლარი დახრილიყო, სხვაც დახრილიყო, ხელები ჩაეყარათ, დაძაბულიყვნენ. ის თრატორი აღარა სჩანდა, აღბათ ჟკვე ჩაეშვათ მირსა იმა თავის წიგნიანადა, თავისსავე ჟღლინ-კებიანადა. პოდა ჩაეყარათ ხელები, პოდა დაძაბულიყვნენ, პოდა აიტაცეს, — ოღონდ ეს რაო? აქ ელისომ შესძახა, იქ აიტაცეს ნაზიკო, უთუთდ ნაზიკო, უთუთდა, ის პო მაღალი ბრძანდებოდა, ქალისათვის გამორჩევით მაღალი, აგერ აპაა, ლამის მხარდამხარ გასწორებოდა ბეგლარსა, ეს პო — საშუალო თუ დაბალი ლამისა, ბეგლარის გვერდით ცხადია დაბლად გამოწნდებოდა. — ნაზიკო აიტაცეს რადა თქმა უნდა. ეს აქვე თუ იყო, უცნაურ დრეიფში, აუსწენელ დრეიფში.

აქვე თუ იყო, ეგება ერთადაც ჩაეხვია თუ ჩაეგრისა ძლიერ მორეგსა, მერე და რაო, გაპობილიყვნენ, გახლეჩილიყვნენ, ვეღარაფერი შეაერთებდა, ვეღარაფერი, ვითარცა ნაფოტებსა, წყალდიდობა რო ვერ შეაერთებდა, — მიიტანდა, მიაახლოვებდა, ჭიდევაც შეახლიდა, შეაჯახებდა, წაიღებდა მერე, წაატივტივებდა თუ გააქანებდა უსწრაფესადა, ერთსა აქეთა, მეორეს იქითა, თუმცა ორივეს გადასაკარგავადა. გადაკარგვამდე ვერ ეგებ აქვე იყო, გათქვეფილიყო უამრავ სახეში, ლენტოს ვეღარ გამოერჩია, ფეხიც ვეღარ მოეკიდებინა, ვერ მოემარჯვნა აპარატიცა, ვერ ამოეკრიფა სათითაოდა თუ ჯგუფ-ჯგუფადა ის არეული თუ ამღვრეული სახები, გათქვეფილი თუ ადგენებილი ერთმანეთშია, ვერ ამოეკრიფა; თუ ამოეკრეფდა, გამოვიდოდა ცალკე ელისოცა, — იქვე თუ იყო რადა თქმა უნდა, — გამოვიდოდა ანთუ ისევე აღტაცებული ან კოპშეცრილი ფიქრიანადა, ეს ვიდა არის, ქალიშვილი ვიდა გამოტყვრა იმ გაუებს შორისთ. ლენტო აუსწნიდა, ვითარცა უცხოსა, ანთუ ვითარცა დაკარგულ მეგობარსა, უცხოშე უფრო გაუცხოებულსა, აუსწნიდა თუ ვერც აუსწნიდა, რა-მეთუ რაო, აღარაფერი შერჩენოდა იმისაგანა, ნაზიკოსაგანა, აღარაფერი, გარდადა ერთი სურვილის, აღარ შეპწვედროდა აღარასოდესა, აღარასოდესა, ამას ვერ ეტყოდა, ვერ გაუმნელდა, სახელს თუ ეტყოდა, მხოლოდ სახელსა, ნაზიკოა,



იტყოდა ისე, ვითომ არც იცნობს, ვითომც მხოლოდ შესკვერებული ნიაო, მოახსენებდა, ვითარცა უცხოსა, უცხოზე უფრო გაუცხოებულსა, და მაშინვე წაიღებდა ლივლივი, დინება იგი აღრული წაიღებდა აქეთ-იქითა, წაიღებდა დასაკარგადა, ანთუ უკვე დაკარგულიყვნენ, — დაკარგულობისგან უცხოობა რას გაუყვაო. ხოლო ის იქ იდგა, ვიწრო კვარცხლბეჭედა, აწოდილი თუ გაწლიკული, აკანჭალებული, კისერწაკინწული, იდგა თუ ლამის გადმოფრინდესო, ორივე ხელი ეგრე გაემალა, მოსაწყვეტს იყო კლდის ქიმიდანა, იჭერდნენ, თორემ მოსაწყვეტს იყო, მაინც თითქოსდა გადმოფრინდებაო, — ხალხიც მზად იყო, ხელში აეყვანა, მზად იყვნენ წინანი, უკანანიცა, ეგება ჩვენსკენ გადმოფრინდესო, მზად იყვნენ ყველანი უფრო სუნთქვა-მოხშირებულნი, უფრო ღელვამომატებულნი, მზად იყვნენ და ბრუნავდნენ, ტრიალებდნენ, წინ მიიწევდნენ და იქავე ბრუნავდნენ, წინ მიიწევდნენ და გავარდებოდნენ საითლაც შორსა. ბრუნავდა მორევი, მორევშე მორევი, დუნდგო ბრუ-ნავდა, დუნდგო ხალხისა, ჯებირებს მიმწყდარი გადმოსახეთ-ქადა.

ის თითქოს უნდა გადმოფრინდესო, ის თითქოს უნდა აიყ-ვანონო, თითქოს ის უნდა გაიძლოდონო, ან გაჰყვნენ ეგრე ფრთას საით გაპკრავს, საით ანიშნებს, გაჰყვნენ ეგრევე თა-გადრენილნი, ფეხქვეშ მიწა რო აღარ ეგულებათ, თავადრენილ-ნი და აქარებულნით; მანამდის თითქოს ისევე მოზიდულა, თითქოს უნდა გადმოფრინდესო, ყივილით უნდა გადმოფრინ-დესო, არწივია თუ ზღაპრული ფასკუნჯი, რაც არის უნდა გადმოფრინდესო მძაფრი ყივილითა, შემბოჭავითა, მომრევი-თა, ერთობლივ მომრევითა აფორიაქებული თუ დაბნეული ხალხისა; პო ყივილითაო, მძაფრი ყივილითაო, რამეთუ სიტყ-ვები არც ამისი ისმოდა, მერედა რაო, ამისი სიტყვებიც აღარ უნდოდა, სიტყვაც ის იყო, მოწოდებაცა, აზრიცა, რწმენაცა, ყივილი იგი ხან აწეული, თითქოს ცას გაპხვესო, ხან ჩამდაბ-ლებული ქვითინამდისა, ხან გრგვინვიანი, მუქარიანი, ხან შაწყევარი უმაღურობისა, ხან დამცინავი, ხანაც უსახო, ხან ისევ მწვავე, წამაქეზებელი, აღმგზნებელი, მაღე ქვითინშივე განელებული, გულამოსკვნილის ქვითინშია, — მხოლოდ ეს წამითა, ქვლავ ისევ ყივილი მოედებოდა ომანიანი, შორით



შორამდის გააღწევდა ყივილი იგი, შეპკრავდა ხალტსკუ გაფტა  
ვავებდა იქავ, იმავე მოედანზედაცა, მტკვრის ნაბირუშეცა  
ხიდებზედაცა, დინებას შეპკრავდა, ისევ წამითა, დააუბებდა  
ისევ წამითა, ერთბაშად რო მოეზღვავებინა.

ჰოდა თითქთისდა აფრინდებაო, — ლენტოს ნაზიკო აღარც  
ევონა, მომეჩვენაო, ასედა ფიქრობდა, აფრინდება და საით  
წავაო, ზეცას გაპყურებდა, ეგება მოენიშნა, საით წავაო, ასე  
ბრუნავდა, ასე დიოდა, მიდრეიფობდა ამნაირადა, ანდა თვი-  
თონ როდი დიოდა, დიოდა ძეგლი, დიოდა თუ ცურავდა, უკე-  
თუ ბოინობდა ცაში, აეტაცნა იმა ფრთხოსანსა, აეტაცნა ფრთხე-  
სა ძლიერსა, დააცურებდა ლაუვარდშია, ამიტომ თუ იყოო,  
ხანთუ მარცხნივ მიექცეოდა ძეგლი იგი, ხანთუ მარჯვნივა,  
ხანაცთუ ისევ პირდაპირა, ანთუ ახლოსა, ანთუ უფრო დაშო-  
რებითა, — თვითონ თუ არც იძვროდა, ის თუ მისცურავდაო.  
ოღონდაც მერე საყვავილნარესა თუ დეკორირებულ ბუჩქებ-  
ში აღმოჩნდა, უკეთუ გადაქელილ ბუჩქებში აღმოჩნდა, გაიხ-  
ლართა, ფეხი გამოედო, დაზიდა ფეხმა, ტანი წავიდა, თავი  
წავიდა, წავიდა მხრები აპარატებიანადა, გაიხლიებოდთა ბრბოი  
ამღვრეული, ბუნქს გამოდებული ჩაემხობოდა, ბრბო გაპყვე-  
ბოდა თავის სადინარსა, გადაპქელავდა და გაპყვებოდა, გა-  
დაპქელავდა ბუჩქებივითა. თვითონვე იმარჯვა, ხელი შეუშვა  
აპარატებსა, მხრებს დაეკიდა ვიღაცებისასა, აეთრევინა იმავ  
დინებასა აპარატებიც მხრებზე შემორჩა, მხრებზე სხვებისა  
რაღა თქმა უნდა, — აპარატები არაფერით, ეგრეც გაუტანდნენ  
თუ მიაჩეჩებდნენ, მარჯვენა ფეხს თუ რა დამართოდა, ეს  
იყო გასარკვევი, ტკივილი აუტყვდა ნაღრძობისა თუ ჩანვლე-  
წილისა, ჯერ ისევ ვითომ გასარკვევს იყო, ჯერ ისევ სხვების  
მხრებზე ეკიდა. შესცინეს იმათა, გადმოჰქარეს თოხა კბილე-  
ბი, საღი კბილები, ახალგაშრდული, — პხედავო, უთხრეს ერთ-  
დროულადა, პხედავ ამ ჩვენ ნაზიკოსაო. ვინ ნაზიკოსაო, ლენ-  
ტომ იკითხა, მართლა იკითხა, ცნობა არეოდა თუ ტკივილმა  
იძალა, ეს სულერთია, გრძელი მაგიდა მაინც მოეჩვენა, პატა-  
რა, პატარა, მინიატურული რვეულებიცა, აფრიალებული ვე-  
ება ფურცლებიცა, გამალებით რომ იწერდნენ გოვონები, ისიც  
ცხადლივად წარმოესახა, ეს ბიჭებიცა, ყელს რო უწევდნენ,  
ახლა გაგვიშვი, შინ გადავიწერთო. და აგერ, ეპა, აგერ ისიცა,



კლდის ქიმს შემდგარი ასაფორნადა თუ აფრენილი, გადაწყვეტილი ძეგლიან-კუარცხლბეკიანადა, ბეგლარიანადა, ფარცალმიშაჩარიანადა, მართლაც თუ მართლაცა, — მეორე ხელი, ნაზიკო რო ეპყრა იმა ქიმზედა, ფარნაოზისად იგულა ლენტომა. ტკივილმა დაზიდა, სახე აუმღვრია, უარესად აუმღვრია ლენტოსა, თუმცა და რაო, ამითი მაინც არ გამოირჩეოდა არავისგანა. ყივილი იგი ისევ თავზე დასტრიალებდა, აეტაცნა თუ ჩაეჩ-მუჩქნა, ჩაექელა გაზონებივითა.

მალე გამოერკვა თუ ის გაბრუება გადაიყარა, ეს მერე, ღინებამ რო გარიყა თუ გაიტანეს იმა ყმაწვილებმა, გაიტანეს ძეგლის უკანა, გვარიანად დამორჩებითა, გაიტანეს და მიატოვეს თავისსავე აპარატებიანადა. იქ აღარ ესმოდა ის გამთანგველი ყივილი, ის წოჩქოლი თუ ბრუნვაი თავგზა ამრევი, სწრაფი, ძალუმი, გადამდები იმავე წლების უამრავი სახეობის გრიპივითა, იქ მარტო დარჩა თავის ანაბრადა, ფეხის ტკივილიც აღარად მიუჩნდა, — კოჭი გადაეხვლიწა გამოდებულ ტოტსა, წინდა გაეტანა, შარვლის ტოტიცა, ჯანდაბას გაეტანა, აღარად მიუჩნდა, რახან მარტო დარჩა, რახან გადაუარა თავის ბეჭილმა, — თურმე უბეჭოდა თავი, რახან თვალი გადაეწმინდა, თვალი ამღვრეული, — თურმე ამღვრეოდა თვალიცა, — აღარად მიუჩნდა კოჭი ჩახვლეწილი, დასწვდა ისევ აპარატებსა, ისევ მიეტანა იგივე დუნდგოსა, სადით გააღწია თუ ძლივს გაიტანეს, ისევ მიეტანა ცოტა კვანძილითა, ეგ არაური, გამივლისო, იმედოვნებდა. გაუარა თუ გადაავიწყდა ეგ არაფერი, ის მაინც ახსოვდა, აღარ მოხვედრილიყო მოედნის გულში, მორევის გულში აღარ ჩავარდნილიყო, ახსოვდა და უვლიდა ნაპირნაპირა, შემაღლებულ ადგილებს მიეტანებოდა, ძეგლთანაც თურმე მიისვლებოდა, ის წინ ცყო თურმე, ის ჯგვლეთა და გვემაი, წინა მოედანზე ძეგლისა, უკნით ხალვათადა დიოდა ხალხი, ოლონდ იმ ჯგვლეთაგამოვლილი ხალხი, ნაგვემი და გაწამებული. წხრიალებდა აპარატები ლენტოსი, ამოდიოდა სახეები მოლრეცილი, დაფშხალული თუ დაფლეთილი, ხელებს ნუ იტყვი, რა ხელები ამოდიოდა, — დახლაკნილი თუ დალეწილი, ძეგლთან ჯაჯგურიც გამოიკვეთა, მალიან კარგად გამოიკვეთა, თითქოს დაედგა დიდებულ რეჟისორსა, დიდებულ ოპერატორს გადაედო თითქოსაო, კომიკუ-



რიც გახლდა, ტრავიკულისას არაფერს ვამბობ, კოშჩკური მონასტერი  
აბა მაშ რაო: რაღაც მრუდე ხე აეყუდებინათ კვარცხლბეჭერები  
და, ვინ ამაგრებდა თუ რა ამაგრებდა, ძნელი სათქმელია ან  
არცთუ არაფერი ამაგრებდა, პა და პა, გამოსავარდნს იყო,  
მხოლოდ ესაა, მისტანებოთა მრავალი ხელი, მრავალი ლა-  
მიბობდა ზედ აღობლებასა, მოსდგომობათ კინი გამოჩენისა თუ  
მშევრმიტყველებისა, მოსდგომობათ და ვეღარ დაეთმინათ,  
აღარ აცდიდნენ ერთიმეორესა, ერთიმეორეზე გადადიოდნენ,  
ერთიმეორეს აცლიდნენ ხესა, იმ მრუდე ხესა, ისედაც მრუ-  
დესა, აცლიდნენ და ცვივოდნენ პანტაპუნტითა, — სასაცილო  
გამოდიოდა, სატირალისა არა ითქმისო, ფირზე მაინც უცნაუ-  
რად გადაიხატა, სიცილს ვერავინ შეიკავებდა, გააცინებდათ  
ზოგი რამ სხვაცა, ოღონდ ის ჟკვე... თუმცა ჯერ რაო, ჯერ  
ხეს აცლიდნენ ერთმეორესა, იმ მრუდე ხესა.

აცლიდნენ და მაინც მიიწევდნენ, თუმცა იქ ჟკვე ადგილი  
აღარ იყო, ვინც ასულიყო, ერთმანეთს ეკვროდა, არ გადავ-  
ვარდეო, ერთმანეთსაც ეკვროდნენ, ნაოჭებსაცა ფარაჯისა, იქ  
ჩამაგრება მოხერსდებოდა. ყივილით ჟკვე აღარავინა პჟიოდა,  
არცთუ ბეხუნებდა, სულმოთქმულადაც აღარავინ ამოიძახოდა,  
ერთიმეორეს შეპბმოდენ პირშია, იქაცა, კვარცხლბეჭედაცა,  
მთელს იმა მიდამოზედა, მოედანზე, ხეებზე, თუ ვინ შეხუნ-  
ძლულიყო, ხიდებზედაცა, თუ ვის ჯერ ვერ ვერ ჩამოეღწია ან გა-  
ეტანა იმა ბრუნვასა, გაღმა-გამოღმა ქუნებზედაცა, ისმოდა  
გნიასი ერთობლივი, ყურის წამლები გუგუნი ისმოდა, ტყუილა  
ვინმე მოინდომებდა, რაიმე გაეგო, ტყუილა ვინმე მოინდო-  
მებდა, რაიმე შევასმინო ვინმესაო, ისე გვანუნებდა ერთობ-  
ლივადა, ისედა დუღდა ერთობლივადა, ბრმა ვნებები აქაფე-  
ბულიყო, შეძოგინებულიყო ჩაღაცა ჩამკვდარი, რაღაც იგ-  
რძნობოდა მოულოდნელი, მართლაც ბრმაო, გაუთვალისწი-  
ნებელი. ღონისძიება რაიმე უნდოდა, უსათუოდა, აუცილებ-  
ლადა, რაიმეს უნდა შეეკრა ყველაი, შეეკრა იქვე, იქვე და-  
ება, თორემ ვინ უწყის თუ დაიძროდა, საით წავიდოდა, საით  
გადაპხეთქდა, რა მოპყვებოდა? უარესი რა მოპყვებოდა... თუმ-  
ცა ჯერ რაო, იდგა გუგუნი ერთობლივი და დუღდა ხალხი,  
დუღდა და ლამის გადმოდიოდა.

და უცემ ცოტა ჩაიწია იმა დუღილმა, ერთი აფეთქდა მო-



მეტებულადა, კიუინად იქცა აღტაცებისა, აფეთქდა ასე შემოწერა  
ტებულადა და ჩაიწია, ცოტა ჩაიწია, ეს მაშინაო, შიკროვფ-  
ნები რო აიტანეს კვარცხლბეკზედა, გადამცემები აპყიდეს ხე-  
ებზე, ნაძვებსა თუ მაღალ ვერხვებზე, ლამპიონებზე სანაპი-  
როსი, ხიდებისა, გაღმით-გამოლმაც რო გადააბეს და გაისმა  
სიტყვა პირველი, მყაფიოდ გაისმა, გამოკვეთილადა, სიტყვა  
რო ითქვა იგი პირველი, მაშინ აღმოხდა კიუინა იგი, კიუინა  
იგი სიხარულისა, კიუინა იგი ერთობლივი აღტაცებისა, ჩაცხრა  
დუღილი, ჩაიწია, თითქოს ჩაცხრა.

ფირს გადაებეჭდა ის ჩამცხრალობაცა, ჩამცხრალობა აღრეუ-  
ლობისა, წამოგზნებაცა კმაყოფილებითა, წათამამებაცა, მაშ  
აბა რაო, — ეს მეორე გამარჯვება გამოთდიოდა, მეორე დათ-  
მობა თუ რაღაც ისეთი, უამისობაც რო აღარ შეიძლებოდა, —  
პირველი ისა, რო აღადგინეს შუქურები დამისა, მეორეც ესა,  
მეორე და ყოვლად აუცილებელი, რაღა დაუდგებოდათ წი-  
ნა, — აღარაფერი, აღარაფერი, გაიტანდნენ, რასაც ითხოვ-  
დნენ, გაიტანდნენ რაღა თქმა უნდა. და განა რას ითხოვდნენ  
ისე უცნაურსა?.. არც არაფერსა რაღა თქმა უნდა, ისე უცნა-  
ურსა რაღა თქმა უნდა: ერთი დღე დაეთმოთ ამისათვისა, წლი-  
დან წლამდის რო გისაც რო ეგუთგონდა, ერთი დღე დაეთმოთ  
წელიწადშია, ერთი, ერთადერთი, საზეიმო-სამკლოვიაროდა,  
როგორც რო დაერქმიათ და როგორც რო გამოეჭოთ, ვის-  
თვისაც რო ემეტებოდათ, გაემეტებინათ ამისთვისაცა, ერთი,  
ერთადერთი, სულ რო ამას ეკუთვნონდა და სულ რო ამას ეპ-  
უთნოდნენ წლიდან წლამდისა, წლიდან წლამდისა. ამას მო-  
ითხოვდნენ, მეტს არაფერსა, გააგონებდნენ მიკროფონებითა.  
გააგონებდნენ და გაიტანდნენ, ეს იმედი ადბეჭდილიყო, აღ-  
ბეჭდილიყო რწმენა ძალისა, ხალხის ძალისა. მანამდის თით-  
ქოს სიტყვები იყო, ლიტონი სიტყვები, ხალხის ნებაო, ხალ-  
ხის სურვილით, ყველაფერი ხალხისთვისაო, ხალხი ასეო,  
ხალხი ისეო, თურმე სიტყვები არა ყოფილაო, ლიტონი სიტყ-  
ვებით.

და ბრუნავდა იმედი, ბრუნავდა რწმენაი, ბრუნავდა, ტრი-  
ალებდა, ადიოთდა, ზე ადიოთდა, ადიოთდა და ადიოთდა.

და აღანთო სიტყვამ იმედი იგი, არა პირველმა რაღა თქმა



უნდა, პირველი თქმულიყოთ დიდი ხანია, პირველი იყო სიტყვა კაო, — სიტყვა ყოფილიყოთ პირველი, არაფერი ყოფილიყოთ სიტყვამდისა, არაფერი.

## XV

„...რომელთა არა გაქუს სწავლაი ესე, რომელთა არ უიცნობიან სიღრმენი ეშმაკისანი...“

და ადანთო მიკროფონმა იმედიო ანუ სითამამე შეპმატა ყველასა, ყველაზე მეტად მოწინავეთა, — კვარცხლბეჭე ვინც იდგა პირველყოვლისა, ვინცა ლამობდა ასულიყო, ითქმის აგრეთვე პირველყოვლისა, ძირს თუ ცვივოდნენ, ხელს თუ უშლიდნენ ერთმანეთსა, ეგ არაფერი, მაინც ერთბაშად დარიათ ხელი სითამამემა, ერთბაშად მოედოთ, იქ აცოცება აღარავის უნდოდა, არც კიბე უნდოდა, არც მრუდე ხეი, სიტყვები. თვითონვე უძვრებოდა სულმია, პირში უძვრებოდა; იქ მაინც სახინკლე „თბილისში“ ერთად მოიყარეს თავი, გვიან მოიყარეს, როცა ყველაფერი გამოკეტილიყო, ნამცეციც რო აღარსად გადარჩენილიყო ახლო-მახლოსა, აქ თადარიგი დაეჭირათ, ყველასთვის აღარც გაედოთ კარი, პირველთაგანნი გაეხმოთ მხოლოდა, მასპინძლობდნენ იმა პირველთა, მხოლოდ პირველთათ და ისინიც ბევრნი გამოსულიყვნენ, საძრაობა აღარა პქონდათ, ამოეჭედათ მთელი დარბაზი, ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭელი, სათავსოებშიც შეცვივნულიყვნენ, ისხდნენ კასრებზე, ყუთებზე თუ ფქვილის ტომრებზე, ისხდნენ თუ იდგნენ, აღარაფერი გაიგებოდა, აღარცა ასე თვალისათვისა, აღარცა ისე, ყურისათვისა, აქ მიკროფონიც ვერ უშველიდათ, ცალკეულ სიტყვას მიკროფონიც ვერ გამოარჩევდა. ჯერ არც უნდოდათ, სიტყვა არც უნდოდათ, არის ჟამი სიტყვასაც რო დაივიწყებენ ხოლმე, ანთუ გნიასი, ხმაური ერთობლივი მხოლოდა სიტყვაა ერთი, ერთი, ერთადერთი, — სიმშილის ჟამია ასეთი და სიტყვა იგი, პურია, პური. აქ გახლდათ პური, იყო საჭმელი, იყო სასმელი და გადადიოდა თავზევითა, გადატანითაც იგულისხმეთ, პირდაპირაცა, გადადიოდა რო მართლა თავზევითა, საძრაობა რო აღარ იყო გადააწოდებდნენ ერთიმეორესა, თუ აყირავდებოდა ლუდის კათხები, კო-



ნიაკის ბოთლი თუ მიევეახებოდა ვინმესა, ხინკალი თუ გადასახილი არა სმარტალებდა, წითელიაც ამას მოპყოლოდა, ცოტა სიცილიცა, გადაძახილიცა, ბუბუნიცა, გუგუნიცა ის ერთობლივი, — მიქ-როფონი რას გასწვდებოდა? აქ არც უნდოდათ, აქ ისვენებ-დნენ, აქა ნაყრდებოდნენ დაქანცულები, ქანცგაწყვეტილნი, ნაყრდებოდნენ და სიცილიც უნდოდათ, დაქანცულობას შვე-ლოდა სიცილიცა. და გადადიოდა ლუდის კათხები აქაფებუ-ლი და ცვივოდა ხინკალი, ქაბაბი ცვივოდა ეგრე ზევიდანა, ციდანა ცვივოდა, ვითარცა მანანათ. ცვივოდა აგრეთვე ვარ-სკვლავებიცა, ბლუჯ-ბლუჯ ცვივოდა, ჯერ ხუთ-ხუთადა, მერე ოთხ-ოთხადა, მერე სამსამადა, ისიც იღეოდა, — რომიდა გვრჩებათ, არა სწუნობდნენ ან აღარ არჩევდნენ აღარაფერსა.

სითამამეს პო დაერია ხელი, ვარსკვლავები თუ იფრქვეო-და, ესენი ადიოდნენ, ადიოდნენ სავარსკვლავეშია.

მსახურები ვერ გასწვდენიდნენ, აღარც აკითხებდნენ, ყველგან თვითონვე ჩაეყოთ ხელი. დაპეატრონებოდნენ სამზა-რეულოსაცა, ბუფეტსაცა რაღა თქმა უნდა.. ხინკლის დამხვე-ვებიც გამოსხენოდათ, შემწველნიც ქაბაბისა, ხახვის დამკუ-წავიცა, ლუდის ჩამომსხმელიცა თუ ბოთლების დამრიგებე-ლიცა, თვით ნაზიკო ჩამდგარიყო დახლშია, ბეგლარიცა, ელი-სოცა, ისიცა, ფარნაოზს რო მიამგვანა ლენტომა, სხვაც კიდევ ვიღაცა, თუმცა რა ვიღაცათ, ის იყო, რაც იყო ანუ ის იყო მას-პინძელი; ერთიანად გადაეხსადა, ერთიანადა ნთქავდნენ სახინ-კლესა, რესტორანსაც მთანთქავდნენ, თუ გამოუჩნდებოდათ გა-დამხდელი ცხადია. ჯერ ამასა ნთქავდნენ, ნთქავდნენ სახინ-კლესა და გუგუნებდნენ, ბუბუნებდნენ, ბუხუნებდნენ თუ ყოყ-ლონინობდნენ ანთუ პყვიროდნენ უფრო პყვიროდნენ, ყვირი-ლად ითქმოდა თუ ყვირილში ინთქმოდა ყველაფერი, სამზარე-ულო თხრივარიცა, ჰაპიროსის ბოლიცა, ბათქუნიცა შამპანური-სა, იქამდეც მივიღნენ. რატომაც არათ გადახდილიყო ყველაფე-რი, თავი გამოედო წვენების ქარხნის დირექტორსა, ისედაცა და ასედაცა, თავგამოდებით იდგა დახლშია, თავგამოდებით მიაწოდებდა ხუთვარსკვლავინებსა, უფრო ძვირფასი სხვა იქ არ იყო, მიაწოდებდა ყველაზე ძვირფასსა, მიირთვით, შე-გერგოთ, გაიხარეთო, მიადევნებდა თავგამოდებითა, ეგების აგრეთვე ეშხიანადაცა, მაგრამ არ უნდა აქ სხვა რამ სამკაუ-



ლი, თავგამოდებაც საკმარისი გამოდის, ოღონდ საკითხები  
მაინც ესაა, აგრერიგად თუ რად გამოედო თავი, აქ რა ჭმდომები  
და, რად აპყოლოდა ამა ჭრელ ხალხსა? — სტუდენტებსა თუ  
ასპირანტ-ლაპორანტებსა, თავიანთი კუთხე რო არ გააჩნდათ  
თბილისშია და ხან სად შეეცედლებოდნენ, ხან სადა, მოსამ-  
ზადებელი კურსების მსმენელებსა თუ სტაურან აპიტურიენ-  
ტებსა, მამლაყინწა უფროსელასელებსა თუ ტექნიკუმის მოს-  
წავლეებსა, სხვადასხვა სამხედრო თუ მაგვარი უწყებებიდან  
გამოპრინებულებსა თუ გამოსტუმრებულებსა, სხვადასხვა უპ-  
მაყოფილოთა თუ ხელმოცარულებსა ნაირგვარ სარბიელზე-  
და, — რად აპყოლოდათ; თუმცა და რაო, მარქსიზმ-ლენინიზ-  
მის ლექტორებიც შემოჰყოლოდნენ, თრი თუ სამი, კომპოზი-  
ტორიც გამოჰყედილიყო კასრებს შორისა, თავისი დღენი „მარ-  
შებსა“ სწერდა და ჯილდოზე ერთხელაც არ წარედგინათ, თრ-  
იც მხატვარი გამოლანდულიყო, გრძელი თმებითა, ჯერ კიდევ  
ყველანი მოკლედ იკრეჭდნენ, გამოირჩეოდა იმათი თმები,  
მსახიობებიც გაპკვროდნენ კედლებსა, კინოსტუდიისაცა, თე-  
ატრებისაცა, ფილარმონიისაცა, ცირკისა არა, — მსახიობები,  
ჰამლეტის როლზე რო თცნებოდნენ და ბერდებოდნენ; ნ სტა-  
უითრებადა, — რაც უნდა იყოს, რად აპყოლოდათ; ოღონდ და  
რაო, მონასტერი თუ აირია, ვინ საით მიაწყდება, ვიდამ გა-  
ივოსო, — ეს აქ მოწყვეტოდა, ამას აქ გამოედო თავი, სახინკ-  
ლე „თბილისში“ გამოედო თავი, იმა აღმართზედა ჯორჯია-  
შვილისა, აღმართზედათ თუ დაღმართზედა, სულერთიათ, რაც  
აღმართია, ის დაღმართია, წაღმართი არ არის არცერთით.

თავიც გამოედო და კიდევაც გაუგონეს, — ეს მაშინა, და-  
სარიგებელი რო დაარიგეს და პირველმა ჭიქებმაც მოუღუ-  
ტუნა ძარღვებსა, დახლზეც რო შემოდგეს სინი ალავარდნილი  
ხინკალისა და ბოლოსდაბოლოს დახლში ჩამდგრებმაც გამო-  
იყუფქეს პირი, მაშინდა აღმართა ჭიქაი მასპინძელმა და ყუ-  
რადლება ითხოვა, ყურადლება ითხოვა და იყუჩეს, იყუჩეს და  
ბრძანა, მიმილოცნია თამაღობა ბეგლარისთვისაო, მართლაცა  
ბრძანა და მართლაც გაუგონეს; უცებ გაუგონეს, სიმშილი მთ-  
ეკლათ და სიმთვრალე მორს იყო, დრო შეურჩია თუ შემ-  
თხვევით მოხდა, — ძნელი სათქმელია, ცოტა აღრე თუ ცოტა  
გვიან ასე ადვილად არ დაწებდებოდნენ, არც გაიგონებდნენ,



არც გაუგონებდნენ, იქ არაფერი იყო წესისა და რეგულარული თამადას რადა უნდოდა, რა უნდა განვევო? იდგნენ, პირზე ცალკე ხდნენ, ამოჭედილიყვნენ, სუფრას ჰთ არ შემორიგებოდნენ, ვისაც რეგბოდა ის აყვეყული მაგიდები, კიდევ ჰთ კარგი, შეჭყლეტოდა ზედა, მაინც უკეთესობად ითქმოდა, ვისაც კარი თუ ყუთი რეგბოდა, ესეც ჰთ კარგი, ვისაც არაო, იდგნენ ეპრე ზედშეხლილები, ხელში ეჭირათ ულუფა თავიანთი, პირთან მიტანა ძლივს უხერხდებოდათ, სამაგიეროდ ენა აშლილიყო, სადღეგრძელოებიც ამოფრქვეულიყო, უამრავი და თავთავისებური, ვინ თუ ვის შეპხლოდა, ვის თუ ვისთან მიეტანა თავპირი, იმის ნათქვამს იმეორებდა, უდასტურებდა იმასა. ერთი მოწესე ძნელად თუ გავიდოდა ასეთ პირობებში, მერე ისე უცება, ერთის დაკვრითა, გაფიქრებაც ვერაფრისა მოასწრეს, წუთი დამდგარიყო ისეთი, მუცელი უკვე ამოიყორეს, სიმთვრალე შორს იყო, ჯერ მხოლოდ ცოტა მოუდიტინა, ცოტა, სულ ცოტა.

არაო, ნუგზარს მივულოცოთო, ბეგლარმა ბრძანა. ნუგზარი ალბათ შასპინძელს ერქვა, ერთმა თუ ორმა ეგება იცოდა, სხვებმა არც იცოდნენ, ადარც უკითხავთ, ყურშიც არ შეუშვეს, რას მიქვიანო, ბეგლარი ვთქვითო, ჩვენ ასე ვინებეთ და ვინ გადავა ნებასა ჩვენსასაო. ამაყად ითქმოდა, ძალოვნად ითქმოდა, აბა თუ ვიდა დაუდგებოდა წინა?.. რა ბრძანებაა, არის წუთები გარდაუვალი და გასათვარი, შოგჯერ ერთ წუთში საუკუნის ბედიც გადაწყვეტილათ, ძლიერებაც დამხობილა და რაღაცა დიდ აღმატებასაც დასდებია სათავეო, სულ ერთ წუთშით, ერთადერთ წუთშით, ვიდაც განწირულა და ვიდაცის გარსკვლავი აელვარებულათ, ერთადერთ წუთშით, მაგალით უამრავია გამოუსწორებელი შეცდომებისაცა, მოულოდნელი წარმატებისაცა, ერთიად იგულევე, თუნდა პიროვნებისადათ, ერთი წუთისგანაო, ერთადერთისგანაო; ეგებე წუთი თუ დამდგარიყო, ვინ — თუ გადავა ნებას ჩვენსაო, — ვინ გადავიდოდა, — ბეგლარიც დამორჩილდა რაღა თქმა უნდა. მეფეები იბადებიან, ბელადები აღმოჩნდებიანთ, ვისი ნათქვამია, არ მაგონდება ასე სახელდახელოდა, არცთუ მოძებნა მეხალისება, აღბათ ნათქვამია, ვინმე იტყოდა, იმასაც იტყოდა, აღმოჩნდები რო წუთისაა, იმა წუთისა, ხალხს რო ჰგონია, ნება



ჩემია, ჩემი სურვილი აღსრულებულაო. დიადი წუთყანულო  
აღმტაცი ზვიადობისა, გასაოცარი კმაყოფილებისა, აშპარტაკ-  
ნული აფეთქებისა, ამპარტავნული კმაყოფილებისა. ასეც აფ-  
ეთქდა სახინკლე „თბილისი“ შუალამისასა, ბეგლარი ვთქვითო,  
ეს ჩვენა ვთქვითო, ნება ჩვენია.

და უცებ იქათბა გაუფასურდა თუ გაფერმერთალდა ლენ-  
ტოს თვალშია, რაღათუ ბეგლარზე ჩამოუწყდათ სალამიო, რა-  
ხან ამთაქვეს, ბარემ ნუგბარისათვის დაედოთ ხელი, დაე-  
დოთ და ადარ აეღოთო, ნუგბარი პქვიან თუ რაცა პქვიან,  
ოღონდ ბეგლარი არა ყოფილიყოთ, თუნდ ისა ყოფილიყო,  
ფარნაოზისათვის რო მიემგვანებინა, თუმცა არაუერი უგავდა  
ფარნაოზისა, მაინცა ყოფილიყო, ვინც უნდა ყოფილიყო, ოღ-  
ონდ ეს არა; რა გამოვიდა, პქრება ბრჭყვიალება, იწმინდება  
თვალი თუ მტვრით ევსება, ძირს ენარცხება და მტვრით ევ-  
სება თვალი. ისევ იქა ზის თუ იქავე ჩაყუნტულა თუ ამოჭე-  
დილა, ზემო საფეხურზე კიბისა, ღრუბლის ქულები რო შე-  
მოპხვეოდა თითქოსა, ფაფუკი, ფაფუკი, ფუნჩულა ქულები,  
ხან იისფერიცა, ვარდისფერიცა, შემოპხვეოდა, გაებრწყინე-  
ბინა თვალები მისი, საოცარისა თუ ნეტარის ხილვით გაებ-  
რწყინებინა რაღაცა სხივსა, საიდანდაც არეკლილ სხივსა, გა-  
ებრწყინებინა და გაებადრა. დაბლაც იგივე სხივი დასცემდა,  
იტალდებოდა იგივე ღრუბლები, იგივე ფაფუკი, იისფერი თუ  
ვარდისფერი, იტალდებოდა და ლივლივებდა. და უცებ გაჭ-  
ქრა, ანთუ თამბაქოს ბოლი ბოლადვე იქცა იმისთვისაცა, ოხ-  
შივარი — ოხშივარადა, საჭმლისაცა, სამოსისაცა, სტომაქი-  
საცა, ერთად აქაქანებული პირიდან რო ამოდიოდა, პირიც  
რო მოეკუმათ, მაშინაც რო იდგა გაუნელებლადა, მოედნებზე-  
ცა, თვით მოედნებზეცა, ასე ძალიან რო აძრწუნებდა შექ-  
სპირსა, ნამდვილად შექსპირსა, კარგადაც მახსენდება და  
მოძებნასაც როდი ვაპირებ. სახინკლეში რაღა იქნებოდა, იმა  
ღრმად ჩასულ, მიწად წასულ სახინკლეშია? რაც იქნებოდა,  
ის იქნებოდა, ოღონდ ლენტო იმანდა გამოარკვია, ბეგლარი  
იყოსო, რო აიხირეს, — მაშინ ამოვარდა სუნი ნაყროვნებისა,  
ზევით და ზევით უფრო ავარდა, გადარეკა ღრუბლები იის-  
ფერი თუ ვარდისფერი, ფაფუკი, ფაფუკი ღრუბლები გადარეკა  
და გამოჩნდა უცნაურად დაფშხალული სახე ლენტოსი; მანამ-



დე უცხოდ რო კრიალებდა, უცხოდა და მიმზიდველად, შენიშვნა  
ხილუადა, მინდობითა, მიამიტობითა; პოდა გამოჩნდა დაფუ-  
შხალულით, პოდა ბეგლარმაც მაშინდა თუ შენიშნა, ჭიქა აე-  
წია, მიმოატარებდა თვალსა, მადლობას უძღვნიდა სათამადოდ  
მადლეგრძელებელთა, მიმოატარებდა და შერჩა იქა, ერთ წუთს  
შეეყინა ზემო საფეხურზე ჩაყუნტულთა შორისა, პო ერთ წუთ-  
სათ, ერთადერთსათ, იქ ერთი წუთისა გახლდა ყველაფერი.  
გაუყვა თვალი ელისოსიცა ბეგლარის თვალსა, ნაზიკოსიცა,  
ფარნაოზს რო არა ჰევავდა არაფრითა, იმისიცა, ზუგშარისა-  
ცა, იმას თუ ერქვა მართლა ნუგშარი, მთლად იმა დახლში  
ჩამდგარებისა, თვალსაჩინოდ გამოყოფილთა, პრეზიდიუმს  
რო მიმგვანებლდნენ შემთხვევითა თუ განგებისადა, იმათი  
თვალი ასე გაიბა და ეგება ყველაც შემობრუნებულიყო, წუთს  
რო არ ჩაევლო, იმა ერთ წუთსა, ერთობლივად აფეთქებული  
ბატივმოყვარეობისა.

და იდგა ოხშივარი, ბოლი, სუნი გაუსაძლისი, იდგა თუ  
ადიოდა, ადიოდა და ადიოდა ზევით უფრო გაუსაძლისადა,  
ადიოდა და ადიოდა.

ანთუ ლენტო თუ განიცდიდა ასე, ამგვარადა, სხვებს არც  
ეცალათ საამისოდა. ზეციურ მანანას მანამდისაც ხარბად რო-  
დი შეუშვერდა ხელსა ლენტოი, მერე სულ დაეხსნა, აღარ  
მოსწონდა აღარაფერი, სადლეგრძელობმა მთლად გააბოცა:  
შექს გაუმარჯოსო, ხელებსა პარჭყამდა ბეგლარი, იმ შექუ-  
რებსათ, რო ჩაექროთ და ავანთებინეთო, გაუმარჯოსო, დას-  
ტურს დასცემდნენ, ყვიროდნენ, ბლაოდნენ, ბუღრაობდნენ,  
ლამის თუ თავსაც უქიცინებდნენ ერთიმეორესა, წათამამე-  
ბულიყვნენ და უქიცინებდნენ; ხმას გაუმარჯოსო, ისევ ბეგ-  
ლარი პარჭყამდა ხელებსა, იმ მიკროფონსაცაო, ჩვენ რო მო-  
ვიპოვეთ და ხალხს მივაწვდინეთ ხმაი ჩვენი ანუ ხმაი ხალ-  
ხისავე, სიტყვაი ჩვენი ანუ ხალხისავეო; გაუმარჯოსო, სულ-  
მოუთქმელადვე მიადევნებდნენ, გრიალებდნენ და მოზაიკის  
იატაქს ურტყამდნენ ქუსლებსა, ურტყამდნენ ისე გამეტებითა,  
თითქოს და რაო, უნდა ჩააწვდინონ მიწის გულამდისა ანთუ  
ეგრეთვე გრიალით ჩავიდნენ იქამდისათ; ჩვენ პო მარტონი  
არ ვიქნებითო, ჯერ ისევ ბეგლარს გამოედო თავი, ასევე იქ-  
ნება ერევანშიცაო, ბაქოშიცაო, კიევშიცაო, სხვაგანაცა და

სხვაგანაცაო, ხოდა იმათ გაუმარჯვოთთ, ჩვენს მოგაფშებლისთვის  
ჩვენს თანამდგომებს გაუმარჯვოთთ, — გაუმარჯვოთთ, დასცემ-  
დენ მომეტებული აღტყინებითა და მომეტებულადაც აირეო-  
და მონასტერი. მაშ აბა რათ, სადღევრძელო თავისთავად გა-  
მომწვევი გამოდიოდა, ახლა გაითვალისწინე მოსართავი სიტყ-  
ვები საამისოდა, ვარსკვლავებით სავსე ჭიქების გამოცლაცა,  
პოდა მთლად აირია მონასტერიმეთქი: კველა იძახდა რაღა-  
ცასა, კველას უნდოდა წაეჭარბებინა სხვათათვისა, კველას  
ერთა, ცუდ ადგილას მთვეჭვედრილვარ, ამიტომაც არ ესმით  
ჩემით, ეგონა და მიიწევდა დახლისაკენა, პრეზიდიუმივით რო  
გამოჭიმულიყვნენ, იმათკენა, კველა მიიწევდა, კველა თითს  
იწევდა თუ ფარჩხავდა ხელებსა, კველა გერც გამოიჭედებო-  
და დახლშია, თითების იმედიდა პქონდა, ჯერ მე დამითმეთ  
სიტყვათ; გამოჭედვითაც გამოიჭედნენ, არა უშავს რა, ისე  
ბლომად გამოიჭედნენ, ვეღარ გაუძლო დახლმაცა, ჯერ კვნესა  
მორთო, ხრჭიალი აუტყდა სახსრებისა, მერე სულაც ამოყი-  
რავდა, პირქვე დაემხო. და ცოტა შეცბნენ, მოულოდნედი  
რამ მომხდარიყო ანთუ ცუდად ენიშნათ ეს დამსობაი მართდა  
დახლისა, მაგრამ როგორდაც პრეზიდიუმის მინამგვანისა, —  
დახლი ჰო დაემხო, ზოგნიც გადაწყდნენ თუ გადაემოტნენ  
ზედა, ახალი შემოჭედილებიცა, ძველთაგანიცა.

პოდა შეცბნენო, ცოტა შეცბნენო, პოდა დრო იხელთა,  
ნუგზარი ალბათ ვისაც თუ ერქვა, იმან იხელთა: გავუგონოთ  
ერთმანეთსათ, ასე განაცხადა, რას ვემგვანებით თუ არ დავაც-  
დით ერთმანეთსა ან ჩვენი საქმე რას დაემგვანებათ, ვინც აგ-  
ვირჩევია ჯერ იმას დავაცადოთ, ის განაცხადს და გაგვაგონებ-  
სო, ასე განაცხადა და ჩააშოშმინა წამოგზნებული თუ აღტყინე-  
ბული ხალხი, დრო რო იხელთა, მხოლოდ იმითი ჩააშოშმინა,  
სიტყვის კილოთიცა, მუდარისა თუ საყვედურისა ანთუ შეზა-  
ვებული კილოთი, თან დახლსაც დაეტანა, წამოვაყენოთთ.  
წამოვაყენეს, ოღონდ და რათ, ვეღარ გამართეს საგულდაგუ-  
ლოდა, შეაკორიკეს და იდგა ეგრე შეკორიკებული, პადა პა,  
დამსობილიყო თუ არა, პა და პა... ხელით იჭერდნენ, ბევრლარ-  
საც კვიდა ხელი, ისე ვეღარა პარჭყამდა თრივე ხელსა, ერთ-  
დღროულადა, ცალცალს თუ აისროდა, გასტყორცნიდა აქეთ  
იქითა, მეორეთი ჩააფრინდებოდა დახლსა თუ სანიშნოს პრე-



შიდთუმისა ანთუ გამოყოფილთა, თუმცა უკვე მომატებულების  
ვნენ, ვინცთუ შექედილიყო, გამოსვლასა აღარც მოყნდომებია  
და, კიდევაც თუ შეიქედებოდნენ, სხვას რას იზამდნენ, კიდე-  
ვაც წინ წასწევდნენ მონგრეულ დახლსა, წასწევდნენ და წას-  
წევდნენ; ვიდრემდის შიგნით მოექცეოდნენ ყველანი, ან თუ  
ვიდრემდის შემოეფშხვნებოდათ ხელშია, ანთუ თვითთი შე-  
უშშნებოდნენ ან... თუმცა ჯერ მაინც განაგებდა ბეგლარი, —  
აშლილიყო. საღერღელი ლაპარაკისა, არ იღეოდნენ მოლა-  
პარაკენი, იცვლებოდნენ და იცვლებოდნენ, ბოლო არ უჩან-  
და, — რას განაგებდა, ძნელი სათქმელია.

გამოსათქმელად არც ისაა ადვილი თუ რას ამბობდნენ ის  
მშევრმეტყველნი, ნათლადა, მკაფიოდ გამოსათქმელადა, მოკ-  
ლედ სათქმელადა, რუსთაველის პირობისამებრა, თორემ  
მილიანად თუ გადმოვიტან, გრძელიც გამოვა, დაბნეულიცა,  
კიდევ ვინ უწყის რაღა არ გამოვა. ერთი რამ მაინც საგულის-  
ხმოა, ზოგი თხისკენათ და ზოგი მგლისკენათ, პოდა ერთი  
რამ მაინც საგულისხმოა, — მშევრმეტყველებდნენ ნამდვი-  
ლადა, ჰეშმარიტადა, ენაზე ჭალი არ მოედებოდათ, მიერე-  
ბებოდნენ თხისმოლებითა, არ მოიკლებდნენ არცა სიტყვასა,  
არც სიფიცხესა თუ მგზნებარებასა, თუ სჭირდებოდათ,  
თრთოლვა-კანკალსაც არ მოიკლებდნენ, კურცხალ ცრემლებ-  
საც გამოურევდნენ, საგულისხმო აი ეს არის, სწორედ ეს არ-  
ის, სად გაწაფულიყვნენ ამნაირადა, როგორა სთვლემდა ამ-  
დენი უნარი, უნი ამდენი რანაირად განაბულიყო, მერე და  
კრებებზე, უამრავზე, აურაცხელზე, კრებების მეტი რა ენა-  
ხათ, რა გაეგონათ, — როგორა სთვლემდა, რანაირად განაბუ-  
ლიყო? იქ უსათუოდ პეტრე კამათობდა, პავლე კამათობდა,  
ვთქვათ ისიდორეცა, ყველას თავისი პეტრე ჰყავდა, თავისი  
პავლე, ვთქვათ ისიდორეცა, პეტრე ორ სიტყვას ვერ გადაბამ-  
და ერთიმეორესა, ვერცა პავლეი, ვთქვათ ისიდორეცა, პეტრეს  
ვიღაცა დაუწერდა წინასწარა, პავლესაცა, ვთქვათ ისიდორესა-  
ცა, პეტრე ჯლოყინით ჩაიკითხავდა სხვის დაწერილსა, პავლე-  
ცა ცხადია, ვთქვათ ისიდორეცა, ცხარე კამათიც ამას ერქვა, გა-  
მოხმაურებაცა მხურვალე თუ დამრაზმავიცა, ათასი სხვაცა,  
აღმატებული სიტყვები ერქვა, ეხენიც იქ ისხდნენ, ისხდნენ  
მღუმარედა, ისხდნენ ტაშისადა, ისხდნენ და თურმე იქ იზ-



რდებოდნენ, იწაფებოდნენ თურმე ასე უცნაურადა, — არ კი გამოიყენოთ, არც დაწერილიო, მიერეკებოდნენ სულმოუქეშედადა. საგულისხმოა და დამაფიქვრელი, თღონდ თუ მაინც თუ რას მიერეკებოდნენ ანთუ როგორ მიერეკებოდნენ, რა უნდოდათ, როგორ უნდოდათ, მოკლედ გამოიქმა ადვილი არ არის მეთქი, რო ითქვა გონივრული და ლამაზადაც ითქვა, უგნურადაც ითქვა გონივრული, მახინჯად ითქვა, გიურუიც ითქვა ლამაზადა, მახინჯადაც ითქვა გიური, მომეტებულიც ეს გამოდიოდა, ხოლო რიკრიკით ყველა რიკრიკებდა, რიკრიკებდა და რიკრიკებდა სარეკელასავითა რაღა თქმა უნდა. და ყანყალებდა დახსლი იგი თუ საპრძანებლო პრეზიდიუმისა, კორიკობდა და ყანყალებდა, გადაწვებოდა, აიმართებოდა, წაიზნიქებოდა, ასწევდა წელსა, ლაწუნს გაიღებდა, გაიხრჭიალებდა, ხრიგინებდა გაუთავებლადა, ხრიგინებდა და წაქცევას იყო, ხელითლა იჭერდნენ, ანთუ ვინ უწყის ებდაუჭებოდნენ, რაც იყო, იყო, იჭერდნენ და ებდაუჭებოდნენ.

მაინც თუ რაზე აშლილიყვნენ, არა?

მთავარი მაინც გამოირჩეოდა, როგორც უნდა დაბნეულიყვნენ, ვინ როგორც უნდა აეთრია სიტყვასა, მაინც გამოირჩეოდა მთავარი.

გამოირჩეოდა და ერთი ეს გახლდა: დეპეშები ვაახლოთ ჩვენს მოკავშირებსაო,

მეორეც ესა: ვის ვაახლოთო, რა ეწოდებათო ანთუ ჩვენ ვინა ვართ, რა დაგვერქმევაო.

პირველი გადაწყდა სადღეგრძელოსავითა, სადღეგრძელოს მოპყვა და ისევე პყვინენ, უნდა ვაახლოთო, უნდა შეკუთანხმოთ განზრახვანი თუ ღონისძიებანიო, გაუმარჯოსო, გაუმარჯოსო; მეორე ვერა ვერ გადაწყდა ასე ადვილადა, იქ აირივნენ, იქ შეეჯახნენ, შეეჯახდნენ, იქ აჭრიალდა დახლი უფრთ მომეტებულადა, გადაიზნიქა, გადაყირავდა, იქვე იჭერდნენ, იჭერდნენ თუ ებდაუჭებოდნენ და ბოლოს როგორც იქნა დაირქვეს: შტაბი კენჭი უყარეს რაღა თქმა უნდა, წინაომდევი არავინ იყო ცხადია და რაღა თქმა უნდა, თღონდ რის შტაბიო, ეს მაინც იკითხეს და ორატორებმა ისევ მოიგდეს ქაფი პირზედა. რისაო და ძეგლისაო; ძეგლისა არაო, მონუმენტისაო, ძეგლი შეიძლება ყველაფერს ეწოდოს, ეს მონუმენტია, მონუმენტიო; მო-



ნუმენტი მხოლოდ უცხო სიტყვაა და მეტი არაფერი გამოვიდა გაგვანიორწყლა და გვეყოფა, გამოვეხსნათ უცხო უღლისა-განაო; ენა არასოდეს გამოთიშულათ, მითუმეტეს დღევანდე-ლი არნახული თუ გაუგონარი კავშირურთიერთობისა და პროგრესის პირობებშით, მონუმენტით, უსათუოდ მონუმენ-ტით; მონუმენტით, მონუმენტით; შტაბი მონუმენტისაო; არაო, მონუმენტალური შტაბით; არაო, მონუმენტური შტაბით; ასე გაიძა, ასე გაიხლართა, ამაზე მოიგდეს ქაფი პირზედა. დახ-ლის საცდაობა პო აღარ ითქმოდა, ისეთნაირადაც დაიჭახუ-ნებდა, გეგონებოდა, ნაფოტებსაც ვეღარ აჰკრეფენო, მაგრამ არაო, მაინც ეჭირათ თუ ებლაუჭებოდნენ, ან ევება ნაფოტე-ბიდა შერჩენოდათ ხელში, ნაფოტებსდა აკოწიწებდნენ. იქ არ აღმოჩნდა არცერთი ლინგვისტი, მეცნიერულად რო დაესა-ბუთებინა, მოეტანა ციტატები, მიეთითებინა ნაშრომები, თუნ-დაც რო წელიცა გამოცემისა და გვერდიცა ნაშრომისა. არა, არ აღმოჩნდა არცერთი ლინგვისტი და ხრჭვალებდა დახლი ხრიგინებდა, აწყდებოდა აქეთ-იქითა, ანთუ ნაფოტებადა ქცეულიყოთ, ანთუ ვინ უწყის რადა, — ყველაფერი ითქმის, ისეთი დღე რო დასწეოდა, მანამდე უწყინარსა, უშფოთველსა და თვინიერსა, მხოლოდ ლუდით თუ რო გაიწუწებოდა, ანთუ იპკურებდა, სულს მოითქვამდა, პაერი რო ჩაგუბდებოდა, ასე მა-ინც არ ჩაგუბდებოდა, შუაზაფხულშიც არა, კარს დააგდებდნენ ყურთამდისა, შერში ბრუნავდა ვენტილიატორი, ვეებერთელა ვენტილიატორი, ზედ დახლზეც იდგა, დახლიდარი ლიპს მიუ-შვერდა და საანგარიშოს რეთლებს ჩაპყრიდა კოტიტა თითე-ბითა. ანიავდებოდა თითებზე ბანალი, ვენტილიატორი ანი-ავებდა. ესეც იდილია სახინკლე თბილისისა, ზაფხულის იდი-ლია, შუაზაფხულისა, — რა დღე დასთენებოდა? გაზაფხული ესაა დამდგარიყო, დამდგარიყო ისიც კალენდრითა, რა იქ-ნებოდა მერე ზაფხული, ნამდვილი ზაფხული რა იქნებოდა?!. მოსთქვამდა დახლი, ბლაოდა დახლი, ღვარად დიოდა ცრემ-ლი და დღრამლი, წაქცევას იყო თუ გაქცევას იყო, მაგრამ და რათ, ვინ გაუშვებდა, მაგრად ეჭირაფ თუ ჩაბლაუჭებოდნენ, ეხლებოდნენ ერთიმეორესა და ბრუნავდა დახლი გაეშვებუ-ლი თუ დამთხვეული, არეული თუ გაბეზრებული, — დამ-თხვეულიც საკმარისია...

„...და განსუენებაი არა აქუს დღე და დამე, არამედ იტყ-  
 ვან: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ღმერთი, ყოვ-  
 ლისა მპყრობელი, რომელი იყო, და რომელი არს და რომე-  
 ლი მომავალ არს“.

ალბათ ნუგზარი რო იმას რო ერქვა თუ რაც ერქვა, იმანაც  
 ვეღარ გააგონა ვეღარავისა, ანთუ ვეღარ ჩაიგდო წუთი შესა-  
 ფერისი, ანთუ დანაყრდნენ და უმაღურობაშაც აღარ დააყოვ-  
 ნა, — თუ გადაგიხდია, მერე და რაო, გათხრია და გადაგიხდი-  
 აო. ჯერ ეს არ ეთქვათ ხმამაღლადა, ჯერ ამას მხოლოდ გა-  
 მოჰსატავდნენ, ტუჩები ისე ელექტებოდათ, წარბებიც ისე ექვი-  
 რებოდათ, როცა ის ითხოვდა გამიგონეთო, ალბათ ნუგზარი  
 იმას რო ერქვა. ისიცა ლამობდა რილაცის თქმასა, ფარნაოზს  
 რო არა მიმგვანებოდა, განიერი ბეჭებით აწევებოდა ზედ-  
 მიწვეტილთა და ჭერს უღერებდა ვეება მუშტებსა, — ალბათა  
 ლამობდა, ალბათ ამბობდა თუ ორატორობდა, მაგრამ და რაო,  
 იმას ვიღა დაუჯერებდა, ვინცთუ ვიღაცას მიმგვანებოდა და  
 თურმე არც მიმგვანებოდა, ეს რაღაც ისეთი უსახურობაა, ლა-  
 მაზი სიტყვებიც რო ვერაფერს შესძენს, მით უფრო ვინ უწყის  
 რას როგორ ამონბდა? ბეგლარიც მთლად გაქარწყლებული-  
 ფო, მხოლოდ ესაა, დახლს ჩაპფრენოდა ორივე ხელითა, სა-  
 დაც ჩაპფრენოდა, არც მოენაცვლა, დახლი თუ ბრუნავდა,  
 ბრუნავდა ისიცა, თუ წვებოდა, იზნიქებოდა, წვებოდა ისიცა,  
 წვებოდა თუ იმტვრეოდა, მაინც აღმოჩნდებოდა თავის ად-  
 გილასა, სადაც აირჩიეს იმ ადგილასა, იმა მხარესა, კვლავ  
 დაითრევდნენ, კვლავაც იქვე აღმოჩნდებოდა, სხვა ვეღარა-  
 ფერი განერიგებინა, ანთუ რაღა განერიგებინა, ესეც დიდი  
 ბიჭობა გახლდა, დიდი დიდი, იმ ალიაქოთშია!.. ლენტოს უხა-  
 როდა, ეგეც შენაო, წასვლაც უნდოდა, ამიტომაც შეყოვნებუ-  
 ლიყო, ეგება, ემანდ, უფრო სასაცილოდაც დაითრიონ, ემანდ  
 იატაკიც აალთკინონ.

ლექტორებმაც ვეღარ გააგონეს, ანთუ თვითონვე ვეღარ  
 გაეგოთ, ირგვლივ თუ რა ხდებოდა: პარტისტორია დაესწავ-  
 ლად ზეპირადა, იმეორებდნენ ზეპირადა ერთიმეორის თან-  
 მიყოლებითა, მიაშტერდებოდნენ ერთ წერტილსა, ერთნაი-

რად ერთ წერტილსა, ერთი ერთ მხარესა, მეორე მეორესა თუ  
მესამე მესამესა და იმეორებდნენ ეგრე, ეგონათ ჩვენიდა ჰურის  
თი და მოედანი, ეგონათ ყლაპავენ ჩვენს ყოველ სიტყვასათ.  
დაწყნარებას არ მოითხოვდნენ რაღა თქმა უნდა, ეგონათ,  
ალბათ ასეც გვისმენენო ან ვინ უწყის წყნარად არიანთ.  
ანთუ რა ეგონათ თუ როგორ ეგონათ ახლა რაღა საძებარია,  
მხოლოდ ესაა, ზომიერად ენაცვლებოდნენ ერთიმეორესა,  
ზედმეტ აბზაცსა თუ ზედმეტ სტრიქონს არ წარმოსთქვამდა  
იმათვან არცერთი. იქა გრიალებდა დახლი, იქ შებმულიყ-  
ვნენ მოპაექრენი, აქეთ ესენი მიჰყვებოდნენ თავიანთ გზასა.  
იქით მსახიობებიცა ლამობდნენ რაღაცასა, ყოფნა არ ყოფ-  
ნასა ლამობდა ერთი ანუ წარმოსთქმასა ლამობდა ყოფნა არ  
ყოფნისა, ლამობდა ეგრე უშანების მიბაძვითა, არალერი გამოს-  
დიოდა, არ მიუგავდა არაფერი, გარდა ცხვირისა, ამაზე თუ  
გაიცინებდნენ, ცოტაოდნავ გაიცინებდნენ, არ გაუგონებდნენ  
არცა იმასა, არცა იმასა, ავთანდილის ანდერძი რო გაეხსე-  
ნებინა, იმასაც არა, გამოჯავრება რო მოენდომებინა ბეკინასი  
თუ პლატონისა ანთუ ორივესი ერთადა, — არა, არცერთსა, სა-  
ხიობა არ გამოდიოდა, ანთუ იმათ არ გამოსდიოდათ შესაფე-  
რისი თუ მოსახერხებელი. ცოტათი მხატვრებს გამოუვიდათ,  
კარიკატურები ააფრიალეს, ამათიცა, ვთქვათ ბეგლარისა  
თუ ფარნაოზს რო არა ჰყავდა მისი, მისიცა, იმას რო ერ-  
ქვა გაიოზი ალბათა, სხვებისაცა გარეშემოსა, შორეულთაცა,  
შორეულთა და აღმატებულთა, პირველთაგანთა, მოწინააღ-  
მდეგედ ვინც მიენნიათ, ანთუ ვინც იყო, ანთუ ვინც წაეგ-  
დოთ, დიდი თავი გაქვს და იტირეთ, ანთუ: დიდი თავი გაქვს  
და თავში იეციო. პო მხატვრებს ცოტა გამოუვიდათ, ცოტა  
აცინეს და უფრო მეტი საღერღველი აშალეს ლაპარაკისა, მეტ-  
ინი აშალეს მოკამათენი, იმა დიდ თავშე მოკამათენი, მანამ-  
დის ვითომც ერიდებოდნენ, კარიკატურამ მთლად გადარიათ  
თუ წააქებათო, ასეც გამოითქმის. ეს უფრო ისნინი, — ყოფი-  
ლი ჩინოსნები, გადამდგარი თუ გადაყენებული, წარ-  
ჩინებებზედა, გახუნებულ წარჩინებებზედა, და გულმკერდს  
ეჭდევებოდა, ასხდებოდა ლურჯადა, გახუნებული წარჩინება-  
ნი: მაშინ სად იყო, იკითხავდნენ გაოგნებული, ეს რო იყო,

ჩვენ რო ვიყავით, მაშინ სად იყოთ, — იმისას იკითხავდნენ  
რადა თქმა უნდა, იმა დიდი თავისასა, კრიალა თავისი უნდა  
რო წაეგდოთ, დიდი თავი გაქვს და თავში იეცით. გამოედო  
იმასაც თავი, წაქეზებულიყო, გათამამებულიყო, ბუღას დავი-  
ჰერ კუდითათ, გაიძახოდა; გაიძახოდა და შესძახოდნენ, ჯან  
ტიკო და ჯან ბაწარაო, დაიჭერ და დაიჭირეთ, ჯან ტიკო და  
ჯან ბაწარაო; გაიძახოდა და შესძახოდნენ, ოღონდ აქ არა რა-  
და თქმა უნდა, აქ ამიტომაც გახელებულიყვნენ, ცოტას იცი-  
ნოდნენ კარიკატურითა, რისხვა ბევრი აემდებოდათ, ბოლობა  
კიდევ მომეტებული, ბოლომა და რისხვა არეული თუ გადაწ-  
ნული ერთმანეთზედა. რაც იყო, იყო, მთემელი იყო ბევრი  
და ყველას ეგონა, უკეთესს მე ვიტყვი, მხოლოდ მე უნდა  
დამაცადონო.

რაც იყო, იყო, დახლი თუ მაგიდა პრეზიდიუმისა შავ დდი-  
ში იყო, ჭრაჭუნი თუ ხჭიალი, ბრუნვა თუ ხრიგინი, ეგ არა-  
ფერით, ბოლოს წაიფერდა და ადგომა აღარც ეწერაო, თუ და-  
ემხობოდა, დაასკდებოდა და დაიფშვნებოდა, წაკიწაწდებო-  
და, სანაგვე ხიწვებადლა თუ იქცეოდა, აღარ ეწერა სხვა ალ-  
რაფერით.

რაც იყო, იყო, და კივილი გაისმა უმძაფრესიო, უეცრად  
მოსკდა, გაპხია დუნდგო იგი ხმებისა, გაპხია, გაფხრიწა, მი-  
ჰყარ-მოჰყარა ნაფლეთებადა, გააშეშა პირნი დაღებულნი, ხელ-  
ნი აქნეულნი გააშეშა თუ გააქვავა, გააქვავა იგი დახლიცა, ეგრე  
წაფერდილი, ზედ შეაფრინდა და გააქვავა. ნაზიკო შეაფრინ-  
და, ნაზიკო აღიმართა წაფერდილ დახლზედა და ყმაწვილებ-  
მა ყიფინა დასცეს აღტაცებისა, კივილი იგი გააგრძელეს, გა-  
აზვიადეს. მომეტებულნიც ისინი იყვნენ, მეტსაცა ფიცხობ-  
დნენ, მეტადაც ეგზნებოდნენ, ოღონდ დახლისკენ არ მიიწევ-  
დნენ, არც ისე ცდილობდნენ მჭერმეტყველებასა, მხოლოდ  
ასდევდნენ; უნდა პჲყოლოდნენ, ვიღას პჲყოლოდნენ, ვეღარ  
გაეგოთ, გაუგებრობით არეოდათ კრიალა სახე, წრფელი თვა-  
ლები, მიმწნდობი, მიამიტი, გაუგებრობის მორევს დაეთრია,  
გამოსაფალი ვეღარ ეპოვნათ. და გაწნდა იგი გამოსავალი, ხმა  
იგი გაწნდა, კივილი იგი მოსკდა უეცრადა, ნაცნობი კივილი,  
ცივი, გამყინავი, ურუანტელიანი, ძაგმაგს რო მიგცემს, თავს  
რო ვეღარაფრით ვერ მოერევი, კივილი იგი მოსკდა უეცრა-



და და ყმაწვილებმაც დასცეს ყიფინაი, ყიფინა დასცეს უფრო უფრო უფრო  
ტელიანი, იმედიანი, მუქარიანიცა, ემანდთუ კრინტმა ჰუკიშებია  
ადარ დასძრასთ. და იდგა ნაზიკო წაფერდილ დახლზედა,  
წაფერდილსა და გაქვავებულზედა, იდგა გაშლილი, გაფიჩნუ-  
ლი თუ გაფხოკილი თმებითა, რაღაც ნაკუწი თუ რეზინი წა-  
ეძრო მუასავით შეკრულ თმის ბოლოდანა, წაეძრო და ძენ-  
ძავდა თითებითა, გრძელი, გრძელი, გაჭიაყელებული თითე-  
ბითა, ტანითაც ეგრე აწოწილიყოთ რაღა თქმა უნდა, აწოწილი-  
ყო ყანჩასავითა და რო ამბობდა, ანთუ პყიოდა, პყიოდა ეგ-  
რედვე ყანჩასავითა. ყანჩას ყოველთვის დაფიქრებულს გამოჰ-  
ნატავენ, ნეტავი თუ რას აფიქრებენ?.. ვინ იცის, ვინ უშეის,  
ამას ფიქრი მოეთავებინა, ანთუ არც ეფიქრა, ცეცხლს აეტა-  
ნა, ავიზგიზებულიყო და იდგა ეგრე აგიზგიზებული, აბურ-  
ბურებული, დახლი თუ იწვოდა, მაგიდა იგი კოცონად თუ გა-  
დაქცეულიყო. ისევ თუ ეჭირათ დახლი, მაინც ეჭირათ თუ  
ებლაუჭებოდნენ, ხელს თუ ითბოდნენ ავარდნილ კოცონ-  
თანა.

და გიშგიშებდა კოცონი იგი, კოცონი სიტყვისა, ანთუ  
სიტყვები შეშა თუ იყო, ხმა მოსდებოდა, ხმა ცეცხლიანი:

ჯერ აქამომდე ბევრი არაფერი გამიგდა წუთისოფლისაო, —  
ამგვარად ამბობდა, — მაგრამ იმდენი ჰყუა მაინც მომიკრებია,  
ვიცი თუ ვინა ვარ, ვიცი, რა ვარ, ვიცი, რაც მინდა. ესაა ჩე-  
მი ავლადიდება, სილატაკეა ვიცი ესეცა, მაგრამ რაც არის,  
სილატაკე პთ მაინც არის, უამისობაც არ იქნებოდა, არარათ-  
ბა ვიქნებოდი უამისოდა, ძეძვს შერჩებოდა ეს ჩემი ტანი  
ბუმბულიყითა, შეეძნებოდოდა ზედა. მე ეს თუ მარტოს დამე-  
მართებოდა, ბევრი რაღაა, — ბევრიც ასევე დაიძნება თუ  
ვერ გაიგებს, ვინ არის, რა სურს, რა ძალა შესწევს, რა გზას  
დაადგეს, — ბევრიც ასევე, ვითარეა ერთი, დაიძნებათ. და  
შიში მიპყრობს, თქვენ რო გისმენთ, როგორც მარტისულს,  
ისევე მიპყრობს, ისევე მაძრწუნებს, რამეთუ თურმე ჯერაც  
არ იცით, ვინა ხართ, რა ხართ, რა გწადიათ? ამდენსა და-  
თბთ, აფრქვევთ აზრებსა ვისას აღარა, ღმერთო ჩემო, წაგი-  
კითხავთ მერე რამდენი, ოღონდ არ იცით თუ ვინა ხართ, რაი  
გწადიათ. ნუ მიწევენთ, გისმენთ და ვერ გავიგე, ჯერ სახელს  
ირქმევთ და სახელიც ვერ გიპოვნიათ, ანთუ რას ეძებთ, არ



იცით განა თუ რა გვქვიან? ჩვენ პო ხალხი ვართ მაგრა და სალი იგი, კველებან რო არის, ერთი რო არის, ერთი სულით რო ანთებულა, თუ თავწახრილა, შრომობს და შრომობს, მიწას თუ მცენარეს დოვლათად აქცევს, თუ თავს ასწევს და აბობოქტ-რდება, ზღვა რო ზღვა არის, ზღვასაც არ შესწევს იმოდენი, ერთად რო მიუშვა. პოდა ხალხი ვართ ხალხი, ზღვა ვართ აღძრული, აზვირთებული ან არც ეს უნდა, რის ზღვა, რა ზღვაო, მონუმენტური თუ მონუმენტური რიდასი რა არის, როცა ხალხი ვართ, ხალხი, ხალხს თუ რაცა სურს, დაგვის-რებია გამოთქმა იმისათ.

პოდა ხალხი ვართ, რაღად გაშოვეყოთ, სწვა რამ რად და-ვირქვათ, ხალხი თუ გვქვიან, ეს დიდი სახელი, სახელთა სა-ხელიო. ხალხი ვართ და ხალხია ისიცა, ვინც ხმას დაგვაწევს, მოკავშირედ ვინც გამოგვადგება. მიმართეთ ასე: კივე, ხალ-ხნი!... მხოლოდდა ასე, ასევე სწვათაცა, ისმინეთ ჩვენი ხალ-ხნი, ჯამაათნო, ისმინეთ ჩვენი, ჩვენ მოგმართავთ, ხალხი მოგმართავთ, მოგმართავთ, მოგმართავთ ხალხსა, ჩვენ თქვენ მოგმართავთ, ვისაც ერთობლივ აქამდის ოწმენა რაცირო გვეგონა, უცებ დაგვემხო და ვაკონიწებთ დამსხერეული ოწმენის ნატეხებსა, ისმინეთ ხალხნი, ჩვენ თქვენ მოგმართავთ, ვისაც ერთობ-ლივ გაგვძნელებია, დავგმოთ უეცრად, რაცა გვევეროდა, ერთ-ბაშად დავგმოთ, გავაცამტევეროთ, ჩვენ თქვენ მოგმართავთ ხალხი ხალხსა, ვისაც იმედი გაგვდვივებოდა სიდუხჭირიდან თავდაღწევისა და ის მიგვაჩნდა სვეტიცხოველად ამაღლები-სა, განდიდებისა, ჩვენ თქვენ მოგმართავთ ხალხი ხალხსა, თავდაღწევისად წამოგზნებულსა, რამეთუ ხალხი მხოლოდ ის არის, თავდაღწევისთვის ვინაც იღვწისო. ჩვენ თქვენ მოგ-მართავთ: იგი ამაღლდა უმცირესიდან, იყო ნუგეში უმცი-რესისა და თქვენ მოგმართავთ ამა ნუგეშის გადარჩენისადო, იგი ამაღლდა მცირეთგან მცირე, იყო სითამამე უმცირესისა და თქვენ მოგმართავთ სითამამის გამოხსნისადო; მან გადაპ-ქელა ულმოებელად რაცთუ რამ იყო და თვითონ გვექცა ყო-ველივედა, აწ თუ დაგვექცა, რაღა ვიღონოთ, ჩვენ თქვენ მოგ-მართავთ ხალხი ხალხსა, რამეთუ იგი ჩვენვე გვკითხავდა და თვით ამბობდა სათქმელსა ჩვენსა, ჩვენც თქვენ მოგმართავთ, ანთუ თქვენ – ჩვენა და მოთხოვნას ჩვენსას ასე გამოვთქვამ-



თო. კვლავ დაგვიძრუნეთ მისი შთბის დღე, საზეიმოფენის დღე და დიდებლადა, ვითარცა აქამდისა, ვითარცა ყოველთვის, მოგვინდა გონების დღეც დაგვიწესეთ მარტის თვეშით. ჩვენ თქვენ მოგმართავთ ხალხი ხალხსა, ჩვენ ხალხს ეს გვინდა, ჩვენ ხალხი გვევიან, ვიცით, ვინცა ვართ, ვიცით, რაც გვინდა, ვერც რა დაგვაპნევს, ვერც რა მოგვერევა, ნებასურვილი ჩვენი განაგებს, აღვისრულებია, რაცა გვსურვებია, აღგვისრულდება, რასაც ვისურვებთ, რამეთუ ხალხი ჩვენა გვევიან და თქვენ მოგმართავთ ხალხი ხალხსათ.

ჭეშმარიტს ვამბობ, დამიდასტურებთო, თუმცა ჯერ არათ, ბევრიც არაფერი გამეგება წუთისოფლისა, თღონდ ამდენი ჰეჭუა მაინც მომიკრებია, ჩვენ რო ვართ ხალხი და სხვა სახელი აღარ გვინდათ, ხალხი ჩვენა ვართ, ხალხი ჩვენა გვევიან და გაუმარჯოს ჩვენს სახელსათ, ნუღარც ვიდავებთ, დავას ქვეყანა წაულევიათ, ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენ ვიდლეგრძელოთო.

შესძახა მძაფრადა, თითქოს ჭერი აიხდებათ, შესძახა და შესძახეს, გაგვიმარჯოსთ, მძაფრადვე შესძახეს, კედლებს გაანგრევდა ძახილი იგი, ოდნავად მეტიც თუ მოუვიდოდათო. ეს რა თქმა უნდა გაზვიადებულია, სქელი კედლები, მკვრივი კედლები ძველი შენობისა კიდევ ბევრ ყვირილს გაუძლებდა, ასე ერთობლივ გუვუნს გაუძლებდა, სხვა უარესასაც გაუძლებდა, ოლონდ იქ მაინც რაღაცა მოხდა, რაღაცამ უცებ გაიჭახუნა, დაიზრიალა და დაეხეთქა, სწორედ იმ წუთსა, იმ ერთობლივი შეძახილისა, იმ ერთობლივი ტაშის ავარდნისასა. იქ ყველაფერი წუთისა გახლდა, ანთუ წამისაღა გამხდარიყო, ერთ წამში მოხდა, ერთ წამს მოედო ტაშის ტალღა დახლის გარშემოცა, — თუ ტრიბუნისა, თუ კვარცხლბეკისა, თმაგაწეწილი, ხელებგაშლილი ქალიშვილის ძეგლი რო აღმართულიყო, — ერთ წამს აიტაცეს ხელი დახლიდანა, ტაშისაღ აიტაცეს და მოსწყდა დახლი, გაიჭახუნა, დაემსო, მორჩა, მოსწყდა ძეგლიცა, ამოტრიალდა, დაემსობოდა კვარცხლბეკის ნამსხვრევებსა, დაემსობოდა და დაელეწებოდა, მაგრამ მიუსწრეს, მიაშველეს ხელი, აიტაცეს, გაანანავეს ეგრე ხელებზედა, შეისროლეს, მიაყოლეს ტაში, კიდევ შეისროლეს მომეტებული ტაშის სიმაღლეზე, კიდევ და კიდევა, აფრიალებდნენ ეგრე ტაშზედა, აფრიალებდნენ და ანანავებდნენ. ესენი გმაწვილები გან-



ლდნენ, სულმთლად ყმაწვილები, საორატოროდ როგორ შესაბამის იწევდნენ, მაინც რო კიუინებდნენ ყველაზე მეტსა, თუ საჭირო იყო, წინ წაცვივოდნენ, სხვა თუ დაიხევდა, ისინი წაცვივოდნენ. მაშინაც წაცვივდნენ, მიუსწრეს, აიტაცეს, მიაკუნჭულეს დახლის ნამსხვრევებიცა, მოცალეს ადგილი, დაუშვეს ტაში შემაღლებული, წრედ შეჰქრეს ტაში და ახლა წრეში დაატრიალეს ხელებგაშლილი, თმაგაწეწილი ქალიშვილი, ხელები მისი, — თუმცა ეს იმდენი არაფერი, — თმაი მისი დაფრიალებდა იმათს თავშევითა. ყმაწვილები გახლდნენ, სულმთლად ყმაწვილები, სტუდენტები პირველი კურსისა, მოსწავლეები ტექნიკუმებისა, ანთუ უბედო აბიტურიენტები.

ჯერ ამათ მოედოთ შინი ლხინისა, ასე მოედოთ, როგორდაც ერთბაშადა, თავისთავადა, მერე იმათაც გადაედოთ, უფრო მოზრდილთა თუ თავგამოდებულთა, თვით ლექტორებიც გაპყვნენ ნაზიკოსა, შენაცვლებითა რაღა თქმა უნდა, დადარღიანებულ თუ უკმაყოფილო ყოფილნიცა, კომპოზიტორიცა, მხატვერებიცა, შსახიობებისა რაღა ითქმისო, ლხინი იმათი მოგონილია, გაპყვნენ ნაზიკოსა და მერე ელისოსა, როცა ნაზიკომ წრე იმას დაუთმო, ისევ ნაზიკოსა, ისევ ელისოსა, გაპყვნენ და დაპქროდნენ, დაფრინავდნენ, დალივლივებდნენ ნეტარნი თუ აღტაცებულნი, რო ეგონათ რო გადაწყდა ყველაფერი, აღესრულა სურვილი მათი, უმაღლესი იმპერატორებითი ბრძანება გამოცხადდა ნაზიკოს პირითა, ეგონათ და გახარებულიყვნენ, ეგონათ და აცმუკებულნიყვნენ ყმაწვილნიცა, უფროსებიცა, ერთნაირად აცმუკებულიყვნენ; ანთუ ეგების არცრა ეგონათ, გარსკვლაგები რო ნახნახებდა, ყველა ბოთლი რო გამოიწრიტა არაყისა, ყოველნაირი არაყისა, თვით უმდაბლესი ხარისხისაცა, ლუდის გასრები რო გამოიყმუტა, იმან თუ გაიტანა თავისი; გაიტანა და აიყვანა, ერთობლივ აიყვანა ყველანი ქალიან-კაციანადა, ყმაწვილიან-ხანდაზმულიანადა, ჩერნეტიან-ბრძენიანადა, ყველანი, ყველანი, ბეგლარიცა ცხადია, ფარნაოზს რო არა პგაფდა, ისიცა, გაიოზი ალბათ იმას რო ერქვა, ისიცა რა თქმა უნდა, აიყვანა და ისე აიყვანა, ბეგლარი რო ბეგლარია, ისიცა ცეკვაუდა თავდავიწყებითა ნაზიკოსთანაცა, ელისოსთანაცა, გამოიყვანდნენ, ისევ წაიჭრებოდა ნაზიკოსთანაცა, ელისოსთანაცა; ეგონათ თუ არა, რაც იყო,



იყო, ლხინიღა იყო სახინკლე „თბილისშია“, ჯორჯიაშვილი აღმართშედა, აღმართშედა თუ დაღმართშედაო, — სულეთ-თათ, არცერთი წაღმართი არ გამოდგებათ.

მანამდე დრო იყო, ან რაღა იყო, — დღეები ითვლებოდა.

რაც უნდა იყოს, ყველაფერს ბოლო აქვს, ლხინი რაღათ, — ანთუ ლხინია ყველაფერის ბოლო, მერე თავიდან დაიწყებათ; სხვები ამბობენ, ჭირია ბოლო ყველაფერისათ, თავიდან მერედა დაიწყებათ; სხვები სხვას იტყვიან, ჭირი თავს გადასდის წეთისოფელსა, ლხინი მხოლოდ მოგონილია, ისე, სულის მოსათქმელადათ, ჭირთა თქმა შვებაათ და ლხინიც იგივე ჭირთა თქმა არისო. სხვანაირი მთქმელიც იქნება, ჯერ იქ რამდენი გახლდა ქმართდა ერთ ვისმე ასტერთდა ენის ქავილი, აქავლდებოდა ყველა ენაი, ზოგისა ისევ სამჭევრმეტყველოდა, ზოგისა ისევ საკიტინოდა. ოდონდ თუ ერთი იოკებდა ენის ქავილსა, ყველა იოკებდა და იყო ტაში და იყო ლხინი, ბოლოც იყო ლხინისა ცხადია: და ბოლოც ის იყო, ნაზიკო რო გადგა განზედა, გადგა სიცილითა, დაღლილი სიცილითა, თითებიღა მოისვა თმის ძირებზედა, თფლი მოიყოლა, ჩასცინა თფლსა, თითებს ჩასცინა თფლით მონამულსა, თითქოს რაღაცა ჩაუთქვამსა, ანთუ კითხულობს რაღაც იდუმალსა, ვითარცა მისანი თუ ჯადოქარით. მაშინ ნაზიკოს სადღევრძელოც წამოხტა საიდანლაცა, ძნელი სათქმელია თუ საიდანა, — ერთბაშად ითქვა, ერთბაშად დაიღია, ერთბაშად განიწოდა ყველა ხელიცა, ხელში აგიყვანთ, ხელით წაგიყვანთო. არაო, — იუარა ნაზიკომა, ისევ სიცილითა, დაღლილი სიცილითა. მხედრებივით ამოგიდგებითო, გაგაცილებთ მხედრულითაო: ჯარში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო, — აბა, და ჲა, გაგვიძეხით. არაო, იუარა ნაზიკომა, თუ გაცილებაა, ის გამაცილებს, თქვენს შორის ვისაც არ მოვწინვარო. ჲა, ჲა, ჲაო,-ო, როგორ იცინეს, ძნელია გაღმოცემა ამისა, შედარებები არ მეყოფა, არაფერი გამოვა გაზვიადებითაცა, არა, არაფერი, უცნაური იყო, როგორდაც უცნაური, თუნდაც გაგახსენო გმირები ჰომეროსისა, სიცილი იმათი, იმათშეც უცნაური, თავისებური, აბა, მაშ რაო, ნეტავი ვინ იქნება, შენ არ მოსწონდეთ. იქნებათ. აბა, ვინათ.



აქ აღარ უთქვამს, დაღლილი ღიმილი გადაეჭირებოდა სპეც-  
ზედა, თვალებშეც იგივე რაღა თქმა უნდა, იმა თვალებით პა-  
ხედა, თქმით აღარ უთქვამს, აღარც უნდოდა, აპყვა თვალები  
იქამყოფებისა, მდუმარედ აპყვა, გაოცების მდუმარებითა.  
და დაიძრა ღიმილი იგი, დაღლილი ღიმილი, და დაუთმო გზა  
ღიმილმან მან, გაოცებისმან, და თარა ნელა, ვით დაღლალო-  
ბას შეეფერება, გაპლია დარბაზი, კიბეს მიაღვა, შეჩერდა იქა,  
იდგა, იდგა, თითქოს საფეხურებს ვეღარ აპყვებაო, ანიუ ეგე-  
ბის აღარც ეთმობა ეს ამოდენი თაყვანისმცემელით, მაგრამ  
ორივე ტყუილი გამოდგა, უცებ ავიდა, მაღალი კიბე ასჭრა  
სწრაფადა, იქ სულ ბოლოში ლენტოსთან შედგა, — აი ესაო, —  
შედგა და არცა თქვა, მხარშე დააყრდნო დაღლილი ღიმილი.  
სიცილად იქცა ღიმილი იგი გაოცებისა, თუმცა არც იცოდნენ  
თუ რაღა აცინებდათ, არცა თვითონვე, არცა ლენტომა, — ამან  
მაინც თუ რამე გაიგო, ისდა გაიგო, უნდა გაპყოლოდა იმა ღი-  
მილსა, დაღლილ ღიმილსა, უნდოდა თუ არა, უნდა გაპყო-  
ლოდა.

უნდა გაპყოლოდა... და გაიღო კარი მორთული ვეფხვების  
ჰედურობითა, კარი გაიღო და სიცილი იგი გაუგებარი ქუჩაში  
გავარდა, გაიპო, გაიყო, წავიდა აღმაცა, დაღმაც წავიდა, ჯერ  
ის გასტყორცნა, ღიმილი იგი, დაღლილი ღიმილი, ლენტოც  
მიაყოლა. აქ ლენტო ითქმის, სახე იმისი არაფერს გამოს-  
ცემდა, არ აპყოლოდა არცერთნაირ სიცილსა, არცერთნაირ  
ღიმილსა, არცა ტაშსა, არცა ცეკვასა, არ მორეოდა არც სი-  
თამამე, სისაწყლისადაც არ გაიმეტებოდა, რაც უნდა იყოს,  
ეგება მაინც გადასდებოდა სიხარულის აღმური, აღტაცების  
აღმური, ლუდის დარბაზში რო ავარდნილიყო, — მაგრამ არაო,  
სულშეხუთულობა თუ გადაპყრავდა, ისიც გადაშორდა, მყის-  
ვე გადაშორდა, გავიდა თუ არა პაერზედა, მარტის პაერზედა,  
მშრალი, მშრალი მარტისა, მშრალი ზამთრის შემდეგა.

და იდგა მარტი, მირკანი იდგა ქართულისა ენითა.

იდგა მირკანი.

„და ვარსკულავნი ცისანი გარდმოცუივეს ქვეყნად, ვითარ-  
ცა ლელუმან რაი დაყრის ყუავილი თუისი, ქარისაგან დიდისა  
შერყეულმან“.

დაღლილი ღიმილი დაღმა დაუყვა, ანთუ ღიმილი აღარც  
შერჩა, დაღლილობა დაუყვა დაღმა. მუხლები ერყეოდა თუ  
ეპეცებოდა, ვაჟის მკლავს ეკიდა ორივე ხელითა, მაინც ეპე-  
ცებოდა მუხლები. აიტანა სიცივემაცა, თხელი, თხელი პალტო  
ემთსა, ისიც ნაცვეთი, თანაც იქ იმდენი იცეკვა, ისტუნა, ისე  
შეხურდა, ვეღარ შეეგუებოდა მარტის ღამეს ნაუცბათევადა, —  
ვეღარც შეეგუა, აეკრა ვაჟსა, მიეტმასნა, ვერც ამან უშველა,  
ძაგმაგმა აიტანა, აპყვა ძაგმაგსა, ააკაპუნა კბილებიცა, ასე  
უფრო მოვერევით, ცოტა ხალისიც გამოჰყოლოდა, ხალისითაც  
მოვერევით.

— მაინც მიჯობდა ის ამერჩია, ნუგზარი ალბათ იმას რო  
ჰქვიან, — გამოყოლილი ხალისით ამბობდა, — ტყავის პალტო  
აქვს, თბილი, თბილი, ხასხასა ბეწვიანი, წამოიფარე ცალი  
კალთა ხასხასა ბეწვისა და იარე, იარე რამდენიც გინდა, თუნ-  
დაც ყიამათში იარე, იარე ასე შეტყუპებულმა, მხურვალე ხე-  
ლიც რო გეპლაკნება წელზედა, იარე, და იარე, განა არ მი-  
ჯობდა? იცი, ვინატრე, იქვე ვინატრე, ღამე თუ გამოვდივარ,  
ასე მემართება და იქვე ვინატრე ხასხასა ბეწვი, მაინც შენ  
დაგადგი თვალი, გამოგაჯავრე, აი რამდენი თაყვანისმცემე-  
ლი მახვევიამეთქი. ჲა, ჲა, ჲა!.. კიდევაც დავიბენი, განებივ-  
რებული ქალბატონის ზნეც გამომიტყვრა, ვინ უნდა მეურ-  
ჩოს, როცა ყველა ფეხვეშ მეგებამეთქი. ჲა, ჲა, ჲა! და მო-  
ვინდომე დადრეკა ურჩისა. ის ბეწვი მერჩივნა, თბილი, თბი-  
ლი, ხასხასა ბეწვი, წამოიფარე ცალი კალთა და იარე, იარე  
წემი დღენი თბილ ქურქსა ვნატრობ, მცივა, მუდამა მცივა და  
ვნატრობ, ვნატრობ, თუნდაც ერთხელ გაამოვეხვით შიგა, ვნა-  
ტრობ და ამიხდა, დამიდგა წეთი, ვინ უწყის წეთი ეს ერთად-  
ერთი, დამიდგა და გავვოგნდი, ვეღარრა ვაწამე, წამიარა,  
წავიდა, წაიცინა და წავიდა, წავიდა. ბეღისწერა ალბათ ეს  
არის, ალბათ ასე უნდა ვინატრო წემი დღენია, ვინატრო და  
ვინატრო, ალბათ ნატროა უფრო მღელვარი და თუ აგისრულ-



და, არაფერია, არაფერი. შენ რა გვონია, ალბათ ის ქურულები არაფერია, ალბათ ასე სჯობს, მივმაგმაგებდეთ, ვერც გავათ-ბობდეთ ერთმანეთსა, არც ვეშვებოდეთ, მივმაგმაგებდეთ და სულ ასე ვნატრობდეთ ქურქსა, თბილსა, თბილსა, ხასხასა ბეწვისასა, ჰა შენ რას იტყვი? უუუუ... ცივა, ცივა!

- ცივა...
- იქ კარგი იყო.
- აღარ მოიცადე...

— აღარ მოვიცადე, დავიღალე თუ გამოვიქეცი, შემეშინდა და გამოვიქეცი, იქ ყველა წემით აღტაცებულიყო და შემე-შინდა, შემეშინდა და გამოვიქეცი. არასოდეს არავის მოვ-წონდი და უცებ ამდენი თაყვანისმცემელი გამიჩნდა, — იცი, ეს რა არის? შეიძლება ჰქია დაპკარგო! ერთ წუთს თვალები დაგხუჭე და სიკვდილი ვინატრე, ნეტავი ასევე მოვკვდე, ასე-ვე დავეცე, ასევე დამიტირონმეთქი. უცბად როგორლაც გარს მომაწყდა ეს აღტაცება და შემომეფანტება ასევე უცცრადა, ისევ დაგრჩები შარტოდმარტო, უთანამევრძნობელოდა, უსიყ-ფარულოდა. ამან შემძრა, ამან შემაშინა. აქამდე ვუძლებდი, ვეღარ გავუძლებ ამიერიდანა, ქვეყნად ამდენი სიყვარული თუ ყოფილა, მე რაღადღა უნდა ვიყვე უსიყვარულოდა? შე-გიძლიან, რაიმე მომიგო? ეგება ჰქია მართლაც დაპკარგე, არც საკვირველია, ოღონდ ეს ვიცი, უსიყვარულოდ ვეღარ გავძლებ, ვეღარ გავძლებ მარტოდმარტოდა, ხოლო ეს ჩაივ-ლის, ეს ტაში, ეს შეძახილი ქრუანტელიანი, ეს თვალები გაბ-რწყინებული, მალე ჩაპქრება, მალე ჩაივლის. ერთობლივობა ასე ყოფილა, რაღაცა აიტაცებს, დაატრიალებს, დაარეტიანებს და დასცემს ისევე ერთობლივადა, მეც დამცემს ცხადია, ოღ-ონდ გამტყორცნის უფრო შორსა, ყველასგან შორსა, ყველაზე შეტადაც მე დამანარცხებს, რასაც ავიტანდი, ვეღარ ავიტან, რასაც ვესწრაფოდი, ვეღარ მივაღწევ, რახან ვიგემე ნეტარება აღმატებისა, ვიგემე წუთი აღმატებისა და ვინატრე სიკვდილი, უკვი ვინატრე.

- სიკვდილი შორსაა.
- ახლოსაა... აი თვალებს დაგხუჭავ და ვარსკვლავები ცვივა, ცვივა. თბილისმა გარსკვლავები არ იცის, თბილისის გარეთ მე არც გაფსულვარ. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, პა-



ტარაობისას სადღაც წამიყვანა მამიდაჩემმა, როდილ მამის მიერთებულია  
თუ საით წამიყვანა, მახსოვს მხოლოდ რო ცა იყო დიდი, დი-  
დი, ვრცელი, უსაზღვრო და ცვივოდა ვარსკვლავები, ცვივოდა,  
იფრქვევოდა. ეგება არც მახსოვს, ეგება არცთუ საითმე გავუყ-  
ვანივარ მამიდაჩემსა, ეგება სადღაც ამომიკითხავს ან გამიღია,  
ვარსკვლავთა ცვენა სიკვდილსა ნიშნავსთ და ამის კვალად მე  
თვითონ შევთხზე ცაი ვრცელი, ცაი უსაზღვრო, ცვენაც მე  
შევთხზე ვარსკვლავებისა, დაუხუჭავ თვალებსა და ცვივა, ცვი-  
ვა, ცა ისე ვრცელია, ისე უსაზღვრო, ისეთი ფერი აქვს, ისე-  
თი ფერი, მინდა ვუცეირო, მინდა დავტკბე, მაგრამ იფრქვე-  
ვა ვარსკვლავები, იფრქვევა და იფრქვევა, ცვივა სული, ძირს  
ენარცხება და ვძრწი, მეშინიან, ვახელ თვალებსა, რო არ ვი-  
ნილო აღარცა ცვენა, აღარცა სილამაზე. მაშინ ჩემს სულში  
იფრქვევა ვარსკვლავები, თითქოს ცაც მე ვარ, უფსკრულიცა...  
საშინელია! ცივა! ცივა!.. ავადა მაქვს დაცდილი ასეთი ჩვენე-  
ბანი, ყოველთვის უბედურება მოსდევს, მე ახლა გარშემო  
აღარავინა მყავს, მეღა დავრჩენილვარ და... აი დაუხუჭა  
და: ცვივა, ცვივა, ლამის ჩამოიქცეს ზეცაი.

- დიდი დღე იყო...
- დიდი.
- მომქანცელი...
- აჲ, შენ გინდა დაღლილობას ვადააპრალო? ეგეც იქ-  
ნება, დავიღალე, დაე, ეგრე იყოს, დაღლისა იყოს. მაგრამ  
სიცივეს რაღა ვუყოთ?
- ვირბინოთ.
- ჰა, ჰა, ჰა... როდემდის ვირბინოთ?
- როდემდეც გავთბებით.

- აღამიანები მაშინა თბებოდნენ ეგრე, ცეცხლისა რო  
არაფერი იცოდნენ. ჰოი, როდიმდელია!.. ეტყობა ჩვენ აღა-  
რაფერი შეგვიძენია იმის შემდგომა. ვეღარც შევიძენთ და  
ვეღარც ვეღარაფერს წამოვეწევით. რა ბედენაა, იბენ თუ  
არა, სადაც მიხვალ, უკვე მიუსწრიათ, საითაც შებრუნდები,  
ვიღაცა დაგხვდება, სულ ვიღაცა, გადამთიელი, რაც უნდა მო-  
ინდომო, გატაცებულია, სულ უბრალო, სულ უმნიშვნელოცა,  
გარჩევაში აღარავინ შედის. ხელთ აღარაფერი შეგრჩება და  
შური დაგაღრმობს. შენზე რად ვამბობ, მე მაღრჩობს შური,

შური იმის, ვისაც არა სცივა, შური იმისი, ვისაც არავთებულობა  
ვინც გამაძლარა, ვინც შემთხველა, ვისაც ლოკები ამზრულია,  
თვალები უბრწყინავს, ვინც თუნდ თდნავად ქმაყოფა-  
ლია, სულ თდნავადა, ცეცხლად მედება შური კველასადმი,  
ლამის ყელში ვწვდე, ლამის დავაღრჩო. რო შემძლებოდეს,  
ასეც ვიზამდი, ჩავდგებოდი ტუქის ხიდზე და გაფუსწორდე-  
ბოდი ყველა ბედნიერსა, მაგრამ და რათ, არაფერი ძალმიძს  
და მევე მაღრბობს ჩემივე შური, მევე მერევა ჩემი უმწეო-  
ბა. ეს იმიტომა, ისევ სირბილით რო უნდა გავთხე და აღარ-  
ცა მაქვს სირბილის ილაჯი. იქ კარგი იყო!... მე ისეთი რამ არ  
განმიცდია, ასეთი განმიცდია, ასეთი მერევა, იქ კარგი იყო,  
სასხასა ბეწვიც ჩამათბუნებდა, მაგრამ მე მშურდა, მაინცა  
მშურდა, და შენ აგირჩიე. შენ არაფერი გაქვს შესაშერები,  
სირბილით გინდა გაითბო თავი. გაიქეცი, გათბი, ეგება სით-  
ბო ჩემთვისაც გეყოს, გაიქეცი, თღონდ მთლადაც არ გაიქცე,  
არ მიმატოვო, შენის იმედით გამომისტუმრეს, ნუ გაუმტეუ-  
ნებ, გაიქეცი..

### — გავიქცეთ!

— ერთადა?! Ⴢა, Ⴢა, Ⴢა... მაშ ხელში ამიყვანე, Ⴢა, Ⴢა, Ⴢა!..  
არ გეხუმრები, თუ ამიყვან, გულზე მოგეკრობი და იარე რამ-  
დენიც გინდა, გინდა ირბინე, გინდა იარე ასე ტატითა, მე  
მაინც ჩავთბები, გული გულია, ცოტა სითბო მაინც ექნება,  
გულისა ცოტა სითბოც მეყოფა. Ⴢა, ამიყვანე! არ აგეკიდები-  
შეთქი, გითხარი და მახსოვს, ეს ახლა მინდა, მცივა და მინდა,  
მცივა, არაფერი სხვა არ იფიქრო. ის ამიყვანდა, ალბათ ნუგ-  
ზარი იმას რო პქვიან, განა ამდენს მახვეწნინებდა, ხელს და-  
მავლებდა და ამიტაცებდა, მე ვიკივლებდი, ვითომც ძალიანაც  
მეხამუშებოდა, გავიწევდი, ვისხმარტალებდი, ის მიმიკრავდა,  
უფრო მიმიკრავდა, შემიფუთნიდა სასხასა ქურქში და გამაქ-  
როლებდა, გამაქროლებდა. Ⴢა, Ⴢა, Ⴢა... გჯერთდეს, ვიცი თუ  
რას რა აჯობებს, თღონდ მაინც შენ გამოგიყოლიე. იმას არა-  
ფერი აკლია, იმისთვის არაფერი შემეტება, დდეს მე ვარ დე-  
დოფალი და ჩემითაც ის უნდა გაეხარებინა ბედსა იმისასა,  
მე გავუჯიქდი, მე შენი დაჯილდობა მთვინდომე და გამო-  
ვედევნე შენს დამწვარ ბედსა. შენ რაღას იზამ, რაც გაგაჩნია,  
იმასა მთავაზობ, ვირბინოთო, არა? ვირბინოთ, აჲა!... — და



წაირბინეს. ხიდი გადირბინეს, ის მშრალი ხიდი, ყაფლაწილეული ანთ დამშრალი ტოტისა, ყაფლანიანიც პო ასევე დამშრალები, აღარასაადა ჭაჭანებს იმათი გასაგისი. — დავიღალეთ, ნაშიკო შეჩერდა, მოიხარა, — მაინცა მცივა, უარესადაც დავიღალე, ლამის ამომვარდეს გული, აი, ამომვარდეს ლამისა, ვეღარ შემინერებია, მომაშველე, შენი ხელები მომაშველე, ღმერთო წემო, რა გემართება, ლამის ამომვარდეს გული.

— უნდა ვიართო, გვიანაა, არაფერია, უნდა ვიართო...

— ვიართო. რა მეტი ჯანია, მე ის ბავშვი პო არა ვარ, რა გატირებსო, რო ეკითხებიან; გამდის და ვტირიო; მე არაფერი გამდის. გამივლის: გულო ჩადექ საგულესა, გულო ჩადექ საგულესა, გულო ჩადექ საგულესა! აპა, ვიართო. სხვები აბებს მოიშველიებენ ხოლმე, მე ასე ვიცი, ვთხოვ და მიგონებს, ჯერ მიგონებს. მოიცა, მოიცა!... აქ ისევ ხალხია... — ძეგლს გადაადგნენ. მოედანზე ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ბლომადაც იდგნენ, იმდენი აღარა რაღა თქმა უნდა, მაინც ითქმოდა, ბლომად იყვნენთ. — ღამისთევაა. კოცონებიც აანთონ, გარგი იქნება, დაპკლან კურეტი, ზედაშე მოჰქადონ, კარგი იქნება, ასეც იქნება, ასე გამოვა თანდათანბითა. არაფერიაო, უძახე რამდენიც გინდა, მაინც უნდათ, რო რაღაცა იყოს. ჯერ მორიგეობენ, მთელი კვირაა მორიგეობენ ღამისმთევლები, არავინ განარიგებს, იცვლებიან თავისთავადა, ერთი მიდიან, მოდიან მეორენი, არვინ მოუხმობს, არავინ აძალებს, მაინც მოდიან, მაინც თუ ჩასძახის, რაღაცა ჩასძახის, რო ვერც გაუგიათ, ისე ჩასძახის, წამთაყენებს, გამოიყვანს, აქეთ გამოსწევს. უცნაურია! აქაც მინდა დავრჩე, ხვალაც დიდი ამბები გველის, ვეღარ გავუძლებ, ვიართო. მოიცა!.. მითხარი, მაინც რა ჩასძახის, ვის რა ჩასძახის, მე რა ჩამძახის, მე რა მინდა, მითხარი, რა!.. ლანდადლა მახსოვს ჩემი მშობლები, მამიდა იმათ გზას მისტიროდა და სწყევლიდა ვიღაცასა, არ ვიცოდი ვისა, სახელის თქმას ვერ გაბედავდა. მე ვიყავი ობოლი, ვიყავი უბედური და მამიდაჩემი სწყევლიდა იმასა, ვისგნითაც ვიყავი ობოლი, უბედური. სკოლაში მასწავლიდნენ, რო ეს იყო მამა ჩემი, მზრუნველი ჩემი, ჩემი სიკეთისათვის თავგადაკლული, რო მე ვიყავი ბედნიერი, მასწავლიდნენ და მჯეროდა, მჯეროდა ბედნიერება ჩემი. მერელა მივხვდი თუ ვისა



სწეულიდა მამიდანები, თუ რა უბრალო მსხვერპლნი. დაუკავშირ  
ნემი მშობლები და დავკარგე ბედნიერება წარმოსმატყუფის  
ერთბაშად სამეფუშა, ერთბაშად დავკარგე. ობლობა რა არის,  
სიღატაკე რა არის, უბედურება ესა ყოფილა, ეს გამოფხიზ-  
ლება, ეს სიცარიელე, ეს უფსკრული, უფსკრული საშინელი.  
და მე ვკივივარ, უფსკრულში მივქრივარ და ვკივივარ,  
მხსნელს მოვუწოდებ. სად არის მხსნელი? ყველა მიპქრის,  
მიექანება. ცვივა ვარსკვლავები, ცვივა, ცვივა, უფსკრულში  
ცვივა. ის ღრმა იყო, ის ცაი, იისფერი, რაღაც მომხიბლავი,  
ეს ის არ არის, არა, ის არ არის. ვიაროთ. მოიცა.. არა, ვი-  
აროთ! გინდა გავიქცეთ? არა, არა, ამომვარდება გული, შენ  
არ მიშველი, ჩემმა ლოცვამაც რო ვეღარ გასჭრას? ვიაროთ  
ასე, ნელა ვიაროთ.

იარეს ისე, გადასჭრეს ხიდი კუკიისა, მოედანიცა, პირ-  
დაპირ იარეს, ერთხანს ილიას „ივერია“ რო ბინადრობდა,  
ეგრე იარეს, ჩაუარეს ქოსების სარდაფსა ანუ ოდესლაც ქო-  
სების სარდაფსა, იქ პურისჭამა ვაჭას უყვარდა. გვერდი აუქ-  
ციეს „ივერიის“ ნაბინავებსა, ვიწრო ჩიხს დაუხვიეს, იქ და-  
ბალ ჭიშკართან ნაზიკო შეჩერდა.

- აქა? — იკითხა ლენტომა.
- აქა...
- მაშ ღამემშვიდობისა!
- მიღიხარ?
- მაშა!

— მოიცა, შემოდი, რა გაჩვენო. ნელა, არ აარტყა თავი. შესასვლელიც ასე დაბალია, თავწალუნული გავდივარ ხოლმე, შაინცა მგონია, კოპები მაზის, ნელა, პო, აი: ეზოს ვუძაბით,  
აი ეს უნდა მეჩვენებინა, ნეტავი ეზო ვინ დაარქვა, როცა ჭა  
არის, მეტი არაფერი, ზაფხულში თონეც დაერქმევა, მაგრამ  
თონეს სიგანე შაინცა აქვს, ეს ასე ვიწროა, დიდხანს ვერ გა-  
უძლებ, შეგეხუთება სული. ცას თუ დაინახავ, პატარა ნაგ-  
ლევესა, მზეც არ გადმომდგარა არასოდესა, კიდევაც კარ-  
გი, მზეც რო გადმომდგეს, გამოვიწვებით. მზეც არამეთქი,  
ვარსკვლავებისა, რაღა გითხრა, აქედან ვარსკვლავიც არ-  
აფის დაუნახავს და იმიტომაცა მგონია, სადღაც რო გავ-  
სულვარ ბავშვობაში, სადღაც სოფელში, სადღაც რო მი-



ნახავს ან არც მინახავს, მევე შემითხზავს, ამთვობის გადაწყვეტილების ამ სივიწროვეში და უსაზღვროება შემითხზავს ჩემთვისა, შე-  
რე იმასაც შევუშინებივარ, საით გავექცე, აღარ ვიცი, ჩემს  
წარმოსახვას საითდა გავექცე, ანთუ ნეტავი რაღად მეშინიან,  
თუ ასე მინდოდა, თუ ასე მხიბლავდა, მერე და ნეტავი რაღად  
მეშინიან? შენ არ გეკითხები, არა, შენ არ მომიგებ, შენ მხო-  
ლოდ ცდილობ დრო იხელთო და გამისხლტე როგორმე, აბა  
რას მომიგებ, თუნდაც იცოდე, მაგრამ რა იცი, აბა რას მო-  
მიგებ! თქვი, თქვი თუ იცი, თუნდ თრი სიტყვითა, მე მიგინვ-  
დები, თქვი, მიგინვდები პო... აქეთ შემობრუნდი, აი ესეც  
ჩემი ბინაა, აი აქავე, პირველივე სართულზე. ზევით მარც  
ვიყვე. აქ უფრო ძნელია, ასე მგონია, მე მაწევს ზურგზე ეს  
ანონჩხლილი შეშაბანდები, ეს ოკრობოკრო კიბეები, სა-  
რეცხსაც თითქოს მე მაწურავენ, სულ სარეცხია გამოკიდუ-  
ლი, ცის ნაგლეჯიც დაფარულია, თითქოს ჩემს გულზე მი-  
ბაგუნებენ, ადიან თუ ჩადიან, არბიან თუ მიიზღაზნებიან,  
თითქოს მე მაწევს, მე ვისრისები, ვერ დამიღწევია თავი ვე-  
რაფრითა. ამიტომაც გამინნდა ცა იისფერი, მოჰქედილი ვარ-  
სკვლავებითა, თითქოს ამითი მოვითქვი სული, მერე ამიტყ-  
და ავბედითადა, ასე ამიტყდა და მიიცვალა ჩემი დაიკ, ასე-  
ვე ამიტყდა და გავასვენე მამიდამემი, ასე ამიტყდება და სად-  
ლაც ვიღაცები აკივლდებიან ამ ვიწრო ჭაში, მივასვენებთ და  
მივასვენებთ. ჩემს თავს რაღაც უბედურებაა ან საღმე უნდა  
გადავიკარგო ან მთლად ამოვიჭამ ამ მახრინბელასა, ჩემს  
მახრინბელა ჭასა. აი როგორი ვარ. შენ რა გეგონე? ალბათ  
უარესი გეგონე, ანთუ უარესი რაღა უნდა იყოს? რაც უნდა  
იყოს, ასე მგონია, ახლა ჩემი ჯერიც დამდგარა, ასე არა, ასე  
არა ცვივოდა ვარსკვლავები, არც ასე მზარავდა, ჯერი ჩემია,  
ასე მგონია. მოდი, შემთდი, ბინაც ესაა, უცნაურია არა, ბი-  
ნაც რა ვიწროა!.. შემთდი, შემთდი, ახლავე დაგათბობ, ელ-  
ქურას ჩავრთავ, მაღე დათბება. რა უზონ რამეა, არა? აქვე  
მომიჩნდართეს მეზობლებმა, უამრავ ელექტრონსა ხაპავს,  
ვერ ავუვიდოდი ამის გადასახადსა, მაგრამ ხერხი ვიცი, მრი-  
ცხველს გააჩერებ და გათბი როგორც გინდა. აქ ყველა ასეა,  
მე რაღა ვარ. გაიხადე. დაჯექი, სადაც გინდოდეს, როგორც

გინდოდეს, როგორც შენს სახლშით, იტყვიან ხოჭუმექი მეტა  
ისევე ვამბობ, სხვა არაფერი არ იგულისხმო. დაჯექი, დაჯე-  
ქი. არ გეგონოს თუ რამეს მოგართმევ, არც შემოგთავაზებ,  
ტყუილადაც არა, ვიცი, ნამცეცი არსად მიგდია, წვეთი არ  
მიდგასას, რას იზამ, არის ხოლმე, ხშირადაც არის ასე ჩემს  
თავსა, ხოლო შენ თუ ღარიბი არა ყოფილხარ, მეზობელი მა-  
ინც გეუსულებოთდა ღარიბი და წარმოიდგენ თუ როგორც არის.  
დაჯექი, დაჯექი! თავს როდი გაპრალებ, გაცნობიერებ, შენ  
რატომ უნდა იმტკრიო ამაზე თავი, მევე გეუბნები. დაჯექი,  
კარგი!.. და სხვათაშორის, ეს მაინც მითხარი, აის რო არის,  
ბეგლარს რო უძახიან, ახლა ის მოსონს ჩვენს ელისოსა? ნუ  
შეიმჩნევ, ნუ, ნუ გაიკვირვებ, წულურეთელები და კუჭიელები  
ლამის იცნობენ ერთიმეორესა, ეგ ხიდი ისეთია, გინდა-არგინ-  
და მაინც გადაეყრები და დაიმახსოვრებ. ელისოც ასე დამხ-  
სობებია, ასევე შენცა, არ გაგიკვირდეს, ერთად ბევრჯერ  
დამინახიხართ ემაგ ხიდზედა. ეგეც არ იყოს, ქალაქი თვალია,  
დიდი თვალია, უთუოდ გიცქერის, ვერ დაეკარგები, არც გიფ-  
რითხილდება, არც თვალს გაშორებს, არც ენალველები, არც  
უნდა დაგკარგოს. თუმცა რას ვამბობ, სხვა უნდა მეთქვა, იქ  
პარგელად მაინც ვერ გიცანი, თითქოს გიცანი, თითქოს ვე-  
რა, ვეწმებოდი, მომეგონა თუ სად მენახე. ამ ხანებში ამასლა  
კუიქრობდი და აი მხოლოდ დღესდა მივხვდი, ერთად რო  
გნახეთ, ერთადაცა და აღარც ერთადა, პმ?! არ გეკითხები  
კარგი გოგოა, კარგია, კარგი, ბავშვობიდან მომიკრავს თვალი,  
მას შემდეგ მომწონს, ყველასი რაღაცა შემშურებია, მაგისი  
არა, რატომდაც მგონია, ბეღნიერი ეგეც არ არის, ამიტომაც  
არ შემშურებია. კარგი გოგო, ალალად ვამბობ, თუ შენ აწყე-  
ნინე, შემეცოდება, იმან თუ გაწყენინა, შეარგოს ღმერთია,  
კმ უფილება ერთხელ მაინც იგრძნოს იმანაცა, თუ არის ესეც  
კმაყოფილება. როგორ თუ რა იყო, არ გეკითხები, არცა ვეჭ-  
ქიანობ რაღა თქმა უნდა, ჰა, ჰა, ჰა... რა სასაცილო იქნება!..  
ჰა, ჰა, ჰა... აააააა, უკაცრავად, ალბათ მეძინება. მოიცა, მო-  
იცა, შენ ნუ, შენ არაფერი, იყავი, იყავი, არ მერიდება, მხო-  
ლოდ დაპხარე თვალი, გახრესილი პერანგი მაცვია, არ მინდა  
დამინახით გახრესილ პერანგში. პალტო არაფერი, გაბაც ვი-  
თომც იმდენი არაფერი, პერანგი მაინც მეტად სათუთა, რას



იზამ... სამაგიეროდ ლამის პერანგი სადედოფლო მაქვანი ცუტეა...  
მოიცა, ცოტა კიდე, ცოტა, სულ ცოტა, ჰოდა აიხედე, წაწვე, რა  
არის, სადედოფლოა, სადედოფლოდაც მოუმშადეს მამიდანებისა,  
მაგრამ ვერ ეღირსა დედოფლობასა, ჩვენ შევრჩით იბოლნი,  
ჩვენ გადავველია. შეპხედე, უცხო რამ მაქმანებით მორთულა,  
რა დიდებულად მორთულა შერე შეახე ხელი, თითქოს არის,  
თითქოს არც არის, პაროვნებაა ააა.... უკაცრავად, მეძი-  
ნება... მოიცა, მოიცა. შენ როგორც გენებოს, აი საბანი, აგრა  
ბალიში, ემანდე ტაბტი, ახლა წასვლა უაზრობაა, სხვა რო-  
გორც გენებოს, სადაც გენებოს, იქ მოისვენე, შენთვის თუ  
გინდა, ნება შენია რაღა თქმა უნდა, თლონდ ჯერ ცოტაც შეი-  
ცადე, მინდა ჯერ კიდევ გელაპარაკო, ასე ლაპარაკში უნდა  
ჩავიძინო, თორემ შემშარავს მოჩვენებები, აი მივლულავ  
თვალსა და ლამის დამეფუფქოს, შიგ ისე მიცვივა ვარსკვლა-  
ები, ცეცხლმოდებული ვარსკვლავები მიცვივა თვალებში,  
მიცვივა და მწვავს... არა, არა, არ შემიძლიან! კალთაში ჩა-  
გიჯდები და ვილაპარაკებ, ვილაპარაკებ და ჩამეძინება, მერე  
ჩამაწვინე ჩემს ლოგინში, მერე შენ იცი, წასვლა მაინც უაზ-  
რობაა, გვიანაა, როგორა გვონია, რომელი საათია? თუმცა  
Ⴢა, Ⴢა, Ⴢა... ლვინის საათია, თრობის საათიაო. აი ასე, ვიქნები,  
თავსაც დაგაყრდნობ, აი, ასე, თღნავ თუ შეეხები, არ შეგაწუ-  
ხებ, აი, ასე, ასე ვიქნები. შენ როგორც გენებოს, გინდა შე-  
მომხვივი მქლავები, ეგ ვება მქლავები, გინდა შემოიწყე წელ-  
ზედა, როგორც გენებოსშეთქი, მე ცოტას კიდევ ვილაპარა-  
კებ, სულ ცოტასა...

და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ისევ ისე შეუჩერებლა-  
და, ისევ შიშსა და ვარსკვლავებზე, ისევ შურსა და ვარსკვლა-  
ვებზე, ისევ სილარიბესა და ვარსკვლავებზე, ისევ წყურვილზე  
აღმატებისა და ვარსკვლავებზე, ვარსკვლავებზე, ვარსკვლავე-  
ბით მოჭედილ ცაზე, თურმე არასოდეს რო არ ენახა,  
თურმე თვითონვე რო შეეთხშა და აძრწუნებდა თხშულება  
საკუთარი. და იჯდა ლენტოცა, იჯდა გასუსული, მხოლოდ  
ხელებს დააბოდიალებდა, ოღონდ ისე, რო ხან მართლაც  
წელზე შემოიწყობდა, ხან აწვალებდა რკალსა სკამისა, ხან  
ისე ეყარა, ვითომც ასხია, ვითომც არაო. უნებელობა თუ და-  
მართნოდა, ადგომა უნდოდა, ვერ ამდგარიყო, გამოყოლაც Ⴢი

არ უნდოდა, გამოჰქონდა, შემოყოლაც პო არ უნდოდა, შემოჰქონდა  
ახლო გაკარებაც პო არ უნდოდა, არა, აღარა, კალმაშია მსაცემ  
უსკუპდა, ჩაუსკუპდა და მორთო ტიტინი, არ უნდოდა არცა  
ტიტინი, მაინც უსმენდა, ოღონდ ელოდა ხელსაყრელ წუთსა,  
ეგებ როგორმე წამოუდგეო, ვერც ახერხებდა, ძილიც არ მოს-  
ხანდა, და იჯდა ასე, ეყარა ხელები ან სკამს აწვალებდა, არც  
ეს უნდოდა, არაფერი უნდოდა, უნებელობა თუ დამართოდა,  
მანამდის რა იყო, — კაბის აფრიალება წამოანთებდა, პროფე-  
სორის ასულს ვეღარ გაუძლო, ენის მასწავლებელს გამოექცა,  
ელისო ლამის ნაკუწებად აქცია, თავშეკავება ისედაც უჭირ-  
და, ხელსაყრელ შემთხვევას არც გაუშვებდა, გარჩევაშიც არ  
შედიოდა, — პო ასე იყო? იყო და აღარ იყო, იმდღის დედო-  
ფალი კალთაში უჯდა, დამის პერანგის მაქმანები ელამუნე-  
ბოდა, თმაც ელამუნებოდა, ასე გასინჯვე, როგორლაც ისე გა-  
დაეხვია ის გაფხოკილი თუ გაძენძილი თმები, — როდის გა-  
დაეხვია? დაპხედე ერთი! — როგორლაც ისე გამოებუტკა მომ-  
ცრო კავები, გამოებუტკა საალერსოდა, გამოებუტკა და ელა-  
მუნებოდა, ეს მაინც აღარ იყო, აქეთ არ იყო. ისიც არ იშლი-  
და, ამბობდა თავისასა, სიტყვას გრძნობა ეკიდებოდა, უფრო  
და უფრო ეკიდებოდა, მაქმანებიც ულამუნებდა, უფრო და  
უფრო ულამუნებდა, სხეულიც ეპვროდა, უფრო და უფრო,  
უფროცა თბებოდა იმ ვიწრო ოთახში, თბებოდა, თბებოდა,  
ნაცერწელდებოდა, ზვიადდებოდა ჭერში შიმველი ნათურაცა  
და იმას თუ შეეთხშა, ლენტის მართლაც მოაგონდებოდა ცაი  
აგვისტოსი, გადამხობილი ორბისის თავშედა, მოაგონდებოდა  
თუ ვეღარც მოასწრო, — ჩაუქრეს შუქი.

გამორთესო, შესძახა ნაზიკომა.

უცებ გაუკაუდა ხმაი მთრთოლვარი, მყისვეც წამოიჭრა,  
მყისვეც გადაიცვა, გავარდა გარეთა, ვაჟს ხელი დასტაცა და  
ისე გაფარდა, — ძეგლის შუქურები გამორთესო, გზადაგზა არ-  
წმუნებდა, დამისმთევლების დასაფრთხობალაო, უბან-უბანაც  
გამორთეს შუქი, ეს ისე, თვალის ასახვევადათ.

იყო სიბნელე და იყო დუმილი და აწეარებული ფეხის ხმა  
ფხრეწდა დუმილსაცა, სიბნელესაცა.

„...მიიყავ მანგალი ეგ შენი და მომქე, რამეთუ მოვიდა ქამი  
მკისაი, და განხმა სამკალი იგი ქვეყნისაი“.

მერედა უკვირდა, თავის ტასტზე რო გაეღვიძა, უკვირდა  
თუ რა დაემართა, ისე უეცრად რა მოხდა ისეთი, ძველი ხა-  
სიათი რო გამოუპრუნდა, — მაშინდელი, ყმაწვილური, ორ-  
ბისეული, კანში რო ვედარ ეტეოდა, კავკასიონსაც ძვრას ვუ-  
ზამო, რო ეგონა, მხოლოდ ეგაა მოვინდომოთ: უკვირდა და  
ვერცთუ აეხსნა, ელიმებოდა და არც ელიმებოდა, არც ეამაყე-  
ბოდა, არც მოინანიებდა, ხელს თუ წაიქნევდა, რაც იყო,  
იყოთ, ესდა დარჩენოდა ნუგეშის მაგვარადა, თუ რამ მომხ-  
დარა ცოტა უხერხეული, თუ ველარაფერი გამოაბრუნებსო; ხთ-  
ლო თუ რა იყო, ის იყო, რაც იყო, ბევრად რომ გაუსწრო ნა-  
ზიკოსა, ბევრად წაჭარბა, სირბილშიაცა რაღა თქმა უნდა  
და მერე კუნძულზედა აურჩაურშია, — ის იყო, რაც იყო, ის  
აურზაური, იქ წაჭარბა, ყველას წაჭარბა. იქ შექურები მარ-  
თლაც გამოერთოთ, ლამპითნებიც გამოერთოთ სანაპიროსი,  
ყაფლანიანთ ტოტისაცა, უკუნი იწვა მთელს კუნძულზედა,  
ორბელიანთ კუნძულზედა რაღა თქმა უნდა, ძევლიც გამ-  
ქრალიყო, დამისმთევლებიცა, ჰო თითქოსათ, თითქოს გამ-  
ქრალიყო და შემზარავად იკივლა ნაზიკომა, რა იქნითო,  
ძევლი რა იქნა, რა უყავითო, ჯერ ნაზიკომა, მერე ლენტომა,  
რა იქნითო, რა უყავითო. იგივე გაპკივლა და იქვე წაჭარბა,  
ევონა, თავი გამისკდებათ, ისე წაჭარბა. თავიცა სტკიოდა გა-  
მოღვიძებისასა, ტკივილი არაფერი, ხელით მოისინჯა, ისევ  
მთელია თუ გამხეთქიათ. ის ერთი კივილიც არაფერი, ხხვა  
მერე მთპყვა, როცა ნაზიკომ გაბმით გაპყვირა, დენი არც  
იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, სინათლე მაინც არ მოუკლია-  
თო, სხვა მერე მთპყვა ანუ ამანაც გაიმეორა უფრო მშახედა,  
აგერა ხეები, ასჩეხთ, აკუწეთ, აღაგზნეთ კოცონი მთლად  
თბილის-ქალაქს რო გაანათებს, ზეცას რო ასწვდება, ისეთი  
კოცონით, უფრო მშახედაც გაიმეორა, ეგეც არაფერი, კიდე-  
ვაც გაპკიოდა, კიდევაცა სჩეხდა, აკიწაწებდა, აყრიდა ცეცხლსა,  
შეშა-ფიჩხს აყრიდა, ტოტებს აყრიდა, ტრიალებდა ალსა და  
ბოლში; ტრიალებდა და ტრიალებდნენ, ცვივოდა ტოტები



ვერხვებისა, ვეება ტოტები, იქცეოდა ნაძვები, ბუნქერი და რებოდა, შემოკვერცხილი, შემთხატული ბუნქები, ზორგებოდა და კოცონი, ალი მატულობდა, ადიოდა და ადიოდა, ტკაცუნობდა და ტკაცუნობდა ზევით-ზევითა, ძეგლიც ნელ-ნელა ამონწნდებოდა, ამოდიოდა ალსა და ბოლში, ამოდიოდა გარუჯელი, ამოდიოდა ცეცხლის გულშია, მოფრიალებდა ფარაჯის კალთები, მოფრიალებდა, ნაპერწყალს გაპყრიდა, ანთუ სახეს აეფარებოდა ეგრე ბოლიან-ნაპერწყლიანი, ჩაიფარებოდა, ჩაიძირებოდა, უცებ ისევ ამოვარდებოდა, კამარას შეპკრავდა, გაშლიდა ფრთხებსა, გაპყრიდა ცეცხლსა, გაპყრიდა ბოლსა, გადაპყივლებდა, ამოევლებოდა კვლავაც ცეცხლშია, ცეცხლში სცურავდა, ეთამაშებოდა ავარდნილ ალსა, ეთამაშებოდა თუ ეხვევოდა, ჩაიხუტებდა და პკიფინებდა, პო პკიფინებდაო აგრეთვე ისიცა; პო ის ზევიდან გადაპკიფინებდა, ეს ხმას შეაწევდა უფრო მეტის აღტყინებითა, სხვებიც აგრეთვე, მეტი და მეტი აღტყინებითა, თანაც მიმორბოდნენ რაღა თქმა უნდა, ცეცხლს უკეთებდნენ, ფიჩს უმატებდნენ, უმატებდნენ და უმატებდნენ; კიუინაც ცეცხლს თუ შეეკეთებოდა, ძლიერდებოდა იმნაირადა, ალი ალს ასდევდა, გაიგანებდა, მართლა ნათდებოდა თბილის-ქალაქი, ნათდებოდნენ გამჩალებელნიცა იმა კოცონისა, ოღონდ და რაო, ნათდებოდნენ ძალიან ბევრნი, იძდენიც არ იყვნენ, თვითეულს ათი აჩრდილი ასდევდა, ათი თუ მეტი, იმ ძლიერ ცეცხლში, ცეცხლში უკუნისა აჩრდილებიც მომრავლებულიყო, არეულიყო ხალხი და აჩრდილნი, ვინ თუ ვინ იყო ანთუ რა იყო, ვერ გაიგებდა ველარავინა; ოღონდ ის მაინც იგივე გახლდა, შეიბურებოდა და გამოიტადებოდა, შეიბოლებოდა და გამობზინდებოდა, ჩაიცინებდა ულვაშებშია, თვალს მოჭუტავდა და ჩაიცინებდა, ჩაიბერტყავდა მოდებულ ცეცხლსა, ავარდებოდა, ჩაიძირებოდა, ჩაიძირებოდა, ამოცურდებოდა კვლავაც და კვლავაცა, გამოცხადდებოდა, ძახილიც მაშინ მოიმატებდა, კიუინი, გუგუნი მოიმატებდა, თითქოს კუნძული ვულკანად იქცაო, იგი კუნძული ორბელიანთა; აი თუ რა იყო, აი თუ სად მოხვედრილიყო, რა ამბის გულში მოხვედრილიყო, თვით ნაშიკოსთვის სად ჩაეჭარბებინა, თვით ნაშიკოსთვისა, სხვაზე რო აღარა ითქვას რაი, აი რა უკვირდა, — ძველი ლენტო გამობრუნდაო, თუ გა-



მობრუნდა, კვლავ ისევ რადა გარ ასე მოშვებული, მოშვებული  
თუ ვნაღვლობ, თუ არცა გნაღვლობ, კვლავ განურჩევლობა  
რად დამტუფლათ, — უკირდა და გერ გაერგვა. სტკიოდა თა-  
ვი, შებლი უწიოდა, გშეგუნი იგი ყურებში უდგა, შემორჩე-  
ნოდა, აღარ ეშვებოდა. ისევ თაგზე მოიგლებდა ორივე ხელსა,  
მოისინჯავდა გუდმოდგინედა, ნუთუ მართლა არ გამხეთ-  
ქია, ნუთუ საძმე არც გამპობია, მაშ ვით გაუძლო იმდენ ყვი-  
რილსათ. როსტომი თაგზე წამოირქმევდა რეინის სალტესათ,  
მერედა ჰყიოდა, ისე თავი გაუსკდებოდა. ამას სალტე ან სა-  
და პქონდა, ან რა ახსოვდა, — აღარაფერი, აღარაფერი, ყმა-  
წვილობა გამოსცხადებოდა, დღეები იგი, ორბისიდან რო  
აიწყვიტა, გამოსცხადებოდა, დაპბრუნებოდა, თავიღა სტკი-  
ოდა, თუ არ გაპხეთქოდა, გახეთქვას იყო, რა ბედენაა, გახეთ-  
ქვას იყო.

ეს არა მხოლოდ ყვირილითათ, მერე სასმელსაც აღარ მო-  
ერიდა.

ეს მერე, ისედაც რო გათენდა ქალაქში, შუქურებიც ისევ  
აანთეს, სანაპიროს ლამპიონებიცა, ძეგლიც წარმოსდგა ისევ  
ისე, თითქოს არაფერი გადაეტანოსო, მო მერე გახლდა, ხაშ-  
ზე წაიყვანეს, ასვეს აჭამეს, გამოათვრეს დილაღამიანა; გა-  
მოათვრეს და მოიგიჟიანა თავი, იგივედ იქცა, იგივე შეტა-  
მუტა ლენტოდა, ერთხანს ცოტა ფული რო იშოვნა, თავისი  
რო ეგონა ცაცა, მიწაცა, ყველაფერი თავისი რო ეგონა. გა-  
მოსცხადებოდა მეორე ლენტოცა, უფრო მეტად დაღავებული,  
უფრო მეტად თავექარიანი, ძლივას გამოსმორდა, წვალებითა,  
ვაივაგლახითა, ჯერ ერთსაო, მერე მეორესაო, ორივე მოეჭ-  
რა ერთდროულადა, ერთდროულადვე მოიმორებდა, ოლონდ  
გაველო თავის ტკივილსა, თავის ტკივილსვე გააყოლებდა.  
აბა მაშ რაო, — შეპყურებდნენ უმცროსი ძმები, შეპყურებ-  
დნენ დამფრთხალი თვალებითა, დაიკოს აბები ეჭირა ხელში,  
სველი ტილო უკვე დაეფინა შუბლზედა, წყალსაც აწვდიდა,  
დალიეთ, აწვდიდა დამფრთხალი ისიცა, ბიჭებზე ნაკლებ  
დამფრთხალი როდი. ამათი ღალატი არ იქნებოდა, არა, ჯერ  
არა, არცა მერეო, მითუფრო ახლა, ამ ვიწრო ხუსულაში, თაგ-  
ვი კუდსაც რო ვერ მოიქნევდა, ამ სისაწყლესა თუ სიღარი-  
ბეში, თავვი ნამცეცსაც რო ვერ წაწყდებოდა, იგივე თავვი



რაღა თქმა უნდა. ესეც ფარნაოზმა გამოუმებნა, თავისული პრე, ეს თთახი თუ ის ხუსულაი რაღა თქმა უნდა, მერე დაიგათვა ფარნაოზიცა, მონატრებია ფარნაოზიცა, ხან ვის მიამგვანებს, ხან ვისა, არავინ არა ჰეგავს, მაინც მიამგვანებს, მაინც იმისი სახე მოეჩვენება ხოლმე; არა, არ იქნება ამათი ღალატი, ჯერ მაინც არა, ჯერ სკოლა მაინც უნდა დაამთავრონ, —როგორ მოსწყლიანებიათ თვალები, როგორ შესციცინებენ ძმასა, ალბათა ბორგავდა, ალბათ აიკლო იქაობაი, ალბათ შეაწუხა თუ შეაშინა, ახლა თვალები მოსწყლიანებიათ, შესციცინებენ სველი თვალებითა, ძმებიც იგივეს გაუშეორებენ, დალიეო, აბებს აწვდიან, არა, არ იქნება ამათი ღალატი, სოფელშიც არა, დიდ ქალაქში მით უფრო არა, არა, არ იქნება; თავქარიანი ცხოვრებაც არ უნდა, არა, აღარ უნდა, რაღაც სხვა უნდა და ვერცუ მიუგნია ეგრე ადვილადა, ანთუ მიუგნია, არა მორჩილდება ეგრე ადვილადა; გაუჭირდება, გაუჭირდება, მოებჯინება სული ყელშია და თავს წაადგება ძველი ლენტოცა, თავს წაადგება და თვალს წაუკრავს, თვალს წაუკრავს და უქან დაიწევს, უქან დაიწევს და წავა ნელა, ნელა, კვლავ თვალის წაკვრითა და თითისწევითა: წამო, წამო. არაო, უარიბს ლენტოც ცხადია, არა, არ იქნება ამათი ღალატი, თავქარიანი ცხოვრებაც რო აღარ უნდა. არა, არ იქნება ამათი ღალატი.

და უცებ წამოიწევს:

— გარეთ არ გახვიდეთ... რაც უნდა იყოს, ფეხი არ მოიცვალოთ შინიდანა... უჩემოდ ფეხი არ მოიცვალოთ..

იტყვის ისე წამოგზნებული თითქთს რაღაც მოეჩვენაო, საშინელი თუ უცნაური რაღაც მოეჩვენაო, იტყვის და დავარდება ბალიშებდა, ლამის რო თავი გაუსკდებაო, მაინც ისე სტებს, ალბათ მართლაც რო გაუსკდებაო. ვარვარებდა შებლი, ორთქლი თუ ასდიოდა სველ ტილოსა: თვალები გაუგანდებოდა დაიკოსა, ტილოს გამოუცვლიდა, მალიმალ გამოუცვლიდა. თვალები გაუგანდებოდათ ძმებსაცა, ლამის იტირონო, მერე აფახულებდნენ წამწამებსა, ისრესდნენ თვალებსა, ცრემლს თუ იშრობდნენო, ანთუ ვეღარც რო შეიძრობდნენ, ანთუ დაიღვრებოდნენ ცრემლადა. არა, არ იქნება ამათი ღალატი, უმწეოთა ღალატი არ იქნება.



და გუგუნებდა თავი, გუგუნებდა და გუგუნებდა, ფრთხოების  
გამოპყოლოდა გუგუნი იყი ორბელიანთა კუნძულისცა სა  
ხაშისაცა, ქუჩებისაცა, გამოპყოლოდა და არ ეშვებოდა.

არა, არ იქნება ამათი ღალატით.

კოტე ბლოელიც არ მოსშვებოდა, — იდგე, არ დაჯდე, იჯ-  
დე, ადექიო, — სწერდა ამგვარადა, — ადექი და გაემართე აქა  
დ აქაო, აპარატი არ დაგავიწყდეს, მეცადინეობანი გადაიღი  
მოსამზადებელი კურსებისათ, გადაიღე და შემინახე, დანარ-  
ჩენი მე ვიციო. კურსების გამგემაც თავისი იცისო, საექსტრეტ-  
ნო კომისიაშიც გარეულა, სხვაგანა და სხვაგანაც გარეულა,  
ამიერიდან ეგ გიგდებს ყურსაო, აბა, შენ იცი და შენმა ბი-  
ჭობამა, ცდას წუ დააკლებ, წყალში წუ ჩამიყრი ამდენ ზრუნ-  
ვასაო, აბა, შენ იციო, ახლა შენ იციო, მეტი როგორდა შე-  
გეწიო, ღმერთიც მეტს ვეღარ შეგეწეოდა, ზოგი შენც გაანდ-  
რიე თავით. თუ იკითხავ ჩემს ამბავსაცა, ჩემი საქმე ალჩუ-  
ზეაო, წარმატებით მიდის რეპეტიციები „ტამერფორსის შეს-  
ვედრებისა“. ამ დღეებში პრემიერაც იქნებაო. ამნაირი რე-  
პეტიციები მე პო არა მქონია, სხვისიც როდი გამიგონიაო,  
ახალგაზრდები შემოგვეჭრებიან რეპეტიციებზე და ტაშს  
გეიგრავენ, მალე პრემიერა, პრემიერა მალეო. ეს საოცარი  
პრემიერა იქნება, ალბათ გაანგრევენ თეატრის კედლებსა,  
აქ ისეთი ამბებია, ისეთი ამბებიო, გასაოცარიო, მანდაც დი-  
დი რამ ამბები ხდება, ხმა აღწევს აქამდისა, აქაც მაგათავნ  
წაქეზებულანო. მაინც პრემიერის ბედი მაღარდებს და რთ  
იცოდე, რა მოვიფიქრეო, ბარემ მოედანზე გავიტან პრემიე-  
რასაო, ძევლთან გავიტან, აქ ვება ძევლი დაუდგამო, გეცო-  
დინება, ვეებერთელა ტრიბუნაც შემორტყმია, ზედ ტრიბუ-  
ნაზე გავმართავ სცენასაო. როგორდა. ჯერკიდევ არ ვიცა,  
მანც სხვა გზას ვერ დავადგები, თორემ თეატრს გაანგრი-  
ვენო. აბა შენ იცი, არ მიღალატო, იდგე, არ დაჯდე, იჯდე,  
ადექიო. — დაიკო უკითხავდა, ხმა უთროთოდა, ხელიც უთ-  
როთოდა, ცრემლი ულიმოდათ ბიჭებს ლოფებშედა, არა, არ იქ-  
ნება ამათი ღალატი, არა, არ იქნებაო.

კოტეს ღალატიც არ იქნებაო, ნწ, არაო, არაო.

და ქარწყლდებოდა ძველი ლენტოი, იქვე ქარწყლდება-  
და, იწეწებოდა, იცრიცებოდა და ქარწყლდებოდა, თღონდ და



რაო, დიდი რამ სიკეთე არცოთ ეს გახლდა, ის მას დაუბოდა, ეს ისევ უნდა მოდუნებულიყო, — რა სიკეთე გამოვიდოდა? არც არაფერით, რა საკითხავია, ანთუ რაღა პასუხი უნდათ, მაგრამ იმჯერად საქმე როგორდაც ისე აეწყო, გამსნევდა ლენტოი, გამსნევდა, დაიმედდა, ძველი ლენტოც გადაივიწყა, ასალი ლენტოცა, გული მიეცა, გადაივიწყა ასალი ლენტოცაო, ბერმა თუ კოტემ გადაპქიდა ისეთ ვინმესა, გული მიეცა, გამსნევდა, დაიმედდა. და ვინმე იგი აღმოჩნდა უგი გამგე კურსებისა, ის თვითონვე შემოეგება, ეს ისევ ქუნაში რო დაბორიალებდა, აქეთა, აქეთაო, ეს მე გახლავართ, აქეთ გახლავართ, ისიც უთუოდ შენ იქნებით, აპარატი ჰო აპარატია, სახითაც მყისვე გამოგიცანი, ასე შესძახა, ასე შეეფება და ცოტა შვებით ამოისუნთქა ლენტომა, ჯერ მხოლოდ შვებით ამოისუნთქა, მხნეობა, იმედები და სხვა და სხვა მერე გაუდვივდა თანდათანობითა. თვითონვე მხნეობდა, გაძლვივებოდა იმედები გამგეს კურსებისა, მოსაუბრეთაც გაუდვივებდა, ხელები გაეშალა, გული გაეშალა, სახე გაეშალა, გაეშალა სიტყვა-პასუხიცა, მახვილს ისე მკვეთრად ურტყამდა, ზრიალებდა სიტყვები იმისი, ზრიალებდა და რეკდა, ვპრეც იურქვევობდა რეკვა-ზრიალითა.

— ყველაფერი მოვიფიქრე, აქედანვე დავიწყებთ, — ხელს ართმევდა და მთახსენებდა იქვე და მყისვე, სადარბაზისათანა, — მე შეგდივარ. მარტო არა რაღა თქმა უნდა, შევდიკ ჩემს კოლექტივთან ერთადა. გაცხოველებული საუბრით ავდივართ კიბეზე, გაცხოველებული საუბარი გრძელდება დერუებისიცა, სჩანს რო მუშაობა აქედანვე იწყება. როგორია? აქეთ მობრძანდით. კაბინეტ-ლაბორატორიებს ვათვალიერებთ. არა, ახლა არა, ახლა აქეთ მობრძანდით, აგერ კუთხეში პატარა შაგიადა მიდგას, ეგეც ჩემი არაა. ეგ არაფერი. როცა გადავიღებთ, კაბინეტ-ლაბორატორიებს ვათვალიერებთ, სასწავლო ოთახებს ვათვალიერებთ, მთელი კოლექტივი, მთელი კოლექტივი, ყველან და მუდამ მთელი კოლექტივი. ყველაფერი მზადა, ყველაფერი წესრიგშია. თავს ვიყრით ვრცელსა და მშვენიერ კაბინეტში და ერთხელ კიდევ გაზუსტებთ დღევანდელი მეცაღინეობის გეგმას. ყვე-



ჭაფერი ეს ხდება ერთი საათით ადრე ზარის დარეკომინირებული რევორია?

— ეგრე თუა...

— მოითმინეთ. პო... სად შევჩერდით? პო ისევ სადარბაზთ. აქ გაცხოველებული მსჯელობაა. აქ არა, კაბინეტში, კარგი იქნება, დიღებული რაღა თქმა უნდა. აქ გაცხოველებული მსჯელობაა, იქ მოსწავლენი შემოდიან, მორბიან, მოეშურებიან, ცოდნის წყურვილი მოაქანებთ. ეს ხუთი წუთით ადრე ზარის დარეკომინდე. აქ ისევ გაცხოველებული მსჯელობაა. ისინი ადგილებს იკავებენ. საბოლოოდ ამოწმებენ ლაპორანტები საცდელ თუ სამეცადინო ხელსაწყოებსა. ზარის დარეკვის უამიტა დგება. აქ მსჯელობა დაცხრება, იქაც სრული მდუმარებაა, მოლოდინია, გასაოცარი მოლოდინი, ზარი უნდა დაირეკოს. და ირეკება ზარი. როგორია?

— რად იქნება ცუდი!

— მოითმინეთ. ზარი ირეკება, ოღონდ განა ასე უცება, — არა! ისინი გასუსულან მოლოდინშია. უცებ ამოჩნდება ზარის ლილაკი, შორს თითი შეინიშნება პატარა წერტილადა, ჯერ არც ვიცით თითია თუ რა არის, მერე გაიზრდება ის წერტილი, გადიდდება, გადიდდება, გამოიკვეთება კვება თითი, მიუახლოვდება ზარსა და აინთება დიდებული ჩირალდანი, როგორც სიმბოლო სწავლა-განათლებისა. როგორია?

— რა მოგახსენოთ, ეგ ჩირალდანი რალანაირად გამოვიყვანოთ.

— ყველაფერს გამოვიყვანოთ, ყველაფერსა, ჩვენთვის სიძნელე არც არსებულა, არც არსებობს, არც იარსებებს. ჯერ ყური მიგდე. ჩირალდანი პო აინთება, მერეც ჩირალდანი გაგვიძლვება, მიადგება ჯერ ერთ დახშულ კარებსა, ვთქვათ, „ფიზიკა“ აწერია ამ კარებსა, ჩირალდანი შეაღებს „ფიზიკას“ და ვიხილავთ ჯერ ერთ სანიმუშო მეცადინებასა, მერე მეორესა, „ქიმია“ იყოს, მერე მესამესა, „გეოგრაფია“ იყოს და ასე შემოვყვებით თავით ბოლომდისა, ერთიმეორებე უკეთესსა და უკეთეს მეცადინეობას გამოვიტანთ ეკრანზედა. როგორია? მოიცათ, მოიცათ! ეს მხოლოდ ჩონჩხია, დეტალებზე თანდათანობით მოგესაუბრებით, ჯერ ამაზე შვეთანხმდეთ, ის ნუ გაფიქრებთ, ჩირალდანი როგორ გამოვათ, ნუ გაფიქ-



რებთ, ყველაფერი გარგად გამოვა, ჩვენ მხოლოდ შეუძლია სმდეთ და გადადებაც არ დავაყოვნოთ. გადადებული არაფერი ვარგა, გადადებული საქმე ნახევრად ჩაშლილია, გაგეა გონებათ. ჩვენ ეს არ გვეკადრება, სად გაგონილა, ნუთუ იმიტომ ვიწყებთ, რო ჩავშალთთ?

— ბარემ დავიწყოთ...

— ჩვენ უკვე დავიწყოთ, დაბრძანდით, ღაბრძანდით Ⴢა, Ⴢა, Ⴢა... წუთიც არ დაგვიკარგავს, არა, წუთიც არა, სხვას რო პერნია, აი და Ⴢა, დაიწყებენო, ჩვენ უკვე ვამთავრებთ; ასე გვწვევია ჩემო ახალგაზრდა მეგობართ, ასე გვწვევია და ასე-დაც არის, სცენარი მორჩა, სცენარი უკვე დამთავრებულია, კარგი სცენარი ნახევარი გამარჯვებაა ფილმისათ, გამიგონია და ნახევარი გამარჯვება უკვე ხელთა გვაქვს. დეტალები არა-ფერი, გზადავზა შევთანხმდებით. ნახევარი გამარჯვება ხელ-თა გვაქვს. ჩვენს ხელთ იქნება მეორე ნახევარიცა, მჯერა, მტკიცება არ უნდა. ასე და ამგვარად, სრული გამარჯვება ჩვენს ხელთ არის და ნება მომეცით წინასწარ მოგილოცოთ, ჩამომართვით სტან!

— წინასწარი მილოცვები არ უყვართ სტუდიაში.

— გადაიღონ ბატონო, ჩვენგან გადაიღონ, თქვენ ხელი ჩა-მომართვით! ასე. გამოცდილების გაზიარება აღმავლობის საწინდარიათ. გადაიღონ. დაბრკოლებები იქნება ცხადია, იყოს, ნუ გეფიქრებათ, დაბრკოლებებისა ვის ეშინან!.. მთა-ვარია, ჩვენში არ არსებობს ობიექტური მიზეზები, ყველა-ფერი სუბიექტურია, ხოლო სუბიექტურს ადვილად დავძლევთ ჩვენი კოლექტიური, მონოლითური ღონისძიებითა. ნუ გეფიქრებათ, Ⴢო ჩამომართვით ხელი, ნუდარ გეფიქრებათ!

— არა, ისე გითხარით...

— არც ისე და არც ასე, საფიქრებელი არაფერია ყვე-ლაფერს მოევლება სიკვდილის გარდათ. სიკვდილი შორსაა, ჯანდაბაშია, ჩვენთან საქმეა, საქმეს მოევლება. Ⴢო მოევ-ლება?

— მოევლება.

— აი, იცოცხლე! მომეცით ხელი, ასე! ვაჟა-ცური ხელის-ჩამორთმევა მიყვარს, გამარჯვების საწინდარია.

— საწინდარია.



— პოდა ნუ გეფიქრებამეთქი. მართალია ჩვენ აქ შემოგვიშვილი წიზნულები ვართ მაგრამ ეგ არაფერი. შენობა სკოლის მაშინდა გვიშვებენ, ისინი ყველაფერს რო მორჩიებიან, გადაკიტავენ ყველა წესიერ კაბინეტსა, ყველა წესიერ საკლასო ოთახსა და მერედა შემოგვიშვებენ ხოლმე ყოვლად უხეირო გუნჭულში. აგერ სად მიგიღეთ. ეს არაფერი. პირველკლასელების მერსებზე სხედან ამხელა გოგო-ბიჭები, ეგრევე სხედან, ზევიდანვე სხედან. ეგეც არაფერი, სხედან, პო არა დგანან, სწავლა თუ უნდათ, ეგრეც ისწავლიან, და, რო იცოდეთ, ვისაც უნდა, ეგრეცა სწავლობს. ცარცი ჩვენ არა გვაქვს, წვარი ჩვენ არა გვაქვს, ზარი ჩვენ არა გვაქვს, ზარსაც გვიპეტავენ, რალაცას გაბრახუნებთ ხოლმე. ეგეც არაფერი. არც უნდა ზარი, ყველა საათზე იხედება, ყველა გაიძახის, — დროა მასწ, დროა მასწ, — რა ზარი უნდა!... მართალია ასეამეთქი, მაგრამ ამას დიდ დაბრკოლებად მაინც ვერ წავთვლით, რადგან გადაღების დროს, დირექტორი გაგვიღებს თავის კაბინეტსა. ფილმისათვის ასე არ აჯობებს?

— რა თქმა უნდა.

— ჩვენც ეგრე მოვიქცევით, როგორც აჯობებს. გაგვილებს სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებსაცა. „ფიზიკა“. „ფიზიკაში“ შევალთ. „ქიმია“. „ქიმიაში“ შევალთ. ოღონდ არ იფიქრო, თითქოს ყველა კაბინეტი ასე თვალსაჩინო იქნება ამ სკოლაში, არა, არ იფიქრო. ერთი ამათ ექნებათ, ერთი სხვასა, ერთი კიდევ სხვასა, უნდა წამოვკვეთ, უნდა შევარჩიოთ. ამას მე შევარჩევ, თქვენ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ჯგუფებსაც წამოვარიგებ, მასწავლებლებსაცა, მზამზარეული დაგხვდებათ ყველაფერი. ესაა, ცოტა შეწუბდებით, შორით შორს მოვლა მოგიხდებათ, მაგრამ რას ვიზამთ, როგორც გიშირდეს, ისე გიღირდესო. პო ასეა? პო დათანხმდებით?

— უსათუთდა...

— გმადლობთ წამომართვით სელი კარგი ახალგაზრდა ბრძანდებით. მიხარიან, კარგ ახალგაზრდას რო გადავეყრები ხოლმე. კარგიც ბევრი გვფავს, უცნაურიც ბევრი გამოერება ხოლმე, ოღონდ ეს მხოლოდ ჯერჯერობითაა, იმისი ბრალია, ჯერკიდევ რომ ბოგინობს სუბიექტივიზმი აქა-იქა, სუ-

ბიექტივიზმის ძირფესვიანად აღმოვფხვრით და უცნაურობასაც ბოლო მოეღება. ჩვენ ჩვენი წარმატების საიდუმლოებულ მრავალ დავაქცევთ საყოველთაოდა, სხვა თავისი წარმატების საიდუმლოს გავიზიარებს და ჩვენი საერთო აღმავლობის საუძუძველიც ეს არის. უკეთესი და უკეთესი, სულ უკეთესი და უკეთესი... ნაკლიო, იტყვიან, ვის უნდა ნაკლი? რაც დღეს არის, ხვალ არ იქნება, ხვალინდელი ყოველთვის წინ არის, დღევანდელი უკანა რჩება და ჩვენც წინ უნდა ვიყურებოდეთ და არა უკანა, ძველი სიბრძნეა, ახლაც გამოიყენება, ყველაფერი ძველი არც გადაიგდება, წინ უნდა ვიყურებოდეთ, წინ. წინ და წინ! ხოლო წინ რა გვესახება ამ შემთხვევაში: ერთად თავმოყრილი სანიმუშო კაბინეტ-ლაბორატორიები, სადაც მართლა მეცადინეობენ, მართლა გამოიყენებენ და კომისიებისათვის საქვენებლად არაა გამართული, — აი, რა გვესახება, აი რა უნდა ვუწევნოთ, აი რა უნდა დავუსახოთ მიზნად, აი თუ რითი უნდა აღვაყროთვანოთ, ასე არ არის?

— თქვენ რო ბრძანებთ...

— ბრძანებისა რა მოგახსენოთ, მე რო ვბრძანებდე!.. მაგრამ რაც არის, რაც ველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, ბრძანებაზე უკეთესია. ასე არ არის?!

— ასეა.

— ასეა! ვაკეთოთ და წინ მივისწრაფოდეთ, უკვეთესი და უკეთესი გამოვაჩინოთ, თორემ ვის რაში სჭირდება, ანთუ ვის რაში გამოადგება, მე რო, ვთქვათ აგერ, გამგე გარ თუ დირექტორი ვარ და მოადგილეც არა მყავს? აბა ვის რაში გამოადგება? მოანგარიშე მე არა მყავს, მოლარე მე არა მყავს, დამლაგებელი რა არის, დამლაგებელიც არა, ზარის დამრეკიც არა, მე ვარ ყველაფერი, ზარიც მე უნდა დავრეკო ან ზარი სადაა თორემ ვინ შერცხვენილი! რასა ბრძანებთ!.. და მერე, რო იცოდე ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, არც არაფერი უნდა გვაქლდეს, აბა მაშ რაო, ფული ჰო გვაქვს? გვაქვს, ბანკშია ფული. კურსები ჰო თვითანგარიშზეა! თვითანგარიშზეა. რადა გინდათ მეტი? არა, თქვენ არა, იმათვის მითქვამს, იმას ვიმეორებ, რა ფქნათო, ისინიც იჩენავენ მხრებსა, მტატები თქვენ არა გაქვთ, ფულის გახარჯვის ნება თქვენ არა გაქვთ, რა გიშველთოთ. ე, ბიჭო, მოგვეცით ნე-



ბა, მოგვეცით შტატები, — თქვენ არა, იმათთვის მოდექამის, ჩვენ ვინა გვეითხავსო. აბა ვისამეთქი, ბანკი თქვენს უსამისებო ვინცა ხართ, თქვენა ხართ, გვიშველეთ რამე მეთქი. სკოლა იქ არ არისო, სკოლა გამოიყენეთ ყველაფერშიო. კარგია ბატონო, თქმა ადვილია ბატონი ჩემო მაგრამ აბა მიღი და გამოიყენე თუ ბიჭი ხარ, ადვილია? ჩვენი თავშისაცემი გვეუთვაო, თქვენი თქვენ იცით თავშიო, აბა! რა პასუხია ერთი მითხარით, რა პასუხია?! მაგრამ დავანებოთ ამას თავი. აქ მთავარი მაინც ისაა, ეს არავის არა სჭირდება, არავის არაუერში გამოადგება, ეს თვითონაც კარგად იციან, ჩვენ მხოლოდ უკეთესი უნდა ვუწვენოთ. ხვალინდელი, ხვალინდელი და მხოლოდ ხვალინდელი! პო მეთანხმებით?

— თქვენ როგორც ისურვებთ.

— გმადლობთ თუმცა მომითმინეთ, პო მეთანხმებით? ჩვენ ერთი აზრისანი უნდა ვიყვეთ, ისე არაუერი გამოვა, ერთ საქმეს ერთი აზრისანი უნდა მოეკიდნონ, პო მეთანხმებით?

— გეთანხმებით.

— გმადლობთ! ისე, კაცმა რო თქვას, ეს ზარის ნაკერვა რაღა არის, პა?! სუბიექტივიზმია, სხვა რა არის?! ყველაფერი სუბიექტივიზმის ბრალია, ობიექტური მიზეზები არც არსებობს ჩვენში, ეს სუბიექტივიზმია, რაც არის, სუბიექტივიზმი ამოიშანოება და გამოსწორდება ყველაფერი, ყველაფერი ლარში გამოვა. აღარ იქნება ადარაუერი სუბიექტური, ეგაც თქვენი ხვალინდელი დღე. ჩვენი ფილმიც ხვალინდელი დღე უნდა იყოს, ხვალინდელი, მხოლოდ ხვალინდელი, დღევანდელი დღე უკვი წასულია, ყოველი დღევანდელი წასულა, ხვალინდელი, მხოლოდ ხვალინდელი! ამას მეთანხმებით?

— დიას...

— კეთილი და პატიოსანი, ასე და ამგვარად ეს ერთი საქმე მოგვარებულია. გადავდივართ მეორე საკითხზე. ამაზე თავს არ შეგაწყვენთ ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, მხოლოდ მოგახსენებთ, რო ეს საქმეც მოგვარებულია, დიას, დიას, მოგვარებულია. თქვენ თურმე პროფესორ ბერთელთან გიმეცადინიათ, პროფესორი ბერთელი მეცნიერების დიპლომებს არიგებს, სკოლის ატესტატს ვინ დაუჭერს იმის მოწაფესა, რა ბრძანებაა?! ზაინც აქ ივლით და ეს ყველაფერი აქვე მოგ-



გარდება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჯიბეში მარტივი ბოდეთ ატესტატი, რომელ ჯიბეშიაცა გნებავთ, გულის გეში? გულის ჯიბე იყოს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ და გულის ჯიბეში გეგულებოდეთ.

— მაგრამ ჯერ...

— არავითარი ჯერი კომისია მუშაობას დაიწყებს, გამოცდები შესდგება, წარმატებით დაიცავთ, ეს ყველაფერი იგულისხმება და გვეროდეთ, ატესტატი რო ჯიბეში ვიღევთ. ასე უნდა შევთანხმდეთ, სხვანაირად არა. შევთანხმდით? კითილი და პატიოსანი. მომილოცნია!

— გმადლობთ!

— არაფერს, არაფერს! ეს წევნი მოვალეობაა, თქვენი ბრალი მხოლოდ ისაა, აქამდის რო არ მოგვაკითხეთ. ეგეც არაფერი, ნათქვამიცაა, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესაო. არც ისე გვიანაა, არც ეს ინალვლოთ. ატესტატი იგულება ჯიბეში. ამას მეტი ლაპარაკი აღარც უნდა. ასე და ამგვარად, ეს საკითხიც ამოწურულია. — ტაში შემოჰკრა და ხელები მოიფშვნიტა ქმაყოფილადა, ღირსეულადა. იმავწუთს კარებზიც ვიდაცა აიტუშა. — რა ამბავია?! — ისევე მიმართა ატუზულსაცა, მიმართა იმავე ღირსეული ქმაყოფილებითა და იქვე დასძინა, ისევე დასძინა, — ზარის დროა, არა?! სწორედ ამას მოგახსენებდით, სადაა მერე ზარი?! გამოდით, გამოდით, დაისვენეთ. სხვაგან უარესია.

— თითოოროლამდა მოიყარა თავი... — იმან წარმოსთქვა, კარებში რო ატუზულიყო.

— რასაკვირველია!.. ასეა, თავპირს მოგვაჭამენ, გინდა თუ არა მიგვიღეთო, შეიტანენ ფულსა, მიგიღებთ, გავხსნიდ ახალახალ ჯგუფებსა და აღარ მოდიან, სადაური რა არის, ვეღარ გამიგია!.. სხვაგან უარესია. დაისვენეთ, დასვენება უნდა თითოოროლასაცა, დაისვენეთ.

— ისინიც გაცვივდნენ. — იმანვე წარმოსთქვა კარებში რო ატუზულიყო.

— აბა რა იქნებოდა! ჯერ სულ არ იყო ძმარით, შიგ გაურიეს წყალიო. ამ ძეგლმა პო სულ აურია ყველაფერი, იქ გარბიან, იქ ათენებენ და იქ აღამებენ, ანთუ რა გარბიანო, რო



არც მოდიან, აღარ მოდიან, იქამდის მთალწევენ და ჟისტის მოდიან იქავე. მასწავლებლები თუდა მოდიან, წავალთ ყმაწუზუს მოვიყვანთ, დაავდებენ და გარბიან, ისინი გარბიან, გარბიან და იქავე რჩებიან, ან ვინ წამოპყვებათ, ან თვითონ რაღას მოიცვლი ან ფეხსა იქიდანა, რაღასა, რაღასა, გარნილა?!. დგანან და ჰყვირიან ყმაწვილებთან ერთადა, ყმაწვილებზე უფრო მეტადა ჰყვირიან და ჩხავიან. რა უნდათ არ ვიცი, მე არ ვიცი, შენ ეგება იცი?.. არა, არა, არ გეცოდინება რა თქმა უნდა. ეუბნებიან, ეგრე რო იყო, ეგრე აღარ არისო, ეუბნებიან და არ ესმით, როგორც იყო, ისევე გვინდათ, გინდათ თუ არა, ისევე გვინდათ. ბიჭოს!.. შენი ნებაა?!. ჩემი ნებაა?!. გისი ნებაა?!. ყველაფერი თავდება და მოთავდა ეგეცა, თვალი უნდა გაახილო და გაიგო, ყურები უნდა გამოიჩიქნო და გაიგო, ბრიყვიც რო იყვე უნდა გაიგო. მაგათზე ნაკლები ბიჭი ვიყავი?!. დღედაღამ პირზე მეკერა იმისი სახელი. მეკერა და!.. დამაკერეს და!.. მეკერა!.. მორჩა, მითხრეს და მორჩააა, მორჩა!.. ეს რა ახალგაზრდობა წამოვიდა, ვერაფერს რო ვერ გააგებინებ?!. მიკვირს, მიკვირს!.. საოცარია!.. არა, არა, ყველაზე არ ითქმის რაღა თქმა უნდა, აგრე ახალგაზრდა არ არის?!. ვსხედვართ და ვმუშაობთ. ასეთი ახალგაზრდობაა ჩვენი დასყიდენი. — ხელი გაიშვირა ლენტოსაკენა რაღა თქმა უნდა, კარებში ატუზულის საყურადღებოდა.

— მე რაღა ვაკეთო? — იმან ეს იკითხა, კარებში რო ატუზულიყო.

- წადი. რაღას იცდიდი?
- შეგატყობინეთ მაინცა.

— მეტი რაღა ვიცი!.. წადი, წადი!..-ის წავიდა, ამან ის შეაქო. — თავაზიანი ადამიანი თავაზიანად დარჩება ყოველთვისა. აბა სხვებმა თუ შემთიხედეს!.. ეკ არაფერი, არაფერი, სხვაგან უარესია. განსაკუთრებულ შემთხვევაში ჩვენი კოლექტივი ერთი მუშტივით შეიკვრის ხოლმე. ასევე იქნება, ეჭვი არ შეგეპართ. მე მე ვარ და მე ჩემი ვიცი, მე გამოვძებნი თვალსაჩინო კაბინეტ-ლაბორატორიებსა, ჯგუფებს გადავისვრი თავიანთი პედაგოგებიანადა, დანარჩენი თქვენ იცით. შევთანხმდით?

- უთუოდა.



— გმადლობთ ჩამომართვით ხელი. ატესტატივული შემობრივი გაქვთ..

- გმადლობთ
- გამარჯვებით
- გამარჯვებით

ასე გამხნევდა და მოდუნებაც შემოიძერტყა. კაცი კაცის მაღამთაო, მართალი ყოფილა; კაცი კაცითა და ხე ფესვითაო, მართალი ყოფილა; სხვამან სხვისა უკეთ იცის სასარგებლო საუბარით, მართალი ყოფილა; კაცი ეკლად თუ არ გაება, ეკალნი არ გაებმიანთ, მართალი... მოიცა... ეს რაღაც სხვაა, მოულოდნელად ამოტივტივდა, იყოს, რახან ამოტივტივდა, აქ მთავარი მხოლოდ ისაა, ლენტო რო გამხნევდა, გადაეყარა მხნე ადამიანსა, გადაეყარა იმედიანსა, მხნეობა შეემატა, იმედიც შეემატა, — მთავარი ესაა, სხვა რაც უნდა ამოტივტივდეს.

## XIX

„... აქა არს მოთმინებაი წმიდათაი...“ „ამისათვის იხარებდით ცანი და ყრველნი დამკვიდრებულნი მას შინა. ვაი არს ქუეყანასა და ზღვასა, რამეთუ გარდმოხდა ეშმაკი თქვენდა მომიართ სავსე გულისწყრომითა დიდითა, რამეთუ უწყის, ვითარამდე მცირედი უამი უც მას.“

მჭევრმეტყველნი იგი თუ მოთავენი ადარ დასკვედრიან ძეგლთანა ლენტოსა, ხალხიდა დახვდა უმოთავეებოდა, თუმცა ვიღაცა მაინც ეტოტინებოდა მიკროფონსა, თღონდ და რათ, არცთუ მიკროფონი გამოსცემდა ხმასა, არცთუ ეცნაურებოდა ლენტოსა ის ვიღაცაი, ბურთი და მოედანი რო უნდა ჩაეგდო ხელშია, ცდილობდა, მაინც ვერ ჩაეგდო ეგრე ადგილადა. სადღაც გაკრებილიყვნენ ის მოთავენი, ვითომ მოთავენი თუ წარჩინებულნი მჭევრმეტყველებითა, არავინ იცოდა, არ იყო მთხრობელი, თღონდ მაინც რო ვინმეს ეთქვა, მიქელს ეახლნენო, ლენტო იქ მიმსვლელი პო აღარ იყო. სხვანი იქ გახლდნენ: ანუ ბეგლარი, ანუ ალბათ ნუგზარი რო ერქვა, ანუ ფარნაოზს რო მიმგვანებოდა ლენტოს თვალშია, ხოლო ისე, არაფერი რო არ მიუგავდა ფარნაოზსა, ანუ ელისო რაღა საკითხავია, ნაზიკოცა, კიდევ რამდენიმე

აბიტურიენტიცა, რამდენიმე წლის აბიტურიენტი, რამდენიმე სტუდენტიცა სასოფლო თუ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასა, უნივერსიტეტისაცა, უცხოენებისა არა, სამედიცინოსიც არა ცხადია, ანუ ორი ლექტორიცა საზოგადოებათმცოდნელობისა, ასე დაერქმიათ, ერთიცა მხატვარი, კომპოზიტორიცა ერთი, ახალი პიმნიც დაეწერა კომპოზიტორსა, მხოლოდ სიტყვები არ გააჩნდა, სიტყვებს ეხვეწებოდა ყველა იქ მყოფსა, აქედანვე გავალთ ახალი პიმნითათ, მაგრამ პოეტი არ იყო იმათ შორისა, არცოუ ლექსი ეხერხებოდა რომელიმესა, და კიდევ ანუ, პო თუმცა იყოს, სხვას აღარ ჩამოვთვლი, ავსებულიყო მიქელის თათახი, ვინ როგორ ჩამჯდარიყო თუ ვინ როგორ იღვა, არც ამას მოვყვები, როგორც გენებოს იმნაირად წარმოიდგინე, ოღონდ იცოდე, არავინ დაგიდევდა წესრიგსა, როგორათ თუ საითაო, მხოლოდდა სდუმდნენ, იშვიათად თუ ამოიძახებდნენ უეცრადა, ხან აქ თუ ხან იქ ამოიძახებდნენ, უფროდა სდუმდნენ, ეთანხმებოდნენ თუ ეურჩებოდნენ, სდუმდნენ მაინცა, მიქელს დააცდიდნენ, თითქოს ქადაგად დაცემულიყო მიქელი, მაინც დააცდიდნენ, უფრო დააცდიდნენ. რუკას გადასწოლოდა მიქელი, წატენილიყო მაგიდაზედა, გამლილი ხელებით გადასწოლოდა და ისე აღმოიტყოდა, მალიმალ ხელებს მოაფათურებდა შიშიანადა, თითქოს რუკა უნდა წარსტაცონო, მოაფათურებდა და ჩაბლუჯავდა, ჩაბლუჯავდა და მაინც ეგონა, ანთუ ზედ წამაკლავენ, ანთუ წარმტაცებენ და ვაი, რაღა მეშველებათ, ეგონა და ასეც აღმოიტყოდა შეშინებული, თვალამდვრეული, დაბნეული, გაფაციცებული, გადაფოფრილი: გეფოფათ შვილებოთ, დაიშალენით და დაშალეთ ხალხით, ამნაირად აღმოიტყოდა: არ დაიშლებით და ძალით დაგშლიან, ძალა მოვიდა, სამართალი გაიპარათ, ძველი ნათქვამია, ყველაფერი ძველია და ყველაფერი ძალის მორჩილია, თუმცა ესეც არ იყოს, თქვენ პო არც იცით, ვინა ხართ თუ რაი გწადიათ, — არა, არ იცით, ვერც გაიგებთ, ისე დაგშლიან, თუ მხოლოდ დაგშალეს, თუ მხოლოდ გაგფანტეს, მეტი არაფერი თუ არ მოგწიეს ან თქვენვე თუ არ მოსწიეთ თქვენ თავსათ. გასაკვირიც არაა, ისე გაყოყლოჩინებულხართ, ყოყლოჩინობა უმეცრებისაა, და არც ესაა გასაკვირი, თქვენ პო არაფერი გაგევებათო. სუო, აქე-



დანვე ნუ ამიტყდებითო, ჯერ მომისმინეთ, ცოტა ეჭანულება  
დეთ, მერე თქვენი თქვით, ოღონდ არაფერი გამაგონიშნება; მანავა  
ხმობის მეტით, დავშლითთქო და დავიშლებითთქო, სხვა არა-  
ფერი არ გამაგონოთო. ნულარ შეტოპავთ მეტისმეტადა, ნუ  
გეგონებათ თუ რაიმეს მიაღწიეთ, ანთუ რამეს მიაღწევთ —  
ნუ გეგონებათ, შუქურები თუ გავინათეს, მიკროფონიც თუ  
წამოგიდგეს, თქვენს წარმატებად ნუ გეგონებათ, ეს იმასა  
სჭირდება, თვალს ვინც გადევნებთ, ასე უმჯობესად მიუჩ-  
ნევია, თვითონ მიუჩნევია უმჯობესადა, თქვენთვის არ უყი-  
თხავს, არც არასა გკითხავთ, ეგება კიდეც რაიმე დაგითმოთ,  
ანთუ აღარც აღარაფერი დაგითმოთ, ეს იმისი ნებაა, ეს იმან  
იცის, თქვენ არც რა იცით, არც რა გავივათ, არც არაფერი  
თქვენისად იგულითო. ცაში არწივი დაბოინობს, კლდეზე  
წამოჯდება თუ აფართხუნებს ფრთებსა, იცოდეთ, თქვენ არ  
გაშორებთ თვალსა, როცა ინებებს, მაშინ აგიტაცებთ, ან იქ-  
ვე გაგდლდნით, ქარს გაატანს ბურტყლსა თქვენსასა, ანთუ  
მიგანარცხებთ სალ კლდესა, მაგარი ხობოკური თუ გექნე-  
ბათ, მიგანარცხებთ და დაგლეწავთ ისე, ნაკუწებს ვეღარ შეა-  
გროვებენ. იგავ-არაკი არ გეგონოთ ეს ჩემი ნათქვამი, თუნ-  
დაც გეგონოთ, იგავ-არაკები ძველი სიმართლეა, ანთუ მა-  
რადიული სიმართლეა, სხვადასხვანაირად გამორჩებულა სხვა-  
დასხვა დროსა, ერთგვარი გამოსულა შედეგი მაინცა, ძალას  
უმძლავრია, უძალობა განიორწყლებულა. ის ძალაა, ძალაა-  
მეთქი, მიკროფონი ვისაც წამოუდგამს თქვენთვისა, ან შუა-  
ლედია ძალასა და უძალობას შორისა, ანთუ თქვენს შორისა-  
მეთქი, ძალაა თუ შუალედია, ეს მაინც ხერხია, მიკროფონი  
რო წამოუდგამს, თქვით, რახან აიხირეთ, თქვით და მოით-  
ხეთ გულიო, გული მოითხეთ და ჰქუას მოევეთო; ამიტომაც  
წამოუდგამს მიკროფონი, ამიტომაც გადაუჭრია, შუქიც გა-  
მოურთავს, ჰქუას მოეგეთო. მეტი რა იღონოს, მეტი რა გა-  
ნიშნოთ, არწივი დაბოინობს ცაში, არწივი გადმომდგარა კავშ-  
ებასიონზედა, გაუძლდლვნია გულ-ლვიძლი ამირანისა, სისხლიარ-  
კლანჭებს იწმენდს არწივი, ზღაპარი არ გეგონოთ, არც არა-  
ფერი გეგონოთ ზღაპარი, ანთუ სიცრუე არ გეგონოთ-მეთქი  
არცთუ გასართობი ბავშვებისა, ზღაპარი მხოლოდ მხატვრუ-  
ლი ხერხია, სისხლიან კლანჭებს იწმენდს არწივი, ჰქუას



მოეგოთ დრო არისმეთქი. ეს აღრეულობაა, აღრეულისტერი და კულტურის  
ვინ დაგითმობთ, ეს ის არაა, თქვენ რო გვონიათ, აღრეუ-  
ლობაა დაუთმობელი, მზარდი, ძლიერი, წამლეკავი, თქვენ  
ვერც მიხვდებით, რათდენ ძლიერია, რათდენ მძვინვარი და  
რა გაშმაგება შეიძლება გამოიწვიოს, ვერც გაიგებთ, ვერც  
წარმოიდგენთ, არ მომზადებულსართ საამისოდა, სულ სხვა  
რამ უთქვამთ, სხვა ჩაუგონებიათ, სხვა რამის პირისპირ აღ-  
მოჩენილხართ. რაღაცა მაინც გამორჩავებთ, წინ წამდგარ-  
ხართ, შეკრებილხართ და შემოვიყრებიათ და რახან შემოკ-  
რება შეგძლებიათ, ეგება დაშლაც მოგიხერხდეთ როგორმე,  
ეგება მოგიხერხდეთ, ეგება დაიშალნეთ, ეგება დაშალოთ; უნ-  
და მოგიხერხდეთ, უნდა დაშალოთ, სხვა გამოსავალი არ არის  
ამჟამადა, სხვა სსნა არსაით არ მეგულება, უნდა დაიშალნეთ,  
უნდა დაშალოთ. შესძლებთ თუ არა, მეც აღარ გამეგება, მა-  
ინც თქვენ უნდა ეცადოთ თქვენსასა, მხოლოდ სალხის დაშ-  
ლას ეცადოთ, სხვა არაფერსა, არა, არაფერსა, თქვენ უნდა  
ეცადოთ, თქვენ ჩამოჰკიდებიხართ ფარაჯის ჭალებზედა,  
თქვენ მიაფრიალებთ თუ აპყოლიხართ და მიფრიალებთ უგ-  
ნო-უკვლოდა, ჩამოეხსენით, ამ ერთ გზას მისდიეთ, ამა გარ-  
დაუგალა ამჟამადა, დაიშალენით, დაშალეთმეთქი, სხვა არა-  
ფერი არ გამოგიგათ, სხვა არაფერი არც გაგეგებათმეთქი,  
არა, არაფერი არ გაგეგებათ თუნდაც იოტისოდნადა, არა,  
არაფერი, ვინა ხართ, რანი ხართ, რას წარმოადგენთ თუ ვის  
წარმოადგენთ, რა დაგეისრებიათ თუ რას მოპქცევიხართ წი-  
ნამორბედადა, არ გაგეგებათ; ნუმეთქი, ნუ ამიხირდებით,  
თქვენი ბრალი არცაა, რო არ გაგეგებათ, ახლა ნუ განვსჯით  
თუ ვისი ბრალია, ახლა ის შეიგნეთ, ძალა არ შეგწევთ, ხალხს  
რო წარუძღვეთ, მხოლოდ ეს შეიგნეთ, ეს გაიგეთ როგორმე  
ახლა ესეც დიდი რამ არის თქვენგანა, დიდი რამ არის და  
გაიგეთ როგორმეთქი, ძალა არ შეგწევთ და დაშალეთ ხალ-  
ხი, ამდენი მაინც მოახერხეთ როგორმე, დაშალეთ ხალხი,  
უგუნურებით ნუ წარუძღვებით, ხალხი თვითონ უგუნურებაა,  
წინამძლოლების უგუნურება აღარ ივარგებს, ან, ანთუ დამ-  
ღუპველია. რამდენჯერ დაუღუპნიათ წვენი ხალხი, ეყოფა,  
დაეხსენით, თქვენ მაინც დაეხსენით!.. რამდენისთვის შეუ-  
მახნიათ, უგუნურებაა, ხალხს მანდეთკენ ნუ მიუძღვებითო,

პრასოდეს არ გაუგონიათ, არ იშვიათად გაუგონიათ, მატევუნებელი  
მიემგვანეთ იმა იშვიათთა, დაიშალენით, დაშალეთ და დაი-  
შალენითთ. ნუმც გემწვავებათ ჩემი სიტყვები, ერის ბედის-  
წერას შესთამაშებიხართ და თუ გაიწირა ერი, სიმწვავეც ეს  
იქნება, სიმწარეცა, უბედურებაცა, გამოუსწორებელი უბედუ-  
რება იქნება. არწივი დაბოინობს ცაში, ბზინავს გაალმასე-  
ბული კლანშები არწივისა, ბზინავს და ბრჭყვიალებს, ბრჭყვი-  
ალებს ნისკარტიცა, ნისკარტიცა ბრჭყვიალებს და სასაც  
დაბჩენილაო, სასაც მოუჩანს სისხლიანი, თუ სისხლის-  
ფერი, სულერთია, რაც უნდა იყოს უბრალო რამე ნუ გე-  
გონებათ, ნურც ახირება გეგონებათ ვინმე ერთისა, ერ-  
თი თუ ერთი ვერას განაგებენ ეგრე აღვილადა, იმას თუ  
რა პეონია, ნურც განსჯით ამასა, რა პეონია თუ რა არა პეო-  
ნია, ძალა იმისა, დასჭირდება და გამოიყენებს, ბრძანებს და  
მორჩა, აღესრულება, უსაშინელესიც აღესრულება; თქვენ  
რაო, რა ძალგიძთ, აბა მომიგეთ, ანთუ რას ეყრდნობით, ანუ  
თუ ვისა, — ხალხსათ თუ იტყვით, ვერაფერს იტყვით, ხალხი  
ცნებაა, მეტი არაფერი, წინამძღოლი თუ არ პყოლია, იარა-  
დი თუ არა პქონია, ცნება ყოფილა და ცნებად დარჩენილა,  
ცოტა თუ ყოფილა, გაითვალისწინეთ, ცოტა ცნებაც აღარა  
ყოფილა, ბევრის პირისპირ აღარა ყოფილა; წინამძღოლებად  
თქვენ არ ივარგებთ, იარადი თქვენ არ გაგანნიათ, და ეგ  
ცნებაც დაგეფანტებათ, ცნებაა თუ ცნებაც არ არის, დაგიღავ-  
დებათ ბრინჯივითა ერთი თოფი გავარდება თუ არა, — მანამ-  
დის დაფანტეთ ხალზი, თოფის გავარდნამდის დაფანტეთმეთ-  
ქი. არწივი დაბოინობს ცაშია, არწივი პყივის შემზარავადა,  
ის ეგრე პყივის, ავად იქადის და ძალუბს ავიცა; მაინც იცვ-  
ლება, სურვილია თუ რაღაც ვნებაა, რაღაცას ასდევს, რაღა-  
ცა ასდევსო, არ მინდა უფრო გარკვევით გამოვთქვაო, ანთუ  
რად უნდა სახელდებანი, როცა ყველაფერი იცვლებაო, ყვი-  
ლაფერი, ყველაფერი მზისა ქვეშა და ზედან დედამიწისა,  
შორს ნუღარ წავალთ, ყველაფერი იცვლება დედამიწაზეო.  
ახალს არ გეუბნებით რაღა თქმა უნდა, პირველივე ფილო-  
სოფოსები მიხვდნენ ამასა, სხვებმა დაუმატეს და დაუმატეს,  
მაგალითები დაუმატეს და ისაა, სხვა რა დამატება უნდო-  
დაო; მეც მოგახსენებთ ერთ მაგალითსა, ძველისძველივე მა-



გალითს მოგახსენებ, ოღონდ თქვენ არ იცით, სწორებ, რეალური  
იცით, რაც უნდა იცოდეთ ამ შემთხვევისთვისა, ამითქომისკენ  
დამირქმევია ახალიმეთქი, მოგახსენებთ და ეგება გამიგოთ,  
ეგება უფრთ გაგინათდეთ აზრი, ჟპეთ გაიგოთ თუ რა შეც-  
ვლილა თუ რა იცვლება თუ რას რა მოსდევს, გაიგოთ და და-  
შალოთ ხალხი, ეს მინდამეთქი, მეტი არაფერი, ამ მაგალი-  
თითა, აი ამითა: ერები რო გაჩანაგებულან, ერები რო იძ-  
რძვიან გადარჩენისთვისა, აი ამითა, ამ მაგალითითა. ისტო-  
რია ესა ყოფილა, გაქეთებათ თუ შექმნა რაო, რითი თუ რო-  
გორაო, ვითომდა რაო, ვითომ თუ რა ყოფილა უხეში იარა-  
ღები თუ ურთულესი მანქანები, — ადამიანები ყოველთვისა  
პქმნიდნენ რაღაცასა, ადამიანობა შექმნა ყოფილა და კიდე-  
ვაცა პქმნიდნენ, როგორც შეეძლოთ, ისედაცა პქმნიდნენ,  
ისედაც ინახავდნენ თავსა, თღონდ ერები ერებსა ნთქავდნენ,  
ერები იძრძოდნენ გადარჩენისადა იმა უხეში იარაღებითაცა,  
იმა ურთულესი მანქანებითაცა. იცვლებოდა აზრი, რწმენა  
იცვლებოდა, ერები მაინც ერებსა ნთქავდნენ, უკეთა ნთქავ-  
დნენ ერები ეძიებდნენ გადარჩენის გზებსა, ანთუ მიეკედ-  
ლებოდნენ ერთმანეთსა, ანთუ დიდ ერებს მიეკედლებოდნენ,  
შერე გაურბოდნენ უფრთ მეტი ფალიფუცითა გადარჩენის-  
თვისა, ისევდაისევ გადარჩენისთვისაო. რაღა არ იცის დე-  
დამიწის ისტორიამათ, — იცის ერების დიდი თავყრილობა-  
ნიცა, გაჟეშმარიტებაც იცის სიცრუისა, ბევრნაირი სიცრუი-  
საო, თღონდ და რაო, ბოლომდის მაინც ვერ გაუძლია ვერც-  
ერთნაირ სიცრუესაო, თავყრილობებსაც ვერ გაუძლია ბო-  
ლომდისაო, ანთუ რაცა ყოფილა დუღილიცა ყოფილა შინა-  
განი, ანთუ ცვალებადობა ყოფილა, ცვალებადობაი სასიკე-  
თო და სასიხარულოი, მემატიანესაც რო ვეღარ დაუფარნია  
სიხარული: წირვა ქართულისა ენითა შეიწირებისო, — ვეღარ  
დაუფარნია სიხარული, კალთები რო შევიწროებულა ბიზან-  
ტიისა. უნდა გამიგოთ, იმიტომ ვამბობ. მთელი ისტორია,  
რაც რო ჩვენს ხელთაა, ეს ბრუნვა ყოფილა, ეს ცვალებადობა  
ყოფილა, ეს ჰიდილი ყოფილა გაუთავებელი, გამანადგურე-  
ბელი და გაუთავებელი. აუცილებლობას თავისი გაუტანია  
და დიდმპყრობელ ერებს ხელიც გაუშეიათ კოლონიებისთვი-  
სა, პო პხედავთ თუ როგორ გაუმვიათ ხელი, ერთბაშად გა-



უშევიათ, სულ პატარა ერებისათვისაც გაუშვიათ ხელი, ჩასტანი ერებიც ადმისუცენებიათ აფრიკის ჯუნგლებშია, ისერთ ერებიცა, დააკვირდით ათიოდე განათლებულ ადამიანსაც ძლივს რო შეაგროვებენ, მინისტრები რო დაარქევან და არსებობა აწდონ თავიანთი. ასეთი რამ მომხდარა აგრე აპაა, ჩვენს თვალწინ მომხდარა, ასეთი რამეც მოუტანია გარდუვალობასა, მაგრამ და რაო, მაინც დაბოინობს არწივი ცაშია, სისხლი გასდის კლანშებიდანა, წურწურით გასდის, გასდის სისხლი ამირანისა, სცივა დფიძლის ნაჯიფებიდაც, ყვისი, ყაშყაშებს, ისევ მდომელი, გაუმაძღარი და ამოუყორძავი. გარდუვალობა მაინც სხვა ყოფილა, ვერაცინ წასვლია გარდუვალობასათ, ზოგს მალე უგრძებია და ხელი შეუშვია: ჯერ ისევ რო გრგვინავდა მეორე მსოფლიო ომი, ჯერ ისევ გერმანები რო ეკონათ წარმატებულნი, რუსების გაუმხელია დეფოლისათვისა, ბედი შემი გადაწურულია გერმანელებისა, კიდევ ბევრ ზიანს მოგვაყენებენ, მაგრამ მაინც მოთავებულია უკვე სხვა არის საფიქრალით, მერეა რაც არის, მერე იწყება დიდი ამბები, წამოიშელება უამრავი ერი, უამრავი სახელმწიფო წარმოსდგება ხფრიკა-აზიის ჯუნგლებიდანა, ეს იქნება დიდი ამბები, დიდი გაძლებაც ამას უნდაო: ზოგს ასე მალე უგრძებიამეთქი, ზოგს არ უნდა გაიგოს მოგვიანებითაცა, ანთუ სხვაგარად უნდა გაიგოს, თითქოს სხვას ეხება, თვითონ არაო, თითქოს ჯუნგლები მარტო იქაო, თითქოს იგავ-არაკებისა არაფერი გაუკონიათ. მაინც დაბოინობს არწივი ცაშია, მაინც ყაშყაშებს, ყაშყაშებს ავადა. ზოგს თუ დაუთმია, არ დასთმობს ზოგი, სხვა სახელი იმიტომაც დაურქმევია, განსხვავებულობა იმიტომაც გამოუგონია, არ დასთმობს უსისხლოდა. სისხლი არაფერით, უსისხლოდ ეგება არც რა ყოფილა, ოდონდ სუსტი, პატარა, ერთიციცენა წინასწარავე განწირულია, სულ სხვა რამ იქნება პატარათა ერთობლიობა, მაგრამ სად არის ერთობლიობა იგი საწატრელი, აბა სად არის, მიპასუხეთ აბა სად არის, ანთუ გაგეგებათ თუ რას გიმოძლებებთო. არ არის იგი ერთობლიობა, არ გამორკვეულან გაოგნებიდანა და თქვენი ხორხორი ნაადრევია, პხორხორდით მოხვევნოო, ბევრ ვისმეს ვეეტნებითო, უთქვამთ ძველადა, მაგრამ ვეღარ თუ გასჭრის ხორხორი უძა-



ლოთა, გადათვლილნი ვართ სათითაოდა, გაყიდულნი და სათითაოდა, გადათვლილია სარჩო-საბადებულიცა ზექნი, კა-  
თამი რა არის, კვერცხი რა არის, კვერცხიც გადათვლილა სა-  
თითაოდა, ბეწვისიდენსაც ვერ გამოაპარებ, — არ არის იგი  
სანატრელი ერთობლიობა, ხოლო მცირედნი ვერას გახდე-  
ბიან ახორხორებითა, თქვენ იყვნეთ, თუნდაც თქვენშე გა-  
მოცდილნი, თქვენშე გონიერნი, ათასჯერ გონიერნიც ვერას  
გახდებიან, თავს წააგებენ უსახელოდა, გააქრობენ და თუ  
ვინ გააქრეს, ვერც ახსენებს ვერავინა, — თავს წააგებთ, მერ-  
წმუნეთმეთქი, დამიჯერეთმეთქი, დაშლეთ და დაიშალენით-  
მეთქი; უდროოდ აშლილხართ და უდროოდაც წააგებთ, არც  
ის იცით თუ რას წააგებთ თქვე უბედურნო, არა, არ იცით, —  
აგრე ნუ გვონიათ, ჩიბუხს აპერტყავდა მოშველებილ თავზე  
და იმიტომაო, ნუ გვონიათმეთქი, წაგზინინებთ და უნდა გა-  
მიგოთ: დელგაი იგი მოსდება ქვეყნიერებასა, არას დაგი-  
დევს, არას გაარჩევს, აღარაფრით მოიტყუებს თავსა, არცთუ  
შეჩერდება. ვიეთნი დასთმობენ, დაპყვებიან გარდუვალობა-  
სა, ვიეთნი არა, არაფერს დასთმობენ უსისხლოდა, გარდუ-  
ვალობასაც აღუდგებიან და ვიდრე თვითონაც წაილეკებოდ-  
ნენ, წალეკენ სხვათაო. და ბოინობს არწივი, ბოინობს ცაში,  
ყივის, ყაშყაშებს, აიჭრება და წამოეშვება, ამოტრიალდება  
და გასწორდება, ბოინობს, ბოინობს, ეპა, ბოინობს, ვითომ-  
და ლალობსო, — არ შეცდეთმეთქი. ყველაზე აღვილი სისხ-  
ლის დალვრაა ამ ქვეყნადაო, ერთისა არა, ერთის მოკვლისა-  
თვის სასჯელს მოგიზღავენ, მრავალთა სისხლი თუ მოადინე,  
ჯვრებსა თუ ვარსკვლავებს დაგაჟიდევენ გულშედაო. ისედა-  
ცა ძრწის კაცობრიობა, გამრავლებამ თუ ასე გასტანა, საზ-  
რდოს ველარ ვიმყოფინებთო, — ძრწის და ღვარეო, რამდე-  
ნიც გინდოდეს, იმდენი ღვარეო, შინაურ საქმეში არ წამო-  
გერევითო, დებულებაც ასეთი დაუდვიათ, ღვარე და ღვარე,  
ამოიჭამე თავი შენიო. ღვარეო და დალვრის, დამშლელი ვი-  
ნაა, ვის ეკითხება პატარა ერი, აღმატებული, დახვეწილი,  
კეთილშობილი, სამაგალითო, სანიმუშო, სალოლიავები, თა-  
ვისებური, განსხვავებული, განუმეორებელი, ვის ეკითხე-  
ბა, — ჭირსაც წაუღიხართ დიდან-პატარიანადაო, შინაურ  
საქმეში არ წამოგერევითო, ჭირსაც წაუღიხართ ერთიანადაო,



ისედაც საზრდო აღარ გვეყოფაო. და ნთქავენ, ნორთის მატები გრძელებისა დი ერებსა, ვინ ვის მოასწრებს, ნთქავენ და ნთქავენ. აურაც იციან, რადა არ იციან, — გადმოსცემიათ მრავალი ხერხი შთანთქმისა და განიადაგებისა, წინათვე განუზრახავთ, გეგმაც დაუდიათ გადამთიყელთა შემორეკისა, ვიდასი არა, ვიდას აღარა, შაპ-აბაზს რო ჩავციებივართ, ვიურტემბერგელი სეპარატისტებიც. შემოურეკიათ, — ვინ წარმოიდგენდა... შაპ-აბაზს რო ჩავციებივართ... ჩვენთვის ყველა მეგობარი მტერია, შესიძეც მტერია და ყველა მტერია. ყველას ჩვენი აყრა უნდა, ყველასა შურს მზეი ჩვენი და მთავარეცა შურს ყველასა ჩვენი, — განუზრახავთ და აღასრულებენ საპატიოდა საპატიო შთამომავალი, არც რა დაუშლით, აღარცთუ რა გაუჭირდებათ, — აჩანა-ურმებით თუ გასძნელებოდათ აყრა ამდენისა, მატარებლებით ადვილად აჰყრიან, თვით-მფრინავებით უფრო ადვილადა, მაშ ვითომ რაო, ტექნიკის პროგრესი მაშ ვითომ რატომ გაპხარებიათ, ერთ დღეს აგვენტავენ, ერთად-ერთ დღესა, ანთუ დღიურაც არ გამოგვანენ, ერთ ღამეს აგვენტავენ, ერთადერთ ღამესა და ფაფუ!.. იყო და არა იყო რაო, ფაფუ!.. ზღაპარი ნუდარ გეგონებათ, გეთაყვა, ნუ აცუნდოუკებულხართ უფსკრულის პირასა. ზღაპრადაც რო ვიქცეთ, მთქმელიც აღარავინ გამოგვიწნდება, გამეონეც არა, აღარავინ გამოგვიწნდება. ეპა, მოფრიალებს კალთები, ნამოპკიდებისართ იმა კალთებსა, იმან ამთხიდა ძველი იგი განზრახულებანი, მთიელნი აჰყარა ომის დროსა სამკვიდრებლიდანა, ანთუ ომს დავეხსნათ, ანთუ რად დავეხსნათ, ტყვედოფილები აგვიყარა ერთ ღამესა, — ეს მაინც გეხსომებათ, გეხსომებათ ექვსიოდე წლის წინანდელი, — ჯერ იქ ეწამნენ უხეირთ წინამძღოლების მიზეზითა, ძლივს მინ მოსულნი ისევ აჰყარა, ისევ წამების გზას გაუყენა, გამოცდილხართ და კვლავ ეწამენითო, ერთ ღამეს აჰყარა, გავიღვიძეთ ცამოწმენდილზე და თურმე იმ ღამეს შაპაბაზობა გადაგვეტანა, გადაგვეტანა და კიდევაც გადაგვატანინებენ ბარემ ერთბაშადა, გავიღვიძებთ და სხვაგან ვიქნებით ერთბაშადა და ერთპირიანადა, მაშ რად უხარიანთ ტექნიკის პროგრესით, პო არა გვონიათ, მართლა იმიტომა, ყველამ გაიხაროს, ყველას მიეცეს შეღავათიო. აქაობასაც არ დააგდებენ



უქმადათ, გადამთიელნი მომრავლდებიან, ხოლო წვენ არა  
რა, აწ, აღარათ, ჩვენ აღარ ვიქნებით, გამგებიც არ გამოიტკიცება  
გამგები თუ იქნა, მთქმელი არ იქნება, მთქმელი თუ იქნა,  
გამგონე არ იქნება, გამგონე თუ იქნა, ძალის გამომჩენი არა-  
ვინ იქნება, უძალოდ რათ, უძალოდ — ფაფუ!.. და დაბო-  
ნობს არწივი ცაშია, ნუ გეგონებათ, დანებივრობსო, ნუ გე-  
გონებათ, ყაშყაშებს, ყაშყაშებს, ბზინავს კლანჭები დაალმა-  
სებული. ჰერას მოეგეთ ყმაწვილებოთ, აპა, ინიშნეთ ნიშა-  
ნი, — წაგიქრეს, წაგიქრეს, მეტსაც ვეღარას მოეწევით, ნუ  
ეთამაშებით ბედისწერასათ. თუმცა ამაოდ არ წაივლისო, არც  
ისე უბრალოა თქვენი წამოქომრა, დიდი რამაა, დიდიხანია  
გაუგონარია; ცხრასხუთი რო ცრხასხუთია, ისიც არ იყო  
ამოდენათ, ანთუ რა იყოთ: უცებ შემოგროვდა ჰადაპა ორ-  
მოცდაათიოდე გაცი ზემელის აფთიაქთანათ, ვიღაცამ ტარი  
მოიყოლა, ვიღაცამ დროშა ამოამვრინა უბიდანა, ვიღაცამ  
შესძახა, ძირს მეფე და მაღლა მუშაო, ეკრეც დაიძრნენ, ეგ-  
რეც წამოვიდნენ ემაგ დროშითა და ემაგ ძახილითა, ეგრე  
მოატანეს თპერის თეატრამდისა, მოატანეს და გამოენთნენ  
ცხენოსანი ყაზახ-რუსები, მათრახშემართულნი გამოენთნენ  
და გაპფანტეს ერთ წუთშია, — ფაფუ!.. მორჩა, მოთავდა მარ-  
თლაც ერთ წუთშია, ოლოდ და რათ, გამოძახილი დიდი და-  
იყოლა, დიდი ხმა გავარდა, დიდი ამბები წამოიყიდათ, ესეც  
არ წაივლის ამაოდათ, ამჯერად მაინც დაიშალენით, დაშა-  
ლეთ და დაიშალენით, რამდენიმე დღევა თქვენს ნებასა ხართ,  
რამდენი ხანია თქვენსას გაიძახით, იქმარეთ, გეყითყათ, და-  
შალეთ და დაიშალენითო. გარდუვალობამ თავისი იცის,  
დიდსაც გამოარკვევს, თავისას გაიტანს, ივლის თავისი და-  
უცადი გზითა. თქვენ უკვე გეყითყათ, თქვენი ალასრულეთ,  
არც ძალგით მეტი, არც საჭიროა აწ და ამჟამადა, გაიკრი-  
ფენით, განიფანტენით დიდთა თუ მრავალთა გამორკვევამ-  
დისა, მანამდის გეყითყათ, გადექით მანამდისა, ნუ მოინდო-  
მებთ ნუდარცო შექურებსა, ნუდარცო მიკროფონებსა,  
ნურც რაღაც ისეთსა, ტყვია რო გავარდეს, საბაბს ნუ მის-  
ცემთ, ნუ მისცემთ, ნუ მისცემთ, ჰერას მოეგეთ, ბრმა ბედის-  
წერას ნუ მინებდებითო. — ასე ქაღაგებდა გაცხარებული, ზედ  
გადასწოლოდა თავის რეგასა, ვერც გადასწვდენოდა, ვერ

დაეფუარა მთლიანადა, ხელებს ამიტომ დააცურებდა, დანაშაული თურებდა, აფაციზუცებდა, აღარ იცოდა თუ ვით დაეფუარა, ერთპაშადა და ერთიანადა, ხანთუ საით გაუშიშვლდებოდა, ხანთუ საითა, ვერ დაეთმო ვერცერთი კუთხეი, ვერცერთი წერტილი, ვერც დაეთმო და ვერც დაეფუარა, ხან ერთი უს-ხლტებოდა, ხანთუ მეორეი, ხელიდან უსხლტებოდა, უსხლტებოდა და ცახცახებდა, ხმაც ემსხვრეოდა, სდიოდა ცრემლიცა, გურცხალი ცრემლი, სდიოდა, სდიოდა ზედ თბილისზედა...

## XX

„...რამეთუ მოვიდა დღე იგი დიდი რისხვისა მისისამ და ვინ შემძლებელ არს დადგომად...“

არ გასჭრა სიტყვამა მიქელისამა, არც ცრემლმა გასჭრა, არცა ცახცახმა, ადარც შეედავნენ, გუნდადაც აიშალნენ, და-დუმდა თუ არა ქადაგი იგი, ქადაგი იგი უძალო სიტყვისა, გუნ-დადაც გაცვივდნენ, გუნდადვე შეყოვნდნენ, გუნდადვე შეს-ძახეს, გალაკტიდონიო, კომპოზიტორი რო აღარ მოეშვა, სიტყვები მომეციო, ლექსი მომეციო, უპიმნოდ ნუ ვივლით, არ შეგვფერისო, ამიტომ შესძახეს გალაკტიონიო, გუნდად შესძახესო, ეს უკვე გითხარი, და გუნდადვე ეკვეთნენ გა-ლაკტიონისა. ეკვეთნენ მართლაცა, სხვა დროს ასე ვერ შეპ-ბედავდნენ, ზარიც ასტეხეს, ბრაზუნიც ასტეხეს გალაკტიონის კარებზედა. თითქოს ელოდაო, ისე გაულო კარი გალაკტიონ-მა, შიგნით შეიწვია მასპინძლური რიხითა, მაგრამ არ მიპყ-ვნენ, გუნდად პო იდგნენ, გუნდადვე სთხოვეს, ლექსი მოგვე-ცითო, თქვენა ხართ მეფე პოეტებისა, სწორედაც თქვენი ლექსი შეცვლერისო.

— რა ვარ, ძამიკო? — ვითომც გაიკვირვა გალაკტიონმაო.

— მეფე პოეტებისა!.. — გაიმეორეს ისევე გუნდადა, აპყვა გუგუნი საღარბაზოსი, აპყვა, გაგრძელდა.

— იცით, ჰო?! — თითქოს ეჭვობსო გალაკტიონი, თითქოს სტკბებაო თავისივე გამოგონებითა.

ვიცითო, მყისვე დაიგუგუნეს.

— უნდა იცოდეთ რაღა თქმა უნდა, — მოუწონა გალაკ-ტიონმა, — პირველ ყოვლისა ეგ უნდა იცოდეთ, მერე ისიც



უნდა იცოდეთ, მე არა ვწერ მაგ ლექსებსა, გოგლა წერილი გოგლას მიმართეთ, პო, პო, გოგლას მიმართეთ, გაეხარჯების მიმართეთ

მიმართეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს, ინსტიტუტს მიაკითხეს, შინ წავიდაო, შინ ეწვივნენ, წყნეთში იქნებაო, წყნეთამდის მაინც აღარ უვლიათ, — ავიდეთ აგერ გოგებაშვილზეთ, წამოიძახა ისევ კომპოზიტორმა, ქვას ფეხი წამოპკრა, პოეტი წამოხტება, იქ იმდენი პოეტი არისო. ავიდეთო და ავიდეთო, დასძახეს გუნდად, მრავალ ხმაზედა, ოღონდ ერთადა, ერთობლივადა რალა თქმა უნდა, ოღონდ აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, იზარდა გუნდი იგი, იმატა და იმატა მიქელიძან გალაკტიონამდისა, გალაკტიონიდან რუსთაველის ინსტიტუტამდისა, იქიდან გოგლას ბინამდისა, უკეთუ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტამდისა, სად უცებ იმდენი შემოემატა, დემონსტრაციად გადაიქცა გუნდი იგი მცირე, უწყინარი, ლექსის საძებრად გამოსული გუნდი, მხოლოდ ესაა, არ მთუმანდათ ლოზუნები, არცა დროშები, არცა წყობის გამწესებელი, მაინც ისე ერთბაშად აპყვნენ, თითქოს ვიდაცა ჩააგონებდათო, აპყვნენ ისე უყოფმანოდა, ავიდეთო და ავიდეთო, — ბედისწერა თუ შთააგონებდათ, ჩუმი, უხილავი, შემპარავი და დაუნდობელი, თორემ მაშ რაო, რა ლექსს დაეძებდნენ, რა პიმინის ჟინი წამონთებოდათ, ანთუ რალა გოგებაშვილზეთ, მთავარი საკითხავი მაინც ეს არის, მართლაცდა რალა გოგებაშვილზეთ, — სხვაგანაც იყო რიყე პოეტთა, მაინც იქით მიაგდო გუნდი იგი უმოწყალო ბედისწერამა, გუნდი ყმაწვილთა, გუნდი უამრავთა, ატანილთა ერთნაირადა და დაბნეულთა ერთნაირადვე; იქით მიაგდო, იქამდის პლარა, — ლექსით თურმე მიიტყუებდა, ლექსამდის იყო სასახლე იმისი, აქა პირველისა, აქა მბრძანებლისა, მაშინ მბრძანებლისა რალა თქმა უნდა, მას მერე ბევრმა წყალმა ჩაათარა, თუმცა აღბათ არც ისე ბევრმა, არა, ისევ მახლობელია ისიცა და ის ამბებიცა, გუშინდელივით ახსოვს ყველასა, გუშინდელივით წარმოუდგება და აუკვნესდება გული, მწარედ აუკვნესდება; პო ახსოვთმეთქი, თანამდებობასაც მკაფიოდ არ გამოვთქვამ, ახლა მაინც ისედაც იციან, მერე მაინც ვედარ გაიგებენ ისე, დაწვრილებით აუსსნელადა, ვითარც ამჟამად უკვე ძნელია გაგება იმისა, მთავარმართებელი



თუ რა ყოფილა, მეფის ნაცვალი თუ რა ყოფილა, ანთუ შენ მსჯელი რადა ყოფილა, ანთუ ხან ისე რადა ყოფილა, ვინ რა ყოფილა, როგორა ყოფილა, რა ზნისა ყოფილა თუ რა ჩაუდენია, ყველა დიდებით რად აუყვანიათ, ყველა სამარცხვინოდ რად ჩამოუგდიათ, — ძნელია და აუხსნიან ხოლმე, ამასაც აუხსნიან მერე და მერე უფრო ნათლადა თუ მართებულადა, ახლა ისედაც მოქსენებათ, ვინ იყო, რა იყო, ვით აღზევებულიყო, ვით ევლო დიდებითა, ვით დამხობილიყო სამარცხვინოდა, ამიტომ გამომითქვაბს ასე უბრალოდა, აქა პირველიმეთქი, წოდებების გარეშე, ჩინების გარეშე, განმასხვავებელი აღმატებულების გარეშე, — აქა პირველიმეთქი, რადგან რო მაინც პირველი არ გახლდათ, ბრძანდებოდა სხვაცა: იქა პირველი, იქაპირველი, — და აქა-პირველი თითხაც ვერ გასძრავდა იქაპირველის თანხმობის გარეშე. და სწორედ ის იყო, ლექსამდის იყო სასახლე იმის-მეთქი, სასახლე-საცხოვრისი, საცხოვრისი, არათე საგანმგებლო, არა, არა, ის სხვაგან გახლდა, — და ზედ დადანებაზე გამოზნდა ისიცა, მანქანა ელოდა, საგანმგებლოს მიემურებოდა, გამოზნდა და იხუვდეს გუნდადა, იხუვდეს მართლაც აღტა-ცებითა, ვითომდა რაო, მორჩა დ გათავდა, გადაწყდა უკვე ყველაფერიო. იხუვდეს და გარს შემოერტყნენ, გუნდად შემოერტყნენ, გულში მოიქციეს, უცება, უეცრადა, თვითონაც არ იცოდნენ თუ რას სხადიოდნენ, იმანაც არ იცოდა თუ რა დამართოდა, დაცვასაც ვერ გაეგო თუ რა ელონა, ასუსულიყვნენ დოკლაპიებივითა. განგებას დაეხლართა გორგალი იგი, დაეხვდანჯა ბედისწერასა, ადვილად ვეღარ გამოიხსნებოდა.

ის მაინც თავისასა ცდილობდა, იმაზე ვამბობ, აქაპირველზე, გამატარეთო, მშვიდად მიმართავდა, დარწმუნდა თუ არა, მოსაკლავად არ დამსხმიან თავსაო; საგანმგებო თათბირი გვექნება, მივიღებთ სასურველ გადაწყვეტილებასა, უსა-თუოდ სასურველსა და მისასალმებელსაო. სხვა საფიქრალი არცა აქვს ხელისუფლებასა, მხოლოდ ხალხის სიკეთეზე ფიქრობს, ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზეო. ახალგაზრდობა პო იმედია ჩვენი, ჩვენი ხვალინდელი დღეა, ახალგაზრდობას შევხარით, ახალგაზრდობაზე ამოგვდის მზე და მთვარეო. თქვენ მხოლოდ დაიშალენით, მიპხედეთ თქვენს საქმე-



სა, ისწავლეთ, ჩამოქალიბდით, გამოიპრძმიდეთ ცისტიკურული ცელად თქვენი მამა-პაპებისა, თქვენ უნდა მიიღოთ ერტაზეტა, თქვენ უნდა გადასცეთ შთამომავლობასათ, სხვა დანარჩენი ჩვენ მოგვანდეთ, ყველაფერს მოვარიგებთ, გადავწყვეტთ ისე, სათქმელი არ გექნებათ აღარაფერით. სულ ტყუილად აღელვებულხართ, ცუდი არავის განუშრახავს, შეურაცხმუთული არავის წარმოუთქვამს, მხოლოდ რაღაც გაუგებრობაა, გაუგებრობას ნუ აპყვებითო, დაიშალენით, დაიშალენით, თქვენ ოღონდ წადით, თქვენს საქმეს მიპჰედეთ, ჩვენ ვითაბირებთ, ჩვენ მოვაგვარებთო, გამატარეთო, გამატარეთო, — და მიმართავდა ხანთუ ერთ მხარესა, ხან მეორესა, ბრუნავდა, ტრიალებდა, ხელითაც ანიშნებდა, გაიწიეთო, გზა მომეცით-მანქანამდისაო. არავინ იძვროდა, იდგნენ გუნდადა, გაუვალ გუნდადა, გუნდადაც შეპყვირებდნენ, აედავლდებოდნენ ეკრევე გუნდადა, იტვრენდნენ კიდეცა, უსმენდნენ კიდეცა ეგრევე გუნდადა, ურჩევ გუნდადა, უსმენდნენ და არ ეტწმუნებოდნენ, რამეთუ ისიც დაშლას ურჩევდა, სხვაგვარად ეტყოდა, სხვაგვარად აუხსნიდა, მაინც ურჩევდა მიქელივითა, — მიქელს გაექცნენ, ამას აღარა, მიქელს არაფერი ეკითხებოდა, ამას რაღაცა ეკითხებოდა, ამბის მიტანა მაინც ეკითხებოდა. შევატყობინებოთ, ვითაბირებთ და შევატყობინებთო, აღიარებდა, თქვენ ოღონდ წადით, დაიშალენითო, სხვა ჩვენ ვიცით, ჩვენ გადავწყვეტთო.

ჩვენც დაგესწრებითო.

რასა ბრძანებოთ, რა საჭიროა, თქვენს საქმეს მიპხედეთ, ყველამ თავისი საქმე აკეთოსო.

თქვენს საქმეშიც ჩაგვახედეთო.

ყველამ თავისი ადგილი იცოდესო.

ყველა არც მიუშვიათ თავის ადგილამდეო.

ვინ სად თუ მისულა, იმისი ადგილიც ის არისო.

ჩვენც მოვალთ იმ თქვენ თათბირამდისა და შეტყობინებასაც დავესწრებითო.

ეგ არ იქნებაო.

იქნებაო.

და აღარ იცოდა თუ რა ეღონა აქაპირველსა, გარს ერტყა ტუნდი, უტეხი, გაუვალი, შემონთებოდა მგზნებარე თვალე-



ბი, ბრიალა თვალები, ნაპერწკლიანი, გამზადებული მოვცემა  
და ისფრქვევადა. გამოთიშულიყო აქაპირველი, ვერპირს ტრადა  
ნებას ვერ მიაწვდენდა და იყო უძალო, ვერცთუ ვერავინ ვი-  
რას იღონებდა უიმისოთდა და იყვნენ უძალონი ერთი გუნდის-  
განა, მგზნებარე გუნდისაგანა, აფორიაქებულ, აუივჭივებულ  
ყმაწვილთა გუნდისაგანა. ამათ შეეძლოთ, უკვე მოეგოთ ნი-  
შნი მიქელისათვისა, ოღონდ მიქელი ისევ ზევით მიუ-  
თითებდა: ისევა ბოინობს, ისევა ყაშყაშებს თუ ვერ იღო-  
ნეს ამათ ვერაფერი, წამოვა გრგვინვითა, წამოვა რისხ-  
გითაო, ბოინობს, ყაშყაშებს, სუნი სცემს სისხლისაო, —  
მაგრამ მიქელი იქ არსად იყო, არც გაუგონებდნენ რაღა თქმა  
უნდა, არც სხვა აღმოჩნდა, არავინ აღმოჩნდა, თუნდაც ისე-  
თი, ცხრაასხუთის ყაზახ-რუსებივით რო შემოსეოდა, მათრახ-  
შემართული, ყალპხზე შემდგარი ცხენებითა, შემოსეოდა იმ  
ვიწროებში, იქვე გაეფანტა გუნდი იგი აფორიაქებულთა,  
დაეფრთხო ისე, შემოგროვება ველარ მოხერხებინათ, ვე-  
ლარ მიებედნათ ყაფლანიანთ კუნძულამდისა; ვერავინ გაპ-  
ბედა, ვერავინ მოიფიქრა, იხვლანჯებოდა ბედის გორგალი,  
გამომხსნელი აღარავინ იყო, იხლართებოდა, იხვლანჯებო-  
და, — კაცის დასჯას რო მოინდომებს ღმერთი, ჯერ ჰქუას  
წაართმევსო, რაღა კაციო და რაღა ერთი, ღმერთისთვის ერ-  
თია, ერთი ტოლიაო, ჰქუა აღარ იყო, ჰქუა არ მოსწანდა, იხ-  
ლართებოდა, იხვლანჯებოდა, სისხლი სწყუროდა ბედის-  
წერასა.

ის მაინცა ცდილობდა, აქაპირველი ცდილობდა თავისასა  
თუ რაც შეეძლო, იმასა ცდილობდა: რახან არ დაიშლით, და-  
გვესწარითო, ოღონდ მიმიშვით მანქანამდისაო.

უკაცრავადო, შეგვასწრებ და ვიღა შემოგვიშვებსო,  
შემოგვიშვებენო.

არა გვჯერაო, ერთად წავიდეთო.

კეთილიო, რამდენიც წაეტევით წემს მანქანაშიო.

ყველანი ვერ წავეტევითო.

რამდენიც წაეტევითო.

არაო, ვიაროთ ყველამ ერთადაო.

ერთად როგორაო.

ფეხითაო.

## ფეხით ოთვორაო.

როგორათ და აი ასეო.

და დაიძრა გუნდი, დაიძრა, აგორდა, აიკრა იგი აქაპირვე-  
 ლიცა, აიკრა, აიყოლა სხვაცა და სხვანიცა კიდევა და კიდევა,  
 ღლონდ დამაფიქვრელი მაინც ეს იყო, ეს აყოლიება აქაპირ-  
 ველისა, სხვანი სათითაოდ არც დასსომებიათ, გუნდი იყო  
 და გუნდს მიაკერეს, ეს დაიხსომეს გამოცალკევებითა და  
 უწოდეს გაპონი, თუმცა არცთუ წინ მიუძლოდა, არცთუ სურ-  
 და, არცთუ არავის წაეჭერებინა თუ გაეპრიყვებინა, ძალით  
 ჩაეთრიათ, ძალით მიეჩერებინათ გადაგდებული ხატი, ძა-  
 ლით მიჰყავდათ, — საიდან სადათ, სად ესაო და სად გაპონიო,  
 მაგრამ რას იზამო, უცნაურია წუთისოფელიო, იცის უცნაუ-  
 რი მიმსგავსებანიცათ. მიქელისაც გაპონს ასწავლებინებდნენ  
 დიდხანსა, სხვებსაც ასწავლებინებდნენ რაღა თქმა უნდა,  
 ალბათ ამიტომა, ხელახალ გამოცხადებას თუ ელოდნენ, თო-  
 რემ და რათ, ვის რა გულში ჩაპქროდა მდვდელი გაპონი,  
 არაქაური, უცხო, გარეგანით, — და აი ვითომ გამოცხადდაო,  
 უპეთუ მსგავსი გამოცხადდაო, ან არცა მსგავსი, ან მაინც  
 მსგავსი გამოცხადდაო. რაც იყო, იყოთ, ამას აქ შეარქეს,  
 იქაც ძალიან მოსწონებოდათ, ბევრი უცინიათ, ყველაზე მე-  
 ტი უცინია იქაპირველსა, ანთუ „თლაპირველსა“, პირველთა  
 პირველსა, მაშინდელსა რაღა თქმა უნდა, იქაც უცინია და  
 აქაც ჩამოპყოლია სიცილი იგი, სიცილი შემზარვი, ჩამობ-  
 რძანებულა და ჩამოპყოლია, — ეს მერქო, ვითომ რო დამ-  
 შვიდდა აქათბათ, ვითომ სისხლი რო დაივიწყაო, ვითომ რო  
 გადაირია უმაღლესი ჯილდოთით, რახან თვითონვე იმან  
 მოართვა, იმა უმაღლესმათ, პო მაშინათ, აქაპირველი რო  
 შეეგება, აქა მასპინძელი და აქა მორჩილი პირველი, ქარ-  
 თულ მიწაზე ფეხის დადგმა რო მიულოცაო, უცებ აფეთქდა  
 სიცილი იგიო, ფუნჩულა თითებიც მიეტანა აქაპირველის პა-  
 ტარა ღაბაბსა, სულ პატარასა, და გადაეფრქვა მოალერსე სი-  
 ტყვებიცა, — გაპონჩიქ, ძვირფასო, როგორა მყავხარო, — მოს-  
 წონებოდათ რაღა თქმა უნდა, თორემ იმდენხანს ვინ დაიხ-  
 სომებდაო. ამას ისიც ახლდა, ის დიდი სიამოვნებაო, ტყემ-  
 ლის საწებელს რო გამოეწვია: თბოი რა საწებელი გქონიათ,  
 ფურსმნებს გადავყდაპავ ამ საწებლითაო, ისიც ახლდაო, ის

სიმოვნებაცაო, ის ნეტარებაცაო, მთლად განცხრომიღო  მთსთქვამდათ. ოლონდ ეს მერეო, ხოლო იმ უამაშაკუნძულში ერთ აერსა და რო მიათრევდა, ეხვეწებოდა ყელგამოწეული; ე, ბიჭო, გეყოფათ, ე, ბიჭო, წადით, დაიშალენით.. ე, ბიჭო, გამიგონეთ, ემანდ არაფერი მთიწით, დაიშალენით ბიჭო, დაიშალენით.. მანამდე ფეხბურთელებსაც რო ასევე ეხვეწებოდათ: ე ბიჭო, არ გინდათ ე პირველობა, პო იცით, რო არ გაგიშვებენ, დაეხსენით, არ გინდათ, ნუ შეაკლავთ თავსა, არ გაგიშვებენ, ნუ შეაკლავთ თავსა!.. ამათაც ისევეო, მამაშვილურად ეხვეწებოდათ, ასეც ამბობდნენ მერე ზოგ-ზოგები, გამომებინიდნენ ვითომ სხვა რამ გამამართლებელსაცა თუ ახსნასა სხვაგვარსა, მაგრამ და რაო, წუთისოფელი ულმობელიათ, ყველაფერს მაინც „გაპონმა“ აჯობა, „გაპონში“ მოიყარა ყველაფერმა თავი. ისიც ისე უუტავდა თვალებსა, ის თლაპირველი რაღა თქმა უნდა, რო არ ამბობდა, მაშინაც ამბობდა: გაპონშიკ ეს რაა, რას მიჩვენებო, — ისე უუტავდა, ისე გასცემეროდა ალაზნის ზვრებსა. ის იქ გახლდა, იმერეთშით, ტყემლის წუაზე რო გადაირიათ, ეს ჟკვე კახეთშით, ჰაჭამ რო აუბნია თვალებით, ეს რა არისო, „გაპონშიკი“ რო არც წარმოითქვამს, რო იგულისხმებოდა უთუთდათ. რა არის და ზვრები გახლავთთ, ტუმს იკვნეტდა აქაპირველი, ტუმს იკვნეტდა და აცმაცუნებდა პატარა ულვაშებსა, აცმაცუნებდა, პატარასა, პატარასა, რო ემჩნეოდა და თითქოს რო არცაო. მერე სიმინდით, უკვირდა იმასა, ჰაჭამისაგან რო აპპნეოდა თვალებით: სიმინდი!.. სიმინდი!.. სიმინდი!.. გაპკაფეთ ზვრები და სიმინდი დასთესეთთ; იმ ბიძაშენმა რო დაგვამშეა და რო გვაძახინებდა, მაძლრები ვართო, — ბიძაშენმაო ესეიგი ფარაჯიანმათ რაღა თქმა უნდა, — მართლა რო გავძლეთ, მხოლოდ სიმინდი თუ გაგვაძლობსთ, სიმინდი გვიხსნის, სიმინდს უნდა წავეჭიდოთთ; ამერიკაში ვნახე, თითო ძირს რო ათი ტარო ესხაო, ზოგსაც მეტით, აქ ისეთი სუნი მცემს მიწისა, ამერიკისას რო უნდა აჯობოს, გასჩეხეთ ზვრები და სიმინდი დათესეთთ. მერე ჰაჭამ, იკითხა მაშინ აქაპირველმა, ჰაჭამისაიდანდა გამოვხადოთთ. „წაჩა!..“ „წაჩა!..“ „წაჩა!..“ ჰაჭამისა და სიმინდიცათ. კოლხეთშიც აჩირდა თურმე ასევეო: ეს რა არისო. წაი არისო. მერე სიმინდით. ბიძაშენმა რო დაგვამ-



შია, ფარავდანმათ რაღა თქმა უნდა, აღარ გინდა როგორც უკავშირდება  
გამოიძლოთ; მე რო ამერიკაში სიმინდის ყანები ვნახები პიშტარია  
საც რო ენახა... არა, არა, მაინც შიმშილით დაგვხოცავდათ;  
ჩაიცა და სიმინდიცათ. ერთად როგორათ: ან ისათ და ან  
ისათ. არა და არაო: ჩაიცა და სიმინდიცათ, „ჩაი..“, „ჩაი..“  
„ჩაი!..“ რას ამბობ: ჩაით პო თქვენ უნდა უზრუნველყოთ  
მთელი ქვეყანათ, ჩაიცა და სიმინდიცათ; ჩაი უმაღლესი ხა-  
რისხისათ, ინდოეთიც რო გააკვირვოს, ცეილონიცათ, უმაღ-  
ლესზე უმაღლესით, ბევრიცა და უმაღლესიცათ, ანთუ უმაღ-  
ლესზე უმაღლესით. ანაღვდე.. აშენეთ სწრაფად, იაფად და  
ხარისხიანად.. მოიყვანეთ ბევრი და ხარისხიანი.. როგორი-  
ათ, როგორი რა ლოშუნგებია, პო აღაფრთხოვანებს ხალხსათ.  
შიში ისეთი მოსდგამდათ რო: უკრავდნენ ტაშსა, უკრავდნენ  
და უკრავდნენ, — ყველა დაუჭირეს აპოლონს დის მეტი, მა-  
ინც არ მოიშალა აპლოდისმენტით; დასცხე და დასცხე ტაში  
აპოლონ, რო შენიანებს არ მიგაყოლონთ; და უკრავდნენ და  
უკრავდნენ ტაშსა, რაღა ფარავდიანსათ და რაღა ამასათ, ერთ-  
ნაირად უკრავდნენ ტაშსა, აქ ტაშს უკრავდნენ და იქ თავს  
იკლავდნენ, ყველაფერი არეულიყო. სიმინდი.. სიმინდი..  
სიმინდი.. გრგვინგად გაისმოდა, გუგუნად გაისმოდა, წივი-  
ლად გაისმოდა, გაისმოდა ყველანაირადა, ცოტა ხნის წინ  
რო: კართოფილიო, ასევე რო აყვირებდნენ ხალხსა, — კარ-  
თოფილი გაგვაძლობს, კართოფილს მივხედოთ, კართოფილი  
ვთესოთ ყველგანათ. კართოფილი.. კართოფილი.. კართო-  
ფილი.. და სიმინდიო, იცვლება ყველაფერი, დაიღექტიკა ჩვე-  
ნი ცხოვრების საფუძველით. დაამხეს კართოფილი და კართ-  
ოფილის თეორეტიკოსიცა, კართოფილს რო პეგავდა, მართლაც  
კართოფილსა, ვისაც გაახსენდება პო გაახსენდება, ვინც სუ-  
რათებსა ნახავს, ვერც გამოარჩევს; დაამხეს ასე ერთისიტყვი-  
თა, ამან დაამხსო და გრგვინგავდა ესე: კართოფილი გაგვაძლო-  
ბდათ; მე რო ამერიკაში სიმინდის ყანები ვნახე, ოთოთოთ.....  
ამ რა გაგვაძლობსო; ჩვენ უკეთესი გვექნება, ჩვენი წყობი-  
ლება რო ბევრად უკეთესია, ჩვენ რო მომავლისაკენ მივე-  
ქანებით, ისინი რო ისევ უკან იხედებიანო. და უკრავდნენ  
ტაშსა. შეპხეთ, შეპხეთ, მოსჩანს უკვე კომუნიზმის აღაღლა-  
შებული მწვერვალებიო, აგერა, მოსჩანს, აგერ, აგერ, აქეთ



მოდექით, აქედან მოსჩანსო, აი აქედანა, აი აგუშა შემოსწოდება  
ვდგევარო, ცოტა ცერებზედაც აიწიეთო, აი მოსჩანსო, მოს-  
ჩანს და თვითონვე მოეშურებაო, აქაც რო ვიდგეთ, თვითონ-  
ვე მოვა, თვითონვე შემოგვეხვევაო, ოღონდ ჩვენც ვიჩქაროთ,  
უფრო მალე რო შევეგებოთო, ოღონდ: ბევრი და ხარისხიანი,  
ბევრი, ბევრი და უმაღლესი ხარისხისაო; ეპაა, როგორა ლაჟ-  
ლაჟებსო, ოღონდ მოდექით ცოტა აქეთაო, ცოტა ცერებზე-  
დაც აიწიეთო. და იმტვრეოდა ხელები ტაშითა, იმტვრეოდა,  
იმტვრეოდა. მერე ხელები უბჟუოდა, ხელები აღარ ემორჩი-  
ლებოდა ხალხსა, ანთუ ვის რაღად უნდოდა ხელები, რო აძ-  
ლობდა ლობუნვებითა, სიტყვებით რო აძლობდა, გაუთავებე-  
ლი სიტყვებითა, ქაქანითა გაუთავებელითა. დაელოთ პირი და  
შეპყურებდნენ, დაეჭყიტათ თვალები და შეპყურებდნენ, პი-  
რითაც შეპყურებდნენ, თვალებითაცა: აი და აპაა გადმოც-  
გივა მზამზარეული აღაჟლაჟებული მწვერვალებიდანაო, ოღ-  
ონდ: სწრაფადაო, ბევრიო, ბევრზე ბევრიო, ხარისხიანიო,  
ხარისხიანზე ხარისხიანიო, მაგრამ ეს რო ერთიმეორეს გა-  
მორიცხავდა, ვერც უკვირდებოდნენ, არც აფიქრდებოდათ,  
ამან ეგება კიდევგაც იცოდა, ოღონდ მერე და ვითომ და  
რათ, — ლომს ვინ შეკადრებდა, ელამი ხარო. ფარავდანი ისე  
არ მოსწონდა, თორემ სხვა ყველაფერი მოსწონდა მისი, ყო-  
ველშემთხვევაში ის მაინც მოსწონდა: რო ვერ დასძრავდა  
კრინტსა ვერავინა, ვერა, ვერა, მაინც ვერ დასძრავდა, ის  
აღარ იყო და მაინც ვერ დასძრავდა. უკრავდნენ ტაშსა და  
სტკიოდათ ხელები. ასევე გახლდა, არაფერი არ შეცვლილი-  
ყო, არც რო არაფერი შეიცვლებოდა. რყინის ფარდა მაინც  
ჩამოვფხრიშეო. არა, ამას ვერ აუხირდებოდი, უნდა ჩა-  
მოფხრეწილიყო ბოლოსდაბოლოსა და ჩამოფხრიწა მართლაც  
კიდევაცა, — ვერ აუხირდებოდი. სიმინდი მაინც ყველაფერს  
ერჩივნა: ამ თქვენი „ჩაჩათიც“ რა გული გააწყალეთო, ამისი  
„გოდგა“ გითომ რა ნაკლებიათ; და წკიპურტს ირტყამდა ნი-  
კაპქვეშა. და მოსწონდათ, იქა, იქა, და უხაროდათ, იმათა,  
იმათა, თავისიანებსა, და აღფრთოვანებულიყვნენ: ჩვენია,  
ჩვენია, ეს მართლაც ჩვენიათ. ხილო აქ ასეთ: ჩაი და სიმინდი,  
ჩაი და სიმინდი, სხვა ყველაფერი შედმეტიათ. და თუ ერთ-  
ერთი უნდა აირჩიოთ, ორივე ერთად აირჩიეთო, — აბა!.. აბა!..

ხოლო სიმინდი მაინც სიმინდიათ. და უმღეროდნენ ჟამშენებული  
და. უმღერეთო. პხატავდნენ სიმინდია. დაპხატეთო. პლუზებულია კა  
უწერდნენ სიმინდია. უწერეთო. ფილმებს იღებდნენ სიმინ-  
დინე. გადაიღეთო. სპაქტაკლებსა დამდნენ. დადგითო. რო-  
მანებსა წერდნენ. დაწერეთო. ჯილდო თუ გინდათო. უნდო-  
დათ და მერე როგორა.. ერთი უხერსულება მაინც გამოიბ-  
ლანდებოდა: დაწერილიყო ასეთი რომანი, — „ძირს სიმინ-  
დის რესპუბლიკა“, გამოიბლანდებოდა, გამოიბლანდებოდა,  
თუმცა რო კარგახანია უკვე გამოეცვალა ავტორსა სათაურიცა,  
შინაარსიცა, თუ რო შეიძლება რო გამოეცვალა, თუ რო შე-  
იძლება რო ჯდანი ამოეგდო, მაინც გამოეცვალა, მაინც შე-  
იცვალა თანმიციულებითა ყველა ახალი დადგენილებისა, დი-  
ალექტიკური დადგენილებისა, დადგენილებისა, ერთიმეო-  
რე რო უნდა გამოერიცხათ და პროგრესი რო ეს იქნებოდა  
თურმე, მაინც შეეცვალა ოცდაათჯერ მაინცა აქამომდისა და  
უკვე დაპხვედროდა განახლებული წიგნითა: „გაუმარჯოს სი-  
მინდის რესპუბლიკას!..“ უკვე დაპხვედროდა, ლესელიძეში  
შეკვებებოდა მალიარებელსა, და თუ ის ძველი მაინც გამო-  
იბლანდებოდა, ამას მაინც ვერ შეუძლიდა ხელსა, ვერა, ვი-  
რა რაღა თქმა უნდა: „გაუმარჯოს სიმინდის რესპუბლიკას!“  
დაპკიდეთ ორდენით, ბრძანებდა იგი თლაპირველი, თუმ-  
ცა რო გულშე ისედაც აღარ ეტევა ორდენები, როგორმე დაპ-  
კიდეთ კიდევ ერთიცათ. და უხაროდა იმასაცა!.. როგორ უხა-  
როდა!.. რა ვუყოთ თუ ისედაც აღარ ეტევოდა გულშედა, მა-  
ინც უხაროდა, მაინც ინატრებდა კიდევა და კიდევა, ინატ-  
რებდა და მიინიჭა კიდევაცა, დადგენილებებიც რო იცვლე-  
ბოდა, რო იცვლებოდა რომანიცა დიალექტიკურადა. ოღონდ  
ჯერ მაშინ: ძირს ვაზი!.. გაუმარჯოს სიმინდის რესპუბლი-  
კას!..

ძირს!..

გაუმარჯოს!..

ბლაოდა ხალხი!..

ბლაოდა და აღარ ახსოვდა, აღარც რო ორბელიანთა ქუნ-  
ძული, აღარც ის მრწოლაი, აღარც ის სისხლი, თითქოსაო  
თუ მართლაც აღარაო, ძნელი სათქმელია; იმხანად მაინც ვერ  
გაიგებდი: კიდევ ერთი ორდენი რო მიაბნია რესპუბლიკის



დროშასათ... და ბლაოდა და ბლაოდა, ხელებსაც რუმი ღიტებულ  
ვრევდა რაღა თქმა უნდა... ვერ გაიგებდი, ვერ გაიგებდი მასაც  
ჰაბაზი თვითონვე გვიჩეხავდა ზორებსა, — არა, არა, არც რო  
მთლად თვითონა, აჩეხინებდა თავის მოლაშერეთა, — ეს წვენ  
გვიბრძანებდა, ასჩეხევითო, გვიბრძანებდა და სხვა რა გზა  
გვერდდა, ოღონდ ესაა, რო აღარ დასცალდა.

ჩაისაც ასე ბლაოდა ხალხი,

უფრო ადრე რაღა თქმა უნდა,

ჩაი გვინდა, ჩაი გვაღინსეთ, მოგვაყვანინეთ ჩაით, უფრო  
ადრეო, ანთუ მაშინა, „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ რო იწე-  
რებოდა, — ბლაოდაო თუ აბლავლებდნენ ეს პთ სულერთია, —  
ჩაი.. ჩაი.. ბლაოდნენ ავტორებიცა, ანთუ ესენი უფრო, ესე-  
ნი, თორემ ხალხი რა იყო!.. ბლაოდნენ და ლანძღავდნენ რო-  
მანვებსა, ნიკოლოზ პირველსა უპირველესადა და განსაკუთ-  
რებითა, არ ემეტებოდა წვენთვისა ჩაით, არ ემეტებოდაო:  
რო წარუდგენიათ პირველი ცდები ქართული ჩაისა, რო გა-  
უსინჯია და რო უთქვაშს, — არ გინდათ, ჩაის მოვლა პთ ძა-  
ლაინ ძნელია, ისედაც მცირენი არიან ქართველები, ჩაიში  
მაინც ნუღარ გავწყვეტთო, — ლანძღავდნენ, აგინებდნენ,  
ნიშნს მოუგებდნენ, ეგეც იმასა პთ ჩააძაღლესო, ძაღლი ძა-  
ღლურად გაისტუმრესო, ჩაის სიკეთე არ უნდოდა წვენთვისაო.  
შეიძლება რო ყველაფერი აიხსნას უკუღმა, ეს მაინც უკუღმა-  
შე უკუღმა გახლდა, ეშმაკურშე ეშმაკური გახლდა, უბედურე-  
ბაზე უბედურება გახლდა, ანთუ რაც იყო, უბოძეს ჩაი, მო-  
ვიდა დროება წვენი ახალი და აღგვავსო ჩაის სიკეთითაო,  
წერდნენ რო იგივე ავტორები, ბლაოდა ხალხიცა იგივესა. ჩაი,  
ჩაი, ჩაი, ბევრი, ბევრი და ხარისხიანი, ბევრი და ბევრი, ხა-  
რისხიანი და ხარისხიანი, წელშიც გაწყვეტილხართ და ჭირ-  
საც წაუღისართო, ჩაიცა და სიმინდიცათ. მე რო ამერიკაში  
სიმინდი ვნახეო: ოც-ოცტაროიანიო. წვენ ოცდაათ-ოცდაა-  
თიანს დაგახვედრებთო, ოღონდ გვეწვიე, ოღონდ მალე, მალე  
გვეწვიეთ. პხედავთ, რა ძალა და რა გატაცება იფარება ამ  
ხალხშით, ხოლო ბიძაშენს, — ანუ ფარაჯიანსათ რაღა თქმი  
უნდა, — არ ენება კოლექტიურ მრომაში რო ჩაება ეს ენერ-  
გიათ, კოლმეურნეობებიც რო არ დააარსა თქვენშით. ვერ  
შეპბედავდა, რო ცილისწამებაათ, ვერ შეპბედავდა აქაპირ-



ველი, ის რო ისე განრისხდებოდა, იქაპირველი, თლუშერწველი, ლი, ფარავიანის გახსენებისასა, ისე, ისე, ლაში რთაშემოსულია ვარდებოდა ცალ მხარესა, რო გადმოსდინდებოდა ლორწო, გადმოსდინდებოდა, დაეკიდებოდა, დაგრძელდებოდა, დაგრძელდებოდა, გაიქნევდა თავსა გულმოსული რაღა თქმა უნდა, და შემოვლებოდა ლაბაძსა ლორწო იგი, ფუნქულა ლაბაძსა, შემოვლებოდა და გადაიტყორცნებოდა მხარზედა. გადაიტყორცნებოდა და გადაიტყორცნებოდა. და ეფინა ეგრე, აქეთაცა და იქითაცა, ორივე მხარზედა აქსელბანდებივითა, როცა რო ბრაზობდა რაღა თქმა უნდა, როცა რო განრისხებულიყო რაღა თქმა უნდა, და ბრაზობდა და განრისხებულიყო, როცა რო გაახსენდებოდა ფარავიანი, ხოლო დავიწყებით პო არ აფიწყდებოდა არცერთი წამითა, არცერთი წამითა, სიყვარულიც ასეთი უნდოდა, სიძულვილი რო არა ყოფილიყო, სიყვარული, სიყვარული მამისა და მასწავლებლისა, როგორც უწოდებდა, რო შესცენაოდა და რო შეპფარცელებდა, ყველაზედ მეტად მე მიყვარხართ. ვითომაო, თვალს უკრავდა კოროშილოვსა ისა, იგი ფარავიანი, თუ გადამირჩა და შენ თუ მოესწრო, მე საფლავში ჩამომძახეო. მოლოტოვსაც თვალს უკრავდაო. ნიჩაბზე იდოო ერთისიტყვითა. რაც იყო თუ როგორც იყოთ, ეს ვერ შეპბედავდა: ცილისწამებააო. ახლა ვერა, ველარ შეპბედავდა. ახლა ეს გახლდა. ვერ შეპბედავდა, რო აქ იყო საცდელი ბოლიგონი კოლექტივისაცა და ყოველი სხვა უბედურობისაცა, აქ იყო, აქ იყო, აქედან იწყებოდა. კოლექტივი რაო, კომუნაც პო აქ დაარსა, პირველი კომუნაი, სამთავისის კომუნაი: ორი გრძელი ბოსელი ააგო იმა დიდებული ტაძრის ეზოშია, გრძელი, გაწელილი, პირისპირა ერთმანეთისა, ერთში კომუნის წევრები შეჰყარა, შეორეში საქონელი იმათივეი, გაერთიანებული საქონელი, აჲა და მეტი რა გინდათ, იყავით და იცხოვრეთ ბელნიერადაო. ააგოთ, — ააგებინა რაღა თქმა უნდა, წვევით ეწვია, მართლა ეწვია, ვნახო ერთი რა დიდებული რამ გამოგვიგონიათ, დიახაც რო გამოგვიგონიათ: რო გულისხმობდა დროშაზე გაკრულ სხვა თავებსაცა, მარტო თვითონ რო არ მიიწერდა. ეწვია და მიულოცა, აი ეს არის ჩვენი დადი მომავალით, თქვენა ხართ ამისი წინამორბედნი, ისტორია არ



დაგივიწყებთო, აბა!.. ვერა, ვერ ეტყოდა, ვერ შეპტელებულ  
კოლექტივებმა რო დააქცია საქართველოცა, ისევე და უსრუ-  
სადაცა, მეურნეობაც რო დააქცია და გასწყვიტა ხალხიცა;  
ოცდაერთმა, რაც რო გასწყვიტა, ოცდაოთხმა რაც რო გას-  
წყვიტა, რო არ იქმარა და რო მიაშეყლიტა ოცდაათშიცა კი-  
დევ იმდენიცა, თუ მეტი არა, მერე პო მერე... ეპენეიიიი...  
რა ენა მოსთვლის, რა ყური გაიგონებს!.. ვერ ეტყოდა, ვერ  
შეპტედავდა, ამისიანებიც რო ერივნენ იქა, რას გამოტყდე-  
ბოდა, რასა, რასა, რა სათქმელია, ვიღა შეარჩენდა იმ თა-  
ნამდებობასა, — რას გამოტყდებოდა?!. იმდენს თუ მაინც შეპ-  
ტედავდა: დიდად გიმადლიან ციმბირისა თუ ყაზახთის ბა-  
ნაკებიდან ვინც რო დაბრუნდნენო, თუმცა მცირენიდა დაბ-  
რუნდნენო, ისიც ისე, რო აქეთ მაინც აღარ არიან, მაინც  
მადლობელნი არიანო. და იქნებოდნენ მადლობელნი რაღა  
თქმა უნდა, რო გამოუშვა ეს უჯანონი, სიკვდილის კარებს  
მიმდგარი ხალხი, რო გამოუშვა, რო გამოსცალა უჯანთა-  
განა, ჯანიანებით თუ აღარ შეავსებდა, მადლობელნი იქნე-  
ბოდნენ რაღა თქმა უნდა. არა, ამასაც ვერ შეპტადრებდა აქა-  
პირველი: ჯანიანებით თუ არ შეავსებო, ეს ისე ითქვა, ვერ  
შეპტადრებდა. ფრაუერსაც ვერ შეპტადრებდა აქაპირველი  
იმა თლაპირველსა, რამდენჯერაც არ უნდა მოეთათუნებინა  
თითები ნიკაპშედა, რამდენჯერაც არ უნდა წაექეზებინა: ყო-  
ნად გაპონჩიკო, ვერც შეპტადრებდა და ვერც კოპს შეიკრავ-  
და, რამდენჯერაც არ უნდა გადმოპბრუნებოდა გული სიძ-  
რაზითა, რამდენჯერაც არ უნდა გაბოროტებულიყო, აღტა-  
ცების მეტს ვერას გამოსთქვამდა; როგორც თვით ესა, ანლა  
თლაპირველი, ფარავიანი რო ცოცხალი გახლდა, რო ქირქი-  
ლებდა ამის დანახვაზე, ქირქილებდა და ჩიძუბს აპერტუავდა  
თავზედა, თუ მართლა აპერტუავდა და თუ მართლა აფერთხავდა  
რაღა თქმა უნდა, თუ ანეკდოტი არ არის ესეცა, ანეკდოტი  
იმა ბევრთაგანი, ერთბაშად რო მოედო ქვეყანასა და ქვეყნი-  
ერებასა და რო ხითხითებდა ხალხი, ხითხითებდა მაინცა, და  
მაინც მისტიროდა იმასა, ფარავიანსა, მაინც იმასა, თუმცა  
რო ამან ჩამოპეტლივა რკინის ფარდაი უშველებელი, ციმბი-  
რისა თუ ყაზახთის ბანაკებიც ამან გააღო, მისტიროდნენ  
მაინც იმასა და ხითხითებდნენ ამაზე მაინცა, და გაიხარეს





ბიჭვინთის ტყეშიო, განცხრომაშიო, უკეთუ ჭყალია კორა-  
საო, პირასაო, სველ ქვიშაზე რო გატყაპულტყო და ზღვა  
თვითონ მოდიოდა, თვითონ გადასდიოდა ბეჭებზედა, ზღვაი  
მორჩილი თუ დაპყრობილით, ზღვა გადასდიოდა დუნდულებ-  
ზედა და გაფულტული ნესტოებიც მიერვირა ფიჭვებისთვისაო,  
აი მაშინათ, მაშინ გაპეოჭესო, განცხრომაშიო, უგრევე გაპ-  
გოჭეს და უგრევე ჩაპგვარესო; უგრევე ჩაპგვარეს და მარ-  
თალია ჯერ ეს დაადგა თუ დააყენეს პირზედაო, მართალია  
რო მწარედ გადაუჩადაო, მაგრამ და რაო „გაპონი“ მაინც  
ვეღარ მოიწმინდა, შერჩა და შერჩა. ოღონდ ეს მერეო, ხო-  
ლო იმუამად: ე ბიჭო, გეყოფათო, — ვინ იცის მერამდენედ  
იმეორებდა, ვინ იცის, ვინ უწყისო, ანთუ რაღა დათვლა უნ-  
დოდა, — ასე მიატანეს სააქაო საბრძანებლომდისა, გუნდად  
შიატანეს, ანთუ მივარდნენ დაუთმინარნი და ცოტა შეყოვნ-  
დნენ, ცოტა განიპნენ, რადგან გუნდადვე ვერ შეეტევოდნენ  
ჰოდა განიპნენ, ცოტა განიპნენ და ჯერ ის შეუშვეს თავისი  
ჯვარ-ხატითა თუ გადაგდებული და მიჩეჩებული ჯვარ-ხატი-  
თა, ჯერ ის შეუშვეს და, ეს უკვე ვეღარ გაითვალისწინეს,  
გარი მოიგმანა, გუნდი ვეღარ შეპყვა, ვერც თუ ვერავინ შე-  
აღწია შიგნითა.

ავარდა და დავარდა გუნდი იგი, აქეთ ეცა და იქით ეცა,  
ბეღავლდა და აკოწიაწდა, დაიქუხა, დაიგუგუნა, ბანი გამოსცა  
მთაწმინდამაცაო, ოღონდ და რაო, მაინც არ განიხვნა კარ-  
ნი, მაინც ვერ გამოიტყუა იგი პირველი, აქაპირველი რაღა  
თქმა უნდა, ვერც სხვა ვერავინ გამოიტყუა, მხოლოდ დუმი-  
ლი გამოსცემდა შიგნიდანა, არათუ კარგის მომასწავებელი  
დუმილი, — არათუ კარგისაო და ესენიც პთ ავად ატეხილიყ-  
ვნენ!.. იქ მაინც ვერაფერი გააწყეს და უეცრადაც მოსწყდნენ  
იქაობასა, მოსწყდნენ და მიმართეს ისევ თავიანთ ციხე-ხი-  
შაგრესა, იქ იყვნენ ძლიერნი, ღრმად დაჯერებულნი, ჰოდა  
მიმართეს, ანთუ დაგორდნენ ვეება გუნდადა, უშველებელ  
გუნდადა, ანთუ ჩამოშვავდნენ რუსთაველზედა და მერე,  
ჯორვედაშვილის ქუჩაც რო ადარ ეყოთ, იქავე ბაღსაც ვა-  
დაუარეს ეგრევე ზვავადა, გადაუარეს და ჩაიფშვნენ, ჩაი-  
შალნენ ფაფლანიანთ კუნძულზედა.

„და პირველმან მან დასცა, და იქმნა სეტყვაი და ცეცხლი, შეერთებული სისხლითა, და მოვიდა ქუეყნად, და მესამედი ქუეყნისაი დაიწუა და მესამედი ხუთაი დაიწუა და ყოველია ვე თივაი ნედლი დაიწუა.

„და მეორემან ანგელოზმან დასცა საყვირსა და ვითარცა მთაი დიდი მოტყინარე ცეცხლითა, შთავარდა ზღუად, და მესამედი ზღვისაი იქმნა სისხლ“.

ყაფლანიაანთ კუნძულზედაო... უამრავ ხალხში ისე ჩაიწენენ, თითქოს არაფერი მიმატებიათ, მხოლოდ ფუსფუსმა იმატა ძეგლთანა; ისინი გამოეყვნენ, მოთავეობა ვისაცა ხედომთადა წილადა, ანთუ ვინც მიმხვდარიყოთ, თუ რაოდენ საცოდავი იქნებოდა ხალხი ასე უპატრონოდა, უთქმელადა, უნუგეშებლადა; თუმცა ვიღაცა მაინც აბობდებულიყოთ და ქაქანებდა, არავის ესმოდა ქაქანი მისი, მიკროფონი ჩაწყვეტილიყო, თუნდაც აეხსნათ, არ მოუსმენდა მაინც არავინა, ისეთი პირი არ უჩანდა, ნათქვამი რომაა, ვისაც მოუკლავს ის მოპკლავსო, — ისინი ახლადა დაბრუნებულიყვნენ, დაბრუნებულიყვნენ და ფუსფუსებდნენ, ისინი ბჭობდნენ, ვისთვისაც მოესმინათ, ვისაც ჩამოეტანა ვეება ზვავი, იგი ზღვა ხალხი ვისაც ელოდა, ბჭობდნენ და ბრძანეს აღდგენა მიკროფონისა. და აღდგა მიკროფონი. ბრძანეს ანთება შექურებისა და აენთო შექურები, დღიურვე აენთო, აენთო უამსა რიბირაბოსი. ადვილად ჩამოჰყარეს ბედოვლათი ორატორები კვარცხლბეკიდანა, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები რო დაეპატრონებიანო, ის ეშმაკები თუ ის ორატორები, ისინი ჩამოჰყარეს და თვითონვე აბობდნენ სათითაოდა. და შესძახა ხალხმა, იცნო და შესძახა, დასცხო ტაშიცა. ტაში იუარეს, ჩვენ არა ვართ ტაშის მწყურვალნით, მთ ტაში იუარეს და აუწყეს საჩქაროდა, ეს არის შევხვდით აქაპირველსათ, ცოტა გვიმტყუნა, თღონდ ეგეც არაფერით, რამეთუ აღგვითქვა, რო აუწყებს ჩვენს მოთხოვნასა და უმაღვე შეგვატყობინებს ბრძანებასა უმაღლესსათ. და კიდევ შესძახა ხალხმა, შესძახა იმედითა, მხურვალე იმედითა. და კიდევ შემოპერეს ტაში. და კიდევ იწყინეს, და კიდევ განაცხადეს, ტაში მაცდურია და მაცდურისააო.

და სწორედ ის იყო, იმავე აჩალგაშრდამ დაიმუშტეობულა  
ჭენტით, შარვლის ტოტებზე კანტები რო ესხა, დაიმუშტეობულა  
ხელა და არ გაუსწორებია არცა თვალი, კრინტიც არ დაუძ-  
რავს, მხოლოდ ოდნავ წასწია მკლავი და სილა მოტეხა ისე  
სხარტადა, ამოყაჭეო, იგულისხმებოდა.

და ლენტომაც ამოყაჭა ერთი ფირი, ამოყაჭა და ჩაუდო  
ტუჭეშია.

და იმან აპხედა ცერადა, იგულისხმებოდა, არა ქმარათ.

და ლენტომ აიწურა მხრები, კისერიც გადასჭიმა, ვითომ-  
და რაო, ბევრი არაფრი გადამიღია, ორიოდე შინაც მეგუ-  
ლება, იმასაც მოგიტანო.

და უფრო გამომცდელად მიაჩირდა იგი.

და უფრო აიწურა ლენტომ.

და არ მოეშვა ისა, გაუყარა თვალი თვალშია.

და იდგა ლენტომ მხრებაწურვილი, ოდნავ ნიკაპჩამოგ-  
დებულივითა, ვითომ და რაო, მეტიც რო იყოს, არ ევარგე-  
ხაო.

და წარბი შესტეხა იმანა.

და მხრები დაუშვა ლენტომა, ვითომდა რაო, ყველას მო-  
ჟიტანო.

და თავი დაუქნია იმანა, დაუქნია და გაშორდა, დაყაბულდა  
თუ დაემუქრა, მნელი სათქმელია, ოღონდ ამან მაინც თავი-  
სი გაივლო გულშია: სამს თუ მოვიტან, ვთქვათ სამი იყოსო,  
ერთი სულმთლად ჩაბინდული იქნება, ორიც ისეთი, ცალ-  
ცალკე რო არავინ გამოიტევა, ერთად რომა ხალხი ათევე-  
ჭილიო, ხოლო დანარჩენი თუ რაღად უნდოდა, ეს არ იცოდა,  
მრც ეფიქრებოდა, არცთუ ბეგლარი ეუბნებოდა რაიმესა,  
ფრცო კოტესგან მოსდომდა ამბავი.

ანთუ რა უნდა შემოეთვალა კოტესა, — მოეთავებინა თა-  
ვისი სპექტაკლი, ერთი სცენა ძეგლთანაც გაეტანა, იქვე, გ-  
შია რაღა თქმა უნდა, მერჩე ერთ მომცრო ავტობუსში ჩაესხა  
შონაწილენი იმა სცენისა, თბილისისაკენ გადაჭარზენილიყო.  
ავტობუსს გამოჰკიდებოდა, სატვირთოს სატვირ-  
თოი, მსუბუქს კიდევ მსუბუქი მარქანაი, ანთუ არეულიყო  
ერთმანეთშია ყველა სახისა თუ ყველა მარკის ავტომობილი,  
გამოტენილიყო აღგზნებული ახალგაშრდებითა, აღელვებუ-

ლი ანალგაზრდობითა, ვითარცა მტკვარი გაზაფხულობითა. თღონდ და რათ, მტკვარი მაინც ვერ შოდიდებულიყო. მტკვარი ლი ზამთრები გადაპიროდა ერთიმეორესა, გაცრეცილიყო მწვერვალები თუ ხეობები, დუნედ მოერთვოდა თუ ძლივს მოწანწერებდა ხეობების წყლებიცა, დუნედ მოერთოდა და დუნედაცა დიოდა მტკვარი, დედამდინარე დიოდა დუნედა, სამაგიეროდ აზვირთებულიყო ვიწრო გზები ხეობებისა, მოდგაფუნებდა თავპირისმტკრევითა, შარაგზას მოერთვოდა მღვრიედა მღელვარედა, კიდევაც უფრო ააღელვებდა, კიდევაც უფრო ააჩქარებდა ისედაც ატეხილსა თუ ატორტმანებულ შარაგზასა და შემოვარდა მდინარეი გზისა, შემოვარდა და შეიყალყა ორბელიანთა კუნძულზედა, შეიყალყა და შთაინთქა, შთაინთქა ისიცა, თღონდ და მაინც მოიტანა მგზნებარება თავისებური, მაინც შეენთო, აბურბურა ისედაც აღგზნებული ხალხი.

და შენიშნა ლენტომა ეს შემოვარდნაცა, ალბეჭდა კილცა, კოტეც შენიშნა, თღონდ ისეთი რამეც შენიშნა, გაქვავდა უეცრადა, ვერც თუ კოტეს უხმო, ვედარც დაიძრა ადგილიდანა, ვერც ვერას მიხვდა, ვერაფერი მოიაზრა, ვერცა ეგრე გამშრალმა თუ გაქვავებულმა, ვერცა მერეო, დუნდგოთში რო გადაეშვა, იდაცვებითა თუ მხრებით რო მიიწევდა წინა და ვერც მიიწევდა, რამეთუ ყველა მიიწევდა, გადმოცვივოდა ერთბაშად მოხსროვილი ავტომანქანებიდანა, ერთბაშადა ცვივოდა და ერთბაშადაც მიიწევდა მოსული ხალხიცა, ანთუ ბრუნავდა ერთ ადგილასა, ანთუ ტრიალებდა გრეხილები მანქანათა ირგვლივა, ტრიალებდა და იხლართებოდა ერთიმეორეშია. როგორდაც იქ მოპყვა, იმა გრეხილებში ლენტოცა; კოტე შეარდებოდა, ადვილად აღწევდა თავსა იმა გრეხილებსა, შორდებოდა და შორდებოდა, ანთუ შორდებოდნენ ისინიცა, ვისთა დანასვამ ჯერ გააქვავა და მერე ასე გაახელა ლენტით, ასევე სხვებიცა, ასევეც რო ებლებოდნენ ერთმანეთსა, ებლართებოდნენ ერთიმეორესა, წინ მიიწევდნენ და ბრუნავდნენ, ბრუნავდნენ, ალილავებდნენ ერთიმეორესა. აღზნებამ ტკივილები როგორი იცისო, არ იცისო და არცა სტკიოდათ, არცა ბრაზობდნენ, თღონდ გაეღწიათ, წამოსწეოდნენ თღონდა, ძევლთან მიმდგარიყვნენ უფრო ახლოსა, მიმდგა-

რიყვნენ წინა მხრიდანა, პირისპირა, — დამავიწყდა მეთქმა,  
ეს ჯერ ძეგლის ზურგითა ხდებოდა, იქით მოვარდშილდებოდა  
ას-ლი მდინარეი, იქიდან გადმოდიოდა ზეირთი ზეირთსედა,  
გადმოდიოდა და ვერც ეგრე ადვილად გადმოდიოდა, — წი-  
ნანი, დამსვდურნი იდგნენ წყნარადა, მიტმასნილნი ერთიმე-  
ორესა, ერთიმეორეში ამოჟედილნი, ერთად შეკრულნი თუ  
შეზელილნი, და იდგნენ წყნარადაცამეთქი, ვიდრე დადგებოდა  
ფამი შეძახილისა თუ ტაშისცემისა, ვიდრე ისინი წამოღვე-  
ბოდნენ, მოსულთა ზეირთები ვისაც მოსდევდა; და იდგნენ  
წყნარადა, და მოისმენდნენ: ველოდებითო, მერე გადავ-  
წყვეტთ თუ როგორ მოვიქცეთო, — მოისმენდნენ რიხით ნათ-  
ქვამსა, დასცემდნენ ახლომდგომნიცა, ისე მტკიცედა, გულითა-  
დადა, ვითომდა მართლაც რაიმე ძალუძთო, — დაჯერებულიყ-  
ვნენ, გათამამებულიყვნენ, გაზრდილიყვნენ თუ გამაღლებუ-  
ლიყვნენ ამ დღეებშია, აბა შაშ რაო, ამათთან მომდგარიყო  
ხალხი, ხალხი უსმენდა, ესენი გამოსთქვამდნენ ხალხის სურ-  
ვალსა, შეულახველსა და გარდაუვალსა, — ასეც დაესწავლათ,  
ამაღლებულიყვნენ ამნაირადვე, ხმაში კაუი მომატებოდათ,  
ჯუნთებში ფთლადი, ლამის ერთმანეთიც ვეღარ ეცნოთო,  
ზოგს აღბათ თავიც ვეღარ ეცნოთ. ხმა მაინც ვერა, ხმა თა-  
ვიანთი ვეღარც თუ ეცნოთ, ვერც წყობა სიტყვათა, ვეღარც  
თუ აზრი, თითქოს თვითონ იყვნენ და იყვნენ სხვანიცა, თით-  
ქოს თვითონ ამბობდნენ და შორითაც მოესმოდათ, უნდო-  
დათ ეთქვათ და უნდოდათ ესმინათ, და თითქოს ასწრებდნენ  
ერთსაცა და მეორესაცა, ოღონდ ეს სხვაა, სხვა რამეს გავყვე-  
ბით და სჯეობიან რო იმასვე მივუბრუნდეთ, — თამამად რო  
იდგნენ იგი წინანი, ბოლო დღეების მოვლენებმა რო წაპყა-  
რა წინა, უნებურადა, შეუცნობლადა, თავისთავადა. და თვით  
იმათაც დააღეს პირი, გაქვავდნენ ისევე, ლენტო რო გაქვავ-  
და მოულოდნელადა, ისევე გაქვავდნენ, იმანვე გააქვავა ისი-  
ნიცა, იგი წინანი, კვარცხლბეჭისანი... კოტე აღიოდა იმა სა-  
ხელდახელო, იმა კინკიბურა კიბეზედა.

და კოტე მაინც იმდენი არაფერით.

და მაინც კოტე მიუძღვდა, გზას უკაფავდა და მიუძღ-  
და, აღიოდა და აპყავდა...

და ეგება მიმისვდე:

პრემიერა წარმოადგინამეთქი, „ტამერფორსის შექვეყნის ერთი“ ერქვა იმ სპექტაკლსამეთქი;

ერთი სცენა იქაც გაიტანა, გ-ში, ძეგლთანამეთქი;

იმ სცენის მონაწილენი ჩაისხა და წამოიყვანამეთქი;

აპყვნენ და წამოპყვნენ სხვანიცამეთქი, — თუმცა ეს არა, ეს არაფერით, ითქვა და მორჩა, მთავარი ესაა: მონაწილენი წამოიყვანამეთქი; და მიმიხვდები, შენ მიმიხვდები,

ამდენი რამ გითხარი,

ამდენი რამ გაგიმეორე,

შენ მიმიხვდები რაღა თქმა უნდა, თღონდ ისინი რას მიმ-ხვდარიყვნენ, — კოტე ადიოდა, რეეისორი ადიოდა კვარცხლ-ბეჭედამეთქი, ეს არაფერი, კოტე მიუძღვდამეთქი, იმათ მი-უძღოდა, მონაწილეებს იმა სცენისამეთქი, — ეს იყო, რაც იყო, ამან გააქვავა კვარცხლბეჭებზე ისინი, მოთავენი თუ მო-პირველენი, ძირს ის ზღვა ხალხი, გააშეშა და გააქვავა; ჯერ გააქვავა და მეტი არც ითქმის, გაქვავება გაქვავებაა, ხოლო თუ მერე რა დატრიალდა, ამის აღწერას ვერ შევუდგები, ვერც გავძედავ, ვერ შევძლებ და იმიტომა, რა ვქნა, ვერ შევძლებ, სხვამ ვინც უნდა დაიტრაბახოს, მე ამას ვიტყვი და გავიმე-ორებ, ვერ შევძლებმეთქი; უთქმელობაც არ იქნებათ, ცხად-ზე ცხადია და ვინც ანი თქვათ, ბანიც იმან უნდა მოადევნო-სო. პოდა მიუძღოდათ, არა?.. მიუძღოდა და წარადგინა: ერ-თი იგი, განსახება იმა ძეგლისა, განსახება და გამოცხადე-ბაი ცოცხლობრივი, მეორე იგი, ვისთანაც ერთად აღზე-ვებულიყო, ვისაც დროშად დააფრიალებდა, ვისი სახელი-თაც იღვწოდა, ვიდრე აღემატებოდა თავისი ხახელითა, — ასე წარმოსდგა ორივე ერთადა აღვნებული ხალხის წინაშე, სცენიდან გადმოვიდა, სცენიდან მოევლინა აფორიაქებულ მოედანსა და უფრო მეტადაც ააფორიაქა, უფრო მეტადაც და-აპნია, გაახლუა, აიტანა და დაფლითა სულიან-ხორციანადა. აპა და ეს იყოს ბანიცა, დანარჩენი წარმოიდგინე როგორც თუ შე-გეძლოს, ზღვა წარმოიდგინე თუ გენებოს, ზღვაი აღელვებული, ტალღა ტ-ლღას შევახებული, გრიალი შემზარავი, — მოთქმა, ტირილი, ხარხარი, ღმუილი, წივილი, წემურუნი, აღრეული ერთიმეორემია და შელეწილი კლდოვან ნაპირებზედა. დანარ-

ნენს ნუ მომთხოვ, დაწვრილებით წუდარას მომთხოვ ქეშე-  
ბისასა და მოედნებისასა, აფორიაქებულ სხვა მოედნებისას  
ამას რომ მოჰყვა, გამოცხადებასა ამათასასა, ყოვლად მოუ-  
ლოდნელსა, ყოვლად გაუთვალისწინებელსა ამა ურწმუნო  
საუკუნეშია. რაც უნდა იყოს, ჩაიარა უეცრობის წუთებმაცა, —  
ამას მაინც გეტყვი, — ანთუ მიკროფონებმა წააჭარბა ხალხის  
გუგუნსა თუ მოთქმა-ღრიალსა, ანთუ იმა ორთა შეხვედრამ,  
ვითომ პირველმა შეხვედრა-გაცნობამათ, გადაპფარა ყველა  
და ყველაფერი, გადაპფარა და მიაყუჩა, თითქოსდა მტკვა-  
რიც მიაყუჩათ, მიაყუჩათ და იხდა გაისმოდა, ხმაი იმათი,  
იმათი ხმალა გაისმოდა გაღმით გამოღმა:

„ — დაგინახეთ თუ არა, მივხვდი, თქვენ უნდა იყოთ მგზნე-  
ბარე კოლხიდელი!

„ — დიახ მთის არწივო, თქვენი ალლო შეუმცდარია!

მთის არწივი — მაშ გამარჯვებათ მგზნებარე კოლ-  
ხიდელო!

მგზნებარე კოლხიდელი — გაგიმარჯოთ მთის  
არწივი!

მთის არწივი — რა ამბავი ჩამოგვიტანეთ კავკასიიდან?

მგზნებარე კოლხიდელი — რუსეთის რევოლუცი-  
ის გამარჯვების ურყევი რწმენა და კავკასიის პროლეტარია-  
ტის მარადიული მეგობრობა რუსეთის პროლეტარიატთან.

მთის არწივი — მოხარული ვარ! მოხარული ვარ! მაგ-  
რამ კავკასიაში არიან ადამიანები, სხვანაირადაც რო ფიქრო-  
ბენ. მიმიხვდებით, მე ვეულისხმობ ქართველ სეპარატისტებს.

მგზნებარე კოლხიდელი — წვენ დავამსხვრევთ  
მათს წინააღმდეგობას და ნიადაგს აღმოვფხვრით მათი იმე-  
დებისა.

მთის არწივი — მოსარული ვარ და მჯერა თქვენი,  
მგზნებარე კოლხიდელო!

მგზნებარე კოლხიდელი — გვეროდეთ და მტკი-  
ცედ იარეთ, მთის არწივო.

მთის არწივი — მომეცით ხელი, მგზნებარე კოლხი-  
დელო!

მგზნებარე კოლხიდელი — აი წემი ხელი მთის  
არწივო!



და შემთკრავდნენ ხელი-ხელსა, მაგრადაც ჩაბლუკავებულ-  
ნენ რაღა თქმა უნდა, პიესაშიც ასე ეწერა: „მხურვალებულ ჭუჭუჭულებენ  
ართმევენ. აღტაცებული შეპყურებენ ერთმანეთსა“-ო, მაგრამ  
არ აკმარეს ნაპერწელები აღტაცებისა, შეუძახეს და შეუძახეს,  
დაიგუგუნეს და დაიგუგუნეს, გადაპკოცნეთ ერთმანეთით,  
დაიგუგუნეს და გადაეხვივნენ ისინიცა ერთიმეორესა, გადა-  
ეხვივნენ და გადაპკოცნეს, ისეთი ხვნეშითა, ისეთი ჟინითა,  
ურიალი აუტყდა მიკროფონსაცა, ხალხმაც დაიქუსა და მიწა  
იძრა თითქოსათ, მიწა იძრა და თითქოს ზეცაც შეტორტმან-  
დათ, არწივი ცაში ამოტრიალდა, უგრე წამოვიდა ფეხებაპარ-  
ჟეული, მერე უეცრად ფრთა ფრთას შემთკრა, დაიყივლა და  
გადაიკარგა კოჯრისაკენა თუ შავნაბალისაკენა, მყინვარისა-  
კენა თუ საით გადაიკარგა, ვერავინ მიადევნა თვალი; არც-  
უ არავის ეკითხებოდა, არცთუ არწივით, არც სხვა არაფე-  
რით, ისინი ენვეოდნენ, ისინი პკოცნიდნენ ერთმანეთსა,  
ისინი, ორნი, ანთუ ერთნი,— ვისთუ დაცილება მოენდომები-  
ნა, ვითომ გაწილებულიყო ასე თვალსაჩინოდა, — მ. რადის  
ერთნი, მარადის განუყრელნი და ბლაოდა ხალხიცა ერთადვე  
იმათს სახელებსა, ბლაოდა გაბმულადა, გადაბმულადა, ბლაო-  
და და შესვენებასაც არ დააცდიდა იმა თრთა, ანთუ ერთთა,  
აკოცევითო და აკოცევითო, და პკოცნიდნენ ისინიცა, ერთ-  
მანეთსა პკოცნიდნენ უთვალავადა, გაუთავებლადა, პკოცნიდ-  
ნენ და პკოცნიდნენ; გრიმი აეჭიშუნათ, პარიკები მოექცათ,  
კოსტუმები მიმოეჩენათ, აღარცთუ პგავდნენ, ვისაც თუ პგავ-  
დნენ, მაინც შეპბლაოდნენ, კიდევ აკოცეთო, მაინცა პკოცნი-  
დნენ კიდევ და კიდევა, ამასთან ისიც არ დაგავიწყდეს, ხე-  
ლები ჩაბლუკოდა იმათს კალთებსა, არ გადაცვივდნენ კვარ-  
ცხლებეკიდანაო. და ბლაოდა ხალხი, თუ ტიროდა, თუ იცი-  
ოდა მნელი სათქმელია, მაინც ბლაუდაო უკეთ გამოდის,  
ბლაოდა ბლაოდა ხალხი, ისინი პკოცნიდნენ. არწივი პო გადა-  
კარგულიყო, კოტე ბლოელი გადმომდგარიყო არწივივითა,  
ის იყო მეუფე, ის იყო განმგებელი, მფლობელი გახლდა იმა  
უამისა და ტკბებოდა იგი, იგი მფლობელი, შემთმქმედი იგი,  
ტკბებოდა თავისი ხელქმნილითა.

და იყო იგი ხელოვანი იშვიათთაგანი.

და ლენტო უვლიდა გარსა, წხრიალებდა ლენტოს აპარა-

ტი, ბზრიალებდა და შერიალებდა, — კიდევაც შესძახებდა  
ლენტი, კოტეს შესძახებდა, მაგრამ არათ, ასე ცალ-ცალკე  
ვერც ვერავის დაინახავდა კოტე, ვერც ვერავის გაუგონებ-  
და, რა ვუყოთ თუ ვერ გაუგონებდა, არ დაიძრახებოდა, მაინც  
არათ, ტკბებოდა ხელოვანი თავისი ხელქმნილითა.

და ბლაოდა ხალხი.

და პკოცნიდნენ... ოღონდ თუ ვინაო, — ძნელიდა სათქმე-  
ლია, ისე აეშალათ გრიმი თუ პარიკი, კოსტუმები ისე აეჩე-  
ნათ, მაინც ჩაებდუჯა რამდენიმე ხელსა, არ გადაცვივდნენო,  
მაინცა პკოცნიდნენ და თუ მაინც გადმოცვივდებოდნენ, დაფ-  
ლეთდა ხალხი, ნაკუწებად გაიტაცებდა, ვითარცა წმინდა ნა-  
წილებსათ; მადლობა ღმერთსა, არ გადმოცვივდნენო, თო-  
რემ და რაო, გაიწირებოდნენ უჩინარი თუ სახელგაუთქვამი  
თეატრის მსახიობები ამ უჩვეული წარმატების ჟამსაო, — რა  
უცნაურად გაიწირებოდნენ!..

და მხოლოდ ეს იყო, — ერთს ყელსახვევი მაინც ჩამოუ-  
ვარდა, ჭრელი იგი ცნობილი ყელსახვევი, ციხის სურათიდან  
რო გამოსულიყო მხატვართა ტილოებზე, ჩამოუვარდა და ის  
დაკუწესო; ოღონდ თუ როგორაო, — ამის აღწერისაგან მაინც  
გამომიხსნია თავი.

## XXII

„ვიცნი საქმენი შენი და შრომაი შენი და მოთმინებაი  
შენი და ვითარმედ ვერ ძალ-გიც ტვირთვად უკეთურთა მათ  
და გამოსცადენ იგინი, რომელი იტყვიან თავთა თვისთა მო-  
ციქულად, და არა არიან, და პპოვენ იგინი მტყვევარ“.

რაც უნდა იყოს, ეს იმ წუთსაო, ჟამსა იმ უჩვეული წარ-  
მატებისასაო, თორემ მერეო, თანაც სულ მალეო, აღარც აღა-  
რავის ეკითხებოდა, ვინ იყვნენ ისინი თუ ვის განასახიერებ-  
დნენ, რა იქნენ თუ სად ჩაიყლაპნენ, — აღარავის ეკითხებო-  
და, ყველას თავისი გასჭირებოდა... ეს ისე მოხდა, ვერცთუ  
გაიგეს, ვერცა წინასწარა, ვერცა მაშინვე, ტყვიამ რო იწვი-  
მა, — შიშმა გაპფანტა, გააბნია, შიშმა გადამალა, გაგებამ არა,  
გაგებით მაინც მერედა გაიგეს, ჭექა-ჭუხილმა რო გადაიარა,  
თუ გადაიარა, ხოლო თუ ვინცთუ ტყვიის ქვეშ მოპყვა, იმათ

მაინც ველარა გაიგეს, წავიდნენ ისე გაუგებრადა; თუმცა ამა-  
თაც უნდა გაეგოთ, ახლა ვიღა გამოიკითხავს, თორემ უფრუფრუა  
უნდა გაეგოთ, რადგან რო ტანქები ვერ შემთიპარებოდნენ ისე  
უჩუმრადა, ვერც შემთიპარებოდნენ და არც შემთიპარულან,  
გრუხუნით შემთერტყნენ თრბელიანთა კუნძულსა, გაიჭიმ-  
ნენ სანაპიროზედა, ზევით-ქვევითა, გაღმა-გამოღმა, უნდა  
მიმხვდარიყვნენ რაღა თქმა უნდა, მაგრამ მიხვედრა მოღუ-  
ნებულიყო, ანთუ ეგონათ, საზეიმოდ გამოსულანო, ჯარიც  
წვენთანაა, თანაგვიგრძნობსო, ანთუ ეგონათ, აბა მაშ რაო,  
სწავლითაც პრ ასე დაესწავლებინათ, — ჯარი ხალხისაა და  
ხალხი ჯარისათ, ერთნი არიან და ერთი სულისათ, ერთი  
სწამო და ერთს ესწრაფვიანო, — პოდა მიხვედრა მოღუნებუ-  
ლიყო, ანთუ ასედა მიმხვდარიყვნენ და ხალხი რო ბდაოდა,  
გადაეხვითოთ, ტანქებიც ეხვეოდა კუნძულსა, გრუხუნით ეხ-  
ვითდა. ღრიალში იხრჩნოდა გრუხუნი, ანთუ გრუხუნი ამძაფ-  
რებდა ღრიალსა. ასე შეერწყო და ასე შეეპარა. და რო გან-  
ლაგდა ტანქები თავთავის აღვილასა, და რო მიყუჩდა, ესეც  
ვითომ არაფერიო, მითუმეტეს არაფერიო; სარქველები რო  
აპხადეს ტანქებსა და ზედ გადმოსხდნენ მეტანკები, ესეც  
ვითომ არაფერიო, ანთუ თანაგრძნობა სწორედაც ეს არისო,  
და რა გასაკვირია, ველარა გაეგოთ, როდის თუ როგორ ჩაი-  
ხუფებოდა ტანკები, როდის თუ როგორ გაისმოდა ბრძანება  
სრთლისა, როდის თუ როგორ დაეცემოდა პირველი მსხვერ-  
პლი, რა გასაკვირია?! და აკოცეთო, ბდაოდა ხალხი, ხალხი  
ბდაოდა და პკოცნიდნენ ისინიცა: ერთნი არიან, განუყოფელ-  
ნი არიან, ვერავინ გაჰყრისო, ბდაოდა და მხნეობდა ხალხი.

და ეუწყოს ქვეუნიერებასაო, დაიგუგუნა ბეგლარმაცა მიკ-  
როფონშია.

ეუწყოსო, დაიგუგუნა ხალხმაცა, დაიგუგუნა და დასცხო  
ტაშიცა, ვითომ და რაო, ესაათ და გადაწყდა უკვე სამარადი-  
სოდათ, ერთნი არიან და ველატც გაჰყრიანო.

და მოითმინეთო, — მაინც სხვა ვინმე დაეუფლა მიქრო-  
ფონსა, სხვა ფეხიც აირია კვარცხლბეჭედა, ისედაც ვიწრო-  
ზედა, ისერაც მოუხერხებელზედა; სხვა ფეხი აირია და შე-  
ავიწროვა მანამდელნი, თვით ის მკოცნავებიცა, აბა, აბა —

შკოცნავებიცა!.. შეავიწროვა და სულაც მიაფუჩება, აღარც  
გამოჩენილან, არც თავი ჰქონდათ გამოჩენისა; სრული გურია  
აირია და სხვა უფლებით მოვიდა, სხვა დავალებითა, სხვა  
ბრძანებითა, ხელისუფალთა ბრძანებითა, წესრიგი რო აღედ-  
გინა, ამ ბრძანებითა. აქამდე რაც იყო, უთავბოლოდ ითქმო-  
და თუ რადაც ითქმოდა, თავისთავად იყო, თავისთავად იქმნა,  
ამიერიდან ბრძანება იწყებდა, ზეგარდმო ბრძანებაი. და მი-  
ტინგს ვიწყებთო, გამოაცხადა მოთავეთაგანმა იმათ შორისა,  
იმა შემორეულ ფეხთა შორისა, რიხიანად გამოაცხადა, სა-  
ზეიმო-სამგლოვარო მიტინგს ვიწყებთო. მოითმინეთო, იმან-  
ვე ბრძანა, და აი ვიწყებთო, იმანვე მოაყოლა, მოაყოლა იმ-  
დაგვარადა, ვითომც მანამდე არცრა მომხდარიყოს, თუ მოგ-  
როვილიყვნენ, ამათვის მოგროვილიყვნენ, თუ ელოდნენ,  
ამათ ელოდნენ და ვითომ ამათი ლოდინისათვის იყო ის იმ-  
თდენი ტაშიცა და ღრიანცელიცა. ეგება მართლაც ასეცა სჯობ-  
დათ, რაც იყო თუ როგორც იყოთ, სჯობდა ამგვარად გადახ-  
რილიყოთ, ამბობდნენ ზოგნი, კიდევაც ეგებუნათ, კიდევაც  
შემოეკრათ ტაში, თუნდაც ხელები დაემტვრიათ ტაშითა,  
ხმა ჩახლებოდათ შეძახილებითა და დამლილიყვნენ ნება-ნე-  
ბათ კმაყოფილნი და ხმაჩახლებილნი; ეგება თუ არცა სჯობ-  
დათ, ზოგნიც დასძენდნენ, რაც თუ მოხდა, ისა სჯობდათ,  
ანთუ ვინ იცის, ანთუ ვინ უწყისო, აღარც გაირჩევა, — რა-  
ტომაც არა!.. — არარც შემობრუნდება აღარაფერი, აღარცა  
ახლა რაღა თქმა უნდა, აღარცა მაშინა, აღარაფერი შემობ-  
რუნდებოდა, ვეღარც დაიწყებოდა უკვე დაწყებული, ვეღარც  
ისევე, იმნაირადა, ვეღარც სხვაგვარად, სხვანაირადა, ვერა,  
ვეღარა. უძალო გამხდარიყო სიტყვაი, თუნდაც რიხიანი,  
თუნდაც მბრძანებლური, დაუძლურებულიყო გათელილი  
სიტყვაი, სწორედაც გათელილი დაუძლურებულიყო, ცოცხა-  
ლი სიტყვა მოძალებულიყო, რაღაც ახალი მოძალებულიყო,  
ვეღარას გააწყობდა გათელილი სიტყვაი, სწორედაც გათე-  
ლილი.

ვეღარც რა გააწყო... თუმცა ეგონათ ადვილადვე ავიყო-  
ლიებთო. გუბოძოთ, რაც თუ მონდომებიათო, ვუბოძოთ იგი,  
მიტინგი იგი საზეიმო-სამგლოვაროთ, ჩავერიოთ, და ავი-  
ყოლიოთო, აგვდევდნენ და აგვყვებიანთ. მაგრამ და რათ,



უქაცრავადო, აგდევდით და ვეღარ აგყვებითა, ანთუ შეუცხადა  
რაღას მიქვიან, რაც თუ ჩვენვე მოგვიპოვებიაო, უცხუ სად  
იყავით აქამდისათ, დაგაგვიანდათ, დაგაგვიანდათ. და შეგ-  
ვიანებამ იმძლავრა სწორედაცა, იმოქმედა გასაოცრადა, გარ-  
დაჟემნა, გამოსცვალა, გადაასწვაფერა ხალხი, ანთუ დაუბრუ-  
ნა ფერი თავისი, თვალი ამოუწმინდა, ყური გამოუჩიჩქნა,  
შტვერი გამოუბერტყა თავიდანა, ანთუ, ანთუ. და ადიოდა,  
და ადიოდა მტკერი, ადიოდა და ბრჭყვიალებდა ძლიერ შექ-  
ზედა. იქ იმას ეყრებოდა თვალებშია, იმა მოთავესა წარმოგ-  
ზავნილთა, მიკროფონთან რო მიმარჯვებულიყო, ქაღალდებს  
რო ჩეჩავდა, გამოტანებულ ქაღალდებსა, მტკერიც ეყრებოდა  
თვალებშია და ისედაც ვეღარ გაერჩია, ჯერ თუ რომელი წა-  
ეკითხა, მერე თუ რომელი, ვერ გაერჩია და უნდა გაერჩია  
უსწრაფესადა, თორემ იქავე იდგნენ თუ ჯერაც არ ჩამოცვე-  
ნილიყვნენ იგი მესიტყვენი, უქაღალდონი, იგივე მფლობელ-  
ნი მოზღვავებული ხალხის კნებათა, იდგნენ და აცდიდნენ,  
აბა თუ რას გვეტყვი, რა ამბავი მოგიტანიაო.

ოღონდ მოეტანათ: კიბე მოეტანათ მოხერხებული, ტრაპი  
მოეტანათ, თვითმფრინავებს რო უდგამენ ხოლმე, ქარცხლ-  
ბეკზე მიედგათ ტრაპი, იმითი ასულიყვნენ, ანთუ აფრენი-  
ლიყვნენ, ვითომ თუ მართლა უნდა გაფრინდნენო. ჯერ ის  
ასულიყო, მოთავეი თუ ქაღალდებჩაბლუჯელი, მოთავეობაც  
რო ამითი ეთქმოდა. სახელით არც მოიხსენიება, თორემ გა-  
ნა ვის დაგიწყებია, — სახელით მაინც არ მოიხსენიება, ჩვეუ-  
ლებრივი მედროვე რო გახდა, მედროვენიც რო ახლდნენ  
თანა, იმათაც რო მოემარაგებინათ ქაღალდები, თღონდ ჯერ  
რო ჯიბეში ელაგათ, ქაღალდები, დაწერილი სიტყვები,  
სხვების დაწერილნი: ესენი პო მოწინავენი გახლდნენ, წერაც  
რო არ იცოდნენ, ლაპარაკიც რო არ იცოდნენ, კითხვაც რო  
არ იცოდნენ, საქმეშიაც რო არ ექნათ ღმერთსა, თავიანთ  
საქმეში რაღა თქმა უნდა, მოწინავენი, სახელი რო მაინც  
გაეთქვათ, ანთუ ხელისუფლებას რო გაეთქვა იმათი სახელი,  
სადაც დასჭირდებოდა, რო გამუეყვანა, რაც რო დასჭირდე-  
ბოდა, ელაპარაკებინა, რაც რო დასჭირდებოდა, როგორც  
დასჭირდებოდა, როგორც ენება, ისე ელაპარაკებინა, ანთუ  
წაეკითხებინა, რასაც რო მიაჩეჩებდნენ ხელშია, წაეკითხე-

ბინა ხან რო თუნდაც ჯლოყინითათ, სახელით მაინც გამოიწვია  
დათ, ისე რო გაეთქვათ სახელით. „აქტივიც“ იქ გახლდა და ყვე-  
ლა ისინი პო „აქტივიზი“ იყვნენ, თღონდ რო მაინც, თვალი  
მაინც იმას მიაყოლა ლენტომა, თვალიცა და აპარატიცა: რო-  
გორი რიხით ადიოდა, როგორი თავგამოდებითა, პო როგო-  
რითა: აი და ჩაიგითხავს თავის სიტყვასა და დაირეგავს ხალ-  
ხსა ცხვრის ფარასავითათ, საითაც უნდა, იქით დაირეგავსო,  
ასეთი რიხით ადიოდა, ასეთივე თავგამოდებითა. პირველი  
სიტყვაც იმას უბოძა მოთავემა იმათმა თუ პირველთაგანმა  
იმათშია, პირველი სიტყვაც იმას უბოძა და პირველადაც იმას  
აუსირდა ხალხი:

— არ გვინდა.. არ გვინდა.. არ გვინდა ეგენი..

არც ეგაო და არც ეგენით, არც შენათ რაღა თქმა უნდა,  
მაგრამ არ დასთმობდნენ ეგრე ადვილადა, როდის რა და-  
ეთმოთ, რო ეს დაეთმოთ, — რა სათქმელია.. თღონდ ეს ერ-  
თი დასთმეს მაინცა, ისე, რა, — მოჩვენებითა: მოდი ჯერ პო-  
ეტი გამოვუშვათო, ასე აჯობებს ტაქტიკურადათ. თუმცა რო  
ვიღა დაგიდევდა ტაქტიკასა თუ სტრატეგიასა, გუგუნებდა  
ხალხი, გრგვინავდა ხალხი; იქით პო გრგვინავდნენ და გუ-  
გუნებდნენ, აქ ახლოს ტრაპსაც ეჯაჯგურებოდნენ: უნდა ჩა-  
მოყარათ ესენი თუ თვითონ უნდოდათ აცვივნილიყვნენ, —  
ანთუ ესეც უნდოდათ, ანთუ ისიცა, ანთუ სულერთია, მთავა-  
რია, რო ეჯაჯგურებოდნენ, გადმოჰყოდნენ იმათა, ანთუ  
სულაც გადმოაბრუნებდნენ ტრაპსა, შესდგებოდნენ ზედა და  
დაჭრებულნენ ერთიანადა; და მე შენ გეტყვი, მეორეც ექ-  
ნებოდა ამ ჩვენს საცოდავ აეროდრომსა, — დარჩებოდნენ ასე  
უტრაპოდა და მერე გენასათ თუ როგორ ახტებოდნენ, ანთუ  
ჩამოხტებოდნენ თვითმურინავიდანა მგზავრები, გენასათ ერ-  
თი, დაჭრებულნენ რო ერთისიტყვითა. მაგრამ იცავდნენ,  
ჯანდღნიანი ყმაწვილები იცავდნენ, იცავდნენ და ბაქიბუ-  
ქობდნენ თანაც ისე და იმგვარადა, ხალხისანი რო გეგონე-  
ბოდა და არა ტრაპისანი: თქვენ იქით გადექით, დააცადეთ  
ამათა, თქვან თუ რა უნდათ, ჯერა თქვან და მერე ჩვენ ვი-  
ცითო, თქვენ იქით გადექით, ჩვენ გაფუსწორდებითო. „პერს-  
პეტული ახალგაზრდაც“ იცნო ლენტომა, იმათში იცნო, იც-



ნო და რთ არც დაფიქრებულა, ეცა ყელმია. გაიფაფხურა იმანაცა. გაიფაფხურა. საყელო შეატოვა და გაუძვრა ხელფლის, ანთუ ვერც რთ გაუძვრებოდა, ოღონდ ესაა, რთ სხვებმა დაითრიეს ლენტო, დაითრიეს, პთი როგორმა ჯანიანებმა, — ძიუდისტებზე ნაკლებნი არ იქნებოდნენ, დაითრიეს და შეტენეს ხალხშია, ისე შეტენეს, მერე ძლივსლა რთ გამოაღწია, ისევ ისე რთ გუგუნებდა ხალხი: არ გვინდა ეგენი, მაგათი სიტყვები ზეპირად ვიცითო, აღარ გვინდა ეგ გაცვეთილი სიტყვები, ისინი გვინდა, უქაღალდებოდ რთ ლაპარაკობენთ.

ისინი გვინდათ და:

გუგუნი იგი უცებ ჩასჭრა ბეგლარის ხმამა: ცოტა ამათაც დავაცადოთო, გადაუციათ ჩვენი სურვილები მოსკოვს, უმაღლესთათვისა, განკარგულებაც მოუტანიათ, პთდა კიდევაც დავაცადოთო.

კეთილი და პატიოსანი, ოღონდ მაღეო, აბა თუ რა მოუტანიათო, ოღონდ მაღეო, მაღეო, მაღეო.

მიტინგით, საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგით.

არ გვინდა მაგათი მიტინგით, მაგათი არ გვინდათ, დაიგრიალა და დაიგრიალა ხალხმა, ჯერ დაიზმუვლა და მერე იყო, რთ დაიგრიალა, ყველა მანამდელზე უცნაურადა თუ შემზარვადა, დაიგრიალა და დაიზმუვლა კიდევა და კიდევა, მერე აირია ერთმანეთშია, ზმულილიათ თუ გრიალიო, ველარ გაიგებდი, ციდანააო თუ მიწიდანაო, ვერც ამას გაიგებდაი, ადამიანურს რთ არა ჰეგავდა, ამას მაინც მიპხვდებოდი როგორმე და მაინც ვეღარაფერს მიპხვდებოდი, მიწისძვრა იყო თუ ცის ჩამოქცევაო, ვერ განასხვავებდი, ვერ გაიგებდი, ვერ მიპხვდებოდი, ვერ განასხვავებდი. ხოლო იქ ისევ დაქანაობდა ის ქაღალდები, ჩაბლუჯული ქაღალდები, იქა, ძეგლთანა თუ მიკროფონისა და ძეგლის შეა, დაქანაობდა და გაიშლებოდა და ჩაიბლუჯებოდა ისევ და ისევა, ცხვირიც ჩაირგვებოდა ბლუჯებშია, ამოვარდებოდა და ჩაირგვებოდა ისევა, ანთუ განიყოფოდა ბლუჯები ქაღალდთა და ქანაობდა ბლუჯები აქეთ-იქითა, ცხვირი შეაშია, ბლუჯების შეაშია, ქანაობდა და ქანაობდა. ეს იყო და ესა, ცა და დედამიწა იქცეოდა და ქანაობდა ცხვირი ბლუჯების შეა. არაფერი ეშველებოდა, რაღაც სხვა უნდოდა, ვიღაც სხვა უნდა მიმდგარიყო, ანთუ



ისევ ბეგლარიო, ანთუ ნაშიგოიო, ანთუ ფარნაოშს რო წერილი და, ანთუ ნუგზარი რო იმას ერქვა ალბათა, ანთუ თუშიმუშავა ლენტოი, მაგრამ ამათი მიშვება აღარ უნდოდათ მიკროფონთანა, ხოლო იმათ აღარას აცდიდნენ; ისევ პოეტი თუ უშველიდათ, ჰო გადასწყვიტეს, ჯერ პოეტიო, მერე მთაყოლებდნენ ყველა დანარჩენსა, ისევ ისე და იმავ რიგისადა, როვთრც რო ზევით დაემტკიცებინათ, ჰო გადასწყვიტეს, მაგრამ არ აცდიდნენ და .. მაინც მიკროფონი იმათ ხელთ იყო, იბდავლებდა ხალხი და დაიღლებოდა, დროს უხელთებდნენ მაინცა, და თითქოს მართლაც რო უხელთესო:

— სიტყვა ეკუთვნის თქვენს საყვარელ პოეტს,... — და დაასახელა, ვისაც რო ხელისუფალნი აჩეჩებდნენ ხალხსა.

— არ გვინდა! — არ დააცადეს და შეაჭრეს ისე, — არ გვინდა!.. არ გვინდა!... არ გვინდა!.. არ გვინდა!.. — ვისაც რო ხელისუფლება აჩეჩებდა ხალხსა, რო გამოეგზავნათ და რო არ იცოდა, საით გამძვრალიყო.

იმანაც რო არ დაიშალა:

— ...თქვენს საყვარელ პოეტს...

ამათაც იქვე გადაუჭრეს სახელი:

— არ გვინდა, არააა, ააააარ გვინდა!..

და მაინც პოეტის სახელი მოვარდა უეცრადა:

— გალაკტიონი გვინდა, გალაკტიონიიიი...

— გოგლა გვინდა, გოგლაააა...

ორი სახელი მოვარდა ერთადა, ერთად აიტანა ისედაც ადედებული კუნძული.

მიკროფონი მაინცა მძლავრობდა და მაინც ის წაყენეს, ისათუ იგი, რამდენჯერმე სახელგადაჭრილი წაყენეს რაღა თქმა უნდა, წაყენეს და ძლივს წაყენეს, ძლივს მოუცალეს ადგილიცა, ხელიც წაშეელეს, არ გადავარდესო, — ეს იცი, ამაზე აღარას ვამბობ, ოღონდ იმათ თუ სხვანი მიაშველებდნენ ხელსა, ამას სულ სხვანი რაღა თქმა უნდა, — წაყენეს და იდგა ისიცა, დიდად წარჩინებული და დიდად ცნობილი, დამშვენებული დაფნის გვირგვინითა, მკერდმოკირწყლული ჯილდოებითა, თავაწეული, ამაღლებული, მხრებგაჭიმული, ამაყი, ზვიადი, მოღერებული, თვალად ბრიალა, საღუქი ღიმილითა და ანეგლოტებით გამოტენილი აბგებითა და ვითარც

ჰმბობდნენ, ანეგდოტები ერჩივნა ყველაფერსა, ანეკორტები  
და ნარდიცა აგრეთვე, — ასე გაეგონა, ვისაცთუ გაეგონა ანეკორტები  
•ცნობდა ვინცთუ იცნობდა, ოღონდ იქ ვერა, ვეღარ იცნო-  
ბოდა, იგივე გახლდა თუ წარმოედგინათ ვიღაცა სხვაი, ვე-  
ღარ იცნობოდა, მობუზულიყო, მოკუნტულიყო ცხრაკეცადათ,  
თვალთა ბრიალი სადღაც გაპპარვოდა, ხმაც გაპპარვოდა, მაგ-  
რამ წაყენეს და რაღას იზამდა, — ამბობდა ისიცა, პოეტი  
იგი თქვენი საყვარელიო, — ამბობდა ისიცა:

— მე წაგიკითხავთ საყველთაოდ ცნობილ ლექსი...

— ააააარ გვინდა!

და ვითომ არც ესმოდა;

— დიახ, წაგიკითხავთ...

და მაინც არ უთმობდნენ:

— ააააარ გვინდა!

და მხრებს იჩენდა იგი, რა ვქნაო, განდგომა უნდოდა, არ  
გაუშვებდნენ, ხელში ეჭირათ, საით წავიდოდა? და ჩასძახოდა  
ისევ მიკროფონსა:

— მე... „წულუკიძის...“

— ააააარ გვინდა!

გრიალებდა ისე, ქარი მოდიოდა ისეთი, ქარი თუ გრიგა-  
ლი, ლამის ყველანი აეტანა კვარცხლბეჭიანადა, ძეგლიანადა.

— ...წაგი...

მაინცა ხაოდა ხმაწასული მიკროფონი.

— ააააარ გვინდა!

მოპქროდა ისევა, ხორშაქიანი ქვენა ქარი მოპქროდა.

— ...პო... წაგიკითხავთ... — სცადა იგივე გაპარულმა ხმა-  
მა, დაპხეთ, მაინცა, მაინცა სცადა, ეს მაშინ მართლაც ვაჟ-  
გაცობად ითქმოდა, ხელითაც ეჭირათ და ვაჟკაცობადაც ით-  
ქმოდა, დაუგდეს კიდეცა ვაჟკაცის სახელი, კიდევ და კიდევ  
ჯილდოც უბოძეს მალე მომდევნო წლისთავებზედა, ის არც  
ახსოვდათ და არც მოიგონებდნენ, იქ თუ რა მძვინვარედ  
შესძახა ხალხმა:

— ააააარ გვინდაააააა, აააარააააააა....

— „მამავ ძვირფასო“ გვინდა!

და ის მაინც::

— კეთილი, კეთილი!.. მე...

- მაინცო და ესენიც მაინც!
- ააარ გვინდა, ააარ გვინდა!
- „მამავ ძვირფასო“ გვინდა!
- „მამავ ძვირფასო“!..
- ....„მამავ ძვირფასო“!..

აქ ვიდაც ჩაერთა, ალბათ იგივე ქაღალდებზაბლუჯული თუ გაშეშებული ცხვირი, იმჯერად უკვე გაშეშებული:

— ძვირფასო ხალხო, მოუსმინეთ, ძვირფასო ხალხო, მიკროფონთან არის თქვენი საყვარელი პოეტი...

- არ გვინდა!
- ააარ გვინდააა!
- გალაკტიონი გვინდა!
- გოგლა გვინდა!
- სიმონი გვინდა!
- ითხები!.. ითხები!..

ამას მაინც ადარ ელოდა, იმათთან კიდევ დასდებდა თავსა, ამას მაინც არ მოელოდა, — ითხებით, არ მოელოდა და იგრინებოდა იგი ზვიადი, იკეცებოდა და იმტკრეოდა, ინდაკნებოდა თუ რადაცას ეძებდა და თუ ეძებდა, ალბათ გასაძრომსა, მოსაფარებელსა, — ხმა ჰო გამპარვოდა, ტანიც უნდა გაეპარებინა, ოღონდ და ვერაო, ვერა და ვერ გაეპარებინა, ჰოდა ეძებდა იგი ზვიადი, ვინც წინ არავის დაიყენებდა საზეიმო შესვედრებზედა, ვიდრე ფავლი გაუვიდოდა რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა!.. თუმცა ფავლი ჯერ არ გასვლოდა, მაგრამ არ ემცხეთა ზეიმი იგი, გუგუნებდა ხალხი საბედისწეროდა, საავტედოდ აშლილიყო ხალხი, გასწრება სჯობდა, მომალვა სჯობდა, თავისი სორო ერჩივნა ყველაფერსა. ტალღებიც ურტყამდა, ტალღები ჰაერისა:

- გალაკტიონი გვინდა!
- გოგლა გვინდა!
- სიმონი გვინდა!

ითხებიც გვირჩევნიანო, შენ არაო, არ გვინდისარო.

და გუგუნებდა, გუგუნებდა სასტიკი მსჯავრი. ასეთი მსჯავრი პოეზიაში ბევრს მოსწეოდა, ბევრს ზურგთუქანა სიცოცხლეშივე, სიკვდილის მერეც ბევრსა და ბევრსა, ასე პირისპირ იშვიათთაგანს თუ მოსწეოდა და ვერც გადაეტანა თუ მოსწერა.



ოდა. ამან გადიტანა, ვმირულად გადიტანა, კიდევაც ამბობენ  
დნენ აფერუმ შენს ვაჟაცობასათ. მართლაც და მართლაც მართლა  
ძნელი ყოფილა ბედისწერასთან შეჭიდებათ, ძნელი ყოფილა  
და იშვიათიც მესჭიდებია, ესეც შეეჭიდა დიდების მწვერ-  
ვალზედა, თუმცა დაეძებდა თაგვის სორთსა, მაინც ესეც ჭი-  
დოლი გამოდის, მითუმეტეს რო გადაურჩა, გაუძვრა, გაასწ-  
რო და მერე პყვებოდა ანეგდოტებადა იმ სისხლიანი ღამის  
ამბავსა... სისხლიანი ღამის ამბებსა... არავინ ელოდა, ხალხი  
არ ელოდა რაღა თქმა უნდა, ხალხს სჯეროდა თავისი სიმარ-  
თლე და სიმართლე ხელისუფლებისა, — აი წავონებაც ამას  
მიქვიან, — სჯეროდა და ვერას იეჭვებდა თუ რა შზადდებოდა,  
სჯეროდა და ბლაოდა, შეუძახებდა, ასეც გაევონა, შეძახილმა  
ხე გაახმოო, ოღონდ იმდენი ვეღარ გაეგო, ის სხვა ხე რო  
იყო და სხვა იყო შემძახებელიცა; რაც იყო თუ როგორც რო  
იყო, ესენი მიპავდნენ, ესენი, ეს წარმოგზავნილნი, რაღაც  
რო გაწყდა და რაღაც რო გადაწყდა და რო ესენი რო ვერა-  
უერს რო ვერ მოაგვარებდნენ, მხოლოდ იმას თუ, თავი რო  
ემართლებინათ ხელისუფალთა, ვიღონეთო ფველაფერით,  
სხვა გზა არ იყო, უნდა გვესროლათ, მიპავდნენ, იგრძნეს,  
იხლაკნებოდნენ, იხვეწებოდნენ, — ე ბიჭო, ხვრელი საით  
არისო, — ხვრელსაც პო დაპირდნენ, გამოგიყვანთ მანამ-  
დისათ, მაგრამ ვინ იცისო, მაგრამ ვინ უწყისო; პირველი  
ტყვიაც მაშინ გავარდა, გავარდა, ოღონდ ჯერ იქვე არა, ზე-  
ვით გავარდა, რუსთაველზედა, ჯორჯიამვილის ქუჩის თავ-  
შია, კავშირგაბმულობის სახლი რო დარქმევია, იქიდან გა-  
ვარდა პირველიცა და უამრავიცა, იქიდანაცა და სასტუმრო  
„თბილისის“ სახურავიდანაცა, ჯვარედინი ცეცხლი წაიბა;  
იწვიმა ტყვიამა თუ ცეცხლმა, იწვიმა, გადმოიფრქვა და დიო-  
და, დიოდა, ადიოდა სისხლაცა რაღა თქმა უნდა, ავარდა  
მტვერიცა, სისხლი და ცეცხლი მტვერში გამოეხვია, ხოლო  
ხალხი — მტვერშიცა, სისხლშაცა, ცეცხლშიცა ცხალია, ვინც-  
თუ დაეცა ისინიცა, ვინც თუ გარბოდა თავდალმართშედა ჯორ-  
ჯიაშვილისა, ანთუ გაიჭრებოდა ნინოშვილის ძეგლისაკენა,  
ანთუ შეასწრებდა კაფე „თბილისშია“, ანთუ სახინკლე „თბი-  
ლისშია“, თან შეიტანდა სისხლაცა, მტვერსაცა, ცეცხლსაცა  
აგრეთვე, სადაც შეასწრებდა, იქ შეიტანდა. შრიალებდა შე-

შები კაფესი თუ სასტუმროს სადარბაზოსი, ზრიალუბებიც ზჟან  
შხვნებოდა, წიოდა ნაფშვენიცა, ტყვიასავითა ჭრაშებიც  
სჭრიდა აგერთვე ტყვიასავითა, კედლების ნატკეციცა, გრა-  
ნიტის ნატკეციცა, ეგრეთვე წიოდა და ბზრიალებდა განედე-  
ბული თუ გავარვარებული, — ეს იქა, ზევითაო, ხოლო იქ,  
ძეგლთან, თითქმის არაფერი გაიგონებოდა ისე ბღაოდა თუ  
გაპრეცენტულიყო ხალხი, ანთუ მაინც გაიგონებოდა, არც დაი-  
კერებდნენ ტყვიის წვიმასა, ჯერ მაინც არ დაიჯერებდნენ,  
ჯერ არ გვინდაო, ბღაოდნენ ისევა, ხოლო იქ ზევით ჟკვე  
დაეცა პირველი მსხვერპლი, უკეთუ მსხვერპლი პირველი  
ჟკვე დაეცნენ; დაეცნენ ისინი, საუწყებლად ვინც გაეშურნენ,  
მოსკოვს ეუწყოსო, აქ რო ითქვა და იქ გაეშურნენ საუწყებ-  
ლადა, გაეშურნენ და ვერ მიაღწიეს, მიატანეს და ვერ მიაღ-  
წიეს, შიგ არ შეუშვეს, არ გააკარეს ტელევრაფსა თუ რადიო-  
სა, იმათ არ შეუშვეს, ესენი არ მოეშვნენ და იწვიმა ტყვიამა  
ფანჯრებიდანა, სახურავიდანა, იწვიმა, მოსკდა ნიაღვარიცა.  
აქ ისევა ბღაოდა ხალხი, იქ ვითომცდა არაფერიაო, ბღაოდა  
და ისევა სჯეროდა, ისევა სჯეროდა, ისევა სჯეროდა.

იქ მალე შეწყდა წვიმაი იგი, იმ ერთბაშად წამოუგერისა  
და ერთბაშადვე გადაიკარა.

აქ მეტანკეები ჩაცვივდნენ ტანკებშია, დაგმანეს ხუფები,  
წაუმარჯვდნენ ჟამიზნეებსა, წაუმარჯვდნენ და როგორ წა-  
უმარჯვდნენ, — გაღმით გამოღმა, დიდუბიდან სოლანლულამ-  
დე მიზანში იჯდა მტკვრის ნაპირები; და დიოდა მტკვარი,  
დიოდა თუ მიღუდუნებდა და გატკეცილი ასფალტი ორივე  
ნაპირისა სამიზნედ იდო. დიოდა მტკვარი და ბღაოდა ხალ-  
ხი, დაე ვითომ გუგუნებდაო, — გუგუნი ითქვას, რაც უნდა  
ითქვას, მაინც გამორჩა იგი ნიშანი ჟექა-ქუხილისა, დიდი  
თავსხმის ნიშანი გამორჩა, მანამდის კიდევ სხვა რამეც გა-  
მორჩა და უნდა შეგახსენო ერთი მაინცა: ეს ის ადგილია,  
უკეთუ ის ნაწილია იმა საღამოსი, მოსკოვს ეუწყოსო, ხალხმა  
რო იგრძვინა და ნაზიკომ აღუთქვა, მე ვაუწყებო, — დიახ,  
დიახ, ნაზიკომ აღუთქვა, მხლებელნიც იქვე თვითონ შეარ-  
ჩია, აედევნენ მოხალისენიცა რაღა თქმა უნდა, აი ეს გამორ-  
ჩა, აქ ყურადღება ვეღარ შიაღევნეს და ამიტომაც ჩაიყლაპა  
გასროლაი პირველი, მსხვერპლი პირველი, ცეცხლი პირვე-  
ლი ჩაიყლაპა გუგუნშია, და ეს ისევ რო იხლაკ-

ნებთდა თუ გასაძრომს ეძებდა, ცხვირიც ისევ რო გაშეშეტყუა  
ლიყო, კიბეშედაც რო გაშეშებულიყვნენ ქაღალდებრისადაც  
ჯული წარჩინებულნიცა, ხალხიც თავისას რო გაპკიოდა ისევ  
და ისევა, მირეგვეს ტრაპს ვინც იცავდნენ, ძიუდთისტები  
იყვნენ თუ ვინც იყვნენ, მირეგვეს ისინი და გზა გაუხსნეს  
ნაზიკოსა, გზა გაუხსნეს და აიჭრა, ისარივით აიჭრა ნაზიკოი,  
გაშეშებული ცხვირი იქით მიაგდო, მობლუფუნე აქეთა, მკლა-  
ვი შემართა სისხლიანი და იკივლა:

— გვხოცავენ, ხალხო, აქ მაცდურები გვაძრიყვებენ, იქა  
გვხოცავენ!..

ესდა იკივლა და მოიმზღვდა ხალხიცა, კუნძულიდან მო-  
იმზღვდა და მოედო ყაბასსა, იქიდან ალბათ რუსთაველზე  
აიჭრებოდა, მაგრამ და რაღაო, რაღა დროისაო, იწვიმა ტყვიამა  
და ადინდა ნაკადულები სისხლისა... მიზანში იჯდა ყოველი  
წერტილით. და მალე აღარც აღარავინ მოსჩანდა აღარცა ყა-  
ბაზშედა, აღარცა აღმართშედა, აღარცა კუნძულზედა, არა,  
აღარავინ მოსჩანდა, აღარავინა, მალევე აკრიფეს დაჭრილ-  
ნიცა, დასიცილნიცა. საამისოდაც მომზადებულიყვნენ რაღა  
თქმა უნდა, — ხალხი ბლაოდა და არ გაეგებოდა თუ რას ემ-  
ზადებოდნენ თუ ვინ ემზადებოდა, არ გაეგებოდა, არ გაეგე-  
ბოდა. ძეგლი რო ძეგლია, ისიც უცებ გადმოაზღერთეს, მო-  
შალეს კვარცხლბეკიცა, ამთავდეს საძირკვლიანადა, ბუდია-  
ნად მოთხარეს, აღმოფხვრეს, ამოფხიკეს, ვითომცა ყოფილა,  
ვითომც არაო, მიწა მოასწორეს და მოაფრქვიეს დაფქული  
აგური, ვითომცა ყოფილა და ვითომც არაო, ანთუ: იყო და  
არა იყო რაო, მაშა! არ გაიკვირვებ რაღა თქმა უნდა, წუთი-  
სოფლის ქარგა ყოფილა ესე, ოღონდ თუ მაინც უნდა გაგიკ-  
ვირდეს, ის გაიკვირვე მხოლოდდამხოლოდა, აგურიც რო  
წინასწარ დაეფქვათ თუ დაეფშვნათ, ის გაიკვირვე, სხვა  
არაფერი.

პო და ასეო, მოემზადებინათ ყველაფერით, პო და მოთავ-  
და, მოიწმინდა ყველაფერით თუ რამ უნდა მოწმენდილიყო,  
მოიწმინდა იმავ დამესაო.

სოლო დილითა...

დილით რაღაო, —

მზე ამოვიდა უსირცხვილოდა.

„უსამართლო იგი უსამართლოებდინ ჯერეთ, და შეგინებული შეიგინებოდნენ ჯერეთ, და მართალი სიმართლეს იქმოდენ ჯერეთ, და წმიდაი იგი წმიდა იქმნებოდენ ჯერეთ“.

ეს პო ასეა და ისიც პო ითქვა მზე ამოვიდათ, — ამოვიდოდა რაღა თქმა უნდა, აღარც თუ რაიმე მესაქმება ამის შემდგომა, ანთუ მოთავდა ეს ამბავიცა, ყველაფერი მოთავდა გათენებამდისა, მზის ამოსვლამდისა, მოთავდა, მოიწმინდა. მზე არ შესწრებია სისხლსა თუ ცეცხლსა, არ შესწრებია, არაფერი უხილავს, პოდა ამოვიდა, პოდა ბჟყვალებდა, ის იქა, შორსა, ხოლო აქ ხალხი თავისთვის იწვოდა, იწვოდა და აფრჩევდა ცრემლსა შინ შეკეტილი, შინ შებუდებული. გარეთ სრული სიწყნარე სუფევდა, სიწყნარე შიშისა, მოულოდნელი თავშარისა, სიმშვიდე სუფევდა, სიმშვიდე სრული და სანეტარო ხელისუფალთა, აქაურთაცა, იქაურთაცა, უწინდელთაცა, უახლესთაცა, მომავალთაცა, სუფევდა იგი ყოველად სასურველი, მარად სასურველი. და მეტიც აღარაფერი მესაქმებამეთქი, ანთუ მოთავდა ეს ამბავიცამეთქი, ოღონდ ულენტოდ მაინც არ იქნება, — ლენტოთი დაიწყო, ლენტოთივე უნდა მოთავდეს, სადაც დაიწყო, თუნდაც იქვე უნდა მოთავდეს, მით უფრო, ბევრითაც რო არ გასცილებია იქაბასა; თუმცა ძნელწა ვინმეს გამორჩევა იმ საშინელი განკიიცვიდანა, იმ უთავჭამით აღრეულობიდანა, ძნელია და იყოს, რა ვუყოთ მერე, ლენტო მაინც უნდა გამოირჩეს, უთუთდა, უსათუოდა; უნდა გამოირჩეს და მაინც დიდადაც ვერ გამოირჩევა, დაბორიალებდა თუ უაზროდ აწყდებოდა აქეთიქითა ისიც ისევე, როგორცა სხვანი, ხან თუ ვის მისდევდა, ხან თუ ვისა, გაეკიდებოდა დიდ-დიდ გუნდებსა, აცა, თუ სად მირბიან, აცა, თუ რას ჩაიდენენო, მაგრამ ყველა შემოეფხვნებოდა, სადღაც ჩიხებში ჩაეკარგებოდა და ეს კვლავაც აქეთ შემობრუნდებოდა, კვლავ სხვა გუნდებს აედევნებოდა გაშმაგებული, ფინატანილი, აედევნებოდა და შემობრუნდებოდა ისევ და ისევ ბნელი ჩიხებიდანა, შემობრუნდებოდა და ვიღაცას მიპყიოდა, ისევ ვიღაცას აედევნებოდა და ისევა ბრუნავდა დაგარგული თუ თავბრუდასვეული, მიპყიოდა და



მოჰკითდა, რაღაცა სურდა თუ ვიღაცა სურდა, არც შეკითხვა ჩანდა და ხალხიც ეძნოდა, ხალხიც მიურბოდა, რა უნდოდა თუ რა უნდა ექნა, ესეც ვერ გაეგო, და იყო ბევრშია, და იყო მარტო მანამდისაცა, ვიდრე უკელა გაეფანტებოდა, ვიდრე სუმთლად გაიცლებოდა კუნძული იგი ორბელიანთა, ანთუ კუნძულად რო აღარც ითქმოდა.

ოღონდ და მაინც ვიდრე სუმთლად გაიცლებოდა, საით თუ როგორ გაიცლებოდა, აღმა თუ დაღმა, ბაზრის ჩიხებითა თუ შეკებითა უკელა ესი მეთულუხებისა, ჯერ მაინც ხიდებზე უფრო გაიჭედებოდა დამფრთხალი ხალხი, გაიჭედებოდა და კიდევაც გაიჭედა, უფროც დაფრთხა და უფროც მიაწყდა ერთიმეორესა. ხიდები ზანზარებდა, ტყვია წიოდა და ავარდნილი გნიასი თუ ღრიალი გამაყრუები, გაუგონარი, აუტანელი, შემზარავი, ყოვლად შემზარავი. ხიდები ზანზარებდა და მცირე თუ გაასწრებდა, მეტი იქცეოდა ძირსა, იქცეოდა და იქელებოდა, ტყვიაც არ უნდოდა, იქელებოდა უმოწყალოდა. თავისას იქმოდა ტყვიაცა ცხადია, წიოდა, ტკაცუნებდა, წაცელავდა და გადაივლიდა სეტყვასავითა, წაცელავდა და წაიცელებოდა თითქოს ხიდებიცა, წაიცელებოდა და უმაღვედაც აღიცესებოდა თითქოს სეტყვა რო გადაივლიდა, გადაივლიდა და გადმოივლიდა, წაიცელებოდა და წამოიმართებოდა, გაიჭედებოდა ხიდები ისევა, ამთიცობოდა და ზანზარებდა. მეტი უაზრობა აღარც ითქმოდა, სიბრივე მეტი აღარც ითქმოდა, არც ითქმოდა და გონება არცა მოძრაობდა იქ, არა, სულ არა, არცა ნატამლადა, შიში ცხოველური თუ მიათრევდა სხეულსა, მიათრევდა თუ დაათრევდა, ოღონდ თუ საითა, — რა იცოდა შიშმა?! ცხვრის ფარაც უფრო მეტს მოიაზრებდა, გამოსძებნიდა თავისასაცლელსა, გადასარჩნენსა, გამოსასხნელსა. და თუ გადარჩნენ, — ვინც გადარჩა რაღა თქმა უნდა, — დაეხსნენ და იმიტომ გადარჩნენ, თავისით ვირა, ვერ გააღწევდნენ. ვერ შეედრებოდნენ თვით ცხვრის ფარასა, ვერ შეედრებოდნენ და ტყუილადაც შეადარებენ ხოლმე, ტყუილადა, სულ ტყუილადა. შორით განსჯაც ადვილიაო, ნათქვამიც არის, ოღონდ ეს ისე შორითაც არ განლაგეს, არც გულცივია თუ მიუკერძებელი, როგორც ურჩევენ თუ რო-

გორიც უნდა იყოს მხატვარით, არა, არ არის მიუკერძებელი,  
ეს მხოლოდ ჯავრია, ეს მხოლოდ კვნესაა იმისა, გონიერი  
ჩაბინდულიყო და არცთუ ვინმე გააკარებდა შუქსა. თუმცა  
არა მართებს განსჯაი აღმწერსა თუ მხატვარსა, გადმოცემა  
მართებს, გამოხატვა მართებს ადამიანთა მოქმედებისათ,—  
მართებს და ემართოს მოქმედებაც ესაა, ეს იყო და ესაა, თუ  
მოქმედება დაერქმევა რაღა თქმა უნდა!

რაც არის არის, ეს იყო და ესა; და ლენტოც პო იქ  
გახდდა, იქა, იმ აღრეულობასა თუ უთავსამობაშია, აღბათ  
ისიც აღრეული მომეტებულადა, აღბათაც და ნამდვილადა-  
ცა, აღრეული და დაბნეული, დაღავებული, თავგზადაკარგუ-  
ლი. ყველგანაც პო იყო და იქაც მოხვდა ორ ხიდთა შუა, ამო-  
იტენა ხიდშედაცა თუ მოეცო იმა მშრალ ხიდსაცა, მართლაც  
მოეცო საცობივითა, იქითაც გავარდა, მდინარის იქითა, მდი-  
ნარის ხიდითა რაღა თქმა უნდა, ჯერ იქაც მოეცო და იქი-  
დან გავარდა საცობივითა, გაღმა გავარდა; გავარდა და არც  
დაახანა, გამოიჭედა ისევ ხიდშედა, ისევ კუნძულზე, ორ ხიდ-  
თა შუა ამოპყო თავი, ამოპყო და ჩაპყო, ტყვიის სეტყვამ რო  
გადაიარა, ჩაიქშა ხალხი, ჩაპყვა ისიცა, წამოიმართა და ამო-  
პყვა ისიცა, ყველა ვერ ამოპყვა რაღა თქმა უნდა, ის მაინც  
ამოპყვა, და თითქოს დაება, დაება იქვე, ანთუ თავი ვერ და-  
ედწია, ანთუ უნდოდა, რაიმე მოეაზრა, — აბა მაშ რაო, რო-  
დემდის ერბინა შეშლილივითა?

მთაზრებით ვერ მოიაზრა, ვერაფერიც ვერ მოიაზრა.

მთაზრებით ვერ მოიაზრა, ოღონდ ხმა მაინც გამოარჩია,  
ნაცნობი ხმაი, — ხმაც გამოარჩია და კიდევაც დაინახა... და  
ეს მაშინა, კიდევ ერთხელ რო მოუგერისა ტყვიის სეტყვამა,  
კიდევაც რო ჩაიქშა ხალხი ხიდებშედაცა, ხიდებშუაცა, ხალ-  
ხი ჩაიქშა და ისიც კიდევ რო უნდა დამხობოდა მიწასა, აი  
მაშინა: მამაააა!.. — მოესმა უმწვავესადა, მოესმა და ვეღარ  
დაემხო, შერჩა ფეხშედა, შერჩა და თვალები მიმოაცეცა, რა-  
ღა თქმა უნდა გაბოცებულმა, რაღა თქმა უნდა შეშლილივითა,  
შიშდაკარგულმა რაღათქმა უნდა, რამეთუ ტყვია ზედ დას-  
წვიმდა და ყურადღებას არც მიაქცევდა. დიდი შექერებიც  
ზედ დაპნათოდა, თითქოს დღე არისო, თითქოს მზე ადგას  
კუნძულსათ, ხიდებსაცა რაღა თქმა უნდა, თითქოს ამისთვი-

საც აენთოთ შუქურები, ამ დროისათვისა, თავდასხმისფიცის  
ხალხს რო ეგონა, გააჩირადდნეს ისევ ძეგლით, ეგანგონების  
ბღაოდა, ბღაოდა შეშლილი აღტაცებითა, გამარჯვების აღტა-  
ტებითა. თუმცა ეს მორჩა, ეს უკვე მორჩა... ლენტო იდგა და  
ელისო პკიოდა, მამას მიპკიოდა, ელისო ვერ იდგა, დგებოდა  
და ვერა დგებოდა, წაემხობოდა და წამოიწევდა, წამოიწევდა  
და შიპკიოდა, ისე შწვავედა, ძნელია, ძნელი, გამოსათქმელა-  
და, თღონდ ისაა, სიმწარე იგი ორმაგი გახლდა, — თვითონვე  
რო უკვე იცლებოდა სისხლისაგანა და მამაც მოუჩანდა ტყვი-  
ების ქვეშა: პო, პო ტყვიების ქვეშა, — გამოსულიყო მიქე-  
ლიცა, ვეღარ დაეთმინა და გამოსულიყო, ვერ შეეკავებინა და  
აჰყოლოდა აღარ დაენდო მტკივანი ფეხები, გამოსულიყო, ხიდს  
შემთხვევობოდა, წინ ხელები გამოეწოდა, წამოხრილიყო, თით-  
ქოს ხალხს უნდა გადაეფაროსო, გადაარჩინოსო, გამოიხსნასო,  
წამოხრილიყო და ტორტმანებდა, ტორტმანებდა ვეება ტანი,  
ბოხოსა ტანი, ტორტმანებდა სუსტ ფეხებზედა ტყვიების ქვე-  
შა. ის იქა ტორტმანებდა, ეს მიპკიოდა აქედანა:

— მამააა!..

წამოიწევდა და მიპკიოდა, წაემხობოდა და წამოიწევდა.

ეს იყო და აზრიც იპოვა თუ თვითონვე აზრმაც მოსძებნა  
ლენტო: ელისო უნდა გადაერჩინა.

წინ წყალი, უკან მეწყერით, ნათქვამიც არის და მართა-  
ლიც იყო, მაინც უნდა გადაერჩინა.

მეწყერი უფრო მუხთალი ყოფილა, ისევ წყალს უნდა მის-  
ცემოდა, მტკვარს უნდა მისცემოდა.

ოღონდ და მაინც მტკვარიცა და მტკვარიცათ... მტკვა-  
რი სისხლით შეიღებათ, გაგახსენდება, ვინ უწყის რამდენჯერ  
ჩაუწერიათ ქართლის ცხოვრებაში, ანთუ რამდენჯერ ამო-  
გიკითხავს და ცოტა არ იყოს გაზვიადებულიცა გვონებია,  
გიკამათია, გიანგარიშია თუ რამდენ ლიტრა წყალს გაიტანდა  
მტკვარი ერთ წუთში და თუ რამდენი სისხლი უნდოდა მისი შე-  
ღებასა, გიანგარიშია და გიმტკიცებია, მაშინ თბილისში არც ამ-  
დენი მცხოვრები იყოთ; ამას ამოკითხვა არც უნდოდა, ლენტოსა  
ცხადია, არც გაანგარიშებანი უნდოდა ამდაგვარი, იხილა  
მტკვარი შეღებილი, იხილა თუ მოეჩვენა, მოეჩვენა თუ ეგო-  
ნა, ეს სულერთია, როგორც მოეჩვენა თუ როგორც ეგონა,

ისედაც დაიჯერა, ისედაც დაიხსომა, ისედაც იმეორებდა და  
თუ ვინმე გაიკვირვებდა, არც არწმუნებდა, არც უჭირებოდა  
არც არად მიიჩნევდა, ასსოვდა ისევე, რო იხილა მტკვარი  
შეღებილი, სისხლით შეღებილი. იღებებოდა და შეიღება ერ-  
თხელ კიდევა, ლენტომ შიგ გასცურა და დაუჯერებს ქართ-  
ლის ცხოვრებასაცა, საგვარეულო ქრონიკებსაცა, ხალხურ  
პოეზიასაცა, მეფეთა ლექსებსაცა, ქართველ მეფეთა, გასცურა  
და დაუჯერებს, გასცურა მტკვარი სისხლიანი, გასცურა და  
ელისო გაიყვანა, პო ელისო, ისიც სისხლისგან რო იწრიტე-  
ბოდა, ემატებოდა სისხლი სისხლსა და კრიალებდა პატარა  
ტალღები, მშვიდი ტალღები, მოლივლივენი, კრიალებდა უცხო-  
ფერადა, უცნაურადა კრიალებდა შუქურათა ქვეშა, მთვარისა  
ქვეშა. მთვარეც ისე გაბადრულიყო, ვითომდა რაო, საამაყო  
რამ დაუნახავსო. მთვარე თბილისში მრთლოდ მტკვარზედა  
გადმოდგებოდა, — თუმცა პო, პო, მთაწმინდაზედაც გადმოდ-  
გებოდა, ოღონდ იმჟამად მტკვარს გადასდეომოდა, გადაპ-  
ფავროდა სისხლიან მტკვარსა. ესეც ლენტოსვე დაქსსომებია,  
მთვარით მიიკვლევდა, შუქურებითაცა და მთვარითაცა, მთვა-  
რით მოაპობდა სისხლიან მტკვარსა და მთვარესვე ემალებო-  
და, მთვარესაცა და შუქურებსაცა, ვაითუ მტკვარსაც დაუშენ-  
დნენ ტყვიასა და წაპირქვავებოდა ამოტივტივებული თავები  
თუ ამოტიტილი, გამოწვდილი ხელები, წაპირქვავდებოდა და  
წაცვივოდა, ფსკერზე დაცვივოდა ქვებივითა, ქვებზე დაცვი-  
ვოდა ქვებივითა. ამასაც ეგონა, იქით მივდიგარო, ისე ახ-  
ლოსა წილდა ტყვიაი, ისე ეწვოდა თავი თუ ბეჭები, ისე დას-  
წყვეტოდა მქლავნი, ეგონა, მაგრამ ამოვარდებოდა, ამოიტა-  
ცებდა სული შეგუბებული და ის აზრიცა, გადავარჩინოთ. გა-  
დასარჩენი აღარც თუ ვინ იყო, — გაციებულიყო ქალი, დაწ-  
რეტილიყო სისხლისაგანა, გაციებულიყო, გაყინულიყო, ხო-  
ლო თუ ისევ წითლად გასდიოდა, წურწურით გასდიოდა, ეს  
მტკვარი გახლდა, წყალი გახლდა სისხლით შეღებილი. ლენ-  
ტოს მაშინ სისხლი ეგონა, — ნაპირს რო გავიდა რაღა თქმა  
უნდა, — სისხლი ეგონა ელისთაი და წქარობდა გულამოვარ-  
დნილი, წქარობდა ისე, როგორც თუ შეეძლო. თითქოს მი-  
ქალიც ისევ ისე წამოფორილიყო, გამოეწვდინა ორივე ხე-  
ლი და მთელი ქალაქი თუ ვერ დაეფარა, შვილს მაინც იხ-



სნიდა, ოლონდ მიეყვანათ, მალე მიეყვანათ. და წერილების და ლენტოცა, იმის ხელთი იყო, წერობდა, ისწრაფოდ კარტუსის აქეთაცა, აქეთ ჟავე მოჩვენებისაკენა, იქითაცა, ხიდზეცა, იქ ისე ცხადისაკენა, ისე მძვინვარე, საშინელ თქეშშია, ტყვიის თქეშშია. იქ თუ ვით გადარჩა, ეს აღარც ახსოვს, რამ თუ გამოაგდო ხიდიდანა, რამა თუ ვინა, რამ დაითრია ჭალისა-კენა, — არ მოაგონდება, ვარაუდებიც არ არის საჭირო, მთა-გარი ისაა, იქით რო დაუყვა, იქით ატარა დაჭრილი ქალი, იქიდან შევარდა მდინარეშია, ჩოგბურთის მოედანთანა სისხ-ლიან მტკვარში, იქ განიბანა, განიბანა იახსარივითა, უვნე-ბელ იქმნა იახსარივითა, ვეღარაფერი მიეკარებოდა ამიერი-დანა, ვეღარცა მანვილით, ვეღარცა ტყვიათ, კანს ვეღარაფერი გაუკაწრავდა; იქიდან გავიდა და გაიყვანა დაჭრილი ქალი, ამას ჯერ ისევ დაჭრილი ეგონა, გაიყვანა და მიქელიც იქ გახლდა, გამოეწვდინა გრძელი მკლავები... ეჩვენებოდა რაღა თქმა უნდა.

მთიწევდა მკლავები მიქელისა, მოეტანებოდა, აი უნდა ჩამოართვას თავისი ასულით, ასწევდა ესეცა, მიაწოდებდა მოწიწებითა და ჩაისხიპებოდა მკლავნი იგი, ჩაისხიპებოდა და ეყარა ძირსა, სხმარტალებდა, სხმარტალებდა, მერე გაპ-ქრებოდა, მერე ისევ ამოიზიდებოდა, ისევ მოიწევდა, მოე-ტანებოდა, მიაწვდიდა ესეცა და იგივე გამეორდებოდა... და გაიტანჯა ლენტოც ერთისიტყვითა, მართლა გაიტანჯა, მაინც მიაღწია, მაინც მივიდა, მაინც მიიყვანა დაჭრილი, ანთუ მი-ასვენა ცხედარი ელისოსი და იქაც ცხედარიდა შეეგება, ცხე-დარი მიქელისა: იქ, ხიდზე პართლაც მხსნელად გასულიყო და თავისი გატანჯული სულილა ეხსნა, სისხლის გუბე შინ მოეტანა, კარებთან იწვა სისხლის გუბეში.

და ზანბარებდა სახლი, კედლები გრიალებდა, გრუნუნებ-და, გუგუნებდა, ჰერიცა გუგუნებდა, იატაკიცა, გუგუნებდა უცნაურადა, შემზარავადა გუგუნებდა, თითქოს ინკრევათ, გა-ნა თუ ერთი, განა თუ ორი, მთელი უბანით თუ ქალაქიც ინ-გრევა მთლიანადათ, ანთუ ვინ უწყის დედამიწა განწირუ-ლათ, თავის ორბიტას თუ ასცდენიათ, ასცდენია და მიექანე-ბა უსასრულობაში უღერძოდა და უღმერთოდათ, — ანთუ ლენ-ტოს სხვა რა ეფიქრა თუ შერჩენოდა ილაჯი ფიქრისა...

„გარე იყვნენ ძაღლი და მწამვდელი და მემავნი და კაცის-მკვდელი და კერპთ-მსახური და ყოველი მოყუარე და მოქმედი ტყუვილისაი“.

აღარც შერჩეოთდა იღავი ფიქრისა, მხოლოდ ისაა, დაეს-ვენებინა გაციებული ქალი და იდგა თვითონაცა გაციებული, განძარცული სულით-ხორცითა, იდგა და აღარა გაეგებოდა, ანთუ სად იყო, ანთუ რისა იყო ხმაური იგი, ვინ შეჭრილიყ-ვნენ თუ რა უნდოდათ, ვინ ვისზე მიიწევდა თუ რად მიიწევ-დნენ, რას იტაცებდნენ თუ ვისას იტაცებდნენ, არ გაეგებოდა, არ გაეგებოდა. ეგება მართლაც დედამიწა მოსწყვეტოდა თა-ვის ორბიტასა?.. არაო, არა! დედამიწა ისევე ბრუნავდა, ქა-ლაქიც იდგა ქალაქის აღვილასა, უბანიც უბანისა, მხოლოდ მიქელის ბინა ინგრეოდა, მხოლოდ მიქელი დაცემულიყო და ზედ ეფშევნებოდა ჰერი და კედლები. თავისთავადაც არ ეფშევნებოდა, — ზედ აფშევნიდნენო, უფრო ნათლად ასე გამოდის: ყველა კადელი შემოეტებათ, ყველგან ჰერი ჩა-მოექციათ, ამოეგლივათ დატაკიცა, შუშაბანდშიცა, აბაზანა-შიცა, სამზარეულოშიცა, აივანზეცა, ოთახებისას პო ნუდარ იკითხავ, — ჰერიდან თოკებით ჩამოკიდებულიყვნენ, იატა-კებში კიბეები ამოეჩარათ, კედლებში თავები გამოჭედილი-ყო, გაჯაგული თუ მოხორცილი, გრძელფაფრიანი თუ ნა-სევრად მოდური, თავები თუ უკაცრაული პასუხია... გამოჭე-დილიყო ერთისიტყვითა, მოიწევდა ერთისიტყვითა, ვინთუ როგორ გამოაღწევდა, ვინთუ როგორ გამოეტეოდა. გადმოქ-ცეულიყო კარადები თუ თაროები, ხელნაწერები თუ წიგნები ალუფზულიყო, რუკები ფეხევეშამოდებულიყო, ანთუ ფრია-ლებდა ნაფხრეწებადა, კედლის რუკები რაღა თქმა უნდა, ხოლო მიქელისა, — ის დიდი რუკა, დიდ მაგიდაზე რო გადა-ფენილიყო, აღარცთუ მოსჩანდა, გამქრალიყო თუ გადაეყლა-ბა ჩამოქცეულ ჰერსა, — ვინ უწყის რა იყო, აღარა სჩანდა. და იდგა ლენტო გაციებული.

და იდგა ლენტოი აზრწართმეული, თითქოს ლანდები შე-მოსეოდენო, მაგრამ არაო, ცხადი გახლდა, სიცხადე გახლდა: შემოჭრილიყვნენ ყოველიმხრიდანა, შემოჭრილიყვნენ და

მიიწევდნენ ერთიმეორებულადა ძალაყინებითა, წერაქვებითა, ქვებითა, კეტებითა, ამოგანგლულიყვნენ მტვერსა და შემთხვევაში შეია, აფურთხებოდნენ ტალახსა და იწყევლებოდნენ, იღან-ძლებოდნენ, იგინებოდნენ უამრავ ენაზედა, უამრავზედა, უთ-ვალავზედა, მიიწევდა ყველა ყველაზედა და აგინებდა ყველა ყველასა, ანთუ ერთობლივადაც დატრიალდებოდნენ, დატ-რიალდებოდნენ ისე, იმგვარადა, თავსდაესხმოდნენ „აქტივსა“ და „პერსპექტულ ახალგაზრდასა“. მიპყუდებდნენ ისინი ზურ-გსა ერთიმეორესა, ეგრე იხევდნენ უკან-უკანა, ანთუ ეგრე იცავდნენ თავსა. იქ პო გახლდნენ, აქაც მოესწროთ, ანთუ იქ რო იყვნენ, სული და გული აქ დარჩენოდათ, გამოჰყო-ლოდნენ სულსა და გულსა, და ურტყამდნენ, ურტყამდნენ, ურტყამდნენ, ურტყამდნენ ამათა და აგინებდნენ სულსა და გულსა, ცოლსა და დედასა, აგინებდნენ რჯულსა, ოღონდ თუ რა რჯულსა, რა რჯულზე რო შემდგარიყვნენ ესენი, რა-ლას გაიგებდი. ოღონდ ისინი მაინც იმ რჯულსა გულისხმობ-დნენ, ვისი კერიაც უნდა ჩაეგდოთ ხელშია, იმ რჯულსა, იმ რჯულსა... და აგინებდნენ სამოცდაცხრა ენაზედა და იდგა მტვერი და ადიოდა ბორიაყი და ვინ აჯობებდა?.. და ვინც აჯობებდა, დაუმტკიცებდა კანონიც იმასა, — კანონი!.. პოი რამდენი კანონი იყო რო აურევდა წუთისოფელსა, ისედაც არეულსა, ისედაც რო უთავეამოსა; იყოოთ თუ არის, რაც არ-ის, არის, არის, არის და არის. და ალუფხულიყო წიგ-ნები ქვა-ღორღლშია, ხელნაწერებიც ალუფხულიყო, რუკებიცა, ყველაფერი ალუფხულიყო და ალუფხულიყო გონებაცა ლენ-ტოსი...

...სწვა რაღა გითხრა?..

ნაზიკო დაიკარგა. გაპქრა. გაპქრა. მომკითხავიც რო ადარ გააჩნდა. ლენტომ მოიკითხა, ეს იყო და ესა. იმის ოთახ-ში მეზობელი დაპხვდა. კარები გამოეჭრა შუაკედელშია. აი ყველაფერი ისევ ისეა, თვალყური მიჭირავს, მოვა და ხე-ლუხლებლად ჩავაბარებო. მოვაო, მოესმა ისე იმგვარადა, ლამის რო სწვდა და ლაჯზე ახია ი დედაკაცი, ისე იმგვარა-და, ისე მოესმა. თავი შეიგავა რაღა თქმა უნდა, ტუჩი ჩაიკ-ვნიტა და ისე შეიგავა თავი. კარგახანსა გრძნობდა სისხლის გემოსა. შერე დაუსივდა ტუჩი. დაუსივდა. დაუცხრა. ის არა,

ის ტკიფილი ადარ დაუცხრა და არც ის სურვილი აღარ და-  
უცხრა: ლაჯშე აეხია ი დედაქაცი: მოვათ.... პმ!... რე მწარებელი გამოსთქვა, რა მწარედა და დამცინავადა....

ბეგლარი შეიძყრეს და ნეკნები ჩაუმტკრიეს, თქვი თუ  
ვინ იყო თქაენი მოთავეო. ვინ ეთქვა, რა ეთქვა, ვერ გაევო  
და ნეკნები ჩაუმტკრიეს; ნეკნები ჩაუმტკრიეს და მთაწერი-  
ნეს ხელი, მიქელი იყოო. გამოუშვეს. და დადიოდა წელში  
გადატეხილი. ლენტოც ველარა სცნობდა, რო ადარ იცნობდა  
ადარც რო ლენტო. ადარ იცნობდა.

ბიჭები დაიკარგნენ, ძმები ლენტოსი, ერთად გასულიყ-  
ვნენ და ერთად ჩაეყლაპა ცასა თუ მიწასა, ვეღარ გაიგო,  
აღარც დამნახავიო, აღარც ამბის მთქმელიო, ყველა ინებავდა  
მხრებსა. და გმინავდა ლენტო, გმინავდა, ბდაოდა, ვეღარც  
თავს იკავებდა, ვეღარც ვეღარავინ ვეღარ ამშვიდებდა, — ჩე-  
მი ბრალიაო, გმინავდა და იცემდა თავშია, გმინავდა და ეძებ-  
და, ეძებდა, ეძებდა, ცა და დედამიწა გადააძრუნაო, გამქრა-  
ლიყვნენ ცასა და დედამიწას შუა, გამქრალიყვნენ.

ის ყმაწვილებიც გამქრალიყვნენ, რო ესვეწებოდნენ ნა-  
ზიკოსა, გაგვიშვიო, ხან სად რო შეეფეთებოდნენ ლენტოსა  
და ხან სადა ორბელიანთა კუნძულშედა, ფარაჯიანის ძეგლის  
გარშემო;

ისინიცა, ანთუ იმათვანიცა, ვითომ რო დოკუმენტური  
ფოლმიც რო უნდა გადაედო ლენტოსა თუ როგორ ემზადე-  
ბიან უმაღლეს განათლებას მოწყურებული ყმაწვილებიო.

გამქრალიყვნენ. უბედურება ეს იყო და ის ვითომ სანუ-  
გეშო გახლდა, ვისაც რო ღირსებოდა საფლავის ქვაი, რო  
წაეწერათ 1956 წელიო.

და ეს ნუგეშიც არა ღირსებოდა ლენტოსა. ეძებდა, ეძებ-  
და თითქოს რო ამისთვისაო, ანთუ სწორედ რო ამისთვისაო,  
ამოვიდოდა მტკვრიდანა დაღლილი, გაწამებული, ეგება რო  
იქ წავაწყდეო, ამოვიდოდა და ივედრებოდა, ჩამქოლეთო.  
მერე ადარც უშვებდნენ მტკვარშია, ერთიც ვნახოთ და აღ-  
არც ამოვიდესთ. არა, არ დარჩებოდა იქა, უსათუოდ უნდა  
ვიპოვნოთ, ამასაც ამბობდა და იმასაცა, ჩამქოლეთო, საცო-  
ცხლებელი ადარა ვარო: რად წამოვიყვანე სოფლიდანა, და  
თუ წამოვიყვანე, რატომ ვეღარ მოვეპატრონეო, იწყევლიდა

თავბედსა, გაჩენის დღეს იწყევლიდა. და გმინავდა და დმუშ-  
თდა და ემანდ მეზობლები არ შევაწუხოთ, გავარდებოდა და დმუშ-  
ძალადევის გორაზედა, ცხრაძმის საფლავს ურბენდა გარე-  
შემო, ურბენდა და დმუშთდა, დმუშთდა. და ჭახჭახებდა თბი-  
ლისი, დაბლა ჭახჭახებდა, აჭახჭახებდა ელექტრონი ქალაქ-  
სა, თუ რა სტკიოდა რო ვერ გაიგებდი, და სწორედ რო ეს  
ენება ხელისუფლებასა, ვერ გეგრძნო ტკივილი, ვერ გაე-  
გო ტკივილი, და თუ გაიგებდი, ვერ გამოგეხატა მაინცა. ვერ  
გამოგეხატა. ვერ გამოგეხატა. და ჭახჭახებდა თბილისი, თბი-  
ლისქალაქი, დედაქალაქი რესპუბლიკისა, ვაგლან, გადამეტე-  
ბით რო ასრულებდა ყველა დავალებასა, ყველა გეგმასა, და  
რო არ იშურებდნენ რო არც მადლობასა, ორდენი თრდენზე  
რო ჩამოპქონდათ მოსკოვიდანა, ორდენს თრდენზე რო აბ-  
ნევდნენ ამის დროშასა: ბარაქალაო, ბარაქალაო, აბა თქვენ  
იცით, კიდევ რამდენს მოუმატებთო... და ჭახჭახებდა, ჭახ-  
ჭახებდა. და დმუშილი რაო, როცა გმინვაც რო არ შეიძლებო-  
და, გმინვაც რო უნდა ჩაგეტლა გულშია. და ჭახჭახებდა თბი-  
ლისი და ჭახჭახებდა და ჭახჭახებდა.

პო კოტე...

კოტე მშრალად გამოძვრა. ცხოვრება ცხოვრებაა და რა-  
ხანა ცოცხლობ უნდა იცხოვრო კიდევაცაო, ანუგეშებდა ლენ-  
ტოსა, კურსებს გადაიღებო, უბრძანებდა, და ატესტატიც ჯი-  
ბეში გადებაო, არწმუნებდა ბეჭედდარტყმულივითა.

ნუგზარი რო ალბათ იმას რო ერქვა, ისიც გადარჩა იმ-  
ჟამად მშრალადა. მერედა გაუხსენეს, ალბათ გაუხსენეს თუ  
მართლაც გაუხსენეს, წვენების მუშაკები რო მისცეს სამარ-  
თალშია, დამტკიცებით ბევრი ვერაფერი დაუმტკიცეს ამასა,  
მაგრამ მაინც ეს დასახეს ყველაზე საშიშ პიროვნებადა და  
მიაჰედეს უმაღლესი სასჯელი, — გაუხსენეს ეტყობა, გაუხ-  
სენეს, თუმცა რო არავის დაუძრავს კრინტი ამაზედა. იციან  
თუ სად განუმდნენ, თუ სად აუმაღლონ ხმასა, იციან, იციან,  
ყველაფერი იციან.

ფარნაოზს რო მიემგვანებოდა?.. დადიოდა ნაბეგვივითა. მართლაცა ბეგვეს ისიცა თუ სული დაებეგვა და ამან დაჩაგ-  
რა, აღარ გამოუკითხავს ლენტოსა.

დანარჩენისა რაღა მოგახსენო, — ბევრი რო ჩაება იმ სის-

სლისლვრაშია, იმა მღელვარებაშია, ბევრი ჩაჰყვა, ბევრი /  
ჩაითრია, ყველას თავისი ბედი მთეწია რაღა თქმა უმდა, უსული  
იმ ღამესვე, ზოგს მერეო, მერე და მერეო, ყველა ცალკალ  
კე ამბავია, ცალკე რომანები გამოიჭრება, ტრაგედიებიც გა-  
მოიჭრება, ისტორიული დრამებიცა, დრო რო გავა რაღა  
თქმა უნდა, სატირული დრამებიცა, ერთი და ორი არა, ბევ-  
რი გამოიჭრება, მე ვერ გავწვდები რაღა თქმა უნდა, აღბათ  
მიგატვებ ლენტოსაცა; ბევრს გამოვეკიდე, სადღაც შუაგზა-  
ზე დამრჩა ბევრი, მიხედვა უნდა, უნდა მივწედო იმათაცა,  
უნდა მიგაშველო ხელი, ლენტოც მენანება... ამჯერად მა-  
ინც აქ შევჩერდები:

„რომელსა პქონან ყურნი, ისმინენ, რას ეტყვის სული ეკ-  
ლესიათა“.

მზე რო ამთბრძანდა, სელისგულისოდენა ქაღალდებიც  
აღმოჩნდა ვერბა შენობებზედა, სადარბაზოებთანა თუ ვიტ-  
რინებთანა, მოსახვევებთანა თუ განერებებთანა: საალყო წე-  
სები ცხადდება თბილისში 24 საათიდანაო, წუხანდელი თვ-  
დათხიდანა. დიდ გაზეთებშიც იგივე მიებეჭდათ, წვრილი-  
წვრილი, ქიქმატა ასოებითა, დიდად ხმაურიანი წერილების  
ქვეშა, მიებეჭდათ მაინცა, ისე, ნამუსის მოსაწმენდადა, თო-  
რემ სინამდევილეში ყველაფერი მოთავებულიყო 24 საათისა-  
თვისა, ყველაფერი და ყოველივეცა, აღმოფხვრილიყო ძეგ-  
ლიცა იგი საძირკვლიანადა, აღმოფხვრილიყო და ამოვსე-  
ბულიყო ნაგავითა, ოღონდ ესაა, სიმართლე თუ გინდა, და-  
ბეგვილი აგურის მოყრა ვერ მოასწრეს, ცოტა ის გადასცდა  
24 საათსა, სულ ცოტა გადასცდა, გაზვიადებად აღარა ღირ-  
და, სიზუსტისათვის თუ აღინიშნებოდა. თაბირიც გადას-  
ცდა... პო... მავიწყდებოდა, ისიც რო ეწერა გაზვეთებშია: ხუ-  
ლიგნურმა ჯგუფებმა უწესრიგობა გამოიწვიეს ქალაქშით,  
თბილისის ნაცადი რევოლუციური მუშათა კლასი არ აპყო-  
ლიაო... და ისევ იქა ვარ, — თაბირიც გადასცდამეთქი.

ეს არც თუ ისე საჭიროდ მიამნდათ, იმიტომაც გადასც-  
და, — თაბირზე ვამბობ, მწერლებთან თაბირზედა; არც სა-  
ჭიროდ მიამნდათ, არც გამოვალისწინეს რაღა თქმა უნდა,  
აბა მაშ რაო, რაღა არ მომსდარიყო, რა რისხვა არ დაეტე-  
ხათ ხალხის თავზედა, — პოეტები მარად თან ახლდნენ, ყვე-

ლაფერს უგალობდნენ პოეტები, უგალობდნენ და უგალობდნენ, შემართავდნენ ყელსა და ჭიკჭიკებდნენ ერთმანეთის ხმაზედა; აქ უცებ განუდგნენ თუ თითქოს განუდგნენ, ანთუ რა განუდგნენ? მწერალთა კავშირის ეზოში შეკროვდნენ და მღელვარედ იყითხეს, ეს რა მომხდარაო, — მეტი არაფერი, მეტი არაფერი, მაშინვე იხმეს აქაპირველთანა, ეკრევე მოხვეტეს და მიაბრძანეს სადაც თუ ჯერ არს, — აქაპირველთანა. თქვენ რაო, მრისხანებდა აქაპირველი თუ აქამბრძანებელი, ხავსის ფერი ედო, მრისხანებდა ხავსის ფერითა, ჩვენს წინაშეა დასახული ახალი ხუთწლედის ამოცანები, ჩვენ ახალი პრობლემების წინაშე ვდგავართ, ხოლო თქვენ რაო რასა კითხულობთო, ჭორებს როგორთუ აპყოლიხართო, ჩვენი მძვინვარე მტრების ჭორებსაო; როგორთუ გითქვამთ, აუარება ახალგაზრდა გაიწირაო, მტკვარი სისხლით შეიძლებაო, როგორთუ გითქვამთო; როგორთუ გვთნებიათ, თითქოს უსისხლოდ მოგვარდებოდა ყველაფერიო, თითქოს დაშლიდა სახანძრო წყალიცა თუ გაჭირდებოდა, ცრემლმდენი გაზიო, როგორთუ გგონებიათო; არაფერი გინახავთ, არაფერი გაეგებებათ და საკვირველიც არ არისო, ტანკებს უცვივოდნენო, ტანკებს ედობებოდნენო, სახანძრო მანქანებს თუ გამოვავორებდით, სახეიროდ გაგვიხდიდნენ საქმესაო, ამდენი ბრძოლები მოგვიგია, ამ ბრძოლას როგორ წაგაგებდით; თქვენ არ იცით და უნდა იცოდეთო, უნდა იცოდეთ და ხალხს გადასცეთო, არც არავინ მომკვდარა, არც არავინ დაჭრილა, ტყვიით არ დაჭრილა და ტყვიით არ მომკვდარა, არც ტანკებს არავიზე გადაუკულა არც არტილერია გამზადებულიყოთ თბილისის გარშემო და არც ავთაცია გამზადებულიყო არსაითაო, თუ მაინც დახოცილან, თვითონვე დახოცილან, თვითონვე გადაუქულათ ერთმანეთით, დამურთხალან ტყუილადაო და დამტრთხალ გუნდებს გადაუკულათ ერთმანეთზედაო, ასე უნდა იცოდეთ, ასე უნდა მოპყინოთ ხალხშიო; იმათაც ვუვლით, ზრუნვას არ მოვაკლებთ, მალე დავაყენებთ ფეხზეო. ასე უნდა იცოდეთ, ასე უნდა ილაპარაკოთ ხალხში, აი თქვენი მოვალეობა, აი თქვენი ღირსების საქმეო; ხმა, კრინტი მეტი არც რა წამოგცდეთო. ჩვენ დიდი გეგმების წინაშე ვდგევართ, კვლავაც თქვენი იმედი გვაქვსო.



ახლა მიბრძანდით, მე თქვენ მეტს აღარ დაგაყოვნებოთ საქ-  
მე არ იცდის, დრო არ იცდის, პი პედავთ თუ რჟული შედ-  
ვექანებით აღაუდაუებული მწვერვალებისაკენათ. მოხარული  
ვარ, კარგად რო გამიგეთ. მწერლობა ყოველთვის წვენი და-  
საყრდენი იყო, იყო და იქნებათ.

კინალამ ერთი პერსპექტიული ახალგაზრდა დაგველუბა, რო  
იცოდეთო. აქ თითქოს ცრემლიც გადმოუგორდა. გულწი-  
ლი გახდდათო.

არც ის დაგავიწყდეთ, წვენს თვალს რო არაფერი არ გა-  
მოეპარებოდა. არ დაგავიწყდეთო. ვიცით, ვინც რო მეთაუ-  
რობდა. ვიცით, სადაც რო იყრიდნენ თავსა. ყველაფერი ვი-  
ცითო. ვიცით და მოვუვლითო. თქვენ მიბრძანდითო.

მიქელსა გულისხმობდა.

რაღა მოევლებოდა მიქელსა...

პი მიბრძანდითო, ორივე სილაც წამოსწია წინა და უცებ  
აიქნია, უცებვე წამოიჭრნენ მოთათბირენიცა, უკეთუ ვითომ  
მოთათბირენიცა, უცებვე წამოიჭრნენ ფეხზედა და უცებვე  
გაცვიდებოდნენ რაღა თქმა უნდა, ოღონდ იქ, კარებთან ვი-  
ღაც არ წამოდგა, მხოლოდ თითი ასწია:

ერთი შეკითხვა თუ შეიძლებათ, — თქვა ხმადაბლა, ლა-  
მის ჩურჩულითა, ოღონდ მაინც მკვეთრად გაისმა, ისე მკვეთ-  
რადა, შეჩერდა ყველაი, ტუჩი შეუთრთოლდა აქამბრძანე-  
ბელსა, ანთუ ულვაში აუცახცახდა, ცხვირზე მიბმული პატა-  
რა ულვაში, მიბმული თუ მიწებებული, აუცახცახდა თუ წა-  
მოვარდებაო სულერთია რაღა თქმა უნდა, ოღონდ რო გა-  
ისმა:

— არავითარი შეკითხვები!.. — ეს აღარ არის სულერთი  
ცხადია.

— ერთი მაინცა!.. — იგივე ხმა იყო, ისევე წუმი, გერონტის  
ხმა იყო, გერონტი ქიქოძისა.

— არცერთი!.. — სახე წავსიანი აეწერა აქამბრძანებელ-  
და გაცვივდნენ ყველანი, ვინ ვის გაასწერებდა,

წამოდგა ისიცა, რო გაპერა ყველაი, ლანდივით გაპერა, მ  
შინდა წამოდგა, წამოდგა გულმოსული უილაჯობითა, ბუ-  
ტყუნით წამოდგა:

— შეკითხვაც არაო... შეკითხვა რაღაა? შეკითხვაც არაო...  
„რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ, რასა ეტყვის სულიერი გადასაზღვრებელი სკლესიათა“.

## XXV

„ და უკეთუ ვინ მოაკლოს სიტყუათა წიგნისა ამის წინა-ისწარმეტყუელებისათა, მოაკლენ ღმერთმან ნაწილი მისი ძელისა მისგან ცხორებისა და ქალაქისა მისგან წმიდისა, რომელ წერილ არს ამას წიგნსა“.

მბრძანებელი იგი მაშინდელი, უკეთუ წარმოგზავნილი იგი მაშინდელი, ერთ შეკითხვასაც რო არ ინებებდა, ტრაპა-ხით მაინც ბევრსა ტრაპახობდა, და იმა ბევრში, იმა მრავალ-ში, კველაზედ მეტად ამას იტყოდა; სამოცდაათი ერთი ცხოვ-რობს თბილისშით, ცხოვრობს თანხმობითა, ერთსულოვნე-ბითა, ერთი აზრითა, ერთი რწმენითა, ესაა ნიმუში ჩვენი ეპო-ქისა, წყობისა ჩვენის დიადი ნიმუშით. ასე ტრაპახობდა და უნდა დაგექნია თავი, აბა მაშ რაო, თუ არ დაგრთავდა ნებას-შეკითხვისა, თღონდ თუ რაც იყო, იყო, თქმულიყო თუნდაც სამოცდაათი, არავინ დაჭრილა თუ დაბეგვილა სამოცდაცხრა-თავანა, ერთნი დაიჭრენენ და დაიხოცნენ, მხოლოდდა ერთნი, ერთადერთნი, ერთნიღა მოსჩანდნენ თბილისის ქუჩებშია, ერთნიღა იყრიდნენ თავსა თრბელიაანთ კუნძულზედა იმა დღეებში, მარტის დღეებში, ერთიღა გაისმოდა ენაი იგი ქარ-თული ენაი, ენაი თბილისისა, დედა თბილისისა, ერთიღ, ერთიღა, და ვინ უწყის ამას თუ გულისხმობდა, ამასა, ამასა, ამას თუ წინასწარმეტყველებდა „ქებაი და დიდებაი ქართუ-ლისა ენისაი“: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მე-ორედ მთსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ეწითა“.

თბილისი, 1973

ЧХЕИДЗЕ ОТАР РЕВАЗОВИЧ  
APOKALYSIS  
Роман

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»  
пр. Руставели, 42  
Тбилиси  
1989

შესატევაზე კ. შენაიშვილი  
შესატერული რედაქტორი სპ. ცინცაძე  
ტექნიკური რედაქტორი თ. კაპანაძე  
კურექტორები: თ. ფირცხალავა, ნ. ლომაძე  
გამოიშვები 6. ხავთასი

ს. ბ. 4319.

წარმოებას 18.05.89 წ. ხელმიწერილია საბეჭდად 24.11.89 წ.  
ნო 06745 ფორმატი  $84 \times 108^{1/2}$ . ქაღალდი საბეჭდი საწიგნე-საექსრიალუ  
გარნიტურა ივერია, ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13,44  
სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 12,13. პირობითი საღებავგატარება  
13,55. ტირაჟი 15.000 გვ. შეკვ. № 1043,

ფასი 1 ბაზ. 10 ქაპ.

გამოიცემლობა „მერანი“ რესთაველის პრ. 42. თბილისი 1989

საქართველოს სსრ გამოიცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით გაშრობის  
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ა. ჭავჭავაძის სახ. წიგნის  
ფაბრიკა, მეცნიერებლის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного  
комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и  
книжной торговли, пр. Дружбы № 7.



ສປປລາວ  
ກໍລະເມີນກໍາຕອງວັດ